საქართველოს ისტორია

რვა ტომად

საქართველოს არქეოლოგია

II

ენეოლითი-ადრე ბრონზაოს ხანა



თბილისი
„მეცნიერება"
1992

63.4 (2Г)
ს 323

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს უძველესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს — ენეოლით-ადრებრინჯაოს ეპოქას, რომელიც ძვ. წ. VI—III ათასწლ. მოიცავს.

ნაშრომი ორი კარისაგან შედგება: პირველი კარი აღმოსავლეთ საქართველოში ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში შექმნილ ვითარებას ეძღვნება. ძვ. წ. VI—III ათასწლეულებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საკმაოდ დაწინაურებული ადრესამიწათმოქმედო კულტურა არსებობდა, რომელსაც შემდეგ ადრებრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ენაცვლება.

მეორე კარში განხილულია დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. იგი აქ, ჩანს, წინარე ნეოლითური კულტურის საფუძველზე აღმოცენდა.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების აღწერას. მდიდრადაა წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა.

წიგნი განკუთვნილია არქეოლოგებისათვის, ისტორიკოსებისა და საქართველოს უძველესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია: ისტ. მეცნ. დოქტორი ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (მთავარი რედაქტორი), ისტ. მეცნ. დოქტორი ი. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა (პასუხისმგებელი მდივანი), ისტორიის მეცნ. დოქტორი თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები:
თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე

ს $\frac{0504000000}{М607\ (06)-92}$ 212—91

ISBN 5—520—00474—9

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1992

შესავალი

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა მნიშვნელოვანი პერიოდია პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში. წინარე ხანაში, ნეოლითში, ჩასახული ეკონომიკის ახალი ფორმები — მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ენეოლითის დროს კიდევ უფრო წინაურდებიან და მეურნეობაში თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებენ. ამ ხანაში ეცნობა ადამიანი ლითონს და ამიტომ ეპოქას ენეოლითს, სპილენძ-ქვის ხანას უწოდებენ; ქვიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ პერიოდად მიიჩნევენ; თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ ამ საფეხურზე იმდენად მნიშვნელოვანი გარდატეხები მოხდა საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ენეოლითი უკვე შეიძლება სავსებით დამოუკიდებელ ისტორიულ ეპოქად ჩაითვალოს. მართალია, ენეოლითის ხანაში ქვის იარაღი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეურნეობაში, მაგრამ ლითონის შემოსვლამ საზოგადოების შესამჩნევი წინსვლა გამოიწვია და ეს საფეხური უკვე საგრძნობლად გამოირჩევა წინარე პერიოდისაგან. მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, ამიერკავკასიის ჩათვლით, ენეოლითის ხანაში მნიშვნელოვნად წინაურდება ახალი სახის ეკონომიკა, რასაც შედეგად ადრესამიწათმოქმედო კულტურების ჩამოყალიბება მოჰყვა.

ამიერკავკასიაში, თითქმის მთელი ქვის ხანის მანძილზე, მოსახლეობა ძირითადად მის დასავლეთ ნაწილში იყო კონცენტრირებული. აღმოსავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველო, ამ დროს შედარებით ნაკლებად დასახლებული ჩანს. მისი ათვისება ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში, ენეოლითის დროს, იწყება და შემდგომ პერიოდში, ადრებრინჯაოს ეპოქაში, იგი უკვე ინტენსიურადაა დასახლებული. რა იყო მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ენეოლითის ხანამდე შედარებით სუსტად დასახლებულია გარკვევით თქმა ძნელია. შესაძლოა ქვის ხანის პერიოდში -ჭ შექმნილი ბუნებრივი გარემო ნაკლებად ხელსაყრელი იყო მეურნეობის ძველი ფორმებისათვის. ამ მხარის ათვისება, ჩანს, შესაძლებელი ხდება ეკონომიკის ახალი ფორმების გამარჯვების შემდეგ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურაში ასახულია ნეოლითური რევოლუციის ხანგრძლივი პროცესის ბოლო ეტაპი და მისი შედეგები.

დასავლეთ საქართველოში ამ დროს განაგრძობს არსებობას ადგილობრივ ნეოლითზე დაფუძნებული ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. მასში ჯერ ისევ ცოცხლობს ნეოლითიდან მომდინარე ტრადიციები. როგორც ჩანს,

ეკონომიკის ძველ ფორმებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ თავიანთი ადგილი მეურნეობაში. ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე დასრულდა საქართველოს და საერთოდ, კავკასიის ფართოდ ათვისების პროცესი. კავკასიის სხვადასხვა მხარეებში თავისებური კულტურა ვრცელდება: ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში — მაიკოპის კულტურა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში — მტკვარ-არაქსის კულტურა, დასავლეთ ამიერკავკასიაში ამ დროს განსხვავებული ხასიათის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა გვხვდება.

კავკასიის, კერძოდ საქართველოს, არქეოლოგიუად შესწავლა ძირითადად გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. ძველი ლიტერატურული ტრადიციების საფუძველზე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ კავკასიაში მოსახლე ტომებს მნიშვნელოვანი წვლილი აუძღვით უძველესი მეტალურგიის განვითარებაში. ამიტომაც კავკასიაში არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. თბილისში დაარსებულ კავკასიის მუზეუმში თანდათანობით თავს იყრის საკმაოდ მდიდარი მასალა კავკასიის სხვადასხვა მხარეებიდან. 1881 წ. თბილისში ჩატარდა არქეოლოგთა V ყრილობა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კავკასიის სიძველეების შესწავლაში. მაგრამ სწორედ ამ დროისათვის ფართოდ ვრცელდება შეხედულება, რომ კავკასიაში მეტალურგიული ინდუსტრია ანაზღვეულად იწყება II—I ათასწლეულების მიჯნაზე და რომ საერთოდ ეს მხარე შედარებით გვიან დასახლებული ჩანს. ამ მოსაზრებამ, მისი ავტორების დიდი ავტორიტეტის გამო, თითქმის საყოველთაო აღიარება პოვა და შემდეგში მნიშვნელოვნად შეაფერხა კავკასიისა და განსაკუთრებით ამიერკავკასიის ადრეული ეპოქების შესწავლა. ამიერკავკასიის ძეგლების უფრო ადრეული პერიოდისადმი მიკუთვნების ყველა ცდა უშედეგოდ რჩებოდა.

ასეთი ვითარება ფაქტიურად სამხრეთ საქართველოში, თრიალეთში, არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე გაგრძელდა. აქ მოპოვებული მასალების საფუძველზე აკად. ბ. კუფტინმა პირველად გამოყო გვიანბრინჯაოს ხანაზე უწინარესი პერიოდები [36] და ამავე დროს იმედოვნებდა, რომ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში, ადრე თუ გვიან, აღმოჩნდება კიდევ უფრო ადრეული ხანის კულტურა. მკვლევრის ეს წინასწარული ვარაუდი შემდეგში სავსებით დადასტურდა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, მართლაც, აღმოჩნდა საკმაოდ დაწინაურებული ენეოლითური ხანის კულტურა. იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის სახელითაა ცნობილი; პირველი აღმოჩენების ადგილების მიხედვით მას შულავერ-შომუ-თეფეს კულტურასაც უწოდებენ. აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები ძირითადად ქვემო ქართლშია გამოვლენილი. მარნეულის ველზე 1965—1971 წწ. თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ ორი ნასახლარი შეისწავლა — შულავერის გორა და იმირის გორა [16]. ამავე დროს

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა არუხლოს გორაზე. [40]. 1972 წლიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია სწავლობს ადრესამიწათმოქმედო კულტურის მოზრდილ ნამოსახლარს — ხრამის დიდგორას [17]. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია სამუშაოებს განაგრძობდა არუხლოს ჯგუფის ნამოსახლარების შესასწავლად [3].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვემო ქართლში გამოვლინდა ახალი, სრულიად უცნობი კულტურა, რომელიც წინ უსწრებდა მანამდე ცნობილ უძველეს კულტურას — მტკვარ-არაქსის ენეოლითს. გაირკვა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსებობდა საკმაოდ მძლავრი და დაწინაურებული კულტურა, რომელიც გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებდა წინა აზიაში ცნობილ ადრესამიწათმოქმედო კულტურებთან.

ქვემო ქართლში საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. სიონთან გამოვლენილი იყო ადრესამიწათმოქმედო კულტურის დროინდელი ნამოსახლარი, რომელიც ერთგვარად განსხვავებული ხასიათის მასალას შეიცავდა [9]. სიონის ტიპის ძეგლები შემდეგში აღმოჩნდა შიდა ქართლში, არაგვის ხეობაში, თბილისში — დელისის ნამოსახლარზე და ალაზნის ველზე. სიონის კულტურის აღმოსავლეთით გავრცელების უკიდურესი მხარე, ჩანს, ქვემო ქართლში იყო, სადაც იგი ერთხანს, ალბათ, შულავერ-შომუ-თეფეს კულტურასთან თანაარსებდა. ქვემო ქართლი, ეტყობა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის დასავლეთით განფენის პერიფერიული ნაწილი იყო. უფრო ღრმად დასავლეთით, შიდა ქართლში, ივი აღარ გაგრძელებულა. როგორც ჩანს, ამ კულტურას ამიერკავკასიის უფრო აღმოსავლეთი რეგიონები ეკავა. ქვემო ქართლის აღმოსავლეთით მიმდებარე მხარეში, მტკვრის ხეობაში, კარგადაა ცნობილი ამ კულტურის ძეგლები: შომუ-თეფე, თოირა-თეფე, გარგალარ-თეფესი და სხვ. ინტენსიურადაა ამ დროს ათვისებული მილის, ყარაბაღისა და მუღანის ველები, ნახიჭევანის მხარე. ამ ხანის ძეგლები ცნობილია არარატის ველზე.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურა ყოველგვარი წინამძღვრების გარეშე, სავსებით ჩამოყალიბებული სახით გავრცელდა. ამ კულტურის მატარებელ მოსახლეობას დამჯდარი ცხოვრების უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. სოფელი ერთ ადგილას, ჩანს, საკმაოდ მყარად ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობდა. სამშენებლო საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა, თავისებური იყო ალიჩის არქიტექტურის ტრადიციები [28]. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა საგრძნობლად დაწინაურებულია, რაც დამჯდარი ცხოვრებისათვის მყარ ეკონომიკურ საფუძველს ქმნიდა. საკმაოდ მაღალ საფეხურზეა ხელოსნობა, განსაკუთრებით ქვის, ძვლისა და რქის დამუშავების ტექნიკა [23]. ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ტომები, რომლებიც პირველები ითვისებენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგნენ. სა-

დან, რა გზით გავრცელდა ეს კულტურა, ჯერ კიდევ ნათელი არ არის. შესაძლოა, ამ კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხრეთიდან გადმონაცვლებულმა მოსახლეობამ, რომლებსაც, ეგეზ, აქ გადმოაქვთ სამშენებლო საქმეში ალიზის ფართოდ გამოყენების ტრადიცია. გარკვეული წვლილი, იქნებ, ადგილობრივ კავკასიურ ტომებსაც ეკუთვნოდათ. ადგილობრივი და სამხრეთიდან გადმოსული ტრადიციების შერწყმის შედეგად წარმოიქმნება, ალბათ, მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილო ზოლში, ამიერკავკასიაში, თავისებური ხასიათის ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელმაც აღმოსაილეთ ამიერკავკასიაში ორი ათას წელზე მეტ ხანს იარსება და ამ დროის მანძილზე ორი ლოკალური რეგიონი ჩამოყალიბდა — ერთი, რომელიც მოიცავდა ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზოლს, მეორე კი ვრცელდება დასავლეთით, ქვემო ქართლსა და მის შიგდგომ მხარეებში.

ადრესამიწათმოქმედო კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველად ძვ. წ. VI ათასწლეულში უნდა გამოჩენილიყო. ძვ. წ. V ათასწლეული ამ კულტურის აყვავების ხანაა. ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში ივი წყვეტს აქ არსებობას. რა იყო ამ კულტურის ჩაქრობის მიზეზი, ახლა ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ამ კულტურის დაცემა ერთგვარად დააჩქარა ახალი, უფრო განვითარებული მტკვარ-არაქსის კულტურის გაჩენამ, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

დასავლეთ საქართველოში ენეოლითის პერიოდის ძეგლები ჯერ კიდევ 20-იან წლებში გამოვლინდა ქუთაისის მახლობლად, თეთრამიწასა და სათაფლიაზე, მაგრამ მათ კარგა ხანს ნეოლითის ეპოქას აკუთვნებდნენ [7]. შემდეგში გაირკვა, რომ თეთრამიწა მრავალფენიანი ძეგლია და მისი არსებობის ბოლო პერიოდი ენეოლითი-ადრებრინჯაოს ხანაზე მოდის [4]. ამ პერიოდის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 50—60-იან წლებში რიონ-ყვირილის აუზში მრავალფენიანი გამოქვაბულის გამოვლენას. ბუნებრივი გამოქვაბულები ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული ადამიანის მიერ.

1952 წ. გამოქვაბულ საგვარჯილეში, ზედა ფენებში, საკმაოდ მძლავრი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კვალი აღმოჩნდა [8]. 50-იან, 60-იან წლებში ყვირილის ხეობის შესწავლილი გამოქვაბულები: სამელე-კლდე, სამერცხლეკლდე, ძუძუანა, დარკვეთის ეხი და სხვ. შეიცავდნენ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნაშთებს [20]. ამ პერიოდის ფენა გამოჩნდა აგრეთვე წყალტუბოს მახლობლად შესწავლილ თეთრ მღვიმეში. აგრეთვე, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში. დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურა, ჩანს, წინარე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა. მასში ჯერ კიდევ ძლიერად იგრძნობა ნეოლითიდან მომდინარე ტრადიციები. 60—70-იან წლებში ენეოლითის ხანის მასალები გამოვლინდა მაჭარისა და გუანდრის ნამოსახლარებზე [25]. ამავე პერიოდისაა განთიადის სადგამები, „სოფა-ადლერის“ ტიპის

თოხები და სხვა. ჩანს, კოლხეთის დაბლობი ამ დროისათვის ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო.

უფრო ფართოდ დასავლეთ საქართველო ათვისებულია ადრებრინჯაოს ხანაში. ამ პერიოდის რიონ-ყვირილის აუზში საკმაოდ ინტენსიურად გრძელდება ცხოვრება ბუნებრივ გამოქვაბულებში. როგორც ჩანს, ადრებრინჯაოს ხანაში ძლიერდება ურთიერთობა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს შორის. რიონ-ყვირილის აუზში საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. აქ ჯერ კიდევ 1910 წ. აკად. ე. თაყაიშვილმა საჩხერის ყორღანული სამაროვანი შეისწავლა და იგი გვიანბრინჯაოს ხანაზე, ყობანის სამაროვანზე უწინარეს პერიოდს—სპილენძის ეპოქას, მიაკუთვნა [39], მაგრამ ე. თაყაიშვილის ამ მართებულ ვარაუდს იმ დროს ყური არავინ ათხოვა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული აზრი კავკასიის შედარებით გვიან ხანაში დასახლების შესახებ.

1939 წ. არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს აკად. ბ. კუფტინი საჩხერეში, ადგილ „ნაჩერქეზევზე". 1945—1946 წლებში იგი აქ იკვლევს „ცარცის გორას" — ყორღანულ სამაროვანს; ამავე წლებში შეისწავლა ერთი ამ ტიპის სამაროვანი სოფ. ქორეთში [35]. 1951 წ. იგი კვლავ უბრუნდება ნაჩერქეზევის სამაროვანს. 1955 წ. საჩხერის რაიონში სამუშაოებს აგრძელებს თბილისის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ერთი ყორღანული სამაროვანი შეისწავლა სოფ. ქორეთში, ადგილ პასიეთში. გარდა ამისა, ექსპედიციამ მცირე გათხრები ჩაატარა ნაჩერქეზევის სამაროვანზე [22]. 1963—1964 წწ, მდ. ყვირილას აუზში. სოფ. არგვეთიდან გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. 1981—1985 წლებში არგვეთის ნამოსახლარზე განაგრძობდა მუშაობას არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია [14]. რიონ-ყვირილის აუზის ზოგიერთ. გამოქვაბულში, ჩანს, ცხოვრება ადრებრინჯაოს ხანაშიც გაგრძელებულა; სამერცხლე კლდეში, საგვარჯილეში, მოწამეთას ფარდულში და სხვ. ამ პერიოდის მასალები აღმოჩნდა.

1936 წ. სამტრედიის მახლობლად სოფ. დაბლაგომში, ადგილ ნაციხვარზე, შესწავლილი იყო ნამოსახლარი, რომლის ქვედა ფენა ადრებრინჯაოს ხანისაა. აქ აღმოჩენილი კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურასთან. როგორც ჩანს, აქ გადიოდა ამ კულტურის დასავლეთით გავრცელების უკიდურესი საზღვარი.

ადრებრიანჯაოს ხანაში იწყება კოლხეთის ათვისების პროცესი. 1935 წ., ზუგდიდის მუზეუმის ინიციატივით, ეწყობა გათხრები ანაკლიასთან მდებარე ბორცვისა — დიხა-გუძუბა, რომლის ქვედა ფენა ადრებრინჯაოს ხანისა იყო [33]. ამავე წელს შეისწავლება ოჩამჩირესთან მდებარე ნამოსახლარი, სადაც ადრეული პერიოდის საინტერესო მასალები აღმოჩნდა; ჩანს, კარგადაა ათვისებული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ამ დროის ძეგლი გამოვ-

ლინდა სოხუმის მახლობლად — გუმისთის ნამოსახლარი. კვლავ გრძელდება ცხოვრება ადრებრინჯაოს ხანაში მაჯარის და გუანდრის ნამოსახლარებზე.

ადრებრინჯაოს ხანისაა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გამოვლენილი ადრეულ დოლმენები [34]. 1934 და 1937 წწ. ეშერში აღმოჩენილი დოლმენების ერთი ნაწილი აღნიშნულ პერიოდს მიეკუთვნება. 1955—1956 წწ. ეშერში მუშაობას აგრძელებს თბილისის უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია, რომელმაც რამდენიმე ადრეული ხანის დოლმენი შეისწავლა [22]. როგორც ჩანს, დოლმენები კოლხეთის ამ ნაწილში სწორედ ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე იწყებენ გამოჩენას.

კოლხეთის დაბლობის ინტენსიური შესწავლა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. აქ გამოვლინდა მთელი რიგი ნამოსახლარი ბორცვებისა, რომელთაგან ზოგიერთი ადრებრინჯაოს ხანის ფენებს შეიცავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დროის ორი ბორცვი: ერთი, ენგურის აუზში, მეორე ქობულეთის მახლობლად — ისპანის ნამოსახლარი [5].

1976 წლიდან კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფართო არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია, რომელმაც სხვადასხვა პერიოდის ძეგლებთან ერთად რამდენიმე ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარს მიაკვლია. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გალის რაიონში, ზღვის სანაპიროზე გამოვლენილი მოზრდილი ნამოსახლარი სოფ. პიჩორთან, რომლის ქვედა ფენა, ჩანს, ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდისა უნდა იყოს [24].

მაგრამ ამიერკავკასიის და საერთოდ, კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს. ამ ექსპედიციამ წალკის პლატოზე, თრიალეთის მაღალმთიან ზონაში, ხრამჰესის საგუბრის მშენებლობასთან დაკავშირებით 1936—1940 წლებში იმ დროისათვის ფართო მასშტაბის სამუშაო ჩაატარა. აქ მოპოვებული მასალების შესწავლის საფუძველზე აკად. ბ. კუფტინმა შეიმუშავა პერიოდიზაცია, პირველად გამოყო გვიანბრინჯაოს პერიოდზე უწინარესი ეპოქები. შუაბრინჯაოს ხანის „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას“ წინ უძღოდა კიდევ უფრო ადრეული ხანის კულტურები.

თრიალეთში მოპოვებული მასალების და მუზეუმების ფონდებში დაცული კოლექციების საფუძველზე მან პირველად სამხრეთ კავკასიაში გამოყო ადრელითონების კულტურა, რომელსაც „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“ უწოდა [32].

ბ. კუფტინი აქვეყნებს საინტერესო ნაშრომს, სადაც გამოყოფს ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელ ლითონის იარაღების წაკეკლან ტიპებს და აღნიშნავს მათ ახლო ურთიერთობას წინააზიურ სამყაროსთან [31].

1947—1948 წლებში ბ. კუფტინი აგრძელებს მუშაობას წალკის პლატოზე, სადაც სწავლობს მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნამოსახლარებს სოფ. ოზნისთან და ადრეული ხანის — სოფ. კუშჩისთან მდებარე „მწვანე ყორღანს“ [30].

მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლისადმი ინტერესი განსაკუთრებით 50-იანი წლების დასაწყისი ხანებიდან იღვიძებს. ფართოდ გაშლილ არქეოლოგიურ სამუშაოებს ამიერკავკასიაში და საერთოდ, კავკასიაში ახალი საყურადღებო ძეგლების გამოვლენა მოჰყვა შედეგად, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქეს ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურებთან დაკავშირებული საკითხები. თანდათანობით ვრცელდება შეხედულება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ენეოლითური ხასიათისა კი არ არის, არამედ იგი უკვე ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნება [29]. ეს კულტურა სცილდება მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის ფარგლებს და კავკასიის შიგნით დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. მისი გავლენის ქვეშ ექცევა მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი. იგი ფართოდ მკვიდრდება კავკასიის სამხრეთით და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირამდე აღწევს. ამ კულტურამ უთუოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კავკასიის უძველეს წარსულში და ამავე დროს გარკვეული როლი ითამაშა ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში [38, 21].

მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ათვისებულია თითქმის ყველა ზოლი— როგორც ბარი და მთისწინეთი, ისე მაღალმთიანი ზონები. უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი ძეგლები გამოვლინდა [37]. 50-იანი წლების შუა ხანებიდან შიდა ქართლში იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნამოსახლარების — ქვაცხელისა და ხიზაანთგორის — შესწავლა [19]. გაირკვა ამ დროის სოფლის ხასიათი, მისი დაგეგმარება, სამშენებლო საქმე და არქიტექტურა, განვითარების საფეხურები და სხვ. დაახლოებით ამავე დროს იწყება ქვემო ქართლში თეთრიწყაროს ნამოსახლარების გათხრები [2] და მესხეთ-ჯავახეთში ახალციხის ამირანის გორის შესწავლა [18]. 60-იანი წლების დასაწყისში გაგრძელდა გათხრები კიკეთის სამაროვანზე, სადაც ჯერ ე. ფჩელინა, შემდეგ კი ბ. კუფტინი აწარმოებდნენ სამუშაოებს [15]. ქვემო ქართლში შესწავლილი ძეგლებიდან აღსანიშნავია სამშვილდის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული იარაღები [11], კოდაში ჩატარებული სამუშაოები [27] და სხვ. 60-იან წლებში იწყება იორ-ალაზნის აუზის სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა. გაირკვა, რომ ეს რეგიონი ფართოდ იყო ათვისებული მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში. აქ გამოვლენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია ილტოს ნამოსახლარი. საინტერესო ძეგლია მიკვლეული სიონთან — ბადაანის ნასახლარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია არაგვის ხეობის ამ ხანის ძეგლები. არქეოლოგიური დაზვერვის

შედეგად ირკვევა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში, მის განვითარებულ საფეხურზე, კარგადაა ათვისებული ჯავახეთის პლატო [13].

ძეგლების შესწავლის პარალელურად ქვეყნდება განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება მტკვარ-არაქსის კულტურასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს: მეტალურგიას [1], მეურხეობას [6], საშენებლო საქმეს, არქიტექტურას [28] და სხვ. მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში თავისებური ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში, კერძოდ არარატის ველზე, წარმოქმნილი ლოკალური ვარიანტისაგან. სხვაობა მათ შორის უკვე იმდენად დიდი ჩანს, რომ ამან ზოგიერთ მკვლევარს ორი დამოუკიდებელი კულტურის არსებობა აფიქრებინა. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის მანძილზე, მისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე, ზოგიერთ რეგიონში შორს წარსული ლოკალური თავისებურებები ყალიბდება.

მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის, მისი პირველი ადგილ-სამყოფელის საკითხები ჯერ კიდევ მთლად გარკვეული არ არის. მართალია, მისი გავრცელების ძირითად რეგიონში, ამიერკავკასიაში, მისი უწინარესი, ადრესამიწათმოქმედო კულტურა აღმოჩნდა, მაგრამ მათი ურთიერთობის საკითხში ჯერჯერობით ყველაფერი ნათელი არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა, თავისი გავრცელების დიდ ტერიტორიაზე, არსად იმდენ საერთოს არ პოულობს წინამორბედ კულტურასთან, როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. იგი ძირითადად აგრძელებს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძველ ტრადიციებს, ყოფას, ნივთიერ და სულიერ კულტურას. წინარე კულტურაშია საძებარი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მრგვალი შენობის საწყისები, მისთვის ნიშანდობლივი კერამიკის ნიშნები: ჭურჭლის ზედაპირის გაპრიალება, რელიეფური და ნაკაწრი ორნამენტით შეპკობის წესი და საერთოდ, სადა, მოუხატავი კერამიკის გამოყენების ტრადიცია. იგივე შეიძლება ითქვას ქვის, რქისა და ძვლის იარაღებზედაც. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურა, წინამორბედ კულტურასთან შედარებით, იმდენად წინ წასული ჩანს, რომ საკარაუდოა მის ჩამოყალიბებაში სამხრეთიდან მომდინარე იმპულსებმაც შეასრულეს გარკვეული როლი. მტკვარ-არაქსის კულტურას ძირითადად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ადრესამიწათმოქმედო კულტურა დაედო საფუძვლად. მაგრამ სად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რომელ რეგიონში უნდა ჩამოყალიბებულიყო მტკვარ-არაქსის კულტურა, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში იგი პირველად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე იწყებს გამოჩენას. შესაძლოა, საქართველოს ეს მხარე მისი წარმოქმნის ერთ-ერთი რეგიონი იყოს. სწორედ აქ არის სადღეისოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლები გამოვლენილი, აქედან იწყებს ძირითადად, ალბათ, განფენას ეს კულ-

ტურა საქართველოს სხვა მხარეებში. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ხანაში იწყება შიდა ქართლის ინტენსიური ათვისება, სადაც შემდეგში, ამ კულტურის აყვავების პერიოდში, თავისებური მკვეთრად გამოსახულ ლოკალური ვარიანტი ჩამოყალიბდა [21].

ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგიდან იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის ფართო განფენა. რამ გამოიწვია ამ კულტურის მატარებელი ტომების ინტენსიური მოძრაობა ამიერკავკასიის სხვადასხვა მიმართულებით, ჯერჯერობით ნათელი არ არის. შესაძლოა ერთ-ერთი მიზეზი მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში მიმდინარე მკვეთრ დემოგრაფიულ აფეთქებასთან იყოს დაკავშირებული. ჩანს, ამ დროს საგრძნობლად იმატა მოსახლეობის რიცხვმა ამ აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მისი ბარი და მთა, ინტენსიურად სახლდება. მტკვარ-არაქსის კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ ექცევა მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია, დაღესტანი, სადაც ამ ხანის ძეგლები თითქმის ყველა ზოლშია გამოვლენილი. როგორც ჩანს, მტკვარარაქსული კულტურის შიდაქართლური ვარიანტი ფართოდ ვრცელდება აგრეთვე ცენტრალურ კავკასიაში, სადაც მაიკოპის კულტურასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მყარდება [38].

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ინტენსიურად ითვისებენ აგრეთვე ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ოლქებს. იგი მოიცავს თითქმის მთელ აღმოსავლეთ ანატოლიას. აქ გამოვლენილია მთელი რიგი მრავალფენიანი ძეგლებისა, სადაც მკვეთრად გამოირჩევა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალების შემცველი ფენა. მისი გავლენის ქვეშ ექცევა აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთი ირანის გარკვეული ოლქები, ურმიისპირეთი, ჰამადანის ველი და ქერმანშას მხარესაც აღწევს.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევი ეტყობა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსაც — სირია-პალესტინას, სადაც, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, უეცრად ჩნდება ახალი სახის კულტურა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება აქ მანამდე გავრცელებული კულტურისაგან. ჩარხზე ნაკეთები, მოხატული კერამიკის გვერდით ჩნდება ხელით ნაძერწი, ზედაპირგაპრიალებული, სადა ჭურჭელი. ამ განსხვავებულ ,თავისებურ კულტურას, მისი პირველი აღმოჩენის მიხედვით, „კირბეტ-კერაკის კულტურა“ უწოდეს. თავიდან მთლად ნათელი არ იყო, თუ საიდან, რა გზით უნდა შემოსულიყო ეს კულტურა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. შემდეგში გაირკვა, რომ მას ბევრი საერთო აქვს მტკვარ-არაქსის კულტურასთან, რომ იგი აღმოსავლეთ ანატოლიის გზით ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთით და სირია-პალესტინას აღწევს. აქ, ჩანს, ეს კულტურა საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს და გარკვეულ გავლენას ახდენს ადგილობრივ კულტურაზე. „კირბეტ-კერაკის“ კულტურის მატარებელ ტომებს ძვ. წ.

III ათასწლეულში გარკვეული როლი უნდა ეთამაშათ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მოსახლეობის უძველეს ისტორიაში [21].

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა კავკასიის ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა. გარკვეული კავშირი თითქოს ევროპის ზოგიერთ თანადროულ კულტურასთანაც შეინიშნება. ამიტომაცაა, რომ ამ კულტურის შესწავლა დღეს დიდ ინტერესს იწვევს და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი ეთნიკური კუთვნილების საკითხს. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: ზოგი მკვლევარი მათ ინდოევროპელებს უკავშირებს, ზოგიც — ხურიტულ ტომებს, ზოგი კი — კავკასიურს. ფიქრობენ, რომ ამ კულტურის წარმოქმნაში, კავკასიურ ტომებთან ერთად, ინდოევროპელებიც მონაწილეობდნენ [26].

შესაძლოა ეს კულტურა ძირითადად კავკასიური მოდგმის — ხურიტულ და ქართველურენოვან—ტომებს უკავშირდება. ქართველურ ტომებს ამ დროს ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილი და დასავლეთ საქართველოს გარკვეული ოლქები ეკავათ. შესაძლოა, მათვე ეკუთვნოდა ძირითადად საქართველოში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტ .

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყის ხანებში ამიერკავკასიაში, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ისეთი ვითარება შეიქმნა, რასაც შედეგად მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა მოჰყვა. რა იყო ამ დაწინაურებული კულტურის დაცემის მიზეზი, ჯერჯერობით ნათელი არ არის. ზოგი ამას მოუსავლიანობას, ახალი ტომების გამოჩენას, ზოგიც ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს ან კლიმატური პირობების შეცვლას უკავშირებს, ასეა თუ ისე, ჩანს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ცხოვრებაში კრიზისული ვითარება შეიქმნა, რამაც ძველი საცხოვრებელი ადგილების მიტოვება გამოიწვია. შესაძლოა ეს პროცესი ერთგვარად ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენამაც დააჩქარა. იცვლება კულტურის ხასიათი, შემოდის დაკრძალვის ახალი წესი, ჩნდება ყორღანული ტიპის სამარხები. შესაძლოა ახალმოსულები უფრო ჩრდილოეთით მდებარე ოლქებიდან იყვნენ, სადაც წესად იყო მიცვალებულის ყორღანულ სამარხში დასაფლავება.

ამრიგად, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში დასრულდა მტკვარ-არაქსის კულტურის ათასწლოვანი ისტორია. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანაა კავკასიელი ტომების უძველეს ისტორიაში. სწორედ აქაა საძებარი საწყისები რიგი მოვლენისა, რომლებიც ამ ტომებს მათი არსებობის ისტორიის მთელ მანძილზე გაჰყვება. ამ დროს მყარდება მეურნეობაში მთისა და ბარის ურთიერთობის საფუძველი. აქ ჩანს ფესვები იმ ძველი ლიტერატურული ტრადიციებისა, რომლებშიც კავკასიელ ტომებს განსაკუთრებულ როლს მიაწერენ ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების საქმეში. სწო-

რედ აღმოსავლეთ საქართველოშია დადასტურებული ამ დროს მეტალურგიული წარმოების მაღალი დონე; ენეოლით-ადრებრონჯაოს ხანაში, რომელიც ძვ. წ. VI—III ათასწლეულებს მოიცავს, იწყება და ფაქტიურად სრულდება საქართველოს ტერიტორიის ფართო ათვისება. ბუნებრივი პირობების მკვეთრი სხვაობის გამო, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში განვითარების სხვადასხვა გზა ისახება, რამაც თავისი გამოხატულება კულტურის ხასიათში პოვა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ც. ა ბ ე ს ა ძ ე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბილისი, 1969.
2. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბილისი, 1978.
3. დ. გ ო ჯ ე ლ ი ა, დასახლების თავისებური არუხლო 1-ზე, „ძასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის". VII თბილისი, 1979.
4. დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური" ძეგლის დათარიღებისათვის, „მაცნე", 4. თბილისი, 1971.
5. ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 1974 წლისა.
6. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976.
8. ნ. კ ი ლ ა ძ ე, ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამიწიდან, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", 29, თბილისი. 1951.
8. ნ. კ ი ლ ა ძ ე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე", საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 9, თბილისი, 1953.
9. მ. მ ე ნ ა ბ დ ე, თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1981.
10. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965.
11. გ. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, სამშვილდე, თბილისი, 1976.
12. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბილისი, 1976.
13. ა. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრონჯაოს ხანაში, თბილისი, 1983.
14. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბილისი, 1986.
15. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბილისი, 1963.
16. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბილისი, 1975.
17. ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1972—1973 წწ.), „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები", IV. თბილისი, 1975.
18. ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბილისი, 1963.
19. ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, I, თბილისი, 1962.

20. გ. ჯავახიშვილი, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, ავტორეფერატი. თბილისი, 1971.
21. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის., თბილისი 1976.
22. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961.
23. ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971.
24. М. Барамидзе, Г. Чигошвили, Л. Джибладзе и др. Археологические исследования в с. Пичоре. ПАИ, 1982, 1983, 1984, 1985 г. Тбилиси.
25. В. В. Бжания, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы, СА, I, Москва, 1966.
26. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
27. Ш. Ш. Дедабришвили, Памятники ранней и средней бронзы. «Труды Кахетинской археологической экспедиции», I, Тбилиси, 1969.
28. А. И. Джавахишвили. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа в V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973.
29. А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV—III тысячелетиях до н. э. КСИА, вып. 93, Москва, 1963.
30. Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии.
31. Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948.
32. Б. А. Куфтин, Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит.
33. Б. А. Куфтин, Материалы по археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1940.
34. Б. А. Куфтин, Материалы по археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949.
35. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949.
36. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
37. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древнейшая культуры Южного Кавказа, Москва, 1970.
38. Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, Москва, 1975.
39. Е. С. Такаишвили. О Сечхерском кургане Шорапанского уезда, Изд. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. III, Тбилиси, 1913.
40. Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тбилиси, 1971.
41. И. И. Цвинария, Поселение Гуанда, Тбилиси, 1978.

ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲜᲔᲝᲚᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲠᲔᲒᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ᲗᲐᲕᲘ I

ᲔᲜᲔᲝᲚᲘᲗᲘ

§ 1. ᲔᲜᲔᲝᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

აღმოსავლეთ ამიერკავკასია ნეოლითის ხანაში ნაკლებად დასახლებული ჩანს. მისი ინტენსიური ათვისება ენეოლითის პერიოდიდან იწყება [3, 18. 49], აქ გამოვლენილია უკვე სავსებით ჩამოყალიბებული და საკმაოდ განვითარებული ენეოლითური ხანის ადრესამიწათმოქმედო კულტურა. ამ კულტურის ნასოფლარი ადგილები დღეს ხელოვნურ ბორცვებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთ ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად წარმოიქმნენ [18]. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასახლარები აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზეა მიკვლეული. უძველესი სამოსახლოები აქ ჯგუფ-ჯგუფად გვხვდება, თითოეული ჯგუფი სამი-ხუთი ბორცვისაგან არის შედგენილი. ეს ნასოფლარები გამოვლენილია მარნეულის ველის გეოგრაფიულად შემოფარგლულ ზონებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის შენაკად მდინარეთა: ხრამის, დებედას, შულავრის წყლისა და მაშავერის აუზებში. მარნეულის ველს [6, 7, 12, 13] ქვემო ქართლის ვაკის დასავლეთი ნაწილი უკავია და გაშლილია მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; მისი სიგრძე დასახლებულ მდინარეთა ქვემო დინებების გაყოლებით 35—38 კმ-ს აღწევს, უდიდესი სიგანე—18 კმ-ს, ხოლო აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს 265 მ-დან 500 მ-მდე.

მარნეულის ველისა და მიმდებარე მთისწინების ნიადაგები მაღალნოყიერია და მეტად ხელსაყრელია მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მეხილეობისა და მეევნახეობის განვითარებისათვის; დღეს ამ ტერიტორიაზე, მყარი და უხვი მოსავლის უზრუნველყოფისათვის, ნიადაგები ხელოვნურ მორწყვას საჭიროო-

ებს. რეგიონის მდინარეთა რეჟიმისათვის დამახასიათებელია გაზაფხულის ჩამონადენის სიჭარბე, ხოლო ზამთარში წყალმცირობა. მარნეულის ველზე, ზღვის დონიდან 500 მ-მდე, გავრცელებულია მშრალი კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ამ ზონაში 11,7°-დან 12,9°-მდე მერყეობს. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 25°. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობაა 383—500 მმ. ზაფხული გვალვიანია, ზამთარი — უმეტესად უთოვლო. დამახასიათებელია ნალექების უარყოფითი ბალანსი ზაფხულში. მცენარეული საფარის ისტორიის ცალკეული ეტაპების აღსადგენად ჩატარდა სპორული მტვრიანების მარცვლის პალინოლოგიური ანალიზი. ნიმუშები აღებულია როგორც საყრდენი პუნქტებიდან, ასევე ადრესამიწათმოქმედო კულტურის სხვადასხვა სამოსახლოზე. განსაზღვრული ნიმუშები წარმოგვიდგენს უტყეო ლანდშაფტს, რომელიც დაფარულია ბალახეულისა და ბუჩქნარის ფორმაციებით. ამასთან ერთად, ჰოლოცენის პერიოდში გავრცელებული ჩანს ნათელი ჭალისა და მთისწინა ზოლის ტყეები, რომელთა არეალი გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა [35].

აღმ. საქართველოში ენეოლითის კულტურის არსებობა (ძვ. წ. VI—IV ათასწლ.) ემთხვევა ჰოლოცენის ატლანტური პერიოდის შუა მონაკვეთს, რომელიც ევრაზიის შიდა კონტინენტურ რაიონებში გამყინვარების შემდგომ პერიოდში წარმოადგენს მეტად თბილ და მშრალ ეტაპს. პალეობიოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემებით, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ხელსაყრელი პირობები მშრალი და სითბოს მოყვარული ფლორისა და ფაუნის განვითარებისათვის [38].

მარნეულის ვაკის როგორც თანამედროვე, ასევე განამარხებელი ნიადაგები ატარებენ მშრალ კლიმატში ფორმირების აშკარა ნიშნებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღმ. საქართველოს დაბლობში კლიმატი ჰოლოცენში არ განიცდის მკვეთრ ცვლილებას [44[.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით მოიპოვება ბუნებრივი რესურსები, საზოგადოების განვითარების ადრეული პერიოდისათვის გამოსადეგი ნედლეული, ობსიდიანისა და სპილენძის საბადოები. სწორედ ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო და მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრე უწყობდა ხელს აქ უძველესი მოსახლეობის დამკვიდრებას.

ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე, მიკვლეულია და შეისწავლება ადრესამიწათმოქმედო კულტურის სამოსახლოების რამდენიმე ჯგუფი [5,48]. მარნეულის რაიონში მდებარეობს ოთხი ბორცვისაგან შედგენილი ქვემო შულავერის ჯგუფი, ხუთი ბორცვისაგან წარმოქმნილი ყაჩაღანის ჯგუფი და ასევე ხუთი სამოსახლო ბორცვით შედგენილი წითელი სოფლის ჯგუფი. ბოლნისის რაიონში ხუთი სამოსახლო ბორცვისაგან შედგენილი არუხლოს ჯგუფი. დღეისათვის ამგვარი სამოსახლოების ზუსტი რაოდენობის დადგენა ძნელია,

რადგანაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით ბევრი მათგანი მოთხრილი და მოსწორებულია [18,37].

აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილი სამოსახლოები მდებარეობენ მდინარის ახლოს გაშლილ ველზე და ზოგჯერ თავდაცვითი თხრილით არიან შემოზღუდული. ასეთი თავდაცვითი თხრილები დადასტურებულია ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის არუხლო I, იმირის გორისა და ხრამის დიდი გორის ნასოფლარზე.

შულავერის კულტურის ძეგლებზე სამშენებლო მასალად თიხის გამოყენებაა დამახასიათებელი. სამოსახლოზე წარმოდგენილია ალიზით ნაგები წრიული, გუმბათურსახურავიანი ნაგებობები და სამეურნეო დანიშნულების ამგვარივე სათავსოები. ამ შენობების გადაკეთების ან დანგრევის შემთხვევაში იქმნებოდა სამშენებლო ნაშთების მნიშვნელოვანი დანალექი, რის გამოც დასახლებული ადგილი მაღლა იწევდა და დროთა განმავლობაში ბორცვის სახეს იღებდა [19,37].

არუხლო I-ისა და ხრამის დიდი გორის სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ამ ძეგლებზე თავდაპირველი საცხოვრებელი თიხნარ გრუნტში ჩაჭრილი ნახევრადმიწურებია. იგი გამოვლენილია არუხლო I სამოსახლო ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით [1], ხრამის დიდ გორაზე კი გვხვდება უშუალოდ ალიზის შენობების ქვემოთ [8].

ნახევარმიწურები აღმოჩენილია დასავლეთ აზერბაიჯანის ადრესამიწათმოქმედო კულტურის რამდენიმე სამოსახლო ბორცვზეც [50,51]. საერთოდ, ამიერკავკასიის ენეოლითური ხანისათვის ამგვარი სათავსოები არ არის დამახასიათებელი და, შესაძლოა, ადგილობრივი სახლთმშენებლობის ადრეული ფორმების გადმონაშთი იყოს [20,37,49].

არუხლო I-ზე გამოვლენილი ნახევარმიწურები ოვალური ან წრიული მოყვანილობისაა, დიამეტრია 2,60—4,60 მ. ამ სათავსოების კონტურები ისახება მხოლოდ თიხნარი გრუნტის დონეზე, რომლის ზემოთაც ნაგებობის სხეა კვალის დაფიქსირება არ მოხერხდა. ამგვარი სათავსოს კონსტრუქციაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის № 11 და № 12 ნახევარმიწურების თიხით მოლესილ იატაკის ცენტრალურ ნაწილში გაწმენდილი საყრდენი ბოძის ორმო. გრუნტში ჩაჭრილი ნახევარმიწურის ზედა ნაწილი შესაძლოა ცენტრალურ ბოძზე დაყრდნობილ, ტყავებით გადახურულ ხის კონსტრუქციას წარმოადგენდა. მისი აგება, ალიზის შენობასთან შედარებით, არ მოითხოვდა დიდ დროსა და შრომას. ამდენად, ნახევარმიწურები შესაძლებელია დროებით ნაგებობას წარმოადგენდა და ალიზით ნაგები სათავსოების აშენებამდე იყო ძირითადად გამოყენებული. მისი გამართვისას გრუნტიდან ამოღებული თიხა შესაძლოა შემდეგ ალიზის აგურის დასამზადებლად გამოიყენებოდა. ამ სათავსოების დროებით გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ძირითადი ნასოფლარის ვარშეშო გაკეთებული თავდაცვითი თხრილი რამდენიმე შემთხვევაში კვეთს ნახევარმიწურებს [31].

სამოსახლო ბორცვებზე არსებული შენობები ხელით დაყალიბებული ძირ-ბრტყელი ამოზურგული ალიზით არის ნაგები. საალიზე თიხის ხსნარი გამჭ-ლევებულია ქვიშით, დაკეპილი თივითა და ნამჯით. შენობები დგას უშუალოდ მიწაზე ან დანგრეული სათავსოს მოსწორებულ ადგილზე საძირკვლის გარე-შე. კედლები ამოყვანილია იმავე თიხისაგან დამზადებულ, შედარებით გან-ლექილ, შემაკავშირებელ ხსნარზე, რომლითაც შენობის ორივე მხარეა შელე-სილი. კედლის ზომები აგურის ზომაზეა დამოკიდებული და 20—35 სმ-ის სისქისაა. სათავსოს კედლის ყოველი ახალი რიგი ცენტრისაკენ არის გადა-წეული, რითაც მიღწეულია დიამეტრის შემცირება და სიმაღლის ზრდასთან ერთად იკვრება ცრუ გუმბათი [37].

შულავერის კულტურის ძეგლებზე გამოვლენილი ნაგებობები წრიული ფორმისაა, რომლებსაც კონუსურ-გუმბათური მოყვანილობა აქვთ. მათში სამ ჯგუფს გამოყოფენ: საცხოვრებელი შენობები 2,5—5-მდე დიამეტრის, სამე-ურნეო დანიშნულების ნაგებობები 1,25—2 მ-მდე დიამეტრისა და სამეურნეო დანიშნულების ორმოები.

შულავერის გორაზე დადასტურებულია საცხოვრებელი შენობის კედლის ძირში, იატაკში, ჩადგმული კვერცხისებურტანიანი თიხის კერის არსებობა. იმირის გორისა და არუხლო I-ის საცხოვრებელი შენობის კედელზე ხშირად კარგად შეიმჩნევა ცეცხლის კვალი, ხოლო იატაკზე ნაცრის გროვებია აღმო-ჩენილი.

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასოფლარზე სამე-ურნეო დანიშნულების კერები საცხოვრებელი შენობის გარეთ, ეზოებში, იმართებოდა. არუხლო I-ის ნასოფლარზე ერთი ამგვარი (60×50 სმ) კერა ვა-მართულია ხელსაფქვავის ქვებით.

საცხოვრებელი კომპლექსი შედგება რამდენიმე ნაგებობისაგან: საკუთრივ საცხოვრებელი, რომელიც შედარებით უფრო მოზრდილი იყო, და ორი ან სამი უფრო მომცრო ზომის სამეურნეო დანიშნულების შენობისაგან. თითო-ეულ კომპლექსს პატარა სამეურნეო ეზო ახლავს, რომლის ირგვლივაა გან-ლაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობები. არუხ-ლო I-ის და იმირის გორის ნასოფლარზე ამგვარი საცხოვრებელი კომპლექსე-ბი სამოსახლოს ცენტრალური მოედნის გარშემოა განლაგებული. რამდენიმე შემთხვევაში სხვადასხვა სამშენებლო ჰორიზონტზე აგებული საცხოვრებელი კომპლექსი თითქმის ერთსა და იმავე ადგილზე არსებობს [31,41].

როგორც ჩანს, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ეზოებში მიმდინარე-ობდა, რომელიც შესაძლოა ნაწილობრივ გადახურული ყოფილიყო. არუხლო 1-ზე, ეზოს ტერიტორიაზე გვხვდება საყრდენი ბოძის ქვის დამუშავებული ბალიში.

განსაკუთრებით საინტერესოა იმირის გორაზე გამოვლენილი შენობა № 9—10, სადაც, საცხოვრებელი ფართის გადიდების მიზნით, ნაგებობის გევ-

მისა და კონსტრუქციის შეცვლის ფაქტია დადასტურებული. ეს შენობა ორი ნაწილისაგან შედგება. ვარაუდობენ, რომ № 9—10 ნაგებობას ჰქონდა ბანური გადახურვა, რომლის ხის ძელური კონსტრუქცია ეყრდნობოდა ცენტრალურ ბოძსა და მოზრდილ სათავსოს შუა მდებარე პილონების სახით ჩართულ ალიზისაგან კვადრატული კვეთის ბოძებს [37]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არუხლო I-ის სამოსახლო ბორცვის პირველ და მეორე სამშენებლო ჰორიზონტზე და ხრამის გორაზე [1,8] დაფიქსირებულია სწორკუთხა სათავსოს არსებობაც. ამგვარი ნაგებობები შულავერის კულტურის არც ერთ სხვა ნამოსახლარზე არ არის დადასტურებული და შესაძლებელია მათი არსებობა ძეგლების ზედა ჰორიზონტების შედარებით გვიანი ასაკითაც აიხსნას. არსებობს მოსაზრება, რომ ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე დადასტურებული ნაგებობები მრავალოთახიანი სახლი ბლოკის ნაწილია, რაც ეკუთვნის იმ საზოგადოებას, რომელშიც გვარიდან მრავალოჯახიანი თემის გამოყოფა მიმდინარეობს. საცხოვრებელი კომპლექსი წყვილადი ოჯახისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. ისეთ მოზრდილ ნასოფლარზე, როგორიც შულავერის გორაა, 60-მდე ოჯახს უნდა ეცხოვრა [18].

ი. კიკვიძე საოჯახო თემის შექმნას წარმოების ხასიათის სირთულეს უკავშირებს, რომელშიც ძირითადი როლი უნდა შეესრულებინა სარწყავ მიწათმოქმედებას [4].

მწარმოებლური ეკონომიკის განვითარების პირობებში სწრაფად მატულობდა მოსახლეობის რიცხვი, რასაც შედეგად სამოსახლოთა სეგმენტაცია [18] მოჰყვა. ქვემო ქართლში ნამატი სოფლად კი არ რჩება, არამედ ახალ ადგილას გადადის და ძირითადი სამოსახლოს მახლობლად ახალი სოფელი ჩნდება. იზრდება თვით სამოსახლეობის რაოდენობა. [58]. მარნეულის ველის ისეთი სამოსახლოებიდან, როგორიცაა შულავერი და არუხლო I, მოსახლეობა ახალ ადგილზე სამჯერ-ოთხჯერ მაინც უნდა იყოს გადასული, რის შედეგადაც მათ ირგვლივ გაჩენილია შედარებით მცირე ზომის სამოსახლო ბორცვები.

შულავერის კულტურის სამოსახლო ბორცვებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია თიხის ნაწარმით, ობსიდიანისა და ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღით, მრავალფეროვანი ძვლისა და რქის ნაწარმით. თიხის ჭურჭელი ხელით ნაძერწია, დამზადების ტექნიკა პრიმიტიულია და არქაულ იერს ატარებს, არ გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით, ძირითადად წარმოდგენილია ქილისებური ოდნავ შებერილმუცლიანი, კასრისებური ფორმის ჭურჭლები; გვხვდება მცირე ზომის ჭურჭლები და ჯამები. შედარებით იშვიათია წითლად შეღებილი კერამიკული ნაწარმი, ხოლო მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები ერთეულია. თიხის ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნაწილი შემკულია სხვადასხვაგვარი რელიეფური ორნამენტით, ადრეულ საფეხურზე ჩანს ნაჭდევი ორნამენტით შემკული ფრაგმენტები.

ძვლის იარაღებში სჭარბობს გაპობილლულოვანი ძვლისაგან დამზადე-

ბული სადგისები და სხვადასხვაგვარი საპრიალებლები. მრავალფეროვანია მიწის დასამუშავებელი იარაღებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი დამზადებულია ირმის რქისაგან. გვხვდება როგორც თოხები, ასევე მიწის საჩიჩქნი, წერაქვის მაგვარი იარაღები. გარკვეულ პერიოდიდან ჩანს მსხვილფეხა საქონლის ბეჭის, წვივისა და მეტაპოიდის ძვლისაგან ნაკეთები თოხები.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში კავკასიაში, ისევე როგორც წინა აზიაში, ძირითადად ობსიდიანის ინდუსტრიაა დამახასიათებელი. კაჟი იარაღის დასამზადებლად შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა იქაც კი, სადაც მათი საბადოები მოიპოვებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი მოსახლეობა შრომის იარაღების დასამზადებლად ძირითადად თრიალეთის მთებში არსებულ ობსიდიანის საბადოებს იყენებდა.

ქვემო ქართლის ნასოფლარების ობსიდიანის ინდუსტრია ძირითადად ერთგვაროვანია როგორც ატკეცვის და მეორადი დამუშავების ტექნიკით, ასევე ტიპოლოგიური შემადგენლობითაც. იარაღის დასამზადებლად უმეტესად გამოყენებულია სწორი, პრიზმული მოყვანილობის ლამელები. ნაკლებად გვხვდება სწორკუთხა, სამკუთხა და ოვალური ანატკეცები.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში პირველად ჩნდება ლითონის ნივთები. ხრამის გორაზე და არუხლო I-ზე აღმოჩნდა სპილენძისაგან ნაკეთები მცირე ზომის საგნები [8,34].

შულავერის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილია ანტროპომორფული პლასტიკის ნიმუშები. გვხვდება მეტ-ნაკლებად სტილიზებული, მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნების მქონე თიხის მცირე ფიგურები. ამათგან მხოლოდ ერთი შეიძლება გამოსახავდეს მამაკაცს. აღმოჩენილი ქალის ფიგურები დაკავშირებული უნდა იყოს სიცოცხლისა და ნაყოფიერების კულტთან და ბუნების მფარველ ძალას უნდა განასახიერებდეს [16, 17,4]. არუხლო I-ზე აღმოჩნდა ქვის კენჭზე დამზადებული ორი სკულპტურული ანტროპომორფული გამოსახულება [61].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში, მატერიალური კულტურის ნაშთებისა და სტრატიფიცირებული ძეგლების მონაცემების საფუძველზე, თ. კიღურაძე გამოჰყოფს განვითარების ხუთ საფეხურს [5].

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეულ, პირველ საფეხურს, განეკუთვნება შულავერის გორის IX—IV სამშენებლო ჰორიზონტები; მეორე საფეხურს — შულავერის გორის III—I, იმირის გორის VII—VI და დანგრეული გორა; მესამე საფეხურს — იმირის გორის V ჰორიზონტი; მეოთხე საფეხურს — იმირის გორის IV—I ჰორიზონტი და ხრამის დიდი გორის I—IV ჰორიზონტები, რომელთაც უნდა დაემატოს არუხლო I-ის VI—III ჰორიზონტები; მეხუთე საფეხურს მიეკუთვნება ხრამის დიდი გორის V—VII და არუხლო I-ის II და I ჰორიზონტები.

პირველი საფეხურისათვის დამახასიათებელია უხეშზედაპირიანი კერამიკა. ძირითადად გვხვდება კვერცხისებურტანიანი, პირმოყრილი ქილები, რომელთაც მეტად მასიური, მკვეთრად გამოყვანილი ქუსლი აქვთ. ორნამენტის სახით გვხვდება ჭურჭლის პირთან დაძერწილი კონუსური კოპები. თიხა მსხვილმარცვლიანია, მასში შერეულია დანაყილი ბაზალტი და ხვინჭა. VI—IV ჰორიზონტზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტის ზედაპირზე ჩანს ბზის მინარევი.

ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია მეტაპოდიებზე ნაკეთები სადგისებით. მეხუთე ჰორიზონტზე ჩნდება მრგვალღეროიანი საპრიალებლები. იშვიათია ირმის რქის იარაღები, აღმოჩენილი ერთეული ცალები სატარე ნახვრეტების გარეშეა და ფუძე რქისაგანაა დამზადებული. პირველ საფეხურზეა აღმოჩენილი ძვლის კოვზის მაგვარი ნივთები, რომელთა მსგავსი მეორე და მესამე საფეხურზეც გვხვდება.

მეორე საფეხურზე განაგრძობს არსებობას ტრადიციული კერამიკული ნაწარმი. ამასთანავე, ჩნდება მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად მოგლუვებული და ზოგჯერ ზედაპირგაპრიალებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე ჩნდება ბზენარევი თიხის ნაწარმი, ხოლო ჭურჭლის ძირებზე ლასტის წრიული ანაბეჭდი. ეს უკანასკნელი შემდგომ საფეხურზე განაგრძობს არსებობას. პირველად მეორე საფეხურზე ჩნდება ჭდეული ორნამენტი, რომლიც რელიეფურთან თანაარსებობს. რელიეფური ორნამენტი გვხვდება პირმოყრილ და პირგადაშლილ ჭურჭლებზე. ჭდეული ორნამენტი დატანილია ჭურჭლის პირსა და მხარზე. გვხვდება ვერტიკალურად განლაგებული „თევზიფხური" ორნამენტი, იშვიათია ტეხილხაზოვანი გეომეტრიული სახეები და ვერტიკალური ტალღისებური ხაზები. ჭდეული ორნამენტი მხოლოდ მეორე საფეხურისთვისაა დამახასიათებელი.

ძვლის ნაწარმიდან წარმოდგენილია მეტაპოდიაზე დამზადებული სადგისები, საპრიალებლები, კოვზის ფრაგმენტი და სხვა. სიახლეს წარმოადგენს მსხვილფეხა საქონლის ნეკნისა და ბეჭის ძვლისაგან დამზადებული საპრიალებლები. ამავე საფეხურზე ჩნდება თხელფირფიტოვანი საპრიალებლები და დანისებური იარაღი. აქვეა აღმოჩენილი ოვალურთავიანი და რომბულთავიანი ისრისპირები და გახვრეტილი ეშვის საკიდი. II საფეხურზე ადრე დადასტურებულ თოხებთან ერთად ჩნდება ირმის რქის ცული.

III საფეხურისათვის დამახასიათებელია პირმოყრილი კასრისებური ფორმის ჭურჭელი, მაგრამ აღარ გვხვდება პირველი და მეორე საფეხურისათვის დამახასიათებელი მასიური ქუსლები. ძირებზე ხშირად ჩანს ლასტის სპირალური ანაბეჭდი. ამ საფეხურზე პირველად გვხვდება ოვალური მოყვანილობის ჭურჭელი და ისეთი თიხის ჭურჭელი, რომელსაც ერთ ადგილზე პირის ნაწილი ჩადრეკილი აქვს (მსგავსი ჭურჭლები მე-4 და მე-5 საფეხურზეც განაგრძობს არსებობას).

აღსანიშნავია, რომ ჭურჭლის შემკულობა მხოლოდ რელიეფურია, აღარ გვხვდება ჭდეული ორნამენტი. ამასთან, უკვე ჩანს რელიეფური ორნამენტის მრავალფეროვნება. ხშირია პირთან ან მხარზე დატანილი ვერტიკალური მოგრძო კოპისებრი რელიეფები, მხარეზე დაძერწილი რელიეფური სარტყელი და მცირე ზომის წრიული და ნახევარწრიული დანაძერწი. ზოგ შემთხვევაში კოპისებრი ორნამენტი ჩანს წრიულთან კომბინაციაში.

III საფეხურის ძვლოვან მასალაში, წინა საფეხურის მსგავსად, გვხვდება სხვადასხვა ტიპის სადგისები და საპრიალებლები. მატულობს თხელფირფიტოვანი საპრიალებლები. პირველად ჩნდება ოვალურგანივკვეთიან ღეროზე ნაკეთები, ბოლოში მოკლე წანაზარდებიანი ფიგურული თავგახვრეტილი საკიდი და მასიური ლულოვანი ძვლისაგან ნაკეთები თოხი. გარკვეული სიახლე შეინიშნება რქის იარაღშიც. თოხები სატარენახვრეტიანია. პირველად ჩნდება მუფტა და კვერთხისთავი, რომლებიც, რქის წანაზარდებისაგან ნაკეთებ მიწის საჩიჩქნ, წერაქვისმაგვარ იარაღთან ერთად, მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი მომდევნო საფეხურებზე. ამ საფეხურებზე გვხვდება ირმის რქისაგან დამზადებული ცულები.

მეოთხე საფეხურს მიეკუთვნება იმირის გორის IV—I ჰორიზონტები, ხრამის დიდი გორის I—IV ჰორიზონტები, დანგრეული გორის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენა და არუხლო I-ის VII—III ჰორიზონტები. აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭელი, როგორც ფორმებით, ასევე დამუშავებითაც, მესამე საფეხურის ანალოგიურია. პირველად ჩნდება შეღებილზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. მრავალფეროვანი ხდება რელიეფური ორნამენტი. ჭურჭლის კედელზე გვხვდება ანტროპომორფული გამოსახულებები, ტეხილხაზოვანი და ტალღისებური რელიეფები. წარმოდგენილია კოპების და რელიეფური ზოლის კომბინაცია, რკალში ჩასმული კოპების ჯგუფი. აღსანიშნავია იმირის გორის შურუფში გამოვლენილი, შავად და წითლად შეღებილი ჭურჭლის ფრაგმენტი. რომელზედაც ჩაღარული რელიეფური ზოლებია დატანილი. მეოთხე საფეხურზე გვხვდება თიხის ნახევრადრეალისტური და სტილიზებული ანთროპომორფული ქანდაკებები.

ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით და საპრიალებლებით. გვხვდება ბოლოში გახვრეტილი ნეკნის ძვლისაგან ნაკეთები საპრიალებელიც. პირველად ჩნდება თავგამოყვანილი, მახათისებური ნივთი, მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდიაზე ნაკეთები სატარენახვრეტიანი და ასევე მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლისაგან დამზადებული თოხები. განაგრძობს არსებობას ლულოვანი ძვლის თოხები. ირმის რქის იარაღი წინა საფეხურზე გავრცელებულის იდენტურია.

მეხუთე საფეხურს მიეკუთვნება ხრამის დიდი გორის V—VII ჰორიზონტები და არუხლო I-ის II—I ჰორიზონტები. მიუხედავად იმისა, რომ კერა-

მიკული ნაწარმი წინა საფეხურის ანალოგიურია, გვხვდება ახალი ნიშნებიც-ჩნდება ჯამისებური ჭურჭლები. მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი შეღებილი ჭურჭლის ფრაგმენტები. ჩნდება მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტებიც-თხელკედლიანი და ნაპრიალები კერამიკა უკეთესი ხარისხისაა, გვხვდება ახალი რელიეფური ორნამენტის სახე; მაღალი ნალისებური ნაძერწობები, ბრტყელი ჩაჩხვლეტილი კოპები და სხვა. ამავე საფეხურზე ჩნდება ჰორიზონტალურად მიძერწილი ყურისებრი შვერილები. სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, არუხლო I-ზე ამგვარი შვერილები ქვედა ჰორიზონტებშიც დასტურდება.

ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია სადგისებით, საპრიალებლებით, ბეჭისა და ლულოვანი ძვლისაგან ნაკეთები თოხებით. გამოვლენილია თხელფირფიტოვანი კოვზისებური ძვლის ნივთის ფრაგმენტები. რქის თოხებთან და ცულებთან ერთად ჩნდება ჩაქუჩისებრი მოყვანილობის კვერთხისთავები, რელიეფური და ჭდეული ორნამენტით შემკული იარაღები. ხრამის გორაზე აღმოჩენილ თიხის ანტროპომორფული ქანდაკებების სერიაში წარმოდგენილია რეალისტური ფიგურები. ასეთივე ფორმით არის შესრულებული არუხლო I-ზე მოპოვებული ქვის კენჭისაგან ნაკეთები ადამიანის თავები.

ქვემო ქართლის ნამოსახლარების ობსიდიანის ნატკეცი მასალის დაახლოებით ნახევარზე მეტი იარაღთა წილად მოდის. ნუკლეუსები შულავერისა და იმირის გორაზე აღმოჩენილია მეტი, ვიდრე სხვა ნამოსახლარებში. ძირითადად წარმოდგენილია მცირე პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები. ცოტა რაოდენობის დიდი ზომის ნუკლეუსები გვხვდება შულავერის გორაზე, იმირის გორაზე და არუხლო I-ზე. ყველა ნამოსახლარზე იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია სწორი ან ოდნავ მოღუნული პროფილის პრიზმული ლამელები.

არის ანატკეცებიც, უპირატესად ვიწრო და საშუალო ზომისა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ნამოსახლარზე ანატკეცებზე იარაღებს აკეთებდნენ გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე ლამელებზე (შულავერის გორა, იმირის გორა, არუხლო I—III—VI ჰორიზონტები, არუხლო II და III). არუხლო I-ის ორ ზედა სამშენებლო ჰორიზონტზე, წოფისა და ხრამის დიდი გორის ნამოსახლარებზე ანატკეცებსა და ლამელებს ნამზადებად იყენებდნენ დაახლოებით ერთნაირი ოდენობით. მეორადი დამუშავების ხასიათიც ყველა ძეგლზე მსგავსია. გავრცელებულია წვრილი დამაბლაგვებელი და წამამახვილებელი რეტუში, შემდეგ მოდის ათლა და მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუში. გვხვდება ერთ იარაღზე სხვადასხვა სახეობის რეტუშის შეხამება. რეტუშის დატანის ხერხი ერთგვაროვანია: ზურგის ან მუცლის მხრიდან, ხშირია საწანააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუში. იარაღების სახეობათა შორის ყველა ნამოსახლარში წამყვანი ადგილი უჭირავს რეტუშიან ლამელებს, რომლებიც ასრულებენ ნამგლის ჩასართის, დანების და სხვა ფუნქციას. არუხლო II-სა და III-ს გარდა, სხვა ნამოსახლარზე დიდი რაოდენობითაა რეტუშიანი ანატკეცებიც. კარგადაა წარმოდგენილი კიდევ სამი სახეობის იარაღი: საჭრი-

ნები, ამოღარული და სატეხისებური იარაღები. საჭრისების უმრავლესობა ნაკეთებია ლამელების გადატეხის კუთხეზე. რაც შეეხება გვერდებამოღარულ რეტუშირებულ ლამელებს და ანატკეცებს, ისინი არუხლო I-ის ორ ზედა საკშენებლო ჰორიზონტზე შედარებით ნაკლებია, ვიდრე სხვაგან. სატეხისებური იარაღები რამდენადმე ნაკლებად არის წარმოდგენილი არუხლო II-სა და III-ზე, შულავერის გორასა და იმირის გორაზე.

ბოლოკიდურა საფხეკები ყველაზე უხვადაა არუხლო I-ზე, წოფსა და შულავერის გორაზე. რაც შეეხება ასიმეტრიულ წვეტანებს, როგორც წესი, ისინი ყველგან მცირე რაოდენობით გვხვდება. „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართები კარგადაა წარმოდგენილი ხრამის დიდ გორაზე. გახეხილ-გაპრიალებული იარაღები (ცულები და სატეხები) მცირე ოდენობით გვხვდება ყველა ნამოსახლარის ინვენტარში. ყურადღებას იქცევს კომბინირებული და განსაკუთრებით, მეორედ გამოყენებული იარაღების დიდი რაოდენობა ყველა ნამოსახლარზე.

შულავერის გორის ქვედა ჰორიზონტები ქვემო ქართლის მარნეულის ველის პირველი ათვისების ხანაში უნდა იყოს წარმოქმნილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შულავერის გორასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო რამდენიმე ერთმანეთისაგან დაცილებული სოფელი. მათ საფუძველზე კი შემდგომში დასახლებების ცალკეული ჯგუფები უნდა გაჩენილიყო [18].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის საწყის ეტაპებს მკვლევართა ერთი ნაწილი გვიანი ნეოლითის ხანას მიაკუთვნებს და ძეგლების ქრონოლოგიის შესახებაც განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული [62, 37, 5, 48, 52]. საკითხის გადაჭრას გარკვეულად ართულებს ქვემო ქართლის სამოსახლოების სტრატიგრაფიულ მონაცემებსა და რადიოკარბონულ თარიღებს შორის არსებული შეუსაბამობაც. დღეისათვის შულავერის კულტურის ძეგლებისათვის თოთხმეტი რადიოკარბონული თარიღი გვაქვს, რომელთა მონაცემების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები ძირითადად ძვ. წ. VI—IV ათასწლეულის დასაწყისით განისაზღვრება (იხილეთ ცხრილი № 1).

აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ანალოგიური ძეგლების მთელი ჯგუფია აღმოჩენილი ისტორიული ქვემო ქართლის, დღევანდელი დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე [53, 54, 24, 47, 21]. ორივე ჯგუფის ძეგლები ცენტრალური ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ ლოკალურ ჯგუფშია გაერთიანებული და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მათი გამაერთიანებელი შულავერი — შომუთეფეს კულტურის ცნება [5].

შომუ-თეფეს კულტურის სამოსახლო ბორცვები აღმოჩენილია ყაზახის რაიონში, მდ. მტკვარის მარჯვენა ნაპირზე. მათგან გათხრილია: შომუ-თეფე, თოლირა-თეფე, ბაბადერვიში, გარღალარ-თეფესი; მცირე მასშტაბის სამუშაოებია

ჩატარებული ისეთ ძეძლებზე, როგორიცაა რუს-თეფესი, მენთეეი, თოირა-თეფე II და სხვა. ამ ჯგუფის ძეგლების კერამიკული ნაწარმი ორ ჯგუფად იყოფა: ნამჯანარევი და არაორგანული მინარევიანი თიხით ნაძერწი ჭურჭელი. ორივე ჯგუფის ნაწარმი ხელით ნაძერწია, ძირითადად წარმოდგენილია კასრისებური მოყვანილობის ბრტყელძირა ჭურჭლები, რომელთა ძირზე შეიმჩნევა ქსოვილისა თუ ჭილოფის ანაბეჭდის კვალი. გვხვდება კონუსური და მოგრძო კოპისებრი დანაძერწი, რელიეფური ზოლები. გარღალარ-თეფესიზე აღმოჩენილია მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტებიც.

ცხრილი 1

შულაveრის კულტურის ძეგლების რადიონახშირბადული თარიღები

№ ძეგლის დასახელება	ნიმუშის №	5568-წლიანი ნახევარ-დაშლის ნიმუშის აბსოლუტური თარიღი	თარიღი ძ. წ.	*
1. არუხლო 1 I. სამშ. ჰორიზონტი	TB— 92	6525±60	4770±60	5428±212
2. არუხლო 1 II. სამშ. ჰორიზონტი	TB— 277	6765±60	4815±60	5655±238
3. არუხლო 1 VII სამშ. ჰორიზონტი	TB— 300	7135±70	5185±70	5987±202
4. არუხლო 1 II სამშ. ჰორიზონტი	TB— 309	6770±65	4820±65	5660±202
5. შულაveრის გორა—0,2 მ	TB—1100	6310±130	4360±130	5224±277
6. შულაveრის გორა—0,2 მ	LE— 15	5920±300	3970±300	4810±634
7. შულაveრის გორა—1,6 მ	LE-1099	6700±80	4750±80	5590±107
8. შულაveრის გორა—2,48 სმ	SOAN—1292	6050±100	4100±100	4923±276
9. შულაveრის გორა—2.40 მ	TB— 16	6625∓210	4675±210	5520±410
10. შულაveრის გორა 2.40	TB— 72	6650±55	4700±55	5541±212
11. იმირის გორა I—IV ჰორიზონტი	TB— 27	6300±120	4350±120	5216±260
12. ხრამის დიდი გორა V ჰორიზონტი	TB— 301	6435±60	4485±60	5350±210
13. ხრამის დიდი გორა V ჰორიზონტი	LJ—3270	6520±70	4570±70	5568
14. ხრამის დიდი გორა	TB—322	6505±60	4555±60	5410±211

* კალიბრებული მრუდის ეკსტრაპოლაციის გზით მიღებული რადიონახშირბადის შესწორებული მნიშვნელობა, სადაც მოცემულია 95% დიაპაზონი და მდგრადობის ინტერვალი გ. ქაკთარაძის მიხედვით [14], გარდა Lj—3270.

- ძვლის ნაწარმი შომუ-თეფეს ჯგუფის ძეგლებში წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი სადგისებითა და საპრიალებლებით. აღმოჩენილია მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი და ბეჭის ძვლის თოხები, ძვლის კოვზები და ფიგურული საკიდები. აქვეა ირმის რქის თოხები, წერაქვისმაგვარი იარაღები და სხვა. გარ-

ღალარ-თეფესიზე აღმოჩნდა სპილენძის თხელი ფირფიტისაგან დამზადებული ცილინდრული მოყვანილობის მძივი.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის სამოსახლო ბორცვები გამოვლენილია ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც, ნახიჩევანში, მილისა და ყარაბაღის, მუღანის ველზე. ნახიჩევანის ქიულ-თეფე I-ის გათხრის შედეგად მტკვარარაქსული კულტურის მძლავრი ფენების ქვეშ აღმოჩნდა ადრესამიწათმოქმედო კულტურის სამოსახლოებისათვის დამახასიათებელი ინვენტარი, რომელიც ლითონის ნივთებსაც შეიცავდა. ამავე დროს სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა მილისა და ყარაბაღის ველზე, სადაც ასევე ადრესამიწათმოქმედო კულტურის სამოსახლოები გამოვლინდა. ამ ძეგლების პირველი აღწერილობა და კულტურულ-ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია მოცემულია მ. იესენის ნაშრომში [39,40]. იგი აღნიშნულ სამოსახლოებს ძვ. წ. IV ათასწლეულის ათარიღებს და მიუთითებს ირანთან მათ კავშირზე.

ქიულ-თეფე I-ის სამოსახლო ბოცვზე, წრიულ შენობებთან ერთად, თანაარსებობს ოთხკუთხა ნაგებობებიც. ნასოფლარის ტერიტორიაზე, შენობების იატაკის ქვემოთ, დადასტურებულია 75 ორმოსამარხი [22,23].

კერამიკული ნაწარმი ძირითადად ნამჯანარევი თიხისაგან არის ნაძერწი. იშვიათია სილანარევი თიხის კეციანი ჭურჭლები. ძირითადად გავრცელებულია ღრმა ბადიები, ქილისებური და კასრისებური ფორმის ჭურჭლები. სამოსახლოს ზედა ჰორიზონტებზე გვხვდება სუსტად პროფილირებულყელიანი და გამობერილმუცლიანი ჭურჭელი. აღმოჩენილია მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა; პირველი იმპორტულად ითვლება, მეორე კი იმპორტულის ადგილობრივ მინაბაძად. ქიულ-თეფე I-ზე გვხვდება თიხის კვირისთავები და ბორბლის მოდელი. აქვეა ძვლის სხვადასხვაგვარი სადგისები, საპრიალებლები, ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული თოხები, ირმის რქის ფუძესა და წანაზარდებზე ნაკეთები იარაღები. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩნდა ლითონის ოთხწახნაგა სადგისი, ისრისპირი, ორი მძივი და სამი გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი.

მუღანის ველზე უკეთ შესწავლილია ალიკემეკ-თეფესი [46], სადაც გამოვლინდა ორრიგად დაწყობილი ალიზით ნაშენი ოთხკუთხა ნაგებობები. ძეგლზე წარმოდგენილია თიხის ფართოძირიანი ბადიები, კასრისებური მოყვანლობის ჭურჭლები დაბალყელიანი ქოთნები. ქიულ-თეფე I-ის მსგავსად, ჭურჭელზე მიძერწილია სხვადასხვა ზომის ყურისებრი შვერილები, გვხვდება ოვალურგანივკვეთიანი ყურიც. შედარებით მეტია მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები. საყურადღებოა, რომ სამოსახლოზე ძალზე ცოტაა ძვლის იარაღი.

ენეოლითური ხანის მასალები წარმოდგნილია სომხეთის ტერიტორიაზე. მათ შორისაა ხათუნარხი, წახკუნქი, ენგიჯა და სხვა. აღსანიშნავია, რომ თელუთაში [59] დადასტურებულია შულავერ-შომეთეფეს კულტურის დამახასიათებელი არქიტექტურა, მოპოვებული არქეოლოგიური მასალა კი განსხვავებულია და მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება.

საინტერესოა ჩრდილო კავკასიაში, სოფ. განჩისთან შესწავლილი ნამოსახლარი [29, 30], რომელიც მსგავსებას იჩენს ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურასთან, მაგრამ ქრონოლოგიურად განჩი ისევე, როგორც ალიკემეკეთეფესი და თეღუთა, უფრო მოგვიანო ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

ამიერკავკასიაში შესწავლილ ადრესამიწათმოქმედო კულტურაში გამოიყოფა ძეგლების ორი ჯგუფი: ცენტრალურკავკასიური—შულავერი-შომუთეფეს ძეგლების ჯგუფი და სამხრეთ კავკასიური — ნახიჩევან-მილი-მუღანის ძეგლების ჯგუფი. [48]. ნამოსახლართა ერთგვაროვანი ხასიათი, წარმოდგენილი ერთგვაროვანი ქვის ინდუსტრია, მსგავსება ძვლისა და რქის იარაღის ნაწარმში, თიხის ჭურჭლის ფორმისა და ორნამენტის საერთო ნიშნები იძლევა იმის საფუძველს, რომ გავიზიაროთ იმ მკვლევართა მოსაზრება [4, 18], რომლებიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთიან კულტურაში ორ ლოკალურ ვარიანტს გამოყოფენ.

ამგვარად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დადასტურებულია ერთიანი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ორი ლოკალური ვარიანტი, რომელთა შორის განსხვავება ქრონოლოგიური სხვაობით და ლოკალურობით უნდა აიხსნას. [4,18] ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურა იზოლირებულად კი არ ვითარდება, არამედ იგი გარკვეულწილად დაკავშირებულია მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების იმ საერთო პროცესებთან, რომლებიც დადასტურებულია წინა აზიის რეგიონში. წინა აზიის ადრეული კულტურების გავლენა (ბზენარევი თიხის გამოყენება, მოხატული კერამიკის გავრცელება და სხვა) უფრო მეტად შეიმჩნევა ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ზოლის ძეგლებში. აქ აღმოჩენილი მოხატული კერამიკის შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება [49], რომ ქიულ-თეფეს მოხატული ჭურჭელი, დამზადების ტექნოლოგიით, ფორმითა და შესრულებული მოხატვის მოტივითაც, უკავშირდება ჰალაფის კულტურას. ამ იმპორტული ჭურჭლის შემცველი სამშენებლო ჰორიზონტები კი თილქი-თეფეს ქვედა — ჰალაფური ფენის სინქრონულად არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ მოხატული კერამიკის გარდა, შულავერ-შომუთეფეს და ჰალაფის კულტურებს შორის სიახლოვე შეინიშნება არქიტექტურაშიც [37]. ორივე რეგიონში გავრცელებულია თოლოსის ტიპის წრიული ნაგებობები. მეხუთე საფეხურის ბოლო ეტაპზე ამიერკავკასიაში ჩნდება ოთხკუთხა ნაგებობებიც. ძვ. წ. V ათასწლეულში ჩრდილო მესოპოტამიაში, ჰალაფურ კულტურასთან ერთად, ვრცელდება წრიულ-გუმბათური შენობა, რომელიც სწორკუთხა ნაგებობასთან თანაარსებობს. საინტერესოა მოსაზრება, რომლის მიხედვით ამ ტერიტორიაზე წრიულ-გუმბათური ნაგებობების გამოჩენა სამხრეთ კავკასიასთან კავშირით არის ახსნილი [37].

შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის კერამიკა ჰასუნას კულტურის ჭდეულ და რელიეფურ ორნამენტთან მცირე მსგავსებას ავლენს. ამდენად, მეტად სა-

ინტერესოა ის ანალოგიები, რომელიც შეინიშნება წინარე ჰასუნას პერიოდით დათარიღებული ჩრდილო მესოპოტამიის ძეგლების—უმ-დაბაგიას [65,66] და ტელ-სოტოს [25]—რელიეფური ორნამენტით შემკულ ჭურჭელთან.

აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლების კერამიკაზე—რელიეფური კოპების, ზოლებისა და შვერილების გარდა, ჭურჭლის კედელზე გვხვდება არუხლო I-ზე, იმირისა და ხრამის დიდ გორაზე დადასტურებული ანტროპომორფული, რელიეფური ფიგურის მსგავსი გამოსახულება. სხვა მსგავსება ამ ძეგლებზე შეინიშნება ჯამისებური ფორმის ჭურჭლის არსებობაში.

მიუხედავად იმისა, რომ შულავერი-შომუთეფეს კულტურის წარმოშობის საკითხში დღეისათვის ყველაფერი ნათელი არ არის, მკვლევართა უმეტესი ნაწილი მას ადგილობრივად ჩამოყალიბებულად მიიჩნევს. [18, 37, 61, 5, 45]. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ამ კულტურის წინა პერიოდი უკანასკნელ წლებამდე მხოლოდ მეზოლითური ხანის ძეგლებით იყო წარმოდგენილი. ამჟამად, მეტად საინტერესოა ტბა ფარავანთან გამოვლენილი, აშელური ხანის ღია სახელოსნოს მახლობლად, მეზოლითისა და ნეოლითის დროის ობსიდიანის იარაღების აღმოჩენა. აქვეა გამოვლენილი კლდოვანი ფარდული ფარავანი II. რომელიც გვიან მეზოლითური ან უკერამიკო ნეოლითის ხანით თარიღდება [15]. ასევე ადრეული ნეოლითის ხანით განისაზღვრება დმანისის სადგომიც. აქ აღმოჩენილი მასალა ტიპოლოგიურად ახლოს დგას შულავერის კულტურის ქვის ინდუსტრიასთან [33]. მიუხედავად იმისა, რომ შულავერის კულტურის უშუალო წინამორბედი ხანის ძეგლები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი, მეტად საყურადღებოა ამ კულტურის ქვის ინდუსტრიის მსგავსება დმანისის ადრენეოლითური ხანის მასალასთან, რაც შულავერის კულტურის ადგილობრივ წარმოშობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

რამ გამოიწვია შულავერის კულტურის ძეგლებზე ცხოვრების დაახლოებით ერთდროულად შეწყვეტა, ძნელი ასახსნელია. სამოსახლო ბორცვებზე არ დადასტურებულა ბუნებრივი კატასტროფის, მტრის შემოსევის ან სხვა ნიშნების არსებობა, რასაც შეიძლება მოსახლეობის მიერ სოფლის მიტოვება გამოეწვია. კულტურის განვითარების ბოლო ეტაპზე, წარმოებითი მეურნეობის განვითარების შედეგად, რეგულარულ მოვლენად იქცა მოსახლეობის ნამატის სეგმენტაცია და ახალი სოფლების გაჩენა. მოსახლეობა დროთა განმავლობაში თითქმის მთლიანად ითვისებს სამიწათმოქმედო საავარგულებს, ხოლო მარტივი, ხელოვნური მორწყვის პირობებში პრიმიტიული იარაღით მიწის ზედაპირული დამუშავება საბოლოოდ მის გამოფიტვას იწვევს [4].

შულავერის კულტურის დაცემაში გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა კასპიის ზღვის ტრანგრესიასა და რეგრესიას, როდესაც ზღვის დონის ცვლილება გამოიწვევდა მდინარეთა კალაპოტის გადაადგილებას და დონის დაწევას. ამ მოვლენას უნდა დაერღვია სამოსახლოს წყლით მომარაგება, რაც სოფლებს კრიზისულ სიტუაციას შეუქმნიდა. ასეთ ვითარებაში შესაძლოა უძველეს ნა-

სოფლარებზე ცხოვრების შეწყვეტა აიხსნას მოსახლეობის საცხოვრებლად ვარგის, აუთვისებელ რაიონებში გადასახლებით.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურასა და მომდევნო, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურს შორის არ შეინიშნება უშუალო კავშირი და მათ შორის ქრონოლოგიურად და კულტურულად განსხვავებული ეტაპი უნდა არსებობდეს [37,5].

სწორედ ამ ეტაპის ძეგლები აღმოჩნდა უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შულავერის კულტურისაგან განსხვავებით, რომელიც გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზეა გამოვლენილი, ეს ძეგლები სხვადასხვა ვრცელ გეოგრაფიულ გარემოშია აღმოჩენილი. განსხვავებულია ამ ძეგლების ტოპოგრაფია, არქიტექტურა; აღარ გვხვდება ისეთი მძლავრი კულტურული ფენები, როგორიც დადასტურებული იყო ქვემო ქართლის უძველეს ნასოფლარებზე.

ამ ძეგლების ძირითადი ნაწილი მდინარეების ტერასებზე მდებარეობს: წოფი, სიონი, ჯავახი, არუხლო VI; არაგვის ხეობაში: ბოდორნა, არანისი, ეინვალი, ბულაჩაური; ბერიკლდეები — შიდა ქართლში; სოფ. ულიანოვკის წითელგორების სამოსახლოები კახეთში. ძეგლების მცირე ნაწილი გამოვლენილია მდინარისაგან ქოცილებით, ვაკე ადგილას; წითელი სოფელი — ბოლნისის რაიონში, კახეთის რამდენიმე ნასახლარი, დელისის ნასახლარი თბილისში, ხელთუბანი გორის რაიონში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ძეგლების ერთი ნაწილი გამოვლენილია ქვემო ქართლის იმ ტერიტორიაზე, რომელიც შულავერის კულტურის წრეში ექცევა. უფრო მეტიც, არუხლო I-ის სამოსახლო ბორცვიდან მხოლოდ 600 მეტრის მოცილებით არის გამოვლენილი ამ ეტაპის ნასახლარი.

ამ ჯგუფის ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ძირითადად უხეში, ხელით ნაძერწია, თიხაში გასამკლევებლად შერეულია სილა, ხვინჭა, დანაყილი ობსიდიანი, ქარსი. დაკეპილი ნამჯის ან ბზის სახით გვხვდება ორგანული მინარევიც. ჭურჭლის ფორმები სხვადასხვაგვარია. რამდენიმე ძეგლზეა დადასტურებული გობისებური ფორმის დაბალი ჭურჭელი, რომლის გვერდები ოთხ ადგილას ამოზიდულია და გარეთ გადმოზნექილი. მათ გვერდებს ზედა ნაწილში შემოუყვება სველ თიხაზე გაკეთებული მრგვალი ნახვრეტები. ზოგიერთ ჭურჭელს ტალღისებური ქობა აქვს. თიხის ნაწარმის ერთი ნაწილის ძირზე შეიმჩნევა ჭილოფის ანაბეჭდის კვალი. იშვიათად გვხვდება ჯამისებური ჭურჭლის ფრაგმენტები.

ორნამენტის სახით თიხის ჭურჭელზე წარმოდგენილია რელიეფური კოპები და ზოლები, იშვიათად გვხვდება ჭდეული ორნამენტი. გავრცელებული ჩანს ჭურჭლის პირების სხვადასხვა სახის ჭდეული ორნამენტით შემკობა. იშვიათად გვხვდება მასიური, ოვალურკანიანი ყური. ზედაპირი ძირითადად მოყავისფრო-მოვარდისფროა. გვხვდება ვარდისფერსარჩულიანი და ლეგა ზედაპირიანი ფრაგმენტები, რომელიც დიდ მსგავსებას იჩენს

მტკვარარაქსულ კერამიკასთან. ხშირად გვხვდება თხელი ანგობით დაფარული, კარგად გაპრიალებულ ზედაპირიანი ფრაგმენტები.

ზემოთ აღნიშნული ძეგლების ჯგუფში შეინიშნება ქრონოლოგიური განსხვავებაც, რაც ჩანს როგორც კერამიკულ ნაწარმში, ასევე ქვის, ძირითადად ობსიდიანას ინდუსტრიაში. თუ ძეგლების ერთ ჯგუფში ქვის იარაღების მთელი სერიებია წარმოდგენილი, ზოგში აშკარად ჩანს ქვის ინდუსტრიის დეგრადაცია. რამდენიმე ძეგლზე გამოვლენილია ქვის ორმხრივლესილი ცულები. იშვიათად გვხვდება ხელსაფქვავის ქვები და მცირე ზომის ქვის როდინი. ასევე, მეტად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ძვლისა და რქის ნაკეთობანი.

საგულისხმოა, რომ სიონში აღმოჩენილია ოვალური მოყვანილობის ნახევრადმიწურის ქვის საძირკველი [10]. ასეთივე კედლის ფრაგმენტია დადასტურებული ბოდორნას ნასახლარზე [57]. კახეთის სამოსახლოზე ივარაუდება მიწურის ტიპის ნაგებობა [2], ხოლო ჯავახში ამ ძეგლების მსგავსი მასალა მიკვლეულია ფარდულში [33]. სხვა ძეგლებზე ნაგებობის კვალი არ შეინიშნება და გვხვდება მხოლოდ სამეურნეო დანიშნულების ორმოები. ეს გარემოება ძეგლის გამთხრელებს სარლასტიანი მსუბუქი შენობების არსებობას ავარაუდებინებს [63] სწორედ ამგვარი სათავსოს იატაკის ფრაგმენტია დადასტურებული არანისში, სადაც ენეოლითური პერიოდის ნაგებობის იატაკი მტკვარარაქსის კულტურის ფენის მიერაა დაზიანებული [56].

ამგვარად, დახასიათებული ძეგლების სახით საქმე გვაქვს ადრესამიწათმოქმედო კულტურის თავისებურ კომპლექსთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ძეგლები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ შულავერის კულტურის ძეგლებთან, მეტად საგრძნობია მათ შორის განსხვავებაც. მსგავსება კერამიკულ ნაწარმში შეიძლება აიხსნას გარკვეულ ეტაპზე ამ ძეგლების თანაარსებობით, ან კერამიკის წარმოების შულავერის კულტურის ტრადიციების უწყვეტი გაგრძელებით [10].

სხვაობა დასახლებისა და ნაგებობის ტიპებს შორის, გარკვეულად განსხვავებული ქვის ინდუსტრია და კერამიკული ნაწარმი შესაძლოა მეურნეობის წამყვანი დარგების ცვლილებაზე მიგვანიშნებდეს. შესწავლის დღევანდელ ეტაპზე უკვე შეიძლება ითქვას, რომ სიონის ტიპის ძეგლებში გაერთიანებული ნამოსახლარები შულავერი-შომუთეფეს კულტურის შემდგომ, გვიანენეოლითურ პერიოდს განეკუთვნება.

ამ კულტურის გავრცელების წრეში ექცევა დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანი ენეოლითით დათარიღებული ძეგლები: ქეჩილი III, მენტეეი და რუს-თაფასი. გარკვეული მსგავსება ჩანს ჩრდილო უბეიდის სინქრონულ თეღუთას სამოსახლოს კერამიკულ ნაწარმთან და განჩის სამოსახლოსთან, რომელნიც ასევე შულავერი-შომუ-თეფეს კულტურის შემდგომი პერიოდით უნდა განისაზღვროს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანი ენეოლითური ხანის კულტურის კერამიკული ნაწარმი, კერძოდ ჭურჭლის პირების

ორნამენტაცია, ახლო მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ხანის ძეგლების თიხის ჭურჭელთან (ოდიში, გურიანთა, ანასეული). სხვა არსებითი მსგავსება მათ შორის არ შეინიშნება. ამასთანავე, მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს როგორც საცხოვრებლის ტიპში, ასევე ქვის ინდუსტრიაში [11].

ამ კულტურის ძეგლებისათვის გვაქვს მხოლოდ ერთი რადიონახშირბადის თარიღი. სოფ. ყინვალში ნახშირის ნიმუშის (TB. 326) ასაკი განსაზღვრულია ძვ. წ. 4937±322 წ. [55]. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ენეოლითური კულტურა ძვ. წ. V ათასწლეულის დასასრულითა და IV ათასწლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. მატერიალური კულტურის ნაშთების მიხედვით ამ კულტურის ადრეული ძეგლებია: სიონი, წითელი სოფელი, ჯავახი, ულიანოვკის № 3 ნამოსახლარი; უფრო მოგვიანო არუხლო VI ნამოსახლარი, წოფი და ულიანოვკის დამწვარი გორის ნამოსახლარი. ამ ძეგლების მომდევნო ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს არაგვის ხეობის ძეგლები და დელისის ნასახლარი.

აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელ ტომთა ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა ინტენსიურად განვითარებადი სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილია მარცვლეულის, მათ შორის ენდემური სახეობის ნაშთები [43, 36, 64]: რბილი ხორბალი, ერთმარცვალა და ორმარცვალა, ჯუჯა ხორბალი, სპელტა; როგორც კილიანი, ასევე შიშველმარცვალა, ორმწკრივა და მრავალმწკრივა ქერი, ფეტვი, ოსპი, შვრია, ყურძნის წიბწა. გვალვიანი სტეპის პირობებში მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ხელოვნური მორწყვის პირობებში. ამდენად, საყურადღებოა, რომ არუხლო I-ის სამოსახლოს ქვედა ფენებში გამოვლენილი განამარხებული ნიადაგის სტრუქტურულმა ანალიზმა აქ სარწყავი ნიადაგის არსებობა დაადასტურა [38].

მიწის შრომატევადი სამუშაოები სრულდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი მიწისსათხრელი იარაღებით. ნაპოვნია, აგრეთვე, მოსავლის ასაღები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დასამუშავებელი იარაღები [5,60]. უნივერსალური მიწის სათხრელია ეჩოსებური მოყვანილობის რქის თოხები, რომელთა სამუშაო პირი ყუნწში გაბურღული სატარე ნახვრეტის პერპენდიკულარულია. ცულისებური და კონუსური მოყვანილობის თოხები იხმარებოდა დაბარული ნიადაგის გასაფხვიერებლად და მშენებლობის, განსაკუთრებით მიწურების, ნახევრადმიწურების, თხრილების კედლების მოსწორებისა და სხვა დამხმარე სამუშაოების დროს. მიწის სათხრელ იარაღებს განეკუთვნება კეთილშობილი ირმის რქის ბუნებრივი წანაზარდებისაგან დამზადებული წერაქვისმაგვარი იარაღები. აქვე უნდა აღინიშნოს შულავერის გორისა და იმირის გორის ნამოსახლარებში ნაპოვნი მიწის სათხრელი ჯოხის ქვის დასამძიმებელი. მიწის სათხრელ იარაღებად გამოიყენებოდა არუხლო I-ზე, იმირის გორაზე, ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლისაგან დამზადებული

ნიჩბებიც [42]. საინტერესოა არუხლო I-ის ნამოსახლარის სამეურნეო ხაროში ნაპოვნი კავისებური იარაღი, რომელიც დამზადებულია ირმის განშტოებულ რქისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ასეთი იარაღით, გამწევი ძალის დახმარებით, ხდებოდა მიწის ზედაპირული დამუშავება, აგრეთვე, კვალის გავლება, რომლითაც ნაწილდებოდა ნიადაგის სარწყავი წყალი. მრავალრიცხოვანი ნამგლის ჩასართები, როგორც წესი, დამზადებულია ობსიდიანის ლამელებისაგან. მარცვლეულის პროდუქტების დასამუშავებლად უძველესი ბინადარნი იყენებდნენ სხვადასხვა მოყვანილობის ქვის ხელსაფქვავებსა და სანაყებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარებზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი ძვლოვანი მასალა. არუხლო I-ის ფაუნისტური ნიმუშების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ [63, 28, 27] ნამოსახლარზე ძირითადად იკვლებოდა პოზარდეული ცხვარი, ღორი. ჯოგში წარმოდგენილია ცხვარი, ძუხვიოფეხა რქოსანი საქონელი და ღორი. შედარებით მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი გარეული ცხოველების ძვლის ნაშთები, მათ შორისაა თევზის ძვლები. ჩანს, რომ მონადირეობა და მეთევზეობა საკვების მოპოვების დამატებითი წყარო იყო. აღმოჩენილი სანადირო ინვენტარიც შესაბამისად მცირერიცხოვანია; შურდულის ქვები და თითო-ოროლა ობსიდიანის ისრისპირი.

აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარზე განვითარებული იყო შრომის იარაღების წარმოება ობსიდიანის, ქვის, რქისა და ძვლის მასალისაგან. სამეურნეო საქმიანობაში დიდი ადგილი ეკავა ცხოველების ტყავის დამუშავებას. ამას მოწმობს ობსიდიანის მრავალფეროვანი საფხეკები, სახოკები და ძვლის საპრიალებლები. ტყავის გამოყენება შეიძლებოდა საცხოვრებლების დასათბუნებლად და ტანსაცმლის დასამზადებლად. ამის მანიშნებელია ნამოსახლართა ინვენტარში ობსიდიანის სახვრეტებისა და ძვლის სადგისების არსებობა. იმირის გორასა და არუხლო I-ზე ძვლის ყუნწიანი ნემსების აღმოჩენის ფაქტი შესაძლოა ქსოვის ჩასახვაზე მიგვანიშნებდეს.

ენეოლითური ხანის ნამოსახლარებზე საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო ხის დამუშავება. ამას ადასტურებს შულავერისა და იმირის გორების ქვის უხეში საჩეხ-საპობი იარაღები, ქვის გახეხილი ცულები, ხელეჩოები და სატეხები, მრავალრიცხოვანი ობსიდიანის საჭრისები, სათლელისებური დანები. ხეს იყენებდნენ სახლთმშენებლობაში იარაღის სახელურების, შედგენილი იარაღების ბუდეების დასამზადებლად და სხვა. სავსებით შესაძლებელია, რომ მზადდებოდა ხის საოჯახო ჭურჭელი და სხვა ნივთები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მესაქონლეობა და ნადირობა უხვად იძლეოდა ნედლეულს ფართოდ გავრცელებული ძვლისა და რქის იარაღების დასამზადებლად. აქ გამოიყენებოდა პრაქტიკულად იგივე იარაღები, რაც ხის დამუშავების დროს. ზემოჩამოთვლილი რქისა და ძვლის შრომის იარაღების გარდა, ნამოსახლარებზე აღმოჩენილია თხელფირფიტოვანი ძვლისაგან დამზადებული დანისებური საგნები, ძვლის კოვზები, სატარენახვრეტიანი რქის ჩა-

ქუჩები. მხატვრული ხელოსნობა წარმოდგენილია ნამოსახლარებში მრავალფეროვანი ნიმუშებით: ძვალზე და ქვაზე კვეთით, თიხის სკულპტურული ძერწვით, სათამაშო და სარიტუალო ნივთების, დამზადებით.

§ 2. ენეოლითური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში

შულავერის გორა (ტაბ. I—VIII; LIV—15—25)

შულავერის გორა მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ იმირის სამხრეთ-დასავლეთით. სამოსახლო ექსპედიციას დაზიანებული დახვდა. მისი დიამეტრია 100 მ, სიმაღლე 6 მ. ძეგლის კულტურული ფენები თანამედროვე ველის ზედაპირიდან 2 მეტრის სიღრმეზე ჩადის. არქეოლოგიური გათხრებს ძეგლზე აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია, ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით 1965—1966 წლებში. 1970 წლიდან კი ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ალ. ჯავახიშვილი.

შულავერის გორის ზედა სამშენებლო ჰორიზონტები, ისევე, როგორც ამ რეგიონში გამოვლენილი სხვა ადრესამიწათმოქმედო ხანის ნასახლარი, დაზიანებულია ანტიკური თუ ფეოდალური ხანის სამეურნეო ორმოებითა და სამარხებით. გათხრილია ძეგლის 252 კვმ ფართობი და გამოვლენილია 32 საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობა. კედლები ამოყვანილია ხელით დაყალიბებული ალიზის აგურით. ძირითადად გამოიყენებოდა საშუალო სიდიდის ალიზი — 30×20×8; 30×15×8; 25×15×7 სმ. ნაგებობები ორივე მხრიდან შელესილია თიხის ხსნარის თხელი ფენით.

შენობებს ძირზე შემორტყმული აქვს მტკიცედ მოტკეპნილი თიხის რკალი — ბალიში. ნაგებობები, უმეტეს შემთხვევაში, მცირე ნაწილით ზის მიწაში, რის გამოც შესასვლელი კარი იატაკზე მაღლა მდებარეობს. ძეგლზე გამოვლენილი ყველა ნაგებობა გეგმაზე წრიული ან ელიფსურია და კონუსურ-გუმბათური, ცილინდრული მოყვანილობის სხეული აქვს. ნაგებობები პრიმიტიულია, მათ არ გააჩნიათ ცალკე კედელი და ცალკე გადახურვა, წარმოდგენილია ერთიანი გადახურვის სტრუქტურით. კედლის წყობის ყოველი ახალი რიგი 2—3 სმ-ითაა ცენტრისაკენ გაწეული, რითაც, კედლის სიმაღლის ზრდასთან ერთად, მიღწეულია შენობის დიამეტრის შემცირება; საბოლოოდ, ამ ხერხით შეკრულია ცრუ გუმბათი, რომელშიც ივარაუდება სარკმლის არსებობა. არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით, სათავსოების სიმაღლე 2,5 მ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ზომების მიხედვით შულავერის გორაზე ნაგებობები სამ ჯგუფად იყოფა: მოზრდილი—2,5 5 მ-მდე დიამეტრით, საშუალო 1,25—2 მ-მდე და მცირე 0,5—0,75 მ-მდე. პირველი ჯგუფის შენობები საცხოვრისს უნდა წარმოადგენდეს, მეორე სამეურნეო დანიშნულების სათავსოებია, მე-

სამე კი სამეურნეო ორმოები და კერები. საცხოვრებელი შენობის ფართობი 7 კვმ-დან 17 კვმ-მდეა. მათში დადგენილია 5—7 სმ სისქის თიხატკეპნილი იატაკი, რომელიც იშვიათად ოქრით არის შეღებილი.

საცხოვრებელი ნაგებობებისათვის დამახასიათებელია კედელთან იატაკში ჩადგმული კვერცხისებურტანიანი გამოუწვავი თიხის კერები, რომელიც ამოვსებულია წმინდა ნაცრით. ნაგებობის გადაკეთებისა და იატაკის დონის აწევის შემთხვევაში დადასტურებულია აღნიშნული კერების ადგილის შენაცვლებაც. ახლდებოდა სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობები და წყლის რეზერვუარებიც, რომლებიც ძირითადად ეზოებში უნდა ყოფილიყო გამართული.

შულავერის გორის განაშენიანების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას დასახლების სიმჭიდროვე და ინტენსიურობა წარმოადგენს. გამოიყო ცხრა სამშენებლო ჰორიზონტი, რომელიც 4 მეტრის სიმძლავრის კულტურულ ფენას ქმნის. აქ აღმოჩენილი მასალა განიხილება სამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით. თიხის ჭურჭელი ძეგლის ქვედა ჰორიზონტებში ძალზე იშვიათია. იგი სუსტადაა გამომწვარი, ძირითადად მოყავისფრო-მონაცრისფროდ. ჭურჭლის ზედაპირი სველი ხელითაა მოგლუვებული. მხოლოდ VI სამშენებლო ჰორიზონტზე აღმოჩნდა ერთი სუსტად ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლის ფრაგმენტი. ზედაპირგაპრიალებული, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ნაწარმი II ჰორიზონტიდან ჩანს. სამოსახლოზე აღმოჩენილი მარტივი ფორმის ქილისებური ქუსლიანი ჭურჭლები ორგვარია: ერთი — ოდნავპირგადაშლილი, მეორე — რკალისებურად, თანაბრად პირმოყრილი.

ძეგლზე გვხვდება ჭურჭლის ორგვარი შემკულობა: რელიეფური და ჭდეული. რელიეფური ორნამენტი VI ჰორიზონტიდან ჩანს, ჭდეული კი მხოლოდ III სამშენებლო ჰორიზონტიდან. ამ ორგვარი ორნამენტის კომბინაცია, იშვიათად, მხოლოდ პირმოყრილ ჭურჭლებზე გვხვდება, მათ პირი ირიბად აქვთ დაჭდეულია, მის გასწვრივ კი კოპები შემოუყვება. აღსანიშნავია, რომ სამოსახლოს IX—VII ჰორიზონტებში თიხაში გასამჭლევებლად შერეულია მხოლოდ არაორგანული მინარევი — დანაყილი ბაზალტი, ხვინჭა, ზოგჯერ ქარსიც, VI—I—V ჰორიზონტების თიხის ნაწარმის ნაწილს ზედაპირზე ეტყობა ბზის მინარევი, III ჰორიზონტზე კი უკვე კეცშიც გვხვდება არაორგანულ მინარევებთან ბზის კომბინაცია. II სამშენებლო ჰორიზონტზე ცალკე გამოიყოფა მცირერიცხოვანი ნამჯანარევი ნაწარმი. ამგვარი კერამიკა I ჰორიზონტზე მნიშვნელოვნად კლებულობს.

შულავერის გორაზე მოპოვებულ მასალაში ცოტაა ძვლისა და რქის იარაღები. სხვადასხვა ჰორიზონტების ამგვარ ინვენტარში გარკვეული განსხვავება შეინიშნება. ძვლისა და რქის იარაღების ფორმა და რაოდენობა თანდათანობით იზრდება სამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით, ქვევიდან ზევით. IX—VII ჰორიზონტზე ამგვარი იარაღი ძირითადად წარმოდგენილია სადგისების სახით. აქვეა აღმოჩენილი ერთი რქის წანაზარდისაგან დამზადებული თოხი

და ერთი მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ქედისაგან დამზადებული მიწის საჩიჩქნი იარაღი. VI ჰორიზონტზე გვხვდება მრგვალღეროიანი საპრიალებელი და დაზიანებული კოვზი. ლულოვანი ძვლისაგან ნაკეთები საპრიალებელი V ჰორიზონტზე ჩნდება, ხოლო ნეკნისაგან დამზადებული საპრიალებლები II და I ჰორიზონტზეა აღმოჩენილი. I ჰორიზონტზევე გვხვდება თხელფირფიტოვანი ძვლის დაკბილულგვერდებიანი დანისებური მოყვანილობის ნივთები და ერთადერთი სატარენახვრეტიანი ირმის რქის ცული. შულავერის გორის III და II ჰორიზონტზე აღმოჩნდა ოვალურთავიანი ისრისპირი, I ჰორიზონტზე კი რომბულთავიანი ისრისპირი. ამავე ჰორიზონტზეა გაპობილი ეშვის ოთხკუთხა მოყვანილობის ფირფიტისაგან ნაკეთები საკიდი. აქვეა ეშვი დამუშავების კვალით. შულავერის გორის მიწის დასამუშავებელ საჩიჩქნ თუ თოხისმაგვარ რქის იარაღებს არა აქვთ გამჭოლი სატარე ნახვრეტი, ამგვარი იარაღი მხოლოდ ზედა I ჰორიზონტზეა აღმოჩენილი.

მეტად საინტერესოა ბორცვის ზედაპირზე ნაპოვნი გამომწვარი თიხის ანთროპომორფული ქანდაკება ქალისა, რომელიც მეტად სქემატურია: წარმოდგენილია კონუსური სხეულით, დამჯდარი, ფართოდ გაშლილი, წინ გაჭიმული ფეხებით; არც თავი, არც მკლავები გამოსახული არ არის, ფეხებზე კი დატანილია რვა-რვა მოკლე ჰორიზონტალური ნაჭდევი, ტორსზეც ასევე ნაჭდევით თავთავისებური სახეა მოცემული.

შულავერის გორაზე გათხრილ ცხრა სამშენებლო ჰორიზონტში აღმოჩენილია 1805 ცალი ნატეეცი ობსიდიანი და 216 ცალი სხვა ქანის ქვა, რომელთაგან თითქმის ნახევარზე მეტი მზა იარაღების წილად მოდის. ეს მასალა ასახავს ამ ნამოსახლარზე ქვის ინდუსტრიის თანამიმდევრულ განვითარებას. იარაღების დასამზადებლად უპირატესად იყენებდნენ ვიწრო და საშუალო ზომის ლამელებს. გვხვდება აგრეთვე ფართო დანისებური ლამელებიც. შედარებით იშვიათად გამოყენებულია ოთხკუთხა, სამკუთხა და მომრგვალო ფორმის მცირე, საშუალო და დიდი ზომის ანატეეცები.

ნუკლეუსები ცოტაა აღმოჩენილი. გვხვდება მცირე და საშუალო ზომის კონუსისებური ნუკლეუსები. შედარებით მცირეა დიდი ეგზემპლარები.

შულავერის გორის ნამოსახლარის იარაღთა მეორადი დამუშავების ტექნიკას ძირითადად ახასიათებს წვრილი დამაბლაგვებელი და ნაკლებად წვრილი წამამახვილებელი რეტუში, რომელიც დატანლია ზურგის, უფრო იშვიათად კი მუცლის მხრიდან. ამგვარი რეტუში ორივე სამუშაო პირზეა დატანილი და ხშირად საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარეობს. იყენებდნენ აგრეთვე მსხვილ დამაბლაგვებელ და მსხვილ წამამახვილებელ რეტუშს.

იარაღების ტექნიკურ-მორფოლოგიური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ აქ ძირითადი სახეობის ნაკეთობანი რეტუშირებული ლამელებია.

მრავალრიცხოვან ჯგუფად არის წარმოდგენილი აგრეთვე რეტუშირებული ანატეეცები.

განსაკუთრებულ სერიას შეადგენენ გვერდამოღარული იარაღები, რომლებიც, უფრო ხშირად, გაფორმებულია წვრილი, იშვიათად კი მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუშით.

რაოდენობის მიხედვით სოლიღურ ჯგუფს შეადგენს საჭრისები. მათი დიდი უმრავლესობა ნაკეთებია რეტუშირებული და ურეტუშო ლამელების გადატეხის კუთხეზე.

ცალკე სერიად არის წარმოდგენილი საფხეკები, მათი უმრავლესობა ბოლოკიდურა საფხეკებია, რომლებიც ნაკეთებია გვერდრეტუშირებულ ლამელებზე. ორჯერ უფრო ნაკლებია ანატკეცებზე ნაკეთები ბოლოკიდურა საფხეკები.

შულავერის გორის ობსიდიანის ინვენტარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ერთი ან ორი სამუშაო პირის მქონე ასტამისებურ იარაღებს. ისინი დამზადებულია უპირატესად ლამელებზე.

ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ლამელებსა და ანატკეცებზე ნაკეთები ასიმეტრიული მოყვანილობის ბურღები, სახვრეტები და დაბალი კონუსური მოყვანილობის ნუკლეუსისებური მასიური საფხეკი.

შულავერის გორის ობსიდიანის ინვენტარისათვის დამახასიათებელია კომბინირებული იარაღები და ნამზადებად ძველი, უვარგისი იარაღების გამოყენება. ორ ზედა ჰორიზონტში აღმოჩენილია „შომუ-თეფეს ტიპის" ნამგლის ჩასართის ერთეული ეგზემპლარი. ქვის უხეშ საპობ იარაღებთან ერთად, რომელთაც აქვთ ორმხრივ შესწორებული დიდი ჩამონატეხები, აღმოჩენილია გახეხილი სოლისებური სათლელი და ორი გახეხილი სატეხი. VII ჰორიზონტზე აღმოჩნდა ერთი რეტუშორი.

შულავერის გორის ობსიდიანის კოლექციის მცირე ნაწილის ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად განისაზღვრა: ნამგლის ჩასართები, ძვლისა და ხის დასამუშავებელი იარაღები. გვხვდება ხმარებიდან გამოსული ნუკლეუსებისაგან დამზადებული რეტუშორები. შედარებით მცირეა ცხოველთა ტყავის დასამუშავებელი იარაღები: სახოკები, სახვრეტები და ბურღები. შულავერის გორის ქვის ინვენტარს ემატება აგრეთვე ხელსაფქვავები, სანაყები, ხელჩაქუჩები, სახეხი ქვები, მიწის საჩიჩქნი ჯოხების დამამძიმებელი, ლახტისთავის ფრაგმენტი.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966), „მაცნე" № 3; 1967.

2 ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.

3 ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975.

4 თ. ყიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
5. А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973.

იმირის გორა (ტაბ. IX—XVIII)

იმირის გორა მდებარეობს სოფ. იმირის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით. შულავერის ღელის მარცხენა ნაპირზე. შულავერის ჯგუფის ნასოფლარებში იგი სიდიდით მეორე ძეგლია. იმირის გორა წაგრძელებული ოვალის მოყვანილობისაა. მისი სიგრძეა 90 მ, სიგანე — 80 მ; სიმაღლე თანამედროვე ველის დონიდან 4 მეტრამდეა. არქეოლოგიური გათხრები იმირის გორაზე ტარდებოდა 1967, 1968, 1969 და 1971 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

იმირის გორის სამოსახლო ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე გაითხარა 300 კვმ ფართობი, გაკეთდა სტრატიგრაფიული ჭრილი და დასავლეთ ნაპირთან გაივლო რადიალური საძიებო თხრილი. შურფის დასავლეთ ნაწილში გამოიკვეთა გრუნტში ჩაჭრილი 6,5 მ სიგანის და 1,25 მ სიღრმის ღრმული, რომელიც არხისა თუ თხრილის პროფილის მსგავსია. ზონდაჟის შედეგად დადგინდა, რომ გრუნტი თვით ნასოფლარის ქვემოთ უფრო მაღლა დევს, ვიდრე მის გარეთ; დასახლებას თხრილი შემოუყვება გარშემო. დასავლეთით სამოსახლოს ნაშთები 30 მეტრზე ვრცელდება ბორცვის გარეთ, აღმოსავლეთით კი სამოსახლოსათვის დამახასიათებელი მასალა გამოვლენილია 50—100 მ დაშორებით, ნასოფლარის მოსაზღვრე მდინარის ნაპირის ფლატეში.

იმირის გორაზე გამოვლინდა შვიდი სამშენებლო ჰორიზონტი, რომელზედაც გაითხარა 80 ალიზის შენობა. სამოსახლოს ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული აქ გამართული სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის (ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანფეოდალურ ხანამდე) სამარხებით, რომელთა ორმოები ჩაჭრილია 3 მეტრის სიღრმეზე.

იმირის გორაზე აღმოჩენილი ნაგებობები არსებითად შულავერის გორის მსგავსია, მაგრამ მაინც ახასიათებს ზოგი თავისებური ნიშანი. აქ სამშენებლო მასალად გამოყენებულია ალიზი და შემაკავშირებელი თიხის ხსნარი. იმირის გორაზე ალიზი უფრო წესიერი მოყვანილობისაა და ნაკლებად ამოზურგული, სოფლის განაშენიანება უფრო თავისუფალია, შეიმჩნევა შენობების განლაგების გარკვეული წესი. სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები სამეურნეო ეზოს გარს შემოუყვებიან და ერთ საცხოვრებელ კომპლექსს ქმნიან. საცხოვრებელი კომპლექსი წარმოდგენილია წრიული საცხოვრისით და ასეთივე სამეურნეო დანიშნულების რამდენიმე სათავსით, რომელიც ჩართულია წრიულსავე ეზოს გარშემო შემოვლებულ გალავანში. სამეურნეო დანიშნულების წაკვეთილი, მცირე კონუსის მოყვანილობის ნაგებობები იმირის გორაზე,

შულავერის გორის მსგავსად, ზემოდან წნულით ან ხის სახურავით უნდა ყოფილიყო გადახურული.

იმირის გორის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა მოზრდილი წრიული მოედანი, სადაც ნაგებობები არ აღმოჩენილა, რომლებიც, როგორც ჩანს, ცენტრალური მოედნის ირგვლივაა განლაგებული. სხვადასხვა ჰორიზონტებზე. ივარაუდება სოფლის ცენტრისა და მის გარშემო გაშენებული ნაგებობების ადგილის შენაცვლება. იმირის გორის საცხოვრებელი ნაგებობის კედელსა და იატაკზე შეინიშნება ცეცხლის კვალი. კერის ნაშთები და შულავერის გორისათვის დამახასიათებელი წყლის რეზერვუარები შენობაში არ აღმოჩენილა. სხვა ძეგლების მსგავსად, იმირის გორაზეც ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ეზოში წარმოებდა, აქვე, ზღუდის კედელთან, არის გამართული კერებიც, ხოლო საცხოვრებელი ძირითადად თავშესაფრად წარმოგვიდგება.

იმირის გორაზე გათხრილ წრიულ-გუმბათური ნაგებობებისაგან განსხვავდება № 8 შენობა. იგი წარმოადგენს ოდნავ წაგრძელებული ოვალის გეგმის (4,25×3,60 მ) ნაგებობას, რომელსაც მიშენებული აქვს სათავსო — დერეფანი. ჩრდილო-დასავლეთ კედელში დატოვებულია 80 სმ სიგანის კარის ღიობი, რომლის ორივე მხარეს პერპენდიკულარულად მიშენებულია 1,20 მ სიგრძის ორი კედელი. შენობის ცენტრში აღმოჩნდა ოვალური მოყვანილობის მცირე კერა, ხოლო კედლის ძირში ასეთივე ფორმის მუდმივი ცეცხლის შესანახი კერა. სათავსო-დერეფანი, შენობასთან შედარებით, დაბალია. მას ჩრდილოეთისაკენ გაჭრილი კარი აქვს, დასავლეთ კედელში კი სარკმელი აქვს დატანებული. დერეფანს ნახევარგუმბათის მოყვანილობა უნდა ჰქონოდა და მთავარ შენობას ეყრდნობოდა.

საინტერესოა № 8 შენობაში აღმოჩენილი ინვენტარიც. აქ ნაპოვნია ქვის ღასამუშავებელი რიყის ქვის ურიები, გრდემლები, კომპრესორები, სალესები. აქვე გამოვლინდა ობსიდიანის ნუკლეუსები, ლამელები, ანატკეცები, ანამტვრევები და ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულები. ეს ნაგებობა, საცხოვრებელთან ერთად, შესაძლოა სახელოსნოსაც წარმოადგენდა, ხოლო მისი კონსტრუქციის თავისებურება შიდა სივრცის გაზრდით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ძეგლზე გამოვლენილი წრიულ-გუმბათური ნაგებობებისაგან განსხვავებულ კონსტრუქციულ ტიპს წარმოადგენს № 9—10 შენობა. იმირის გორაზე ეს ერთადერთი ნაგებობაა, რომელიც ხანძრით არის განადგურებული. № 9—10 სათავსო შედგება ოვალური გეგმის (4,5×3,8 მ) მთავარი ნაგებობისა და დასავლეთით მიდგმული 3,2 მ დიამეტრის აბსიდისაგან. შენობას არა აქვს საფუძველი, დგას მოტკეპნილ ბაქანზე, ადგილის რელიეფის თავისებურების გამო იატაკის დონე მთავარ სივრცეში 50 სმ-ზე დაბლაა დაწეული. სათავსოს კედლის წყობა ერთიანია, მას არ ეტყობა გუმბათური სათავსოსათვის დამახასიათებელი სიმრუდე და 28 კვმ ფართობს მოიცავს.

შენობის მთავარი სივრცის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლის შუა ადგილზე ალიზით გამართულია 40×40 სმ-ის პილონი, რომელიც შენობის ამ ადგილას პილასტრებს ქმნის. მცირე ზომის ალიზის სვეტია მიდგმული ჩრდილოეთის კედელზეც, მთავარი სათავსოს ცენტრალურ ნაწილში, იატაკში გამართულია მარტივი კერა, რომლის ბორდურის ქვეშ დაფენილი იყო ხორბალი. კერის აღმოსავლეთით ამოღებულია წრიული ორმო, რომელშიც აღმოჩნდა ორმხრივზედაპირმოსწრებული სფერული რიყის ქვა. სათავსოს მცირე ნაწილის თიხატკეპნილ იატაკშიც ჩადგმული იყო სწორკუთხა ბრტყელი ქვა, რომელიც ისევე, როგორც მთავარ სათავსოში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო შენობის ცენტრში მდგარი საყრდენი ხის ბოძის ბალიშად. აღსანიშნავია, რომ მცირე სათავსოს დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სწორკუთხა თიხატკეპნილი ბაქანი — პოდიუმი.

აღნიშნული სათავსო, ცრუ გუმბათის ნაცვლად, გადახურული უნდა ყოფილიყო ბრტყელი, ბანური სახურავით, რომელშიც გამოყენებული იყო სვეტებზე დაყრდნობილი ხის კონსტრუქცია. № 9—10 შენობა იმდენად განსხვავებულია სხვა სათავსოებისაგან, რომ შესაძლოა საკულტო დანიშნულების ნაგებობად ჩაითვალოს.

იმის გამო, რომ იმირის გორის ზედა I—IV სამშენებლო ჰორიზონტები დაზიანებულია გვიანდელი სამარხებით, აქ აღმოჩენილი მასალა ერთად არის ვანხილული. ასევე გაერთიანებულია VII—VI ჰორიზონტის მონაპოვარიც, რაც ვამოწვეულია გათხრილი ფართობისა და აღმოჩენილი მასალის სიმცირით. ცალკე განიხილება მხოლოდ V საამშენებლო ჰორიზონტის მასალა, რომელიც კარგად გამოიყოფა როგორც ზედა, ასევე ქვედა ჰორიზონტებისაგან.

იმირის გორის VII—VI სამშენებლო ჰორიზონტებში გვხვდება სამი სახის კერამიკული ნაწარმი: 1. შედარებით სქელკედლიანი, უხეშზედაპირიანი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი ჭურჭელი. იგი ნაძერწია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, რომელშიც გასამჭლეევებლად შერეულია ხვინჭა ან დანაყილი ბაზალტი. სუსტადაა გამომწვარი. მისი ძირები ყველა ქუსლიანია. ერთი ჭურჭლის ფრაგმენტს პირთან დაძერწილი აქვს ნუშისგულისებური კოპები. მეორე ჯგუფის ნაწარმი წარმოდგენილია კარგად მოგლუვებული, ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლით, რომელიც მტკიცედ, ღიაფრად არის გამომწვარი. თიხაში გასამჭლეევებლად შერეულია დანაყილი ბაზალტი. ამგვარი ჭურჭლის ერთი, მცირე ზომის ფრაგმენტი შემკულია ირიბად დატანილი პარალელური ნაჭდევებით. მესამე ჯგუფში ერთიანდება შედარებით თხელკედლიანი, ღიაფერის მტკიცედ გამომწვარი ჭურჭელი, გაპრიალებული ზედაპირითა და სარჩულით. ამ ჯგუფის კერამიკა ნაძერწია წმინდად განლექილი თიხისაგან, რომელშიც გასამჭლეევებლად შერეულია წმინდად დანაყილი ბაზალტი, იშვიათად კი წვრილად დაკეპილი ნამჯა.

აქვეა აღმოჩენილი ძვლის სხვადასხვაგვარი სადგისები, ოთხი საპრიალებელი, რომელთაგან ერთი ლულოვანი ძვლისაგანაა დამზადებული, მეორე—გა-

ჰობილი ნეკნისაგან, ხოლო მეოთხე — ბეჭის ძვლის ქედზეა ნაკეთები. ამავე ჰორიზონტზე აღმოჩნდა გაპობილი ლულოვანი ძვლის „დანა-საპრიალებლები“.

იმირის გორის ზედა VI სამშენებლო ჰორიზონტებში იზრდება კერამიკის რაოდენობა. განაგრძობს არსებობას VII—VI ჰორიზონტის დამახასიათებელი სამივე ჯგუფის ნაწარმი, თუმცა შეიმჩნევა მეორე და მესამე ჯგუფების კერამიკის მატება. აქ გვხვდება ბევრი ახალი ფორმაც; 1. საშუალო ზომის კასრისებური მოყვანილობის ჭურჭელი — პირმოყრილი, შებერილი მუცლითა და ფართო ბრტყელი უქუსლო ძირით; მათი კედლები, გარდატეხის გარეშე, თანაბრადაა მორკალური პირიდან ძირამდე; 2. ქილისებური ჭურჭელი, მცირედ შებერილი მუცლით, სუსტად პროფილირებული დაბალი ყელით, ბრტყელი, იშვიათად დაბალქუსლიანი ძირით; 3. ფართოპირიანი, ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული ქილები, ბრტყელი, დაბალქუსლიანი ძირით; 4. დაბალყელიანი, ოდნავ პირგადაშლილი, შებერილმუცლიანი, ბრტყელძირიანი ქილები.

პირველი და მეორე ჯგუფების კერამიკისათვის დამახასიათებელია რელიეფური ორნამენტი, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხშირად გვხვდება პირის გასწვრივ დატანილი კონუსური და ნუშისგულისებური რელიეფური კოპები. ჩნდება ორ ან სამ რიგად დატანილი კონუსური კოპები, ზიგზაგისებური მაღალი ხაზები, რელიეფური რკალით მოზღუდული კოპები და ნალისებური ნახევარწრეები. აღსანიშნავია დაბალი, ვიწრო „თევზიფხურა“ ორნამენტი და ასევე რელიეფურად გამოსახული ანტროპომორფული ფიგურა.

მრავალფეროვანია იმირის გორის ზედა ჰორიზონტების ძვლისა და რქის ნაწარმი. ძალზე გავრცელებულია გაპობილლულოვანი ძვლის სხვადასხვაგვარი სადგისები, საპრიალებლები. აქ გვხვდება შულავერის გორისათვის უცნობი მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლის ქედისაგან ნაკეთები საპრიალებლები და გაპობილი ნეკნის თხელფირფიტოვანი „საპრიალებლები“. იმირის გორის V—I ჰორიზონტებში განაგრძობს არსებობას რომბულთავიანი ისრისპირი და თხელფირფიტოვანი ძვლის დანისებური მოყვანილობის ნივთები. IV—I ჰორიზონტებში აღარ ჩანს ლულოვანი ძვლის „დანა-საპრიალებელი“.

იმირის გორის V სამშენებლო ჰორიზონტზე ჩნდება მსხვილფეხა საქონლის წვივის ძვლისაგან დამზადებული, ზემოდან გაკეთებული სატარენახვრეტიანი თოხი. ამგვარი იარაღის რაოდენობა ზედა ფენებში იზრდება. IV ჰორიზონტზე პირველად ჩნდება მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლის სატარენახვრეტიანი თოხი და მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდიაზე ნაკეთები მრგვალსატარენახვრეტიანი იარაღი, მათი რაოდენობა მატულობს „შურფის“ მასალაში. ძეგლზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ირმის რქის ფუძისა და წანაზარდებისაგან დამზადებული სატარენახვრეტიანი თოხები და ცულები. აქვე გვხვდება სხვადასხვა მოყვანილობის „მუფტა“.

იმირის გორის არასტრატიფიცირებული მასალიდან აღსანიშნავია მკვეთრად პროფილირებული გვერდწიბოიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, საინტე-

ჩეესოა აგრეთვე ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, რომელიც მართი კუთხითაა გადმოკეცილი და ქობაზე ირიბი ნაჭდევები დაუყვება. აქვეა მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები. მის მოყვითალო-მოვარდისფრო ზედაპირზე დატანილია გაინიერი პარალელური მოყავისფრო ზოლები, კეცში დიდი რაოდენობით აქეს შერეული დაკეპილი ნამჯა.

იმირის გორის დასავლეთ ნაპირზე გაკეთებულ შურფში, სამოსახლოს ძირითადი ფენებისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად, აღმოჩნდა ერთი წითლადშეღებილი და ერთიც მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც რელიეფური გეომეტრიული ორნამენტი ამკობს.

თიხის მცირე ნაკეთობები ნასახლარის ზედა ფენებში წარმოდგენილია რეალისტურად შესრულებული ქალის დაზიანებული ფიგურით და გამოუწვავი თიხისაგან დამზადებული მინიატურული ჭურჭლით.

იმირის გორის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილია 7160 ცალი გაპობილი ობსიდიანისა და ქვის მასალა. მათგან სტრატიფიცირებული მასალის წილად შვიდი სამშენებლო ჰორიზონტიდან მოდის 3562 ცალი ობსიდიანი და 188 ცალი სხვა ჯიშის ქვის ქანი. ნატკეცი მასალის ნახევარი მეორედ არის დამუშავებული. ნამზადებად გამოყენებულია უპირატესად 2 სანტიმეტრამდე სიგანის მქონე სწორი ან ოდნავ ამოზნექილი პროფილის პრიზმული ლამელები. ორჯერ უფრო ნაკლებია მცირე ოთხკუთხედის, სამკუთხედის და მომრგვალებული მოყვანილობის ანატკეცებზე ჩამოყალიბებული იარაღები.

იმირის გორის ნუკლეუსები წარმოდგენილია ძირითადად ვიწრო, საშუალო და დიდი კონუსური ცალებით. გვხვდება აგრეთვე ამორფული და ვიწრო პრიზმული ერთეული ეგზემპლარები.

აღნიშნული ნამოსახლარის იარაღების მეორადი დამუშავების ტექნიკას ძირითადად ახასიათებს დამაბლაგვებელი და იშვიათად მცირე წამამახვილებელი რეტუში, რომელიც დატანილია ზურგის ერთ ან ორივე გვერდზე, იშვიათად მუცლის მხრიდან, ხშირად მოპირდაპირე სიბრტყეზე.

ტექნიკურ-მორფოლოგიური ანალიზით ძირითადი ტიპის იარაღებია ლამელები და ანატკეცები. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი საჭრისები, რომელთა შორის არის ლამელის გადატეხის კუთხეზე ჩამოყალიბებული გვერდითი, შუალა და კუთხის საჭრისები.

გაცილებით ცოტაა აღმოჩენილი ლამელებსა და ანატკეცებზე დამზადებული საფხეკები, რომელთა სამუშაო პირი სხვადასხვა მოყვანილობისაა. გვხვდება მაღალსამუშაოპირიანი, ნუკლეუსისებური საფხეკებიც.

მაგარ მასალაზე სამუშაოდ გამოიყენებოდა ერთ ან ორ სამუშაოპირიანი საჭრეთელი. ისინი დამზადებულია ლამელებსა და ანატკეცებზე.

მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი ლამელებზე დამზადებული ბურღები და სახვრეტები. მათი უმეტესი ნაწილი ასიმეტრიულია.

თუ შულავერის გორაზე „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართები მხო-

ლოდ ორ ზედა ჰორიზონტში აღმოჩნდა, იმირის გორაზე მათ მეხუთე და ზედა ჰორიზონტებში ვხვდებით.

აღსანიშნავია, რომ არასტრატიფიცირებულ ჰორიზონტებში აღმოჩნდა სამკუთხა მოყვანილობის ობსიდიანის ისრისპირი და ერთი ზურგათლილი ტრაპეცია. ამ ტიპის ტრაპეციები აღმოჩენილია არუხლო I-ის ზედა ჰორიზონტში. მიკროინვენტარი წარმოდგენილია იმირის გორაზე ორი რეტუშირებული მიკროლამელით.

იმირის გორაზე მრავალი კომბინირებული და მეორადი გამოყენების ნაკეთობა გვხვდება.

გახეხილ-გაპრიალებული იარაღებიდან აღმოჩენილია 6 ცული და სატეხი, 7 ეგზემპლარი უხეში საპობი იარაღისა და 3 რეტუშორი.

გვხვდება აგრეთვე ხელსაფქვავები, ურიები, საჩიჩქნი ჯოხების დამამძიმებელი, სახეხები, სანაყები და სხვ.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.
2. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975.
3. თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
4. А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973.

დანგრეული გორა

შულავერის ჯგუფის ძეგლებიდან მეტად საინტერესოა დანგრეული გორა. იგი ორფენიანი ყოფილა — აღრესამიწათმოქმედო კულტურის ფენას ეჭ მტკვარ-არაქსის კულტურის ფენები ფარავდა.

ექსპედიციას ძეგლი განადგურებული დახვდა, რის გამოც მის ადგილზე გაკეთდა მხოლოდ ორი საკონტროლო თხრილი. კულტურული ფენა თანამედროვე ველის დონიდან 1,2 მ სიღრმეზე ჩადიოდა. ძეგლზე საცხოვრებელი ნაგებობის კვალი არ გამოვლენილა. დაფიქსირდა მხოლოდ ერთი სამეურნეო ორმო, თუ მიწური (1,2×1,4 დიამეტრით), რომელიც ქვევით ფართოვდებოდა. ორმოს კედლები და ძირი თიხის ხსნარითაა შელესილი. აღსანიშნავია ორმოს

ძირზე მცენარეთა თესლისა და ყურძნის წიბწის აღმოჩენა. ამგვარი კულტურული ნაშთები ვრცელდებოდა ორივე თხრილში გათხრილ ფართობზე.

დანგრეული გორის ადგილზე აღმოჩენილ კერამიკულ მასალაში გვხვდება იმირის გორისათვის დამახასიათებელი სამივე ჯგუფის თიხის ნაწარმი. ყველა ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი. თიხაში გასამჭლევებლად შერეულია როგორც არაორგანული, ასევე ორგანული მინარევი. შემკულობა რელიეფურია, მხოლოდ ერთ ჭურჭელს აქვს პირი ირიბად დაჭდეული. აღსანიშნავია ერთი ნამჯანარევი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი წითლად შეღებილი გაპრიალებული ზედაპირით და სარჩულით. იმირის გორის ჭურჭლების მსგავსად, აქაც გვხვდება ძირზე ჭილოფის სპირალური ანაბეჭდი და პირჩადრეკილი ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა ძვლისა და რქის იარაღები: სადგისები, საპრიალებლები, ორი სატარენახვრეტიანი თოხი და რელიეფური ორნამენტით შემკული კვერთხისთავი.

დანგრეული გორის ნატკეცი ქვის კოლექციაში 18 ერთეულია: ერთი ამორფული ნუკლეუსი და ლამელაზე დამზადებული იარაღები.

მასალა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე, დანგრეული გორა, „ძეგლის მეგობარი", № 30, 1972.
2. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975.

გადაჭრილი გორა (ტაბ. XX)

გადაჭრილი გორა მიეკუთვნება შულავერის ჯგუფის ძეგლებს. ამ ნამოსახლარზე ექსპედიციის არქეოლოგიური გათხრები არ ჩაუტარებია. ძეგლს კვეთს შულავერის ღელე, რის გამოც წარმოდგენილია მთლიანი ბორცვის ბუნებრივი ჭრილი. ზედაპირულად და ჭრილში შეგროვებული მასალა ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ძეგლის ხასიათის შესახებ.

ძეგლის სამშენებლო ჰორიზონტების სისქე ბორცვის შუა ნაწილის ჭრილში 4—5 მეტრია. სამოსახლოს დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში ჩანს ალიზის შენობა, რომელსაც თითქმის მთლიანად აქვს შემორჩენილი გუმბათი და 1 მეტრის სიმაღლეს აღწევს. მასალის ფრაგმენტულობის მიუხედავად, ჩანს, რომ ძეგლის თიხის ჭურჭელს შულავერის გორის კერამიკული ნაწარმისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

ძეგლზე მოპოვებული ნატკეცი ქვის მასალა 114 ერთეულია, ამათგან 77 ლამელებითაა წარმოდგენილი. მათ შორის 25 ურეტუშოა. გავრცელებული იარაღებია საჭრისები, საფხეკები, სახოკები, ხოწი. აქვე აღმოჩნდა ქვის სოლისებური ფორმის ცულის ფრაგმენტი და ძვლის 4 სადგისი.

მასალა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975.

ხრამის დიდი გორა (ტაბ. XXI—XXVII)

ხრამის დიდი გორა შეისწავლება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, 1972—1973 წწ. ა. ჯავახიშვილის, ხოლო 1974—1986 წწ. თ. კიღურაძის ხელმძღვანელობით. ძეგლი ყაჩაღანის ჯგუფის ერთადერთი გადარჩენილი ნასოფლარია, რომელიც მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო ველზე, სოფ. ყაჩაღანსა და თაქალის შორის. ნასოფლარი წარმოადგენს O—W მიმართულებით წაგრძელებულ ოვალური მოყვანილობის ბორცვს. მისი ფართობი 3 ჰა-ს აღემატება, ხოლო სიმაღლე 5 მეტრია. გათხრილ 225 კვმ ფართობზე დაფიქსირებულია 9 სამშენებლო ჰორიზონტი.

აღსანიშნავია, რომ ძეგლის სხვადასხვა სამშენებლო ჰორიზონტის საცხოვრებელი კომპლექსები ერთსა და იმავე ადგილზეა აგებული, რაც სოფლის გეგმარების ტრადიციულობაზე მიგვანიშნებს. მეტად საინტერესოა ძეგლის ქვედა სამშენებლო ჰორიზონტზე ოვალური გეგმარების ნახევარმიწურების აღმოჩენა.

შულავერისა და იმირის სამოსახლოებისაგან განსხვავებით, ხრამის დიდი გორის ნაგებობებში ხშირად ჩანს გამოყენებული კედლის გასამაგრებელი პილონები და კონტრფორსები.

სამშენებლო მასალად გამოყენებული ალიზი სტანდარტულია. მისი სიგრძე—40—42 სმ, სიგანე—18,22 სმ, სისქე—7—7,5 სმ. რამდენიმე სათავსოს იატაკი ქვემოთ მოგებული იყო ქვებით. № 49 სათავსოს იატაკზე კი ჭილოფის ანაბეჭდია დადასტურებული. საცხოვრებელი კომპლექსის ეზოში დამოწმებულია ორმოები, რომელიც შესაძლოა მსუბუქი გადახურვის დამჭერი ბოძებისათვის იყოს განკუთვნილი. ეზოებშივე გვხვდება გამოუწვავი ნამჯანარევი თიხისაგან ნაძერწი 3—4 სმ სქელკედლიანი დერგისებური ჭურჭელი — „კერები“, რომელიც ძირითადად მიწაში უნდა ყოფილიყო ჩადგმული. მათი სიმაღლე 1 მეტრს აღწევს, დიამეტრი 70—80 სმ. ამგვარი ჭურჭელი ხშირ შემთხვევაში წმინდა ნაცრით არის შევსებული; აქვე გვხვდება ძვლისა და რქის იარაღები, ცხოველის ძვლები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, შურდულის ქვები. აღსანიშნავია, რომ ამ ჭურჭლებშია აღმოჩენილი ანტროპომორფული ქანდაკებების უმეტესი ნაწილი. სხვადასხვა ჰორიზონტებზე დადასტურებულია

ოვალური მოყვანილობის, ქვებით მოგებული სტაციონარული ღია კერა, რომელიც ხშირად ორი კედლის შეხვედრის კუთხეშია გამართული.

კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია როგორც უხეში, ასევე მოგლუვებული თუ გაპრიალებულზედაპირიანი თიხის ჭურჭლით. ყველა ჰორიზონტზე გვხვდება წითლად შეღებილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მათ უმეტეს ნაწილს ძირზე ჭილოფის სპირალური ანაბეჭდი ეტყობა. ორნამენტაცია მხოლოდ რელიეფურია, ხშირად გვხვდება ნალისებური რელიეფი და ჰორიზონტალური შვერილები. აღსანიშნავია ზედა ჰორიზონტში აღმოჩენილი რამდენიმე მცირე ზომის რბილი ქანისაგან დამზადებული ქვის ჭურჭელი, რომლის ზედაპირი გამოჩორკნილია, სარჩული კი გახეხილ-გაპრიალებული. ერთი ქვის ჭურჭლის ფრაგმენტი რელიეფური სალტით არის შემკული და კონუსური მოყვანილობის სახელური აქვს.

გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღები ხრამის დიდი გორის მასალებში მრავალრიცხოვანია და წარმოდგენილია ორმხრივლესილი, სოლისებური ცულებით.

უნაგირისებურ და სწორზედაპირიან ხელსაფქვავებთან შედარებით მეტი რაოდენობით გვხვდება ვარცლისებურად ჩაღრმავებულ სამუშაოპირიანი ხელსაფქვავის ქვედა ქვები. სამოსახლოზე აღმოჩნდა ორი მასიური ქვის როდინი, ხოლო ფილთაქვების სიმრავლე ხის როდინის არსებობაზე მიუთითებს. ქვის ნაწარმი წარმოდგენილია ხელჩაქუჩებით, მცირე ზომის სანაყებით, გვერდებგადალესილი ტუფის ქვებითა და მრავალრიცხოვანი შურდულის ქვებით.

მრავალფეროვანია ძეგლზე აღმოჩენილი ძვლის ნაწარმი. სადგისებისა და საპრიალებლების გარდა, ჩნდება მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლისაგან დამზადებული ზემოდან ჩახვრეტილი თოხები, ლულოვანი ძვლის თოხები და მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდიაზე ნაკეთები თოხები გამჭოლი სატარე ნახვრეტით. ირმის რქის იარაღებს შორის სჭარბობს თოხები მრგვალი სატარე ნახვრეტით. შედარებით ნაკლებია ირმის რქის ფუძეზე ნაკეთები ცულები და ორიგინალური „კვერთხისთავები“, რომელთაც ორივე ბოლო ბლაგვად აქვთ წაკვეთილი და თითქმის მთლიანად გახეხილ-გაპრიალებულია. აღსანიშნავია, რომ ირმის რქის იარაღი ხშირად ორნამენტირებულია.

განსაკუთრებით საყურადღებოა სამოსახლოზე აღმოჩენილი თიხის ანტროპომორფული ქანდაკებები—60 მთელი თუ ფრაგმენტირებული ფიგურა. ყველა მათგანი მრგვალ სკულპტურას წარმოადგენს, ძირითადად სტილიზებულია და უფრო ხშირად ქალს გამოხატავს, მკაფიო მდედობითი ნიშნებით.

აღსანიშნავია სამოსახლოს ქვედა ფენებში აღმოჩენილი სპილენძის მრგვალგანივკვეთიანი ნახევარრკალი, რომელსაც ბოლოები წაწვეტებული აქვს.

საინტერესოა ხრამის დიდგორაზე მოპოვებული ქვის მასალები. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ, ობსიდიანის გარდა, იარაღების დასამზადებლად ფართოდ გამოიყენებოდა კაჟი. 695 ცალი გაპობილი ქვიდან 479 ობსიდიანისაა და 216 კაჟის. საყურადღებოა ისიც, რომ ანატკეც-ანამტვრევების რაოდე-

ნობა თითქმის ორჯერ აღემატება ლამელების რიცხვს. იარაღების დასამზადებლად ლამელებსა და ანატკეცებს იყენებდნენ თითქმის ერთნაირი ოდენობით. კლებულობს საჭრისები, შესამჩნევად იზრდება რეტუშირებული ანატკეცების და „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართების რაოდენობა, არ გვხვდება ამოღარული ანატკეცები, მატულობს გახეხილ-გაპრიალებული იარაღები. საფხეკების უმრავლესობა ჩამოყალიბებულია ანატკეცებზე. მათი სამუშაო პირები არ გამოირჩევა საგულდაგულო დამუშავებით. აღმოჩენილია მასიურ ანატკეცებზე ნაკეთები უხეშად დამუშავებული სამუშაოპირიანი სახოკები. საერთოდ კი ხრამის დიდგორის ქვის ინვენტარი იმავე ნიშნებით გამოირჩევა, როგორიც დამახასიათებელია შულავერისა და იმირის გორის მასალისათვის. შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი კონუსისებრი და პრიზმული მოყვანილობის ნუკლეუსები. ბევრია გვერდ და ბოლორეტუშირებული ლამელები, აგრეთვე გვერდამოღარული, რეტუშირებული ლამელები და სათლელისებური იარაღი.

თითქმის ყველა საჭრისი ჩამოყალიბებულია ლამელის გადატეხის კუთხეზე. საფხეკების სამუშაო პირს ოვალური, პირდაპირი, ირიბი ან ამოღარული მოყვანილობა აქვს. აღმოჩენილია ერთი ლამელაზე ნაკეთები ბურღი, ერთი ობსიდიანის ზურგგათლილი ტრაპეცია, მასიური ბაზალტისა და არგილიტის საჩეხი იარაღი.

ხრამის დიდგორის ქვის ინვენტარი იმაზე მეტყველებს, რომ ეს ნამოსახლარი შედარებით გვიან უნდა წარმოქმნილიყო, ვიდრე შულავერის გორა და იმირის გორა.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1972—1973 წწ.), სსმაე, IV, თბ., 1975.

2 მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ზ. ქიქოძე, ქვემო ქართლით არქეოლოგიური ექსპედიციის (1976—1977წწ.) მუშაობის შედეგები, სსმაე, VI, თბ., 1978.

3 ვ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ქ. გოცაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1978—1979 წწ.), სსმაე, VII, თბ., 1980.

4 თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.

არუხლო I—IV (ტაბ. XXIII—XLII, LIII—22—25; LIV—1—14, LV—LXII)

არუხლოს ჯგუფის ძეგლები მდებარეობს ბოლნისის რაიონში, მდინარეების — ხრამისა და მაშავერას შესართავთან, სოფელ არახლოსა და ასანბოჯალოს შორის. ამ ჯგუფში თავისი ზომებით გამოირჩევა არუხლო I. მისი დი-

ამეტრია 100—150 მ, სიმაღლე—6 მ. ნასოფლარის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს კიდევ სამი სამოსახლო ბორცვი. ძეგლს იკვლევდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვემო ქართლის ექსპედიცია, ტ. ჩუბინიშვილისა (1966—76 წწ.) და დ. გოგელიას (1978—85 წწ.) ხელმძღვანელობით.

ა რ უ ხ ლ ო I-ზე გათხრილია 800 კვმ-ზე მეტი ფართობი; ამას გარდა, ბორცვის გარშემო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გავლებულია რადიალური საძიებო თხრილები. ნასოფლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორის გათხრების შედეგად ბორცვის ამ მონაკვეთზე გამოიყო შვიდი სამშენებლო ჰორიზონტი. ექვსი წარმოდგენილია ამ ტიპის სამოსახლოებისათვის დამახასიათებელი ალიზით ნაშენი სათავსოებით. ქვედა, მეშვიდე სამშენებლო ჰორიზონტს მიეკუთვნება თიხნარ გრუნტში ჩაჭრილი ნახევარმიწურები და თხრილები.

სამოსახლო ბორცვის დაახლოებით შუა ნაწილში გამოიკვეთა ოვალური მოყვანილობის ცენტრალური მოედნის ნაწილი, რომლის მხოლოდ მეორე სამშენებლო ჰორიზონტზე აღმოჩნდა ცალკე მდგომი № 26 ოთხკუთხა შენობის ჩრდილოეთი ნაწილი. ერთი ასევე ოთხკუთხა № 19 შენობა გამოვლინდა ზედა, პირველ სამშენებლო ჰორიზონტზეც. აღნიშნული ნაგებობა კედლის ტიხარით დაკავშირებულია წრიულ-გუმბათურ №№ 4 და 39 სათავსოსთან. ნასოფლარის ზედა ფენები დაზიანებულია გვიანდელი სამარხებითა და ორმოებით, რის გამოც საცხოვრებელი კომპლექსების გამოყოფა ზედა ჰორიზონტებზე არ მოხერხდა.

მესამე სამშენებლო ჰორიზონტზე უკვე შეიმჩნევა შენობების განლაგების გარკვეული წესი. დადასტურებულია სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებისაგან შედგენილი საცხოვრებელი კომპლექსების ცენტრალური მოედნის ირგვლივ განლაგება. ხშირად სხვადასხვა სამშენებლო ჰორიზონტის საცხოვრებელი კომპლექსები თითქმის ერთსა და იმავე ადგილას არის ნაშენი.

დიდი ზომის (4,60 მ-მდე დიამეტრის) საცხოვრებელი შენობა გვხვდება ბორცვის ქვედა, IV—VI სამშენებლო ჰორიზონტზე.

სამოსახლოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ბორცვზე დადასტურებული შენობებისაგან განსხვავებული რვა ნახევარმიწური. ამგვარი სათავსოს კონტურები შეინიშნება ბორცვის გარეთ გავლებულ №№ 5, 10, 11 და № 23 თარილების ჭრილშიც.

ნახევარმიწურებს აქვთ ოვალური ან წრიული მოყვანილობა, დიამეტრია 2 40—4.60 მ. სათავსოს ნაშთი ჩნდება მხოლოდ თიხნარი გრუნტის დონეზე, რომლის ზემოთაც ნაგებობის კვალი არ დაფიქსირებულა. ნახევარმიწურები გრუნტში ჩაჭრილია 1 მ-ის სიღრმეზე. ზოგიერთ სათავსოში აღმოჩნდა თიხით მოლესილი იატაკი. ორი ნახევარმიწურის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა ორმოს ნაშთი, რაც საყრდენი ბოძის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამგვარი სათავსოები ორ-ორია ერთად განლაგებული და ერთმანეთთან დაკავშირებულია.

№№ 11 და 12 ნახევარმიწურები ერთ სიმაღლეზეა ჩაჭრილი გრუნტში. №№ 13, 14 და №№ 15, 16 ნახევარმიწურები კი სხვადასხვა დონეზე მდებარეობს. ამათგან №№ 13 და 15 სათავსო გრუნტში ჩაჭრილია 0,50 მ-ზე და შედარებით მომცრო ზომისაა. მათ ძირზე, თიხით მოლესილ იატაკზე კარგად შეინიშნებოდა ცეცხლის დანთების კვალი, შევსებაში კი დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ნაცარი. როგორც ჩანს, №№ 13, 15 ნახევარმიწურები სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებია, ხოლო №№ 14 და 16—საცხოვრებელი.

ნასოფლარის ამ მონაკვეთზე გამოვლენილია ორი სხვადასხვა კონფიგურაციის თხრილი. ბორცვთან ახლოს მდებარეს ოვალური მოყვანილობის ვიწრო ძირი აქვს, რომელიც 9,83 მ-ის დონეზეა. თხრილის ჩრდილოეთი მონაკვეთი კვეთს № 18 ნახევარმიწურს. სამხრეთი ნაწილი ციცაბოდ ადის მაღლა და ქიმისებური შემაღლებით მთავრდება 5,10 მ-ის დონეზე. თხრილის თავზე არც ერთი ალიზით ნაკეები სათავსო არ გამოვლენილა. ამგვარი ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დგას უშუალოდ თხრილის ქიმისებურ ზვინულზე. როგორც ჩანს, თხრილს თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა და გარკვეულად ზღუდავდა ძირითად ნასოფლარს. აღნიშნული თხრილის ჩრდილოეთით აღმოჩნდა ლინზისებური მოყვანილობის მეორე თხრილი. თიხნარი გრუნტის დონეზე მისი სიგანეა 5,10 მ, სიღრმე— 1,30 მ. თხრილის კედლები ირიბად ეშვება 2,15 მ-ის სიგანის ძირისაკენ, რომელიც გათხრილ მონაკვეთზე თითქმის ჰორიზონტალურად არის განფენილი. ამ „გარეთა" თხრილის მიერ გადაჭრილია №№ 16, 1 ნახევარმიწურები, რაც, ისევე როგორც № 18 სათავსოს შემთხვევაში, თხრილებთან შედარებით, მათ ადრინდელობაზე მიგვანიშნებს. ამგვარად, არუხლო I-ზე პირველი დასახლება წარმოგვიდგება ნახევარმიწურებით შედგენილი ნაგებობებით, რომელიც შემდგომში დაუზიანებია ძირითადი სოფლის თავდაცვით თხრილს.

მსგავსი კონფიგურაციის თხრილები დაფიქსირებულია არუხლო I-ის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილშიც და, როგორც ჩანს, სამოსახლო ბორცვს გარსშემოუყვება.

ნახევარმიწურების ინვენტარი არ განსხვავდება საკუთრივ ბორცვზე აღმოჩენილი მასალისაგან. კერამიკა აქაც უხეში, ხელით ნაძერწია, გამომწვარია არათანაბრად, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ მურა ყავისფრამდე. იშვიათია ფრაგმენტები წითელი საღებავის კვალით. თიხა მსხვილმარცვლოვანია, ქვიშა და დანაყილი ბაზალტის ნარევით. რამდენიმე ფრაგმენტს ეტყობა მოგლუვების კვალი. წარმოდგენილია კასრისა და ქილის მოყვანილობის ჭურჭლის ფრაგმენტები. ძირები ბრტყელია, ქუსლგამოყვანილი, ხშირად ძირზე ჭილოფის ანაბეჭდის კვალით.

ორნამენტის სახით წარმოდგენილია პირს ქვემოთ განლაგებული კობისებური რელიეფური ნაძერწობა. რამდენიმე ჭურჭელს მიძერწილი აქვს შვერილი.

№ 14 მიწურის იატაკზე აღმოჩნდა ძეგლის ზედა სამშენებლო ჰორიზონტზე ნაპოვნი რელიეფური ანტროპომორფული ნაძერწებით შემკული თიხის ჭურჭლის ანალოგიური ფრაგმენტი. აქვე იყო გამოუწვავი თიხის კოვზი, ძვლის სხვადასხვაგვარი სადგისები, აღსანიშნავია, რომ ნახევარმიწურებში არც ერთი მიწის დასამუშავებელი ძვლისა და რქის იარაღი არ აღმოჩენილა.

არუხლო I-ზე აღმოჩნდა ექვსი თანადროული სამარხი. მათგან №№ 7, 8, 9 სამოსახლოს გარეთ, მის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, გაითხარა. სამივე ქვაყრილიანი ორმოსამარხია, ორ შემთხვევაში სამარხის იატაკი დაფარული იყო წითელი საღებავით. აქ აღმოჩნდა ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, ძვლის სხვადასხვაგვარი სადგისები, სარდიონის მძივი და საკიდი, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. საინტერესოა საშუალო სიმაღლის, წითელად შეღებილი თიხის ჭურჭელი — ვერტიკალურად განლაგებული კოპებით ცილინდრულ ყელზე, რომელიც ფორმით აღრებრინჯაოს ხანის აღრეულ კერამიკასთან პოულობს ანალოგიებს.

№№ 10, 11, 12 სამარხები სამოსახლოზეა გამოვლენილი. მიცვალებული აქაც გვერდზეა დასვენებული მოხრილი კიდურებით. სამარხები უინვენტაროა, მხოლოდ № 11 სამარხში აღმოჩნდა ძვლის დანისებური იარაღი და სადგისი.

არუხლო I სამშენებლო ჰორიზონტების კვლევის დროს აღმოჩნდა დაახლოებით 5000 ეგზემპლარი ნატკეცი ობსიდიანი და ერთეული ცალები სხვა ქანის იარაღისა. ამათგან ორ ზედა ჰორიზონტზე გამოვლინდა 4000 ცალზე მეტი ნატკეცი ობსიდიანი. მთელი ნამოსახლარის მასალა ერთგვაროვანია როგორც დამუშავების ტექნიკით, ისე ტიპოლოგიურადაც. უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა სამშენებლო ჰორიზონტებში, დაწყებული მესამე ჰორიზონტიდან, მკვეთრად იზრდება მასიური, ფართო ლამელების რაოდენობა.

ნუკლეუსები ცოტა გვხვდება. მათში სჭარბობს წვრილი პრიზმული და კონუსური. I ჰორიზონტზე ნაპოვნია წვრილი დისკოსებური ნუკლეუსიც.

იარაღების დასამზადებლად უმთავრესად გამოყენებულია ხწორი ან ოდნავ ამოზურგული მოყვანილობის მცირე და საშუალო სიგანის პრიზმული ლამელები, აგრეთვე ამავე ზომის სამკუთხედის, ოთხკუთხედის მსგავსი და მომრგვალებული მოყვანილობის ანატკეცები. მაგრამ III ჰორიზონტზე და ქვემოთ გამოყენებულია მასიური ფართო ლამელებიც. ამასთან, I—II ჰორიზონტებში ლამელები და ანატკეცები ნამზადებად გამოიყენებოდა დაახლოებით ერთნაირი რაოდენობით.

არუხლო I-ის იარაღების მეორადი დამუშავების ტექნიკისათვის დამახასიათებელია, ძირითადად, წვრილი დამბლაგვებელი და წვრილი წამამახვილებელი რეტუში. იარაღის გვერდებზე რეტუში დატანილია ზურგის ან მუცლის მხრიდან, ხშირად მოპირდაპირე სიბრტყეზე. ხშირია ერთ იარაღზე სხვადასხვა ტიპის რეტუშის შერწყმა.

არუხლო I-ის ნამოსახლარის იარაღების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს რეტუშირებული ლამელები და ანატკეცები.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქვედა სამშენებლო ჰორიზონტებში, შესამედან დაწყებული, ძალზე მაღალია გვერდამოღარული იარაღის რაოდენობა მაშინ, როდესაც ზედა ორ ჰორიზონტში მათ არცთუ ისე ძრავლად ვხვდებით. ძირითადად ეს არის გვერდამოღარული ლამელები. ამოღარულ ანატკეცებს შორის ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება ისეთებიც, რომელთა გვეოდები ამოღარულია არა რეტუშით, არამედ ფართო ჩამონატეხებით ზურგის მხრიდან.

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბოლოათლილი ნაკეთობა, რომლებიც ტრასოლოგების მიერ განისაზღვრება როგორც სატეხისებური იარაღი. მათ ნამზადებად გამოყენებულია ძირითადად ვიწრო ანატკეცები, გაცილებით იშვიათად კი ლამელები. სპარბობს ერთსამუშაოპირიანი იარაღები.

არუხლო I-ის ნამოსახლარის ობსიდიან ინვენტარში ბევრია საჭრისები, ძირითადად ლამელის გადანატეხის კუთხეზე ჩამოყალიბებული, გვხვდება გვერდითი, შუალა და კუთხის საჭრისები.

საფხეკებში სპარბობს ბოლოკიდურა ფორმები, ქვედა ჰორიზონტებში — უპირატესად ლამელებზე დამზადებული. რამდენადმე ნაკლებია ანატკეცების გვერდებზე ნაკეთები საფხეკები.

გარკვეული სერიით არის წარმოდგენილი არუხლო I-ის ინვენტარში სახვრეტები, ორ ზედა ჰორიზონტში უფრო მრავლად ანატკეცებზე ნაკეთები. III ჰორიზონტში ისინი თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდებიან ანატკეცებზეც და ლამელებზეც, ქვედა ჰორიზონტებში კი პირიქით, მეტია ლამელებზე ნაკეთები.

I და IV ჰორიზონტებში აღმოჩნდა ლამელებზე ნაკეთები ორი ბურღი. I სამშენებლო ჰორიზონტის ინვენტარში არის 5 გეომეტრიული მიკროლითი, 3 ტრაპეცია და 2 სეგმენტი. რამდენიმე გვერდრეტუშირებული მიკროლამელა აღმოჩნდა I და II სამშენებლო ჰორიზონტებზე. I ჰორიზონტის ინვენტარში გვხვდება ერთი ფოთლისებური მოყვანილობის ყუნწიანი ისრისპირი.

I და III ჰორიზონტებზე აღმოჩენილია ბაზალტის კაჟისა და ობსიდიანის მასიურ ანატკეცებზე დამზადებული რამდენიმე სახოკისებრი იარაღი.

გახეხილ-გაპრიალებული იარაღები ნამოსახლარზე წარმოდგენილია სოლისებური ცულებითა და სატეხებით; ამგვარი იარაღი მცირე რაოდენობითაა, მაგრამ მაინც პირველ ჰორიზონტში რამდენადმე მეტია, ვიდრე დანარჩენებში.

არუხლო I-ის ქვის ინვენტარში გვხვდება ხელსაფქვავები, სახეხები, საბაყები, ფილთაქვები, ხელჩაქუჩები, მცირე ზომის გრდემლები.

ტრასოლოგიური მეთოდით შესწავლილია ინვენტარის მცირე ნაწილი. ფუნქციონალური ანალიზის შედეგად აქ განისაზღვრა ხორცის დასამუშავებელი დანები, ნამგლის ჩასართები, ხოწები, ბოლოკიდურა და გვერდითი საფხეკები, სარანდი დანები, სატეხისებური იარაღები, საჭრისები, სახვრეტები,

ბურღები და ა. შ. ამ იარაღების ნაწილი დამახასიათებელი იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეურნეობისათვის. აქვე გვხვდება შინამრეწველობაში გამოსაყენებელი იარაღიც.

არუხლო I—III—IV სამშენებლო ჰორიზონტების ქვის ინდუსტრიის მიხედვით შეინიშნება ძეგლის არა მარტო კულტურული, არამედ ქრონოლოგიური სიახლოვე შულავერის გორასთან და იმირის გორასთან.

არუხლო II-ის სამოსახლო ბორცვი მდებარეობს არუხლო I-ის სამხრეთ-დასავლეთით. ნასოფლარი წაგრძელებული მოყვანილობისაა—70×100 მ; სიმაღლეა 3 მ.

ძეგლზე ჩატარდა მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები. 1973—74 წწ. ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში გაითხარა 32 კვმ ფართობი. სამოსახლოზე გამოიყო სამი სამშენებლო ჰორიზონტი.

I სამშენებლო ჰორიზონტი დაზიანებული აღმოჩნდა ოთხკუთხა მოყვანილობის გვიანდელი ქვის შენობით და სამეურნეო დანიშნულების ორმოებით. II სამშენებლო ჰორიზონტის დამწვარი და წითელი საღებავით შეღებილი თიხატკეპილი იატაკის ფრაგმენტი აღმოჩნდა 2 მ-ის სიღრმეზე. ამავე ჰორიზონტზე გაიწმინდა ალიზით ნაგები 2,60 მ-ის დიამეტრის სათაცრო. მის ქვემოთ გამოვლინდა III სამშენებლო ჰორიზონტის ალიზით ნაშენი ნაგებობის ფრაგმენტი, რომელიც იდგა განმარხებულ ნიადაგზე.

ნასოფლარზე აღმოჩნდა არუხლო I-სათვის დამახასიათებელი კასრისებური და ქილისებური თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ძვლისა და რქის იარაღები.

არუხლო II-ის ნამოსახლარზე მოპოვებულია რამდენიმე ობსიდიანის იარაღი და ყველა მათგანი, მცირე გამონაკლისის გარდა, მეორედაა დამუშავებული. იარაღების ნამზადებად გამოყენებულია სწორი პროფილის პრიზმული მოყვანილობის მსხვილი და საშუალო სიდიდის ლამელები. იარაღების მეორადი დამუშავების ტექნიკისათვის დამახასიათებელია დამაბლაგვებელი რეტუში.

იმის გამო, რომ კოლექცია მცირეა, ზოგიერთი სახეობის იარაღი წარმოდგენილია მხოლოდ ერთეული ეგზემპლარით. არუხლო II-ის ძირითადი იარაღის ტიპი არის ერთმხრივ ან, უფრო იშვიათად, ორმხრივრეტუშირებული ლამელა. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი საჭრისები, რომელთა შორის სჭარბობს ლამელების გადატეხის კუთხეზე ჩამოყალიბებული. არის აგრეთვე შუალა, გვერდითი და კუთხის საჭრისები. ამოღარული იარაღები წარმოდგენილია გვერდამოღარული ლამელებით. წვეტანა იშვიათია.

გახეხილი იარაღებიდან არუხლო II-ზე აღმოჩენილია სოლისებური ცული.

ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ წამყვანი სახეობის იარაღებია ხოწები, ერთი ან ორპირიანი ნამგლის ჩასართები, საჭრისები და

დანები. აქ, შომუ-თეფეს ნამგლის ჩასართების გარდა, წარმოდგენილია უფრო სრულყოფილი ჩასართებისაგან შემდგარი ნამგლები, რომლებიც ჩასმულია მოღუნულ ბუდეში, საფხეკები, ორპირიანი ხერხები, სატეხისებური საგნები, რეტუშორი და ცული. მრავლად აღმოჩნდა კომბინირებული იარაღი.

არუხლო III მდებარეობს სოფ. ასანხოჯალოს ჩრდილოეთით 50 მ-ზე. მისი დიამეტრია 80 მ, სიმაღლე — 3,5 მ. ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში 1969 წ. გაიჭრა შურფი (4×4 მ), რომელსაც აღმოსავლეთით მიება 1×20 მ სიგრძის სადაზვერვო თხრილი. შურფის სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით სამოსახლოს ამ მონაკვეთზე გამოიყო ორი სამშენებლო ჰორიზონტის კულტურული ფენა. აქ დაფიქსირებულია ალიზით ნაგები შენობის ფრაგმენტი. 1,70 მ-ის სიმაღლეზე გრუნტის დონიდან, თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ორმოსამარხის ნაშთი.

ძეგლზე მოპოვებული კერამიკული მასალა არუხლო I-სა და II-ის თიხის ჭურჭლის იდენტურია. ძვლის იარაღი წარმოდგენილია სადგისებითა და საჭრიალებლებით.

არუხლო III-ის ქვის ინვენტარში 200-ზე მეტი ობსიდიანის იარაღი აღმოჩნდა. ქვედა ჰორიზონტში იარაღები მასალის ნახევარზე მეტია, 6 ნუკლეუსის ნატეხია, დანარჩენი დაუმუშავებელი ლამელები და ანატკეცებია.

იარაღების წამყვანი სახეებია რეტუშირებული და ამოღარული ლამელები. ამოღარული ანატკეცები ძალზე ცოტაა. საჭრისები უპირატესად დამზადებულია გატეხილი ლამელის კუთხეზე, მცირე ოდენობით არის აღმოჩენილი აგრეთვე შუალა, გვერდითი, კუთხის და ნისკარტისებური საჭრისები, რეტუშირებული ანატკეცები, ლამელებზე ნაკეთები ასიმეტრიული წვეტანები და სხვა.

არუხლო III-ის ობსიდიანის ინვენტარის ტრასოლოგიური გაანალიზების შედეგად წამყვანი ტიპის იარაღებად წარმოგვიდგება ორპირი ნამგლის ჩასართები, ერთი ან ორსამუშაოპირიანი ხოწები, დანები, საჭრისები, საბოლოოდ ბრი დანები. დანარჩენ სახეობათა იარაღები წარმოდგენილია ნაკლები რაოდენობით. ეს არის საჭრისები, უმეტესად გვერდითი საჭრისები და სატეხისებური იარაღი. ძეგლის ინვენტარში ჭარბობს კომბინირებული იარაღი.

არუხლო III-ის სამხრეთ-დასავლეთით 100 მ-ზე მდებარეობს არუხლო IV სამოსახლო ბორცვი, რომელიც დაზიანებულია სამანქანო გზის მიერ. ეს ნასოფლარი ჯგუფში ყველაზე პატარაა. შემორჩენილი დიამეტრი 40 მ-მდეა, სიმაღლე — 1,20 მ.

მასალა ინახება ბოლნისის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ტ. ჩუბინიშვილი, ენეოლითური კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

2 ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1969 წ., თბ., 1971.

წოფი (ტაბ. XLIII, LIII 1—21)

წოფის ნამოსახლარი მდებარეობს მარნეულის რაიონში, სოფ. წოფის სამხრეთით 1 კმ-ზე, მდ. ბანუშჩაის მარცხენა კონცხისებურ ტერასაზე. ძეგლს 1965, 1969 და 1976 წლებში სწავლობდა ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია ტ. ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით.

გათხრების შედეგად მიწისზედა ნაგებობების კვალი არ გამოვლენილა. შედარებით დაცულ ფართობზე აღმოჩნდა 27 ორმო, რომელთა დიამეტრი 1.80 მ-ს არ აღემატება (მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ორმოში ბათქაშის ფრაგმენტები).

ძეგლზე მოპოვებული კერამიკა ძირითადად უხეშია, ქილის ფორმის, ბრტყელი, დაბალქუსლიანი ძირით, იშვიათად შემკულია კოპებით. გვხვდება სფერულტანიანი, პირგადაშლილი, ძაბრისებურყელიანი ჭურჭელი, რომელთა შორის ზოგიერთს ტალღისებური პირი აქვს. თიხის ნაწარმს კეცში შერეული აქვს დანაყილი კვარცი და ობსიდიანი, არის ბზენარევი კერამიკაც. აქვე გვხვდება წმინდა თიხისაგან ნაძერწი თხელკედლიანი, ვარდისფრად შეღებილი და გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. საინტერესოა გობისებური ფორმის ჭურჭელი, რომლის ქობა ოთხ ადგილას ამოზიდულია და გარეთ გადაშლილი. ჭურჭლის ზედა ნაწილს შემოუყვება სველ თიხაზე გაკეთებული ბრგვალი ნახვრეტები.

ქვის ინდუსტრია წარმოდგენილია ხელსაფქვავებით და მცირე ზომის საანაყით, ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულებით. ობსიდიანის ნაწარმში გვხვდება რეტუშირებული ლამელები, ანატკეცები გამოყენების კვალით. იარაღებში სჭარბობს საკრისები, საფხეკები და სახვრეტები. აქვეა აღმოჩენილი რამდენიმე სეგმენტი და ერთი სწორფუძიანი ორმხრივდამუშავებული ისრისპირი. აქვე აღმოჩნდა სამი ირმის რქის ფუძეზე ნაკეთები სატარენახვრეტიანი თოხი და ძვლის სადგისები. საინტერესოა თიხის ხარის ფიგურა. ორმოების შევსებაში გვხვდება აშკარად მოგვიანო ხანის ჩარხზე დამზადებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ მასალისა და არქაული იერის მქონე ინვენტარის ერთად აღმოჩენა ტერასის გადარეცხვით შეიძლება იყოს გამოწვეული. შესაბამისად, ძეგლზე დარღვეული კულტურული ფენებია წარმოდგენილი. ამ მოსაზრებას ადასტურებს ორი გარემოება: 1. ძეგლზე დაფიქსირებული ორმოების მხოლოდ ქვედა, ძირის ნაწილია შემორჩენილი, ზოგიერთ შემთხვევაში ორმო წარმოდგენილია მოყვითალო გრუნტზე შესამჩნევი მუქი ლაქით. თვით ორმოს მაქსიმალური სიმაღლე 40 სმ არ აღემატება. 2. კორდოვანი ფენის ქვემოთ, თითქმის მთელ გათხრილ ფართობზე, დადასტურდა ღორღნარევი ფენა (10—16 სმ). ამგვარად, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჯერ გადარეცხილია ენეოლითური ხანის მასალის შემცველი ორმოები, შემდეგ კი მასზე დაფენებულია არქეოლოგიური მასალის შემცველი ღოღნარევი შრე.

წოფის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ათას ექვსასამდე ნატკეცი ობსიდიანი, რომელთაგან მესამედზე მეტი მოდის მზა იარაღებზე; 3%-ით ნაკლებს შეადგენს ნუკლეუსები, დანარჩენი ინვენტარი წარმოდგენილია ანატკეცებით, ლამელებისა და ობსიდიანის ნამტვრევების სახით, მეორადი დამუშავების გარეშე. ამ ნამოსახლარის იარაღთა ნამზადებად გამოყენებულია წვრილი ანატკეცები, ძირითადად ოთხკუთხა მოყვანილობის; საშუალო და ფართო მსხვილი ლამელები, რომელთა შორის ჭარბობს სწორი პროფილის პრიზმული ლამელები.

ნუკლეუსები უმეტესად წარმოდგენილია წვრილი პრიზმული ორმხრივი დაწახნაგებით. გვხვდება აგრეთვე დისკოსებური მოყვანილობის წვრილი ნუკლეუსები.

წოფის ნამოსახლარის იარაღთა მეორადი დამუშავების ტექნიკა ხასიათდება წვრილი დამაბლაგვებელი და წვრილი წამახვილებელი რეტუშით, რომელიც დატანილია უპირატესად ერთ ან ორ გვერდზე ზურგის, იშვიათად — მუცლის მხრიდან.

იარაღის ტექნიკურ-მორფოლოგიური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მათი ძირითადი სახეობებია ერთ ან ორგვერდრეტუშირებული და გვერდამოღარული ლამელები. თითქმის ერთნაირი რაოდენობით არის წარმოდგენილი ისეთი სახეობის იარაღები, როგორიცაა რეტუშირებული ანატკეცები, ანატკეცებზე ნაკეთები ასტამები, საფხეკები და საჭრისები.

საფხეკებს შორის დამახასიათებელია ლამელებსა და ანატკეცებზე ნაკეთები ბოლოკიდურა საფხეკები, ერთეული ეგზემპლარებია ანატკეცებზე ნამზადები მომრგვალო მიკროსაფხეკები. საჭრისებს შორის ჭარბობს ლამელის გადატეხის კუთხეზე და ანატკეცებზე ნაკეთები. შემდეგ მოდის გვერდის, შუალა, კუთხოვანი და კომბინირებული საჭრისები. ინვენტარში მნიშვნელოვანი ოდენობით გვხვდება წვეტანები. ასიმეტრიული, ძირითადად ლამელებზე ნაკეთები სხვა ტიპის იარაღები წარმოდგენილია ერთეული ცალებით — გეომეტრიული მიკროლითები დაბალი სეგმენტის ფორმით, სამკუთხა მოყვანილობის სწორფუძიანი ორმხრივდამუშავებული ისრისპირი, გახეხილ-გაპრიალებული სოლისებური მოყვანილობის ცული.

გამოირკვა, რომ წოფის ნამოსახლარზე პრაქტიკულად ერთნაირი რაოდენობითაა იარაღების ძირითადი ჯგუფები: დანები, ნამგლის ჩასართები და საფხეკები. მათი უმრავლესობა გვერდითი სამუშაოპირიანი იარაღებია, რომლებიც ნაკეთებია უმეტესწილად რეტუშიან ან ურეტუშო ლმელებსა და ანატკეცებზე. ინვენტარის დიდ ნაწილს შეადგენს ხოწები და ამოღარული იარაღები. ჭარბად არის წარმოდგენილი რეტუშიან და ურეტუშო ლამელებსა და ანატკეცებზე ნაკეთები სარანდი დანები, სატეხისებური იარაღები, საჭრისები, ბურღები და სახვრეტები, ერთეულ ცალად — სანადირო იარაღის ჩასართები (მიკროსეგმენ-

ტები და ისრის წვერები), საჭრისი, ხერხი და გახეხილი ცული. ბევრია კომბინირებული იარაღი.

წოფის ინვენტარში აღმოჩენილია „შომუ-თეფის ტიპის“ შედგენილი ნამგლის ჩასართები. არის აგრეთვე ამ ნამოსახლარზე ცნობილი დაკბილული მსხვილრეტუშიანი სამკელი დანა. აქვეა ნაპოვნი ორი დიდი ზომის ობსიდიანის ლამელა.

დანისებური ლამელები იხმარებოდა უკვე როგორც ტარიანი დანების ჩასართები. საფხეკებში სჭარბობს რეტუშიან და ურეტუშო ლამელებსა და ანატკეცებზე ნაკეთები გვერდითი საფხეკები, მსგავსადვე ნაკეთები ადრეული იერის ბოლოკიდურა საფხეკები და რამდენიმე მიკროსაფხეკი.

მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია:

[1] გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, ტ. I, თბ., გვ. 67—70.

[2] ტ. ჩუბინაშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს“, თბ., 1971.

3. Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971.

4. Д. Д. Гогелия, Квемо-Картлийская археологическая экспедиция 1979—1980 гг., ПАИ в 1980 г. Тб., 1982.

5. Д. Д. Гогелия, Л. М. Челидзе, Г. Б. Авалишвили, Краткий отчет о полевой работе Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1985—86 гг., ПАИ в 1986 г.

სიონი (ტაბ. XLIV—XLV)

სიონის ნასახლარი მდებარეობს მარნეულის რაიონის სოფ. სიონში, მდ. ხუდისწყლის შარცხენა ტერასაზე. ძეგლს შეისწავლის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია თ. კიღურაძის ხელმძღვანელობით.

სიონი, როგორც წოფი, გეოგრაფიულად შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების ზონაშია მოქცეული. ორივე ძეგლი, შულავერის კულტურის ძეგლებისაგან განსხვავებით, შედარებით მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან.

სიონში ადრესამიწათმოქმედო პერიოდის მხოლოდ ერთი ფენაა, რომელიც წარმოდგენილია ერთი, მაქსიმუმ ორი საშენებლო ჰორიზონტით. აღნიშნული კულტურული ფენა დაზიანებულია შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხებით. ვარაუდობენ, რომ ძეგლზე წარმოდგენილია ნახევრადმიწურები, რომელთა ქვის საძირკველზე ალიზის კედელი უნდა მდგარიყო.

აქ აღმოჩენილი მასალა თითქმის ერთგვაროვანია, მეტად მრავალრიცხოვანია კერამიკული ნაწარმი, რომელიც ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი. თიხის ჭურჭელი მთლიანად ხელით ნაძერწია. გავრცელებულია დაბალყელიანი, გამობერილმუცლიანი ჭურჭლები, მაღალყელიანი და პირმოყრილი ქილის ფრაგმენტები. აქვეა ერთი ჯამისებური ჭურჭლის ფრაგმენტი.

თიხის ჭურჭლის ზედაპირი ძირითადად მოყავისფრო, მოვარდისფროა. იშვიათია აგურისფრად გამომწვარი. ჭურჭლის ნაწილს ზედაპირიც და სარჩულიც შავი ფერისა, ხოლო მცირე ნაწილს ვარდისფრად კარგად გაპრიალებული სარჩული და ლეგა ფერის ზედაპირი აქვს, კერამიკა კარგადაა გამომწვარი, კეცში შერეულია როგორც ორგანული, ასევე არორგანული ნივთიერებები. ძირითადად გავრცელებულია ბრტყელძირა, რამდენიმე ფრაგმენტი კი მომრგვალებულძირიან ჭურჭელს ეკუთვნის.

რელიეფური ნაძერწობა, ორნამენტის სახით, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დადასტურებული. სამაგიეროდ, სიონში აღმოჩენილ კერამიკას ახასიათებს პირების შემკობა სხვადასხვა ორნამენტით: სწორი ან ირიბი ვიწრო ჭდეებით, სავარცხლისებური შტამპით დატანილი ნაჭდევებით, წრიული ან ოვალური ფოსოებით და სხვა. რამდენიმე ფრაგმენტს აქვს პირთან ტალღისებური ნაპირი.

ქვის მასალა წარმოდგენილია ობსიდიანით. მის საერთო რაოდენობაში მეტია ანატკეც-ანამტვრევები, რომელთა შორის სჭარბობს დამუშავებული ცალები. იარაღების ნაწილი დამზადებულია ლამელებზე. არის ერთი მიკროლამელაც. ლამელების ერთი ჯგუფი დამუშავებულია მცოცავი ან დაწოლილი რეტუშით ზურგის მხრიდან. იარაღებს შორის სიმრავლის მიხედვით სჭარბობს სათლელისებური იარაღები: საფხეკები, საჭრისები და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ № 1 სათავსოში აღმოჩნდა „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართი.

სიონის ადრესამიწათმოქმედო ფენას ეკუთვნის ბაზალტის უხეში საჩეხ-საპობი იარაღი, სხვადასხვა მოყვანილობის სახეხ-სასრესები და ერთი გახეხილ-გაპრიალებული იარაღის ფრაგმენტი.

ძვლის იარაღი წარმოდგენილია ადრესამიწათმოქმედო პერიოდისათვის დამახასიათებელი სადგისებით და ერთი ბეჭის ძვლისაგან დამზადებული ცულისმაგვარი იარაღით.

სიონში აღმოჩენილია ობსიდიანის ნუკლეუსი. იარაღების მეტი ნაწილი ფაფორმებულია ლამელებზე როგორც დამაბლაგვებელი, ისე წამამახვილებელი რეტუშით, რომელიც დატანილია ზურგის ან მუცლის მხრიდან. სიონისათვის დამახასიათებელი არ არის საწინაღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუში, სამაგიეროდ აქ გვხვდება მაღალი მცოცავი რეტუშით გაფორმებული იარაღების სერია.

იარაღის ძირითადი ტიპები წარმოდგენილია რეტუშირებული ლამელებით. ამოღარული და სატეხისებური იარაღები დამზადებულია ლამელებსა და

ანატკეცებზე. 295 ანატკეცს გვერდზე ეტყობა ნაწილობრივი რეტუშის და გამოყენების კვალი. საფხეკები წარმოდგენილია ძირითადად ლამელებსა და ლამელისებურ ანატკეცებზე ნაკეთები ბოლოკიდურა ფორმებით. მათი სამუშაო პირი სხვადასხვა მოყვანილობისაა. რამდენიმე ცალი გამოყვანილია მცოცავი რეტუშით ზურგის მხრიდან. აქ ორი მიკროსაფხეკია. აღმოჩენილია 7 სახოკი, დამზადებული მასიურ ანატკეცებზე, რომელთაც სამუშაო პირი უხეშად აქვთ გამოყვანილი.

ინვენტარში ბევრია საჭრისი, ძირითადად ლამელის გადატეხვის კუთხეზე ჩამოყალიბებული. გვხვდება შუალა და გვერდითი საჭრისი. სახვრეტების უმრავლესობა ნაკეთებია ანატკეცებზე.

გამოიყოფა ლამელებზე ნაკეთები 5 დანა, რომელთაც ერთი გვერდი დამუშავებული აქვთ გამაფხიანებელი რეტუშით, მოპირდაპირე გვერდი კი დაბლაგვებულია. ერთი გრძელი, ვიწრო ლამელაა, რომლის ორივე გვერდი დაბლაგვებულია ციცაბო მაღალი რეტუშით, რის გამოც ლამელის განივკვეთი ტოლფერდა ტრაპეციაა. სიონში აღმოჩნდა ერთი „შომუთეფეს ტიპის" ნამგლის ჩასართი. კიდევ 4 ნამგლის ჩასართს სამუშაო პირზე დამახასიათებელი ბზინვა ეტყობა. ერთი ნამგლის ჩასართი ნაკეთებია კაჟის ლამელაზე, რომლის ცალი გვერდი დაკბილულია წნევითი რეტუშით.

ნამოსახლარის ინვენტარში გვხვდება რამდენიმე კომბინირებული იარაღი.

ქვის ხელსაფქვავები არ აღმოჩენილა.

ოსტეოლოგიურ მასალაში სპარბობს შინაური ცხოველების ძვლები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნამოსახლარზე მესაქონლეობას ერთგვარად წამყვანი როლი ეკავა მეურნეობაში.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

მ. მ ე ნ ა ბ დ ე, თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981.

არუხლო VI (ტაბ. XLVI—L)

არუხლო VI მდებარეობს ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის, არუხლო I-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 მეტრზე, გვიანბრინჯაოს ხანის ყორღანის ყრილის ქვეშ. ძეგლის გათხრები აწარმოვა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვეშო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. გოგელიას ხელმძღვანელობით. აქ გაითხარა 6×6 მ ფართობი, რომლის ჩრდილოეთით გაკეთებულ სა-

კონტროლო ჭრილში ენეოლითური ფენის სიმძლავრე 1 მეტრამდეა. ამ ფართობზე, 0,20—0,30 მ-ის სიღრმეზე თანამედროვე ველის დონიდან ნაგებობის კვალი არ გამოვლენილა, კულტურული ფენა კი ჭარბად შეიცავდა არქეოლოგიურ მასალას. მატერიალურ ნაშთებში ყველაზე მრავალრიცხოვანია ხელით ნაძერწი კერამიკული ნაწარმი, რომელიც ძირითადად ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. თიხის ჭურჭელი კარგადაა გამომწვარი, თიხაში გასამჭლეებლად შერეულია როგორც არაორგანული ნივთიერებანი (ხვინჭა, ქარსი, სილა, კირქვა), ასევე ორგანული მინარევი (ნამჯა, ბზე).

ძირითადად გავრცელებულია კასრისებური ფორმის, ოდნავ პირგადაშლილი, შებერილმუცლიანი ჭურჭლები და ჯამისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ უკანასკნელს, ზოგ შემთხვევაში, უსწორმასწორო პირი და ჯერ კიდევ სველ თიხაზე დატანილი გამჭოლი ნახვრეტები აქვს ტანზე.

ჭურჭლის ზედაპირი იშვიათად კარგად მოგლუვებული და გაპრიალებულია, რამდენიმე ფრაგმენტს ემჩნევა ანგობის კვალი. პირები უმეტესად მომრგვალებულია; იშვიათად გვხვდება წაკვეთილი, ბრტყელი პირებიც.

აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ბრტყელძირიანია, ხასიათდება დაბალი, ოდნავგაპოყვანილი ქუსლით ან ბლაგვკუთხა გადასვლით კედელზე. სამი ფრაგმენტი შემკულია რელიეფური ორნამენტით, კოპისებური დანაძერწით და რელიეფური სარტყელით.

ძვლის იარაღები წარმოდგენილია ორი სადგისით და ერთი ოვალურსაშუაპირიანი საპრიალებლით.

საკმაოდ მრავალფეროვანია ქვის იარაღი. აქ აღმოჩნდა: დისკოსებური ფორმის ბაზალტის ნუკლეუსი, რომელსაც ორივე გვერდზე ეტყობა ათლის კვალი; ქვის ოვალურგანივკვეთიანი გახეხილ-გაპრიალებული ცული; ქვის ვიწრო სათლელისებური იარაღი; რამდენიმე ქვის ცულის ნამზადი. აქვე აღმოჩნდა ტუფის 2 სახეხ-საპრიალებელი.

მრავალფეროვანია ობსიდიანის იარაღები, რომელთა მეტი ნაწილი ლამელაზეა ნაკეთები. გვხვდება ანატკეცებსა და ანამტვრევებზე დამზადებული იარაღებიც. იარაღებს შორის მრავალრიცხოვანია საფხეკები, სათლელი—ხოწები, დანები, სახვრეტები, ბურღები, კომბინირებული იარაღები და სხვა.

ზედაპირიდან 0,30—0,40 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების სამი ორმო. ენეოლითურ ფენაში ნაპოვნია რამდენიმე ბათქაშის ფრაგმენტი და ოვალური მოყვანილობის ბრტყელზედაპირიანი ქვა, რომელიც, შესაძლოა, ბოძის საყრდენ, იატაკში ჩასმულ ბალიშად გამოიყენებოდა.

№ 1 ორმო ოვალური მოყვანილობისაა, მისი დიამეტრია 0,80 მ, ძირისაკენ ოდნავ ფართოვდება, ჩაჭრილია 0,50 მ-ის სიღრმეზე. ორმოში აღმოჩენილი მასალიდან აღსანიშნავია ტაფისებური თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც უსწორმასწორო პირის ქვემოთ დატანილი აქვს გამჭოლი ნახვრეტები; აქვე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ორი ფრაგმენტი, რომელსაც პირთან მიძერ-

წილი აქვს მასიური ოვალურგანივკვეთიანი ყური, რელიეფური კოპით ორნამენტირებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ირიბი ხაზებით პირდაჭდეულ ჭურჭლის ნატეხი და გამომწვარი თიხის კვირისთავი.

მასალა ინახება ბოლნისის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

Д. Д. Гогелия, Л. М. Челидзе, Г. Б. Авалишвили, Краткий отчет о полевой работе Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1985—86 гг., ПАИ в 1986 г.

წითელი სოფელი (ტაბ. LI)

ნამოსახლარი მდებარეობს ბოლნისის რაიონში, წითელი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე. ძეგლის გათხრები აწარმოვა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. გოგელიას ხელმძღვანელობით.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის მასალა გამოვლინდა აქ გათხრილ 18 სამეურნეო დანიშნულების ორმოში. მათი შემორჩენილი სიმაღლე 0,30—1,10 მეტრამდეა. დიამეტრი ორმოს პირთან 0,60—1,10 მ-ია, ძირისაკენ ფართოვდება; როგორც ჩანს, ზემოდან ეფარა ოვალური მოყვანილობის გათლილი ბრტყელი ქვა.

აქ აღმოჩენილი კერამიკის ნაწარმი ხელით ნაძერწია, მურამოყავისფროდ, მოშავოდ ან მონაცრისფროდ გამომწვარი. თიხა მსხვილმარცვლოვანია, ზოგ შემთხვევაში სხვა არაორგანულ მინარევებთან ერთად კეცში შერეული აქვს ობსიდიანის ნამტვრევები. ძირითად ფორმად წარმოგვიდგება დაბალყელიანი, შებერილმუცლიანი ჭურჭლები, არის თხელკედლიანი ფრაგმენტებიც. გავრცელებულია ჭურჭლის პირების შემკობა. რამდენიმე შემთხვევაში პირზე დატანილია ირიბი ნაჭდევები, გვხვდება სხვადასხვა მოყვანილობის ფოსოებით შემკული პირის ფრაგმენტები. ერთ შემთხვევაში ჭურჭლის პირი ირიბად დატანილი სავარცხლის შტამპით არის დაჭდეული.

ქვის მასალა წარმოდგენილია ერთი გატეხილი ხელსაფქვავით, მცირე რაოდენობის კაჟისა და ობსიდიანის ბარაღ-ანატკეცებით. ორ შემთხვევაში დადასტურდა ობსიდიანის ლამელაზე დატანილი მაღალი მცოცავი რეტუში. ორმოებშივე აღმოჩნდა ცხოველის ძვლების ნაშთები და ბათქაშის რამდენიმე ნატეხი.

მასალა ინახება ბოლნისის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

Д. Д. Гогелия, Л. М. Челидзе, Г. Б. Авалишвили, Краткий отчет о полевой работе Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1985—1986 гг. ПАИ в 1986 г.

ჯავახი (ტაბ. LII)

ჯავახის ენეოლითური ხანის სადგომი მდებარეობს დმანისის რაიონში (1000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან), მდ. მაშავერას მარცხენა, მაღალი ტერასის ძირში. ადრესამიწათმოქმედო ხანის კულტურული ფენა აქ აღმოჩნდა ფარდულის ქვემოთ, სადაც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გაკეთდა სადაზვერვო თხრილი.

აქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია ხელით უხეშად ნაძერწი თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტით. ერთს კორპუსზე დატანილი აქვს გამჭოლი ნახვრეტი. ქვის ინდუსტრია წარმოდგენილია ობსიდიანის იარაღ-ანატკეცებით. ქვის იარაღების მეორადი დამუშავების ტექნიკით და ტიპოლოგიური შემადგენლობით ჯავახის მასალა ახლოს დგას სიონის ქვის ინვენტართან.

მასალა ინახება არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია

Д. Гогелия, Квемо-Картлийская археологическая экспедиция 1979—1980 гг., ПАИ 1980 г., Тб., 1982.

კახეთის ენეოლითური ძეგლები

ენეოლითის ხანის ნამოსახლარები შეისწავლება ლაგოდეხის რაიონის სოფელ ულიანოვკასთან კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდის მასალა აქ გამოვლენილია ბორცვებზე. № 1 და № 2 ნამოსახლარი განადგურებულია. არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა № 3 ნამოსახლარზე. ბორცვის დიამეტრი 70 მ, სიმაღლე 1,5 მ. ძეგლი ერთფეროვანია, დაზიანებულია ბედენური ხანის სამარხით და სადრენაჟე არხებით.

გამოვლენილ თიხის ჭურჭელზე გვხვდება რელიეფური კოპები, ჰორიზონტალური შვერილები. არის მასიურყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვეა აღმოჩენილი პირდაპდეული და ზემოდან ჩახვრეტილფოსოებიანი კერამიკის ფრაგმენტები, ტალღისებურპირიანი კერამიკა და სხვა. ქვის ინდუსტრია წარმოდგენილია ობსიდიანის ნუკლეუსებით, რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულებით, ობსიდიანის იარაღ-ანატკეცებით და ნავისებური მოყვანილობის ხელსაფქვავით.

ძვლის იარაღი შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. გვხვდება სადგისები, საპრიალებელი და ერთი კოვზის ფრაგმენტი.

მნავანი მასალა აღმოჩნდა № 4 ნამოსახლარზე, რომელიც ერთი კილომეტრითაა დაცილებული № 3 ნამოსახლარისაგან. ბორცვის დიამეტრია 40—50

მ, სიმაღლე—1,5 მ. ორივე ძეგლზე გამოვლენილია სამეურნეო დანიშნულების ორმოები (დიამეტრი 0,40—1,0).

ასევე ენეოლითურ ხანას განეკუთვნება ყორღანული სამარხის — „დამწვარი გორის“ — ქვემოთ გამოვლენილი კულტურული ფენა. ძეგლზე მიწურის ტიპის ნაგებობის არსებობა ივარაუდება.

მასალა ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ვ. ვარაზაშვილი, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან, კაე, IV, თბ., 1980.

2 მისივე, ნამოსახლარი „დამწვარი გორა“, 1980 წლის საველე მუშაობის შედეგები, კაე IV, თბ., 1984 .

დელისი

საყურადღებოა ქ. თბილისში, ე. წ. დელისის ნამოსახლარზე, მიკვლეული კულტურული ფენა, სადაც ენეოლითური ხანის სამოსახლოებისათვის დამახასიათებელი მასალა აღმოჩნდა. ძეგლი შეისწავლებოდა თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით.

წინამტკვარარაქსული ხანის კულტურული ფენა გათხრილ ფართობზე თითქმის მთლიანად დარღვეულია და ყველა დონეზე, თვით გრუნტზედაც, აღმოჩენილია ადრე და შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ძეგლზე ივარაუდება სარლასტიანი წრიული ნაგებობის არსებობა. თიხის ჭურჭლის ერთეულ ფრაგმენტებს აქვს შულავერ-შომუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი რელიეფური ორნამენტი. კერამიკული ნაწარმი გარკვეულ მსგავსებას პოულობს სიონის თიხის ჭურჭლის ზოგიერთ ფორმასთან, თუმცა განსხვავებულია ქვის ინვენტარი. აქ წარმოდგენილი ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები ძირითადად უსახოა და დაბალია მეორადი დამუშავების ტექნიკა.

მასალა ინახება თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში.

ბიბლიოგრაფია

1 რ. აბრამიშვილი, ე. გოგაძე, ნ. თუშიშვილი, კ. კალანდაძე, დ. მუსხელიშვილი, ალ. რამიშვილი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ.“. თბ., 1973.

2 რ. აბრამიშვილი, დელისის ნასახლარი, „თბილისის არქეოლოგიური ძეგლები“, თბ., 1981.

არაგვის ხეობაში, მდ. არაგვის მარჯვენა ტერასაზე, ყინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით მიაკვლია მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის ძეგლებს. სოფ. ბოდორნაში ენეოლითური ხანის კულტურული ფენა დაზიანებულია ადრე შუასაუკუნეების პერიოდის სამარხებითა და ქვაყრილებით. აქვე აღმოჩნდა სამეურნეო დანიშნულების ორმო. მისი დიამეტრი 1,80 მეტრია. თანამედროვე მიწის ზედაპირიდან ჩაჭრილია 1,40 მეტრზე. აღმოჩენილი ენეოლითური მასალა მცირერიცხოვანია. კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია უსახო ნიმუშებით. აქვეა ნაპოვნი გატეხილი ხელსაფქვავი, ქვის სახეხ-საპრიალებელი, რეტუშორი და ობსიდიანის ანატკეცი-ანამტვრევები დამუშავებისა და გამოყენების კვალით.

სოფ. ყინვალში ენეოლითური ხანის კულტურული ფენა აღმოჩნდა ადრე შუასაუკუნეების სამაროვნის ქვეშ. გამოვლენილი ენეოლითური მასალა წარმოდგენილია უსწორმასწორო, ტალღისებურპირიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით, სუსტად პროფირილებული ცილინდრულყელიანი ჭურჭლის პირგვერდის ნატეხებით, ქვის მცირე ზომის სანაყებით, ხუთი გახეხილ-გაპრიალებული ხელცულითა და ობსიდიანის ანატკეცი-ანამტვრევებით.

სოფ. არანისში ენეოლითური ხანის კულტურული ფენა დაზიანებულია ფეოდალური ხანის ნასახლარითა და მტკვარარაქსული ეპოქის სამეურნეო ორმოებით. რამდენიმე შემთხვევაში ამ ორმოებს ჩაჭრილი აქვთ ენეოლითური მასალის შემცველი ფენა. ძეგლზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია უსწორმასწორო, ტალღისებურპირიანი ჭურჭლისა და ირიბი ხაზებით პირდაჭდეული პირისა და კორპუსის ფრაგმენტებით. ერთი პირგადაშლილი ჭურჭლის ფრაგმენტი შემკულია ნაჭდევი ორნამენტით. აქვე აღმოჩნდა ქვის ცულის ნამზადი, მცირე ზომის სანაყი და ობსიდიანის ანატკეცი-ანამტვრევები. საყურადღებოა ირმის რქის ფუძისა და წანაზარდისაგან ნაკეთები იარაღის და ძვლის სადგისების აღმოჩენა.

სოფ. აბანოსხევთან, მდინარე არაგვის მარცხენა I ტერასაზე, ერთი კილომეტრის რადიუსით, სამ პუნქტში აღმოჩნდა ენეოლითური ხანის კულტურული ფენა: „ხიმშიანთმიწები", „ნაქალაქარი" და „წყალსაცავის ზონა". აქ აღმოჩენილია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა და ქვის იარაღები.

მსგავსი მასალა გამოვლინდა აგრეთვე სოფ. ჩინთის მახლობლად და ხერთვისში, ძველი ჰესის ტერიტორიაზე.

მასალა ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში.

ბიბლიოგრაფია:

[1] გ. ჩიქოვანი, არაგვის ხეობის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების ტოპოგრაფია და გავრცელების რეჟა, ხელნაბეჭდი დაცულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

2. Р. Рамишвили, Б. Джорбенадзе, М. Маргвелашвили и др., Археологические исследования в Арагвском ущелье. ПАИ в 1977 г., Тб., 1980.
3. Р. Рамишвили, Б. Джорбенадзе и др., Археологические исследования в Арагвском ущелье, ПАИ в 1978 г., Тб., 1981.
4. Р. Рамишвили, Б. Джорбенадзе и др., Археологические исследования в Душетском районе. ПАИ в 1982 г., Тб., 1985.

ბერიკლდეები

ძეგლი აღმოჩენილია ქარელის რაიონში მდინარე მტკვრის და მისი მარცხენა შენაკადის, ფრონეს შესართავთან მდებარე კონცხზე. ნამოსახლარს იკავებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. გათხრილ 800 კვმ ფართობზე დადასტურებულია 195 სმ სისქის ხუთი კულტურული ფენა: მტკვარარაქსამდელი, მტკვარარაქსული, ბედენური, შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს, რომელთა შორის სტერილური შრეები არ გამოვლენილა.

ენეოლითური ხანის ფენის სიმძლავრე 25 სმ-ია და უშუალოდ გრუნტზე მდებარეობს. აქ აღმოჩნდა სქელკედლიანი, დიდი ზომის ნამჯანარევი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; საშუალო ზომის, სფერულტარიანი ჭურჭლები, მკვეთრად გადაშლილი პირით, რომელთაც მოვარდისფრო ნაპრიალები ზედაპირი ღია მოყავისფრო ანგობით აქვს დაფარული. ცალკე ჯგუფში ერთიანდება უხეშად ნაძერწი კვერცხისებურტანიანი 40—50 სმ სიმაღლის ჭურჭლები დაბალი ცილინდრული ყელით. აქვე აღმოჩნდა კაჟის ნეოლითური იერის ლამელები და საფხეკი.

მასალა დაცულია. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია:

Л. И. Глонти, А. И. Джавахишвили. Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита — поздней бронзы в Шида Картли-Бериклдееби. КСИА. 192 М., 1987.

თანდიწყარო I

თანდიწყარო I ენეოლითური ნამოსახლარის ნაშთი მდებარეობს სოფელ ხელთუბნის (გორის რაიონი) სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთ კილომეტრზე, ე. წ. თანდიწყაროს მიდამოებში, აქვე აღმოჩენილი ხელთუბნის № 10 ყორღანის ყრილის ქვეშ. ნამოსახლარის კულტურული ფენა, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 0,55 მეტრია, წარმოდგენილი იყო ერთ დონეზე გაშლილი რიყის დამტვრეულ ქვებთან ერთად განფენილი თიხის ჭურჭლის ნატეხებით, ცხოველთა ძვლების ფრაგმენტებით და სხვა. აქვე გაიწმინდა რამდენიმე ენეოლითური მ-

სალის შემცველი ორმო და შენობის მოლესილ-მომწვარი იატაკის მცირე ნაშთი. თანდიწყარო I, აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფორმით, ბიბილოსებური თუ დასერილ-დაჭდეული პირით, გახეხილ-გაპრიალებული ქვის ცულით, დისკოსებური ხელსაფქვავებით და ობსიდიანის იარაღით ბევრ საერთოს ძიებულობს წოფის, სიონის, წითელი გორების, არაგვის ხეობისა და დასავლეთ საქართველოს შღვიმური ენეოლითური კულტურის მასალასთან.

მასალა ინახება არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია:

1. Г. М. Миндиашвили, Экспедиция Горийского района, ПАИ в 1983 г., Тбилиси, 1986.
2. Г. М. Миндиашвили. Г. Ч. Чиковани, Экспедиция Горийского района в 1986 г.

ლიტერატურა

1. დ. გოგელია, დასახლების თავისებურება არუხლო I-ზე, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", VII, თბ., 1979.
2. ვ. ვარაზაშვილი, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან. „კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები", IV, თბ., 1980.
3. ა. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", თბ., 1970.
4. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი საქართველოში, თბ., 1979.
5. თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
6. ლ. მარუაშვილი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1981.
7. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.
8. მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ვ. გოცაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცის 1978—79 წლების მუშაობის შედეგები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები", VII, თბ., 1977.
9. მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974—75 წლების მუშაობის ანგარიში, სსმაე V, თბ., 1977.
10. მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981.
11. ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
12. დ. უკლება, აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, თბ., 1963.
13. დ. უკლება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანშაფტები და ფიზიკური გეოგრაფიული რაიონები, თბ., 1974.
14. გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე თბ., 1981.

15. ზ. ქიქოძე, ი. ქორიძე, ფარავანის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წ. ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში.
სსმ ექსპედიციები, VI, თბ., 1985.
16. ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე, ალ. ჯავახიშვილი, ხრამის დიდი გორის ანტროპომორფული ქანდაკებები, „ძეგლის მეგობარი", № 33, 1973.
17. გ. ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ., 1984.
18. ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.
19. ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—66 წწ.), „მაცნე", № 3, 1967.
20. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
21. Абибулаев О. А., Некоторые итоги изучения холма Кюль-тепе в Азербайджане, СА, 1863, № 3.
22. Абибулаев О. А., Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевани в 1955 г. МИА, 67, 1959.
23. Абибулаев О. А., Погребальные памятники из поселения Кюль-тепе. АИА, Баку, 1965.
24. Аразова Р. Б., Махмудов Ф. Р., Нариманов И. Г., Энеолитическое поселение Таргалар-Тепеси, АО 1972 г., М., 1973.
25. Бадер Н. О., Раннеземледельческое поселение Телль Сотто (по раскопкам 1971, 1973—74 гг.), СА, № 4, 1975.
26. Бадер Н. О.. Телль Магзалия — раннеземледельческий памятник на Севере Ирака, СА, 1979, № 2.
27. Бендукидзе О. Г., Об остатках диких позвоночных животных из Арухло, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის" VII. თბ., 1978.
28. Векуа А. К., Животный мир Восточной Грузии в эпоху энеолита по материалам поселения Арухло I, Человек и окружающая его среда, Тбилиси, 1984.
29. Гаджиев М. Г., Новые данные о южных связях Дагестана в IV—III тыс. до н. э. КСИА, в. 108, 1966.
30. Гаджиев М. Г., Древнейшие поселения горного Дагестана в кн.: «Древние и средневековые археологические памятники Дагестана», Махачкала, 1980.
31. Гогелия Д. Д., Челидзе Л. М., Авалишвили Г. Б., Краткий отчет о полевой работе Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1985—86 гг.. ПАИ, 1986 г.
32. Гогелия Д. Д., Челидзе Л. М., Краткий отчет о работе Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1983 г. ПАИ 1983, Тбилиси.
33. Гогелия Д. Д., Квемо-Картлийская археологическая экспедиция 1979—80 гг., ПАИ в 1980 г., Тб., 1982.
34. Гогелия Д. Д., Челидзе Л. Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции. ПАИ, 1982, Тбилиси, 1985.
35. Гогичайшвили Л. К., Растительность низменности и предгорий Квемо-Картли в голоцене. «Человек и окружающая его среда», Тбилиси, 1984.
36. Горгидзе А. Д., Русишвили Н. Ш., Ботанический состав древнейших пшениц Грузии. «Человек и окружающаяся его среда», Тбилиси, 1984.

37. Джавахишвили А. И., Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973.
38. Джанелидзе Ч. П. К реконструкции природных условий эпохи существования раннеземледельческой культуры Восточной Грузии «Человек и окружающая его среда», Тбилиси, 1984.
39. Иессен А. А., Кавказ и Древний Восток в IV—III тыс. до н. э. КСИА, вып. 93, 1963.
40. Иессен А. А., Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, № 125, 1966.
41. Кигурадзе Т. В., Дилбарян М., Новые данные о принципах планировки раннеземледельческих поселений Южного Кавказа. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თეზისები, თბ., 1983.
42. Коробкова Г. Ф., Древнейшие землекопные орудия из Арухло I. მასალები საქართველოსა დ კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII, თბ., 1979.
43. Лисицына Г. Н., Прищепенко Л. В., Палеоэтноботанические находки Кавказа и Ближнего Востока, М., 1977.
44. Мардалейшвили Р. К., Джанелидзе Ч. П., Сравнительный анализ диагностических показателей современных и голоценовых погребенных почв Марнеульской равнины. «Человек и окружающая его среда», Тбилиси, 1984.
45. Массон В. М., Поселение Джейтун, МИА, № 180, 1971.
46. Махмудов Ф. Р., Нариманов И. Г. О раскопках на поселении Аликемектепеси, АО, 1971 г, М., 1972.
47. Махмудова Ф. Р., Нариманова И. Г., Раскопки поселения Аликемектепеси. АО, 1974 г. М., 1975.
48. Мунчаев Р. М., Энеолит Кавказа, в кн. «Энеолит СССР», Москва, 1982.
49. Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, Москва, 1975.
50. Нариманов И. Г., Древнейшая земледельческая культура Закавказья, VII Международный конгресс доисториков и происториков, доклады и сообщения археологов СССР, Москва, 1966.
51. Нариманов И. Г., Исмаилов Г. И., Акстафачанское поселение близ г. Казаха, СА, № 4, 1962.
52. Нариманов И. Г., Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1982.
53. Нариманов И. Г., Археологические исследования поселения Шомутепе в 1963 г. в кн.: «Археологические исследования в Азербайджане», Баку, 1965.
54. Нариманов И. Г., Исследование энеолитических поселений в Азербайджане. АО 1967 г. М., 1968.
55. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. и др. Археологические исследования в Душетском районе, ПАИ в 1982 г., Тбилиси, 1985.
56. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. и др. Археологические исследования в Арагвском ущелье, ПАИ в 1978 г. Тбилиси, 1981.
57. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В., Маргвелашвили М. и др., Археологические исследования в Арагвском ущелье, ПАИ в 1977 г., Тбилиси, 1980.

58. Титов В. С., Первое общественное разделение труда. Древнейшие земледельческие и скотоводческие племена. КСИА, 88, 1962.

59. Торосян Р. М., Раннеземледельческая культура Армении (по материалам поселения Техут). Автореферат кандидатской диссертации, Ереван, 1971.

60. Челидзе Л. М., Развитие каменной индустрии в эпоху энеолита на территории Восточной Грузии. Человек и окружающая его среда, Тбилиси, 1984.

61. Чубинишвили Т. Н., К древней истории Южного Кавказа. Тбилиси, 1971.

62. Чубинишвили Т. Н., Некоторые особенности древних культур Южного Кавказа и их взаимоотношения с переднеазиатскими культурами IV—III тыс. до н. э., «Вопросы Древней истории» (Кавказско-Ближневосточный сборник, IV), Тбилиси, 1973.

63. Чубинишвили Т. Н., Челидзе Л. М., К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры VI—IV тыс. до н. э. «Мацне», № 1, Тбилиси, 1978.

64. Янушевич З. В., Русишвили Н. Ш., Новые палеоэтноботанические находки на энеолитическом поселении Арухло I, «Человек и окружающая его среда», Тбилиси, 1984.

65. D. Kirkbridr Umm Dabaghiyah 1971, a preliminy reoport. Iraq, V XXXIV London, 1972.

66. D. Kirkbride, Umm Dabaghiyah 1972, a second, preliminary report. Iraq V XXXV, London, 1973.

თავი II

ადრებრინჯაოს ხანა

§ 1. ადრებრინჯაოს ხანის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში

IV ათასწლეულის მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიაში ნეოლით-ენეოლითური ხასიათის კულტურა ქრება და ადგილს უთმობს ახალ, მძლავრ არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. იგი დღეს მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი.

აღნიშნული კულტურის პირველაღმომჩენმა ბ. კუფტინმა მას მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურა უწოდა [76]. ამ დროისათვის ჯერ კიდევ ცოტა იყო არქეოლოგიური მასალა. ახალი ძეგლების აღმოჩენამ და შესაბამისად არქეოლოგიური მასალის მოზღვავებამ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს კულტურა მთლიანად ადრებრინჯაოს ხანისაა [9]. სადღეისოდ არსებობს აზრიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ადრეულ საფეხურზე ენეოლითურია, შემდგომ კი ვითარდება და ყალიბდება ადრებრინჯაოს ხანის კულტურად [42].

სადღეისოდ კარგადაა შესწავლილი მტკვარ-არაქსის კულტურის სამაროვნები, მრავალფენიანი ნასახლარები; გამოიკვეთა ნაგებობათა ტიპები, დადასტურდა სპეციალურ საკულტო ნაგებობათა არსებობა. მისი გავრცელების უზარმაზარ ტერიტორიაზე საკმაოდ ერთგვაროვანია კერამიკული მასალა, ძვლისა და ქვის იარაღები, ლითონი, აგრეთვე დაკრძალვის წესიც, თუმცა სამარხთა ტიპებში გარკვეული სხვაობა შეინიშნება. განსხვავებულია აგრეთვე საცხოვრებელ ნაგებობათა ფორმები: ერთგან გაბატონებულია მრგვალი, ხოლო მეორეგან — ოთხკუთხა. იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც, გვხვდება ნაგებობათა ორივე ტიპი ერთსა და იმავე რეგიონში. დადასტურებულია აგრეთვე ნახევრადმიწურების არსებობაც [106]. საცხოვრებელი აგებულია ქვით, ან თიხით შელესილი სარ-ლასტით. ხშირად შერწყმულია ქვისა და სარ-ლასტის, თუ ქვისა და ალიზის წყობები. მტკვარარაქსული დასახლებები აღმოჩენილია ბარში, მდინარისპირა ტერასებზე, მთისწინა ზოლში და მაღალმთიან ზეგნებზე. უმეტესწილად ნასოფლარები შემოზღუდულია ქვის ზღუდით ან თხრილით [81]. ამასთან, საცხოვრებლად ირჩევენ ბუნებრივად ხელსაყრელ, გამაგრებულ ადგილებს — ტერასებს, კონცხებს, ბორცვებს.

მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე ადრეულ ეტაპად დღესდღეობით მიიჩნევენ ქვემო ქართლში აღმოჩენილ ისეთ ძეგლებს, როგორიცაა თეთრი წყაროს ნასახლარის ა ფენა, სამშვილდე I, თრელი გორები, რომლებიც შეიცავენ წინა პერიოდისათვის დამახასიათებელ მასალებსაც. ამავე ეტაპს მიაკუთვნებენ კახეთის ძეგლებს: სიონს, გრემს, ზემო ბოდბეს. ამ ძეგლების კერამიკა გამოირჩევა ფორმათა არქაულობითა და დაბალი ტექნოლოგიური დონით. აქვე ჩანს ისეთი ელემენტები, რომლებიც შემდგომი ეტაპისათვის განმსაზღვრელი ხდებიან; კერძოდ: კერამიკის ორ და სამფენოვნება, გაპრიალებული ზედაპირი, ორნამენტი და სხვა.

ქვემო ქართლს მკვლევართა ნაწილი მტკვარ-არაქსის კულტურის ჩასახვის არეალად მიიჩნევს, ვინაიდან იქ არის აღმოჩენილი ამ კულტურის ყველაზე ადრეული ძეგლები. კახეთში აღმოჩენილი ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა ქვემო ქართლის ძეგლებთან ნახულობს ბევრ საერთოს და თუ ეს რეგიონი ქართლთან ერთად არ არის ამ კულტურის წარმოშობის ერთ-ერთი კერა, ყოველ შემთხვევაში, ჩანს, იგი ადრე ეზიარა მტკვარ-არაქსის კულტურას. ამის გამო ქვემო ქართლისა და კახეთის მტკვარარაქსული ძეგლების ერთად განხილვა მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ქვემო ქართლსა და კახეთში აღმოჩენილ ნასახლართაგან არც ერთი სრულად გათხრილი და შესწავლილი არ არის. მათგან, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი ფართობი სამშვილდისა და ილტოს ნასახლარებს უკავიათ. ორივე მათგანი ტერასულად განლაგებული დასახლება იყო, ქვის საძირკველზე ნაგები სარლასტის შენობებით. ნაგებობათა ფორმა ოთხკუთხაა [6,62]. რაც შეეხება სამშვილდის ნასახლარზე გათხრილ ნახევარწრიულ, კონცენტრულად განლაგებულ კედლებს და ერთ პატარა, მრგვალ წყობას, ჩანს, ისინი საცხოვრებელ ნაგებობათა რიცხვს არ ეკუთვნოდნენ და უფრო საკულტო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყვნენ. აქ აღსანიშნავია სამშვილდის ნახევარწრიული ნაგებობის შუა კედელი — შედგენილი 50°-ით დაფერდებული ბრტყელი ქვებისაგან, რომელთა ძირი პატარა ქვებით არის გამაგრებული. ასევეა ნაგები ოზნიში გათხრილი ნახევარწრიული ნაგებობა [78] და ნაწილობრივ გათხრილი შენობის ნაშთი ბოლნისში, ყორანთას გორაზე [21].

აქვე უნდა ვახსენოთ თეთრი წყაროს ნასოფლარზე გამოვლენილი ქვის საძირკვლიანი მრგვალი ნაგებობის ნაშთები ოთხკუთხა შენობების გვერდით, რომელსაც გ. გობეჯიშვილი ასევე საკულტო დანიშნულებისად მიიჩნევს [3]. ამავე აზრისაა ალ. ჯავახიშვილი შენგავითის ნასახლარზე აღმოჩენილ მრგვალ სათავსებზე, სადაც არ არის დამოწმებული არც ერთი კერა. ესა და ამავე დროს მთელი რიგი სხვა მომენტებისა აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ისინი საკულტო დანიშნულების არიან [164]. რაც შეეხება თეთრი წყაროს ნასოფლარის დანარჩენ შენობებს, ყველა ოთხკუთხა მოყვანილობისაა. ამგვარივე ფორმის ნაგებობების არსებობას ადასტურებს ბ. კუფტინი ბეშთაშენში [80]. სწორხაზოვანი კედლების ნაშთები იქნა გათხრილი დიღომსა [12] და ლრმა-

ხევისთავზე [91]. ოთხკუთხა მოყვანილობის ხუთი შენობის ნაშთი იქნა გათხრილი თიანეთის რაიონში — ბადაანის ნასახლარზე, აგრეთვე დუშეთის რაიონში მჭადიჯვრის გორაზე, სადაც შენობათა კედლების გასწვრივ გაიწმინდა ხის სარების ფოსოები [155]. ბადაანისა და მჭადიჯვრის შენობები ხის კარკასზე თიხით შელესილი ნაგებობებია. ბადაანის სახლებში თითოეულში ორი კერა იყო გამართული: ერთი თიხისა, შვერილებიანი, მეორე კი ქვებით შედგენილი.

ცალკე გამოიყოფა ს. კოდაში შესწავლილი ნასახლარი, სადაც საცხოვრებელი ნაგებობა ნახევრადმიწურების სახით წარმოგვიდგება [107]. ესენია 2,5 მ-დან 4 მ-მდე დიამეტრის მქონე მრგვალი სათავსები; მათს პირს გარშემო შემოუყვება პატარა მრგვალი ორმოები 5 სმ დიამეტრისა და 8 სმ სიღრმისა — ხის სარების კვალი, რომლებიც ნახევრადმიწურის ზედა ნაწილის კედლების წნულის არმატურას შეადგენდნენ და რომელთაც სახურავი ეყრდნობოდა. წნული ბათქაშით ჩანს შელესილი.

საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნახევრადმიწური სხვაგან თითქმის არ გვხვდება. სამაგიეროდ, დამოწმებულია იგი წინარე კულტურაში არუხლოზე, ხრამის დიდ გორაზე. არუხლოს მიწურების ცენტრში აღმოჩნდა ორმოები — სახურავის საყრდენი ბოძის კვალი. საინტერესოა, რომ კოდაში, ისევე როგორც არუხლოში, გამოვლინდა ერთიმეორესთან მიჯრით ნაგები, შუაში საერთო კედლით, ორი მიწური, კოდის მიწურების საცხოვრებელ ნაგებობად გამოყენების აზრს აძლიერებს ყოველ მათგანში ცეცხლის კვალი — გადამწვარი მიწა და ნაცარი.

ამრიგად, ქვემო ქართლსა და კახეთში, მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობის ძირითადი ფორმა ოთხკუთხაა, ხოლო ნახევარწრიული ან მრგვალი შენობები (კოდის მიწურების გამოკლებით) საკულტო ნაგებობათა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლებელია, საკულტო ნაგებობათა ეს ფორმა სახლთმშენებლობის წინა, მტკვარარაქსულ ტრადიციებს უკავშირდებოდეს.

მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხი ნაგებობები, როგორც ქვემო ქართლსა და კახეთში, ასევე მთელ მისი გავრცელების არეალში, საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს არის ორმოსამარხები, ქვაყუთები, ქვით ნაგები აკლდამები და გორასამარხები. საერთოდ, ესა თუ ის არქეოლოგიური კულტურა თავისი გავრცელების მთელ ფართობზე სამეურნეო თუ სულიერი ყოფის ერთგვაროვნებით ხასიათდება. მტკვარ-არაქსის კულტურაში, რომელიც საკმაოდ განვითარებული საზოგადოების კუთვნილებაა, როგორც აღვნიშნეთ, სამარხთა რამდენიმე ტიპი არსებობს. ასევე არაერთგვაროვანია დაკრძალვის წესი; არის ინდივიდუალური თუ კოლექტიური სამარხები, საცხოვრებელ ნაგებობებში გამართული ბავშვის სამარხები და კენოტაფები. გვხვდება სამარხის ახალი ფორმა — ქვაყუთები და ქვის აკლდამები.

ორმოსამარხები მტკვარ-არაქსის კულტურის მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. დროთა განმავლობაში მათ უჩნდებათ სახურავის ხის კონსტრუქ-

ცია და ქვაყრილი, რის გამოც ორმო მიწით აღარ ივსება. ეს შესაძლოა იმის მაუწყებელი იყოს, რომ დღის წესრიგში დგება სამარხის ხელახალი გამოყენების საკითხი — ე. ი. იქმნება საოჯახო სამარხები, ადრეულ ეტაპზე ორმოსამარხები ინდივიდუალურია. ამავე დროს ჩნდება ქვის სამარხები, მათგან ქვაყუთები უფრო ხშირად ინდივიდუალურია, აკლდამები კი კოლექტიური — ე. ი. იგი საოჯახო საძვალე ხდება.

სამარხეული ინვენტარი თავდაპირველად ღარიბულია — მიცვალებულს თითო ან ორ ჭურჭელს ატანენ თან. ცხოველთა ძვლები, რაც გარკვეული აღლაპის ნიშანია, ძირითადად ცხვრისაა, იშვიათად მსხვილფეხა საქონლისა. სამარხებში თითქმის არ არის იარაღ-საჭურველი; გვხვდება სამკაული, იშვიათად ლითონისაც.

ქვაყუთები კონსტრუქციულად საკმაოდ მარტივი ნაგებობაა, მაგრამ უპირატესობა ორმოსამარხთან შედარებით მისი ხელმეორედ გამოყენების შესაძლებლობაა. რაც შეეხება ქვით ნაგებ აკლდამებს, ეს უკვე რთული ნაგებობაა, იგი საცხოვრებლის მიბაძვით კეთდება, დიდია, აქვს შესასვლელი, კარი და ზღურბლის ქვა; ხშირად კარიდან ჩამავალი ერთი ან ორი საფეხური. სამარხეული ინვენტარი უფრო მრავალფეროვანია, ცხოველთა ძვლები ბევრია. სამარხის სახურავზე ხშირად ჩნდება მსხვილფეხა საქონლის თავისქალა რქებითურთ და კიდურების ძვლები. ჩანს ახალი რიტუალის კვალი (სამშვილდე, კაკეთი, ხირსა). შესასვლელ კართან, გარედან ხშირად თავდამხობილი ჯამები გვხვდება. იგივეა მხოლოდ დაკრძალვის პოზა — ხელფეხმოკეცილი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. თითქმის ყველა აკლდამას ქვაყრილი აქვს.

საოჯახო აკლდამებში ყოველი ახალი დაკრძალვისას ძველი მიცვალებულის ჩონჩხს კუთხეში მიხვეტდნენ საკმაოდ დაუდევრად, რის გამოც რამდენიმე ჩონჩხის ძვლები ერთმანეთშია არეული. თავისქალა ზოგჯერ ბადიებში დევს. კუთხეებშივეა მიხვეტილი ძველი სამარხეული ინვენტარი. სამაგიეროდ, ახლად დაკრძალულთა მიმართ მოწიწება იგრძნობა, მათ სამარხის შუაში ასვენებენ, დაკრძალვის გარკვეულ წესს იცავენ.

საინტერესოა, რომ ქვის აკლდამები არ ჩანს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, აქ ორმოსამარხებია გაბატონებული.

მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია თიხის ჭურჭელი. კერამიკაში გამოიყოფა წამყვანი ფორმები, რომლებიც განუმეორებელ იერს აძლევენ ამ კულტურას. სწორედ კერამიკის მეშვეობით, ძირითადად, შესაძლებელი ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების საფეხურების დადგენა. პირველ ეტაპზე, ყველაზე ადრეული კომპლექსებისათვის, მაგალითად თეთრი წყაროს ა ფენისათვის, დამახასიათებელია ღია ფერის კერამიკის სიჭარბე [3]. არის აგრეთვე ყავისფერი, იშვიათად კი ნაცრისფერი ჭურჭელი, ღია ფერის ლაქებით. ღია ფერის კერამიკა ნაკეთებია კარგად განლექილი თიხისაგან, რომელიც შეხებისას ხელს სვრის. ზოგ შემთხვევაში

თიხაში ურევია წვრილად დაკეპილი ბზე, წმინდად დაფხვნილი ბაზალტი და კვარცი. იგი ძირითადად ანგობირებულია და გაპრიალებული. არასაკმარისი ტექნოლოგიური პროცესების გამო ანგობი იოლად სცილდება. ზოგ ნატეხს შეენარჩუნახავს წითელი საღებავის კვალი. გვხვდება ტოლჩები, სურისებური ჭურჭლები, ქოთნები მაღალი ცილინდრული ყელით, ჯამები. ყურები იშვიათია. საერთო იერით კერამიკა ძირითადად უკვე მტკვარარაქსულია.

სამშვილდის ნასახლარის პირველ ფენაში მოპოვებული კერამიკისთვისაც დამახასიათებელია ძირითადად ღია ფერი — ღია ყვითლიდან ღია ყავისფრამდე. შავი და მუქი ფერის ჭურჭლის ნატეხები ცოტაა და საერთოდ, აქაც კერამიკა საკმაოდ ფრაგმენტულია. თიხა მსხვილმარცვლიანია, ურევია შამოტი, კვარცი, ქვიშა. კეცი ერთფენიანია. უმეტესად გარედან, ზოგჯერ კი შიგნიდანაც ანგობირებულია და გაპრიალებული. კეცი საკმაოდ კარგად არის გამომწვარი; მოპოვებულია მუქი, თითქმის შავი ფერის ორი ნაკლული ჭურჭელი. ეს არის ფართო თეფშისებური ბადია და მომცრო ბადია დაბალი, სწორი, ცილინდრული ყელით. ყელზე ორი პატარა ყური აქვს მიძერწილი. აღსანიშნავია სამშვილდე 1-ის ერთი თუნგულა, რომელსაც ახლო პარალელი ხიზაანაანთ გორის ე ფენაში ეძებნება. თურგულა ცალყურაა, აქვს მრგვალი, რამდენადმე კვერცხისებური მუცელი, მაღალი, სწორი ყელი, გადაშლილი პირი და პატარა ბრტყელი ძირი. ყელი და მხარი შემკულია ამოკაწვრით, საკმაოდ ასიმეტრიულად შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით. ამავე ხასიათის მეორე ჭურჭლის შემკულობა — მხარს ირგვლივ ამოკაწრული ორმაგი ტეხილი ხაზები, ხშირია II ფენის მასალებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია I ფენაში ე. წ. ძაბრისებურყელიანი თიხის ჭურჭლის პირგვერდის ნატეხები, ღია ფერის კეცით, ანგობირებული და გაპრიალებული. ამ ტიპის ჭურჭლები არის წიფში, აბელიაში. იგი თავისი ფორმით ჰგავს სამელე და სამერცხლე კლდის მასალებს.

ცალკეა გამოსაყოფი პირველ ფენაში მოპოვებული თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი. იგი პირგადაშლილი და პროფილირებული ჯამის ფორმისაა. თიხა ცუდად არის გამომწვარი. არის როგორც წითელი, ასევე მონაცრისფრო. კეცი ძალიან რბილია, ურევია მსხვილმარცვლიანი ქვიშა, კვარცი და ბზე. ჭურჭლის კეცი ხელსა სვრის. ჰგავს როგორც თეთრიწყაროს ა ფენის კერამიკას, ასევე ილტოს, სიონის, გრემისა და ზემო ბოდბეს ადრეულ მასალებს. სამშვილდის პირველ ფენაში დამოწმებულია ქსოვილიანი კერამიკის არსებობაც. ზემოაღნიშნული შემკულობის გარდა, აქ იშვიათად გვხვდება კოპი და ერთ შემთხვევაში პატარა შვერილი.

შემდგომი ეტაპისათვის (დიდუბე, თრელიგორები, ღრმახევისთავი, კიკეთი, კოდის მიწურები, ხოლო შემდეგ—კიკეთის, კოდისა და ღმრმახევისთავის აკლდამები, სამშვილზე II და მისი სამაროვანი, თეთრიწყაროს ბ ფენა და № 2 სამარხი, თამარისის აკლდამა) დამახასიათებელია კეცის ორ და სამფენოვნება. თიხაში ურევია ქვიშა, ქარსი, დანაყილი ობსიდიანი და კვარცი. კერ-

მიკას აქვს მონაცრისფრო-ყავისფერი შეფერილობა, ალაგ-ალაგ მუქი და ღია ფერის ლაქებით, რაც არათანაბარ გამოწვაზე მიუთითებს. გვხვდება შავი და გაცილებით მცირე რაოდენობით, ღია ფერის ჭურჭლეული, რომელთაგან მეტნაკლებად ყველა ზედაპირგაპრიალებულია, თუმცა მტკვარ-არაქსის განვითარებული ეტაპისათვის დამახასიათებელი შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა თითქმის არ არის. ღია ფერის ჭურჭელი ანგობირებულია და ორმხრივ წითლად არის შეფერილი, დამზადებულია უხეში თიხისაგან; ანგობი უსახოა და ფენებად იტკეცება. აღსანიშნავია შედარებით დახვეწილი ფორმის შავი ფერის ჭურჭლები, რომლებიც შიგნიდან მთლიანად, ხოლო გარედან პირის გარშემო დარჩენილი ღია ფერის ზოლზე წითლად არიან შეღებილი. შესაძლოა, რომ სწორედ ასეთი ჭურჭელია შემდგომ შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის წინამორბედი. ჭურჭლის შემკულობა სადაა, რამდენიმე შვერილითა და კოპით შემოიისაზღვრება. ორნამენტი მკირეა კიკეთის ორმოსამარხების კერამიკაში, თრელის მასალებში, იმატებს კოდისა და კიკეთის, უფრო კი სამშვილდის აკლდამებში. არის წყვილად განლაგებული შვერილები, კოპები. სწორი, კუთხოვანი შვერილების გვერდით გვხვდება უნაგირისებური შვერილები. აღსანიშნავია, რომ შემკულობა ახასიათებთ ბადიებს, სასმისებს და დიდ ქოთნებს. რაც შეეხება თუნგულებსა და ჯამებს, ისინი სრულიად სადანი არიან. გვხვდება რელიეფური, მოგრძო ხაზები, ხშირად წყვილად განლაგებული ნახევარმთვარისებური მინაძერწები, ნაკაწრი და ამოღარული. ორნამენტი ძირითადად გეომეტრიული სტილით ხასიათდება, გვხვდება ორმაგი ტეხილი ხაზების სახით სასმისებისა და ბადიების მხრების ირგვლივ. გადატეხის ადგილას ხშირად ჰატარა ფოსოებია ჩასმული. კიკეთსა და სამშვილდეს კერამიკაში ჩნდება ცხოველთა და ფრინველთა რელიეფური გამოსახულებები. ამ ეტაპს შეესაბამება კახეთიდან ილტოს № 5 ბავშვის სამარხის მასალები, გრეშის ორი ჭურჭელი [62]. რაც შეეხება დაზვერვით თხრილში მოპოვებულ მასალას [62], კერამიკა ფორმით მტკვარარაქსულია, მაგრამ ფაქტორით განსხვავდება, მოყვითალო-მოწითალო ფერისაა, ძალზე თხელი ღია ყავისფერი ანგობით დაფარული და კეცი ხელს სვრის. ამავე პერიოდისა ჩანს ალავერდის (კახეთი) კერამიკის ნატეხები.

შემდგომი საფეხური უნდა იყოს ოზნი, ბეშთაშენი, ბარმაქსიზის ქვაყუთის ინვენტარი, არდასუბნის აკლდამა, გომარეთის პლატოზე დაზვერვებით მოპოვებული მასალები [6]. კახეთის ძეგლებიდან ამ პერიოდისა ჩანს ხირსის სამარხი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ყორღანულ სამარხად არის ცნობილი. იგი ქვით ნაგები აკლდამაა და კერამიკაც საკმაოდ არქაული იერსაა, რაც ყორღანული ეტაპისათვის ცოტა უცხოდ გამოიყურება. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს ქვაყრილიან ქვის აკლდამასთან, რომელიც ხით ყოფილა გადახურული. სახურავის ჩანგრევის შემდეგ ქვაყრილი მთლიანად კამერაში იყო ჩაქცეული, რამაც აფიქრებინა გამთხრელს, რომ ეს ყორღანული ტიპის

სამარხი იყო—გავიხსენოთ სამშვილდის ქვაყრილიანი აკლდამები. ასეთივე სურათი ჩანს ნუკრიანის სამარხში. რაც შეეხება მაშნაარის სამარხებს, ისინი ორმოო, კოლექტიური, ყორღანული სამარხებია და უფრო გვიანი პერიოდისა უნდა იყოს. მტკვარ-არაქსის განვითარებულ ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ილტოს ნამოსახლარის IV ფენა. ამ პერიოდში მტკვარ-არაქსის კულტურა ფართოდ არის გაშლილი მთელს ამიერკავკასიაში, იქმნება ლოკალური ვარიანტები, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთზე ახდენენ გავლენას.

შემდგომი პერიოდის უნდა იყოს ილტოს სამარხები (№ 1 და № 2, ქუსლიანი ვაზები, მკვეთრად პროფილირებული ტოლჩები) და ბადაანის ნასოფლარის პირველი ეტაპი. ამ დროს, ალბათ ცოტა მოგვიანებით, ჩნდება ყორღანული სამარხები თრიალეთში (ადრებრინჯაოს ხანის) და ივრის ხეობაში. შემდეგ მოდის ბადაანის ნასახლარის მეორე პერიოდი და ორმოსამარხები, სადაც ერთმანეთის გვერდით ჩანს ტიპიური მტკვარარაქსული და თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ყორღანების კერამიკა.

მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელია თიხისშვერილებიანი მრგვალი კერები, სადგარები და დისკოიდალური ხუფები. შვერილებიანი მრგვალი კერა ადრეულ ძეგლებზე არ ჩანს. არ არის ის სამშვილდეში, კოდაში, თეთრიწყაროს ა ფენაში, ღრმახევისთავში, თრელეთზე (დიღომი), კახეთის ადრეულ ძეგლებზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი კერა არ ჩანს ჩიზანაანთ გორის ქვედა ფენაში და მხოლოდ Д ფენაში ჩნდება. ამ ადრეული პერიოდის ძეგლებზე კერის სხვა ტიპია დამოწმებული: ეს არის იატაკში ამოღესილი ორმო, ზოგჯერ საკმაოდ სქელი კეცით. ჩიზანაანთ გორის Е ფენაში სწორედ ასეთი კერებია [7]. მსგავსი კერის ფრაგმენტები ჩანს თრელის ორმოებში კერამიკასთან ერთად. ასეთივე ტიპია თეთრიწყაროს ა ფენის ე. წ. „ქორდიანი" კერა [31]. შვერილიანი კერის ფრაგმენტები, როგორც წესი, არის იმ ნასახლარების ყველა ორმოში, სადაც კი ასეთი კერა უკვე არის ხმარებაში. მისი ნატეხები არ გვხვდება კიკეთში, სამშვილდეში, ღრმახევისთავში, კოდაში*, არც საცხოვრებელ ნაგებობებში, არც ორმოებში. ორმოებში ჩნდება კერის ნატეხები, როგორც აღვნიშნეთ, ჩიზანაანთ გორის Д ფენაში, თეთრიწყაროს ბ ფენაში და, ბუნებრივია, დიდი რაოდენობით ბადაანის ნასახლარზე. რაც შეეხება დისკოიდალურ ხუფებსა და რქისებურ სადგარებს, ისინი ადრეული პერიოდიდან ჩნდებიან ყველა ძეგლზე და ძალიან გვიანამდე აგრძელებენ არსებობას.

ამრიგად, ქვემო ქართლსა და კახეთში, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ადრეულ საფეხურზე, თითქოს სჭარბობს ღია ფერის კერამიკა. კეცში ურევია ქვიშა, შამოტი, ზოგჯერ მცირე რაოდენობით მცენარეული მინარევი; კეცი ერთფენიანია. ჭურჭლის ფორმებში წამყვანი ადგილი უკავია ბრტყელ-

---

* კოდაში მხოლოდ ერთ ორმოში აღმოჩნდა მინიატურული კერის მოდელი, რომელიც ზოგვიანო, აკლდამების პერიოდს, უნდა ეკუთვნოდეს.

ძირიან ფართო ჯამებს, უფრო ხშირად ცალაშლილი ,ბვერდებით, ზარისებურ-პირიან და თუნგის ტიპის ჭურჭელს, რაც ძირითადად უყურია, ან გააჩნია ძალზე პატარა ყურები. ზედაპირი უმეტესად გაპრიალებულია, შემკულობა იშვიათია, არის ჭურჭლის ხუფები და სადგარები.

მომდევნო საფეხურზე წამყვანი ხდება მუქი მონაცრისფრო-მოყავისფრო კერამიკა. ჩნდება შავი ფერისა და განაგრძობს არსებობას ღია ფერის კერამიკა. ჭურჭლის ზედაპირი კარგად არის გაპრიალებული, კეცი ორ და სამფენიანია. ჩნდება ნახევარსფერული ყურები. შემკულობა თავდაპირველად ჭურჭელს ცალ მხარეს აქვს, შემდეგ კი ირგვლივ შემოუყვება და მრავალსახა ხდება. ჩნდება სიუჟეტური შემკულობა. მცენარეული მინარევი აღარ გვხვდება, ჩნდება მრგვალი, შვერილებიანი კერა.

შემდგომ ეტაპზე ჩნდება რთულპროფილიანი, ე. წ. სამწილადტანიანი, კერამიკა, რთული რელიეფური ჩაღარულ-ამოღარული შემკულობით.

ამრიგად, მტკვარარაქსული კერამიკა ქვემო ქართლსა და კახეთში განვითარების სამი საფეხურის ეამოყოფის საშუალებას გვაძლევს. ამ ორ რეგიონში, როგორც ჩანს, კერამიკული წარმოების განვითარება ერთგვაროვნად მიმდინარეობს.

მტკვარ-არაქსის კულტურის პირველ ეტაპზე კერამიკა თითქმის ყველგან ერთგვაროვანია. საქართველოში ეს არის დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლები, სომხეთში ამ პერიოდს მიაკუთვნებენ ელარის ჯგუფს, ხოლო აზერბაიჯანში — ბაბადერვიშის ადრეულ საფეხურს.

ქვემო ქართლისა და კახეთის ძეგლები ლითონის ინვენტარით ღარიბია. ყველაზე მეტი — 5 ნივთი (2 ერთნახევარხვიიანი სასაფეთქლე რგოლი, 2 ზარისებური ხვია და 1 ორსპირალიანი ტიპის ქინძისთავი)—სამშვილდის აკლდამებშია აღმოჩენილი. ნასახლარზე არც პირველ და არც მეორე ფენაში ლითონი არ არის.

სამი ლითონის ნივთი გვაქვს ოზნიდან: ბიპირამიდული ისრისპირი, ოთხკუთხა ბანივკვეთიანი ისრისპირი, ძალზე დაშლილი სატევრის პირი. ღიათმახიდან 2 ქინძისთავი და ხვიათა ფრაგმენტები. ბეშთაშენიდან გვაქვს სპილენძის ფრაგმენტი, რომელსაც ბ. კუფტნი ორვოლუტიანი საკინძის ნატეხად მიიჩნევს.

ივრის ხეობაში, გორშევარდენის ყორღანებში, აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს ისრისპირი ოთხკუთხა და რომბული განივკვეთით, ორი საყურე რგოლი და ორი რაღაც ფირფიტის, შეიძლება რისამე გარსაკრავის, ფრაგმენტი სამანქვლე ნახვრეტებით.

სასაფეთქლე რგოლები, ხვიები, ისრისპირები ფართოდ არის გავრცელებული მთელს კავკასიაში. ცხვრის რქისებურ თავდახვეული საკინძები არის ურბნისში, ქვაცხელაზე, ამირანის გორაზე, ქორეთში — ნაჩერქეზევზე. ერთი ასეთი საკინძი ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სოფ. ქვემო შაღაროდან.

ბადაანის ნასახლარზე ლითონის ნივთები უფრო მრავლად არის — 15 ერთეული. ესენია ოთხკუთხა თუ მრგვალგანივკვეთიანი ისრისპირები, სახვრეტები, ორკალიანი საკინძები, ერთნახევარხვიიანი რგოლები, საკრეთელი, სატეხი და ორი ცული. აქვეა აღსანიშნავი ნუკრიანის სამარხში აღმოჩენილი უუნწგახვრეტილი სატევარი. საკრეთელიცა და სატეხიც ჰგავს საჩხერის ასეთსავე ნივთს, მსგავსი სატეხი აღმოჩენილია ჟინვალში, ბედენის ყორღანში.

ბადაანიდან აღსანიშნავია ცულის ყალიბის თიხის სამი ფრაგმენტი და ორი ცული — ერთი უუადაქანებული და ერთი უუამილიანი. ყველაზე ახლო ანალოგები მათაც საჩხერის მასალებთან ეძებნებათ. საკმაოდ არქაული ფორმისაა ნუკრიანის სატევრისპირიც, ჰგავს ხიზანაანთგორის C ფენის სატევრის პირს, მხოლოდ ნახვრეტიანი უუნწის გამო ცოტა უფრო გვიანი ეტაპისა უნდა იყოს.

ამ ლითონის ნივთებიდან სპექტრული ანალიზი მხოლოდ სამშვილდის ორ ნივთს გაუკეთდა—საკინძსა და ზამბარისებურ ხვიას. როგორც ირკვევა, სამშვილდის ლითონი დარიშხანიანი ბრინჯაოა, ძალზე განსხვავებული დარიშხანის შემცველობით: საკინძში — 1,9%, ზამბარისებურ ხვიაში—13,3%.

ს ა დ ღ ე ი ს ო დ ა რ ს ე ბ უ ლ ი მონაცემებით ჩანს, რომ შიდა ქართლის ინტენსიური ათვისება ადრებრინჯაოს ხანაში იწყება, მანამდე იგი ნაკლებად დასახლებული ჩანს [47]. საფიქრებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა აქ, ადრეულ საფეხურზე, ძირითადად ქვემო ქართლიდან ვრცელდება [42]. შემდეგში იგი აქ იმდენად თავისებურ სახეს იღებს, რომ ზოგი ავტორი მას ცალკე კულტურადაც კი გამოყოფს [7].

შიდა ქართლში აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე ათეული ძეგლი. გვხვდება როგორც ნასახლარები, ისე სამაროვნები, მიკვლეული უმთავრესად ველებსა და მთისწინა ზოლში [27].

ადრებრინჯაოს ხანის ორი სამეურნეო ორმო და ნასახლარის ნაშთი გაითხარა მცხეთის რაიონში, შუხათგვერდი II სამაროვანზე. ქვის წრეებით შემოსაზღვრულ, მომრგვალებულ ორმოებში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპის ამსახველი კერამიკა, ობსიდიანის ანატკეცები და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები. არქაული კერამიკის შემცველი ორმოები გაიწმინდა წეროვან II-ზეც. ამავე პერიოდის ნაშთები გამოვლინდა სოფ. ჩარდახშიც [49]. სამეურნეო ორმოები და ორმოსამარხები დადასტურდა ამავე რაიონის კიდევ სამ პუნქტში: ნატახტარზე, მცხეთის გორასა და ღართისკარში, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა პერიოდის კერამიკა იქნა აღმოჩენილი [17].

აღსანიშნავია კასპის რაიონში, სოფ. კავთისხევში, აღმოჩენილი ციხიაგორა, რომელზეც ამ კულტურის ფენა გამოვლინდა. ერთ-ერთ ფენაში გაიწმინდა კუთხეებმომრგვალებული შენობა, რომელშიც მრავლად იყო

ამ დროის თიხის ჭურჭელი. ადრებრინჯაოს ხანის ფენები დაფიქსირდა ამავე რაიონში კიდევ სამ ბორცვზე: გორაკაზე, აღაიანი I-ზე და ახალციხეზე [31]. ქ. კასპის დასავლეთით, აშურიანის ველზე, მდ. მტკვრის მაღალი ტერასის კიდეზე გამოვლენილ კულტურულ ფენაში მრავლად იყო ამ დროის კერამიკის ფრაგმენტები. სინქრონული მასალა მახლობლად არსებულ ნახანძრალ კულტურულ ფენაშიც აღმოჩნდა [92].

ამავე ხანის ნასახლარის ნაშთი გაითხარა მეტეხის სადგურთან. აქ, ვაკე ადგილას, გამართული ნაგებობები მრგვალი ან ოვალური ფორმისა უნდა ყოფილიყო, სარ-ლასტით ნაგები [20]. ოთხკუთხა ფორმის შენობის ნაშთი იქნა მიკვლეული ჩოჩეთის ნასახლარზე [65].

ასეთივე მოყვანილობის შენობები უნდა იყოს ქ. გორთან, კვერნაქის ნასახლარზეც [65]. აქვე ახლოს, მდ. მტკვრის ნაპირას, ადგილ „ღამბარეულზეც" დადასტურდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი [24]. ამავე რაიონშია მიკვლეული შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი — გუდაბერტყა. იგი ქ. გორის აღმოსავლეთით 7 კმ-ზე მდებარეობს და საკმაოდ მაღალ ბორცვზეა განლაგებული. ახლო ნასახლარებთან მიმართებაში მას ცენტრალური ადგილი უკავია. ნასახლარს ალიზის დამცველი ზღუდე შემოუყვება [15].

მრავლადაა ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები მტკვრის ხეობის აყოლებაზე — ქარელის რაიონშიც. აქვეა გამოვლენილი ისეთი საკვანძო ნასახლარები, როგორიცაა ქვაცხელა და ხიზანაანთ გორა.

ორივე ნასახლარი მტკვრის მარცხენა მაღალ ტერასაზე მდებარეობს. მათზე კარგად გამოირჩევა შენობათა სტრატიგრაფია. აქ, ნასახლართა გვერდით, სამაროვნებიც აღმოჩნდა [36, 35]. ანალოგიური ფორმის შენობები ქვაცხელას მახლობლად, ბაქთისერებზეც დადასტურდა [65].

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დიდი ახალსოფლის ტერიტორიაზეცაა ადრებრინჯაოს ხანის ნაშთები [46]. სინქრონული მასალები აიკრიფა ადგილ ციხიანაზეც [100].

ქარელის რაიონშივე, არადეთის ჩრდილო გორაზე, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის მასალის შემცველი სამარხები [2]. მტკვარსა და ფრონეს შორის მოქცეულ კონცხის თხემზე, მრავალფენიან ნასახლარ ბერიკლდეებზეც გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ფენები [28].

მრავლად გვხვდება ამავე დროს ძეგლები შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში. ცხინვალის მიდამოებში შესწავლილ ქულბაქების ბორცვსა და კულლუხომზე გამოვლინდა თიხატკეპნილი მოვდნები მრგვალი კერებით, რომლებიც, შესაძლოა, შიდა ქართლში დადასტურებული ტიპის შენობის ნაშთების წარმოადგენდა [42,65]. ამ დროის ძეგლები აღმოჩნდა იქვე — ზღუდრის ბორცვსა და ზღუდრის გვერდაზე [41].

ცხინვალთანვე, მდ. ლიახვის ნაპირზე მდებარე ნაცარგორის ბორცვის ქვა- და ფენაში, ძლიერ დაზიანებული ნასახლარის გვერდით აღმოჩნდა ხუთი ორმოსამარხი მცირეოდენი სამარხეული ინვენტარით [4]. აქვე უნდა მოვიხ-

სენიოთ ერთი ადრეული სამარხი ქვასათალის სამაროვნიდან (ტაბ. CII—11) და ერთი ქვაყრილიანი სამარხი სოფ. ნულიდან (ტაბ. CII—15). [41].

მტკვარ-არაქსის კულტურის სამაროვანია მიკვლეული ზნაურის რაიონის სოფ. ძღინასთან [41].

ამ კულტურის არაერთი ძეგლია აღმოჩენილი არაგვის ხეობაშიც. ორფენიანი ნასახლარი იქნა მიკვლეული სოფ. შუადიჯვართან, მდ. ნარეკვავის მაღალ ნაპირას არსებულ ბორცვზე. ქვედა ფენაში გაითხარა ვომრგვალებულკუთხეებიანი შენობა და არქეოლოგიური მასალის შემცველი რამოდენიმე საშეურნეო ორმო [116].

მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, აბანოსხევის ნასახლარზე, გაითხარა არქეოლოგიური მასალით მდიდარი ორმოები და სამარხები. ამ დროის ნაწარმი აღმოჩნდა საქართველოს სამხედრო გზასთან, ქვემო არანისის აღმოსავლეთ ნაწილში, ადგილ შარნეულზეც. საკუთრივ ქვემო არანისშიც (ახალი ჟინვალი) აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, სადაც ასამდე ორმო გაითხარა. მათი უმეტესობა შეიცავდა მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალფენოვან ეპასალას. ადრედან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპის მასალა გამოვლინდა ჟინვალის საკულტო ძეგლზე, რამდენადმე ადრეული კერამიკა—ჯვრის უღელტეხილთან, კაიშაურის პლატოზე [58].

ჩამოთვლილი ძეგლებიდან ჩანს, რომ შიდა ქართლში ადრებრინჯაოს ხანაში დასახლება უმთავრესად მდინარისპირა ტერასებსა და ბორცვებზეა, რაც თავდაცვითი და მეურნეობრივი ფაქტორებით იყო ნაკარნახევი [14]. ეს ძეგლები განსაკუთრებით მრავლადაა კონცენტრირებული მდ. მტკვრის გასწვრივ და ქართლის ვაკიდან კავკასიონის მხარისკენ შეფენილ გორაკებსა და მთის ტოტებზე [14]. გამოანგარიშებულია, რომ მდ. მტკვრის ხეობაში 8 კმ-ზე საშუალოდ ერთი ნასახლარი მოდის. ზოგჯერ მათ შორის მანძილი კიდევ უფრო მცირეა [27].

შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის დიდი ინიშვნელობა ენიჭება ქვაცხელას C_1 ჰორიზონტიდან მოღებულ რადიოკარბონულ თარიღს (ძვ. წ. 2800±90). ამ თარიღის, სტრატიგრაფიული მონაცემებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ეფსაძლებელი ხდება შიდა ქართლში ადრებრინჯაოს ხანის კულტურის გავრცელების და მისი აქ არსებობის დროის საკარაუდო განსაზღვრა. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის აქ გამოჩენა ძვ.წ. IV ათასწ. ბოლოს იწყება და დაახლოებით ძვ. წ. III ათასწ. მეორე ნახევრამდე გრძელდება [70].

სტრატიგრაფიული მონაცემებისა და არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების პერიოდიზაციის სქემაც. იგი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ ხანის კულტურის განვითარების სურათს. ჩანს, რომ შიდა ქართლში ადრებრინჯაოს ხანა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის რამდენადმე მოგვიანო საფეხურზე იწყება [42]. ადრეულ ძეგლებად მიჩნეუ-

ლია ხიზანაანთ გორის E ფენა, დიდი ახალსოფელი, წეროვანი I—II, აბანოსხევის ნაწილი, შარნეული და სხვა [58.7.49.46].

განვითარებულ პერიოდს მიეკუთვნება: ქულბაქები, ზღუდერი, ხიზანაანთ გორა, ქვაცხელა D, C, ქვაცხელას სამაროვანი, ციხიაგორა, მცხეთის გორა, ნატახტარი და სხვ. [59.42.7.17].

უძველესი პერიოდის სოფლისა და შენობის ტიპის შესახებ ჯერჯერობით შედარებით მცირე მონაცემები არსებობს. ამ მხრივ ხიზანაანთ გორის ნასახლარი მეტ ინფორმაციას იძლევა. ირკვევა, რომ E ფენის შენობები გაშენებული იყო ერთ მთლიან, თიხით მოტკეპნილ მოედანზე, სადაც აქა-იქ ჩადგმული იყო სტაციონარული კერები. მართალია, აქ არაა დაფიქსირებული შენობების კედლები და იატაკი, მაგრამ კერების არსებობა და შენობათა კედლების სარებისათვის განკუთვნილი ორმოების ნაკვალევი ნაგებობის არსებობაზე მიუთითებს [7]. ეს ნაგებობები მცირე წრიული ფორმისაა, მოწნული ფაცხისმაგვარი, გუმბათური ან ორფერდა გადახურვით. თავისი წრიული ფორმით ეს ნაგებობები განსხვავდება შემდგომში შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი „სტანდარტული“ ტიპის ნაგებობებისაგან და უფრო მეტად ემსგავსება წინარე მტკვარარაქსული ხანის შენობებს, თუმცა, მისგან განსხვავებით, გააჩნია ზოვი სიახლეც, რაც სამშენებლოდ ხის გამოყენებაში, თიხით შელესილი კედლების არსებობასა და სხვ. გამოიხატება [7.65].

ამავე ფენაში გვხვდება არქეოლოგიური მასალით მდიდარი სამეურნეო და საკულტო დანიშნულების ორმოებიც [7].

ცნობილია ამ პერიოდის რამდენიმე სამარხიც. ხიზანაანთ გორის E ფენაში ერთ-ერთ ორმოს ჩაჭრილი აქვს ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალებული გვერდზეა დაკრძალული, მოკრუნჩხულად [7]. ამგვარივე სამარხები აღმოჩენილია წეროვანზეც [17]. გრუნტული სამარხები გაითხარა აბანოსხევშიც. მათში მიცვალებული გვერდზეა დაკრძალული, მოკრუნჩხულად. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს ჭურჭელი, კვირისტავი, ზოგჯერ ცხოველის თავის ქალა და სხვა [30].

როგორც ჩანს, ორმოსამარხი სამარხის უძველეს ტიპს წარმოადგენს შიდა ქართლში. ამგვარი სამარხი მრავლადაა მტკვარ-არაქსის კულტურაში. განსაკუთრებით ფართოდ იგი (გვხვდება ყორღანებიც) შიდა ქართლში იკიდებს ფეხს და აქ ამ კულტურის ბოლომდე აგრძელებს არსებობას. შიდა ქართლი რამდენადმე განირჩევა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სამხრეთი ოლქებისაგან, სადაც განსხვავებული ტიპის სამარხებიცაა ცნობილი [27].

ამ დროის კერამიკული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება კერები, სადგარები, სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭელი და სხვ. ხიზანაანთ გორის E ფენის მაგალითზე ჩანს, რომ ამ დროს გამოიყენებოდა იატაკზე გადალესილი ბორდიურიანი კერა [7]. ანალოგიური ტიპის კერა რამდენადმე იშვიათია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. მისი ერთეული

ცალები ცნობილია ქიულ-თეფე II [48], ახალციხის ამირანის გორაზე [33] და სხვა. ასეთ კერაში ძლიერი ცეცხლის დანთება შეუძლებელი იყო [7]. ამიტომ გამორიცხავენ მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას და მას უფრო საკულტო დანიშნულებისად თვლიან [7]. კერასთანაა დაკავშირებული სადგარები. ხიზანაანთ გორის E ფენაში უმთავრესად რქისებური სადგარები დამოწმებული [7]. გვხვდება აგრეთვე ნალისებური სადგარიც [7]. რქისებრი სადგარი კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურაში. მას ვხვდებით ზემო ავჭალაში [41], კიკეთში [21], ჩრდილოეთ კავკასიაში — დოლინსკოესა და ლუგოვოეს ნასახლარზე [93], სომხეთში — შენგავითზე [110], შრეშბლურზე [110] და სხვა. ეს სადგარი მთვარის (ხარის) კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული ისევე, როგორც ნალისებრი სადგარი [41]. ეს უკანასკნელიც მრავლადაა აღმოჩენილი ამ კულტურის ძეგლებზე. იგი ცნობილია ზღუდრის გვერდადან [41], ოზნიდან [78], ამირანის გორიდან [33]. განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოვნი ამგვარი სადგარი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სამხრეთ რაიონებში. სომხეთში ის აღმოჩენილია შენგავითზე, მოხრაბლურზე, არიჭში [114], ანატოლიაში — ალიშარ-ჰუიკუზე, თეფე-სიქზე და სხვა [123],

ამ დროს თიხის ჭურჭელი ბევრ საერთოს პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურის არქაულ დიდუბე-კიკეთის კერამიკასთან. იგი წარმოდგენილია ძირითადად მორუხო-მოყვითალო ფერის ღრმა ჯამებით, ტოლჩებით, კათხებით, ქვაბქოთნებით და სხვა. მისთვის დამახასიათებელია განიერი ცილინდრული ან გამოყვანილი ყელი, დაბალი გამობერილი მუცელი და ბრტყელი ან ოდნავ შედრეკილი ძირი. გვხვდება კვერცხისებრტანიანი ცალებიც. უმრავლესობას აქვს ზურგწიბოიანი ყური. უმთავრესად ჩანს ნაკაწრი ორნამენტი, რომელიც შემდგომაც განაგრძობს არსებობას და დამახასიათებელი ხდება შიდა ქართლის კერამიკისათვის [42.7].

შიდა ქართლში ამ დროის ძეგლებზე ლითონის ნივთები არ აღმოჩენილა. იგი აქ მომდევნო საფეხურზე იჩენს თავს. რაც შეეხება ქვის, ძვლისა და რქის ნივთებს, გვხვდება კაჟის ნამგლის ჩასართავები დაკბილული სამუშაო პირით, უხეში მცოცავი რეტუშით დამუშავებული. ხიზანაანთ გორის E ფენაში აღმოჩნდა საქონლის რქის თოხი, ფართო სატარე ნახვრეტით [7].

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ პერიოდშიც კვლავ განაგრძობს არსებობას მრგვალი ფორმის შენობა თიხით შელესილი კედლებით. ბრტყელი, ბანური გადახურვა ცენტრალურ სვეტს ეყრდნობა [7]. თავს იჩენს შენობის ახალი ტიპიც — სწორკუთხა ნაგებობა, რომელსაც გადმონაშთის სახით მეტ-ნაკლებად მომრგვალებული კუთხეები აქვს, და ცენტრალურ ბოძს ეყრდნობა. ამგვარი შენობა ამიერიდან აქ ნაგებობის წამყვანი ტიპი ხდება და არ იცვლება ამ კულტურის ბოლომდე [7.65].

ხიზანაანთ გორის D ფენის მრგვალი შენობების იატაკი ნალესია ნაცრით ფენებად და წითლადაა შეღებილი. შეღებილი იყო კედლის ფრაგმენტებიც.

იატაკის ცენტრში ჩადგმული იყო სტაციონარული შვერილიანი კერა, რომლის უკან ამოღებულია დედაბოძის ორმო. კედლის გასწვრივ, იატაკზე, ნაცრით მოლესილია 3—4 სმ სიმაღლის წრიული შემაღლებების რიგი. ოთახს აქვს ასევე სარ-ლასტით ნაგები წრიული, ერთი მეტრი სიგანის მინაშენი.

ამავე პერიოდის მომდევნო ხიზანაანთ გორა-ქვაცხელას C ფენაში კვლავაც გვხვდება მრგვალი შენობა, მაგრამ იშვიათად, წამყვანი უკვე ე. წ. „სტანდარტული“ ტიპის მოგრძო, კუთხეებმომრგვალებული ნაგებობა ხდება [7.65], რომელიც შედგება ოთხკუთხა ოთახისა და სწორკუთხა მინაშენისაგან, გადახურულია დედაბოძსა და კედლებზე დაყრდნობილი ხის ძელების ერთიანი ბრტყელი სახურავით. თიხალესილი იატაკის შუაში მრგვალი შვერილებიანი კერაა. ქვაცხელას მაგალითით ჩანს, რომ სახლები დაჯგუფებულია გასასვლელებსა და პატარა მოედნების გარშემო, ერთმანეთთან მჭიდროდაა ნაშენი და ორმწკრივად განლაგებული ისე, რომ ნასახლარის შუაგულში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართულ ერთგვარ ღერძს ქმნის. მისგან აღმოსავლეთითა და დასავლეთით დაახლოებით ასეთივე მიმართულების ფართო გასასვლელებია დატოვებული. აქვეა რამდენიმე მოედანიც. დანარჩენი სახლები შედარებით თავისუფლადაა განლაგებული მცირე ჯგუფებად. შენობათა კარები და გასასვლელები მიმართულია მოედნისაკენ. სახლების უმრავლესობა ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით, რაც აიხსნება მტკვრის ხეობაში წლის განმავლობაში აღმოსავლეთის ან დასავლეთის ძლიერი და ჰუდმივი ქარებით [36].

ამგვარივე ტიპის შენობები უნდა ყოფილიყო ქულბაქებზე, ჩოჩეთში, ბაქთისერებსა და კვერნაქზეც [65]. ამ დროიდან მოკიდებული შიდა ქართლში საბოლოოდ ყალიბდება ნაგებობის ეს ტიპი, რომელიც აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლომდე არსებობს და როგორც ჩანს, სავსებით შეესაბამება იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებებს [42].

ამ პერიოდში მიცვალებულის დასაკრძალავად კვლავ იყენებენ ორმოსამარხებს, რომელთაც ვხვდებით როგორც საკუთრივ ნასახლარის ტერიტორიაზე, ისე მის გარეთაც. ქვაცხელაზე, ნასახლარის ტერიტორიაზე მიკვლეულ სამაროვანზე სამარხები ორ იარუსადაა განლაგებული. ქვედა გრუნტული სამარხებია, რომელთა ორმო ამოვსებული იყო შაკი ფერის თიხნარი მიწით. მიცვალებული გვერდზე იყო დაკრძალული მოკრუნჩხულად. ჩატანებული ჰქონდა თიხის ჭურჭლები, ლითონის, ქვისა და ძვლის სამკაული [36].

ზედა იარუსის სამარხები ღრმა ორმოშია გამართული, რომელზეც ქვაყრილია. ორმოს კედლები ზოგჯერ რიყის ქვითაა ამოყვანილი, ძირი კი მოკირწყლულია კენჭებით. სამარხთა ნაწილში ერთზე მეტი მიცვალებულის ძვლებია. მიცვალებული აქაც გვერდზეა დაკრძალული მოკრუნჩხულად და ქვედა იარუსის მსგავს ინვენტარს შეიცავს [36].

ინდივიდუალური ორმოსამარხები გაითხარა ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ძვლების ცუდი დაცულობის მიუხედავად ჩანს, რომ დასაკრ-

ძალავად იყენებდნენ სპეციალურად გაკრილ ორმოებს, რომელთა ძირზეც ასვენებდნენ ჩიცვალებულს გვერდზე, მოკრუნჩხულად. ყველა სამარხი შეიცავს თიხის ჭურჭელსა და ლითონის ნივთებს [35].

განვითარებული პერიოდის შიდა ქართლის კერამიკა, წინა პერიოდის თიხის ჭურჭელთან შედარებით, საგრძნობ სხვაობას ავლენს. ამ დროს უკვე ყალიბდება ყველა ის ძირითადი ელემენტი, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო იხვეწება და ხიზანაანთ გორა — ქვაცხელა C ფენიდან მოკიდებული დამახასიათებელი ხდება შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის წრისათვის [42], ძველიდან წამოსული ნიშნები გადმონაშთის სახით გვხვდება და თანდათან ადგილს უთმობს ახალს. ამ მხრივ საინტერესოა ცხინვალის მახლობლად ქულბაქების ბორცვზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი, სადაც თითქოს ყველაზე უკეთ შეიმჩნევა მისი ერთგვარად გარდამავალური ბუნება. აქ აღმოჩენილი თითქმის ყველა ჭურჭლის ფორმა შემდეგში შიდა ქართლის კერამიკული კომპლექსისათვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთი ჭურჭელი ჯერ კიდევ ემსგავსება დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკას, თუმცა მასში უკვე შეიმჩნევა ის ნიშნები, რომლებიც შემდეგში ამავე ტიპის შიდაქართლურ ჭურჭელს ედება საფუძვლად. შიდა ქართლის კერამიკის თავისებურებების მიუხედავად, მასში განვითარების მთელ მანძილზე ცოცხლობს საერთოდან მომდინარე ნიშნები [42].

ხიზანაანთ გორაზე მკვეთრი სხვაობა კერამიკაში D ფენაში ჩანს. აქ უკვე ჩამოყალიბებულია შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ელემენტი: ჭურჭლის ყელი კარგავს ცილინდრულ მოყვანილობას და უფრო გამოყვანილ ფორმას იღებს, პირი ფართოდაა გადაშლილი, ქრება მკვეთრი გარდატეხის ხაზი მხართან, მუცელზე ჩნდება მკვეთრი წიბური და სხვა. ეს ახალი ელემენტები კიდევ უფრო იხვეწება, ყალიბდება და შემდგომ მის განვითარებაში თვალსაჩინო ცვლილებები აღარ შეიმჩნევა [42]; ფორმისა და დანიშნულების მიხედვით თიხის ჭურჭელი მრავალგვარია: გვხვდება როგორც მომცრო ზომის კათხები, ბადიები, ჯამები, ხელადები, ისე მოზრდილი ქვაბქოთნები, ქოთნები და დიდი ზომის ფართოყელიანი დერგები. ჭურჭელი უმთავრესად შავად ან მოვარდისფრო-მოწაბლისფროდაა გამომწვარ-გაპრიალებული [36].

თავისებურ ხასიათს იღებს აგრეთვე ჭურჭლის შემკობის წესიც. რელიეფური ორნამენტი მისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ვერც სპირალურმა მოტივმა მოიკიდა მაინცდამაინც აქ ფეხი. სამაგიეროდ ფართოდ ვრცელდება ჭურჭლის გრაფიკული ორნამენტი. ამგვარად შემკული ჭურჭელი მოგვიანებით კიდევ უფრო ხშირდება. ეს ორნამენტი მეტწილად მარტივი სახისაა: ტეხილი ხაზები, რომბები და სხვა. ჭურჭლის შესამკობად ზოგჯერ გამოყენებულია საღებავიც [36].

ქვაცხელას C ფენაში აღმოჩენილი ზოგიერთი ჭურჭლის კორპუსი მონაცრისფრო-რუხი ფერის ანგობითაა დაფარული, ყელი კი წითლადაა შეღებილი. ამ ორი ფერის საზღვარზე შემოვლებულია შავი ზოლის სარტყელი, რომლის

ზემოთ და ქვემოთ მოთავსებულია ცალკეული სახეები: შეინიშნება ირმის გამოსახულება და გეომეტრიული მოტივები [36]. შეიძლება ითქვას, რომ მოხატული კერამიკის არსებობით შიდა ქართლი კიდევ ერთ თავისებურებას ავლენს მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა რეგიონებთან შედარებით. მოხატული კერამიკის აქ გამოჩენას წინა აზიასთან ურთიერთობას უკავშირებენ, თუმცა სტილის თვალსაზრისით მათ შორის დიდ სხვაობასაც შენიშნავენ [36.41].

ამ ეტაპზე უმთავრესად გვხვდება თიხის მრგვალი, შვერილებიანი კერა. იგი ორი ტიპისაა: სტაციონარული და გადასატანი. ამგვარი კერა კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურაში, განსაკუთრებით შიდა ქართლსა და ცენტრალურ ამიერკავკასიის ძეგლებისათვის. [94]. მისი დანიშნულების შესახებ არაერთი აზრია გამოთქმული. როგორც ჩანს, შვერილებიანი მრგვალი კერა ერთდროულად მატარებელი იყო როგორც საკულტო, ისე სამეურნეო ფუნქციისა [41].

კერის სადგარებიდან აღსანიშნავია ხიზანაანთ გორასა და ქვაცხელაზე აღმოჩენილი კოჭისებრი, ზოომორფული და სხვა ტიპის სადგარები [7.36], ცნობილი ამიერკავკასიის, ჩრდილო კავკასიისა და მცირე აზიის მტკვარარაქსული კულტურის ძეგლებიდან.

ცალკე ჯგუფს ქმნის თიხის ზოომორფული და ანტროპომორფული მცირე ზომის ქანდაკებები. ზოომორფული ქანდაკებების უმეტესობა ცხვრისაა: ამგვარი ქანდაკებებიც მრავლადაა მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარებზე.

ქვაცხელას C ფენაში რამდენიმე ანთროპომორფული ქანდაკებაა აღმოჩენილი. მათ აერთიანებთ სქემატურად გამოძერწილი ტორსი და ბიუსტი, სუსტად გამოხატული მკლავები, ზემოდან ბრტყლად დაქანებული კეფა. სქემატურია პირისახის ნაკვთებიც და ტანსაცმელიც. თავსაბურისა და თმის მოყვანილობითა და სამოსელით შეიძლება მესოპოტამიური ანალოგების დანახვა. ერთ მათგანზე განირჩევა მამაკაცი, მდედრობითი სქესის ნიშანი არც ერთს არა აქვს [36].

აღნიშნული ეტაპი, გარდა მნიშვნელოვანი ძვრებისა ნაგებობების ტიპსა და კერამიკულ ნაწარმში ნიშანდობლივია იმითაც, რომ ამ დროს შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე კარგადაა წარმოდგენილი ლითონის ნივთები და ამიერიდან აქ საკმაოდ დაწინაურებული მეტალურგიული ცენტრის არსებობა ივარაუდება [1]. მართალია, აქ აღმოჩენილი ლითონის მთელი რიგი ნივთების ფორმა, მტკვარ-არაქსის კულტურის ლითონის ნივთების უმეტესობის მსგავსად, თავის საწყისებს წინა აზიიდან იღებს, მაგრამ შემდგომ ტრანსფორმირდება და თავისებური, „კავკასიური" ელფერი ეძლევა, ისე, რომ მათი ადგილობრივი წარმოება ეჭვს არ იწვევს [42]. ამის პარალელურად ჩნდება იარაღ-სამკაულის უკვე ადგილობრივად ჩამოყალიბებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმებიც [42].

შიდა ქართლში ისევე, როგორც საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ოლქებში, გავრცელებული იყო დარიშხანიანი სპილენძის წივთები [41].

ამგვარ ლითონს მაღალი საჩამომსხმელო თვისებები აქვს: ადვილად ავსებს ყოველგვარი კონფიგურაციის ყალიბს, ზუსტად იმეორებს მის ფორმებს და კარგი ხარისხის სხმულს იძლევა. თუმცა ამავე დროს იგი მყიფეა. რამდენადაც ამგვარი შემადგენლობის ლითონისაგან მხოლოდ სამკაულებია ნაკეთები, საფიქრებელია, რომ ძველი მელითონეებისთვის ცნობილი ყოფილა დარიშხანით მდიდარი სპილენძის თვისებები. შიდა ქართლის ძეგლების — ხიზანაანთ გორას, ქვაცხელას, ურბნისის — მაგალითზე ჩანს, რომ აქ მოსახლე ტომები უკვე ნამდვილი მეტალურგები არიან, რომლებიც კარგად ფლობენ მადნისაგან ლითონის გამოდნობას, ნამზადის მიღებას და მისგან სხვადასხვა დანიშნულების ნივთების გამოჭედვას; დაუფლებულნი არიან ჩამოსხმის ტექნოლოგიას. ბევრი ნივთი დამზადებულია ჩამოსხმით, დამატებითი ჭედვითი დამუშავების გარეშე. ჭედვა-ჩამოსხმის მეთოდებთან ერთად, აქ ვხვდებით ლითონის დამუშავების სხვა დამატებითი ხერხების გამოყენებასაც [1].

შიდა ქართლიდან მრავალფეროვანი და მრავალგვარი ფორმისა თუ დანიშნულების ლითონის ნივთები მომდინარეობს. გვხვდება როგორც იარაღი, ისე სამკაული. იარაღიდან აღსანიშნავია ცული. იგი ორგვარია: ხვრელიანი და ბრტყელი. ხვრელიანი ცული თავის მხრივ შეიცავს ყუადაქანებულ და ყუამილიან ტიპებს. ყუადაქანებული ცული უფრო ადრეულადაა მიჩნეული. [77]. ამგვარი ტიპის ერთი ცული აღმოჩნდა ქულბაქებზე. მას პირი თითქმის თანაბარი სიფართისა აქვს, მორკალული, წინა მხრიდან სატარე ხვრელთან მკვეთრად შეკრილი. იგი განსაკუთრებით ახლოს დგას ცხინვალის რაიონის სოფ. იალბუზის ცულთან [41]. ძალზე ახლო მსგავსებაა ასევე ამ ცულსა და შუგავითში აღმოჩენილ ქვის ყალიბში ჩამოსხმულ თაბაშირის ცულს შორის [42]. ამავე ტიპისაა, ოღონდ უფრო მასიური, მარნეულის რაიონის სოფ. ბრდაძორის ცულიც [42]. ქულბაქების ტიპის ცული აღმოჩნდა აგრეთვე ლენინაკანთან. გარნისშიც ნაპოვნია მსგავსი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი [42]. ამგვარივე ტიპის, ოღონდ რამდენადმე განვითარებული ფორმის ორი ცული აღმოჩნდა სოფ. მეჯვრისხევში, ერთიც — კარალეთში [41.81]. აღნიშნული ტიპის ცული გავრცელებულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და მიჩნეულია ადგილობრივ, მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩამოყალიბებულ ფორმად, რომელიც აქ ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწ. პირველ ნახევარში ჩნდება [42]. ამას გარდა, ამავე პერიოდში გვხვდება სწორტანიანი ცულიც. ერთი ამგვარი იარაღი არქაულ შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა ზაჰესთან, 10 მეტრის სიღრმეზე, ამ ცულმა ჩვენში სათანადო გავრცელება ვერ პოვა [41].

რაც შეეხება ბრტყელ ცულს, მისი ჩამოსასხმელი ყალიბი აღმოჩენილია ქვაცხელას C_1 ჰორიზონტზე [27], ხიზანაანთ გორაზე, ასპინძის რაიონის სოფ. ზველში [16]. ასეთი იარაღი დაცულია ახალციხის მუზეუმში [120] და სხვ. ამ ტიპის იარაღი გავრცელდა ფართოდ ჩვენში. იგი უმთავრესად ამ კულტურის გვიანდელ საფეხურზე გვხვდება თეთრიწყაროსთან და შულავერთან გათხრილ ყორღანებში, ერთიც — დიღომთან [42].

ამავე პერიოდში ცულის გარდა ვხვდებით იარაღის სხვა ტიპსაც — შუბისპირს. ისიც, როგორც ჩანს, წინა აზიიდან შემოდის და ჩვენში ორ სწორღეროიან და მოკაულღეროიან ვარიანტად ვრცელდება [41]. სწორღეროიანი შუბისპირი შიდა ქართლში ცნობილია ოსპრისიდან [84] და ცხინვალის მუზეუმიდან [111]. ოსპრისის შუბისპირს ღერო მრგვალი და გრძელი აქვს. ყუნწზე გადასვლის ადგილას ოდნავ შესქელებულია, ყუნწში წახნაგოვანი, პირი შედარებით მოკლე აქვს, ბრტყელი და ვიწრო, შუა ქედის გარეშე. ცხინვალის მუზეუმში დაცულ შუბისპირს კი უფრო ფართო და ქედიანი პირი აქვს, ღერო მასიურია და ყუნწზე გადასვლის ადგილს მეტად შესქელებული. აქვე აქვს მას ნახვრეტი. ორივე შუბისპირი ფორმით ახლო ანალოგებს პოულობს როგორც კავკასიის: ახალციხე ნოვოსვობოდნაია, ისე წინააზიურ მასალებში [41], სწორ ღერიანზე რამდენადმე მოგვიანო ხანისაა მოკაულღეროიანი შუბისპირი [41]. ასეთი შუბისპირი, არქაული ფორმის ცულთან ერთად, აღმოჩნდა ზაჰესში. მას აქვს გრძელი პირი, ორივე გვერდზე ვიწრო ქედით და შედარებით მოკლე ღერო, რომელიც ბოლოსკენ არაერთგვაროვნად ვიწროვდება და მთავრდება კავით. ამგვარი იარაღი ჩვენში კიდევ ორია ცნობილი: ერთი საქართველოს მუზეუმშია დაცული, მეორე — მოსკოვის ისტორიის მუზეუმში, თუმცა არც ერთი მათგანის აღმოჩენის ზუსტი ადგილი არაა ცნობილი. საქართველოს მუზეუმის შუბისპირი, ზაჰესურთან შედარებით, გრძელღეროიანია, პირი ვიწრო აქვს, არამკვეთრი შუა ქედით. ზაჰესურის მსგავსად, არც მას აქვს ყუნწი ღეროსგან ვამოყოფილი. რამდენადმე განსხვავებულია მეორე შუბისპირი. მისი ღერო ყუნწისაკენ თანდათანობით სქელდება და ყუნწში გადასვლის შემდეგ სწრაფად ვიწროვდება. ყუნწი ბოლოში ძლიერ მოღუნულია. პირს ორივე მხარეს შუა ქედი გაუყვება [41.42].

შიდა ქართლში, როგორც ამიერკავკასიის სხვა თანადროულ ძეგლებზე, გვხვდება ძირითადად ბრტყელპირიანი, ყუნწიანი სატევრისპირები [41]. ორი ამგვარი სატევრისპირი ცნობილია ხიზანაანთ გორის D ფენიდან [7]. ერთი შედარებით მოზრდილია, მაღალი სატარე ყუნწით, დაქანებული მხრებითა და სამკუთხა, შევიწროებული პირით. მეორეს აქვს გამოყვანილი პირი და მომრგვალებული წვერი. ეს ფორმა სატევრებისა საფუძვლად ედება შემდგომში საქართველოში გავრცელებულ სატევრისპირებს, რომელთა მსგავსიც ქვაცხელას C_1 ჰორიზონტის წითელპრიალა ჭურჭელზეა რელიეფურად გამოსახული [36]. ამგვარივე სატევრისპირები ცნობილია ახალციხის ამირანის გორაზე, საჩხერესა და სხვ. ქვაცხელას სამაროვანზეც აღმოჩნდა სპილენძის პატარა დანისპირი, დაბილული ყუნწით [36]. ერთი ბრტყელყუნწიანი სატევრისპირის ფრაგმენტი აღმოჩნდა ხიზანაანთ გორის C ფენაშიც [7].

ქვაცხელას C_1 ჰორიზონტზე მოპოვებულია სპილენძის ოთხწახნაგა ისრისპირი, ძლიერ წაწვეტებული ყუნწითა და წვერით [36]. ზედ შერჩენილი ხის ნაშთის მიხედვით ჩანს, რომ ისრისპირი ჩასმული ყოფილა ხის ღეროში [36].

ამგვარი იარაღი აღმოჩენილია საჩხერეში [36], ამირანის გორაზე [33] და სხვ.

ხიზანაანთ გორის C ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნამგალი, სატარე ყუნწით. იგი ნახევარფაბრიკატია [7]. ეს იარაღიც წინააზიური გავლენით ვრცელდება ჩვენში, თუმცა მაინცდამაინც ვერ იკიდებს აქ ფეხს, წამყვანი მაინც კაჟის ნამგალი ჩანს [7]. ლითონის ნამგლისპირის მტკვარ-არაქსის კულტურაში ერთეული ცალებია ცნობილი. მას ვხვდებით ქიულ-თეფე II-ზე, ახალციხეს ამირანის გორაზე, ჩრდ. აღმოსავლეთ ანატოლიაში — ქარაზისა და პულურის ნასახლარებზე [42].

გარდა საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღებისა, შიდა ქართლის ამ დროის ძეგლებზე აღმოჩენილია ლითონის სამკაულიც. ქვაცხელას სამაროვანზე გვხვდება ლითონის ბიკონუსური და სფერული მძივები, სპილენძის ორხვია სამაჯურები, ვერცხლის პატარა სპირალური ხვიები. მსგავსი სამკაული ცნობილია საჩხერიდან, სამშვილდიდან, ამირანის გორიდან და სხვა [36].

ამავე სამაროვანზე აღმოჩნდა სპილენძის ვოლუტებიანი საკინძიც. მას აქვს გრძელი, მრგვალი ღერო, რომლის ზედა ნაწილი დაბრტყელებულია და სპირალებით მთავრდება [36]. ამგვარივე საკინძია აღმოჩენილი ურბნისშიც [35]. ერთი რამდენადმე განვითარებული იერის საკინძი აღმოჩნდა სამშვილდის მოგვიანო ხანის სამარხებშიც [13]. ვოლუტებიანი საკინძი უფრო შიდა ქართლს ახასიათებს [42].

ქვაცხელას სამაროვანზეევე აღმოჩნდა სპილენძის დიადემა. იგი თავის ქალაზე იყო წამოცმული. დიადემა თხელფურცლიანია, გახსნილი. ზურგიდან პუნსონით ამოყვანილია ირმების, წყლის ფრინველებისა და ასტრალური ნიშნის გამოსახულება. მოცემული კომპოზიცია არსებითად არ განსხვავდება სინქრონული კერამიკის სიუჟეტურ-დეკორატიული კომპოზიციებისაგან. საქართველოში ამ ხანის დიადემები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ქვაცხელას დიადემასთან ფორმით, ზოგიერთი ტექნიკური დეტალით (პუნსონი) და საერთო ხასიათით (საკრალური დანიშნულების მაჩვენებელი გამოსახულებები) ყველაზე ახლოს დგას ურის სამეფო სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს დიადემა [36].

შიდა ქართლის ძეგლებიდან კარგადაა ცნობილი ქვის, ძვლისა და რქის ნივთებიც. ქვის ნივთები ძირითადად ობსიდიანისა და კაჟისაგანაა დამზადებული. ამ უკანასკნელს წამყვანი ადგილი უჭირავს. ფიქრობენ, რომ შიდა ქართლში გამოიყენებოდა როგორც ადგილობრივი, დაბალხარისხოვანი კაჟი, ისე მაღალხარისხოვანი, მუქი ყავისფერი კაჟი, რომელიც, ალბათ, ზემო იმერეთიდან შემოჰქონდათ [27]. ქვის იარაღებიდან უმთავრესად გვხვდება ნამგლისპირები, ისრისპირები, ხელსაფქვავები, სანაყები და სხვა. ამ ხანის ისრისპირები უმთავრესად ყუნწიანია, დამუშავებულია მცოცავი რეტუშით და ფხაწართმეულია. მსგავსი ისრისპირი აღმოჩენილია ქულბაქებზე, ხიზანაანთ გორაზე, ქვაცხელაზე და სხვა. მისი პარალელი მრავლადაა მტკვარ-არაქსის კულტურის არ-

ერთ ნასახლარზე. ყუნწიანი ისრისპირების გვერდით გვხვდება ასიმეტრიული ფუძეამოღარული ისრისპირებიც [41]. მსგავსი იარაღი აღმოჩენილია ზღუდრის გვერდზე, ნაცარგორის ქვედა ფენაში და სხვა. ასიმეტრიული ისრისპირები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კულტურებისათვის, რის გამოც ზოგი მეცნიერი ამ ისრისპირებში ჩრდილოური ტრადიციების არსებობას ხედავს. მაგრამ ჩრდილოეთში გავრცელებული ისრისპირები რამდენადმე განსხვავდება ჩვენში აღმოჩენილი ისრისპირებისაგან, ამასთან, ჩვენში ამგვარი ისრისპირები თითქოს უფრო ადრეული ხანებიდანვე ჩანს, რაც საქართველოში ამ ტრადიციების აღრიდანვე არსებობაზე უნდა მიუთითებდეს [41].

ისრისპირზე უფრო მრავლად კაჟის ნამგლისპირია ნაპოვნი. უმეტესობა სწორ ანატკეცზეა ჩამოყალიბებული და ძირითადად სწორკუთხა ფირფიტებს წარმოადგენს. მხოლოდ წვერის ჩასართის ბოლოა გაწვრილებული და ოდნავ მოღუნული. ნამგლის პირი დაკბილულია და ხმარებისაგან გაპრიალებული. ყველა ჩასართი ერთნაირია და ლოკალურობა არ ახასიათებს [57], თუმცა შენიშნულია, რომ შიდა ქართლის ზოგ ნასახლარზე (ხიზაანთ გორა, ქვაცხელა) აღმოჩენილი ნამგლისპირები უფრო მოზრდილი და ფართოა [36]. კაჟის ნამგლისპირი ძალზე დამახასიათებელი იარაღია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. მას ამ კულტურის ნებისმიერ ნასახლარზე ვხვდებით. კაჟის ნამგლისპირებს გარდა, შიდა ქართლის ნასახლარებზე (ქულბაქები) აღმოჩენილია ბრტყელი, ფართო, სწორკუთხა კაჟის დანისპირებიც.

ხიზანაანთ გორის C ფენაში და ზღუდეზე აღმოჩენილია ქვის სამკუთხა ფორმის ხვრელიანი ცული. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქვის ხვრელიანი კვერიც ცხინვალის ნაცარგორიდან [41]. მრავლადაა ქვის ნალისებრი ფორმის ხელსაფქვავებიც, რომლებიც მარტო ხიზანაანთ გორაზე ათეულ კომპლექტადაა აღმოჩენილი [7]. ნავისებრი ხელსაფქვავი ძალზე დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის და მას თითქმის ყველა ნასახლარზე ვხვდებით. ხიზანაანთ გორის C ფენიდან ცნობილია კირქვისაგან დამზადებული ურმის თვლის მოდელიც [7].

ძვლის ნივთების უმრავლესობაც ხიზანაანთ გორისა და ქვაცხელას C ფენიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია ქვაცხელაზე აღმოჩენილი ძვლის დიდი ზომის ისრისპირი, ბიპირამიდული ფორმის, დაწახნაგებული და ძლიერ წამახული წვერითა და მოკლე, ასეთივე მოყვანილობის ყუნწით. იგი ემსგავსება ლითონის ოთხწახნაგა შუბისპირებს და მათ პროტოტიპადაა მიჩნეული [36]. ამავე ძეგლებზე ვხვდებით ლულოვან ძვალზე ჩამოყალიბებულ სახვრეტებს, საქონლის გახვრეტილ ნეკნს, ძვლის ცილინდრულ მძივებს, საკიდებს, კვირისტავებს და სხვა, რომელთაც მრავალი ანალოგი მოეპოვებათ ამ კულტურის ძეგლებზე.

მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპის შიდა ქართლის სოფელი არ იცვლის სახეს. გეგმარება თითქმის ისეთივე რჩება. არ იცვლება შენობის

ტიპიც [42]. ამ მხრივ საყურადღებო მონაცემებს ქვაცხელას B ფენა გვაწვდის: B ფენის სახლი ხშირად ზუსტად ფარავს C ფენის ნაგებობას ისე, რომ კერა კერაზე დევს, არ იცვლება შენობის ტიპი, შენარჩუნებულია სიმჭიდროვე ნასახლარისა, ორიენტაცია და რიგთა სწორხაზოვნება, ვიწრო გასასვლელები და მოედნები. ამრიგად, ქვაცხელას B ფენაში განაგრძობს არსებობას „სტანდარტული" ტიპის სწორკუთხა ფორმისა, წინა მხრიდან დერეფანმიდგმული, კუთხეებმომრგვალებული შენობა, ნაგები ხის კარკასზე, რომლის შიდა და გარეთა პირი თიხითაა შელესილი. გადახურვა აქაც ბანურია, თიხატკეპნილი, დეღაბოძზე დაყრდნობილი. ყოველი შენობის ცენტრში სტაციონარული მრგვალი, შვერილებიანი კერაა გამართული [69]. ანალოგიური შენობებია აღმოჩენილი ხიზანაანთ გორაზე, ასევე ქ. გორთან, ნასახლარ გუდაბერტყაზეც [42]. აქ გამოვლენილი შენობის ტიპი სავსებით ისეთივეა, როგორც ქვაცხელასა და ხიზანაანთ გორის სოფლებისთვისაა დამახასიათებელი: მოგრძო, ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული. აღსანიშნავია ერთი ამგვარი ნაგებობა, რომლის კედლებზედაც თითქოს მოხატვის კვალი იყო შერჩენილი [42].

როგორც ჩანს, აქაც სოფლის გეგმარება იმავე ხასიათისაა: ერთმანეთთან მიჯრილი სახლები მსგავსი ორიენტაციით და სხვ. მაგრამ თვით სოფელი გაცილებით უფრო მოზრდილი იყო და ხელოვნურად უნდა ყოფილიყო გამაგრებული [42].

ქვაცხელა — ხიზანაანთ გორის B ფენის შენობებს უახლოვდება მეტეპთან გათხრილი ნასახლარიც. მომრგვალებულკუთხეებიანი შენობა აღმოჩნდა მჭადიჯვრის ნასახლარზეც [20.116].

ამ ეტაპზე მიცვალებულის დასაკრძალავად უმთავრესად იხმარებოდა ქვაყრილიანი უორმოო ან ორმოიანი სამარხი. ქვაცხელას მახლობლად, ტვლეპიაწყაროს სამაროვანზე აღმოჩნდა ქვაყრილიანი ორმოსამარხები. მათი დაზიანების გამო ძნელდება დაკრძალვის წესისა და სამარხთა დამხვრეპის ზუსტი განსაზღვრა. ჩანს, რომ ეს სამარხები ინჰუმაციურია. აქვე, ალბათ, კერამიკული სამარხების არსებობასაც ვარაუდობენ. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია შავპრიალა-ვარდისფერსარჩულიანი კერამიკით, ლითონის ოთხწახნაგა შუბისპირით, სპილენძისა და ქვის იარაღ-სამკაულებით [36].

ქვამიწაყრილიანი 13 ორმოსამარხი გაითხარა არადეთის ეორაზეც. სამარხები ოთხკუთხა ფორმისაა, ორიენტირებული ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. მათი კედლები ამოშენებულია საშუალო ზომის რიყის ქვებით. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები, მოკრუნჩხულად დაკრძალული მიცვალებულით. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს თიხის ჭურჭელი და ვერცხლის, ბრინჯაოს, ანთიმონისა და ქვის იარაღ-სამკაული [2].

მსგავსი სამარხები აღმოჩნდა ზნაურის რაიონში, ძაღინას ტერიტორიაზეც. კონსტრუქციულად ეს სამარხები ორგვარია და დაჯგუფებულია ორ უბანზე. აღმოსავლეთის უბნის სამარხები განსხვავდება დასავლეთის უბნის სამარხები-

საგან როგორც დაკრძალვის წესით, ისე სამარხეული ინვენტარით. სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში მიცვალებულს პირდაპირ მიწის ზედაპირზე დებდნენ და ზემოდან ქვაყრილს უკეთებდნენ. დასავლეთ ნაწილში კი მიცვალებულს ჯერ საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ და შემდეგ აყრიდნენ ქვას. მიცვალებულნი გვერდზე არიან დაკრძალული, მოკრუნჩხულად, ჩატანებული აქვთ მცირეოდენი სამარხეული ინვენტარი. ამ უკანასკნელზე დაკვირვებებით გაირკვა, რომ დასავლეთი უბნის სამარხები რამდენადმე უფრო ადრეულია, ვიდრე აღმოსავლეთი უბნისა [41].

ერთი ქვაყრილიანი სამარხი აღმოჩნდა სოფ. ნულში. მიცვალებული აქაც გვერდზე იყო დაკრძალული, მოკრუნჩხულ პოზაში. სამარხეულ ინვენტარს თიხის რამდენიმე ჭურჭელი შეადგენდა [41]. უნდა მოვიხსენიოთ ქვასათალის სამაროვანზე გათხრილი ერთი ადრეული სამარხიც [41]. ოვალური ფორმის, ალიზით ნაგები სამარხები აღმოჩნდა გუდაბერტყაზე [94].

ამ ეტაპის კერამიკული ნაწარმიც მჭიდროდ უკავშირდება წინამორბედი ეტაპის ანალოგიურ ნაწარმს, რაც კარგად აისახა ქვაცხელას ნასახლარის მაგალითზეც. აქ B ფენის კერამიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც სქელკედლიანი, ისე თხელკედლიანი, უმთავრესად გამომწვარი რუხ-მონაცრისფრო-მოშავო ფერად, ნაცრისფერ, იშვიათად ვარდისფერ სარჩულზე. ჭურჭლის შესამკობად გამოყენებულია გრაფიკული სახეები, უმთავრესად ამოკაწრული. მოხატულობის რამდენიმე ნიმუში გვხვდება მონაცრისფრო-ვარდისფრად გამომწვარ ჭურჭელზე. ფორმით გამოიყოფა რამოდენიმე ჯგუფი: ერთი მხრივ, გვხვდება სასმისები, ალყურა ბადიები, ვიწრო და ფართოყელიანი ქილები, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი ზომის დერგები. მაგრამ ჭურჭლის უმრავლესობას შეადგენს საშუალო ზომის, ტიპიური ფორმის, ცალყურა პირფართო ქილები, შემკული გეომეტრიული სახეებით. აღნიშნული ორნამენტი შესრულებულია მკაფიოდ გავლებული, საკმაოდ ღრმა, თავისუფალი ხაზებით და ძირითადად ერთგვაროვანია: მხრებზე შემოვლებული ზოლი და მის ქვეშ, ჭურჭლის ირგვლივ კორპუსზე, ტეხილხაზოვანი სახე. გვხვდება რომბები, ცერად დაშტრიხული სამკუთხედები და სხვ., რომელიც პარალელებს პოულობს თრიალეთის, საჩხერისა და სხვ. ძეგლების ძასალებში [36].

ამ ჭურჭელსა და წინარე ეტაპის ჭურჭელს აახლოებს ბადიები, პატარა სასმისები, მოზრდილი სამყურა ჭურჭელი და სხვ. სიახლოვე ჩანს ჭურჭლის შემკობაშიც: ორივეგან ნაკაწრი ორნამენტისა და მოხატული კერამიკის არსებობა. შეინიშნება სხვაობაც: ქვაცხელას B ფენის კერამიკაში ჩნდება ზოგი სრულიად ახალი ელემენტი, ქრება ან ძლიერდება წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება: B ფენისათვის, C-სთან შედარებით, დამახასიათებელია ჭურჭლის ნაწილების მეტი დიფერენცირებულობა; ჩამოყალიბებული სახის გრაფიკული ორნამენტი, რომელიც C ფენისაგან განსხვავებით უწყვეტ, რიტმულ ორნამენტირებულ სარტყელებსა ქმნის; მოხატული კერამიკის შედარებითი სიმრავლე [36].

საინტერესო კერამიკული ნაწარმია აღმოჩენილი არაგვის ხეობაში, ქვემო არანისში. ესაა სუფრის, სამზარეულო, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების თიხის ჭურჭელი. სპარბობს მოყავისფრო, მორუხო-მოვარდისფრო და ნაცრისფერი ჭურჭელი, ორნამენტირებული ჭდეული ხაზებით, სპირალებითა და ზოომორფული სახეებით. ამ ჭურჭლის უმეტესობას აქვს ვიწრო ძირი, როგორც ჩანს, სპეციალურ სადგარზე იდგმებოდა. გამოირჩევა მარცვლეულის შესანახი, დიდი ზომის, კორპუსზე ხვრელიანი დერგები, ქოთნები, ჯამები, კათხები და სხვა ფორმის ჭურჭელი. აღსანიშნავია თიხის ღრუქუსლიანი ვაზები, ფორმით ახლო მდგომი სირია-პალესტინურ ცალებთან. უურადღებას იქცევს მოხატული ჭურჭელი: ჯამი, ქოთანი, სამყურა ჭურჭელი, რომელთა ზედა ნახევარია ძირითადად მოხატული, წითლად ან მოწითალოდ შეღებილ ზედაპირზე შავი საღებავით გამოყვანილია უბრალო გეომეტრიული ორნამენტი, სამკუთხედები, სვასტიკისებური სახეები და სხვ. [58].

ამავე ეტაპზე კვლავ გვხვდება ადრე ცნობილი მრგვალი, შვერილებიანი კერა. ქვაცხელაზე, ხიზანაანთ გორაზე, ქვემო არანისსა და გუდაბერტყაზა ნაპოვნი არაერთი ამგვარი კერა. ჩნდება განსხვავებული ტიპისაც — მრგვალი, უშვერილო, ცილინდრულტანიანი, ძირში ნახვრეტით (მეტეხი). მსგავსი კერა უფრო სამხრეთ საქართველოში იყო გავრცელებული. იგი ცნობილია ახალციხის ამირანის გორიდან, თეთრიწყაროდან და სხვ. [20]. კერის სადგარებიდან აღსანიშნავია ქვემო არანისსა და ხიზანაანთ გორის B ფენაში აღმოჩენილი კოპისებრი და ნალისებრი სადგარები, რომელთა პარალელებს მრავლად ვხვდებით ამ კულტურის ნასახლარებზე [30].

ხიზანაანთ გორის B ფენიდან ცნობილია თიხის მცირე ზომის ადამიანის სტილიზებული ქანდაკება [7]; იგი მჯდომარე პოზაშია, მუცელი გამობერილი აქვს, მკერდი ჩავარდნილი. მარცხენა ხელი იდაყვშია მოხრილი და წინ გაშვერილი. სახე ირიბადაა წაკვეთილი, ზედ გამოსახული აქვს თვალები და ცხვირი. ფეხებს შუა მიძერწილი აქვს ფალოსი [7]. აქვე უნდა დავასახელოთ ცხვრის მცირე ზომის ქანდაკებები, თიხის ბორბლები, კარგად ცნობილი როგორც წინარე ეტაპის მასალებიდან, ისე ამ კულტურის სინქრონული ნასახლარებიდან.

ამ კულტურის მოგვიანო ეტაპზე გარკვეული მემკვიდრეობა ლითონის ნივთებითაც ჩანს, თუმცა განვითარება აქაც აშკარაა. ამ დროის უუადაქანებული ცული ვიწროტანიანია, ნაკლებმასიურია და უფრო მოხდენილი ფორმით გამოირჩევა. შიდა ქართლში იგი მასკატ-კომიდანაა (სამხრეთ ოსეთი) ცნობილი; საქართველოში მას ვხვდებით საჩხერის სამარხებში აფხაზეთის დოლმენებში და სხვ. [42].

უუადაქანებული ცულის მხარდამხარ გავრცელებული იყო, აგრეთვე, ვიწროტანიანი უუამილიანი ცული. იგი კარგადაა წარმოდგენილი შიდა ქართლ-

ში, განსაკუთრებით მის ჩრდილო ზოლში: ქვასათალში, სოფ. გუფთაში, ძალინაში [42. 111]. შესაძლოა ამავე ხანისა იყოს ხაშურის მუზეუმში დაცული ორი ცული [99]. ყუამილიანი ცული პირის მოყვანილობით ახლო დგას ყუადაქანებულთან. ჩანს, ისინი ერთმანეთთან გენეტიკურად არიან დაკავშირებული. პირი მათ ჩვეულებრივ ვიწრო და რკალისებრი აქვთ, უკან დაქანებული. განსხვავება ძირითადად სატარის მოყვანილობაშია: ყუამილიან ცულს სატარე მილისებური მოყვანილობისა აქვს. ზოგი ცული გრძელი სატარი მილითა და მორკალური პირით უფრო სარიტუალო დანიშნულებისა ჩანს, ვიდრე პრაქტიკული [77]. იგი კარგადაა ცნობილი საჩხერის სამარხებიდან [42]. ამგვარი ცული, სხვადასხვა ვარიაციებით, მრავლადაა აღმოჩენილი წინა აზიაში, საიდანაც შემოდის ჩვენთან და აქ თავისებურ ელფერს იღებს [42].

შუბისპირიც, წინა ეტაპის მსგავსად, ყუნწიანია. ერთი ამგვარი შუბისპირი აღმოჩნდა ბაგინეთში. პირთან შედარებით ღერო მას რამდენამე მოკლე და ბოლოში დახვეული აქვს. ღეროს შუაზე, ორივე მხრიდან ღარი გაუყვება. პირი ფართოა და საკმაოდ მოზრდილი, შუაზე არამკვეთი ქედით [41].

შუბისპირის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ხიშტისებრი იარაღიც. ისიც ფართოდ იყო გავრცელებული წინააზიურ სამყაროში. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩნდა ქვაცხელაზე, ტვლეპიაწყაროს სამაროვანზე. მას აქვს ყუნწთან შედარებით გრძელი, ოთხკუთხა პირი, რომელიც შემაღლებით გადადის ოთხსავე ყუნწზე. ყუნწის ბოლო მოხრილია [36]. ხიშტისებრი ერთი იარაღი ცნობილია ჟინვალიდან. მას ყუნწის შუა ადგილას ხვრელი აქვს [30]. ამგვარივე, ოღონდ უფრო გრძელი ხიშტი აღმოჩენილია საჩხერის სამაროვანზეც [77]. ეს იარაღი ფორმით ემსგავსება სპილენძის ოთხწახნაგა ისრისპირებს, რომლის არაერთი ეგზემპლარი ცნობილია ქვაცხელადან, ჟინვალიდან, ხიზანაანთ გორიდან და სხვა ძეგლებიდან.

შიდა ქართლიდან ცნობილია ბრინჯაოს სატეხიც [42]. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩენილია ქვემო არანისშიც. მას აქვს შევიწროებული თავი, დაწახნაგებული ღერო და ამოღარული პირი [30], ოთხკუთხაგანიკვეთიანი სატეხი ცნობილია ბორჯომის რაიონიდან, საკოპავიდანაც [26]. ანალოგიური იარაღი აღმოჩენილია საჩხერეში, ქვემო ქართლში გათხრილ ყორღანებში, ჩრდ. კავკასიაში — ნოვოსვობოდნაიას ყორღანში და სხვ. [42].

ამავე პერიოდის სატევრისპირებიც აგრძელებენ ადრეულ ტრადიციებს. კერძოდ, ისინიც ბრტყელია, ყუნწიანი, სატარე ხვრელის გარეშე. შეინიშნება

განვითარებაც: ახლა სატევრები გამოირჩევა მოხდენილი ფორმით, სიმეტრიულობით. იგი პროტოტიპი უნდა იყოს ჩვენში შუა ბრინჯაოს ხანის მალალეუნწიანი სატევრებისა [41]. ამგვარი სატევრები აღმოჩენილია ოსპრისში, ცხინვალსა და ძაღინაში. ახლო დგას მათთან ლიკანის ბრტყელი, ყუნწიანი სატევარიც [41].

რამდენადმე მოგვიანო უნდა იყოს ქულბაქებისა და საკოჭავების ფოთლისებური, უქედო სატევრისპირები, რომელთაც შუაბრინჯაოს ხანის სატევრებისათვის კარგად ცნობილი ნახვრეტი აქვს ყუნწზე. თუმცა არაა გამორიცხული მათი მიკუთვნება ადრებრინჯაოს ხანის გვიანი ეტაპისადმი [41.26].

რაც შეეხება ლითონის სამკაულს, ის წარმოდგენილია მარყუჟისებრი, T-ს ფორმის და ცხვრის რქისებრი დახვეულთავიანი საკინძებით, სპილენძის სასაფეთქლე ხვიებით, სხვადასხვა ფორმის მძივებითა და საკიდებით. აღნიშნული საკინძები, საერთოდ, დიდი ზომებით გამოირჩევა. უკანასკნელს ღეროს ზედა ნაწილი ან ქოლგისებრი შვერილით უმთავრდება, ან კიდევ გამსხვილებული აქვს და მავთულშემოხვეული თავი მარყუჟით ბოლოვდება. შიდა ქართლში ამ ტიპის საკინძი ცნობილია ძაღინადან და ქვაცხელას B ფენიდან. ამგვარი საკინძი კარგადაა ცნობილი საჩხერის სამარხებიდან. მას მრავლად ვხვდებით წინა აზიასა და ევროპაში [41].

T-ს ფორმის საკინძის ღეროს ზედა ნაწილი უმთავრესად გრეხილია, თავსა და ღეროს შეერთების ადგილას ზოგჯერ ნახვრეტი აქვს. თავის ორივე ბოლო თავდება ბრტყელი რგოლით. ასეთი საკინძებიც უმთავრესად საჩხერის სამარხებიდანაა ცნობილი. აგრეთვე, მას ვხვდებით მხოლოდ შიდა ქართლში — ქვაცხელას B პერიოდში, და ყორნისზე [59.111]. უკანასკნელის ეგზემპლარი შემკულია წიწვისებრი ორნამენტითაც. T-ს ფორმის საკინძი ადგილობრივ, შიდა ქართლის კულტურულ წრეში ჩამოყალიბებულ ტიპადაა მიჩნეული. მას უხეში შალის ტანსაცმლის შესაბნევად იყენებდნენ [41].

ამავე ეტაპზეც გვხვდება ადრე ცნობილი დაბრტყელებულთავიანი საკინძი, რომლის ბოლო სპირალით მთავრდება. იგი აღმოჩენილია ძაღინაში. ადრეულ ანალოგებისაგან განსხვავებით, მას უფრო ნახევარმთვარის მოყვანილობის თავი აქვს, რომელიც პატარა სპირალით თავდება. ამგვარივე ორი საკინძი აღმოჩენილია ქვემო ქართლში ღაით-მაზის ნამოსახლარზე. მასვე ემსგავსება ქორეთის ერთ-ერთი სამარხის საკინძიც [42]. შესაძლოა ძაღინას ტიპის საკინძისაგან განვითარდა ე. წ. „ცხვრის რქისებრი", თავდახვეული საკინძი, რომლის ეგზემპლარებიც ცნობილია ქვემო არანისიდან, ქვასათალიდან [42.30]. მისი უადრესი ცალები ცნობილია საჩხერის სამარხებიდან. საერთოდ კი ამგვარი საკინძი ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიასა და ევროპაში [41].

ლითონის სხვა სამკაულიდან ამ პერიოდში ვხვდებით სპილენძ-ბრინჯაოსაგან დამზადებულ სასაფეთქლე ხვიებს, ბიკონუსურ და კასრისებრ მძივებს. მცირე ზომის რგოლებს, თოხისებრ საკიდებს და სხვ. მათი უმეტესობა ქვაცხე-

ლაზე, ტვლეპიაქოხის სამაროვანზეა აღმოჩენილი და ანალოგები გააჩნია სა-ჩხერის, ამირანის გორის, ზველის და მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ძეგ-ლების მასალებში [36].

ამ პერიოდშიც კარგადაა განვითარებული ქვის ინდუსტრია, მრავლად ვხვდებით სხვადასხვა დანიშნულების ქვის, ძვლისა და რქის იარაღ-სამკაულს.

ქვის იარაღიდან აღსანიშნავია კაჟისა და ობსიდიანის სამკუთხა ფორმის ისრისპირები, დამზადებული მცოცავი რეტუშით. გვხვდება როგორც ყუნწი-ანი, ისე უყუნწო, ქუსლამოღარული ცალები, აღმოჩენილი ქვაცხელა — ხიზა-ნაანთ გორის ფენაში, ქვემო არანისში. მათი ანალოგები მრავლადაა საჩხერეში. თრიალეთზე, ამირანის გორაზე და სხვა. ერთი განსხვავებული ტიპის ფოთ-ლისებრი ისრის თუ შუბისპირი აღმოჩნდა მჭადიჯვრის ნასახლარზე, მსგავსი თეთრი წყაროს ადრეული ხანის ცალისა [115].

წინა პერიოდის მსგავსად, ახლაც მრავლადაა კაჟის ნამგლისჩასართები. ყველა დამზადებულია მცოცავი რეტუშით. დამახასიათებელია მსხვილი, ტრა-პეციოდული მოყვანილობის, ორმხრივრეტუშირებული ჩასართები გამოყენე-ბის კვალით. როგორც ჩანს, თითოეული ნამგალი სამი ასეთი ჩასართისაგან შედგებოდა [36].

კარგადაა წარმოდგენილი ქვის ნავისებრი ფორმის ხელსაფქვავები, სანა-ყები, საფხეკები, სასრესი ქვები. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ბორჯომის მუზე-უმში დაცული შავი ფერის ქვისაგან დამზადებული, კარგად გაპრიალებული ერთი ხვრელიანი ცული. იგი სოლისებრი ფორმისაა, ზედა, ყველაზე განიერ ადგილას, სატარე ხვრელით. აქვს მომრგვალებული პირი და წინა მხრიდან შე-ჭრილი ყუა, რითაც გარკვეულად ემსგავსება ქულბაქების ტიპის ლითონის ცუ-ლებს. მას შეიძლება დავუახლოვოთ ქვის ხვრელიანი ცული ქორეთიდან, თუმ-ცა მას უფრო მაღალი ყუა აქვს [41]. ზედა ნაწილში სატარეხვრელიანი, თი-თქმის ზუსტად ბორჯომის მუზეუმის ცულის მსგავსი, ცული აღმოჩნდა სოფ-ხეთში — კეტიში; რამდენადმე ემსგავსება მას აგრეთვე ეჩმიაძინის ცულიც, იმ განსხვავებით, რომ მას სატარე ხვრელთან, გვერდებზე წიბური გასდევს [113]. აქვე შეიძლება შევუდაროთ ჩეჩნეთ-ინგუშეთში ნოვო-არშტის ყორღანის ქვის ხვრელიანი ცულიც [93]. უნდა ითქვას, რომ ჩვენში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში ქვის გახვრეტილი ცული, წინა აზიის მსგავსად, შედარებით იშვი-ათია [41].

ქვის სამკაულიდან ვხვდებით სარდიონის, ქალცედონის, მინისებრი მასისა და ქვისაგან დამზადებულ მილისებურ, სფერულ, მრგვალ-ბრტყელ, წიბოიან და სხვა ფორმის მძივებს. მათი ანალოგები ცნობილია ამირანის გორიდან, სა-ჩხერიდან და სხვ.

ძვლის ნივთებიც საკმაო რაოდენობით გვხვდება. წინა პერიოდისაგან გან-სხვავებით, მატულობს ძვლის ისრისპირები — ახლა უფრო გამოკვეთილი ფორ-მისა; კერძოდ, გარდა მრგვლად გათლილი პირისა და ყუნწის მქონე ისრის-

პირებისა, არის მრგვალყუნწიანი და ბრტყელპირიანი ცალები, რომელთაც გაჩნია ფრთები [39].

ძვლის სხვა ნაკეთობიდან აღსანიშნავია ქვაცხელას B ფენის საკიდი-სატევარი. იგი ზუსტად იმეორებს საჩხერული სპილენძის სატევრის ფორმას [36]. გარდა ამისა, ვხვდებით ლულოვან ძალაზე დამზადებულ სახვრეტებს, სადგისებს, ნემსებს, კვირისტავებსა და სხვა, როძელთა ანალოგებს მრავალჯერ ვხვდებით ამ კულტურის ნასახლართა უმრავლესობაზე. მაგრამ ყველაზე საინტერესო ნივთს ქვაცხელას B ფენაში აღმოჩენილი ირმის მოზრდილი რქისაგან გაკეთებული სახვნელი წარმოადგენს [36]. რქის სამი ტოტიდან შუა ტოტი მოჭრილია, უკანა ტოტი გათლილია და წამახული. მისი სამუშაო ტოტი ბოლოსკენ ბრტყლად არის გათლილი, ხოლო ზედა ნაწილში — ცერად, სიბრტყეებად ჩათლილი. ჩანს, რომ ამ იარაღით ისეთი სამუშაო სრულდებოდა, რომლის დროსაც უნდა დავუშვათ გამწევი ძალის გამოყენების შესაძლებლობაც. ირმის რქისაგან არის დამზადებული აქვე აღმოჩენილი იარაღის ტარი, რომელიც სადგისის დასაგებად იყო განკუთვნილი. ის წარმოადგენს ირმის რქის ოდნავ მოხრილ, მოკლე ნაჭერს, რომლის ბოლოებზე ღრმა ღარებია შემოვლებული [36].

ს ა მ ც ხ ე-ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული აღრებრინჯაოს ხანაში. ამ ხანის ძეგლების ტოპოგრაფია საშუალებას იძლევა მაახლოებით განისაზღვროს დასახლებათა სიმჭიდროვე რეგიონში, მართალია, იმდროინდელი ადამიანის კვალი ჩანს როგორც მთიან, ისე შედარებით ზომიერ სარტყელში, მაგრამ სადღეისოდ მეტი ძეგლია აღმოჩენილი აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში—ჯავახეთისა და ერუშეთის პლატოებსა და არტაანის თუ ჯავახეთის მტკვრის ხეობაში [43].

ჯავახეთის მტკვრის სათავე (ბოგდანოვკის რაიონი), როძელიც დღესაც გამოირჩევა შედარებით მკაცრი კლიმატით, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული უნდა ყოფილიყო. მარტო სოფ. ყაურმასა და ჯიგრაშენს შორის, ადგილ დიგაშენში, ამ ხანის ორი ნამოსახლარი გამოვლინდა. დიგაშენის გორის თავზე, პატარა ვაკეზე, ამ პერიოდის ნამოსახლარი ჩანს. აქ კარგად ისახება შენობების ქვის საფუძვლები, ნასახლარის კვალი შეიმჩნევა აგრეთვე ტერასებსა და გორის ძირზეც. გორის პირდაპირ უფრო მოზრდილ გორაზეც დაფიქსირდა ამ დროის დასახლების ნაკვალევი [42]. ამ ხანის ძეგლები გამოვლინდა სოფ. სათხეს სანახებშიც [9].

დასახლებათა კიდევ უფრო მეტი სიმჭიდროვეა ახალქალაქის რაიონში, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარები აღმოჩნდა ახალქალაქის ამირანის გორაზე, სოფ. ჩუნჩხასთან, ადგილ „კოშკებზე“. ამ დროის კერამიკა დადასტურდა სოფ. ოკამსა და გოგაშენს შორის, ნასოფლარ დარყაში, ყარაერის ტერიტორიაზე და სხვ. მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმი გამოვლინდა აგრეთვე დანკალას გორაზე, სოფ. თოკში, სოფ. საროში, დილის-

კაში, სოფ. მოდეგამის გორაზე, ასევე სოფ. ბალანთასა (ტაბ. CXVII—12) და კოთელიაში [42].

კარგადაა წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურა არტაანის მტკვრის ხეობის მარცხენა ტერასებზე და ერუშეთის პლატოზე, რომელიც ჯავახეთის ზეგნიდან ღრმა და ფართო კანიონითაა გამოყოფილი. აქ, ქვედა ტერასაზე, ახჩიას მინდვრებზე ალაგ-ალაგ მტკვარარაქსული კერამიკა ჩნდება. უკეთ ჩანს ამ კულტურის ნაკვალევი ახჩიის თავზე. ერუშეთის მთიანეთის დავაკებულ ადგილას, ნიალას ველზე, რომელიც არცთუ ისე დიდს, მაგრამ საკმაოდ მყუდრო პლატოს წარმოადგენს. აქ, დუმელას და გელაზის ნასოფლარებს შორის, მრავლად იკრიფება ამ კულტურის კერამიკის ფრაგმენტები. ამ პერიოდის ნასახლარის ნაშთები აღმოჩნდა ნიალასა და ლებისს შორის მდებარე საკმაოდ მაღალ გორაზე. გორის თავზე და მის ფერდობებზე დიდი რაოდენობით ნაპოვნი იყო ტიპიური მტკვარარაქსული კერამიკა. ჭაჭკრის თავზე, ზემო თმოგვთან ამ ხანის გორა-ნასახლარი დადასტურდა საკმაოდ ძლიერი ფენით [42]. ამ პერიოდის მასალა აიკრიფა ზედა ვარძიაშიც, ასევე „კენჭიყარას“ კონცხზე. ადრებრინჯაოს ხანის მასალები აღმოჩდა სოფ. თმოგვთან, ადგილ „ბერთაყანაზე“ და ურავლის ხეობაში „ლოდობანაზე“ [25.63].

ამ პერიოდის არაერთი ძეგლი იქნა გამოვლენილი სოფ. ზველის სანახებში. აქ, ადგილ „სამარხი ყანებზე“, „რაბათზე“ და სხვ. ადრებრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეტაპის ამსახველი არაერთი ძეგლია აღმოჩენილი [55.120; 121].

რეგიონის უფრო ზომიერ სარტყელში აღსანიშნავია ახალციხის მახლობლად არსებული ამირანის გორის მძლავრი ნასახლარი. მტკვარ-არაქსის კულტურის ნაშთებს აქ ვხვდებით როგორც საკუთრივ გორის თავზე, ისე მის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერასებზე, დასავლეთით — ხევით გამოყოფილ შემაღლებაზე [33]. ამ პერიოდის ძეგლები აღმოჩენილია მახლობლად მდებარე სოფ. სვირის გორაზე [16], სოფ. ფარეხასთანაც აღმოჩნდა ამ კერამიკის შემცველი რამდენიმე ორმო [56];

სამცხე-ჯავახეთის უფრო დასავლეთ ნაწილში, ადიგენის რაიონში, ამ ხანის ძეგლები მხოლოდ რამდენიმე პუნქტზეა დადასტურებული. აღსანიშნავია სოფ. ბენარაძა და ვარხანთან, მოგვიანო ხანის მასალასთან ერთად, მტკვარ-არაქსული ნაწარმის აღმოჩენაც [33. 16]. ამ პერიოდის მასალა აღმოჩნდა სოფ. უდის სანახებშიც [43]. ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი გამოვლინდა კურორტ აბასთუმანშიც „ყანობილის“ მთის ქვედა ტერასაზე. აქ აღმოჩნდა როგორც მტკვარარაქსული, ისე დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მასალებიც [73.108.109].

როგორც ჩანს, ბორჯომის ხეობა და ადიგენის რაიონი, სამცხე-ჯავახეთის სხვა რეგიონებთან შედარებით, ნაკლებად იყო ათვისებული. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ აქაური გეოკლიმატური პირობები ნაკლებად შეესაბამება მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობის

ხასიათს, რომელიც უფრო კონტინენტალური კლიმატის ზონას ირჩევდა საცხოვრებლად [42.43].

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები უმთავრესად ბუნებრივ გორებზე, ხეობათა ტერასებსა და პლატოებზეა განლაგებული [18]. მათთვის დამახასიათებელია არქიტექტურისა და შენების ტექნიკის მეტ-ნაკლები ერთგვაროვნება. შენობების უმეტესობა ტერასულად არის განლაგებული.

სამცხე-ჯავახეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების დათარიღებისათვის ორი რადიოკარბონული თარიღი არსებობს. ორივე ახალციხის ამირანის გორიდან— 2885±180 და 2675±170 [81]. ამ თარიღების, სტრატიგრაფიული მონაცემებისა და მასალის ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა რეგიონში ადრებრინჯაოს ხანის არსებობის ხანგრძლივობა და შემუშავდა აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების პერიოდიზაციის სქემა [119.116]. უძველეს, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნა ახალქალაქის ამირანის გორიდან და სოფ. ზველის ორმოსახარხებიდან მომდინარე მასალა.

მომდევნო საფეხური მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპს შეესაბამება. მასში ერთიანდება აბასთუმნის ნასახლარი, ახალციხის ამირანის გორის ქვედა ფენა, ახალქალაქის ამირანის გორა, ბენარა და სხვ.

III საფეხური მტკვრ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპს ასახავს. მასში ერთიანდება ახალციხის ამირანის გორის ნასახლარი, ოკამი, ზველის „სამარხი ყანები“ და სხვ.

IV საფეხური ადრედან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს მიეკუთვნება. ამ საფეხურის ძეგლებია ახალციხის ამირანის გორის ორმოსამარხები, ზველის „რაბათი“, ლოდობანა, ბალანთა და სხვ.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლები სამცხე-ჯავახეთში ჯერჯერობით იშვიათია. სოფ. ზველისა და ახალქალაქის კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია მორუხო-მოყვითალო ფერის თიხის სარქველითა და რამდენიმე ჭურჭლით. ჭურჭელს აქვს განიერი ცილინდრული ყელი და შემკული მომრგვალებული კორპუსი, ზოგჯერ ორი წყვილი ირიბი რელიეფური ზოლით. ეს ნაწარმი უახლოვდება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ დიდუბე-კიკეთის კერამიკას. ფორმითა და ორნამენტით ანალოგიური ჭურჭელია აღმოჩენილი ქვემო ქართლში — კიკეთის, თამარისის, სამშვილდის და სხვ. ადრეულ ძეგლებზე [119.116]. სადღეისოდ უცნობია ამ დროის საცხოვრებელი. მიცვალებულის დასაკრძალავად კი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის კარგად ცნობილი სამარხის ტიპი — ორმოსამარხი იხმარებოდა.

უკეთაა წარმოდგენილი ამ კულტურის განვითარებული საფეხურის ძეგლები. ნასახლარები უმთავრესად მთის ფერდზე იყო გაშენებული და ფერდის დახრილობის შესაბამისად ტერასულად განლაგებული. საცხოვრებლად გამოიყენებოდა ოთხკუთხა ქვის საფუძველზე ნაგები შენობები. ასეთი რამდენიმე შენობა დაფიქსირდა ახალქალაქის ამირანის გორაზე და აბასთუმნის „ყანო-

ბილის“ ნასახლარზე. ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ასეთი შენობების იატაკის ცენტრში თიხის კერა იყო გამართული.

ტერასულად ნაგები ქვის ოთხკუთხა შენობები ცნობილია ამ კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურის ნასახლარებზე — თეთრი წყაროდან, სამშვილდიდან, ილტოდან და სხვ. ასეთივე შენობებია აღმოჩენილი სომხეთის შირაქისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის ძეგლებზე. განსხვავებული სამშენებლო მასალით ნაგები ოთხკუთხა შენობები გავრცელებულია შიდა ქართლში.

ახალციხისა და ახალქალაქის ამირანის გორაზე აღმოჩნდა ამ ხანის სამარხებიც, წარმოდგენილი ნალისებრი ფორმის ქვის აკლდამებითა და ქვაყუთებით. ნალისებრი აკლდამა ნაგებია დიდ ორმოში რიყისა და ფიქალი ქვებით. გვხვდება როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური სამარხები. სამარხეულ ინვეტარს წარმოადგენს თიხის ჭურჭელი, ლითონის, ქვისა და ძვლის მცირეოდენი სამკაული.

ქვაყუთებშიც დადასტურდა დაკრძალვის ინდივიდუალური და კოლექტიური წესი. მიცვალებული გვერდზეა დაკრძალული, მოკრუნჩხულად, თავით სამხრეთისაკენ. ზოგ შემთხვევაში მიცვალებულის თავქვეშ რიყის ქვა, ფილაქვა ან ცხოველის გულმკერდის ნაწილი დევს. სამარხეულ ინვენტარს აქაც თიხის ჭურჭელი, ლითონისა და ქვის მცირეოდენი იარაღ-სამკაული წარმოადგენს [33].

სამარხის ორივე ტიპი ძირითადად ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილისთვის იყო დამახასიათებელი. ამასთან, ნალისებრ აკლდამას უფრო ქვემო ქართლში, ამ კულტურის ადრეულ ძეგლებზე ვხვდებით, ხოლო ქვაყუთებს — შედარებით დიდ არეალზე და მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ამ საფეხურზე წამყვანი უკვე შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ბიკონუსურტნიანი ჭურჭელია. იგი წარმოდგენილია საშუალო ან მომცრო ზომის ჭურჭლით, რომლისთვისაც დამახასიათებელია ოდნავგადაშლილი, „წაკვეთილი“ პირი, განიერი ცილინდრული ყელი, წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. ზურგწიბოიანი ყური პირთან მიერთებისას სამკუთხა მოედანს ქმნის.

ეს ჭურჭელი ფორმით ახლოს დგას ხიზანაანთ გორის D ფენის მასალასთან. ეს ფენა კი მის ქვეშ მდებარე არქაული კერამიკის შემცველი E ფენისაგან გამოირჩევა ბიკონუსურტანიანი ჭურჭლის დომინირებით. სიახლოვე ჩანს აგრეთვე ბეშთაშენისა და ოზნის ადრეულ კერამიკასთანაც. ფორმით უახლოვდება ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლის—ქარაზის—ჭურჭელსაც, რომლისთვისაც უფრო მდიდრული შემკობაა დამახასიათებელი. სამცხე-ჯავახეთის ამ დროის კერამიკა უკავშირდება ქულბაქების კერამიკასაც, რომლის გარდამავალი ბუნება კარგად შეინიშნება, ერთი მხრივ, არქაულ-დიდუბე-კიკეთის, მეორე მხრივ, შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტის განვითარებული ეტაპის მასალასთან სიახლოვის გამო [42].

ადრეული ტრადიციების არსებობაზე უნდა მეტყველებდეს ამ ხანის ჭურჭლის ორნამენტიც, რომელიც გარკვეულ მიდრეკილებას დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლებთან იჩენს. ამ საფეხურზეც ვხვდებით ჭურჭლის მხარეზე დატანილ რელიეფურ ზოომორფულ გამოსახულებას, რომელიც ამ კულტურის შემდგომი ეტაპის ანალოგიური გამოსახულებებისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო რეალისტური იერისაა და მეტ საერთოს მაინც დიდუბე-კიკეთის მოგვიანო პერიოდის მასალებთან პოულობს. ამ მხრივ ნიშანდობლივია სამცხე-ჯავახეთის კერამიკაზე მოცემული ორნამენტის სახის — ორი წყვილი ირიბი რელიეფური ზოლის—არსებობაც. მსგავსი შემკობა ცნობილია სამშვილდის, კიკეთის, ზაგლიკის და სხვ. ადრეული ძეგლების ჭურჭლებზე. აღსანიშნავია, რომ ეს ორნამენტი მოგვიანებით ქრება. როგორც ჩანს, ეს ადრეული ნიშნები უნდა ასახავდეს იმ არქაული ტრადიციების შემორჩენას რეგიონის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპის კერამიკაზე, რომელიც დამახასიათებელი იყო ქვემო ქართლისა და მისი მიმდებარე ოლქების ადრეული—დიდუბე-კიკეთის რიგის — ძეგლებისათვის [33].

თიხის სხვა ნაწარმიდან აღსანიშნავია მრგვალი, შვერილებიანი კერა, კარგად ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. მას პრაქტიკული და საკულტო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა [41].

კერასთან დაკავშირებული ნივთებიდან აღსანიშნავია ცხვრისა და ხარის მცირე ზომის ქანდაკებები და ზესადგარები, აღმოჩენილი დილისკასა და აბასთუმანში.

ამ საფეხურზე პირველად ჩნდება ლითონის ნივთები. როგორც ჩანს, მისი გამოჩენა აქ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებასა და წინააზიურ სამყაროსთან სულ უფრო მზარდი კონტაქტების დამყარებასთან [42]. ნაირგვარი და სხვადასხვა დანიშნულების ლითონის ნივთები, მათი დასამზადებელი ყალიბები ცხადყოფენ მეტალურგიის მაღალი დონის არსებობას რეგიონში. მთლიანობაში, სამცხე-ჯავახეთში აღმოჩენილი სპილენძის ნივთები ფორმითა და დარიშხანის შემცველობით არ განსხვავდება მტკვარ-არაქსის კულტურის ლითონის ნივთებისაგან. თუმცა ფორმებით ეს ნივთები მეტ სიახლოვეს უფრო შიდაქართლურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიური ძეგლების ლითონის ნივთებთან ავლენს.

სამცხე-ჯავახეთში აღმოჩენილი ლითონის უადრესი ნივთებიდან აღსანიშნავია ახალციხის მუზეუმში დაცული სპილენძის შუბისპირი და ბრტყელი ცული, ახალციხის ამირანის გორის № 7, 24 და 36 სამარხებში აღმოჩენილი სატევრისპირები, № 16-ში სპილენძის მძივები და სხვ.

შუბისპირი. ამ იარაღის ლითონის შემადგენლობაში 93,13% სპილენძია და 4,51% დარიშხანი [81]. მას აქვს ფოთლისებრი მოყვანილობის ქედიანი პირი, მასიური მრგვალი ღერო და ოთხწახნაგა წვეტიანი ყუნწი. მსგავსი იარაღი სხვადასხვა ვარიანტებით ფართოდ იყო გავრცელებული წინააზიურ სამყაროში, საიდანაც, როგორც ცნობილია, შემოდის იგი ამიერკავკასიაში [41].

ახალციხის ეგზემპლარის ანალოგიური იარაღი აღმოჩენილია ოსპრისში. ერთი ამგვარი იარაღი დაცულია ცხინვალის მუზეუმშიც. მას ვხვდებით საჩხერის სამარხებში, ჩრდილო კავკასიაში — ნოვოსვობოდნაიას და პრეგაისკოეის მასალებშიც. ახლო ანალოგები ეძებნება მას ანატოლიის ძეგლებზეც: ყარა-ჰუიუკსა და ტელ-ბარბისში და სხვ. ახალციხის შუბისპირი კავკასიაში ამ ტიპის ერთ-ერთ უადრეს იარაღადაა მიჩნეული [41], მის არქაულობაზე მიუთითებს პირის მოყვანილობა და მასიური ღერო, რომელიც ქედში გადადის. ასეთი იარაღის დასამზადებელი ყალიბი აღმოჩენილია ახალციხის ამირანის გორაზე.

ბრტყელი ცული მასიური, უხეშად დამუშავებული სპილენძის ნაჭრისგანაა დამზადებული, რომელშიც დარიშხანია 2,66% [81]. მას ზედა ნაწილში მრგვალხვრელიანი, სატარე ნაწილის გადალუნვით გაკეთებული ყუა აქვს. ამიერკავკასიაში ამ ტიპის ორი ვარიანტი გვხვდება: ვიწრო გრძელტანიანი და მოკლე განიერი ტანით. უკანასკნელი არქაულ ფორმადაა მიჩნეული [81]; ახალციხის ცული სწორედ ამ ვარიანტს წარმოადგენს.

ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი აღმოჩნდა ზველში და ბორჯომის ხეობაში — საკოშავში, რომლის ანალოგად ქვაცხელას C ფენის ყალიბია მიჩნეული [26].

სატევრისპირებიდან ორს — № 7, 24 სამარხების ეგზემპლარებს— აქვს მაღალი, ვიწრო ყუნწი, ასიმეტრიულად დაქანებული მხრები და გრძელი, სამკუთხა ფორმის პირი, რომელსაც ორივე მხრიდან კიდის პარალელური წყვილი ქედი გასდევს. № 36 სამარხის სატევრისპირი დამზადებულია სპილენძისაგან, რომელშიც 10% დარიშხანია, კვალის სახით წარმოდგენილია სილიციუმი, რკინა, ნიკელი, ვერცხლი, ბისმუტი და თუთია [33]. იგი უფრო პატარა ზომისაა და არც ქედები გააჩნია პირზე. ახლო პარალელები ეძებნება ქვაცხელას C ფენის ჭურჭლის ფრაგმენტზე გამოსახულ სატევრისპირთან. ახლო მსგავსება ჩანს ზოგ ანატოლიურ ცალებთან, კერძოდ, ჰოროზ-თეფეს, დუნდართეფესა და ალიშარის ხალკოლითური ფენის სატევრისპირებთან.

ამირანის გორის ორი მოზრდილი სატევრისპირიც დარიშხანიანი სპილენძისგანაა დამზადებული. № 7 სამარხის სატევრისპირს აქვს 96,12% სპილენძი, 0,16% რკინა და 1,64% დარიშხანი. № 24 სამარხის სატევრისპირში 1% დარიშხანია [33]. მათ ახლო პარალელი ეძებნება საჩხერის სატევრების ერთ ჯგუფთან, განსაკუთრებით ნაჩერქეზევისა და ქორეთის ზოგ სატევართანაც. გარკვეული მსგავსება ჩანს ხიზანაანთ გორის D ფენის სატევრებთანაც. კავკასიის ფარგლებს გარეთ ამირანის გორის სატევრისპირებს ყველაზე მეტად ანატოლიის ცალები უახლოვდება. თუმცა, ჩვენი ეგზემპლარებისაგან განსხვავებით, უმეტესობას ტარზე სამანჭვლე ხვრელი აქვთ, რაც მათ შედარებით უფრო განვითარებულ იერს აძლევს [26]. ამირანის გორის სატევრისპირები ტიპოლოგიურად შუალედურ ადგილს იკავებს შედარებით არქაულ ხიზანაანთ-გორის D ფენის სატევრებსა და საჩხერის ცალებს შორის და, ამდენად, უკავშირდება უძველესი ტიპის იმ სატევრისპირებს, რომელთა გამოჩენა ჩვენში

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურებითაა განსაზღვრული [6.42].

ამავე პერიოდის ლითონის სამკაულიდან აღსანიშნავია სპილენძის ბიკონუსური მძივები სოფ. ზველიდან და ამირანის გორის № 16 სამარხიდან; შსლილსებური და ღუზისებური საკიდები სოფ. ზველიდან და ამირანის გორის № 56 სამარხიდან. აღნიშნული სამკაული პარალელებს პოულობს ძირითადად შიდაქართლურ მასალებში. ანალოგიური ნივთები აღმოჩენილია ქვაცხელას სამარხებსა და საჩხერეში [42]. ამავე ძეგლებზეა დადასტურებული ამირანის გორის ადრეულ სამარხებში აღმოჩენილი ლითონის ხვიები და ზამბარები, დამზადებული სპილენძისაგან, ვერცხლისა და ტყვიისაგან. ამ პერიოდის ქვის საბრძოლო-სანადირო და სამეურნეო დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია სოფ. სვირში აკრეფილი კაჟის ორმხრივრეტუშირებული ისრისა და შუბისპირები, ნამგლისჩასართები და ქვის ცული. აქვე უნდა აღინიშნოს ამირანის გორის № 7 ორმოს ობსიდიანის სამკუთხა ფორმის ყუნწიანი ისრისპირიც. ასეთივე იარაღი აღმოჩენილია სამშვილდეში, ოზნიში, ქვაცხელაზე, ხიზანაანთ გორაზე და სხვ.

სოფ. სვირის შუბისპირები წაგრძელებული სამკუთხა ფორმისაა და ახლო დგას დაბლაგომის, თეთრამიწის, ცარცისგორისა და სხვ. ცალებთან. რაც შეეხება ქვის ცულს, იგი ნაკლულია, სატარე ხვრელის ნაშთით. მას ახლო ანალოგები ქორეთისა და ცარცისგორის ეგზემპლარებში ეძებნება.

კაჟის ნამგლისპირს მრავლად ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის ნეოლითურ ნასახლარზე. იგი სამეურნეო იარაღებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია.

ქვის სამკაულიდან აღსანიშნავია სოფ. ზველისა და ამირანის გორის ადრეული სამარხებიდან მომდინარე ცილინდრული, ბიკონუსური, სამკუთხა და სხვა ფორმის მძივ-საკიდი — დამზადებული აქატის, სარდიონის, გიშრის და სხვ. მასალისაგან. მათი უმეტესობა ორი მხრიდანაა გაბურღული, რაც მძივების დამუშავების არქაულ ტექნიკადაა მიჩნეული [83].

ამავე საფეხურს მიეკუთვნება აბასთუმნის „ყანობილის" ნასახლარიც, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სხვა ნასახლარებისაგან რამდენადმე განცალკევებულად დგას, აქ, მტკვარ-არაქსის კულტურის ნაწარმის გვერდით, დასავლეთ საქართველოს სინქრონული კულტურის კერამიკის არსებობის გამო [108].

ნასახლარი ყანობილის მთის ფერდზე იყო გაშენებული. მას დაახლოებით 1 ჰა ფართობი ეკავა. გამოვლინდა ტერასულად განლაგებული ქვის სწორკუთხა შენობების ნაშთები, რომელთაც ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდათ. ერთ შენობაში დაფიქსირდა წითლად შეღებილი იატაკი, რომლის ცენტრში თიხალესილი კერა იყო გამართული. კერაში და მის მახლობლად აღმოჩნდა კერამიკა, ქვისა და ძვლის მასალა. ნასახლარზე აღმოჩენილი კერამიკის ერთი ჯგუფი ტიპიური მტკვარარაქსული შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ნაწარ-

მია, რომლის ანალოგებს მრავლად ვხვდებით ამ კულტურის სხვა ძეგლებზე. მეორე ჯგუფი კი წარმოდგენილია მორუხო-მოვარდისფრო, ან მოშავო ფერის ქოთნებით, ჯამებით, ქილებითა და სხვ. ჭურჭლის ფრაგმენტებით. ზოგს ძირზე ჭილოფის ანაბეჭდი ეტყობა. კერამიკის ეს ჯგუფი ანალოგებს პოულობს დასავლეთ საქართველოს ადრეული ხანის ისეთი ძეგლების მასალებში, როგორიცაა საგვარჯილე, სამელეკლდე, ძუძუანა და სხვ. ქვის იარაღებიდან ვხვდებით ობსიდიანისა და კაჟის ორმხრივდამუშავებულ ისრისპირებს, ნამგლისპირებს, ხელსაფქვავებს, საფხეკებს, სახოკებს, ბურღს და სხვ. იარაღის უმეტესობასაც ანალოგები დასავლეთ საქართველოს ჩამოუთვლილი ძეგლების მასალებში ეძებნება. ამ ორი თანადროული კულტურის მასალის ერთად აღმოჩენა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აბასთუმნის „ყანობილის" ნასახლარი იმ რეგიონში მდებარეობდა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურები [109].

მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო საფეხურზე ხდებოდა ნასახლარების გაფსხვილება, რაც გამოწვეული იყო მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნობის სულ უფრო მზარდი როლით იმდროინდელი საზოგადოების ყოფით საქმიანობაში. ახალციხის ამირანის გორის მაგალითზე ჩანს, რომ სამოსახლოს საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია, ცალკეა გამოყოფილი სამლოცველო, სამეურნეო დანიშნულების ზოგი ნაგებობა და სხვ. 20—54 მ² ქვის, სწორკუთხა ფორმის, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, ბანურგადახურვიანი შენობები საგანგებოდ ჩაჭრილ გრუნტს ემყარება და ფასადით სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული. ფასადისაკენ ოდნავ დაქანებული თიხალესილი იატაკის ცენტრში სხვადასხვა ტიპის თიხის კერაა გამართული, ზოგ შენობაში არის ღუმელი. ზოგში უკანა კედელთან მოწყობილია ტახტისებრი შემაღლება, გამოყვანილია ნიშაც. შენობებს გარეთ, იშვიათად შიგნითაც, სამეურნეო ორმოებია ამოღებული. ხშირად ნასახლარზე ან მის მახლობლად გამართებულია სამაროვანი. მიცვალებულის დასაკრძალავად გამოყენებულია ქვაყუთი და ორმოსამარხი, დაკრძალვის ინჰუმაციური წესით.

თიხის ჭურჭელი, წინა პერიოდის კერამიკასთან შედარებით, ფორმისა და დეკორის მხრივ საგრძნობ სხვაობას ავლენს. ამის მიუხედავად, კვლავაც შეინიშნება არაერთი თანხვედრა წინარე საფეხურის მასალასთან. ამ მხრივ, აღსანიშნავია ისეთი ელემენტების არსებობა, როგორიცაა წაკვეთილი პირი, მხრისგან გამოყოფილი განიერი ცილინდრული ყელი, ვიწრო ძირი, ჭურჭლის პირზე ან კორპუსზე დაძერწილი კოპი და სხვ. და მაინც, სხვაობა ამ ორი პერიოდის ჭურჭელს შორის თვალსაჩინოა: ამ დროის ჭურჭელი უკვე სამნაწილადტანიანი ხდება. ადრეულთან შედარებით, მეტად გადაშლილი პირი და მხრისკენ გაფართოებული ყელი გააჩნია, რაც მას მომდევნო ხანის მასალასთან უფრო აკავშირებს ისევე, როგორც ზოგჯერ ლენტური და მუხლისებრი ყურების არსებობა. სხვაობა ჩანს ორნამენტშიც: აღარ გვხვდება ჭურჭლის მხარეზე დაძერწილი ორი წყვილი ირიბი რელიეფური ზოლი, იშვიათია ზე-

დაპირზე დატანილი ფოსოებიც. სიახლედ უნდა ჩაითვალოს მოზრდილ ჭურ-ჭელზე რელიეფური ორმაგი სპირალის გაჩენაც. ამ ორნამენტის უადრესი სახე — სათვალისებრი სპირალი — თავს იჩენს ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულ-ტურის არქაულ კერამიკაზე და ხშირად კომბინირებს ირიბ რელიეფურ ზო-ლებსა და ფოსოებთან ერთად, ე. ი. იმ ორნამენტთან, რომელიც II საფეხუ-რის ჭურჭლისათვის იყო დამახასიათებელი. შემდგომში სათვალისებრი სპირა-ლი რამდენადმე იცვლის სახეს: ჩნდება ორმაგი სპირალის სხვადასხვა ვარი-აცია, რომელიც კარგადაა წარმოდგენილი ამირანის გორის კერამიკაზე.

ამას გარდა, ჩნდება ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტიც, რომლითაც უმეტესად სამკუთხა და ტეხილხაზოვანი სახეებია გამოყვანილი. ჭურჭლის შემკობის ამგვარი ხერხი მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ხანის კერამი-კას ახასიათებს. მსგავსი ტექნიკით შესრულებული ორნამენტი ცნობილია ბეშ-თაშენის, ქვაცხელას, ამირანის გორის და სხვა სტრატიფიცირებული ძეგლე-ბის ზედა ჰორიზონტებიდან.

რელიეფური და ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტის გარდა, ამ საფე-ხურზე წარმოდგენილია ნაკაწრი, დაშტრიხული სამკუთხედები, ტეხილხაზო-ვანი ლენტები, Z-ებრი მოტივები და სხვ. გვხვდება წეროსა და თხის სტილი-ზებული სახეებიც.

ამ საფეხურის კერამიკა სიახლოვეს იჩენს შიდაქართლურ ნაწარმთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ორივეგან ამოღარვით გამოყვანილი ტეხილხაზოვანი ორ-ნამენტით შემკული კერამიკის ერთი ჯგუფი, სამყურა ჭურჭელი, ცალგვერდგა-ხსნილი და გვერდშედრეკილი ტაფები და სხვ. ამის მიუხედავად, ამ საფეხუ-რის კერამიკა მთლიანობაში მეტ საერთოს პოულობს მტკვარ-არაქსის კულ-ტურის გავრცელების სამხრეთი ოლქების: სომხეთისა და ჩრდილო-აღმოსავ-ლეთ ანატოლიის მასალებთან. განსაკუთრებით აახლოებს ამ ოლქებს შიდა ქართლისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ჩაღარვა-ამობურცვით, დაბალი რელიეფითა და ამოკაწვრით გამოყვანილი სპირალური, ზოომორფული და სხვა სახეებით ორნამენტირებული სამნაწილადტანიანი ჭურჭელი, ფორმითა და ორ-ნამენტით მსგავსი ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი სომხეთში: ფრანგანოცი-ში, შენგავითზე, შრეშბლურზე; ანატოლიაში: ქარაზის შუა ფენებში, პულურ-ზე, ქებანის რეგიონის ძეგლებზე და სხვ.; ამგვარივე ნაწარმია აღმოჩენილი სამ-ხრეთ საქართველოშიც, დანგრეულ გორაზე, ღაითმაზზე ბეშთაშენის II და III კომპლექსში და სხვ. სომხეთის, ანატოლიისა და სირია-პალესტინის ძეგ-ლებში პოულობს უმთავრესად ანალოგებს თიხის ანტროპომორფული ზესადგ-რებიც. ამგვარი სადგარის არაერთი ეგზემპლარი ცნობილია მოხრაბლურზე, შენგავითზე, ყარა-კურტში, ბეიჯესულტანში, ბეტ-იერახში და სხვ. ამავე სა-ფეხურზე ზესადგარის სხვა ტიპებიდან აღსანიშნავია რქისებრი, ცილინდრულ-ბლოკისებრი და მრგვალი, შუაგულამოღებული ფილა-ზესადგარები.

რქისებრი სადგარი ახალციხის ამირანის გორიდანაა ცნობილი და ხარის

სტილიზებულ ქანდაკებას წარმოადგენს. იგი მრავალ ძეგლზეა აღმოჩენილი: საქართველოში—კიკეთში ხიზანაანთ გორის E ფენაში, ზემო ავჭალაში; სომხეთში — შენგავითში, არიჭში; ჩრდილო კავკასიაში — დოლინსკოეს და ლუგოვოეს ნასახლარებში და სხვ. ეს სადგარი ხარის (მთვარის) კულტს უკავშირდება [41].

ახალციხის ამირანის გორასა და სოფ. ზველის „სამარხ ყანებზე" აღმოჩენილია ცილინდრულ-ბლოკისებრი ზესადგარები. ამირანის გორის ცალი კოპისებრი ფორმისაა, ზედ ყურით. სოფ. ზველის ეგზემპლარი კი კონუსურია. ამგვარი სადგრები კარგადაა ცნობილი ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებიდანაც.

მრგვალი შუაგულამოღარული სადგარი ნაპოვნია ახალციხის ამირანის გორაზე. ერთზე რელიეფურად წეროა გამოსახული. ამგვარი ზესადგარი რამდენადმე იშვიათია. ერთეული ცალები ცნობილია შენგავითზე, ქარაზსა და ყარათეფეზე. ამირანის გორის მაგალითით ჩანს, რომ ამგვარი სადგარი მრგვალ, ბორდიურიან კერაზე იდგმებოდა [33]. იგი ცილინდრული, ბრტყელძირა ჭურჭელია, რომელსაც პირი ჰორიზონტალურად აქვს გადაკეცილი. სამცხე-ჯავახეთში ასეთი კერა მხოლოდ ამირანის გორაზე, ერთმანეთის გვერდით მდგარ I, IX, X, XX შენობებშია აღმოჩენილი. ანალოგიური რამ მტკვარ-არაქსის კულტურაში იშვიათია და მხოლოდ შეტეხიდან, თეთრი წყაროდან და ქიულ-თეფედანაა ცნობილი.

მრგვალი, შუაგულამოღებული კერა, ზესადგარისაგან განსხვავებით, დიდი ზომისაა. ისიც იშვიათია და ამირანის გორასა და სოფ. ზველის გარდა, თრიალეთსა და არიჩშია აღმოჩენილი. საერთოდ კი, ამგვარი კერა უფრო წინა და შუა აზიის ადრეული კულტურისათვისაა დამახასიათებელი [119].

ამ პერიოდის თიხის სხვა ნაწარმიდან აღსანიშნავია მრგვალი სარქველები, ცალგვერდგახსნილი ტაფები, ცხვრის მცირე ზომის ქანდაკებები, ურმის თვლის მოდელები და სხვ. ანალოგიურ ნაკეთობებს ხშირად ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალ ძეგლზე.

III საფეხურზე კიდევ უფრო მაღალ დონეზე ადის ლითონის დამუშავების საქმე, რასაც, ლითონის ნივთებისა და მათი დასამზადებელი ყალიბების აღმოჩენის გარდა, უნდა მოწმობდეს ახალციხის ამირანის გორაზე „ლითონსადნობი სახელოსნოს" არსებობაც, რაც ლითონის ნივთების ადგილობრივად დამზადებაზე მეტყველებს [18].

ამ საფეხურის ლითონის იარაღიდან აღსანიშნავია სპილენძის ნამგლისპირი ამირანის გორიდან. მასში სპილენძია 98,2%, დარიშხანი — 1,3% [33]. ნამგლისპირს აქვს მოხრილი ტანი, აწეული წვერი, გრძელი და ფართო სატარე ნაწილი ზედ ოთხკუთხა ნახვრეტით. პირის საბუშაო ნაწილი ცალი მხრიდან შეთხელებული და მკვრელია. ლითონის ნამგალი მტკვარ-არაქსის კულტურაში ხულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი. იგი ცნობილია ხიზანაანთ-გორიდან, ქიულ-თეფე II-დან, ბარნიდან, ქარაზიდან და პულურიდან.

ახალციხის ამირანის გორაზეა აღმოჩენილი სპილენძის ორი ოთხწახნაგა ისრისპირიც. ერთი ბიპირამიდული ფორმისაა, ბოლოებწამახული, მეორეს, პირიდან ყუნწზე გადასვლის ადგილას, წახნაგოვანი შემაღლება აქვს. ამგვარ ისრისპირებს ვხვდებით ოზნიში, ხიზანაანთ გორისა და ქვაცხელას C ფენაში, საჩხერისა და თრიალეთის ადრეულ ყორღანებში.

ამირანის გორის XXI შენობაში აღმოჩენილია სპილენძის საკინძი ბრტყელი, ნახევარმთვარისებრი თავითა და გრძელი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, რომლის ზედა ნაწილში გაკეთებულია ნახვრეტი. ეს საკინძი მომდევნო ხანის მსგავსი ტიპის საკინძების ერთ-ერთ პროტოტიპადაა მიჩნეული [6].

ამ საფეხურის ლითონის სხვა ნივთებიდან აღსანიშნავია ამირანის გორაზე აღმოჩენილი სპილენძის ნემსები, მახათები, ერთნახევრიანი ხვიები და სხვ.

აღსანიშნავია კაკისა და ობსიდიანის ფუძეამოღარული ისრისპირების გამოჩენა. ანალოგიური ტიპის ისრისპირი ახასიათებს მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპის ძეგლებს: საჩხერე, ქვაცხელა, მოხრაბლური და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ კაკის ნამგლის ჩასართავები, ნავისებრი ხელსაფქვავები, რიყის ქვის სანაყ-საბეგველები, ძვლის კვირისტავები, სახვრეტები და სხვა, რომელთაც მრავლად ვხვდებით ამ კულტურის ნებისმიერ ნასახლარზე.

IV საფეხურზეც საკმაო რაოდენობის ძეგლებია გამოვლენილი. გვხვდება როგორც ნასახლარები, ისე სამაროვნები, თუმცა ჯერ კიდევ უცნობია ამ დროის შენობის ფორმა, დასაკრძალავად კი ქვაყრილიანი ორმოსამარხი იხმარებოდა [16].

ზველის „რაბათის", ლოდობანას, ბალნთას და სხვ. კერამიკული ნაწარპა შავად, რუხ-მოყვითალოდ და მოვარდისფროდაა გამომწვარი. გვხვდება დერგის, ქილის, ქოთნის, კათხის და სხვა ტიპის ჭურჭელი—მხარზე მიძერწილი ჩალარული, ლენტური მრგვალგანივკვეთიანი და მუხლისებრი ყურებით.

უმეტესობა უყელო ქილისებრი ან დაბალი ცილინდრულყელიანი ჭურჭელია კვერცხისებრი ან ბირთვისებრი კორპუსით, შემკული მხარზე შემოყოლებული დაკეჭნილი რელიეფური ზოლით, ჩანაჭდევებით. ზოგ ჭურჭელს ზედაპირი გოფრირებული აქვს, ზოგს შიგნიდან გამოყვანილი ან დაძერწილი, ზოგჯერ ჩაზნექილი კოპები გააჩნია, არის დაშტრიხული ვერტიკალური ლენტები და სხვ. ეს ნაწარმი განსხვავდება მტკვარ-არაქსის კულტურის ნაწარმისაგან. სამაგიეროდ, ახლო პარალელებს პოულობს ბერიკლდეების, ილტო IV—III, საჩხერის ზოგი მოგვიანო სამარხის, ხოვლეს ყორღანის № 2 სამარხისა და სხვ. ძეგლების ბედენური ტიპის კერამიკასთან [16]. რაც შეეხება ამავე საფეხურის მტკვარარაქსულ კერამიკას, ყველაზე ნათლად წარმოდგენილს ამირანის გორის III უბნის ორმოსამარხების მასალებით, ის შავპრიალაა, ფორმითა და ორნამენტით ახლოა წინარე საფეხურის მასალასთან: აქაც ვხვდებით სამნაწილადტანიან ჭურჭელს, ხშირად შემკულს ტეხილხაზოვანი ნაკაწრი ორნამენტით. თუმცა განვითარება მასაც დაეტყო: სამნაწილადის პარალელურად

ვითარდება მსხლისებრი ფორმაც, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური ჰიდრიების პროტოტიპადაა მიჩნეული [6], ჩნდება წერტილოვანი ორნამენტი, მხარზე შემოყოლებული, წვერით ზემოთ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედები და სხვ. ეს კერამიკა ახლო პარალელს პოულობს ადრებრინჯაოს ხანის მიწურულის ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა თრიალეთის IV, XIII, XXIV ყორღანები, საჩხერის ზოგი მოგვიანო სამარხი, ხოვლეს ყორღანის № 1 სამარხი, ილტოს ორმოსამარხები და სხვ. ძლიერი მტკვარარაქსული ტრადიციების არსებობის მიუხედავად, მას აქვს განსხვავებული ნიშნებიც: მუხლისებრი და ჩაღარული ყურები, სამფეხა ჭურჭელი და სხვა, რაც არ ახასიათებს მტკვარ-არაქსის კულტურას და უფრო ბედენურს უკავშიოდება [16].

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთში ამ საფეხურზე კერამიკა წარმოდგენილია ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწარმით: ერთი მჭიდრო კავშირშია აქ ადრევე გავრცელებულ მტკვარ-არაქსის კულტურასთან, უფრო ამ კულტურის სამხრეთულ ვარიანტთან, ხოლო მეორე — ბედენურ კულტურას უკავშირდება, რომელიც სამცხე-ჯავახეთში ქვემო ან შიდა ქართლის გზით უნდა გავრცელებულიყო. აქვე უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ნიშნებისა, რომლებიც ახასიათებს ამ საფეხურის ორივე ჯგუფის კერამიკას, მომდევნო — შუაბრინჯაოს ხანაშიც იჩენს თავს: ესაა შავპრიალა კერამიკა, დაკეპნილი რელიეფური ზოლი, შიგნიდან გამოყვანილი და ჩაზნექილი კოპები, სამფეხა და მსხლისებრი ჭურჭელი, ნაკაწრი ორნამენტის ზოგი სახე, მუხლისებრი ყურები და სხვა, რის გამოც ეს საფეხური ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის არსებული გარდამავალი ეტაპის ამსახველიც უნდა იყოს [16].

თიხის სხვა ნაწარმიდან აღსანიშნავია სოფ. ზველის „რაბათში" აღმოჩენილი კერის თუ მოზრდილი რქისებრი სადგარის ფრაგმენტი. იგი წარმოადგენს სქელ და ფართო ბორდიურზე დაძერწილ შვერილს ორი ზოომორფული გამოსახულებით, შავი ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალებით. იგი შეიძლება შევადაროთ ქარაზისა და თეფე-სიკის კერებს. ასევე გარკვეული მსგავსება ჩანს ანრიჩში აღმოჩენილ კერასთანაც.

გვხვდება რამდენიმე ტიპის რქისებრი სადგარიც. სოფ. ზველისა და ლოდობანას სადგარები ერთი ტიპისაა — ორივე თიხის ბრტყელ ფილას წარმოადგენს და აქვს ზეაწეული ქიმები. ერთი რქისებრი ნაკლული სადგარი სოფ. ზველიდან რამდენადმე განსხვავდება: მას ზემოდან ორი და შიდა მხრიდან ერთი შვერილი გააჩნია. მსგავსი სადგარი იშვიათია. საერთოდ კი რქისებრი სადგარი კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

ამავე საფეხურზე კვლავაც გვხვდება ურმის თვლის თიხის მოდელები და მრგვალი, ზოგჯერ ორნამენტირებული სარქველები.

ამირანის გორის ორმოსამარხებში აღმოჩენილია ამ პერიოდის ლითონის ნივთებიც. ესაა ბრინჯაოს გრეხილღეროიანი, თავმოკაუჭებული საკინძი, მა-

ხათი და წვრილი რგოლი, რომელთა პარალელებს ვხვდებით შენგავითზე, ქიულ-თეფე II-ზე და სხვ. ძეგლებზე.

ქვის მცირეოდენი ნივთები წარმოდგენილია სოფ. ზველში აღმოჩენილი დიდი ზომის მრგვალი სანაყით, საბეგვლებით და კაჟის ნამგლისპირებით. აქვეა ლულოვან ძვალზე ჩამოყალიბებული სადგისიც.

მტკვარარაქსულ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რა ძირითად საქმიანობას მისდევდნენ ამ კულტურის შემქმნელი ტომები და ვივარაუდოთ მათი მეურნეობის ხასიათი. მტკვარარაქსული ნამოსახლარების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი დიდი ნაწილი მკვიდრი, ხანგრძლივი ბინადრობისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ ივარაუდება, რომ საარსებო საშუალებების მოპოვება არ საჭიროებდა სამოსახლო ადგილის ხშირ შეცვლას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ძეგლებზე შედარებით იშვიათია სანადირო იარაღი და გარეულ ცხოველთა ნაშთები.

ერთ ადგილზე ხანგრძლივად ცხოვრების საშუალებას, როგორც ცნობილია, ძირითადად მიწათმოქმედება და გარკვეული სახის მესაქონლეობა იძლევა. მტკვარარაქსელთა სამეურნეო საქმიანობაზე მიწათმოქმედების დიდ მნიშვნელობას კარგად ადასტურებს ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი კაჟისა და ცალკეული ბრინჯაოს ნამგლები, კულტურული პურეულის ნაშთები, ხელსაფქვავები, მარცვლეულის შესანახი ორმო-ხაროები და დიდი ზომის თიხის ჭურჭლები. ამავე ნამოსახლარებზე უხვადაა წარმოდგენილი მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაურ ცხოველთა ძვლებიც. მტკვარარაქსელთა მესაქონლეობის ხასიათი არ უშლიდა ხელს ერთ ადგილზე ხანგრძლივ ბინადრობას. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა სჭარბობს წვრილფეხა საქონლისას, მსხვილფეხა პირუტყვი კი ვერ იტანს სეზონურად დიდ მანძილზე გადარეკვას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე მესაქონლეობაში ადგილი აქვს ცხვრის ხვედრითი წონის ერთგვარ მატებას, რაც, როგორც ფიქრობენ, იწვევს მეურნეობის ამ დარგის საიალაღო მწყემსურ ხასიათზე გადასვლას [101].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მტკვარარაქსელთა მიერ საარსებო საშუალებების მოპოვება უმთავრესად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეშვეობით ხდებოდა. ამასთან ერთად, მტკვარარაქსელთა ყოფაში დიდი ადგილი უნდა სჭეროდა საქმიანობის ისეთ დარგებს, როგორიცაა თიხის ჭურჭლისა და სპილენძისა თუ ბრინჯაოს ნივთების დამზადება, ქსოვა. ხის საჭრელი თუ დასამუშავებელი ბრინჯაოს იარაღების არსებობა და სამშენებლო საქმის საკმაოდ მაღალი დონე სავარაუდოს ხდის ავრეთვე ამ საქმეში დახელოვნებულ პირთა არსებობასაც

რაღა თქმა უნდა, მტკვარარაქსელთა სამეურნეო საქმიანობის ამსახველი მასალის რაოდენობა და ხარისხი ერთნაირი არ არის ამ კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. საგრძნობია სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში განლაგებულ ძეგლებს შორის არსებული განსხვავებაც. ამიტომ მტკვარარაქ-

სელთა სამეურნეო საქმიანობის ხასიათისა და მისი ეფექტიანობის რამდენადმე სწორი შეფასებისათვის აუცილებელია ანგარიში გაეწიოს როგორც იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც მასალაა მოპოვებული, ისე განვითარების იმ საფეხურს, რომელსაც ამა თუ იმ მასალის შემცველი ძეგლი მიეკუთვნება.

დღეისათვის არსებული მონაცემებით, ძვ. წ. VI ათასწლეულიდან დღემდე, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მცირე ცვლილებებს, კლიმატური პირობების რაიმე მკვეთრ გარდატეხას კავკასიაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა [66]. ალნიშნულის გამო შესაძლებელი ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ბუნებრივ სამეურნეო პირობებზე ზოგადად დღეისათვის ჩვენში არსებული კლიმატისა და მთლიანად ლანდშაფტის მიხედვით მსჯელობა. დღეისათვის კი ეს პირობები მტკვარარაქსულ ნამოსახლარებზე დადასტურებული ისეთი მარცვლეულისათვის, როგორიცაა რბილი ხორბალი და ქერი, ხელსაყრელია საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტ ფართობზე [8,50]. რა თქმა უნდა, რომ ამ ტერიტორიის საკმაო ნაწილი, როგორც დღეს, ადრებრინჯაოს ხანაშიც, ტყეებუჩქნარით დაფარულობის, რელიეფის ძლიერი დასერილობისა და ნიადაგების შედგენილობის გამო მემინდვრეობისათვის ძნელად გამოსაყენებელი ან საერთოდ გამოუსადეგარი იქნებოდა. მაგრამ დღეისათვის ამ მიზნით გამოყენებული ფართობი, ალბათ, ძვ. წ. IV—III ათასწლეულშიც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებისათვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოსა და საერთოდ, ამიერკავკასიაში მემინდვრეობის ზონებისათვის ბოლო ექვსი ათასი წლის განმავლობაში დადასტურებული ტენიანობის დეფიციტიც თითქმის უცვლელი უნდა ყოფილიყო. ზოგი ვარაუდით ტენიანობის ასეთ დეფიციტს მნიშვნელოვანი სიძნელეები უნდა შეექმნა მტკვარარაქსელთა მიწათმოქმედებისათვის [7,8]. თუმცა, როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ამ კულტურის შემქმნელ ტომებს გვალვის პრობლემისათვის საკმაო წარმატებით გაურთმევიათ თავი, რაზეც პირველ რიგში ერთსა და იმავე ადგილზე მათი ხანგრძლივად ცხოვრების დამადასტურებელი მასალა უნდა მიგვითითებდეს.

მტკვარარაქსელთა ეკონომიკურ შესაძლებლობებზე კონკრეტული მსჯელობა ჯერ კიდევ ჭირს, რადგან უშუალოდ მიწის დასამუშავებელი იარაღები ამ დროის ძეგლებზე ძალზე იშვიათია. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ იარაღთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვაცხელაზე აღმოჩენილი ირმის რქის სახვნელი. ეს სახვნელი დამზადებულია ირმის მოზრდილი რქისაგან: რქის სამი ტოტიდან შუა ტოტი მოჭრილია, უკანა კი გათლილი და წამახული, ხოლო ზემო ნაწილი ცერად ჩათლილი. ფიქრობენ, რომ ხვნის დროს მისი სამუშაო ნაწილი თითქმის რქის ძირამდე ჯდებოდა მიწაში. როგორც ჩანს, სახვნელის ბრტყელი წვერი ჭრიდა მიწას, ხოლო ზემო ნაწილი აფხვიერებდა და აკეთებდა კვალს [36], რაც სავარაუდოს ხდის, რომ მიწათმოქმედებაში გამწევი ძალა გამოიყენებოდა, ეს კი საშუალებას მისცემდა მტკვარარაქსელებს, გაედიდებინათ სახნავ-სათესი ფართობი და შესაბამისად პურის

მოსავალი [36]. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩანს ისიც, რომ სახვნელ იარაღს ჩვენში უფრო ადრეულ, მტკვარ-არაქსის წინამორბედ, შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურაშიც იყენებდნენ [18].

ირმის რქის სახვნელის ფუნქციის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ქვაცხელელების სახვნელ იარაღს რის შესრულებაც შეეძლო, ესაა მიწის გაკაწვრა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ეს იარაღი უფრო კავწერა იყო, ვიდრე სახვნელი. აღნიშნულ მოსაზრებას გარკვეულად ამაგრებს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული, განსაკუთრებით მძიმე გრუნტის დასამუშავებლად გამოყენებული კავწერების არსებობა, რომელითაც ჯერ წერავენ მიწას, ხოლო შემდეგ სახვნელით ხნავენ [7]. ქვაცხელს ირმის რქის იარაღთან დაკავშირებით გამოთქმული ამ ვარაუდის მიხედვით კი მტკვარ-არაქსის კულტურის დროისათვის მხოლოდ კავწერით მიწის ზედაპირული დამუშავება იგულისხმება, რასაც ნიადაგის სწრაფი გამოფიტვა უნდა მოჰყოლოდა [7].

არსებობს ამ იარაღის ფუნქციის კიდევ ერთი ინტერპრეტაცია, რომელიც მას საკულტო დანიშნულების ნივთად, იარაღად თვლის [27]. ამ შემთხვევაში ირმის რქის სახვნელი მხოლოდ სარიტუალო ხნულის გავლებისას უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საკითხის ასეთი გადაწყვეტის სასარგებლოდ თითქოს მეტყველებს ის, რომ ეს იარაღი ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ცალია აღმოჩენილი. მისი პრაქტიკული მიზნით გამოყენების შემთხვევაში კი ასეთი იარაღი უფრო მეტი რაოდენობით და სხვა ნამოსახლარებზეც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

დღეისათვის ჭირს ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ვარაუდისათვის უპირატესობის მინიჭება, მაგრამ ამ იარაღის აღმოჩენამ ერთი რამ თითქოს ცხადი გახადა: მტკვარარაქსელებმა უკვე იცოდნენ გამწევი ძალის გამოყენებით მიწის გაწერვა თუ მოხვნა [41, 81, 8]. როგორც ირმის რქისაგან დამზადებული სახვნელი, ისე მიწის დასამუშავებელი სხვა იარაღი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ძალზე იშვიათად გვხვდება, რაც შესაძლოა იმით აიხსნას, რომ მათ უმეტესად ხისგან ამზადებდნენ და ჩვენამდე ველარ მოაღწიეს [81].

მიწათმოქმედების ხასიათის ეფექტიანობის დადგენისათვის კადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწის დამუშავების ხარისხს. სახნავად თუ გასაწერად ირმის რქის გამოყენება მიწის ზერელე, ზედაპირულ დამუშავებას გულისხმობს, რაც ნიადაგის მეტ-ნაკლებად სწრაფ გამოფიტვას და მოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევდა. ასეთ შემთხვევაში მიწათმოქმედება ექსტენსიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო და ახალ-ახალი ფართობების სისტემატურ ათვისებას მოითხოვდა [7].

თუ ვივარაუდებთ, რომ ირმის რქის სახვნელთან ერთად ხის კავი თუ

პრიმიტიული გუთანი გამოიყენებოდა, მაშინ მიწის ზედაპირის რამდენადმე უფრო ღრმა დამუშავება იქნებოდა შესაძლებელი, ამას თითქოს მხარს უჭერს ქართულ ეთნოგრაფიაში დაცული მასალა, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სხვადასხვა სახის ნიადაგის დასამუშავებლად ერთსა და იმავე მეურნეს განსხვავებული სახვნელი იარაღები გააჩნდა [38]. ამ გარემოებამ განაპირობა, ალბათ, რომ საქართველოში თითქმის ჩვენს დრომდე შემორჩა ერთ-ერთი ყველაზე პრიმიტიული სახვნელი — ოქოქა, რომელიც თავისი აგებულებით ქვაცხელების სახვნელსაც კი ჩამოუვარდება; ეს უკანასკნელი, მისგან განსხვავებით, მიწას ვერტიკალურად კი არ ჭრიდა, არამედ თითქმის ჰორიზონტალურად [36], ისე როგორც სხვა უფრო სრულყოფილი სახვნელები. შესაძლოა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაშიც, რქის სახვნელი იარაღის გარდა, დასამუშავებელი ნიადაგის თავისებურებიდან გამომდინარე, გამოყენებული ყოფილიყო ხისგან თუ რქისგან დამზადებული მიწის დასამუშავებელი სხვა სახის იარაღები (შდრ. რქის თოხი თუ წერაქვი მჭადიჯვრის გორადან) [117].

დღეისათვის ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელთა მიწათმოქმედების ხასიათი — მიმართავდნენ ისინი ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების ხერხებს, თუ მიწის ფართობს გამოფიტვამდე იყენებდნენ და შემდეგ ახალ ტერიტორიას ითვისებდნენ სახნავ-სათესად; გასარკვევია აგრეთვე, თუ რა ეკონომიკური ეფექტი შეიძლებოდა ჰქონოდა მათ მემინდვრეობას; თუმცა ხიზანაანთ გორაზე კეერის [96], დიდი რაოდენობით კაჟის ნამგლებისა და თვით ბრინჯაოს ნამგლის აღმოჩენა პურეულის საკმაო რაოდენობის არსებობას უნდა ნიშნავდეს და ამდენად, შესაძლოა მიწათმოქმედების ინტენსიური ხასიათის მაჩვენებელიც იყოს. საკვარაუდებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და აღდგენის ზოგიერთ ხერხებთან ერთად, უკვე იცნობდნენ პრიმიტიული მორწყვის წესსაც და კონკრეტული ბუნებრივი პირობების შესაბამისად მიწათმოქმედება ზოგან სარწყავი იქნებოდა, ზოგან კი ურწყავი. უნდა აღინიშნოს, რომ პურეულის ნათესების მორწყვა, როგორც ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, კავკასიისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენდა, რამდენადაც აქ, მტკვარ-არაქსის კულტურიდან მოყოლებული, ძირითადად რბილი ხორბალი ითესებოდა, რომლის მოყვანაც თითქმის ყოველთვის ურწყავ მიწათმოქმედებაზე იყო დამყარებული [51]. შესაძლოა მიწათმოქმედების ამგვარი ხასიათი უძველეს შულავერ-შომუთეფეს კულტურიდან იღებს სათავეს, რომლის დროსაც პირველად ვხვდებით რბილი ხორბლის ნაშთებს [18]. ხანგრძლივი ტრადიციის შედეგია, ალბათ, ჩვენში რბილი ხორბლისათვის დამახასიათებელი ის მრავალგვარობაც, რომელიც საშუალებას აძლევდა მიწათმოქმედს, კონკრეტული სამეურნეო პირობების შესაბამისად შეერჩია ხორბლის სათანადო ვარიაცია [51].

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კარგად დასტურდება მტკვარარაქსელთა მიწათმოქმედებაში დადგენილი პურისა და ქერის შერეუ-

ლად თესვაც. ამასთან, როგორც ირკვევა, ეს ხერხი, გარდა იმისა, რომ გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებას წარმოადგენდა, მოსავლის გადიდებასაც უწყობდა ხელს [51]. ამიტომ სავარაუდოა, რომ ის მრავალფენიანი მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარები, რომლებიც გვალვიან ადგილებში მდებარეობდნენ და ტენიანობის ნაკლებობას განიცდიდნენ, მაინც ერთგვარად ინტენსიური მიწათმოქმედების შედეგად უნდა იყვნენ წარმოქმნილნი. მხოლოდ ასეთ მეურნეობას შეეძლო მიეცა მათთვის საშუალება საუკუნეების განმავლობაში ეცხოვრათ ერთ ადგილზე და ფაქტიურად, მუდმივი ექსპლუატაცია გაეწიათ იმ სავარგულებისათვის, რომლებიც მათი სოფლის ირგვლივ მდებარეობდნენ.

მტკვარ-არაქსის კულტურის მიწათმოქმედების ინტენსიურ ხასიათზე და განვითარების გარკვეული ეტაპიდან მის გაზრდილ მასშტაბებზე მიგვითითებს აგრეთვე უკვე აღნიშნული ნამგლის სიხშირე. მათი რაოდენობა ხიზანაანთ გორის C დონის № 8 შენობაში ცხრამდე აღწევს, აქვეა ბრინჯაოს ნამგალიც [7,8], თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ნამგლები უმთავრესად ბალახის მოსათიბად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი [8]. მაგრამ ვინაიდან ნამგლები ძირითადად ყველგან სამკალ იარაღს წარმოადგენდა, ბალახის სათიბად გამოყენება მაინც მათ მეორად ფუნქციად უნდა ჩაითვალოს.

პურეულის მოსავლის გაზრდილი რაოდენობის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს ხიზანაანთ გორაზე აღმოჩენილი კევრი და გუდაბერტყაზე ნაპოვნი ჯგუფად განლაგებული ხაროები, რომლებსაც სისველისაგან დასაცავად საგანგებო შენობა ჰქონდათ დადგმული [94, 81]. გალეწილი მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა დიდი ზომის, ერთ მეტრამდე სიმაღლის თიხის ჭურჭლებიც (ქვაცხელა, ამირანის გორა, ოზნი, ხიზანაანთ გორა), რომლებიც ზოგჯერ ვიწრო ძირებით შენობათა თიხალესილ იატაკებში იყო ჩადგმული. მომკილი პური ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ძნებად შეკრულიც ინახებოდა, ყოველდღიური მარაგი კი უკვე აღნიშნულ დიდი ზომის თიხის ჭურჭლებში უნდა ყოფილიყო დაცული [36].

გადასამუშავებელი ხორბლის რაოდენობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მრავალრიცხოვანი ხელსაფქვავებიც, რომლებიც მაგარი ჯიშის მოზრდილი და ფართო ქვედა ქვისა და შედარებით რბილი ნავისებური, ვიწრო ზედა ქვისაგან შედგება. ამ იარაღის საშუალებით, როგორც ირკვევა, ხორბალი საკმაოდ კარგად იფქვებოდა [36]. პურისა და ქერის გარდა, მტკვარარაქსულ ნამოსახლარებზე აღმოჩენილია აგრეთვე ფეტვის, ასლისა და სელის მარცვლებიც [94].

ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მტკვარარაქსელების მიწათმოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის ყველგან ინტენსიურ ურწყავ მემინდვრეობაზე იყო უპირატესად დაფუძნებული. ისინი, თოხთან და მარგილთან ერთად, გამწევი ძალისა და მარტივი სახვნელის საშუალებით ამუშავებდნენ სოფლის გარშემო მდებარე მიწებს, რომლებზეც თესდნენ ძირითადად მი-

კროკლიმატთან კარგად შეგუებული რბილი ხორბლის სხვადასხვა სახეობებსა და ქერს. საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ მათ შერეულ თესვას. ნიადაგს გამოფიტვისას, ნაყოფიერების აღდგენის მიზნით, ასვენებდნენ და საძოვრად იყენებდნენ. მოსავალს მტკვარარაქსელები იღებდნენ ხის ან ძვლის ბუდეში ჩამაგრებული 2—4 კაჟის დაშუშავებული ფირფიტისაგან შედგენილი ნამგლებით, რომელთა გვერდით იყენებდნენ აგრეთვე ბრინჯაოს ნამგლებსაც. აღებულ პურს ძნებად კრავდნენ და ინახავდნენ, ან კევრით ლეწავდნენ, ან საცეხველით ცეხვავდნენ. ხორბალს ხაროებსა და დიდი ზომის თიხის ჭურჭლებში, ზოგ შემთხვევაში კი საგანგებო შენობებში, ინახავდნენ, შემდეგ ხელსაფქვავით ღერღავდნენ და ფქვავდნენ. უეჭველია, რომ იყენებდნენ ნამჯასაც და ბზესაც ზამთარში საქონლის გამოსაკვებად.

მტკვარ-არაქსის კულტურაში მაღალ საფეხურზე იდგა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეორე წამყვანი დარგი — მესაქონლეობა. ამას კარგად მოწმობს ნამოსახლარებზე და სამარხებში აღმოჩენილი შინაურ ცხოველთა ძვლები. ამასვე ადასტურებს ნამოსახლარებზე ნაპოვნი თიხისაგან გამოძერწილი მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ფიგურები, ზოომორფული — რქისებურშვერილიანი სადგრები, ურმისა და მისი თვლების თიხის მოდელები და სხვ.

შინაურ ცხოველთა ძვლებიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. მას, როგორც ჩანს, ამ პერიოდში, ისევე როგორც წინარე ხანის შულავერ-შომუთეფეს კულტურაში, წამყვანი ადგილი ეკავა. ამ დროის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია შედარებით მცირე ზომის — ბრახიცეროსული ტიპით, რომელიც ხევსურულ ძროხასთან დგას ახლოს, თუმცა რამდენადმე მასზე დიდია.

მესაქონლეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე წვრილფეხა რქოსანი საქონელი—ცხვარი, რომელიც, აღმოჩენილი ძვლებისა და თიხის ფიგურების მიხედვით, ძირითადად ცხიმკუდიანი უნდა ყოფილიყო და თავისი მონაცემებით, როგორც ჩანს, ახლო იდგა იმერული ჯიშის ცხვართან [36].

შედარებით ნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი ღორის ძვლები, თუმცა ზოგ ნამოსახლარზე (ილტო) მისი სულადობა თითქმის არ ჩამოუვარდება ცხვრისას და მსხვილფეხა საქონლისას [118]. მტკვარარაქსულ ძეგლებზე არის შინაური თხის, ძაღლისა და გარეული ცხენის ძვლების აღმოჩენის ცალკეული შემთხვევებიც [36,34].

მტკვარარაქსული კულტურის მესაქონლეობა, ჩანს, საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა. გარკვეული პერიოდიდან კი თითქოს ადგილი უნდა ჰქონოდა ცხვრის სულადობის საგრძნობ მატებას, რაც მესაქონლეობის სეზონალურ ხასიათზე გადასვლის შედეგი უნდა ყოფილიყო [191]. ამავე მოვლენას უკავშირებენ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ბარში ნამოსახლარების მიტოვებას, რასაც მოსახლეობის მთის საძოვრებთან უფრო ახლოს გადანაცვლებით ხსნიან [102]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოსათ-

ვის მეცხვარეობის საიალაღო ფორმას წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა ეკონომიკაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი უფრო ადვილად იძლეოდა ზედმეტ პროდუქციას [103].

მაგრამ ბარში სოფლების მიტოვება და მესაქონლეობის, უფრო სწორად მეცხვარეობის, საიალაღო ფორმაზე გადასვლა მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოსთვის ივარაუდება, მანამდე კი მესაქონლეობა, ეტყობა, მაინც მიწათმოქმედების გვერდით და მასთან კავშირში ვითარდებოდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ალბათ, არ ცილდებოდა სოფლის ირგვლივ მდებარე სათემო საძოვრებსა და ტყეს. გამორიცხული არ არის, რომ ზამთარში მათ შესანახად ბაგური კვების მეთოდიც ყოფილიყო გამოყენებული. შესაძლოა, რომ ასეთ ბაგებს წარმოადგენდნენ თეთრი წყაროსა და ამირანის გორის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი დიდი ზომის ნაგებობები [18]. ალბათ, ასეთივე ხასიათი ექნებოდა მტკვარარაქსელთა მეცხვარეობასაც ძვ. წ. III ათასწლეულის დამლევამდე.

თუმცა მტკვარარაქსელთა მესაქონლეობის ხასიათზე მსჯელობისას საკმარისი არაა ნაპოვნი ძვლოვანი მასალის მიხედვით ამა თუ იმ სახეობის შინაურ ცხოველთა რაოდენობის დადგენა, რადგან ერთი სული მსხვილფეხა საქონელი დაახლოებით იმდენ ხორცს იძლევა, რამდენსაც ოთხი წვრილფეხა პირუტყვი, ხოლო რძის მხრივ კიდევ უფრო მეტად სჭარბობს წვრილფეხა საქონელს. ამიტომ, თუ ერთ მსხვილფეხა საქონელზე მოდის ოთხი წვრილფეხა, შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობაში ამ სახეობათა ხვედრითი წონა თანაბარია [74].

მესაქონლეობის ამ ორი დარგის ხვედრითი წონის ზემოთ მოტანილი გამოანგარიშების მიხედვით გამოდის, რომ მტკვარარაქსელებისათვის წამყვანი მსხვილფეხა საქონლის მოშენება ყოფილა. მაშინაც კი, როდესაც ამ კულტურის ბოლოსათვის საიალაღო მეცხვარეობაზე გადასვლა ივარაუდება, რადგან საეჭვოა ამ სახეობათა შეფარდება 1:4 აღემატებოდეს.

ამრიგად, მტკვარარაქსელთა მეურნეობაში საქონლის ხვედრითი წონის შესახებ არსებული მონაცემები ჯერჯერობით მსხვილფეხა საქონლის უპირატესობაზე მეტყველებს. რაც შეეხება ამ კულტურის დასასრულისათვის ცხვრის რაოდენობრივ მატებას, დღეისათვის არსებული მასალა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მეცხვარეობის საიალაღო მწყემსურ ხასიათზე გადასვლა ვაჭკიცოთ, ამიტომ რიგ მტკვარარქსულ ნამოსახლარებზე, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ცხოვრების ჩაქრობა მხოლოდ მეურნეობრივი ხასიათის ცვლილებებით ჯერ ძნელი ასახსნელი იქნება.

საიალაღო მეცხვარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბარში მტკვარარაქსული მოსახლეობის ათხელების ვარაუდს გარკვეულად ეწინააღმდეგება საქართველოს ეთნოგრაფიაში არსებული მასალაც, რომლის მიხედვითაც საიალაღო მესაქონლეობა, როგორც ჩანს, მხოლოდ საქართველოს გარკვეულ, შედარებით მცირე ნაწილს მოიცავდა [122] და იქაც იგი მუდამ ძირითად საცხოვრებელთან და მკვიდრად სახლობასთან იყო დაკავშირებული [54,122].

ის მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე მტკვარარაქსელებს უხდებოდათ ცხოვრება, მკვეთრი ვერტიკალური ზონალობა [18], საფიქრებელია, მნიშვნელოვნად იმოქმედებდა მათ სამეურნეო საქმიანობაზე. ამიტომ ერთ მიკრორაიონში განლაგებული სხვადასხვა ძეგლებისთვისაც კი, ალბათ, განსხვავებული იქნებოდა როგორც წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის შეფარდება, ისე მთლიანად ეკონომიკაში მესაქონლეობის და მიწათმოქმედების ხვედრითი წონა. აქედან გამომდინარე, უფრო მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ მტკვარარქსელთა სოფლის მეურნეობასაც სიმბიოზური ხასიათი უნდა ჰქონოდა, ბარსა და მთისწინა ზოლში მიწათმოქმედების უპირატესი ხვედრითი წონით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მტკვარ-არაქსის კულტურის მწარმოებლური მეურნეობის საკმაოდ მაღალი დონისა, ზოგან კიდევ გვხვდება მონადირეობისა [54] და თევზის ჭერის [36] მაჩვენებელი ფაქტები, მაგრამ ეკონომიკაზე რაიმე გავლენას ისინი ალარ ახდენენ.

მტკვარარქსელთა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წინსვლაზე მეტყველებს აგრეთვე ხელოსნობის სხვადასხვა დარგის განვითარება, რადგან ამათუ იმ საქმიანობის ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბება პირდაპირ კავშირშია საკვები პროდუქტის ზედმეტი რაოდენობით წარმოებასთან [86].

ამ დროისათვის ხელოსნობის ცალკე გამოყოფილ დარგად, პირველ რიგში, მეთუნეობა უნდა ჩაითვალოს. თიხის ჭურჭლის ერთგვაროვანი ხასიათი, მისი კარგი ხარისხი იძლევა იმის საფუძველს, რომ ხელოსნობის ამ დარგის სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფა ვივარაუდოთ. რა თქმა უნდა, პროფესიონალ ხელოსანთა გვერდით, ვისი ნაწარმიც გაცვლის საგანი უნდა ყოფილიყო, ალბათ, არსებობდნენ არაპროფესიონალი მეჭურჭლე-მეთუნენიც, რომლებიც კვლავ ამზადებდნენ თიხის ჭურჭელს საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ საქმიანობაში პროფესიონალ ხელოსანთა გამოჩენის უტყუარ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა ნამოსახლარებზე ერთნაირი მოყვანილობის, ზომისა და ხარისხის ნაწარმის გახშირება. ამასვე უნდა ადასტურებდეს აგრეთვე მაღალი ხარისხის თიხის ჭურჭლის დიდი რაოდენობაც. მეთუნეობის ხელოსნობის ცალკე დარგად გამოყოფასა და ამ დარგში პროფესიონალების გაჩენაზე პირდაპირ მიგვითითებს ის საკმაოდ რთული ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც მტკვარარაქსული თიხის ჭურჭლის დამზადებისას გამოიყენებოდა. ქვაცხელების ნამოსახლარიდან ამას ადასტურებს C ფენაში აღმოჩენილი არასწორი მოყვანილობის მოგრძო ორმო, რომელიც, როგორც ჩანს, საჭურჭლე თიხის დასახარისხებლად იყო განკუთვნილი. ამ ორმოს სიღრმე 2,15 მეტრი იყო, მოცულობა კი 30 კუბურ მეტრს აღემატებოდა. იგი ნაპირებიდან თანდათან ღრმავდებოდა შუაგულისაკენ და წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად ძირი ჰქონდა მომწვარი. მას აგრეთვე გააჩნდა დრენაჟი ზედმეტი წყლის და-

საწურად. ასეთ ორმოში გამჭლეავებული თიხის ცალკეული შრეები სხვადასხვა შიჭნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული [36]. მართალია, ქვაცხელების ნამოსახლარზე თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა არ აღმოჩნდა, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი ქურა აღმოჩნდა საქართველოს გარეთ, დაღესტანში შესწავლილ მტკვარარაქსულ ნამოსახლარ ველიკენტზე, სადაც ის, მცირე დასახლებასთან ერთად, ძირითადი ნამოსახლარის ფერდზე იყო გამართული. ვარაუდობენ, რომ ხელოსნების მიერ ამ დასახლებაზე წარმოებული ჭურჭელი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო როგორც ველიკენტის, ისე მეზობელი დასახლებებისათვის [94].

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკული წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხების საფუძველზე შესაძლებელია ერთგვარი განვითარებისათვის თვალის გადევნება. მაგალითად: ქვაცხელების B დონის კერამიკის თიხა, კეცი, გაკრიალება და შეფერილობა გარკვეით უფრო მაღალხარისხოვანია, ვიდრე ქვედა C დონისა, B დონეში ასევე უფრო მაღალია ძერწვის ტექნიკაც[305]. ამ თვალსაზრისით მტკვარარაქსულ კერამიკაზე დაკვირვება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩარხის გარეშე, ხელით ძერწვის წესითაა დამზადებული, საშუალებას იძლევა სულ ცოტა, ქვაცხელების C_1 ფენიდან მოყოლებული მაინც, ამ დარგში ძირითადად პროფესიონალი ხელოსნების არსებობა ვიკარაუდოთ.

მეთუნეობის მსგავსად, სოფლის მეურნეობისაგან გამოცალკევებულ ხელოსნობის დარგად შეიძლება აგრეთვე მივიჩნიოთ მეტალურგია. ლითონის ნივთები ძირითადად სპილენძისა და დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან მზადდებოდა. ამავე პერიოდში ვხვდებით ძვირფასი ლითონის პირველ ნივთებსაც [81].

მტკვარ-არაქსის კულტურის დროს მეტალურგია განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს. სერიულად მზადდება სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღები და სამკაულები. ფიქრობენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა ტომებმა ჩაუყარეს საფუძველი ადგილობრივ მეტალურგიას [18], თუმცა შესაძლოა მის დაწინაურებას გარკვეულად წინააზიურ სამყაროსთან კონტაქტებმაც შეუწყო ხელი [41]. მართლაც, სამხრეთთან კავშირზე მიგვითითებს ლითონის ნივთების ერთი ნაწილი, რომლებიც წინააზიურ ფორმებს იმეორებენ, თუმცა ზოგ მკვლევარს ჩვენში აღმოჩენილი ნიმუშები უფრო არქაულად მიაჩნია [23].

მტკვარარაქსელმა მეტალურგებმა უკვე იციან, ნივთის პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, შენადნობში დარიშხანის რაოდენობის რეგულირება. ასე მაგალითად: ცალკეულ შემთხვევაში დარიშხანის დიდი შემცველობით ხასიათდებიან სამკაულები, რომლებსაც ეს ელემენტი სითეთრესა და ბზინვარებას ანიჭებს. შრომისა და საბრძოლო იარაღები კი დარიშხანს მცირე რაოდენობით შეიცავენ, რადგან დიდი პროცენტი დარიშხანისა სითეთრესთან ერთად შენადნობის სიმყიფესაც ზრდის [18].

მეტალურგიული წარმოების მანიშნებელია ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ცეცხლგამძლე თიხისა და ქვისაგან დამზადებული ყალიბები, ციცხვები და ლითონის გასალღობი მცირე ჭურჭლები—ტიგელები. ზოგ ნამოსახლარზე ნა-

პოვნია ლითონის მცირე სხმულებიც — ზოდები. არის შემთხვევა თვით ლითონის სალღობი ქურის ნაშთებისა და მისი ცალკეული დეტალების აღმოჩენისა (ამირანის გორა) [81]. თუ სად მოიპოვებდნენ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლები მადანს, ჯერჯერობით გარკვეული არ არის, მაგრამ შესაძლებელია მადნის მოპოვება და ლითონის ნივთების წარმოება ერთმანეთისაგან დაშორებულ ორ ან მეტ ადგილზე მიმდინარეობდა [18]. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე შესაძლოა უკვე არსებობდნენ ამ დარგის საგანგებოდ დაკავებული ხელოსნები, იქნებ, მთელი ოჯახები თუ ცალკეული საგვარეულოები.

მტკვარ-არაქსის კულტურაში მეტალურგიის დაწინაურებას ვერცხლისა და ტყვიისაგან დამზადებული სამკაულების აღმოჩენაც უნდა ადასტურებდეს, რადგან ორივე ეს ლითონი ამიერკავკასიაში ძირითადად მათი შემცველი მადნებიდან მიიღებოდა [18].

მეტალურგიის მაღალი დონე, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში იქნა მიღწეული. ამ დროისათვის ადგილობრივი მეტალურგიისათვის დამახასიათებელმა პროდუქციამ საგრძნობლად იმატა. გვხვდება როგორც ლითონის იარაღი, ისე სამკაული: თავხვია, მარყუჟისებური და T-ს მაგვარი საკინძები, ოთხწახნაგა ისრისპირები და შუბისპირები, სატევრების პირები და დანები, ბრტყელი და ყუადაქანებული ცულები და სხვადასხვა სამკაული [18]. უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე მინისებური პასტის მძივებიც, რაც ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ პროდუქტად არის მიჩნეული [36].

ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელად მტკვარარაქსელები იყენებდნენ როგორც ცალსაგდულიან ღია ყალიბებს, ისე ორსაგდულიან დახურულ ყალიბებს [88], რაც აგრეთვე ხელოსნობის ამ დარგის ოსტატთა მაღალი პროფესიული დონის მაჩვენებელია. სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთების დიდი რაოდენობა, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი შეკრა ნათლად მეტყველებს მეტალურგიის მაღალ დონეზე.

მართალია, ამ პერიოდში ქვის დამმუშავებელი ოსტატები კვლავ განაგრძობენ თავის საქმიანობას, ამას თეთრი წყაროს [86] და ხანლარის [60] ქვის სახელოსნოებიც ადასტურებენ, მაგრამ ქვის ინდუსტრია მაინც კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას.

მტკვარარაქსელთა შინამრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ქსოვა უნდა ყოფილიყო. ამ საქმიანობის არსებობას კარგად ადასტურებს როგორც კვირისტავების სიმრავლე, ისე ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკის საკმაო რაოდენობა [18]. ეს საქმიანობა ორი სახის ნედლეულის ბაზაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული — მატყლზე და სელზე. ცხვრის ძვლები და თიხის მცირე ქანდაკებები ხშირად გვხვდება მტკვარარაქსულ ნამოსახლარებზე. სელის გამოყენებაზე კი უნდა მიგვითითებდეს, ზოგ შემთხვევაში, თიხაზე ქსოვილის ანაბეჭდის ხასიათი და ამ მცენარის მარცვლების აღმოჩენა [94].

ცხადია, მტკვარარაქსელთა შინამრეწველობის დარგებს შორის საგრძნობი ხვედრითი წონისა იქნებოდა ტყავის დამუშავება, რაზეც კარგად მიგვანიშნებს ზოგი ძვლის ნივთი (სახვრეტები, სადგისები, ნემსები).

საფიქრებელია, რომ სტანდარტულობამდე მისული მტკვარარაქსული შენობებიც ამ საქმეში დახელოვნებული პირების მიერ უნდა ყოფილიყო აგებული. მათში, თიხასთან ერთად, ხის კონსტრუქციების გამოყენება და ისეთი შრომის იარაღი, როგორიცაა ცული და სატეხი, გვაფიქრებინებს, რომ ხით ხეროობას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა ხელოსნობის დარგებს შორის. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის ურმისა და ხის სახვნელის არსებობაც არის ნავარაუდევი, რაც ამ დარგის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ამრიგად, ის მასალა, რომელიც მტკვარარაქსელთა საქმიანობის სხვადასხვა დარგს შეეხება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეკონომიკის ძირითად საფუძველს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა შეადგენდა. მათი ხვედრითი წონა ეკონომიკაში, ბუნებრივი პირობების შესაბამისად, სხვადასხვანაირი იყო, თუმცა მიწათმოქმედებას, ეტყობა, მაინც უპირატესობა ენიჭებოდა.

მართალია, დღეისათვის ჯერ არ გაგვაჩნია მონაცემები ამ დარგების კონკრეტული სამეურნეო ეფექტის, მათი პროდუქტიულობის შესახებ, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ზედმეტი რაოდენობის პროდუქტს იძლეოდა, რამაც შესაძლებელი გახადა მეთუნეობისა და მეტალურგიის პროფესიული ხელოსნობის დონემდე ამაღლება.

მტკვარარქსული კულტურის შემქმნელი საზოგადოების სოციოლოგიურ შეფასებას ამ კულტურის აღმოჩენისთანავე დიდი ყურადღება მიექცა და თავდაპირველად იგი ძირითადად მატრიარქალურ-გვაროვნული საფეხურით განისაზღვრა [105]. შემდგომში, მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო სრულად შესწავლის საფუძველზე აღინიშნა, რომ ეს საზოგადოება უკვე პატრიარქალურ საფეხურზე იდგა [82, 21, 41, 79]. ამასთან, ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, მტკვარარაქსელებს დიდ ოჯახებად [34, 75, 93, 33, 3, 36], პატრონიმიებად დაშლილი გვარის ცალკეულ ოჯახებად უნდა ეცხოვრათ [27]. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამ კულტურის განვითარებული ეტაპისათვის უკვე უნდა არსებულიყო პატრიარქალური წყვილადი ოჯახებისაგან შემდგარი თემი [7,8] და თვით მონოგამური ოჯახიც კი [27].

დღეს, როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები აღმოჩენილია კავკასიისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, არ იქნება სწორი ერთი რომელიმე ძეგლის მიხედვით გამოთქმული სოციოლოგიური ვარაუდის მთელ არქეოლოგიურ კულტურაზე გავრცელება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მტკვარარაქსელთა საზოგადოება, შეიძლება ითქვას, ყველგან პატრიარქალური უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც ითქვა, ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს შორის არსებული სხვაობის გამო სხვადასხვა პირობებ-

ში მცხოვრები მტკვარარაქსელების საზოგადოებანი, ალბათ, რამდენადმე განსხვავებულიც იქნებოდნენ ერთმანეთისაგან.

მიუხედავად მასალის სიმცირისა, რაც აძნელებს ადრეული ეტაპის მტკვარარაქსული საზოგადოების შესწავლას, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ადრეული პერიოდის ისეთ ძეგლებზე, როგორიც თეთრი წყაროს A ნასოფლარია, გვაროვნული კოლექტივის წევრებს შორის უკვე მორიგეობით უნდა ყოფილიყო განაწილებული მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ფუნქციები. არსებობდნენ ქვის იარაღის დამზადებაში დახელოვნებული პირები და საერთოდ, შრომის დანაწილება სათანადო დონეზე უნდა მდგარიყო [88]. ამავე ნასოფლარის საცხოვრებელი შენობების მიხედვით კი, ზოგი მკვლევარის აზრით, სოფელს უკვე მცირე პატრიარქალურ ოჯახებად უნდა ეცხოვრა [11].

მსგავსი სურათი ჩანს აგრეთვე ადრეულ ძეგლ სამშვილდეზე. სამშვილდის როგორც ნასახლარის, ისე სამაროვნის მონაცემებიდან ჩანს, რომ აქ მცხოვრებთათვის მესაქონლეობასა და მონადირეობას მიწათმოქმედებასთან შედარებით მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ადრებრინჯაოს ხანის სამშვილდის მოსახლეთა მესაქონლეობაზე მიგვანიშნებს როგორც დიდი რაოდენობით აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონლის, ღორის, თხისა და ცხვრის ძვლები, ასევე სამარხებში ნაპოვნი მრავალი კვირისტავი, ქსოვილისანაბეჭდიანი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოსაგან დამზადებული ვერძის თავის მსგავსი თავხვია საკინძი [13].

სამშვილდის სამაროვნის 36 სამარხში 125 მიცვალებული უნდა ყოფილიყო დაკრძალული 70—90 წლის განმავლობაში [13]. აქაური საოჯახო აკლდამების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოჯახი საშუალოდ 4—6 წევრისაგან შედგებოდა, ხოლო ამავე აკლდამებში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის რაოდენობა ოჯახებს შორის უკვე გაჩენილ ქონებრივ განსხვავებაზე მიგვანიშნებს; ქონებრივი დიფერენციაცია ამ ადრეულ ეტაპზე ძირითადად თიხის ჭურჭლის გაზრდილი რაოდენობითაა გამოხატული, თუმცა სწორედ თიხის ჭურჭლით მდიდარ სამარხებში იწყებენ გამოჩენას ბრინჯაოს ნივთებიც. ოჯახის უპირატესი ქონებრივი მდგომარეობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ მოქმედებს არც დაკრძალვის წესზე და არც სამარხი ნაგებობის ზომებსა და აგებულებაზე. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სოციალურად და უფლებრივად თანსწორ ოჯახებს შორის მომხდარი ქონებრივი დიფერენციაცია ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული, რაც ადრეული ეტაპის მტკვარარაქსელთა ეკონომიკის შედარებით დაბალი დონით უნდა იყოს განპირობებული [11].

განვითარების დაახლოებით ასეთივე დონეზე უნდა მდგარიყო მტკვარარაქსული საზოგადოება კიკეთთან შესწავლილი სამაროვნის მიხედვითაც, სადაც საოჯახო სამარხებში, სამშვილდის მსგავსად, საშუალოდ 4—5 მიცვალე-

ბულია დაკრძალული [11]. კიკეთის სამაროვნის მიხედვით, როგორც ჩანს, სამეურნეო საქმიანობა აქ ძირითადად მესაქონლეობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რაზეც სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი საქონლის ძვლები მეტყველებს, რომელთაგან 96% წვრილფეხა საქონელზე ჰოდის [21]. ის ფაქტი, რომ ამ სამაროვანზე არ აღმოჩენილა სანადირო იარაღი, ალბათ, მესაქონლეობის მაღალ დონეზე უნდა მიგვანიშნებდეს. გათხრილი 20 სამარხიდან ლითონის ნივთი არც ერთში არ აღმოჩენილა, თუმცა მინისებური პასტის მძივები სავარაუდოს ხდის, რომ არსებობდა გარკვეული კონტაქტები მეტალურგიას დაუფლებულ ტომებთან.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი დონე, რომელიც ქვემო ქართლის ძეგლებთან დაკავშირებით იყო აღნიშნული, გვხვდება ამ დროის ისეთ ძეგლებზეც, როგორიცაა შიდა ქართლის ხიზანაანთ გორა (E და D დონე) და ქულბაქები. ამასთან, ხიზანაანთ გორის E დონეზე აღმოჩენილი წრიული შენობები ისეთივე ზომისაა, როგორც თეთრი წყაროს ნასოფლარისა. ამიტომ სავარაუდოა, რომ როგორც თეთრ წყაროში (ქვემო ქართლში), შიდა ქართლშიც და საერთოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე ყველგან სოფლები უკვე მცირე ოჯახებად უნდა ყოფილიყვნენ დასახლებული.

ამრიგად, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე მცირე ოჯახები უკვე ცალკე ერთეულებად უნდა იყვნენ ჩამოყალიბებული. ამასთან, ეს პროცესი იმდენად ღრმად ჩანს წასული, რომ იგი სამარხეულ კომპლექსშიც პოულობს ასახვას საოჯახო აკლდამების სახით. ამიტომ სამშვილდისა და კიკეთის სამაროვნების სახით საქმე უნდა გვქონდეს პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების იმ საფეხურთან, როდესაც ცალკეული ოჯახები უკვე ახერხებდნენ დამოუკიდებლად გაძღოლოდნენ წარმოებით მეურნეობას და მიუხედავად მისი პრიმიტიული ხასიათისა, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო აღარ საჭიროებდნენ დიდი გვაროვნული კოლექტივის ერთიან შრომას. ალბათ, ოჯახების დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობაზე უნდა მეტყველებდეს ამ სამაროვნების ცალკეულ სამარხებს შორის არსებული ქონებრივი განსხვავების პირველი ნიშნებიც.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისაგან განსხვავებით, მის განვითარებულ საფეხურზე კვების პროდუქტების წარმოებაში, მეტალურგიისა და ყველა სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა. ყოველივე ეს, ნასოფლარის გეგმარებისა და საცხოვრებელ შენობათა ფართობის გათვალისწინებასთან ერთად, საშუალებას აძლევს ზოგ მკვლევარს, გამოთქვას ვარაუდი, რომ ამ დროის შიდა ქართლის სოფლები და, კერძოდ ქვაცხელები, ჩამოყალიბებული პატრიარქატის პირობებში არსებობენ; რომ სამეურნეო ორგანიზაციაში შემორჩენილი იყო 15—20 სულისაგან შემდგარი დიდი ოჯახის სისტემა. თვით სოფელი ერთი გვარით იყო დასახლებული, ხოლო

ასეთი ნამოსახლარების სიმრავლე მტკვრის აუზში საგვარეულო წყობის გაძლიერებისა და ტომობრივი კავშირების განმტკიცების პროცესის შედეგია [36].

ამ ნასოფლარებში ცალკეული ოჯახის წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ქვაცხელაზე ერთ ოჯახში დაახლოებით 8 სული უნდა ყოფილიყო, ხოლო ბთლიანად სოფელში 300 კაცს უნდა ეცხოვრა; ასეთი სოფლის გამოსაკვებად სათესლე ფრაგისა და საახოო მეურნეობის გათვალისწინებით, თუ ჰექტარზე ერთი ტონა პურის მოყვანას დავუშვებთ, საჭირო იქნებოდა 64 ჰექტარი მიწის ფართობის დამუშავება. აქედან გამომდინარე, სახნავ-სათესი მიწით მდიდარ მტკვრის აუზში მოსახლე მტკვარარაქსელების მიწათმოქმედების განვითარებას სახნავი მიწის ნაკლებობა ვერ შეაფერხებდა [27].

იმის გათვალისწინება, რომ ჯერ კიდევ ამ კულტურის ადრეულ ეტაპზე (სამშვილდე) ოჯახის საშუალო სულადობა 4—6 კაცით განისაზღვრება, ზემოთ მოტანილი მოსაზრებებიდან მეორეს უფრო სარწმუნოს ხდის. მითუმეტეს, რომ ქვაცხელებზეც, ხიზანაანთ გორაზეც და სხვა მტკვარარაქსულ ნამოსახლარებზეც საცხოვრებელ შენობათა საშუალო ფართობი 35 კვადრატული მეტრია. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქვაცხელა მთლიანად შედგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ისეთი საცხოვრებელი სახლებისაგან, რომელთაც, გარეა საცხოვრებელი ოთახისა, გააჩნიათ სამეურნეო დერეფანიც. ეს გარემოება მხარს უჭერს იმ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც პატრიარქალური დიდი ოჯახების საფეხური მტკვარარაქსულ საზოგადოებას უკვე განვლილი აქვს და კულტურის განვითარების ამ შუა ეტაპზე გაძლიერებულია ინდივიდუალური ოჯახების ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ ამ დროს უკვე დაწყებულია მიწის ნაკვეთების პერიოდული განაწილება ოჯახებს შორის და მათი დამუშავებაც ამ ცალკეული მცირე ოჯახების ძალებით ხდება. ასეთ ვარაუდს თითქოს მხარს ისიც უჭერს, რომ ამ დროის ოჯახები სხვადასხვა ზომის სახლებში ცხოვრობენ. ხოლო საზოგადოების ასეთი დაწინაურების მიზეზად შიდა ქართლის სხვა რაიონებისაგან განსხვავებული, გამორჩეულად ხელსაყრელი პირობებია მიჩნეული, რასაც, შესაძლოა, აქაური საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთგვარი დაჩქარება უნდა გამოეწვია [27]. თუმცა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპის ძეგლები სხვა რაიონებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების არანაკლებ და, ზოგ შემთხვევაში უფრო მაღალ დონესაც კი გვიჩვენებენ, ვიდრე შიდა ქართლის ნასოფლარები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახალციხის ამირანის გორის მონაცემები. აქ გათხრილი ქვით ნაგები 21 შენობის ფართობი 9-დან 54 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს [33]. ამირანის გორაზე აღმოჩენილია 19 სპილენძის, 3 ვერცხლისა და 1 ტყვიის ნაკეთობა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ნაპოვნი ორი მტკვარარაქსული ბრინჯაოს ნამგლიდან ერთი ამირანის გორაზეა აღ-

მოჩენილი, რაც შესაძლოა, მართლაც, მიწათმოქმედების მაღალ დონეზე მი-
გვითითებდეს [33].

ახალციხის ამირანის გორის მასალა მყარ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ აქ საზოგადოება უკვე განმტკიცებული პატრიარქატის პირობებში მცხოვრებად ვივარაუდოთ. ამ ვარაუდის სისწორეს უნდა მოწმობდეს ამირანის გორის სამარხებში დადასტურებული ქონებრივი უთანასწორობა და ზოგიერთი შამაკაცის, საერთო წესებისაგან განსხვავებული, საგანგებოდ გამორჩეული პატივით დაკრძალვა (სამარხი № 24) [33]. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი სამლოცველოების გამოჩენა, რომლებიც ნამოსახლარის ფარგლებს გარეთაა მოწყობილი [119].

ასეთ ვითარებაში ძალზე საინტერესოა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპის საზოგადოებრივ წყობასთან დაკავშირებით ი. კიკვიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება. მისი ვარაუდით, ამ დროის სოფელი დასახლებული უნდა ყოფილიყო ერთი ან ორი გვარით, რომლებიც წყვილადი ოჯახების ნათესაურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ; მათ შორის უკვე უნდა ჰქონოდა ადგილი ქონებრივ უთანასწორობას, თუმცა ეს უკანასკნელი, ალბათ, არ ცილდებოდა მათი მოთხოვნილების ნორმებს, ე. ი. არც ერთი ოჯახი არ იყო ისე, რომ პირველი მოთხოვნილების საგნების მინიმუმი არ ჰქონოდა, ან ზედმეტი ფუფუნებით ეცხოვრა; მატერიალური დოვლათის დაგროვება ერთეულების ხელში, ამ მოსაზრების მიხედვით, უფრო გვიან ხდება და ამის წინაპირობა ძალაუფლების უზურპაცია უნდა ყოფილიყო. გვაროვნული საკუთრება ამ დროს თავს იჩენდა მიწის გვაროვნულ მფლობელობაში და არა წარმოების კოლექტიურობაში. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ როგორც საქონლის ჯოგი, ისე დამუშავებული მიწის ფართობი ოჯახის სრული საკუთრება იქნებოდა. სამიწათმოქმედო მიწის ფართობის ნაკლებობას კი ამ დროის ადამიანი, როგორც აღვნიშნეთ, ეტყობა, არ განიცდიდა და მის მიტაცებასაც მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა [7].

იმ ოჯახის შემადგენლობა, რომელიც, ზოგი ვარაუდით, ამ დროს ჯერ კიდევ ექსტენსიურ მიწათმოქმედებას მისდევდა, მაინცდამაინც დიდი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ ეს რიცხვი 5—6 სულით შეიძლება განისაზღვროს [8].

მიუხედავად იმისა, რომ მტკვარარქსელთა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ხასიათი ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას, ქვაცხელებისა და ბრონზიანად მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი საზოგადოების ძირითად უჯრედთან დაკავშირებით, სამშვილდისა და კიკეთის საოჯახო აკლდამა-სამარხების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი იმ დროს საშუალოდ 4—6 წევრისაგან შედგებოდა, ხოლო 8—9-სულიანი ოჯახები გამონაკლისს წარმოადგენდნენ. ამასვე უჭერს მხარს ამირანის გორის საოჯახო სამარხებში დაკრძალულთა რაოდენობაც.

კიკეთ-სამშვილდის სამაროვნების მასალა, მიუხედავად ადრეულობისა, მართლაც, გვიჩვენებს ოჯახების ერთი ნაწილის ქონებრივ უპირატესობას

ხვებთან შედარებით. ამავე დროს ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ფაქტები არ წარმოადგენენ ცალკეულ შემთხვევებს თვით ამ სამაროვნის შიგნით, რაც ნათელს ხდის ამ მოვლენის კანონზომიერ ხასიათს. ამავე პროცესის გაღრმავებად შეიძლება ჩაითვალოს ამირანის გორის განვითარებული ეტაპის სამარხებში (№№ 36, 24, 34, 27) განსაკუთრებული პატივით დაკრძალულთა სამარხების აღმოჩენა [33]. თავის უმაღლეს დონეს ეს პროცესი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე აღწევს, როდესაც დიდი და მდიდრული ინდივიდუალური ყორღანები იწყებენ გამოჩენას. აქედან გამომდინარე აუცილებელია სოციალურ საკითხებზე მსჯელობისას მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან ერთად ადრეული ყორღანული სამარხებიც იქნან გააზრებული.

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგში მიმდინარე აღმავლობის პროცესმა, ამ კულტურის ფინალურ ეტაპზე, ცალკეულ საქმიანობაში დაოსტატებულ სოფლის მეურნეთა ნაწილი, როგორც ჩანს, პროფესიონალ ხელოსნებად აქცია.

ბუნებრივია, რომ საწარმოო ძალთა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას სათანადო ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროშიც. მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარზე მოდის, საზოგადოების სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის ნიშნებმა მკვეთრად იჩინეს თავი ინდივიდუალურ ყორღანებში. ამ ყორღანების აგებაზე გაწეულ დიდ შრომასთან ერთად, მათში დაკრძალულთა მაღალ სოციალურ მდგომარეობას, ხშირ შემთხვევაში, ხაზს უსვამს ძალაუფლების ნიშნებისა და საკულტო ნივთების აღმოჩენაც. ცალკეულ შემთხვევაში კი, ადრეული ყორღანების გრანდიოზული მასშტაბები, მათში აღმოჩენილი ნივთების მაღალი მხატვრული ღირებულება და ბრწყინვალება რეალურს ხდის მოსაზრებას, რომ საზოგადოება უკვე განვითარების სამხედრო დემოკრატიულ საფეხურზე იდგა [22].

ამრიგად, მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის კულტურაში შესაძლებელია თვალი გავადევნოთ პატრიარქალურ-გვაროვნულ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის თითქმის მთელ პროცესს. ამ კულტურის ადრეული ეტაპის სამარხებში ჩვენ უკვე ვხვდებით ცალკეულ მცირე ოჯახებად დაშლის ძლიერ ტენდენციას. ამავე ეტაპზე თავს იჩენს ქონებრივი დიფერენციაციის სუსტი ნიშნებიც.

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე პატრიარქატი არა თუ განმტკიცებულია, იგი ისეთ დონეზეა ასული, რომ მამაკაცური საწყისი კულტის საგნადაც კი იქცევა. ეს კარგად ჩანს ამ კულტურისათვის დამახასიათებელ მცირე პლასტიკაში, კერებში, მათ საღგრებსა და ბრინჯაოს თავხვია საკინძებში, რომლებშიც ყოველთვის ხაზგასმულია მამაკაცური საწყისი და

რომლებიც ყოველთვის რიტუალური დანიშნულების ნივთებს წარმოადგენდნენ [18]. აღნიშნული ეტაპიდან უკვე შეიძლება ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგებად გამოყოფაზე, ანუ შრომის მეორე საზოგადოებრივ დაყოფაზე ლაპარაკი. ამ დროს კიდევ უფრო ძლიერდება ცალკეული ოჯახების ეკონომიკური დამოუკიდებლობა. თვალსაჩინო ხდება სამარხებში წარმოდგენილი ქონებრივი დიფერენციაციის სურათი, რომელიც ამ კულტურის განვითარების ფინალურ ეტაპზე ძალზე მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ადრეულ ყორღანებში და ამით სამხედრო დემოკრატიული წყობილების დამყარებას უსვამს ხაზს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებში უკვე ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო საზოგადოების ის ფენა, რომელიც აღარ მონაწილეობდა უშუალოდ მატერიალური წარმოების პროცესში და ძირითადად , და შესაძლოა მემკვიდრეობითაც, საზოგადოების ორგანიზაციებითა და მართვით იყო დასაქმებული.

§ 2. ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ახალი მოვლენებით ხასიათდება. საბოლოოდ დაირღვა მტკვარ-არაქსის კულტურის სტაბილური ხასიათი, რომელიც თითქმის ათას წელს გაგრძელდა. ამ პერიოდში გავრცელებას იწყებს ახალი, თავისებური კულტურა, რომლისთვისაც განსხვავებული დაკრძალვის წესია დამახასიათებელი — ინდივიდუალური ყორღანული სამარხები. მკვეთრი ცვლილებები კულტურაში და საერთოდ, ცხოვრების ხასიათში მარტო საზოგადოების შიგნით ძიმდინარე პროცესებით ვერ აიხსნება. აქ, ჩანს, გარკვეული როლი გარედან მომდინარე ფაქტორებსაც უნდა შეესრულებინა. ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის ჩრდილოეთით თანდათანობით აქტიურდებიან მესაქონლე ტომები, რომლებიც შორს, დასავლეთით, ვრცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით დუნაისპირეთის მიღმა მხარეებს აღწევენ. მოძრაობის ამ დიდ გზაზე ეს ტომები მიწათმოქმედი მოსახლეობის ზონებში იჭრებიან და არღვევენ მათი მეურნეობის სიმყარეს [89].

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ძლიერების ხანაში ამიერკავკასია ამ მოვლენების მიღმა დარჩა. მხოლოდ მისი შესუსტების შემდეგ, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიაში აქტიურდება ჩრდილოური გავლენები. ამ მოვლენების შესახებ მსჯელობა ჯერჯერობით უპირატესად სამარხებიდან მომდინარე მასალების საფუძველზე შეიძლება. აღნიშნული ხანის სხვა ხასიათის ძეგლები, განსაკუთრებით კი ნამოსახლარები, სადღეისოდ ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი. ამ დროის ამიერკავკასიაში ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი — ყორღანული სამარხი, რომელსაც აქ არ გააჩნდა ადგილობრივი ტრადიციები. სიახლე დაკრძალვის რიტუალში შესაძლოა გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთანაც ყოფილიყო დაკავშირებული.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაკრძალვის ყორღანული წესის გავრცელება ძირითადად ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებთან იყო, ალბათ, დაკავშირებული, თუმცა კულტურაში მან თითქოს ნაკლები ასახვა პოვა. ყორღანულ სამარხებში გამოვლენილი კულტურა უპირატესად ადგილობრივ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული. თუ დაკრძალვის ახალი წესი მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ახალმოსულებს, ჩანს, ძირითადად ადგილობრივი კულტურა უნდა აეთვისებინათ. შესაძლოა მოსულნი რიცხობრივად არცთუ ისე ბევრნი იყვნენ და შედარებით სწრაფად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

საერთოდ, ჩრდილოეთიდან მომდინარე გავლენებმა უკვალოდ არ ჩაიარა და მათ ამიერკავკასიაში გარკვეული დაღი დასვეს ცხოვრების საერთო წესს. ყოველ შემთხვევაში, მტკვარ-არაქსის კულტურაში და მის უწინარეს ხანაში წარმოქმნილი ხასიათი ცხოვრებისა ირღვევა. ძველი საცხოვრებელი ადგილები მთლიანად ცარიელდება და ძირფესვიანად იცვლება საზოგადოების ცხოვრების წესი. მაგრამ როგორი იყო ცხოვრების ეს ახალი გზა, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის იმის გამო, რომ სანდოდ უპირატესად სამარხებიდან მოდინარე მასალებია ცნობილი. სად მდებარეობდა იმ დროს სოფელი, როგორი იყო მისი დაგეგმარება, არქიტექტურა, მოსახლეობის ეკონომიკური საფუძველი და სხვ. ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია, მაგრამ, რომ ამ დროს უკვე კარგად ფლობდნენ საინჟინრო-საშენებლო საქმეს, მოწმობს დიდებულთა სამარხებში, ყორღანებში, დადასტურებული ხის ან ქვისაგან ნაგები დასაკრძალავი შენობა. როგორც ჩანს, სამარხის აგებას უფრო მეტ დროსა და ძალას ახმარდნენ, ვიდრე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. საფიქრებელია, საცხოვრებელი უპირატესად ხისა იყო, ქვასა და თიხას ნაკლებად იყენებდნენ. უადრესი ყორღანების თანადროული ნასოფლარი ადგილები ჯერჯერობით თითქმის მიუკვლეველია. ამიტომ, როგორი იყო იმ დროის შეურნეობის ხასიათი, კერძოდ კი მიწათმოქმედებისა, ძნელი სათქმელია. ახლა თითქოს იმის თქმა შეიძლება, რომ ადრეყორღანების ხანაში არსებობდნენ საკმაოდ შეკავშირებული და ძლიერი კოლექტივები. მათ გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი სამუშაოს ჩატარება, როგორიც მოზრდილი ყორღანის აგება იყო, რაც საკმაოდ რთულ ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც მიწის სამუშაოებთან ერთად ზოგჯერ საკმაოდ დიდი ქვისა და ხის კონსტრუქციები გამოიყენებოდა. ასაგებად საჭირო მასალის მოზიდვა ხანდახან საკმაოდ შორეული ადგილებიდან ხდებოდა. ყორღანის დადგმა, როგორც ჩანს, ხანგრძლივი პროცესი იყო. ამიტომ, საფიქრებელია, რომ მეტ-ნაკლებად დამჯდარი ცხოვრების გარეშე ამ მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოების ჩატარება საკმაოდ გართულდებოდა.

ადრეყორღანების კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დღეს ცნობილია მის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში — აზერბაიჯანსა და საქართ-

ველოში; უფრო სამხრეთით, არარატის ველზე და მის მიმდგომ მხარეებში, ამ კულტურის ნაკვალევი ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყორღანები ამიერკავკასიის სამხრეთით, წინა აზიაში არ გვხვდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანების კულტურა თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს და მისი გავრცელების უკიდურესი დასავლეთი საზღვარი თითქმის ლიხამდე აღწევს. გადიოდა თუ არა ეს კულტურა უფრო დასავლეთით, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია.

ადრეულ ყორღანებში ქრონოლოგიურად რამდენადმე განსხვავებული ორი ჯგუფი გამოიყოფა: ერთი — ადრეული, მეორე კი უფრო გვიანი. უადრესი ყორღანები სადღეისოდ ცნობილია წალკის პლატოზე თრიალეთში, თბილისის მახლობლად მარტყოფში და სამგორის ველზე. თრიალეთში ყველა ყორღანი ორმოიანია, ქვამიწაყრილიანი, საკმაოდ მოზრდილი და სამარხეული ინვენტარის სიღარიბით გამოირჩევა. მათთვის დამახასიათებელია შავზედაპირიანი, მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ჭურჭელი, რომელსაც მხარზე ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ფართო ყური აზის [79,6]. მას ჩვეულებრივად მკვეთრად გამოსახული მუცელი აქვს, საკმაოდ მაღალი ყელი და შედარებით ვიწრო ძირი. მართალია, ეს ტიპი ჭურჭლისა უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ფორმით ხასიათდება, მაგრამ მაინც შეინიშნება გარკვეული კავშირი წინარეხანის კერამიკასთან. ეს ჩანს როგორც თვით ჭურჭლის ფორმის ზოგიერთ დეტალში, ისე ორნამენტის ხასიათში. მსხლისებრი ფორმის ჭურჭელთან ერთად, ყორღანებში ჩვეულებრივი შავი ფერის ცალყურა მოზრდილი ტოლჩა გვხვდება. ეს ჭურჭელიც ფორმით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მტკვარ-არაქსის კერამიკასთან, განსაკუთრებით კი მათ ორნამენტის ხასიათი აახლოებს [19].

თრიალეთის ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე სამგორისა და მარტყოფის ყორღანებში. სამგორის გათხრილი ყორღანი „კოხრა გორა“ საკმაოდ მოზრდილი იყო. მიწაყრილის შიგნით შუა ნაწილში ქვაყრილი ჰქონდა, რომლის ქვეშ, ცენტრში, სწორკუთხა ხის ძელური შენობა იდგა. მოტკეპნილ იატაკზე თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ბრტყელპირიანი სატევარი, ქვის ბრტყელი ცული და ცხვრის კოჭები აღმოჩნდა. იატაკის აყრის შემდეგ შენობის ერთ ნაწილში ორმო გამოჩნდა, რომელშიც ჩადგმული იყო თიხის ჩაღარულყელიანი ჭურჭელი ფერფლის ნაშთით. როგორც ჩანს, მიცვალებული დაუწვავთ და მისი ფერფლი თიხის ურანში მოუთავსებიათ, რომელიც შემდგომში იატაკის ქვეშ ამოღებულ სამალავ ორმოში ჩაუდგამთ [39].

სამგორის ყორღანებში შედარებით ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა. ერთადერთი ლითონის ნივთი—ბრტყელი, ყუნწიანი სატევრის პირი—პრიმიტიული ფორმისაა. საინტერესოა ამ ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა. მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელი თავისი ფორმით უახლოვდება ამგვარსავე ჭურჭლებს თრიალეთის ადრეული ყორღანებიდან. მოზრდილი ტოლჩა თითქმის

იმეორებს ამავე ყორღანებისათვის დამახასიათებელ ამ ტიპის ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტს. ერთგვარად თავისებურია თიხის ურნა. მსგავსი მოყვანილობის ჭურჭელი ამიერკავკასიაში ადრეულ ყორღანებში ცნობილი არ არის. იგი ფორმით უფრო უახლოვდება ჩრდილო კავკასიის ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელ ჭურჭელს.

საინტერესო შედეგები მოგვცა მარტყოფის ჯგუფის ყორღანების შესწავლამ, სადაც ოთხი ყორღანი გაითხარა, რომლებიც ყრილის სტრუქტურის ხასიათის მხრივ თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. აქაც, ისევე როგორც სამგორის ყორღანში, ყრილი ზემოდან მიწისა იყო, ქვეშ კი ქვისა. დასაკრძალავი კამერები ზედ მიწისპირზე, ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილის ქვეშ იყო მოთავსებული.

ერთ-ერთი ყორღანის დასაკრძალავი კამერა ქვის ფილებით იყო ნაგები. მშრალი წყობით ამოყვანილ ნაგებობას ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა. ჩანს, იგი ფილებით თაღურად უნდა ყოფილიყო გადახურული. იატაკიც ქვის ფილებისა ჰქონდა. მიცვალებულის ნაშთი კამერაში არ აღმოჩენილა. გარდა კერამიკისა, აქ ნაპოვნი იყო სადაფის სხვადასხვა მოყვანილობის საკიდები, ქვის ცული, ბრინჯაოს ისრისპირი და სხვ. [69].

ორ დანარჩენ ყორღანში დასაკრძალავი კამერა ხის ძელებისაგან იყო ნაგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტყოფის ჯგუფის ყველაზე მოზრდილი ყორღანი (№ 4), სადაც ცენტრში კარგად იყო შერჩენილი ხის ნაგებობა.

კამერის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე მიცვალებული ესვენა. ოთხივე კედლის გასწვრივ თიხის ჭურჭელი ელაგა. საკმაოდ მდიდარი სამარხეული ინვენტარი შედგებოდა მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა მოყვანილობის სადაფის საკიდებისაგან, სარდიონისა და პასტის მძივებისაგან. მრავლად იყო სხვადასხვა ცხოველების კბილებისაგან ნაკეთები საკიდები, ბრინჯაოს და ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ოქროს და ვერცხლის მძივები. აქვე აღმოჩნდა ოქროს ორი ფართო რგოლი და ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი: ცულები, სატეხი და სხვ.

თრიალეთის და სამგორის ყორღანებთან შედარებით მარტყოფის სამარხებში გაცილებით უფრო მდიდარი მასალა გამოვლიდა. ამ ყორღანებს განსაკუთრებით თიხის ჭურჭელი აახლოებთ. მარტყოფის ყორღანებშიც აღმოჩნდა მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ჭურჭელი და მოზრდილი ტოლჩები.

მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. იგი უპირატესად შავპრიალაა, კარგად ნაძერწი, გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით. სპარბობს მოზრდილი ქილისებრი ჭურჭელი ბიკონუსური ფორმისა ან ყელდაბალი, მუცელგამობერილი. ხშირია ყელფართო, მკვეთრმუცლიანი ცალყურა ჭურჭელი, რომელიც ფორმით მსხლისებრს უახლოვდება და მისგან უნდა იყოს განვითარებული. თუ არ ჩავთვლით ტოლჩისებურ ჭურჭელს, შედარებით მომცრო ზომის ცალები თითქმის არ გვხვდება. აქაურ კერამიკაზე გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ორნამენტული საბე-

ებია დატანილი. სპარბობს ნაკაწრი ორნამენტი, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება რელიეფურად გამოყვანილი სახეები.

მარტყოფის ყორღანები იმითაც გამოირჩევიან სხვა თანადროული ძეგლებისაგან, რომ აქ კარგადაა წარმოდგენილი სამარხეულ ინვენტარში კერამიკული მასალა. თრიალეთის ყორღანებში, თუ არ ჩავთვლით IV ყორღანის ყრილში ნაპოვნ ვერცხლის ხვიას, ლითონის ან სხვა რაიმე მასალის სამკაული თითქმის ცნობილი არ არის. მხოლოდ ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელი ყუნწიანი დანისა თუ სატევრის პირი. ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი იყო ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი თუ ისრისპირი. გარდა ამისა, ყოთგან აღმოჩნდა ობსიდიანის ორი ისრისპირი [94]. სამგორის ყორღანშიც დაახლოებით ამგვარივე სურათი იყო: კერამიკის გარდა აქ ნაპოვნი იყო ერთი ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის სატევრის პირი და ერთიც რიყის ქვის ცული.

თრიალეთისა და სამგორის ყორღანების სამარხეული ინვენტარის სიღარიბე და ერთგვაროვანი ხასიათი თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საზოგადოების შიგნით მიმდინარე ქონებრივი უთანასწორობის პროცესი ნაკლებად შეესამჩნევია. დაწინაურებულ წევრს უფრო მოზრდილ ყორღანებში ასაფლავებდნენ, რომლის აგებაშიც, ალბათ, მთელი გვარი თუ ტომი მონაწილეობდა, მაგრამ ქონებრივად რიგით წევრთაგან იგი ჯერ კიდევ მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა.

როგორც ჩანს, ასეთი პროცესი საზოგადოების შიგნით დიდხანს არ გაგრძელებულა. გამორჩეული ხდგომარეობის მქონე წევრი ეკონომიურადაც წინაურდება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მარტყოფის ყორღანებში. მართალია, ისინი დროით თრიალეთისა და სამგორის ყორღანებს, ჩანს, დიდად არ ჩამორჩებიან, მაგრამ მათში უკვე აშკარად შეიმჩნევა, რომ დაკრძალული წევრი საზოგადოებისა ქონებრივადაც გამორჩეულია. ყორღანები აგების წესით, მათზე დახარჯული შრომითა და დროით დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან, მაგრამ მარტყოფის ყორღანები აშკარად გამოირჩეოდნენ სამარხეული ინვენტარის სიუხვით. თანაც ამ ყორღანების ნივთიერი მასალა შედარებით უფრო მაღალი ნახელავია, მრავალფეროვანია. როგორც კი საზოგადოების დაწინაურებული, არისტოკრატიული ნაწილი ქონებრივადაც მომძლავრდა, ამან, ჩანს, გარკვეული ასახვა ნივთიერ მასალაშიც პოვა. იზრდება და იხვეწება მოვხმარებლის გემოვნება, წინაურდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, ნაწარმიც უფრო სრულყოფილ სახეს იღებს.

მარტყოფის ყორღანებში, მართალია, ჯერ ისევ გვხვდება მსხლისებური ჭურჭელი და მოზრდილი ვიწროძირიანი ტოლჩები, მაგრამ ამავე დროს ჩნდება ახალი ფორმები კერამიკისა. იგი უპირატესად კარგადაა ნაკეთები, შავად გაპრიალებული ზედაპირით და მასში უკვე შეინიშნება მომდევნო ჯგუფის ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკის გარკვეული ელემენტები. თრიალეთისა და სამგორის ყორღანებისაგან განსხვავებით, ისინი გამოირჩევიან

მასალის სიუხვით. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში კარგადაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭელი, მისი მრავალგვარი ფორმები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, ამ ხანაში მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია. მარტყოფის ყორღანებში კარგადაა წარმოდგენილი ლითონის იარაღი და სამკაული. დიდი ყორღანის ლითონის ნაწარმი განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდა. აქ აღმოჩენილი თითქმის სავსებით ერთნაირი ფორმის ოთხი ყუადაქანებული ცული, კარგადაა ნაკეთები, ერთ მათგანს კიდეებზე თევზიფხური ორნამენტი ამკობს. თავისი ფორმით ისინი საჩხერულ ყუადაქანებულ, ვიწროტანიან ცულებს უახლოვდებიან, მაგრამ მათზე რამდენადმე მასიურებია. საერთოდ, ეს ფორმა ცულისა მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე ჩამოყალიბდა და ადრეყორღანების ხანაშიც განაგრძობს არსებობას. ამ პერიოდში იგი ფართოდ ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში და უფრო ჩრდილოეთითაც, აღმოსავლეთ ევროპაში. გარდა ამისა, ამავე ყორღანში იყო სამი ბრტყელი ცული. ეს ტიპი ცულისა წინარე ხანაში იწყებს არსებობას და შემდგომშიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი წინა აზიაში და კავკასიაში.

თითქმის ყველა ადრეულ ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის ყუნწიანი სატევრების პირები. ეს პრიმიტიული იარაღები საგრძნობლად განსხვავდებიან მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი საჩხერული ტიპის სატევრის პირისაგან, ფორმით თითქოს უფრო უახლოვდებიან ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე იარაღებს, სადაც ისინი დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გვხვდებიან. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში აღმოჩნდა ოთხწახნაგა გრძელყუნწიანი ისრისპირები. ოთხწახნაგა სადგისი თუ ისრისპირები წინარე ხანაშიც გვხვდება, ოღონდ ყორღანებში ნაპოვნ ისრისპირებს მკვეთრად გამოსახული პირამიდული მოყვანილობის წვერი აქვს.

მარტყოფის ერთ-ერთ ყორღანში კარგად ნაკეთები ქვის ხვრელიანი ცული აღმოჩნდა. ქვის ბრტყელი ცული სამგორის ყორღანშიც იდო. ქვის ხვრელიანი ცულები ჩვენში დ საერთოდ, ამიერკავკასიაში ამ პერიოდში შედარებით იშვიათად გვხვდება. ქვის რამდენიმე ცული ნაპოვნია აზერბაიჯანში გათხრილ ადრეულ ყორღანებში. სამაგიეროდ ქვის გახვრეტილი ცულები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში, სადაც ისინი დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გვხვდებიან.

ლითონის სამკაულთაგან უადრეს ყორღანებში გვხვდება ბრინჯაოსაგან ნაკეთები სასაფეთქლე რგოლები. ამგვარი სასაფეთქლე რგოლები საკმაოდ კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი პერიოდის ძეგლებზე. სამკაულებით განსაკუთრებით მდიდარი იყო მარტყოფის დიდი ყორღანი. აქ ბლომად აღმოჩნდა ბრინჯაოს და ვერცხლის კასრისებრი მძივები, ოქროს რამდენიმე მოგრძო ,ცილინდრული მოყვანილობის წახნაგიანი მძივი და ორი ფარ-

თო რგოლი. ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები მტკვარ-არაქსის კულ-ტურისათვის დამახასიათებელი არ არის. ოქროს ორი რგოლი ნაპოვნი იყო საჩ-ხერის ყორღანულ სამაროვნებზე, რომლებიც უადრესი ყორღანებიდან დროით მაინცდამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ძვირფასი ლითონის ნივთები ჩვენში ყორღანული კულტურის ხანაში იწყებს გავრცელებას და ბედენის საფეხურზე ოქრომჭედლობა უკვე საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს.

სხვა უადრესი ყორღანებისაგან განსხვავებით, მარტყოფის ყორღანებში ბლომად აღმოჩნდა პასტისა და სარდიონის მძივები. სამკაულებით განსაკუთ-რებით მდიდარი იყო დიდი ყორღანი. აქ მრავლად აღმოჩნდა სადაფის სხვადა-სხვა მოყვანილობის საკიდები, ძვლის ბრტყელი მძივები და, რაც განსაკუთ-რებით აღსანიშნავია, ცხოველის კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები საკი-დები. მსგავსი საკიდები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრეული კულტური-სათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის, სამაგიეროდ ცხოველის კბილებისა და ეშვების საკიდები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ცნობილია ჩრდილო კავკასიის და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სამარხებში.

აღსანიშნავია სადაფის სხვადასხვა ფორმის ბრტყელი საკიდები, რომლებიკ ალბათ ტანსაცმლის ან სხვა რაიმე ნივთის შესამკობად იხმარებოდა. იგი მარტ-ყოფის ყორღანების გარდა, სხვაგან უცნობია. სადაფის სამკაული ჩრდილო კავკასიის ადრეულ სამარხებში გვხვდება, მაგრამ სულ სხვა ხასიათისაა.

სადღეისოდ ცნობილი თითქმის ყველა უადრესი ყორღანი საზოგადოების დაწინაურებული წევრის სამარხს წარმოადგენდა. იგი გამოირჩეოდა თავისი ზომით, კონსტრუქციით, ინვენტარით. როგორ იმარხებოდნენ იმ დროს საზო-გადოების რიგითი წევრები, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. როგორც ჩანს, მათ დასაკრძალად ყორღანული ტიპის სამარხი მაინცდამაინც არ გამო-იყენებოდა. შედარებით მცირე ზომის ყორღანები, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეჩნია რიგით წევრთა სამარხებად, ამ ხანისა ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. შესაძლოა ისინი ძველი წესისამებრ იმარხებოდნენ ორმოსამარხებში ან ქვაყუთებში, მაგრამ არც ამ რიგის სამარხებია მაინცდამაინც სადღეისოდ გა-მოვლენილი.

დაკრძალვის ყორღანული წესის შემოსვლა შესაძლოა საზოგადოების შიგნით მომხდარ გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთან იყო დაკავშირებული. უცხო ეთნიკური ელემენტების გამოჩენასთან ერთად, განსხვავებული ტიპის სამარხი ვრცელდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცნობილი უადრესი ყორღანები კონსტრუქციულად ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე სამარხებს უახლოვდებიან. იქაც ხშირად ყორღანის ყრილი ორფენოვანი იყო — ქვის ქვე-და, ზედა მიწისა. [97]. ზოგჯერ ქვაყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, და-საკრძალავი ორმო იჭრებოდა, ზოგჯერ დასაკრძალავი კამერა ქვისაგან ან ხის ძელებისაგან მიწის პირზე იგებოდა [94]. სამარხეულ ინვენტარშიც, მართალია, შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ჩრდილო-

ური გავლენები. ამიტომ, შესაძლოა, ადრეული ყორღანები ძირითადად ჩრდილოეთიდან შემოსულ, უცხო წარმომავლობის პირებს ეკუთვნოდეთ, რომლებიც ერთხანს საზოგადოებაში დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევენ.

როგორც ჩანს, ახალმოსულთა პირველ ტალღას საზოგადოების ცხოვრების წესში მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. მათ გამოჩენას მეურნეობის ხასიათში რაიმე საგრძნობი გარდატეხები არ გამოუწვევია. ისინი ერწყმიან დამხვდურებს და მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ გვიანდელ ნამოსახლარებში მოპოვებული მასალები ერთხანს მათი ერთად თანაარსებობაზე მეტყველებს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოისახა ამ ნამოსახლარების კერამიკულ კომპლექსში, სადაც უკვე შეიმჩნევა უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ელემენტები. დასახლების ხასიათს რაიმე საგრძნობი ცვლილება არ ეტყობა. როგორც ჩანს, ეს პირველი ნაკადი მოსულებისა არცთუ ისე ძლიერი იყო, რომ წინარე კულტურის საბოლოო ნგრევა გამოიწვია. პირიქით, ისე ჩანს, რომ მათ დამხვდურების კულტურა შეითვისეს და საერთოდ, ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. მაგრამ მაინც ახლის გამოჩენამ გარკვეული დაღი დაასვა საზოგადოების ცხოვრებას, ალბათ, პირველყოვლისა, მეურნეობის ხასიათს. რამდენადმე ძლიერდება, ალბათ, ეკონომიკაში მესაქონლეობის ხვედრითი წონა. ეგებ ამანაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დააჩქარა მტკვარ-არაქსის კულტურის მიწათმოქმედი საზოგადოების საბოლოო დაცემა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უადრეს ყორღანებში დაკრძალვის რიტუალში, ჩანს, მაინცდამაინც წესად არ იყო საქონლის ჩატანება საფლავში. მარტყოფის დიდ ყორღანში სულ მსხვილფეხა საქონლის რამდენიმე ძვალი და ცხვრის კოჭი აღმოჩნდა. სამგორის ყორღანში წვრილფეხა საქონლის რამდენიმე კოჭი იყო ნაპოვნი. აღსანიშნავია, რომ არც ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ყორღანებისთვისაა მაინცდამაინც დამახასიათებელი ცხოველების ჩატანება [79]. ეს სამარხები კი, როგორც ცნობილია, მესაქონლე ტომებს ეკუთვნოდათ, ჩვენში სამარხში საქონლის ჩატანების რიტუალი რამდენადმე უფრო გვიან, ბედენური კულტურის ხანაში, შემოდის.

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საგრძნობი გარდაქმნები შეინიშნება. ამ დროისათვის აქ ვრცელდება ე. წ. „ბედენური კულტურა“, რომელიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. რა ხდება ამ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, საიდან შემოდის ახალი ელემენტები ამ კულტურაში, რა იყო მიზეზი ცვლილებებისა, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. საინტერესოა, რომ სიახლე დაკრძალვის წესს მაინცდამაინც არ შეხებია. მიცვალებულებს ისევ ძირითადად ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ, მაგრამ სამარხეულ ინვენტარში უკვე საგრძნობი ხსვაობაა. ეს განსაკუთრებით კერამიკულ მასალაში შეიმჩნევა. ზოგი რამ ახალი დაკრძალვის რიტუალში შეინიშნება. ჩანს, წესად შემოდის მიცვალებულის ხის სარეცელზე, ოთხთვალა ეტლთან ერთად დასაფლავება, საქონლის ჩატანება საფლავში და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში ბედენური საფეხურის ძეგლები გვხვდება როგორც ბარში, ისე მთისწინა და მთის ზოლში. თრიალეთში წალკის ადრეული ყორღანების კულტურის ორივე ჯგუფის ძეგლები ერთად ახის წარმოდგენილი. თითქმის ყველა ყორღანი ორმოიანია, ქვამიწაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი შედარებით ღარიბულია და ძირითადად შედგება შავპრიალა კერამიკისაგან, ზოგჯერ თხელკედლიანი წვრილი ნაკაწრი ორნამენტით შემკული. მხოლოდ ერთ ყორღანში, ორმოს აღმოსავლეთ კიდეზე, გრუნტის დონეზე, თხელკედლიან შავპრიალა კერამიკის ნატეხებთან ერთად, აღმოჩნდა ოქროს ორვოლუტიანი საკინძი, ორმოს ძირზე კი თავის ქალასთან ნაპოვნი იყო ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის ფოთლისებრი ფირფიტები და თეთრი პასტის წვრილი მძივები. ერთ-ერთ ყორღანში, კერამიკის გარდა, ობსიდიანის ერთი ფუძეამოღარული ისრისპირი აღმოჩნდა. აღსანიშნავია წალკის პლატოდან ჯავახეთის ზეგანზე გადასასვლელთან, ფარავნის ტბის მახლობლად, შესწავლილი ერთი ყორღანი, უორმოო, ქვაყრილიანი. მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთები არ აღმოჩენილა, სამარხეული ინვენტარი კი დასაკრძალავ მოედანზე იდო ზედ მიწის პირზე. იგი შედგებოდა სპილენძის ბრტყელი სატევრის პირისაგან ფართო გახვრეტილი ყუნწით და პრიმიტიული ბრტყელი ფოთლისებრპირიანი, გრძელყუნწიანი შუბისპირისაგან; სპილენძის მრგვალი თხელფირფიტიანი აბჯრის ნაწილები შიგნიდან გამოყვანილი კოპებით იყო შემკული. აქვე იყო ოქროს თხელი ფირფიტის სამი ცილინდრული მოყვანილობის გარსაკრავი, სპილენძის მილაკი, ობსიდიანის ფუძეამოღარული ხუთი ისრისპირი და ჰემატიტის ლახტის თავი. ყორღანში თიხის ჭურჭლის მხოლოდ ერთი ნატეხი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ბედენური ტიპის კერამიკისა [5].

ამ დროს ყორღანების დიდი ჯგუფი ბედენის პლატოზე იყო განლაგებული. გარეგნულად ყორღანები თითქმის ერთი ტიპისაა, უპირატესად ქვამიწაყრილიანი, მხოლოდ ზომებით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. მათი დიდი ნაწილი შედარებით მომცროა, გვხვდება უფრო მოზრდილი ყორღანებიც. თითქმის ყველა შესწავლილი ყორღანი ორმოიანია. რამდენიმე ორმოში ვერტიკალურად ჩადგმულია ხის მორებისაგან შეკრული კამერა. მიცვალებულს ზოგჯერ ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად კრძალავდნენ [44]. ბედენის ყორღანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ყორღანი — „გადაპრილი გორა“; მის ცენტრალურ ნაწილში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელშიაც შვეულად აღმართული მუხის მორებისაგან შედგენილი დასაკრძალავი კამერა იყო ჩადგმული.

ბედენის სხვა მომცრო ყორღანებში, მართალია, უფრო ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა, მაგრამ ზოგ მათგანში ნაპოვნი იყო ოთხთვალა ეტლის ნაშთები, ბრწყინვალე კერამიკა, ხის ჭურჭელი, სპილენძის იარაღი და სხვ.

ამავე ხანის ყორღანები აღმოჩნდა მთის წინა ზოლში, რომელთაგან აღსანიშნავია თეთრი წყაროს მახლობლად ნადარბაზევში გათხრილი ერთი ყორ-

ღანი, რომლის ყრილი თავისი ხასიათით მარტყოფის და სამგორის ყორღანებს მოგვაგონებდა — ქვემოთ ქვისა, ზემოთ კი მიწისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ფორმის დასაკრძალი ორმო იყო ამოჭრილი. ამავე დროისაა თეთრი წყაროს მახლობლად 1957 წ. გათხრილი ერთი ყორღანი, სადაც ტიპიური ბედენური კერამიკა აღმოჩნდა [45].

ქვემო ქართლის ბარში ბედენის დროინდელი ყორღანები გამოვლინდა მარნეულის ველზე, შულავერის მახლობლად [2]. ყველა ისინი ერთი ტიპისაა, შედარებით პატარა ქვამიწაყრილიანი, უპირატესად ორმოიანი. მათი სიმაღლე 2,0 მ არ აღემატებოდა, დიამეტრი კი 20,0—30,0 მ აღწევდა. სამარხეული ინვენტარი ძირითადად კერამიკისაგან შედგებოდა, უპირატესად მომცრო ზომის შავპრიალა ჭურჭლისაგან — ჯამები, ქოთნები, სასმისები და სხვ. ლითონის ნივთებიდან რამდენიმე სატევრის პირი და ოთხწახნაგა სადგისი აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები. ამ ჯგუფიდან უნდა გამოიყოს ერთი ყორღანი, შემცველი ერთგვარად თავისებური კერამიკული კომპლექსისა, რომელიც თითქოს უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელ ჭურჭელს მოგვაგონებს. აქვე აღმოჩნდა ლითონის უუამილოანი ცული, ღარიანი სატეხი, ბრტყელი ცული და სატევრის პირი.

ადრეული ყორღანების ხანაში შიდა ქართლის ვაკე საკმაოდ ათვისებული ჩანს. მართალია, აქაური ყორღანები არ გამოირჩევიან სიდიდითა და ბრწყინვალებით, მაგრამ სამაგიეროდ სადღეისოდ აქაა გამოვლენილი ბედენური საფეხურის ნამოსახლარი. როგორც ჩანს, ამ დროისაა ხოვლესთან გათხრილი ყორღანის ჩაშვებული სამარხი, სადაც ტიპიური ბედენური კერამიკა იყო ნაპოვნი. ქარელთან, იქ, სადაც მდ. ფრონე მტკვარს ერთვის, ბერიკლდეებზე აღმოჩნდა ბედენური ხანის ნამოსახლარი და ყორღანული სამაროვანი. ამ უკანასკნელმა საკმაოდ დიდხანს იარსება, თითქმის მთელი ბრონჯაოს ეპოქის მანძილზე. პირველი მიცვალებულები. — ეგებ სწორედ ახლო მდებარე ნამოსახლარის მკვიდრნი — აქ, ჩანს, ბედენურ საფეხურზე დაიმარხნენ, — ყორღანულ ველზე სამარხები ზომებით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან[29]. ამიტომ ადრეული და უფრო მოგვიანო ყორღანების გარეგნულად გამორჩევა თითქმის შეუძლებელ იყო. ყორღანები მომცრო ზომისაა, ქვამიწაყრილიანი, ორმოიანი. აქ გათხრილი ბედენური ხანის ორი ყორღანის ზომებია: ერთის დიამეტრი 15,0 მ, სიმაღლე კი 0,60 მ; მეორის დიამეტრია 30,0 მ, სიმაღლე— 1,60 მ. მიცვალებულები ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად იმარხებოდნენ. სამარხებში ტიპიური ბედენური ხასიათის თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა—შავპრიალა, თხელკედლიანი, ფაქიზი ორნამენტით შემკული. ერთ-ერთ ყორღანში, გარდა კერამიკისა, ნაპოვნი იყო სპილენძის სატევრის პირი, ვერცხლის გარსაკრავიანი სპილენძის ცილინდრულთავიანი საკინძი და სერდოლიკის მძივები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბერიკლდეების ნამოსახლარი [90]. იგი უშუალოდ ყორღანულ ველს ეკვრის და გამოწეულ კონცხზე მდებარეობს, რომელსაც ერთი მხრივ მტკვარი ჩამოუდის, მეორე მხრივ კი მდ. ფრო-

ნე. პირველი დასახლება კონცხზე, ჩანს, საკმაოდ ადრე, მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარეს ხანაშია წარმოქმნილი. შემდეგ ცხოვრება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში გაგრძელებულა, რომელიც ბედენურის საფეხურზედაც არ შეწყვეტილა. ამის შემდეგ ნასოფლარზე ცხოვრება, ეტყობა, ჩაკვდა და მოშდევნო, შუა ბრინჯაოს ხანაში ამ ადგილს მიცვალებულების დასაკრძალად იყენებდნენ. როგორც ჩანს, ყველა პერიოდში სოფელში ცხოვრება მაინცდამაინც ხანგრძლივი და ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო. ყველაზე ძლიერი კვალი ცხოვრებისა თითქოს ბედენის ხანაში ჩანს — აქ ამ დროის რამდენიმე სამშენებლო დონეს გამოარჩევენ. გამოვლინდა ორი გვერდიგვერდ მდგარი სწორკუთხა შენობა, თიხატკეპნილი იატაკით. ნაგებობების შუა ნაწილში ჩაგმული იყო კიდეებგადალესილი მრგვალი კერა, რომლის ცალ მხარეზე სახეა გამოსახული; თვალების ადგილას ობსიდიანის ნატეხებია ჩასმული. ოთახების კედლების გასწვრივ მოზრდილი დერგები იდგა, კერის ირგვლივ უფრო მოცრო ზომის ჭურჭელი ელაგა. საცხოვრებლის თითქმის მთელი ფართობი კერამიკას ეკავა. ოთახში თავისუფალი ადგილი თითქმის არ იყო და როგორ თავსდებოდა საცხოვრებლად აქ ადამიანი, ძნელი წარმოსადგენია. უფრო სავარაუდოა, რომ გამოვლენილი შენობები სხვა დანიშნულებისა იყო, ეგებ, როგორც ფიქრობენ, კულტთან დაკავშირებული. მცირე ზომის კერამიკა შავპრიალაა, უპირატესად ნაცრისფერი სარჩულით, გამოირჩევა ცალყურა ან ორყურა ქოთნები, ტოლჩები, სასმისები და სხვ.—ზოგჯერ რელიეფური ან ნაკაწრი ორნამენტით შემკული. უფრო მოზრდილი ჭურჭლები შედარებით ტლანქია, სქელკედლიანი, უპირატესად დაბალყელიანი, ფართო პირით, ყურებით ან უყურო, ზოგჯერ შემკული შვერილებით, რელიეფური ან ჩაღრმავებული გეომეტრიული სახეებით. თავისი ხასიათით ეს კერამიკა ძალიან ახლოს დგას ბედენის ხანის ყორღანებში მოპოვებულ ჭურჭელთან.

შიდა ქართლში, გორის რაიონში, სოფელ ხელთუბანთან ყორღანული სამაროვანი აღმოჩნდა. აქ ვაითხარა რამდენიმე ქვაყრილიანი, ორმოიანი ყორღანი. მათში შენიშნული იყო ხის ეტლების ნაკვალევი. ერთ-ერთ სამარხში, თიხის ჭურჭელთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს პირამიდულწვერიანი ისრისპირი. ყორღანები, ჩანს, ბედენური ხანის უნდა იყოს [40].

ბედენური დროისა უნდა იყოს მარტყოფთან გათხრილი ყორღანი № 3, რომელიც განმარტოებით იდგა და გარეგნულადაც ერთგვარად განსხვავდებოდა აქ შესწავლილი ყორღანებისაგან [79]. იგი შედარებით პატარა ზომისა იყო. ყრილი ზემოდან ჯერ ქვისა ჰქონდა, შემდეგ კი თიხისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელშიაც შვეულად დაყენებული ძელებისაგან შეკრული ნაგებობა იყო ჩადგმული — ხის მორებით გადახურული.

აღსანიშნავია, რომ ორმოს თავზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაშენებული სამარხი აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სამარხი კამერის გადახურვის ძელებზე იყო კუთხეში გამართული. მიცვალებული მარ-

ცხენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი ფეხებით. აღმოჩნდა შავპრიალა, თხელ-კედლიანი ორი ცალყურა, ყელდაბალი ქოთანი და სასმისი, ბრინჯაოს ისრის-პირი, ბრინჯაოს მოზრდილი, შუაში ქედიანი დისკი ბრტყელი ყუნწით, ეგეპ „შტანდარტი", და ოქროს გარსაკრავიანი ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვია. საინ-ტერესოა, რომ ანალოგიური სურათი შეიმჩნევა წალკის პლატოს XXII ყორ-ღანში, სადაც სამარხ ორმოს აღმოსავლეთ კიდეზე, მიწის პირის დონეზე, აღ-მოჩნდა შავპრიალა, თხელკედლიანი ჭურჭლების ნატეხები და ოქროს ორვო-ლუტიანი საკინძი, რომლის ბრინჯაოს ღერო ოქროს ფირფიტით იყო გადაკრუ-ლი [61]. როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში, ჩაშვებული სამარხი ძირითადად საფლავის თანადროულები იყო, ბედენური ხანისა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთში შესწავლილი ყორღანები — ერთი ბაკურციხესთან, ორი წნორთან. ალაზნის ველზე ბედენური ხანის ყორღანები გვხვდება უფრო ადრეული—მარტყოფისა და სამგორის დროინდელი ყორ-ღანები აქ ჯერჯერობით ცნობილი არ არის. წნორის დიდი ყორღანის ცენტრა-ლურ ნაწილში, ქვის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა რიყის ქვისაგან ნაშენი ნაგებო-ბა; ორმო გადახურული იყო ხის მორებით, თიხით გადალესილი, რომელზედაც ჭილობი იყო გადაფარებული. ორმოში ჩადგმული იყო დასაკრძალავი კამერა— ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან შეკრული. ყორღანი გაძარცული იყო [61], მაგრამ მაინც საინტერესო ინვენტარს შეიცავდა.

უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდა წნორის მეორე ყორღანში. იგი შედა-რებით პატარა იყო. ყრილი მას მიწისა ჰქონდა, რომლის ქვეშ ცენტრალურ ნაწილში ამოღარული იყო ოთხკუთხა მოყვანილობის სამარხი ორმო, ხის მო-რებით გადახურული. ცენტრალურ ნაწილში ხის ოთხთვალა ეტლი იდგა, რო-მელზედაც ელაგა ძირითადი სამარხეული ინვენტარი—ოთხ ათეულზე მეტი თიხის ჭურჭელი, ძვლისა და ობსიდიანის ისრისპირები, ლომის ოქროს ქანდა-კება და სხვ. თიხის მოზრდილი ჭურჭლები ორმოს სამხრეთ კედელთან იდგა. აქვე აღმოჩნდა ცხვრის 460 კოჭი [104].

საინტერესო ყორღანი გაითხარა სოფ. ბაკურციხესთან. ყრილის ქვეშ აღ-მართული იყო ხის მორებისაგან ნაგები მიწისზედა ოთხკუთხა შენობა, რო-მელსაც ჭილოფით დაფარული ძელური იატაკი ჰქონდა [57]. ამავე დროისა უნდა იყოს მანავის მახლობლად, ადგილ ზეინაში გათხრილი ერთი ყორღანი. ყრილი მას მიწისა ჰქონდა, რომლის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ ღრმა ოთხკუთხა ორმო აღმოჩნდა, ხის მორებით გადახურული.

ბედენური კულტურის ყორღანული სამარხები გარეგნულად და ზომებით თითქმის არ განსხვავდებოდნენ უადრესი ჯგუფის ყორღანებისაგან. საზოგა-დოების გამორჩეულ წევრებს დიდი ფუფუნებით მოზრდილ ყორღანებში კრძალავდნენ. მაგრამ ყრილის კონსტრუქციაში მაინც შეინიშნება გარკვეული სხვაობა. ბედენის ყორღანებისათვის თითქოს აღარ არის დამახასიათებელი სამარხის თავზე, ყრილის შუაგულში რიყის ქვის ზვინულის გამართვა. გა-რკვეული თავისებურება ჩანს აგრეთვე დასაფლავების რიტუალშიც. ამ ხანის

ყორღანები უპირატესად ორმოიანია, ჩვეულებრივ, ხის ძელებით გადახურული. შედარებით მოზრდილ ყორღანებში ორმოში ზოგჯერ ხის ძელებისაგან ნაგები კამერა იყო ჩადგმული. როგორც ჩანს, ჩვენში, ყორღანული კულტურის გავრცელებასთან ერთად, წესად შემოდის ხის მორებისაგან დასაკრძალავი ნაგებობის აშენება. ბედენურ ხანაში ხის შენობა ორმოში იდგმებოდა. ჩრდილო კავკასიაში ორმოს კედლების ხის მორებით შემოფენა მაიკოპის კულტურის ყორღანებში გვხვდება, მაგრამ ხის ძელებისაგან სპეციალური დასაკრძალავი შენობის ორმოში აგება ბედენური ხანისათვის ჩანს დამახასიათებელი. ამ დროისათვის შემოდის პირველად ჩვენში მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი. დასაფლავების ეს რიტუალი საკმაოდ ადრინდელი დროიდან გვხვდება როგორც კავკასიის სამხრეთით, წინა აზიაში, ისე მის ჩრდილოეთით. ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვა წინა აზიაში, ჩანს, უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან იწყება და III ათასწლეულის პირველ ნახევარში ეს წესი აქ საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. აქედან შემოდის, ალბათ, სამარხში ეტლის ჩატანების რიტუალი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში და აქედანვე ვრცელდება უფრო ჩრდილოეთით. თუმცა სამხრეთ რუსეთში წინა აზიიდან ეტლის გავრცელების სხვა გზასაც ვარაუდობენ კასპიის ზღვის ჩრდილოეთით [87]. მაგრამ საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი გზა, საიდანაც ეტლმა უფრო ჩრდილო მხარეებში შეაღწია, კავკასია იყო. საინტერესოა, რომ სწორედ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველად აისახა დაკრძალვის რიტუალში ჩრდილოური და სამხრეთული ტრადიციები— ყორღანში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვა [89]. დასაფლავების ეს წესი აქ ბრინჯაოს ხანის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე გაგრძელდა. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, მიცვალებულის ეტლთან ერთად, დაკრძალვის ჩვეულება ფართოდ ვრცელდება კავკასიის ჩრდილოეთით, სამხრეთ რუსეთში [33].

ბედენური ხანის ყორღანები გამოირჩევიან სამარხეული ინვენტარის შედარებითი სიუხვით. მართალია, როგორც მარტყოფის ჯგუფის სამარხებიდან ჩანს, უადრესი ყორღანების მოგვიანო ეტაპზე მიცვალებულს უკვე საკმაოდ ჭარბად ატანენ ნივთებს, მაგრამ ბედენის საფეხურზე ეს წესი კიდევ უფრო დამახასიათებელი ხდება. სამარხეული ინვენტარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკა, რომელიც მდიდრადაა წარმოდგენილი ბედენური ხანის სამარხებში და რომელიც ესოდენ თავისებურ სახეს აძლევს ყორღანული კულტურის ამ საფეხურს. სწორედ კერამიკაა ძირითადი, რომელიც ბედენის ტიპის ძეგლებს აერთიანებს. იგი ჭურჭლის ფორმების მრავალგვარობით ხასიათდება, ხელით უმორგვოდ შესანიშნავად ნაძერწია და გამოირჩევა ზედაპირის დამუშავების მაღალი დონით. გარეთა პირის სიკრიალე ზოგჯერ მეტალის ბზინვარებამდეა მიყვანილი. მართალია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანისათვის საერთოდ შავპრიალა კერამიკაა დამახასიათებელი, მაგრამ არც

ერთ დროს ჭურჭლის ზედაპირის კრიალს ისეთ დონემდე არ მოუღწევია, რო-გორც ბედენურ ხანაში. ოსტატი, ჩანს, საგანგებო ყურადღებას ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებას უთმობს. კერამიკის ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი, განსაკუთრებით მომცრო ზომის თხელკეციანი ჭურჭლისა. მათ-მი ყველაზე დამახასიათებელია ორი ტიპი — ერთი ცილინდრული, არცთუ ისე მაღალი ყელით, პირგაშლილი და უპირატესად ბირთვისებრი მოყვანილობის მუცლით, ცალყურა და მეორე—ბიკონუსური დაბალი ჩაღარული ყელით, პირ-გაშლილი ცალი ყურით. ბიკონუსური ჭურჭელი უპირატესად სადაა; ცილინ-დრულყელიანს ხშირად მხარზე ამოღარული ხაზები უვლის, ზოგჯერ ერთი ან მეტი მწკრივი კოპებისა — „მარგალიტისებური" ორნამენტი. გვხვდება ფაქი-ზად ნაკაწრი გეომეტრიული სახის ორნამენტით შემკული ეგზემპლარები. დამახასიათებელია აგრეთვე ცალყურა ტოლჩები და სასმისები — ხშირად ფა-ქიზად ნაკაწრი მარტივი გეომეტრიული სახეებით შემკული. გვხვდება თხელ-კედლიანი ჯამისებური ჭურჭელი.

გარდა ფაქიზი კერამიკისა, ცნობილია შედარებით ტლანქად ნაძერწი-სქელკედლიანი, მოზრდილი და საშუალო ზომის დერგები, ქილები, ქოთნები და სხვ. უყელო ან ჩაღარული ყელით, ზოგჯერ კი დაბალი ცილინდრული ყე-ლით. მოზრდილ ჭურჭელს უპირატესად კვერცხისებური მოყვანილობის ტანი აქვს, მხარზე მიბმული პატარა ყურებით. ზოგჯერ ჭურჭლები „მარგალიტისებ-რი" ორნამენტით ან ნაკაწრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული.

აღსანიშნავია ბედენისა და ალაზნის ყორღანებში აღმოჩენილი „ჩაიდანის" ტიპის მილიანი ჭურჭელი. ისინი იმეორებენ ბედენური ჭურჭლის ფორმას, ოღონდ ცალ მხარეს მილისებრი წანაზარდი აქვთ. ეს ტიპი საკმაოდ ადრინდე-ლი ხანიდან გავრცელებულა წინა აზიაში. ჩვენში მილიანი ჭურჭელი, ჩანს, პირველად ბედენის ხანაში გვხვდება, მერმინდელ პერიოდში იგი მაინცდამაინც არ გავრცელებულა. გარდა ამისა, ბედენის დიდ ყორღანში ნაპოვნი იყო ორმა-გი ჭურჭელი. აქაც ბედენური ტიპის ცილინდრულყელიანი ჭურჭლებია ერთ-მანეთთან შეერთებული, რომლებსაც ერთი საერთო ჰორიზონტალური ყური აქვთ. ერთი ორმაგი ტიპის ჭურჭელი ბეშთაშენის ციხის მტკვარარაქსულ ფე-ნაში აღმოჩნდა. მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანში სამფეხა ჯამი იდო. ერთი ღრმა ჯამისებური ჭურჭელი შედარებით მაღალ ფიგურულ ფეხებზე ბე-დენის დიდ ყორღანში იყო ნაპოვნი. აქვე აღმოჩნდა ხისგან გამოთლილი სამ ფეხზე მდგარი ოთხი ჯამი. ფენიანი ჭურჭელი, თუ არ ჩავთვლით ერთ სამფეხა ჭურჭელს ამირანის გორიდან [95], მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასი-ათებული არ იყო. ამირანის გორის ფეხიანი ჭურჭელი თავისი ფორმით ჩრდი-ლო კავკასიის ყორღანებში ნაპოვნ ჭურჭელს უახლოვდება. ჩეჩნეთ-ინგუშეთ-ში ბამუტის ყორღანულ სამაროვანზე რამდენიმე ოთხფეხა ქილისებრი ჭურჭე-ლი აღმოჩნდა [98], სავსებით ასეთივე კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილო-ოსეთში ჯუარიკაუს ყორღანულ სამაროვანზე შესწავლილ სამარხებში [5].

ჩრდილო კავკასიაში სამფეხა ჭურჭელი ჩნდება მაიკოპის კულტურის მი-

წურულ ხანაში და მას უფრო ჩრდილოურ გავლენას მიაწერენ, სადაც ძველი ორმოსამარხების კულტურაში საკმაოდ დამახასიათებელია ფეხიანი ჭურჭელი. ფეხიანი ჭურჭელი წინა აზიაში საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი

ბედენური საფეხურის კერამიკული კომპლექსი საგრძნობლად განსხვავდება უადრეს ყორღანებში წარმოდგენილ თიხის ჭურჭლისაგან. თუმცა მარტყოფის ზოგიერთ ყორღანში, რომლებიც დროით ბედენურ ხანას უახლოვდებიან, აღმოჩენილ ჭურჭელში ზოგი ისეთი ნიშანიც შეიმჩნევა, რომელიც შემდეგ თითქოს უკვე ბედენურ კერამიკაში ჩანს. მარტყოფში ეს კერამიკა, მართალია, ჯერ კიდევ მსხლისებურ ჭურჭელთან და მოზრდილ ტოლჩებთან ერთად გვხვდება, მაგრამ უკვე ჩანს ტენდენცია კერამიკული ნაწარმის გამდიდრებისა. ჩნდება ახალი ფორმები — ბიკონუსური ჭურჭელი, ფართოპირიანი ყელდაბალი ქილები, ბირთვისებურტანიანი ცალყურა ქილები და სხვ. არ გვხვდება მომცრო, სუფრის ჭურჭელი. ბედენურ ყორღანებში აღარ გვხვდება მსხლისებური ფორმა ჭურჭლისა და არც მოზრდილი ტოლჩისებური ჭურჭელია აქ მაინცდამაინც ცნობილი. ბედენური კერამიკა ფორმათა მრავალგვარობით და შესრულების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. ის, რაც ადრეული ყორღანული კულტურის ამ ორ კერამიკულ კომპლექსს აერთიანებს, ძირითადად ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებაა. ორივეგან უპირატესად შავი ზედაპირგაპრიალებული კერამიკა გვხვდება, მაგრამ ბედენურ კერამიკაზე ზედაპირის დამუშავების ეს წესი უმაღლეს დონეზეა აყვანილი და სიკრიალე თითქმის ლითონურ ბსინვარებაში გადადის. მართალია, ბედენური თიხის ჭურჭელი მკვეთრად გამოსახული თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ საერთო ელემენტი, მტკვარ-არაქსის კერამიკიდან მომდინარე, თითქოს მაინც შესამჩნევია. ყელის ცილინდრული მოყვანილობა, ზოგი რამ საერთო წვრილ ჭურჭელში და ორნამენტის ხასიათში, ზედაპირის გაპრიალების ტრადიცია და სხვ. თითქოს რამდენადმე აახლოებს ამ ორ კერამიკულ კომპლექსს. ბედენურ კერამიკას უახლოვდება საჩხერის ყორღანული სამაროვნის გვიან სამარხებში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი. არც კავკასიის შიგნით და არც მის გარეთ ბედენური ჭურჭელი წინარე ხანის სხვა კერამიკულ ჯგუფებთან რაიმე შესამჩნევ სიახლოვეს მაინცდამაინც არ ავლენს.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბედენის თიხის ჭურჭელი და საერთოდ, კულტურა მაიკოპის კულტურასთან დგას ახლოს, განსაკუთრებით მის მოგვიანო ნოეოსვობოდნაიას ეტაპთან [105]. ნოვოსვობოდნაიას ყორღანში, მართლაც, აღმოჩნდა ჭურჭელი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს ბედენურ კერამიკასთან. ეს უფრო ითქმის ერთ შავპრიალა ცილინდრულყელიან ჭურჭელზე, რომელიც ფორმით წააგავს ბედენურ ცალებს. ნიშანდობლივია ავრეთვე, რომ იგი გამოირჩევა ზედაპირის სიკრიალით. საერთოდ, ყუბანისპირეთის ამ დროის კერამიკის გარეთა პირი კარგადაა გაპრიალებული, ოღონდ აქ უპირატესად მოწითალო თიხის ჭურჭელი გვხვდება [52]. ფორმით მაიკოპური კერამიკა მაინც განსხვავებუ-

ლი ხასიათისაა. ბედენისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ტიპური ფორმა, რომელიც ასე მკვეთრად გამოარჩევს მას სხვა კერამიკული კომპლექსებისაგან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თითქმის არ გვხვდება. ერთი, რაც საერთო ჩანს ნოვოსვობოდნაიას და ბედენის კერამიკას შორის, ის არის, რომ ორივეგან ჭურჭლები ზოგჯერ „მარგალიტისებური" ორნამენტითაა შემკული. საიდან ჩნდება ორნამენტის ეს ხასიათი, გარკვევით თქმა ძნელია. ნოვოსვობოდნაიას კულტურაში ეს მოტივი თითქოს უფრო დამახასიათებელი ჩანს. იგი გვხვდება ლითონის ჭურჭელზეც და სხვა ნივთებზეც.

წმინდა ბედენური ტიპის ჭურჭელი ჩრდილო კავკასიაში სადღეისოდ მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილიდან, დაღესტნიდანაა, ცნობილი. ერთი სასმისი შემთხვევით აღმოჩნდა მთიან დაღესტანში, საქართველოსთან მოსაზღვრე რაიონში [53]. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია კასპიისპირეთში, სოფ. ველიკენტის კატაკომბურ სამაროვანზე შესწავლილი ერთი კოლექტიური სამარხი, რომელიც ბედიდარ ინვენტარს შეიცავდა [40]. მარტო ლითონის ნივთების რაოდენობა თითქმის ათას ხუთასი იყო. სამარხეული ინვენტარის დიდ ჯგუფს შეადგენდა თიხის ჭურჭელი, საკმაოდ მრავალფეროვანი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებდა მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ვარიანტის კერამიკასთან. აქვე აღმოჩნდა ტიპიური ბედენური თიხის ჭურჭელი, უპირატესად სასმისები, რომელსაც, ჩანს სამართლიანად, სამხრეთის იმპორტად მიიჩნევენ. იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან უნდა შესულიყო.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბედენის საფეხურზე საერთო აღმავლობა შეინიშნება კულტურაში. საგრძნობლად წინაურდება მეტალურგია, რომელიც აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოსათვის განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ძველ ფორმებთან ერთად, ლითონის ნაწარმის ახალი სახეობები ჩნდება. ბევრი საფეხურისათვის დამახასიათებელი ჩანს შედარებით ფართოპირიანი, უყამილიანი ცული. იგი ფორმით საკრძნობლად განსხვავდება უყადაქანებული ცულისაგან, რომელიც, ჩანს, ამ დროიდან გამოდის ხმარებიდან. ეს ტიპი ჩვენში ბედენის ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო, პირი მას ფართო აქვს, შედარებით მასიურია და ალბათ, სამუშაოდ უფრო ეფექტური. ერთი ასეთი ცალი ჯერ კიდევ საჩხერეში იყო ნაპოვნი. პირფართო უყამილიანი ცული აღმოჩნდა თეთრი წყაროს და მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანებში. ერთიც, შედარებით მომცრო ზომისა, შულავერის ერთ-ერთ ყორღანში იდო [85]. წითელწყაროს მხარეში შემთხვევით აღმოჩნდა ამ ტიპის მასიური ცული, ხოლო ჩრდილო კავკასიაში იგი ნაპოვნია ჩეჩნეთ-ინგუშეთში გათინკალეს ერთ-ერთ სამარხში [105]. საინტერესოა, რომ მაიკოპის კულტურაში ამ დროს სრულიად განსხვავებული ცულები იყო გავრცელებული.

თითქმის ყველა ყორღანში, სადაც უყამილიანი ცული აღმოჩნდა, მას თან ახლდა ღარიანი სატეხი. თეთრი წყაროს და მარტყოფის ყორღანებში დიდი ზომის საკმაოდ მასიური სატეხი იყო ნაპოვნი, შულავერთან გათხრილ ყორღ-

ნებში კი უფრო მომცრო ცალი აღმოჩდა. ერთი მასიური სატეხი ბედენის დიდ ყორღანში იდო, დიდი ზომისა კი შემთხვევით აღმოჩნდა ზეკართან. საჩხერეში ნაპოვნი ამ ტიპის იარაღი შედარებით წვრილია. პატარა სატეხი მარტყოფის დიდ ყორღანში იყო აღმოჩენილი. ღარიანი სატეხი კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურაში, განსაკუთრებით მის გვიანდელ, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე [11]. აქ ძირითადად ამ იარაღის შედარებით მომცრო ეგზემპლარები გვხვდება. მოზრდილი, მასიური სატეხი, ჩანს, ძირითადად ბედენის საფეხურისათვის იყო დამახასიათებელი.

ბედენის საფეხურისათვის ისევე, როგორც წინარე ხანისათვის, დამახასიათებელია ბრტყელი ცული, რაც ხშირად გვხვდება ამ დროის სამარხებში. ასეთმა იარაღმა საერთოდ ფართო გავრცელება მიიღო ძველ სამყაროში; იგი კარგადაა წარმოდგენილი ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ხანაში.

საბრძოლო იარაღიდან ბედენის ხანაშიც ყველაზე გავრცელებული ისევ სატევრის პირია — პრიმიტიული, ბრტყელი ფოთლისებრი პირით, ყუნწიანი, იგი თავისი ფორმით მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდა უადრეს ყორღანებში მოპოვებული სატევრის პირებისაგან. თეთრი წყაროს ყორღანში ვერცხლის ერთი სატევრის პირი აღმოჩნდა. მას შედარებით მოგრძო პირი და ფართო ყუნწი აქვს და საგრძნობლად განსხვავდება მარტყოფის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის ამგვარივე იარაღისაგან. აღსანიშნავია ბაკურციხის ყორღანში ნაპოვნი ორი შუბისმაგვარი იარაღი. ისინი წინარე ხანაში გავრცელებული ამგვარი ცალებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ ბოლო ყულფისებურად დახვეული აქვთ. რა დანიშნულებისა იყო ამ იარაღთან აღმოჩენილი ვერცხლის მასრები, ძნელი სათქმელია, შესაძლოა ღეროზე წამოცმული სახელურის როლს ასრულებდნენ. როგორც ჩანს, ყორღანული კულტურის ხანაში წინააზიური წარმომავლობის ხიშტისა და შუბისმაგვარი იარაღი თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ ჩავთვლით ცულს, რომელიც შესაძლოა ორმაგი ფუნქციის მატარებელი იყო — საბრძოლო და სამეურნეო, საომარი ხასიათის იარაღს, წინარე კულტურასთან შედარებით, წინსვლა მაინცდამაინც არ დასტყობია. პირიქით, ისე ჩანს, რომ ზოგიერთი იარაღი თითქოს გამოდის ხმარებიდან. უადრეს ყორღანებში გავრცელებული ლითონის პირამიდისებურთავიანი ისრისპირები ბედენის საფეხურზე თითქმის აღარ ჩანს და მათ ადგილს იკავებს შესანიშნავად ნაკეთები კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები. ეს იარაღი ისეთი მაღალი ტექნიკითაა ნამზადი, იმდენად ბრწყინვალე ნახელავია, რომ ძნელი წარმოსადგენია მისი პრაქტიკული გამოყენება და იქნებ უფრო დაკრძალვის რიტუალისათვის ხმარობდნენ სამარხში ჩასატანებლად. იგივე შეიძლება ითქვას ძვლის ისრისა და ხელშუბის პირებზე. არც ბრინჯაოს სამკაულის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბედენური ყორღანები. მათში უპირატესად ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები და მძივებია წარმოდგენილი. მაგრამ ამ ხანაში ბრინჯაოს მეტალურგია შემდგომ აღმავლობას განიცდის. ბედენის ყორღანებში პირველად ჩნდება

კალიანი ბრინჯაოს ნივთები. მანამდე ჩვენში ძირითადად გავრცელებული იყო დარიშხანიანი ბრინჯაო, რომლის გვერდით ბედენის საფეხურზე გამოჩდა კალის საკმაოდ მაღალი პროცენტის შემცველი ნივთები [53]. კალა დადებითად მოქმედებს სპილენძზე და მათი შერევის შედეგად მიღებული ნივთი უფრო მაღალი თვისებებით ხასიათდება. კავკასიაში კალა არ მოიპოვება და ამიტომ ვარაუდობენ, რომ იგი აქ გარედან, სამხრეთიდან, უნდა გავრცელებულიყო, სადაც კალიანი ბრინჯაო უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდანაა ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ კავკასიაში არსებულიყო ადგილობრივი მცირე გამონამუშევრები კალისა. როგორც არ უნდა გადაწყდეს შემდეგისათვის კავკასიაში კალის გავრცელების საკითხი, ერთი რამ ცხადია, ბედენის საფეხურზე ადგილობრივმა მეტალურგებმა წარმატებით აითვისეს კალიანი ბრინჯაოს მიღების წესი.

ამიტომ ცოტა უცნაურად გამოიყურება ბრინჯაოს იარაღ-სამკაულის შედარებით სიმცირე ამ დროის მდიდარ ყორღანებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ის იყო, რომ აღნიშნულ სამარხებში საგრძნობლად იმატა ძვირფასი ლითონის ნივთებმა. ოქრომჭედლობა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს და ჩნდება მაღალი ოსტატობით შესრულებული ნივთები. თრიალეთისა და ბედენის ყორღანებში ოქროს ორვოლუტიანი საკინძები აღმოჩდა. ერთი ამგვარი საკინძი, ოღონდ ვერცხლისა, წნორის ერთ-ერთ ყორღანში იდო. როგორც ჩანს, თავის ფორმას ეს საკინძები მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული ვოლუტებიანი საკინძებისაგან იღებენ. ბედენის საკინძის მასიური, დაბრტყელებული თავის ორივე მხარეზე რელიეფურად გამოყვანილი რთული გეომეტრიული ორნამენტია. ცალ მხარეს მეანდრისებური სახეებია გამოსახული, მეორეზე კი ორ მწკრივად განლაგებული წრეებია. თრიალეთის საკინძეზედაც ანალოგიური ორნამენტია დატანილი—ცალ მხარეზე ერთი, მეორეზე კი ორი რიგის წრეებია გამოყვანილი. თრიალეთის საკინძის ღერო სპილენძისაა, რომელზედაც ოქროს გარსაკრავია გადაკრული. წნორის ყორღანის ვერცხლის საკინძეზე, მისი დაზიანების გამო, ძნელია რაიმეს თქმა. ამ ტიპის ბრინჯაოს ერთი საკინძი ნაპოვნი იყო გინჩის სამაროვნის ერთ-ერთ, რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანის სამარხში [61]. როგორც აღინიშნა, ამ სამაროვნის კერამიკაც გარკვეულ სიახლოვეს ნახულობს ბედენურ ჭურჭელთან.

ბედენის ჯგუფის ყორღანებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ფორმის ოქროსა და ვერცხლის მძივები, მილაკები, სასაფეთქლე რგოლები, ფირფიტები, წვრილი გრეხილი მავთული და სხვ. თითქმის ყველა ნივთი მაღალი ოსტატობითაა ნაკეთები და, ჩანს, საკმაოდ დახელოვნებული ხელოსნის ხელიდანაა გამოსული, რომელიც კარგადაა იმდროინდელი ოქრომჭედლობის წესებს დაუფლებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია წნორის ყორღანში ნაპოვნი ლომის ოქროს პატარა მრგვალი ქანდაკება. ეს პირველი შემთხვევაა სკულპტურული გამოსახულების აღმოჩენისა ჩვენში და საერთოდ, ამიერკავკასიაში. ქანდაკება ჩამოსხმულია, მას საკმაოდ კარგად გამოყვანილი ტანი, სქელი კისერი, გრძელი,

ბოლოში დახვეული კუდი აქვს და საკმაოდ მყარად დგას ფეხებზე [67]. მისი გამოსახულების წინა მხარე — სახე, თავი, კისერი და კიდურები რელიეფური ზაზებით და წვრილი კოპებითაა დაფარული, რითაც სტილიზებურად ძუ ლომის ფაფარია გადმოცემული. მაგრამ მისი სახის ნაკვთები სრულიად არ გადმოსცემს ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც საგრძნობლად განსხვავდება ძველაღმოსავლურ სამყაროში კარგად ცნობილი ლომის გამოსახულებებისაგან. დიდი სხვაობაა აგრეთვე მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭლებსა და ოქროს ფირფიტებზე გადმოცემული ლომის გამოსახულებებისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ადგილობრივი ოსტატის ნახელავია, რომელიც სუსტად იცნობს კავკასიისათვის უცხო ფაუნის წარმომადგენელს და მთელი სიზუსტით ვერ გადმოსცემს ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ნიშნებს [94].

საიუველირო ხელოვნება საქართველოში და საერთოდ, ამიერკავკასიაში ბედენურ საფეხურზე წინაურდება წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდის შედეგად. და აშკარად ეტყობა სამხრეთიდან მომდინარე გავლენები. მის აღმავლობას იქნებ ისიც უწყობს ხელს, რომ კავკასიაში ძვირფასი ლითონები, კერძოდ ოქრო, ადგილობრივ მოიპოვებოდა. გამოითქვა კიდეც მოსაზრება, რომ აქედან გაჰქონდათ ოქრო წინა აზიაში [42]. ძვირფასი ლითონების ნივთები პირველად მარტყოფის დიდ ყორღანში აღმოჩნდა, რომელიც დროის მიხედვით ბედენის სამარხებიდან მაინცდამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყო. ბედენის საფეხურზე საიუველირო საქმე კიდევ უფრო წინაურდება, ალბათ, სამხრეთიდან წამოსული იმპულსების გაძლიერების შედეგად. შესაძლოა, ამასთან იყოს დაკავშირებული კულტურის საერთო დონის ამაღლება. თითქმის ყველა სფეროს შეეხო გარკვეული ცვლილებები. ეს განსაკუთრებით ნათლად ბედენის კერამიკულ კომპლექსზე შეიმჩნევა. იგი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ხდება, ჩნდება ახალი ფორმები, მაღალი ოსტატობით შესრულებული. შესაძლოა სამხრეთის გავლენის ანარეკლი იყოს „ჩაიდანის“ ტიპის და ფეხიანი ჭურჭლის გაჩენა. გარკვეული სიახლეები მეტალურგიასაც შეეხო, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი საკმაოდ დაწინაურებული იყო. შემოდის ცულის ერთგვარად თავისებური ფორმა, მასიური, ღარიანი სატეხი, რომელიც, კავკასიის გარდა, ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში. ქრება სამკაულის ზოგიერთი ფორმა და სხვ. რაც მთავარია, ამ ხანაში შემოდის პირველად კალიანი ბრინჯაო. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კულტურის ხასიათში, რა თქმა უნდა, შესაძლოა ეთნიკური ძვრებითაც აგვეხსნა. მაგრამ, სავარაუდოა, ჩრილოეთთან ურთიერთობის განელების და ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ერთხანს შესუსტებული კავშირების აღდგენის შედეგად, კულტურის ერთგვარი გადახალისება მოხდა. ვითარდება და იხვეწება ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, მაღლდება კულტურის საერთო დონე. მაგრამ ამ ძვრებს, როგორც ჩანს, საზოგადოების სოციალურ ურთი-

ერთობაში და საერთო ცხოვრებაში მაინცდამაინც შესამჩნევი გადახალისება. არ მოჰყოლია. თითქმის არ შეცვლილა დაკრძალვის წესი და საზოგადოების დაწინაურებული ფენა კვლავ, შეიძლება რამდენადმე უფრო მეტი ფუფუნებით, ყორღანულ სამარხებში საფლავდება. თვალში საცემია ის, რომ მიცვალებულებს ზოგჯერ ხის ოთხთვალა ეტლით ან ხის სარეცელზე კრძალავდნენ. ეს, ალბათ, სამხრეთთან ურიერთობის შედეგი იყო.

როგორც ჩანს, სამხრეთთან ურთიერთობის გამოცოცხლებას ბედენის საფეხურზე ყორღანული კულტურის ხანაში ცხოვრების საერთო წესის დარღვევა არ მოჰყოლია. არ იცვლება მაინცდამაინც მეურნეობის ხასიათი. არ ჩანს მყარი, მუდმივი დასახლებები. ამიტომ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ სამხრეთთან კულტურული ურთიერთობის გაზრდა მნიშვნელოვანი ეთნიკური ძვრების შედეგი იყოს. ბედენის საფეხურზე საბოლოოდ იშლება წინარე მტკვარარაქსული კულტურიდან მომდინარე ტრადიციის ნიშნები. ჩანს, საზოგადოება საკმაოდ მყარ, სტაბილურ მდგომარეობას აღწევს. მისი დაწინაურებული ფენა ეკონომიკურად და უფლებრივად საკმაოდ მომძლავრდა. სწორედ ამ წრის გაზრდილმა მოთხოვნილებამ, ახლის ძიებამ ხელოსნობის ახალი დარგების წარმოქმნა და მისი საერთო დონის ამაღლება გამოიწვია.

მეთუნეობა, რომელიც ჯერ კიდევ ძირითადად ხელით ძერწვაზე იყო დაფუძნებული, უმაღლეს საფეხურს აღწევს. თხელკეციანი სუფრის ჭურჭელი, რომლის ზედაპირის კრიალი ლითონის ბზინვარებამდეა მიყვანილი, ფორმათა მრავალგვარობით, დახვეწილი შემკულობით, ფაქიზი ორნამენტული სახეებით გამოირჩევა. კერამიკული ნაწარმის გვერდით ჩნდება შესანიშნავად დამუშავებული ხის ჭურჭელი, ზოგჯერ ამოღარული ორნამენტით შემკული. როგორც ჩანს, ამ დროს ხის დამუშავების საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა; ყორღანში ჩადგმული ხის რთული კონსტრუქციები, ხის ოთხთვალა ეტლები, ზოგჯერ სხვადასხვა ორნამენტით შემკული ხის სარეცელი და სხვ. ამ დარგის დაწინაურებაზე მეტყველებს. საფუძველი ეყრება ახალ დარგს—საიუველირო საქმეს, ჩნდება საკმაოდ რთული ტექნიკით დამზადებული პირველი ოქრომჭედლური ნაწარმი. ამრიგად, შუაბრინჯაოს ხანის, თრიალეთური კულტურის ზღურბლზე, აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად აიწია კულტურის საერთო დონემ. სწორედ აქაა შემდგომი დროის თრიალეთური კულტურის საწყისები.

აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილ ადრეულ ყორღანებში მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება გარკვეული სურათის წარმოდგენა საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ხანაში საზოგადოების შიგნით წარმოიქმნება დაწინაურებული, არისტოკრატიული ფენა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას აღწევს. ეტყობა, იგი თავდაპირველად ძალაუფლებას იპყრობს ხელთ, შემდეგ კი ეკონომიურადაც წინაურდება, თუმცა ხელისუფლების მპყრობელი წევრი საზოგადოებისა პირველ

ხანებში ქონებრივად ჯერ კიდევ მაინცდამაინც გამორჩეული არ არის, მაგრამ, ეტყობა, ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და დაწინაურებული ფენა ეკონომიკურ ძლიერებასაც აღწევს. მარტყოფის ყორღანები თითქოს მოწმობენ, რომ საზოგადოების გამორჩეული წევრი თანდათანობით ქონებრივადაც მომაგრდა. ბედენის საფეხურზე უფრო ნათლად გამოისახა სოციალური დიფერენციაციის პროცესი, რომელიც მომდევნო, თრიალეთური კულტურის პერიოდში კიდევ მეტად ღრმავდება. ადრეული ხანის დიდი ყორღანები შესაძლოა ტომის წინამძღვართა სამარხი იყო.

ზოგიერთ ადრეულ ყორღანში ერთდროულად რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული. მარტყოფის დიდ ყორღანში სამი მიცვალებული აღმოჩნდა: ერთი ცენტრალურ ნაწილში, სადაც ძირითადი სამარხეული ინვენტარი იყო ნაპოვნი, ორი დასაკრძალავი კამერის ჩრდილო კედელთან. დაახლოებით ანალოგიური სურათი ჩანს ბედენისა და წნორის დიდ ყორღანებში. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, რა ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ მიცვალებულებს შორის. შესაძლოა ისინი, მართლაც, თანხმლები პირები იყვნენ იმისა, ვის პატივსაცემადაც იყო აღმართული ეს უზარმაზარი ყორღანები. საინტერესოა მარტყოფის ბედენური ხანის შედარებით მომცრო ყორღანში აღმოჩენილი სურათი — აქ დასაკრძალავი კამერის ცენტრალურ ნაწილში ნაპოვნი იყო მამაკაცის ჩონჩხი, მის ფეხთით კი ძლიერ მოკუნტული ქალის ჩონჩხი. ორივე მიცვალებული ერთდროულად იყო დაკრძალული. მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა ოქროს მასიური სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსა და სარდიონის მძივები, გიშრის ფართო რგოლი. ძირითადი ინვენტარი ქალის ჩონჩხთან იდო. შესაძლოა, აქ ცოლ-ქმარია დაკრძალული და არ არის გამორიცხული, რომ ცოლი ქმარს ჩაატანეს საფლავში.

ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომების წარმომავლობის, მათი ეთნიკური ვინაობის გარკვევა, დადგენა იმისა, თუ ვინ დაიმარხნენ ამ ყორღანებში და რა კავშირში იყვნენ ისინი წინარე ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მოსახლეობასთან, ჯერ კიდევ ძნელია. არც ისაა მთლად ნათელი, შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა, თუ ყორღანული კულტურის გამოჩენას მაინცდამაინც დიდი ეთნიკური გადახალისება არ მოჰყოლია. ზემოთ აღინიშნა, რომ ახალი მოვლენების შემოსვლას კულტურის საგრძნობი გარდაქმნა არ გამოუწვევია. პირიქით, ისე ჩანს, რომ განაგრძობს არსებობას წინარე ხანის კულტურული ტრადიციები, რაც ეგებ იმის მოწმობა იყოს, რომ მოსახლეობის შემადგენლობაში არ მომხდარა მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილებები. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგი ამ კულტურას ინდოევროპულ ტომებს აკუთვნებს [10]. ვარაუდობენ, რომ იგი ძირითადად კავკასიური წარმომავლობის მოსახლეობას ეკუთვნის, მათ შორის ქართველურ ტომებს, რომლებსაც ამ დროისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილები ეკავათ [112].

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩრდილოური გავლენები აქტიურდება, რასაც, ალბათ, მოსახლეობის გარკვეული მასის სამხრეთით გადმოადგილება და ადგილობრივ ტომებში გათქვეფა მოჰყვება შედეგად. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ეს ახალმოსულები. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ამ დროს კავკასიის ჩრდილოეთით ინდოევროპული ტომები მოსახლეობდნენ [57]. შესაძლოა, რომ სამხრეთით მოძრაობაში ეს ტომებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ელემენტები, ეგებ, სწორედ ამის ანარეკლი იყოს. ეს სულაც არ უშლის ხელს ინდოევროპული ტომების პირველსაცხოვრისის კავკასიის სამხრეთით არსებობის ვარაუდს. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ დროს ჩრდილო შავიზღვისპირეთის მიმართულებით ინდოევროპული ტომების მოძრაობის გზა კასპიის ზღვის ჩრდილოეთით გადიოდა [23]. შესაძლოა მათი ერთი ნაწილი დასავლეთ კასპიისპირეთის გზით ამიერკავკასიაში ვრცელდება. არ არის გამორიცხული, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ტომები ძირითადად ინდოევროპელები იყვნენ.

ადრეული ყორღანული კულტურის დათარიღების საკითხში ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდება, მაგრამ უფრო ზუსტად როდის, რა ეტაპზე გამოჩნდა ეს კულტურა, რამდენ ხანს გაგრძელდა, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. როგორც ჩანს, მისი პირველი გამოჩენა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას ემთხვევა. ზოგიერთ ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსისა და უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა ერთხანს თითქოს თანაარსებობს. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მიღებული ზედა თარიღი, მაინცდამაინც, დაშორებული არ უნდა იყოს ყორღანული კულტურის საწყის ეტაპს [71]. სადღეისოდ ადრეული ყორღანებისათვის რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული რამდენიმე თარიღი არსებობს. უადრესი ჯგუფისათვის მხოლოდ მარტყოფის № 4 ყორღანისათვის დადგენილი თარიღები გვაქვს: ამერიკის ლაბორატორიის gx—9252:2083±155 ძვ. წ., თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიის თარიღია—TB—325:2028±80 ძვ. წ., არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ლაბორატორიის—ЛЕ—2198:1690±40 ძვ. წ., გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიის—BEn—2917:1930±60 ძვ. წ. მათი ასაკის საგრძნობ სხვაობას იძლევიან ადრეული ყორღანები, ამიტომ ასაკის მეტ-ნაკლებად ზუსტი განსაზღვრა ჭირს. არსებობს აგრეთვე აზერბაიჯანში გათხრილი უჩ-თეფეს ყორღანისათვის მიღებული თარიღი. მართალია, ამ ყორღანისათვის რადიონახშირბადის მეთოდით შედარებით მაღალი თარიღებია—2539±120 და 2867±230, მაგრამ გამთხრელი ამ ყორღანს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს აკუთვნებს [71]. მარტყოფის უადრეს ყორღანებს, შესაძლოა, დროით რამდენადმე წინ უსწრებენ თრიალე-

თისა და სამგორის ყორღანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოირჩევიან სა-მარხეული ინვენტარის სიუხვით, მარტყოფის ყორღანები კი უფრო მდიდარია, თანაც აქ კერამიკაში ისეთი ნიშნები შეიმჩნევა, რომლითაც ბედენურ ჭურ-ჭელს უახლოვდებიან. ამიტომ იქნებ უფრო მართებული იყოს უადრესი ყორ-ღანების თარიღი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით გა-ნისაზღვროს.

ბედენის საფეხურის ყორღანებისათვის სულ რამდენიმე რადიონახშირბა-დის მეთოდით განსაზღვრული თარიღი გვაქვს. წნორის ერთ-ერთი დიდი ყორ-ღანის ორი თარიღი არსებობს: ერთი ლოს-ანჟელოსის უნივერსიტეტის ლაბო-რატორიაში მიღებული—2170±30 და თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატო-რიისა—2155±50 [61]. მარტყოფის ბედენური საფეხურის № 3 ყორღანის თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში განსაზღვრული თარიღია—TB—317:1800±50 ძვ. წ. ბედენის საფეხური, შესაძლოა, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება და II ათასწლეულის დასაწყის ხანებშიც გადადის.

ლიტერატურა

1. ტ. ა ბ ე ს ა ძ ე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1963.
2. ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ე. ქ ო რ ი ძ ე, ა. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979—81 წლების საველე მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელ-წიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბ., 1986.
3. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.
4. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, II, თბ., 1951.
5. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის გორასამარხის კულტურა, თბ., 1981.
6. ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.
7. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.
8. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.
9. მ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი, მესხეთ-ჯავახეთის ადრელითონის ხანის შემსწავლელი რაზმის 1980—82 წწ. ჩატარებული დაზვერვების ანგარიში (ხელნაწერი).
10. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
11. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მტკვარ-არაქსული სამარხების სოციალური შესწავლისათვის, ხელ-ნაწერი, 1985.
12. გ. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, ს. წ ი ქ ო რ ი ძ ე, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ადრებრინჯაოს ხანის რაზმის 1970 წ. მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).
13. გ. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, სამშვილდე, თბ., 1975.
14. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექს-პედიციის შედეგები, სიგკ. I, თბ., 1960.
15. ს. ნ ა დ ი მ ა შ ვ ი ლ ი, გუდაბერტყა-ციხიაგორა, „ლიახვი", გორი, 1963; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა..., გვ. 101.
16. ი. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983, ტაბ. 28_{13}.

17. ვ. სადრაძე, თ. ნოზაძე, ბ. მურვანიძე, ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დიდი მცხეთის შემოგარენიდან ხელნაწერი, 1985.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970.
19. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1965.
20. გ. ფხაკაძე, ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი მეტეხთან, „მაცნე" № 3, 1967.
21. გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
22. გ. ქავთარაძე, „სამეფო აკლდამების" სოციოლოგიური ინტერპრეტაციისათვის, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", VII, თბ., 1979.
23. გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981.
24. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III.
25. ო. ღამბაშიძე, თ. ტატიშვილი, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მიერ 1955 წ. ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვის ანგარიში, ხელნაწერი.
26. ო. ღამბაშიძე, თ. ტატიშვილი, მასალები თორის წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიისათვის, სიგკ. VI, 1982.
27. ლ. ღლონტი, მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1970.
28. ლ. ღლონტი, გ. ნემსაძე, ა. ჯავახიშვილი, ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979—81 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო.
29. ლ. ღლონტი, გ. ნემსაძე, ალ. ჯავახიშვილი, ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979—1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, VIII თბ., 1986.
30. მ. ღლონტი, არაგვის ხეობა ადრებრინჯაოს ხანაში, ხელნაწერი, 1985.
31. ზ. შატბერაშვილი, გ. ცქიტიშვილი, კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ., თბ., 1973.
32. გ. ცქიტიშვილი და სხვ. კასპის და გორის რაიონების არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ., თბ., 1974.
33. ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.
34. ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1966.
35. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
36. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი I, თბ., 1962.
37. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული; თბ., 1976.
38. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი I, თბ., 1930.
39. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წწ. მუშაობის ანგარიში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები", ტ. VII, თბ., 1980.
40. ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი. ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, VIII, თბ., 1986.
41. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
42. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.
43. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1981, გვ. 15.
44. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957—1958 წწ. თბ., 1960.

45. ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“ (1965—1971 წწ.)“ თბ., 1975.
46. ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, სსმმ, XV, 1948 წ.
47. ო. ჯაფარიძე, მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
48. Абибулаев О. А., Раскопки холма Кюльтепе близ Нахичевана в 1955 г. МИА, № 67, М.—Л., 1959, табл. XXXI.
49. Апакидзе А. М., и др. Мцхетская экспедиция в 1980 г. ПАИ в 1980 г. Тб., 1982.
50. Атлас Грузинской ССР. Тбилиси—Москва, 1964.
51. Брегадзе Н. А., Очерки по агроэтнографии Грузии, Тб., 1982 г.
52. М. Г. Гаджиев, Северо-Восточный Кавказ как географическая и этнокультурная область. «Древние культуры Северо-Восточного Кавказа», Махачкала, 1985.
53. М. Г. Гаджиев, Кореневский С. И., Металл великентской катакомбы, «Древние промыслы, ремесло и торговля в Дагестане», Махачкала, 1984.
54. Гаджиев М. Г., Древнее земледелие и скотоводство в горном Дагестане. В кн.: «Северный Кавказ в древности и в средние века». М., 1980.
55. Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д., Орджоникидзе А. З., Отчет работы Месхет-Джавахетской археологической экспедиции, ПАИ в 1977 г., Тб., 1980.
56. Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д., Работы Месхет-Джавахетской Экспедиции, ПАИ в 1978 г. Тб., 1981.
57. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.
58. Глонти М. Г., Памятники Арагвского ущелья раннебронзовой эпохи, Душетская научная конференция, Тб., 1984.
59. Глонти Л. и др. Некоторые итоги полевых работ 1964 г. Урбнисской и Квирильской археологических экспедиций. ВГМГ, XXV-В, Тб.. 1968.
60. Гуммель Я. И., Археологическая разведка на Килик-Даге. Изв. Аз. Фан. СССР, 1939, № 2.
61. Дедабришвили Ш. М., Курганы Алазанской долины, Тб., 1979.
62. Дедабришвили Ш. М., Памятники эпохи ранней и средней бронзы, ТКАЭ, т. I, Тб., 1972.
63. Дедабришвили Ш. М., Предварительный отчет разведовательных работ Месхет-Джавахетской экспедиции, аннотация докладов, Тб., 1963.
64. Джавахишвили А. И., Строительное дело и архитектура Южного Кавказа V—III т. до н. э. Тб., 1947.
65. Джавахишвили А. И. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973.
66 Джанелидзе Ч. П. Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980.
67. Джапаридзе Н. О.. Художественное ремесло в Древней Грузии.
68. Джапаридзе О. М. Эпоха ранней бронзы в Закавказье. «Кавказ и Средиземноморье», Тб., 1980.
69. Жоржикашвили Л., Гогадзе Э., Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974.

70. Иессен А. А., Кавказ и Древний Восток в IV и III тыс. до н. э. КСИА, №93, М., 1963.
71. Иессен А. А., Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, Труды Азербайджанской экспедиции, МИА, 125, М.—Л., 1965.
72. Джапаридзе О. М., Культура раннеземледельческих племен на территории Грузии, VII междунаро. конгресс археологов и этнографов. М., 1964.
73. Каландадзе К. С., Древнейшее поселение в Абастумани, ПАИ в 1972, Тб., 1973.
74. Катович В. Г., К вопросу о древнем земледелии в скотоводстве в горном Дагестане. «Ученые записки, Институт истории языка и литературы Дагестанского фил. АН СССР», т. IX, Махачкала, 1961.
75. Катович В. М., Верхнегунибское поселение, «памятники эпохи бронзы Дагестана», Махачкала, 1965.
76. Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, ВГМГ XII, В. Тбилиси, 1944.
77. Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1963.
78. Куфтин Б. А., Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948.
79. Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.
80. Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1947.
81. Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970.
82. Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Историческое значение Южного Кавказа в III тыс. 1963, СА, № 3.
83. Лемлеин Г. Г., Техника сверления каменных бус из раскопок на Кавказе. КСИИМК, 18, 1947.
84. Любин В. П., დასახ. ნაშრომი,
85. Марковин В. Н., Новый памятник эпохи бронзы в Горной Чечне, «Древности Чечено-Ингушетии», М., 1963.
86. Массон В. М., От возникновения земледелия до сложения раннеклассового общества (этапы культурного и хозяйственного развития по материалам Азиатского материка). Доклады и сообщения археологов СССР. VII международный конгресс доисториков и протоисториков, М., 1966.
87. Массон В. М., Экономика и социальный строй древних обществ, Л., 1976.
88. Махмудов Ф. А., Мунчаев Р. М., Нариманов И. Г., О древнейшей металлургии Кавказа. СА, № 4, М., 1968.
89. Мерперт Н. Я. Из истории древнеямных племен. «Проблема археологии Евразии и Северной Америки», М., 1977.
90. Миндиашвили Г. М. Археологическая экспедиция в сел. Хелтубани (Горийский р-н). «Полевые археологические исследовнаия в 1981 году». Тб., 1984.
91. Мирцхулава Г. И., Гобеджишвили Г. Г., Итоги работ Грмахевской археологической экспедиции. ПАИ в 1976 г. Тб., 1979.
92. Мирцхулава Г. И. и др. Археологическая разведка Ашурианской долины, ПАИ в 1977 г., 1980.
93. Мунчаев Р. М., Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА, 100, 1961.

94. Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, М., 1965.
95. Мунчаев Р. М., Погребальные комплексы с сосудами на ножках из Батумских курганов эпохи бронзы. «Новое в археологии Кавказа». М., 1986.
96. Надимашвили С. И., Памятники эпохи энеолита внутренней Картли и Юго-Осетии по итогам работ Горийского Гос. историко-этнографического музея. Тезисы доклада, прочитанного 5.V.1955 на заседании Сектора Средней Азии и Кавказа ИА АН СССР.
97. Нечитайло А., Верхнее Прикубанье в бронзовом веке. Киев, 1978.
98. Николаева И. А., Сафронов В. А., Курганный могильник эпохи бронзы у с Дзуарикау. «Проблемы археологии Северной Осетии», Орджоникидзе, 1980.
99. Нуцубидзе А. А., Памятники эпохи бронзы и железа в Шида Картли, ხელნაწერი, ტომ. VI.
100. Нуцубидзе А. А., Археологические раскопки в селе Абано. „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები", 1978.
101. Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Л., 1949.
102. Пиотровский Б. Б., Развитие скотоводства в древнейшем Закавказье. «Советская археология», XXIII, 1955.
103. Пиотровский Б. Б., Основные этапы древнейшего земледелия в Армении. «Историко-филологический журнал», № 3—4, Ереван, 1961.
104. Пицхелаури К. Н., Исследования Кахетинской археологической экспедиции. «Полевые археологические исследования в 1980 г.», Тб., 1982.
105. Попова Т. Б., Дольмены станицы Новосвободной, М., 1963.
106. Пхакадзе Г. Г., Археологические исследования в с. Кода, на территории строительства птицефермы, «Археологические исследования на новостройках ГССР», Тб., 1976.
107. Пхакадзе Г. Г., Археологические раскопки в с. Кода.
108. Пхакадзе Г. Г., Орджоникидзе А. З., Работы в Абастумани, А. О. 1977. М., 1978.
109. Пхакадзе Г. Г., Каландадзе К. С., Орджоникидзе А. З., Результаты работ Абастуманской экспедиции, ПАИ в 1980 г., Тб., 1982.
110. Сардарян С., Первобытное общество в Армении. Ер., 1967.
111. Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971. 1971.
112. Формозов А. А., Проблема этнокультурной истории каменного века на территории Европейской части СССР, М., 1977.
113. Хандзанян Э. В., Культура Армянского нагорья в III тыс. до н. э. Ер., 1967, табл. $VIII_{1,2}$.
114. Хачатрян Т., Древняя культура Ширака. Ер., 1975.
115. Цитланадзе Л., Мирцхулава И., Менабде М., Кигурадзе Т., Итоги археологических исследований «Мчадиджварис гора», ПАИ в 1977 г., Тбилиси, 1980.
116. Цитланадзе Л. и др. Археологические исследования в долине р. Нароквави, ПАИ в 1974 г., Тбилиси, 1976.
117. Цитланадзе Л., Кигурадзе Т., Менабде М., Мирцхулава Н., Раскопки населенного холма в с. Мчадиджвари. «Полевые археологические исследования в 1976 г.», Тбилиси, 1979.

118. Цицишвили А. Л., Костные остатки животных с поселения «ИЛТО». «Труды Кахетской археологической экспедиции» I. Тбилиси, 1969.
119. Чубинишвили Т. Н., К древней истории Южного Кавказа,. Тб., 1971.
120. Чубинишвили Т. Н., Татишвили Т. И., Гамбашидзе О. С. Археологические разведки в южных районах Грузии в 1953—55 гг., СА № 4, 1957.
121. Чубинишвили Т. Н., и др., Итоги полевой работы Квемо-Картлийской археологической экспедиции, ПАИ в 1974 г., Тбилиси, 1976.
122. Шамиладзе В. М., Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии (историко-этнографическое исследование), Тбилиси, 1979.
123. Osten, H. H. the Alishar Hüyük, I, V. Esin. Tepe Sik Excavations, 1970 Ankara, 1972.

§ 3. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში

თეთრი წყაროს ნასოფლარი (ტაბ. LXIII[2,3])

თეთრი წყაროს ნასოფლარი მდებარეობს რაიონული ცენტრიდან 5 კმ დაშორებით, დასავლეთით, ბედენისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ. ეს ტერიტორია ფოთლოვანი ტყის მასივით არის დაფარული. ნასოფლარის მთელი ფართობი საბოლოოდ დაზუსტებული არ არის. არაზუსტი მონაცემებით, ის ვრცელდება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით 150 მეტრის მანძილზე, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, სულ ცოტა 100 მეტრზე მაინც, დასავლეთითა და აღმოსავლეთით თითქოს ბუნებრივ ზღუდეებად ჩამოუდის მშრალი ხევები, რომელთაც კლდის მასივში გაუჭრიათ ღრმა კალაპოტი. აღმოსავლეთით, 1,5 კმ დაშორებით, მდებარეობს შედარებით უფრო წყალუხვი ჭივჭავას ხევი.

თეთრი წყაროს ნასოფლარის სიმაღლე ზღვის დონიდან 1300 მეტრია. აქ მეურნეობისათვის კარგი პირობებია. ნასოფლარი გარშემორტყმულია სახნავ-სათესად, საძოვრად და სათიბად სავარგული მინდვრებით. ხრამის ჭალებზე უამრავია კაჟის ლოდები, უხვადაა საჭურჭლე თიხაც. დასავლეთიდან თეთრი წყაროს რაიონს ეკვრის თრიალეთის დიდი ზეგანი, რომელიც მდიდარია ობსიდიანის გამოსავლებით. ეს ბუნებრივი პირობები, უეჭველია, ხელს უწყობდა მოსახლეობის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას.

თეთრი წყაროს ნასოფლარის არქეოლოგიური ძეგლებისათვის პირველად ყურადღება მიუქცევია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციას 1952 წელს, აკად. ნ. ბერძენიშვილის მეთაურობით. 1956 წელს ამ ძეგლების შესწავლა დაეკალა იმავე ინსტიტუტის ბრინჯაოს ხანის თეთრი წყაროს არქეოლოგიურ ექსპედიციას გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით.

ნასოფლარზე გამოვლენილ იქნა რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. ექსპედიციამ თეთრი წყაროს ნასოფლარის ტერიტორიაზე, ადგილ „სოფიოსეულზე“, გათხარა ადრებრინჯაოს ხანის გორასამარხი, რომლის ქვაყრილი მოსახლეობამ გამოიყენა საშენებლო მასალად. ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა ქვით ნაგები, ორგანყოფილებიანი დასაკრძალავი კამერა, სამწუხაროდ, გაძარცული. კამერაში აღმოჩნდა შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის მცირე ღერაკი და დანახშირებული წაბლი. სამარხის ირგვლივ, ვრცელ მოედანზე, ყრილის აღების შემდეგ დარჩა კულტურული ნაშთებით გაჯერებული შავი მიწა და წაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობის მოზრდილი ნაგებობის დიდი ლოდებით ამოყვანილი საძირკველი. ნაგებობა მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. საძირკველი დევს კლდოვან მასივზე და შემორჩენილია 0,4 მეტრის სიმაღლეზე. მისი სისქე 0,8 მეტრია. შენობის სიგრძე 10 მეტრია, ხოლო სიგანე—5 მეტრი. კარი სამხრეთის მხრიდან აქვს. იატაკი თიხალესილია და გამოუწვავი. შენობის შიგნით აღმოჩნდა ცოტაოდენი თიხის შელესილობის ნატეხები ხის ანაბეჭდებით.

ნაგებობის შუა ნაწილში იყო დიდი რაოდენობით ნახშირი და ნაცარი. იატაკზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანისა და კაჟის უყუნწო ფოთლისებური ისრისწვერები, ნამგლის ჩასართი, ბაზალტის ხელსაფქვავი, რიყის ქვის ხელკვერი და სხვ., შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში — კაჟისა და ობსიდიანის აურაცხელი ანატკეცი. სავარაუდოა, რომ საცხოვრებელი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე ეთმობოდა ქვის იარაღის სახელოსნოს.

მეორე ნაგებობა აღმოჩნდა პირველის ჩრდილო-დასავლეთით, 4 მ-ის დაშორებით. იგი, რომლის საძირკველი 30 სმ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი, წრიული მოყვანილობისაა. კედლები ამოყვანილია ნაგლეჯი ქვების ორპირი წყობით. კედლის სისქეა 0,7—0,8 მ. შიდა დიამეტრი 5,8 მეტრამდე აღწევს. შესასვლელი, პირველის მსგავსად, ამასაც სამხრეთის მხრიდან აქვს. ქვის მშრალი წყობა დაფუძნებულია თიხატკეპნილ და გამომწვარ სქელ იატაკზე, რომლის ქვეშ გამოვლენილია ორი, წრიული ქვაფენილი. იატაკი კედლის გარეთ გადის და საფიქრებელია, რომ ის რომელიღაც ძველ ნაგებობას ეკუთვნოდა, შემდგომ კი მრგვალი ნაგებობისათვის ეამოუყენებიათ. მართლაც, აღმოსავლეთ მხარეს მრგვალი ნაგებობის ქვის საძირკვლის ქვეშ აღმოჩნდა იატაკში ჩასმული კერა.

აღწერილ ნაგებობებთან შედარებით, ყველაზე უკეთ შემოინახა დიდი ფარეხი, რომელიც ნასოფლარის დასავლეთით მდებარეობს. 2 მ სისქისა და 1 მ სიმაღლის კედლები ამოყვანილია დაუმუშავებელი დიდი ლოდებით. მათ შორის სიცარიელე შევსებულია ნაშალი ქვებით. სამხრეთ-დასავლეთით ერთი მეტრის სიფართის კარი აქვს, ფარეხის ფართობი 130 მ² უდრის. კარის ორივე მხარეს შენობაზე მოდგმულია თითო პატარა სათავსო, ალბათ, ჩვილი პირუტყვის შესარეკად განკუთვნილი.

ნასოფლარზე გამოიყოფა ორი კულტურული ფენა: ქვედა ა და ზედა ბ. მათ შორის სტერილური ფენა არ აღმოჩნდა. თიხატკეპნილი იატაკის დონეები ერთმანეთზე გადადიოდა და მხოლოდ მცირე მონაკვეთზე შემორჩა უძრავად. საერთოდ, მთელი ფართობი ძლიერ დაზიანებულია ბორასამარხის ქვაყრილის აგებისას.

თეთრიწყაროს ნასოფლარი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი დიდი დასახლებაა, რომლის ზოგიერთ ნაწილში შემონახული იყო კულტურული ფენების თავდაპირველი განლაგება. ამის გამო შესაძლებელი გახდა ერთიანი კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურთა თანმიმდევრობის სურათის დადგენა. დადასტურდა, რომ ღია ფერის ჭურჭელი ჩნდება სოფლის ცხოვრების უძველეს საფეხურზე (ა ფენა), ხოლო ხმარებაში ყოფილა ბ ფენის დროსაც აქ პირველად გაჩენილ შავზედაპირიან კერამიკასთან ერთად. სტრატიგრაფიულად დამოწმდა, რომ ა ფენის შავპრიალა კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების შუა და მოგვიანო საფეხურთა ნაყოფია, მაშინ, როდესაც ნარინჯისა და ვარდისფერი რბილკედლიანი ჭურჭლეული წინ უძღოდა შავპრიალას (ა ფენა) და შემდეგ მასთან თანაარსებობდა. სხვა მონაპოვრების გათვალისწინებით გაირკვა, რომ რბილკეციანი კერამიკის დამზადების წესმა ამიერკავკასიიდან ადრე შეაღწია ჩრდილო კავკასიაშიც, სადაც ის შემოინახა გვიანდელ ხანამდე (მაიკოპის კულტურა—XXX ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები).

ნასოფლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ აქ მოსახლენი ბინადარი მიწათმოქმედი-მესაქონლე ტომები არიან; მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ ცხოვრებაში აგრეთვე მონადირეობა. მიწათმოქმედებაზე მიუთითებს ნამგლისპირები, ხელსაფქვავები, როდინები, დიდი ზომის ჭურჭელი და აღმოჩენილი რბილი ხორბალი. მესაქონლეობის მაუწყებელია შინაური ცხოველთა ძვლები და ფარეხი. ბინადარი ცხოვრების საბუთია ქვისა და თიხალესილი ხის ნაგებობები.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1956—1958 წწ. ანგარიშები (ხელნაწერი).
2. მისივე, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1957 წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები, თბ., 1959, გვ. 9—10.
3. მისივე, თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.
4. ლ. სახაროვა, თეთრიწყაროს ენეოლითური ნასოფლარის IV უბნის გათხრის შედეგები, სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები, თბ., 1959, გვ. 10.

სამშვილდის ნასახლარი და სამაროვანი (ტაბ. LXIII—1, LXV)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეთრი წყაროს რაიონში, სოფ. სამშვილდის მახლობლად, შესწავლილ იქნა ადრეული ლითონის ხანის ვრცელი სამაროვანი და ნასახლარი. სამაროვანი მდებარეობს სამშვილდიდან დაღეთისაკენ მიმავალ გზაზე, სამშვილდიდან 1,5 კმ დაშორებით. აქ ტრაქტორმა შემთხვევით დაანგრია ერთი სამარხი, რომლის რამდენიმე თიხის ჭურჭელი თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩააბარეს.

სამაროვნის ტერიტორიაზე, რომლის ფართობია 7200 მ², შესწავლილია ადრებრინჯაოს ხანის 36 სამარხი. მიმდებარე ფართობის დაზვერვისას კარკნალის მთის სამხრეთ კალთაზე, რომელიც სამაროვნიდან 500—600 მ არის დაშორებული, აკრეფილი არქეოლოგიური მასალა მიგვანიშნებდა სამაროვნის თანადროული ნასახლარის არსებობას, რაც საძიებო თხრილებით დადასტურდა.

სოფელს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონია. იგი მთის სამხრეთ კალთის 6 ტერასაზეა გადაშლილი, ხოლო დასავლეთის მხრიდან ასევე მთით არის შემოზღუდული. წყაროს წყლებით უზრუნველყოფილი სოფლის წინ გადაშლილია ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ფართობი, რომელიც მდ. ხრამის საკმაოდ ღრმა ხეობით მთავრდება.

გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა ნაგებობათა კომპლექსი — სამი, ნახევარწრიული ნაგებობის ქვის საძირკველი. კედლები კონცენტრულად იყო განლაგებული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდათ ოთხკუთხა ნაგებობები. მთელი კომპლექსი მიდგმული იყო ქვის კედელს, რომლის სიგრძეა თითქმის 150 მ. დიდი რაოდენობით ხის წნულნაბეჭდიანი თიხის შელესილობის ნატეხები გვაფიქრებინებს, რომ კედლის საძირკველი ქვისა იყო, ხოლო კედლის ზედა ნაწილი თიხით შელესილი ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო. პირველი ნახევარწრიული კედლის სიგრძეა ქორდაზე 7,5 მ, მეორისა—5,4 მ, ხოლო მესამისა—4 მეტრი. აღწერილი კომპლექსიდან აღმოსავლეთით გამოიკვეთა კიდევ ერთი ოთხკუთხა ძოყვანილობის, კუთხეებმომრგვალებული მოგრძო სათავსო, რომლის სიგრძეა 8,3 მ, ხოლო სიგანე—3,3 მ. მის სამხრეთ კედელში ჩასმულია 2,2 მმ-ის დიამეტრის მრგვალი სათავსო, რომლის გახსნილი მხარე—„შესასვლელი", მიმართულია სამხრეთისაკენ და 0,8 მ სიგანისაა. ბოლოს, ამ უკანასკნელის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა კიდევ ერთი სათავსო, ნალისებური მოყვანილობისა. მისი ჩრდილოეთი კედელი მცირედ მორკალულია და უფრო სწორ, სამხრეთის კედელს უერთდება. სათავსოს გახსნილი მხარე მიმართულია დასავლეთისაკენ. სიგრძეა 10 მ, ხოლო გახსნილი მხარის სიგანე—5,1 მ. აქაც შემორჩენილია კედლის მხოლოდ საძირკველი და დიდი რაოდენობით სარლასტისანაბეჭდიანი თიხის შელესილობის ნატეხები. ამ ნაგებობებში რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა თიხით გალესილი და მცირედ გამომწვარი იატაკი. სამწუხაროდ, ეს ფრაგმენტები იმდენად მცირე იყო,

რომ ვერ დადგინდა, იყო ეს მთლიანად გალესილი თიხის იატაკი თუ თიხის ოთხკუთხა ფილებით მოგებული, როგორც ეს დამოწმდა ნახევარწრიულ ნაგებობებში.

ნასახლარზე დამოწმებული იქნა ორი კულტურული ფენა: ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია 15—20 სმ სისქის ე. წ. შუა ფენით, რომელიც როგორც ზედა, ისევე ქვედა ფენისათვის დამახასიათებელ მასალებს შეიცავდა,

პირველ (ქვედა) ფენაში ნაგებობათა კედლები სრულიად დანგრეული იყო. აღმოჩნდა თიხატკეპნილი იატაკი, რომელზედაც იყო ზედა (მეორე) ფენის ნაგებობის ქვის საძირკველი. ამ იატაკის დონეზე აღმოჩნდა მოზრდილი ორმოს პირი. ორმო სავსე იყო ნაცრითა და თიხის ჭურჭლით თუ მათი ნამტვრევებით.

ნასახლარზე ძირითადად კერამიკული მასალაა მოპოვებული. ზედა და ქვედა ფენების ქვის მასალა გამოყენების კვალის მქონე ობსიდიანის უფორმო ანატკეცებია. თუმცა ქვედა ფენაში გვხვდება რეტუშირებულებიც.

ნასახლარის ზედა ფენისა და სამაროვნის კერამიკა ზუსტად ერთნაირია და სავარაუდოა, რომ სამაროვანი ნასოფლარის მეორე ფენის მოსახლეთა კუთვნილებაა. ქვედა ფენაში ბატონობს ღია ფერის კერამიკა. თიხაში შერეულია ქვიშა, კვარცი, შამოტი და ხშირ შემთხვევაში მცენარეული მინარევი. უმეტესად გარედან და ხშირად შიგნიდანაც თიხის ჭურჭლეული დაფარულია ანგობით და გაპრიალებულია.

პირველი და მეორე ფენის კერამიკას განსხვავებასთან ერთად ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან—ეს არის მსგავსება როგორც ფორმებში, ასევე ტექნოლოგიაში.

მეორე ფენის კერამიკა ასევე ხელით არის ნაძერწი. თიხაში ურევია ქვიშა, კვარცი, დანაყილი ობსიდიანი. კეცი ორ და ხშირად სამფენიანია. ჭურჭლის ზედაპირი მონაცრისფრო-მოყავისფროა, ღია და მუქი ლაქებით, მცირე რაოდენობით არის შავი და ღია ფერის კერამიკა. ჭურჭლის ზედაპირი, როგორც ;ესი, გაპრიალებულია და ხშირად შიგნიდან და გარედან შეღებილია წითელი, იშვიათად ყავისფერი საღებავით. ჭურჭლის შემკობა ნაირგვარია: ცალკეული თუ წყვილად განლაგებული რელიეფური კოპები, რელიეფური ხაზები თუ ნახევარმთვარისებური მინაძერწები. ხშირია სწორი თუ უნაგირისებური შვერილები, ამოკაწოული ორნამენტი დატანილია ძირითადად ჭუჭლის მხრებზე და წარმოდგენილია წყვილი ტეხილი ხაზით, რომელშიც ხშირად პატარა ფოსოებია ჩამჯდარი.

სამაროვანი (ტაბ. LXVII—6—8)

სამაროვანი მცირედ დაქანებულ ფერდობზეა შეფენილი ოთხმწკრივად. ჩანს, თავის დროზე აქ მეხუთე მწკრივიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ეზის მშენებლობის დროს დაუნგრევიათ. ქვის დიდი, უხეშად დამუშავებული ლოდებით შეკრული და გადახურული სამარხები მოგრძო ოთხკუთხაა (საშუალოდ

2,5XI, 5 მ), თუმცა აღმოჩნდა ბავშვის ორი მრგვალი სამარხი. სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ან სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მცირე გადახრებით. მათი გრძივი კედლები, შევიწროებული პირველ შემთხვევაში აღმოსავლეთ, ხოლო მეორე შემთხვევაში სამხრეთ ნაწილში, ვიწროვდება და ქმნის შესასვლელს. დაახლოებით 0,6 მ-ის სიგანისას, რომელიც ქვის კარით არის ჩაკეტილი. სამარხთა დიდი უმრავლესობა კოლექტიურია. მიცვალებულს აკლდამაში ათავსებდნენ თავიდან შესასვლელისაკენ, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკრუნჩხულს. თიხის ჭურჭელსა და საქონლის ხორცს აწყობდნენ თავთან; ადრე აქ დაკრძალულთა ძვლები და ინვენტარი მიცვალებულის ფერხთით არის მიხვეტილი.

სამაროვანზე მოპოვებულია ძირითადად თიხის ჭურჭელი, რაც მოყვანილობისა და დანიშნულების მიხედვით ხუთ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. ბოდიები; 2. სასმისები; 3. თუნგულები; 4. ჯამები; 5. ქოთნები.

სამაროვნის კერამიკა, როგორც აღნიშნული იყო, ფორმით, კეცითა და შემკულობით ნასახლარის მეორე ფენის კერამიკის მსგავსია, მხოლოდ უფრო მრავალფეროვანი. გვხვდება ფრინველთა თუ ცხოველთა რელიეფური გამოსახულება, ხოლო სამი ჭურჭლის ფსკერზე ფანჯარასავით ჩასმულია ობსიდიანის ნატეხი. როგორც მკვლევრები ფიქრობენ, სარკმლიან ჭურჭელს საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონდეს.

ქვისაგან დამზადებული ნივთები სამაროვანზე ცოტაა და ძირითადად წარმოდგენილია კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირებით. ეს არის ყუნწიანი, ზოგჯერ ერთებდაშვებული, ორმხრივ მცოცავი რეტუშით დამუშავებული, რომბისებურპირიანი ისრები. სულ 7 ცალი. საინტერესო ფორმით გამოირჩევა № 1 ისრისპირი, რომელიც ზომითაც დიდია სხვა დანარჩენებზე (სიგრძე 7,4 სმ, მხრების სიგანე 3,3 სმ). მის დასამზადებლად გამოყენებულია რქეულას მასიური ანატკეცი. პირს აქვს წაგრძელებული სამკუთხედის მოყვანილობა, ფრთები ოდნავ დაშვებულია და თევზისბოლოსებური ყუნწით მთავრდება. ეს ფორმა მტკვარ-არაქსის კულტურის სფეროში იშვიათია; მსგავსი ისრის თუ შუბისპირი აღმოჩნდა თეთრიწყაროს ნასოფლარზე. სამაროვანზე აღმოჩენილია ერთი ქვისა და ორ ათეულზე მეტი ძვლის კვირისტავი.

ლითონის სულ 5 ნივთია მოპოვებული: ორი ერთნახევარხვიანი სასაფეთქლე რგოლი, ორი ზამბარისებური ხვია და ერთი რქისებრ თავებდახვეული საკინძი, რომელსაც ცალი „რქა“ ადრევე ჩამოსტეხია, ხოლო გადატეხის ადგილი საგანგებოდ არის გასწორებული. გაკეთდა ორი მათგანის სპექტრალური ანალიზი: ლითონი აღმოჩნდა ბრინჯაო, დარიშხანის განსხვავებული რაოდენობის შინარევით: საკინძში—1,9%, ხოლო ზამბარისებურ ხვიაში—13,3%.

სამშვილდის ნასოფლარისა და სამაროვნის დათარიღების საკითხზე მსჯელობისას მკვლევრები ითვალისწინებენ მტკვარ-არაქსის კულტურის ცნობილი

ძეგლების რადიოკარბონულ თარიღებს და სტრატიგრაფიული დაკვირვებისა და მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნევენ ნასახლარის II ფენისა და მისი იდენტური სამაროვნის ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და III ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღონ. შესაბამისად, ქვედა პირველი ფენის თარიღი IV ათასწლეულის შუა ხანებისაკენ გადაიწევს.

სამშვილდის სამაროვნისა და ნასახლარის მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1. გ. მირცხულავა, სამშვილდის სამაროვანი, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები. თბ., 1969, გვ. 5—6.
2. გ. მირცხულავა, სამშვილდის სამაროვანი, „ძეგლის მეგობარი", თბ., 1970, გვ. 47—53.
3. გ. მირცხულავა, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამშვილდის რაზმის 1969 წლის საველე მუშაობის მოკლე ანგარიში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 16—18.
4. 4. Г. И. Мирцхулава, Памятники эпохи древнего металла и Куро-Араксская культура Квемо Картли, автореферат, Тб., 1972.
5. გ. მირცხულავა, სამშვილდე, თბ., 1975.
6. გ. მირცხულავა, ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი სოფ. სამშვილდესთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", 61, № 1, თბ., 1971, გვ. 245—248.

თრელის ნასახლარი (ტაბ. LXXVII-1)

1969—72 წწ. თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა სამუშაოები ძტკვარ-არაქსის დროინდელი ნასახლარის ნაშთების შესასწავლად. საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, მიწის სამუშაოების დროს, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 3 მ სიღრმეზე გამოჩნდა ძტკვარ-არაქსის კულტურის ძლავრი ფენა. ბულდოზერით დანგრევას გადაურჩა 6 მოზრდილი ორმო და ქვის საძირკვლიანი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. ქვები მშრალად იყო დაწყობილი. შენობა ოთხკუთხა ჩანს, ქვის საძირკველზე ხისკარკასიანი, თიხით შელესილი. არის ბათქაშის ნატეხები ხის ანაბეჭდით. კედლების შელესილობა შიგნიდან მოსწორებული და წითლად შეღებილი ყოფილა.

ორმოები სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი მიწითა და თიხის ჭურჭლეულით. ჭურჭლის კეცი უმეტესად მსხვილმარცვლიანია, ქვიშანარევი; რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს მცირედ ბზენარევი კეცით; კერამიკა არათანაბრად არის გამომწვარი, უპირატესად ღია ფერისაა, შავ ან ყავისფერლაქებიანი. არის ნაცრისფერ-მოყავისფრო ჭურჭლებიც. განსაკუთრებით გამოიყოფა ერთი ჯგუფი ჭურჭლეულისა — უხეშად ნაკეთები, სქელკეციანი, მსხვილმარცვლოვანი თი-

ხისაგან გამომწვარი და დაკეპილი ნამჯანარევი. ასეთი ჭურჭლები თავისი ფორმითაც გამოირჩევიან. უპირატესად თითქმის ცილინდრული მოყვანილობისა თუ ჯამისებური ჭურჭლებია. მათი ზედაპირი მოსწორებულია და სქლად ანგობირებული, ხოლო შემდეგ წითელი საღებავით არის შეღებილი. ჭურჭელი სადაა, თითქმის ყოველგვარი ორნამენტის გარეშე. გარდა აღნიშნული ნაგებობის ნაშთისა, აღმოჩნდა თიხატკეპნილი იატაკის ნაწილი და მასში ჩადგმული ქვით შედგენილი კერა, რომელიც სავსე იყო ნაცრითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით. კერის დიამეტრია 0, 7 მ. საერთოდ ძეგლი საკმაოდ არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს და შესაძლებელია მტკვარ-არაქსის კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე ადრეულიც კი იყოს.

ბიბლიოგრაფია

1. რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ც ი რ ი ძ ე, თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი. I, თბ., 1978.

ღრმახევისთავი (ტაბ. LXXVII—2)

დმანისის რაიონში, სოფ. ვარდისუბანთან, ადგილ ღრმახევისთავზე მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დროს აღმოჩნდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მშენებარე ფაბრიკის მთელ ტერიტორიას მოიცავდა. ძეგლი შეისწავლეს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა. გამოვლინდა ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ნასახლარი და სამაროვნები, აქემენიდური პერიოდის სამარხები და ფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთები.

მტკვარ-არაქსის კულტურის შემცველი ფენა საგრძნობლად არის დაზიანებული და დანგრეული როგორც გვიანი ხანის ნასახლარის, ასევე მშენებლობის მიერ. გაიწმინდა თიხატკეპნილი იატაკებისა და კერათა ფრაგმენტები, აღმოჩნდა მცენარეულმინარევიანი ბათქაშის ნატეხები. გათხრილ იქნა 100-ზე მეტი ორმო, სხვადასხვა ზომის: 0,5 მ სიღრმიდან მოკიდებული 2,5 მ სიღრმეძდე; ზოგი მათგანი ცილინდრული მოყვანილობისა იყო, ზოგიც პირშევიწროებული და ფართოძირიანი. ხშირად ორმოთა თავზე ქვაყრილი იყო მოწყობილი, ხოლო რამდენიმე ორმო ბრტყელი ფილაქვებით იყო გადახურული. ორმოები სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი ფენითა და კერამიკული მასალის ნამტვრევებით. აქვე იყო ბათქაშის ნატეხები ხის ანაბეჭდებით, სადგარის ნატეხები, ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები და ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავის ნატეხები, ცხოველთა ძვლები. ორ შემთხვევაში ორმო სამარხად იყო გამოყენებული.

დიდძალი არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა ორმოების სამ ქრონოლოგიურ საფეხურად დაყოფა: ადრეული, სადაც

მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკის გვერდით არსებობს კეცში მცენარეულმინარევიანი თიხის ჭურჭელი. ეს უკანასკნელი ღია ჩალისფერია და ცუდად გამომწვარი, ზედაპირი ანგობირებულია, ანგობი ადვილად იტკიცება. უმეტესი მათგანი დიდი ზომისაა და ცილინდრული ფორმის. ჰგავს თრელისა და თეთრი წყაროს ა ფენის მასალებს. მცენარეული მინარევების გარეშე დამზადებული კერამიკა უფრო მრავლადაა და მორუხო-მოყავისფროა, გაპრიალებული ზედაპირით, კეცში ურევია ქვიშა, ქარსი, ფორმათა მრავალფეროვნება არ შეიმჩნევა. კერამიკა ძირითადად სადაა.

მეორე საფეხურში ექცევა ის ორმოები, სადაც არის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ადრეული ფორმები, მაგრამ არ არის მცენარეულმინარევიანი კერამიკა. უსენია ცალყურა თუ ორყურა ქოთნები, ჯამები, დისკოსებური, ყურიანი სარქველები და რქისებურშვერილიანი სადგარები, მსგავსი თელის, დიდების, კიკეთისა და სამშვილდის მასალებისა. გვხვდება ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა.

მესამე საფეხურს ეკუთვნის ის ორმოები, რომელთა მასალას აქვს შავი გაპრიალებული ზედაპირი, მოვარდისფრო ან მოყავისფრო შიდაპირი, ორ და სამფენოვანი კეცი. ჭურჭელთა ფორმა მრავალფეროვანია. არის ორი და სამყურა ქილები, ცილინდრული ფორმის ჭურჭელი, ბადიები, სასმისები. მრავლდება რელიეფური შემკულობა, სპირალური ორნამენტი. საერთოდ აღარ არის ბზენარევი ქსოვილიანი და ღია ფერის ანგობირებული კერამიკა.

ღრმახევისთავზე გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტურის დროის ხუთი ორმოსამარხი და ორი აკლდამა. ორმოსამარხები ინდივიდუალურია, მცირე ქვაყრილით. მიცვალებული დაკრძალულია გვერდზე ხელფეხმოკეცილი. ოთ შემთხვევაში სამარხი ორმოში იყო გამართული. სამარხები მასალით ღარიბია, მხოლოდ თითო-ოროლა ჭურჭელი იყო ჩატანებული.

აკლდამები ნაგებია ყორულად ამოყვანილი ნაგლეჯი ქვის კედლებით და ქვის ლოდებით არის გადახურული, რომელთა ზემოთ მცირე ქვაყრილია. სამარხები დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, შესასვლელი მოწყობილი აქვს სამხრეთის მხრიდან. ერთი აკლდამა საკმაოდ იყო დაზიანებული მშენებლების მიერ, ხოლო მეორე ხელუხლებელი აღმოჩნდა. მისი ზომებია 3 მ× 1,8 მ×1 მ. ქვაყრილისქვეშ, სახურავ ლოდებზე, ეწყო მსხვილფეხა საქონლის ორი თავის ქალა და კიდურების ძვლები. სამარხში აღმოჩნდა 5 მიცვალებული. ოთხი ჩონჩხი მიხვეტილი იყო სამარხის დასავლეთ კედელთან, ხოლო ერთი იწვა ცენტრში, თავით სამხრეთისაკენ, მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი. აქვე აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი. როგორც სამარხის ნაგებობა, ისე მასში აღმოჩენილი მასალა ზუსტი ასლია სამშვილდეს აკლდამებისა. იგი ორმოების მეორე ჯგუფის საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს.

მასალა ინახება არმაზის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

1. რ. აბრამიშვილი, გ. გიგუაშვილი, კ. კახიანი, ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 7—83.
2. Г. Мирцхулава, К. Кахиани, Г. Гобеджишвили, Краткий отчет работ Грмахевской археологической экспедиции, ПАИ, Тб., 1979, стр. 13—14.
3. Г. Мирцхулава, Г. Гобеджишвили, Итоги работ Грмахевской археологической экспедиции, ПАИ, Тб., 1979. стр. 86—87.

დიდუბის ნასახლარი და სამაროვანი (ტაბ. LXXVIII—2)

ძეგლი აღმოჩენილია 1930—31 წლებში, ქ. თბილისში, დიდუბეში მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს.

მიწის თხრისას დაზიანდა კერამიკის, კაჟის იარაღებისა და ძვლის სადგისების შემცველი ნასახლარის ფენები, ე. წ. ქურასთან ახლოს მდებარე იარაღების დასამზადებელი სახელოსნო, სადაც აღმოჩნდა თიხის დიდი ჭურჭლები, ობსიდიანის უამრავი ანატკეცი, ობსიდიანის მოზრდილი ზოდი და სხვ.

ადგილზე ამ ძეგლის შესწავლას აწარმოებდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გამგე პროფ. გ. ნიორაძე.

წარმოდგენილ კომპლექსში კერამიკა უმრავლესობას შეადგენს. ხელით დაყალიბებულ ჭურჭლის თიხას ურევია ქვიშა, არათანაბრად გამომწვარია. ზედაპირი მურა ფერის, შავი ან ნაცროვანი ლაქებითაა. მცირე რაოდენობის ვარდისფერსარჩულიანი შავი ჭურჭელი გაპრიალებულია, ხოლო მათი კეცი სამფეროვანია. არის მშვენივრად გაპრიალებული ვარდისფერზედაპირიანი ჭურჭელიც. ცალკე გამოიყოფა ქსოვილის გამოყენებით ამოყვანილი ჭურჭლის ნატეხები.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ამ კერამიკული კომპლექსისაგან აშკარად განსხვავდება სწორკედლიანი, ოდნავ გამოწეულქუსლიანი ჯამის ნატეხები შლადი თიხისაგან, რომლებშიც ბზე ან მცენარეული ნაშთია შერეული. შესაძლებელია, რომ თიხის აღნიშნული ნაწარმი, კაჟის, ობსიდიანისა თუ ძვლის იარაღებთან ერთად დანარჩენ კერამიკულ მასალას ქრონოლოგიურად წინ უსწრებს.

ფორმა-დანიშნულების მიხედვით ცალკე ჯგუფებად შეიძლება გამოიყოს შემდეგი თიხის ნაწარმი: 1. ბრტყელძირიანი, დაბალყელიანი, პირისკენ შევიწროებული ჯამები, რომელთაგან ზოგიერთს ქვემოთ ძუძუსებრი წყვილ-წყვილი კოპები ან კოჭისებრი შვერილები აქვს. 2. ღრმა და პირისკენ თანდათანობით გაფართოებული სქელი კედლის მქონე ჯამები. 3. ყურიანი და უყურო დაბალყელიანი ბადიები. 4. მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირა და ცილინდრულყელიანი ცალყურა ქოთნები ან სასმისები. 5. დიდი ქილები, მაღალი, ფართო ცილინდრულყელიანი, მუცელგამობერილი და ბრტყელძირიანი, ერთი ან ორი,

ოშვიათად სამი ნახევარსფერული ყურით. 6. თიხის ყურიანი და უყურო ბრტყელი სარქველები და ჯამისებრი სარქველები ფსკერზე ამოყვანილი შვერილით. 7. მინიატურული მოდელი სამშვერილიანი კერისა. 8. ღრმა ხქელკედლიანი ჯამი ტანგახვრეტილი, საცრისებურ ძირზე მრგვალი სარკმელით და ზესადგარის ნატეხები.

ამათ გარდა, კოლექციაშია ძვლის კვირისტავი, ობსიდიანის ყუნწიანი ფოთლისებური მოყვანილობის ისრისპირი და ძვლის სადგისები.

დიდების მასალებშია მსხვილფეხა რქოსანი ცხოველების, თხის და ცხვრის ძვლები, შვლისა და ჯეირანის რქები, ცხენის კბილები.

აღნიშნული მასალა ადრეული ბრინჯაოს ხანისაა. იგი მტკვარ-არაქსის კულტურის საწყის საფეხურს ეკუთვნის.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
2. მისივე Урартский колумбарий у под. Арарата и Куро-Аракс. энеолит, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1944.
3. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I (ენეოლითი — გვიანბრინჯაოს ხანა), თბ., 1955.
4. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
5. Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971.

კიკეთის სამაროვანი (ტაბ. LXVII—2)

კიკეთის სამაროვანი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, დაბა კიკეთის მახლობლად, კოჯრიდან მანგლისის გზაზე. იგი მოქცეულია ისტორიულ ქვემო ქართლში.

ეს ძეგლი აღმოჩნდა 1920 წელს და პირველად მოსინჯული იქნა ე. პჩელინას მიერ, 1948 წელს აქვე აკად. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით გათხრები ჩაატარა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, ხოლო 1961 წელს ამავე სამაროვანზე გათხრები აწარმოვა ი ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა (რაზმის ხელმძღვანელი გ. ფხაკაძე).

სამაროვანი (120 კვმ ფართობი) მოქცეულია ფერდობზე, სადაც ცალკეული სამარხების ქვეშ ან მათ გვერდით დამოწმებულია, როგორც ჩანს, უფრო ძველი ქვის „ცარიელი წყობები" და მრგვალი ორმოები (6 ც.), რომლებიც შევსებულია ნახშირით, ნაცრით, კერამიკული წიდით თუ სხვა ნაწარმისა და ქვის ხელსაფქვავების ნატეხებით. საფიქრებელია, ზოგიერთი მათგანი, რომე-

ლიც თიხის მთელ ჭურჭლებთან ერთად ცხოველების ძვლებსაც შეიცავდა, სამეურნეო ორმოს წარმოადგენდა. აღნიშნულისა და იმის გამო, რომ სამაროვანის ფართობზე აღმოჩენილია კულტურული ფენებისათვის დამახასიათებელი ნაწარმი — ხელსაფქვავის ქვები, ნამგლის ჩასართები და ბათქაშის ნატეხები, დასაშვებია სამაროვნის გამართვის ფაქტი არასტაციონარული ტიპის ნასახლარის რომელიმე უბანზე.

სამაროვანზე გაითხარა სულ 21 სამარხი, თუ არ ჩავთვლით ე. პჩელინას მიერ გათხრილ 1 სამარხს.

სამარხები ორი ტიპისაა: 1. აკლდამები, ნალის მოყვანილობის ქვის სამარხები, ქვის ფილებით გადახურული; II. ქვაყრილიანი ორმოსამარხები. სრულიად განცალკევებით დგას ერთიანი ქვაყრილის ქვეშ მოქცეული სამი სამარხი, სადაც მიცვალებული ფიქალზე იყო დასვენებული.

დაკრძალვის წესში აღინიშნება გარკვეული კანონზომიერება. აკლდამისებური სამარხები მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ან მცირედი გადახრით. მიცვალებული დაკრძალულია გვერდზე ხელფეხმოკეცილი. ქვაყრილიან სამარხებში ჩონჩხებს ზოგჯერ არ ახლავთ თავის ქალები. სამარხთა ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით (საშუალოდ 5—9). მათი განლაგება ნებისმიერია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში კერამიკა მოქცეულია სამარხის კედლების გასწვრივ.

ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი დამზადებულია ქვიშის, ობსიდიანის, ქარსისა და კვარცის მინარევებით შეზავებული ცომისაგან. ღია ცეცხლზე ან ორმოში გამომწვარია რუხი ან მოვარდისფრო-მონაცრისფრო, არის შავი ვარდისფერისარჩულიანი კერამიკაც.

ფორმებისა და დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი კერამიკული ჯგუფები:

1. ჯამები შეადგენენ დიდ უმრავლესობას; უყურო ჯამები შემკულია ძუძუსებრი კოპებითა და სხვადასხვაგვარი შვერილებით; ზოგს აქვს ამოკაწვრით შესრულებული ორნამენტი. ამათგან განსხვავებულია ცილინდრული ყელის მქონე პირშევიწროებული ჯამები, მრგვალქობიანი ჯამები, რომლებსაც ზოგჯერ თითო ყურიც აქვთ.

2. სასმისები ცილინდრული ყელით, გამობერილი მუცლითა და ბრტყელი ძირით. ამათგან განსხვავებულია სწორკედლიანი, ბრტყელძირიანი, ყურიანი სასმისი და ლანგარისებური ჭურჭელი.

3. დიდი ზომის ჭურჭლების ჯგუფს შეადგენენ ქილები და ქოთნები, რომლებიც ხასიათდებიან ბრტყელი ძირით, ცილინდრული ყელითა და ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცლით. ძირი ბრტყელია, ყელსა და მხარზე მაძერწილია ორი ნახევარსფერული ყური, გაპონაკლისი—ვიწროყელიან ჭურჭელზე მუცლის ზედა ნაწილში სამი ყურია გაკეთებული.

კიკეთის ჭურჭლებზე რკალური, სათვალისებური, წყვილად გამოყვანილი რელიეფური სარტყლებისა და ფრინველების (წეროების) გამოსახულებებია,

შესრულებული მაღალი რელიეფით. იშვიათად არის ნაკაწრი ორნამენტიც.

ჭურჭლის გარდა, კიკეთში აღმოჩენილია ორი თიხის სადგარი—კოჭისებრი და რქისებრი —სიბრტყეში ხარის თავის გამოსახულებით (?).

ძვლის ნაკეთობას წარმოადგენს კონუსური ფორმის კვირისტავები, ხოლო ქვისაგან დამზადებულია ოთხკუთხა ფორმის ბოლოდაჩეჩქვილი სალესი.

სამარხებში აღმოჩენილია პასტის წვრილი მძივები; მსხვილფეხა და წვრილფეხა ტაქონლის ძვლები.

ამ ძეგლის პირველი შემსწავლელის აკად. ბ. კუფტინის კლასიფიკაციით, კიკეთის კომპლექსი ერთგვაროვანია. გ. ფხაკაძის აზრით, მისი უადრესი მასალა, მიმდინარე ორმოებიდან, არქაულად გამოიყურება. შესაძლებელია, რომ ორმოებში მოპოვებული კეცით და ფორმით გამორჩეული ადრეული ჯამები ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებზე მოდიოდეს, ხოლო ძირითადი სამარხეული კერამიკა IV ათასწლეულის მიწურულზე, ან IV—III ათასწლეულთა მიჯნაზე.

ძეგლი ადრეული ბრინჯაოს კულტურის ტიპიურ კერამიკულ კომპლექსებს შეიცავს და მტკვარ-არაქსის კულტურის საწყის საფეხურს ეკუთვნის. იგი ასულნს ქვემო ქართლის ადრე ბრინჯაოს ხანის საწყისი ელემენტების თავისებურებებს.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Е. Т. Пчелина, Археологическая разведка в районе Триалетского хребта близ г. Тбилиси, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. V, თბ., 1930. 2. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1964.

აბელიას ნასახლარი

სოფ. აბელიას მახლობლად, ალგეთის ხეობის მარჯვენა ნაპირას, მდებარეობს მთის ორ ფერდობს შორის მოქცეული უძველესი ნასახლარი. თეთრი წყაროს რაიონის სოფ. აბელია ისტორიულ ქვემო ქართლშია.

ძეგლი აღმოჩნდა 1954 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების დროს (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე). 1964 წელს იქვე გათხრები გააგრძელა ალგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. კვიტინაძე, შ. შატბერაშვილი), ხოლო 1965 წელს სადაზვერვო გათხრები დაასრულა ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძვ. ნ. თუშიშვილი).

ფართობზე აღმოჩნდა როგორც ადგილზე დაზიანებული არეული ფენები, ისე ზემოდან, ფერდობიდან, ჩამორეცხილი მასალა. ამათგან უადრესია ენეოლითური ხანის ბზენარევი თიხის ჭურჭლის ნატეხები, შლადი თიხის ჭურჭლის

ქუსლგამოყვანილი ძირები, ანგობირებული კერამიკის ღია მოვარდისფრო ფრაგმენტები და სხვ.

უფრო გვიანდელია ადრეული ბრინჯაოს ხანის არქაული მასალა—თიხის ოთხშვერილიანი ზესადგარი ხარის ძლიერ სტილიზებული გამოსახულებით, ჯამისებური სარქველი ფსკერზე მოქცეული ყურით, ქვის ცული, კაჟის კვადრატული ნამგლის ჩასართი და თიხის ჭურჭელი, მათ შორის შავი, ვარდისფერსარჩულიანი და მურა ფერის ვიწრო მაღალყელიანი ცალყურა ქილები, რომლებიც ნამოსახლარის ფენებიდან მომდინარეობს.

საგანგებოდ აღსანიშნავია როგორც არქაული კერამიკისათვის დამახასიათებელი ჭილოფის ანაბეჭდების მქონე ძირები, ისე თხელკედლიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებზედაც პარალელური ნაკაწრი ხაზების სიმეტრიული განლაგება ტ. ჩუბინაშვილს ამ ნაკეთობათა ჩარხებზე დამზადებას აფიქრებინებს.

აქვე აღმოჩენილია ფილაქვებისაგან ნაგები პატარა მოედანი, რომელზედაც მინიატურული კერა იდგა. შორიახლო კი მოპოვებულია ობსიდიანის რამდენიმე დიდი ზოდი.

აბელიას ნასახლარი შეიცავს როგორც ენეოლითური, ისე ადრებრინჯაოს ხანის მასალებს, რომელთაგან უკანასკნელი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურს ეკუთვნის.

მასალა ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. კ. კვიციანაძე, ბ. შატბერაშვილი, ალგეთის ექსპედიციის II—III უბნის მუშაობის ანგარიში, XIV სესია, მოკლე ანგარიშები, 1965.
2. Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, сс. 42—44.

კოდას ნასახლარი და სამაროვანი (ტაბ. LXVII—9, LXIV—1)

ძეგლი მდებარეობს თეთრი წყაროს რაიონში, სოფ. კოდასთან; მოქცეულია ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

ეს ძეგლი აღმოჩნდა 1970 წელს და შესწავლილ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (რაზმის უფროსი გ. ფხაკაძე).

ნასახლარი წარმოდგენილია ნახევრადმიწურებისა და სამეურნეო ორმოების სახით. სულ გაითხარა 5 მრგვალი ნახევრადმიწური (დიამეტრი 2,3—4 მ). ისინი განლაგებულნი იყვნენ ერთმანეთის მახლობლად, ხოლო ორ მათგანს საერთო კედელიც გააჩნდა. ერთ-ერთ ნახევრადმიწურს ფარშემო 5 სმ დიამეტრისა და 8 სმ სიღრმის ორმოები შემოუყვება, რომელშიც უთუოდ ჩასმული უნდა ყოფილიყო ნახევრადმიწურის წნული კედლების დასამაგრებელი ხის სვეტები. წნული ორმხრივ შელესილი ჩანს. აღმოჩნდა წნულის ანაბეჭდი-

ანი ბათქაშის ნატეხები დიდი რაოდენობით. მიწურებში დადასტურდა თიხით გადალესილი იატაკის რამდენიმე ფენა. კედელთან ახლოს გადამწვარი მიწა და ნაცარი კერის ნაშთი უნდა იყოს. ერთ-ერთი მიწურის სამხრეთ კედელში მოზრდილი ნიშა იყო შეკრილი კედელში.

ნახევარმიწურების გარეთ აღმოჩენილი ორმოები ნატეხებითა და ნაცრით იყო სავსე. ერთ-ერთი მათგანი კერად ჩანს გამოყენებული; მისი დიამეტრია 1,7 მ, ხოლო სიღრმე—2,2 მ. ორმოს კედლები შელესილი იყო თიხით და ცეცხლის ხშირად დანთების შედეგად კარგად გამომწვარი. ორმოს ძირში ცეცხლის სანთები ალიზის აგურით იყო გაწყობილი.

ზემოხსენებულ ნიშაში, რომელიც № 2 ნახევარმიწურის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში მდებარეობდა, აღმოჩენილ იქნა ბავშვის თავის ქალა.

ნახევარმიწურების შევსებაში ნაცართან ერთად მოპოვებული იყო კერამიკის ფრაგმენტები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ყუნწიანი ისრისპირები, ხელსაფქვავისა და სალესი ქვების ნატეხები, ობსიდიანის თუ კაჟის ანატკეცები და ნამზადები, რაც ქვის იარაღების ადგილობრივად დამზადებაზე უნდა მიგვითითებდეს.

ერთ-ერთ ნახევარმიწურში, კერასთან, დიდი ქოთანი და დამსხვრეული სქელკედლიანი ქილა აღმოჩნდა.

ნასახლარის ფარგლებს გარეთ მოქცეული სამაროვანი შეიცავდა ოვალურ ან ოთხკუთხოვან მცირე სიღრმის ორმოსამარხებს (1,25×0,75 მ), რომლებიც გადახურული იყო ქვაყრილებით და ქვის ფილებით. (1,90×1,30 მ, 1,70× ×1,40 მ და სხვ.). ამ ტიპის ქვის სამარხები გამართულია ოთხკუთხა ორმოში ქვით ნაშენი კედლებითა და გადახურულია დიდი ფილებით. ასეთივე ფილები დაფენილი იყო ერთ-ერთი სამარხის იატაკზე. ორმოსამარხები ერთი მიცვალებულისთვისაა განკუთვნილი, ხოლო ქვის სამარხები კოლექტიურია. ორივე შემთხვევაში ისინი შეიცავდნენ რამდენიმე თიხის ჭურჭელს.

სამაროვნისაგან განცალკევებით, კოდას დასავლეთ უბანში, გაითხარა ქვის აკლდამები, მიმართული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. 5 ასეთ სამარხს ქვის ფილებისაგან ნაშენი კედლები ჰქონდა, ხოლო იატაკზე დაფენილი იყო უფრო თხელი ფილები; აკლდამა ასეთივე ქვებით იყო გადახურული. აქაც კოლექტიური დასაფლავებაა დადასტურებული. კერამიკული ინვენტარი წარმოდგენილია 17-მდე ჭურჭლით, რომლებიც ტიპოლოგიურად არ განსხვავდებიან სამაროვანზე აღმოჩენილი ჭურჭლებისაგან.

კოდაში აღმოჩენილი კერამიკა ძირითადად მოყავისფრო-მონაცრისფროა, ალაგ-ალაგ შავი და ღია ფერის ლაქებით; კეცში ურევია ქვიშა და კვარცი. ორმოებში იყო შავი ან მოყავისფრო ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლებიც. კერამიკა შემკულია რელიეფური ნახევარწრეებით, ფოსოებით და ნაკაწრი ტეხილი ხაზებით; არის ცილინდრულკედლიანი ჭურჭლები, ბრტყელძირიანი და პირგადაშლილი ჯამები, რომელთაც კოპები, ოვალური შვერილები და ყურები აქვთ; მაღალყელიანი, ნახევარსფერულყურიანი სასმისები, ორყურა დი-

და ქილები. კერამიკა ძალზე ახლოს დგას კიკეთისა და სამშვილდის მასალებთან და ამავე პერიოდისა უნდა იყოს.

კოდის სამარეოვნისა და ნასახლარის მასალები ინახება თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Г. Г. Пхакадзе, Археологические исследования в с. Кода на территории строительства птицефермы, «Сборник Археологические исследования на новостройках ГССР», Тб., 1976.

თამარისის აკლდამა

ძეგლი მდებარეობს მარნეულის რაიონში, სოფ. თამარისთან, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, ისტორიული ქვემო ქართლის საზღვრებში.

სამარხი აღმოჩნდა 1954 წელს, თამბაქოს საშრობის მშენებლობის დროს, მიწის ზედაპირიდან 0,73 მ სიღრმეზე. იგი გახსნა და დააზიანა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რის შედეგად სამარხიდან ფიქსაციის გარეშე ამოღებულ იქნა 11 ჭურჭელი.

1961 წელს ეს ძეგლი შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა დაზვერვითმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ფხაკაძე).

სამარხი წარმოადგენდა 1×1,25 მ ფართობის ოვალურ ორმოში 6—7 ფენად მშრალი წყობით ამოყვანილ ქვის აკლდამას, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო დამხრობილი. ჩრდილოეთის კედელი მრგვალი იყო, ხოლო სამხრეთისა სწორი და საფეხურებად ნაგები, გადახურული დიდი ზომის ქვებით.

სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა თიხის 4 კოჭობი, ძვლის წაკვეთილი კონუსის ფორმის კვირისტავი და ობსიდიანის გვერდამოღარული საფხეკი.

კერამიკა ნაძერწია ხელით, არათანაბრად გამომწვარი, ვარდისფერი ან ნაცრისფერი ლაქებით.

ფორმა-დანიშნულების მიხედვით კერამიკული ნაწარმი ორგვარია:

1. დიდ-პატარა ჯამები—ბადიები, ყელდაბალი, ოდნავ წიბოებიანი მუცლითა და ფართო ძირით; ერთზე მრგვალ-ბრტყელი განივკვეთიანი ყურია, უმრავლესობას მიძერწილი აქვს სხვადასხვა ფორმის შვერილები ან შვერილ-კოპები.

II. სწორპირიანი, მომაღლო, ცილინდრული ყელის მქონე, მრგვალმუცლიანი ცალყურა კოჭები, რომელთაგან ორს მარტივი ამოკაწრული ორნამენტი ამკობს.

აღნიშნული ძეგლი ადრებრინჯაოს ხანისაა და ეკუთვნის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურს.

თამარისის აკლდამის მასალები ინახება თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქ. ძეგლები, თბ., 1955.
2. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, ენეოლითური ხანის სამარხი სოფ. თამარისთან, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა VI სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1961.
3. მ ი ს ი ვ ე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.

ოზნის ნასახლარი და სამაროვანი*

ძეგლი მდებარეობს თრიალეთის ზეგანზე, ზემო წალკის სოფ. ოზნის (გუნია კალას) სამხრეთ გარეუბანში. მისი უბანი მოქცეულია ნადარ-ხანის მთის ქვედა კალთაზე, სადაც პირველ ტერასაზე საკუთრივ ნასახლარს ორად ყოფს მდ. გუნიადან გამომავალი არხი, ხოლო მეორე — იქ, სადაც შენდებოდა ჰიდროსადგური.

ეს ძეგლი გაითხარა 1947—48 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკად. ბ. კუფტინი.

პირველ უბანზე (100 კვმ ფართობი) აღმოჩენილ იქნა 7,5 მ დიამეტრის მქონე ნახევარწრიულად შემოზღუდული „ფაცხის" ტიპის ნაგებობის ნაშთი, რომლის საძირკველს შეადგენდა წიბოზე წყენებული თხელი ქვის ფილები. მის გარეთ მდებარეობდა მრგვალი ფორმის შვერილიანი თიხის კერა, მოშორებით კი 1—2 სმ სისქის თიხატკეპნილი იატაკი, რომელზედაც ნალისებურ სადგარსა და „პიქტოგრამებით" შემკულ თიხის კერაბიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ცალკეული ნივთებიდან 1 უბანზე აღსანიშნავია თიხის ხვერლიანი სადგარი, თიხის ყურიანი ტოლჩები, უყურო და ყურიანი ცილინდრულყელიანი ქილები—„პითოსები", რომელთაგან ერთ-ერთი რელიეფური სათვალისებური ორნამენტითაა შემკული. ამათ გარდა, მოპოვებულია კაჟის რეტუშირებული, ხერხისებური დანა, პრიზმული ფორმის, სამწახნაგოვანი ობსიდიანის ფირფიტა და ბიპირამიდული ფორმის სპილენძის სადგისი.

---

* გამოქვეყნებულია მხოლოდ 1937 წელს მოპოვებული მასალა, გამოუქვეყნებელი დარჩა 1948 წლის მონაპოვარი, რომელიც ძირითადად ადრეული ბრინჯაოს ხანის სამარხებიდან მოდინარეობს.

მეორე უბანი (25 კვმ ფართობი) ორფენოვანია. განამარხებული მუქი ფერის ნიადაგის ქვეშ მდებარეობს წითლად გამომწვარი ფენა, რომელიც ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზეა მოქცეული.

ამ ფენაში მოპოვებულია თიხის ნალისებური ზესადგარების ნატეხები, თიხის ვარდისფერსარჩულიანი ტოლჩა, სამყურა ვიწროყელიანი ჭურჭელი; თიხის სარქველი, შავი ზედაპირის მქონე ვარდისფერსარჩულიანი, ფართოყელიანი ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ერთ-ერთზე ნახვრეტია გაკეთებული. ამათ გარდა, აღმოჩენილია სპილენძის ოთხწახნაგოვანი სადგისი და მინიატურული დანა.

აღნიშნულ ფენას ეკუთვნის კერის მრგვალნახვრეტიანი თიხის ბრტყელი ფილები, რომელთაგან შემდგარი დისკო 0,98 მ დიამეტრისაა. ამ ძეგლის გამომქვეყნებელი ბ. კუფტინი მას „სამსხვერპლო მაგიდას“ უწოდებს.

ნასახლარის ტერიტორიაზე გამოვლინდა ბოზარდის სამარხი, შედგენილი წიბოზე მდგარი ქვებისაგან (0,35×1,65 მ). იგი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მიცვალებულის ნეშტისაგან შემორჩენილია თავის ქალის კონტური და კბილი. სამარხის სამხრეთ კუთხეში იდო თიხის ცალყურიანი ვარდისფერსარჩულიანი ტოლჩა. 1948 წელს ნასახლარის ტერიტორიაზე გათხრილი 6 სამარხიდან მომდინარეობს ამავე ტიპის კერამიკა, რომელსაც ახლავს სპილენძისაგან ნაჭედი საკინძის ნატეხი და მრავალხვია სპირალური სამაჯურები. ამ ნივთების ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი დამზადებულია 1%-ზე მეტი დარიშხანის შემცველი სპილენძისაგან ან დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან.

ოზნის კერამიკული მასალა თავისი ძირითადი ფორმებით უახლოვდება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ თიხის ნაწარმს და შეიცავს რელიეფური ორნამენტაციის ადრეულ ელემენტებს (მაღალ რელიეფში შესრულებული სათვალისებური სპირალები, პირისპირ მდგარი წეროების სტილიზებული გამოსახულებანი და სხვ.). ამავე დროს აქვე ჩნდება ჩაღრმავებული ზოლებით გამოყვანილი „დროშისებრი“ სახეები, რაც ზოგიერთ სხვა მონაცემთან ერთად (კრუ ყურები) აღნიშნულ კომპლექსს უფრო გვიანდელ იერს ანიჭებს და ადრეული ბრინჯაოს ხანის საწყისი ეტაპის შემდგომ განვითარებაზე მიგვანიშნებს.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948, с. 26—48.

ბარმაქსიზი, ტაშ-ბაში

ბეშთაშენის ციკლოპური ნაგებობების ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის არქეოლოგიური მასალის გარდა, წალკის ზეგანზე 1936 წ. შესწავლილია ამავე ეპოქის 2 სამარხი. ერთი მათგანი, ბიმაქსიზთან, პატარა ქვაყუთია (ზომები 1,05×0,73 მ), რომელშიც მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი. ქვაყუთი შედგენილი იყო 4 ქვის ფილისაგან და მასიური ქვითვე იყო გადახურული. სამარხში 2 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

მეორე სამარხი აღმოჩენილ იქნა სოფ. ტაშ-ბაშში. ქვის ფილებით მოგებული სამარხის იატაკის ზომებია 1,1×1,5 მ; აღმოსავლეთის მხრიდან ქვის ფილით შემოზღუდულ და დიდი ქვის ფილით გადახურულ სამარხში აღმოჩნდა თიხის 7 ჭურჭელი და მიცვალებულის არეული ჩონჩხი. ჭურჭელი ხელით არის ნაძერწი, მორუხო ფერისა, გაპრიალებული ორმხრივ. კერამიკა მტკვარარაქსულია, ახლოს დგას ბიმაქსიზის ჭურჭელთან, თუმცა მისგან განსხვავებულია.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

ყორანთას გორა

1960 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბოლნისში, ყორანთას გორის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე გაჭრა საცდელი თხრილი, სადაც გამოვლინდა წრიული ნაგებობის ქვის საძირკველი, დაახლოებით 5 მ დიამეტრისა. ეს იყო ცერად ჩასმული ნაგლეჯი ქვების ორმაგი წყობა, რომელთა შორის წვრილი ქვა იყო ჩაყრილი. აღმოჩნდა უამრავი ბათქაშის ნატეხი ხის ანაბეჭდით. ხელსაფქვავი, კაეის ნამგლის ჩასართი, რუხი ფერის ბადია, დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები ნახევარსფერული ფორმის ყურებით და მორუხო ფერის კერამიკის ფრაგმენტები.

მასალები ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არმაზის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

1. გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 16.

დელიხის ნასახლარი

თბილისში ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, შენობის საძირკვლის ამოღებისას აღმოჩნდა კულტურული ფენა, სადაც ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკულ მასალასთან ერთად იყო მტკვარარაქსული კერამიკაც; გაიწმინდა თიხატკეპნილი იატაკები, სადაც ამ ორი სახის კერამიკა ერთად ეწყო და ამდენად გამთხრელები ფენათა აღრევას გამორიცხავენ. გამოჩნდა წნული ხის კარკასიან ნაგებობათა სარების ფოსოები, რომელთა განლაგებითაც ჩრგვალ ნაგებობებს ვარაუდობენ, თუმცა გადაჭრით ამის მტკიცება ძნელი იქნება.

მასალა ინახება თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

1. რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დელისის ნასახლარი, თბ., 1978.

არდასუბნის აკლდამა

აკლდამა გაითხარა 1962 წელს თეთრი წყაროს რაიონის სოფ. არდასუბანში. მისი სწორკუთხა კამერის ქვედა ნაწილი შემკულია შვეულად დაყენებული დიდი ზომის ფილებით, რომელსაც ზემოდან გადაუყვება თიხის ხსნარით შემტკიცებული ნატეხი ქვების წყობა ისე, რომ კამერის კუთხეები მომრგვალებულია და სამარხი ოვალურ ფორმას იღებს. აკლდამა დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ; სამხრეთ კედელში მოწყობილია შესასვლელი, რომელიც, როგორც გამთხრელი ვარაუდობს, ქვებს შორის შექმნილ ღარებში ჩასმული ფიცრით იკეტებოდა. სამარხის ზომებია: 3,3×2×1,1 მ. იატაკი თიხატკეპნილი აქვს. ვარაუდობენ ძელურ გადახურვას, რასაც მოწმობს სამარხში აღმოჩენილი ხის უამრავი ნაშთი. აკლდამაში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. პირველი—დედაკაცი, მარცხენა გვერდზე იწვა, ხელფეხმოკეცილი; მისთვისაც ჩაუტანებიათ ცალყურა ჯამი, ძვლის კვირისტავი და რქეულას რაღაც იარაღის ნამზადი; მეორე მიცვალებული—მამაკაცი პირველისაგან მიწის თხელი ფენით იყო გამოყოფილი, ე. ი. უფრო გვიან არის დაკრძალული. იგი ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე იყო დასვენებული. აქვეა ცალყურა ტოლჩა, ერთი შურდულის ქვა. აკლდამის კონსტრუქციის ანალიზის საფუძველზე მას გამთხრელი თამარისის და კიკეთის აკლდამების შემდგომი პერიოდით ათარიღებს, რაც მისაღებად მიგვაჩნია.

მასალა ინახება თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი, არდასუბნის ზოგიერთი ადრეული ძეგლი, „ძეგლის მეგობარი", № 15, თბ., 1968.

ქვემო ქართლის (მარნეულის) № 8 ყორღანი

ქვემო ქართლის დაბალ ველებში (მარნეულის ველზე) 1965—68 წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პროფ. ო. ჯაფარიძე) შეისწავლა 9 ყორღანი. ამათგან ყველაზე არქაული ია შულავერსა და შაუმიანს შორის, გზასთან მდებარე, წრიული მოყვანილობის, მიწაყრილიანი, კოლექტიური დაკრძალვისათვის განკუთვნილი ყორღანი (№ 3). მისი ყრილის სიმაღლეა 2,0 მ, დიამეტრი—20.0 მ. ცენტრალური ორმო (სიღრმე 1 მ, დიამეტრი 1,20 მ) ცარიელი აღმოჩნდა.

ყრილში მოთავსებული იყო 2 სამარხი, რომელთაგან ერთი, ადამიანის დაშლილ ძვლებთან ერთად, შეიცავდა თიხის მაღალ, ცილინდრული ყელის მქონე ცალყურა ტოლჩას, თიხის მოშავო-მონაცრისფრო ჩაღარული ყელის მქონე ღრმა ბადიასა და ძვლის კვირისტავს. აქვე იყო ხარის ძვლები.

მეორე სამარხში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა, ფეხები ძლიერ მოკეცილი ჰქონდა. ჩატანებული ჰქონდა თიხის 5 ჭურჭელი, რომელთაგან ერთ-ერთის ქვეშ ცხვრის თავის ქალა და ძვლები აღმოჩნდა. ამ ჭურჭელთაგან თითქოს 3 ცალყურა ტოლჩა იყო, მოშავო-მონაცრისფრო, მაღალყელიანი, ზოგი პირისაკენ ოდნავ გაფართოებული, მცირედ მუცელგამობერილი და ბრტყელძირიანი. ორი ღრმა ბადია ოდნავ გადაშლილი პირითა და ძირისაკენ შევიწროებული მუცლით ხასიათდება. ყველა ბადიას აქეთ-იქით თითო შვერილი აქვს.

აღნიშნული ყორღანი ადრეული ბრინჯაოს ხანისაა და მისი ინვენტარი მტკვარ-არაქსის კულტურის შედარებით ადრეული ძეგლების კერამიკას ემსგავსება.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—71 წწ.), თბ., 1975.

ღაითმაზი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1967 წელს მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა ქვემო შულავერის მიდამოებში, შულავერისა და დანგრეული ბორის მახლობლად, ადგილ ღაითმაზზე. აქ, მდინარე ხრამის ძველი კალაპოტის მარჯვენა მაღალ ნაპირზე, ხევებით გამოყოფილია ორი დიდი ფართობი, სადაც ზედაპირულად აიკრიფა მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი მასალა. ამ ფართობებს პირობითად ეწოდათ ღაითმაზი I და ღაითმაზი II.

ღაითმაზ I-ზე გაკეთდა 6 სადაზვერვო თხრილი, ღაითმაზ II-ზე კი 5. ღაითმაზ I-ის სადაზვერვო თხრილებში საინტერესო კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთებიც. კერძოდ, ვოლუტებიანი საკინძეები— დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. ღაითმაზის საკინძი ფორმით, კერძოდ თავის სიმრგვალით, ვოლუტების სიმცირით, აგრეთვე ტექნიკური შესრულებით, რაც გამოიხატება ღეროსა და თავის ცალკე დამზადებასა ღა შემდგომ მათ შეჭედებაში, როგორც გამთხრელები ვარაუდობენ, უფრო გვიან პერიოდს განეკუთვნება, ვიდრე სამშვილდური და ურბნული საკინძები. აქვე აღმოჩნდა ორი დაზიანებული სამაჯრი, სადაც აღმოჩნდა არაქსის აუზისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის სადგარი. აღსანიშნავია ღაითმაზ I-ის კერამიკის მრავალსახა ორნამენტაცია.

ღაითმაზ II-ის თხრილებშიც ამოვიდა, ძირითადად, ადრებრინჯაოს ხანის მასალა: შავპრიალა ვარდისფერ და ნაცრისფერსარჩულიანი კერამიკა, ნახევარსფეროსებური ყურები, რელიეფურ და ჭდეულორნამენტიანი კერამიკის ფრაგმენტები. ღაითმაზ II-ის კერამიკულ მასალას გამთხრელები გამოარჩევენ ღაითმაზ I-ის მასალისაგან. ღაითმაზ II-ში არის როგორც შავად გაპრიალებული, ისე ნაცრისფერი და წითელი, მოყვითალო და ძალიან ღია ნაცრისფერი ნატეხები. შედარებით მცირეა ორნამენტირებული კერამიკა, რაც ასე დამახასიათებელია ღაითმაზ I-ისათვის. ძეგლის გამთხრელთა აზრით, ღაითმაზ II ნასახლარის შთაბეჭდილებას ტოვებს, ღაითმაზ I კი, ისევე, როგორც დანგრეული გორის ზედა, მტკვარ-არაქსის ფენა, სამაროვნისა. ღაითმაზის მასალები საინტერესოა იმითაც, რომ აქამდე ქვემო ქართლში ცნობილი იყო მხოლოდ მტკვარ-არაქსის ადრეული ძეგლები, აღნიშნული მონაპოვარით კი ცნობილი გახდა მოგვიანო ხანის სამხრეთული — არაქსის აუზის მასალების იერით.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები, „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“ (1965—71 წწ.), თბ., 1975, გვ. 129—136.

ილტო (ტ. LXXXV)

ილტოს ნასახლარი მდებარეობს ახმეტიდან 4 კმ დაშორებით, თიანეთისაკენ მიმავალ გზაზე, მდინარე ილტოს მარცხენა ნაპირზე. ქვის კარიერის დაშუშავების შედეგად ამ უძველესი ნასახლარის უდიდესი ნაწილი დაინგრა. ძეგლი შეისწავლა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

როგორც ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებიდან ირკვევა, ილტოს ნასახლარი ტერასულად ყოფილა განლაგებული. ნაგებობათა ნაშთები

დამოწმდა პირველ და მეორე ტერასაზე, მესამე ტერასა კი უკვე მთლიანად დანგრეული იყო.

მეორე ტერასაზე აღმოჩნდა კედლის ქვის წყობა, მაგრამ იგი არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ გვემსჯელა ნაგებობის სიდიდეზე. მხოლოდ შემორჩენილი კედლის კუთხის ფრაგმენტი მიუთითებდა, რომ იგი ოთხკუთხა უნდა ყოფილიყო.

პირველ ტერასაზე გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის ორი შენობის ნანგრევი IV და VII.

IV ნაგებობა წარმოდგენილია თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტით, რომელიც ზემოდან თხელი ნაცროვანი ფენით იყო დაფარული და, გამთხრელის ვარაუდით, იგი სწორკუთხა ფასადით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული.

VII ნაგებობა შედარებით უფრო კარგად შემოგვრჩა. გადარჩა შენობის სამხრეთ-დასავლეთი კედელი სამხრეთი და დასავლეთი კუთხეებით. ნაგებობა დამხრობილი ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. შემორჩენილი კედლის სიმაღლეა 0,6 მ, ნაგებია ქვით. გამთხრელის აზრით, შენობას ქვის საძირკველი ჰქონდა, რომელზედაც თიხით შელესილი წნული იყო ამოყვანილი. ამაზე მიუთითებს დიდი რაოდენობით ბათქაშის ნატეხები წნულის ანაბეჭდით. შენობას უნდა ჰქონოდა ბანური გადახურვა, რომელიც ხანძრის შედეგად ჩაიქცა. ამაზე მიგვანიშნებს იატაკზე აღმოჩენილი ხის დამწვარი მორების ნაშთები, რომელიც კარგად გამოიკვეთა თიხის იატაკზე. ჩანს, შენობა დიდხანს იყო გამოყენებული, რაზედაც მიუთითებს ექვსჯერ განახლებული იატაკი. იატაკის თითოეული ფენის სისქეა 1,5 სმ.

ამრიგად ილტოს ნასახლარზე არ აღმოჩნდა კარგად შემორჩენილი ნაგებობები, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ოთხკუთხა ქვისსაძირკვლიანი და ხისკარკასიანი თიხით შელესილი შენობები იგებოდა ბრტყელი, ბანური სახურავით.

ილტოს ნასახლარის ამ ეტაპს შ. დედაბრიშვილი ათარიღებს ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნით და მას მტკვარ-არაქსის კულტურის III ქრონოლოგიურ საფეხურს უწოდებს.

მასალა ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

1. Ш. Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы, ГКАЭ, I, Тб., 1969, с. 42—43.

გრემი

გრემის დროებითი სადგომი, როგორც მას გამთხრელი უწოდებს, შესწავლილია 1965 წელს. წყლის მიერ დახრამულ ხევის პირას, ჭრილში აღმოჩნდა

ორმო, ნახევრად დანგრეული, სიღრმე 0,7 მ, სიგანე—0,5 მ. ვარაუდობენ, რომ ორმო საკვები პროდუქტების შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ორმოში აღმოჩენილი ჭურჭლის ნატეხებიდან აღდგა 7. კერამიკა მოყვითალო-მოწითალო ფერისაა, შეხებისას თხელი ღია ყავისფერი ანგობი ხელზე გადადის. კეცი ნაცრისფერია, მსხვილი კვარცის მინარევით. ამ მასალას, შ. დედაბრიშვილის აზრით, ბევრი აქვს საერთო დიდუბე-კიკეთის მასალასთან, მაგრამ ამავე დროს უფრო არქაულ იერს ატარებს.

მასალა ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

1. Ш. Ш. Дедабришвили. Памятники эпохи ранней и средней бронзы, ТКАЭ, Тб., 1969. с. 70.

მაშნარი

ალაზნის ველზე, სოფ. მაშნართან, აღმოჩნდა ორი ყორღანული სამარხი, რომელთაგან ერთი მოსახლეობას მთლიანად დაუნგრევია. მეორე ყორღანის ქვაყრილის სიმაღლე 0,5 მ, ხოლო დიამეტრი 5 მ ყოფილა. ქვაყრილს გარშემო შემოსდევდა მოზრდილი ლოდების წრე. ყორღანები უორმო იყო, ცენტრში ძაბრისებურად ჩამოშლილი, რაც მიწისზედა ხის კონსტრუქციებს გვაფიქრებინებს. სამარხი ნაგებობის ჩანგრევამ და ქვაყრილის ჩაქცევამ კამარაში ძალზე დააზიანა როგორც მიცვალებულთა ჩონჩხები, ასევე არქეოლოგიური მასალა. კამერაში ათამდე ადამიანის ძვლები და დამტვრეული თიხის 6 ჭურჭლის ნატეხი იყო. ხელით ნაძერწი ჭურჭლის თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი ზოგან შავია, ზოგან მრავალფეროვანი.

სამარხი მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში ექცევა.

მასალა ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

1. კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 32.

ბეშთაშენი

1936—40 წწ. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით სისტემატურ არქე-

ოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა თრიალეთში, წალკის ზეგანზე. ბეშთაშენის უძველესი ნაქალაქარის ტერიტორიაზე, რომელიც სამკუთხა კონცხს წარმოადგენს და გარშემორტყმულია მდინარეთა ღრმა კანიონებით, აღმოჩენილ იქნა მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის ნაშთები. საკონტროლო თხრილებში ზოგჯერ 3 მეტრს აღწევს კულტურული ფენა, რომელშიც აღმოჩნდა კაჟის ისრისპირები და ნამგლის ჩასართები, კაჟის დანა, ხელსაფქვავი. ცხოველის თიხის ქანდაკება. კერამიკა მრავალფენიანია, ზედაპირგაპრიალებული, ზოგჯერ სადა უორნამენტო, ზოგჯერ მსხვილი რელიეფური ორნამენტით შემკული. არის როგორც ღია ფერის, წითელი ანგობით დაფარული, ასევე შავი ფერისა, შიგნიდან წითელანგობიანი, ე. წ. „ვარდისფერსარჩულიანი". მრავლად გვხვდება ჭურჭლის ნახევარსფერული ყუთები. ნაცრიან და ნახშირიან კულტურულ ფენაში ბევრია თიხის ბათქაშის ნატეხები. არის ბოიატული კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი.

აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას ბ. კუფტინი უყოყმანოდ ერთი კულტურის სფეროში აერთიანებს, აღნიშნავს რა მათ საოცარ მსგავსებას არარატიდან თბილისამდე, ნახჭევანიდან თრიალეთამდე. და მის შემდეგ—დასავლეთ საქართველოში—დაბლაგომის მასალების ჩათვლით, თუმცა, ამავე დროს, აღნიშნავს ამ უკანასკნელში აღმოჩენილ განსხვავებულ სპეციფიკურ მასალასაც.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

ნახიდრების ჭალა

ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს შესწავლილი იქნა ქვამოწყობილიანი ყორღანული სამარხი № 3. ყრილის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა დიდი ზომის რიყის ქვებით ნაგები 3 კონცენტრული რკალი, რომელთა შუა მოწყობილი იყო კირქვის ბრტყელი ქვებით მოგებული სამარხი კამერა. სამარხში 4 ჩონჩხი აღმოჩნდა, დაკრძალული თავით ჩრდილოეთით. აქვე თიხის 4 ჭურჭელი იყო—ღია ნაცრისფერი, ზოგან მოყვითალო შეფერილობით, ზედაპირგაპრიალებული. კეცი მუქი ნაცრისფერია. თიხის ჭურჭელი ახლოს დგას დიდუბე-კიკეთისა და სამშვილდის ძეგლების მასალებთან და გამთხრელი ნ. თუშიშვილი მას III ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს.

მასალა ინახება თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი, მატნისჭალის სამაროვანი, თბ., 1972, გვ. 10—11.

ხირსის სამარხი

ხირსის სამარხი გამოვლენილ იქნა 1962 წელს ხირსის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. აკლდამის კედლები ნაგებია რიყის ქვების მშრალი წყობით, ხოლო იატაკი წვრილი ქვებით იყო მოგებული და მოტკეპნილი. სამარხის ორმო ხით იყო გადახურული, რომელსაც ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა. კამერის ზომებია 1,3×1,1 მ, სიღრმე—1,17 მ.

სამარხში აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები, რომელიც გადახურვის ხის კონსტრუქციის ჩანგრევის შემდეგ ჩაცვენილმა ქვაყრილმა ძალზე დააზიანა. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული, ძალზე მოკრუნჩხული, დამხრობილი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ, თავით ჩრდილო-დასავლეთით.

სამარხში იყო ორი ხარის თავის ქალის ზედა ნაწილები, რქებითურთ. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდო ცხვრის თავის ქალა და კიდურების ძვლები. თიხის ორი ჭურჭელიც აღმოჩნდა; მიცვალებულის ბარძაყის ძვლის ქვეშ კაჟის მოკლეყუნწიანი ისრისწვერი იდო. სამარხს გამთხრელი კ. ფიცხელაური ზოგადად ადრე ბრინჯაოს ხანით ათარიღებს.

მასალები ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

1. კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 32.

ნუკრიანის „ნახაზინარის“ სამარხი

სოფ. ნუკრიანის სამხრეთით, ადგილ „ნახაზინარში“ 1954 წელს მეცხვარეებს დაუნგრევიათ ქვაყრილიანი სამარხი აკლდამა. კამერა კლდის ნაგლეჯი ქვებით იყო ნაგები მშრალად, გადახურვას აქაც ხისას ვარაუდობენ, რომლის თავზეც ქვაყრილი ყოფილა. სამარხში აღმოჩნდა ადამიანისა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ბრინჯაოს სატევრის პირი — ბრტყელი, უქედო, მრგვალი მხრებითა და გახვრეტილი ყუნწით. ამ სატევრის მიხედვით, სამაოხს ადრე-ბრინჯაოს ხანის დასასრული ეტაპით ათარიღებენ.

მასალები ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.

ნაომარი გორის სამარხი

ალაზნის ველზე, ნაომარი გორის მრავალფენიანი ნამოსახლარის მახლობლად, მისგან 120 მ დაშორებით აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომელსაც ორი ქვაყრილი ჰქონდა. პირველი, ზედა ქვაყრილის გარშემო საგანგებოდ ქვები იყო

შემოწყობილი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მოზრდილი ქვა ვერტიკალურად იყო დადგმული. ამ ქვაყრილის ქვეშ იყო მიწაყრილი 0,8 მ სიღრმისა, რომლის ქვეშ კვლავ ქვაყრილი იყო, შედარებით უფრო მომცრო, 1×2 მ სიდიდისა. ქვები უშუალოდ მიცვალებულის ჩონჩხზე იყო დაწყობილი, ჩანს, სახურავის ხის კონსტრუქციის ჩანგრევის შემდეგ ქვები სამარხ ორმოში ჩაიქცა, ამიტომაც ქვაყრილის ორმოს კონფიგურაცია მიეცა. სამარხში ერთი ჩონჩხი აღმოჩნდა, დაკრძალული მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულს თავთან ედგა ერთი თიხის ჭურჭელი, აქვე იყო ცხვრის ძვლები. სამარხი გამთხრელის მიერ ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულით არის დათარიღებული. ამ თარიღის გაზიარება ალბათ ძნელი იქნება.

მასალები ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

1. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ნაომარი გორის ნამოსახლართან, „არქეოლოგიური ძიებანი", თბ., 1977, გვ. 19.

ბადაანის ნასახლარი (ტაბ. LXVI, LXVIII, LXXI, LXXIX)

ბადაანის მტკვარ-არაქსის დროის ნასახლარი მდებარეობს თიანეთის რაიონში, დაბა სიონიდან 5 კილომეტრის დაშორებით, პატარა სოფელ ბადაანის განაპირას, მაღალი ფშის სამხრეთ ფერდობზე. დასახლება ზღვის დონიდან დაახლოებით 1200 მეტრზეა. სოფელი კონცხისებურ მაღალ ტერასაზე ყოფილა გაშენებული. ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან ღრმა ხევებითაა შემოზღუდული, ხოლო სამხრეთის და აღმოსავლეთის მხარე გამაგრებული ჰქონია ორი ღრმა თხრილით, რომელიც სოფლის ზრდასთან დაკავშირებით დროთა განმავლობაში შევსებულა და ფუნქცია დაუკარგავს. ამის დასტურია რამდენიმე ნაგებობის ზედ თხრილის თავზე გამართვა. გამოვლენილია 6 შენობის ნაშთი მოგრძო, ოთკუთხა, ხის კარკასზე, რომელიც საკმაოდ ჩქელი ბათქაშით ყოფილა შელესილი. თითოეულ შენობაში ორ-ორი კერა აღმოჩნდა. სამ შემთხვევაში ორივე თიხისშვერილებიანი, სტაციონარული კერა იყო, ხოლო დანარჩენ სამ შენობაში—თითო ქვის კერა. განსხვავებით ქვაცხელეთს შენობებისაგან, ამ ნაგებობებს, ისევე როგორც მჭადიჯვრისას, არა აქვთ დერეფნისებური მინაშენი. შენობები ძლიერი ხანძრისაგან არის განადგურებული. ერთ-ერთის წინ აღმოჩნდა პურის საცხობი მოგრძო ოთხკუთხა გვერდებაკეცილი კეცი—თონე. ადგილობრივ ხევსურ მოსახლეთა გადმოცემით, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული მსგავსი თონეები ცეცხლით ქვემოდან ხურდებოდა, ხოლო ზემოდან გახურებული სიპი ქვა ეფარებოდა.

ნასახლარის შესწავლილ ფართობზე გაითხარა 7 ორმო. უმეტესი მათგანი დიდი ზომისაა, მსხლისებური მოყვანილობის, პირმოყრილი და მუცელგანიერი, ფართო ბრტყელი ძირით. პირის დიამეტრი 1—1,5 მ, ძირისა 2—2,5 მ, სიღრმე 1—1,5 მ. ორის თავზე ქვაყრილებია გამართული. აღმოჩნდა, რომ ორმოები ქაოტურად არ არის შევსებული ნაცარ-ნახშირიანი მასითა და კერამიკით: დადასტურდა ორმოებში 5—6 სმ-ის თიხალესილი შრეების არსებობა 25—30 სმ-ის დაშორებით, რომელთა შორის არე ნახშირიან-ნაცრიანი და კერამიკის შემცველი მასით იყო ამოვსებული. ამავე დროს მეოთხე ორმოში ერთი სასმისის ნახევარი ორმოს ძირზე აღმოჩნდა, ხოლო მეორე ნახევარი, ქვევიდან მეხუთე ფენაში. ამრიგად, სახეზეა სარიტუალო წესი, რომლის დროსაც ორმოს შევსება ალბათ ერთდროულად ხდებოდა. ორმოებში კერამიკის გარდა აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები, ნამგლის ჩასართები, ბრინჯაოს ორი ცული, სატეხი და სხვა ნივთები. აღსანიშნავია მინიატურული ურმის თიხის მოდელი, რომელიც თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული ურმის ზუსტი ასლია.

ნასახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორი კენტატფური სამარხი ძლიერი ცეცხლის კვალით. ერთში 15 ჭურჭელი იყო, ხოლო მეორეში—28.

ბადაანის ნასახლარი მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულ ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს და III ათასწლეულის დასასრულით უნდა დათარიღდეს. ნასოფლარის ცხოვრების ორი საფეხურის გამოყოფა შეიძლება. პირველი: ადრეული ეტაპი, როდესაც სოფელს თავდასაცავი თხრილი ზღუდავდა, მეორე—სოფლის ზრდის გამო თხრილი ივსება, ფუნქციას კარგავს და შენობები უკვე ზედ თხრილზე გადადის.

მასალა ინახება ივრის ხეობის კომპლექსური ექსპედიციის ბაზაზე, თიანეთის რაიონის დაბა სიონში.

ბიბლიოგრაფია

1. Г. Мирцхулава, Н. Мирцхулава, Итоги работ археологической экспедиции Иорского ущелья, ПАИ за 1977, 1978, 1979, 1980, 1981, 1982, 1983 гг. Тб.

გორშევარდენის ყორღანები

თიანეთის რაიონში, გორშევარდენის მთაზე ივრის ხეობის კომპლექსურმა ექსპედიციამ 1981 წელს შეისწავლა 2 ყორღანული სამარხი.

გორშევარდენის № 1 ყორღანი (დიამეტრი 14 მ, სიმაღლე 1,5 მ) ქვაყრილიანია, უორმოო. ყორღანის თავზე, ცენტრალურ ნაწილში, შეიმჩნეოდა ქვაყრილის ჩაწოლა, რაც მის ქვეშ არსებული ხის ნაგებობის ჩაქცევას უნდა გამოეწვია. სამარხი კამერის ზომებია 4,5×5 მ, რომელიც მიწის ზედაპირიდან 20—25 სმ-ის სიღრმეზე იყო ჩაჭრილი ყვითელ დედაქანში. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას გააჩნდა დრომოსი, ასევე 26 სმ სიღრმეზე ჩაჭრილი დერე-

ფანი, რომელიც კამერასთან 2 მეტრის სიგანისა იყო, ხოლო გარეთ ვიწროვდებოდა და ქვაყრილის ნაპირთან 0,7 მეტრს უდრიდა. დრომოსისებური დერეფნის მთელ სიგრძეზე და კამერის იატაკზე ძლიერი ცეცხლის კვალი შეინიშნებოდა.

კამერაში აღმოჩნდა მიცვალებულთა ორი ჯგუფი: სამხრეთით ერთიმეორეზე დაწყობილი იყო ორი მიცვალებულის ჩონჩხი თავის ქალების გარეშე. აქ დაკრძალვის პოზა არ დადგინდა. კამერის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი. სამარხი ნაგებობის ჩანგრევის შედეგად ძალზე დაშლილი იყო ძვლები და თიხის ჭურჭელი. სავარაუდებელია მიწისზედა ხისნაგებობიანი ყორღანული სამარხის საოჯახო საძვალედ გამოყენება.

გარდა თიხის ჭურჭლისა, სამარხში აღმოჩნდა ორი ქუსლამოღარული ობსიდიანის ისრისპირი, ერთი ბრინჯაოს ისრისპირი, სარტყლისა და პაპტის მძივები. კამერის მთელს ფართობზე მობნეული იყო ცხვრის ძვლები.

ყორღანი № 2 ტორმოოა, დიამეტრი 9 მ, სიმაღლე—0,8 მ: მიწაყრილიანი, რომელსაც ზემოდან წვრილი ქვის პერანგი ჰქონდა. სამარხი კამერის ზომებია: 4,5×5,2 მ, სიღრმე—25 სმ, სამხრეთის მხრიდან გამართული დრომოსისებური დერეფნით. აქაც, როგორც პირველ ყორღანში, ყველგან ჩანდა ცეცხლის კვალი. კამერის ცენტრში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ძვლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. იქვე იყო კიდევ ორი თავის ქალა ჩონჩხების გარეშე. სამარხში სამი თიხის ჭურჭელი იდო. კამერის ხის კონსტრუქციის ჩანგრევამ აქაც დიდი ზიანი მიაყენა ჩონჩხსა და ინვენტარს.

სამარხები ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით თარიღდება.

მაგრანეთის ყორღანები

გაითხარა სამი ქვაყრილიანი ტორმოო ყორღანი 6-დან 10 მ დიამეტრისა და 1—2 მ სიმაღლისა. № 3 ყორღანში მიცვალებული მარცხენა გვერდზე იყო დასვენებული თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სამარხი კამერის სამხრეთ კედელს პატარა თახჩა ჰქონდა შეკრული. ზედ საქონლის ძვლები იყო დაწყობილი, სამარხი გაძარცული ჩანდა. თიხის ჭურჭლის ნატეხებთან ეოთად აღმოჩნდა ერთი ძვლის საკიდი და ბრინჯაოს ისრისპირი.

№ 4 ყორღანში კამერის თიხატკეპნილ იატაკზე ძვლისა და კერამიკის რამდენიმე ნატეხი იყო მხოლოდ.

№ 5 ყორღანში ორი მიცვალებული ესვენა. ერთი დაკრძალული იყო სამარხის ცენტრალურ ნაწილში, თავით აღმოსავლეთისაკენ, ხელფეხმოკეცილი,

ხოლო მეორის ჩონჩხი ელაგა მის ფერხთით, სამარხის დასავლეთ ნაწილში. აღმოჩნდა ძალზე დაშლილი ერთი თიხის ჭურჭელი.

ზემოთ აღწერილი სამივე ყორღანი III ათასწლეულის დასასრულით უნდა დათარიღდეს.

ორხევის ორმოსამარხები

ივრის ხეობის კომპლექსურმა ექსპედიციამ 1982 წელს თიანეთის რაიონის სოფ. ორხევის თავში, წყალდიდობის დროს ნიაღვრის მიერ დახრამულ მთის კალთებზე ოთხი სამარხი აღმოაჩინა, რომლებიც ინდივიდუალური ჩანს. ორმოს სიღრმეა დაახლოებით 80—90 სმ, დიამეტრი—2 მეტრამდე. სამარხებს, ჩანს, მოზრდილი ქვაყრილები გააჩნდათ.

ორმოსამარხთა კერამიკა განსხვავდება ყორღანთა კერამიკისაგან. ეს არის შავპრიალა, ხშირად ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭელი და ფორმით ძალიან ემსგავსება თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ყორღანების კერამიკას, რის გამოც, შესაბამისად, III ათასწლეულის დასასულით უნდა დათარიღდეს.

მასალები ინახება ივრის ხეობის კომპლელქსური ექსპედიციის ბაზაზე, თიანეთის დაბა სიონში.

ბიბლიოგრაფია

1. Г. Мирцхулава, Н. Мирцхулава, Итоги работ археологической экспедиции Йорского ущелья, ПАИ за 1982 г., Тб., 1983.

ხიზანაანთ გორა (ტაბ. LXXXIX—XCIII)

ხიზანაანთ გორის ნასახლარი ქარელის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ამაღლებული ტერასის კიდეზე მდებარეობს. იგი შექმნილია ნამოსახლართა დაფენების შედეგად. კულტურული ფენის სისქე აქ 8 მეტრს აღემატება, ფართობი—340 კვ. მეტრს. მისი შესწავლა დაიწყო 1953 წელს; შემდგომ წლებში გორაზე არქეოლოგიური ძიება აღარ წარმოებდა, სისტემატური კვლევა მხოლოდ 1960 წელს განახლდა და 1964 წელს დამთავრდა.

აქ, ფეოდალური და ანტიკური ხანის ფენების ქვეშ, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის 4 ფენა (B, C, D, E). ეს ფენები ძლიერაა დაზიანებული და ქვაცხელასაგან განსხვავებით არ იძლევა გეგმარების ნათელ სურათს, ამიტომ მისი გეგმარების, არქიტექტურისა და სამშენებლო საქმის გარკვევას დიდად უწყობს ხელს ქვაცხელას მონაცემები. როგორც ფიქრობენ, ამ ორი ძეგლის B და C ფენები სინქრონულია, ხოლო ხიზანაანთ გორაზე დამოწმებული კიდევ ორი, ადრეული ფენა (D, E), საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ

ნასახლარის ევოლუციას მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ხიზანაანთ გორაზე ორი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობაა დადასტურებული: მრგვალი (E, D ფენები) და ოთხკუთხა (C, B ფენები). მათი თანმიმდევრობა ისეთია, რომ მრგვალი ნაგებობა დროით წინ უსწრებს ოთხკუთხას. როგორც ფიქრობენ, ქვაცხელა ხიზანაანთ გორის სამოსახლოზე შეკრებილი ნამატის შედეგად წარმოიქმნა. C და B ფენების პერიოდში ეს ორი სამოსახლო ერთდროულად განაგრძობს არსებობას.

ხიზანაანთ გორის ქვედა, E ფენა ორი ჰორიზონტითაა წარმოდგენილი. ერთი მთლიანი, თიხით მოტკეპნილი მოედანი მცირე ზომის კონუსური ან ორფერდასახურავიანი მოწნული თოლოსებით უნდა ყოფილიყო გამართული. შენობების ცენტრში, იატაკზე, სტაციონარული კერა იყო ჩალესილი. ეს ფენა ზედა ფენებისაგან განსხვავდება საკულტო და სამეურნეო ორმოების სიმრავლით. ერთ-ერთ ამ ორმოს ჩაპრილი ჰქონდა სამარხი. მომდევნო D ფენაშიც მრგვალი შენობებია აღმოჩენილი. ამ დროის შენობა წრიული გეგმის წნული ოთახია, ორმხრივ თიხით შელესილი კედლებით. იატაკი ნალესია ნაცრით, ფენებად და წითლადაა შეღებილი. შეღებილი იყო სტაციონარული შვერილებიანი კერაც, რომლის უკან ამოღებულია დედაბოძის ორმო. კედლის გასწვრივ, იატაკზე, ნაცრით მოლესილია 3—4 სმ სიმაღლის წრიული შემაღლებების რიგი. ოთახს აქვს ასევე სარლასტით ნაგები წრიული, 1 მ სიგანის მინაშენი. გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო, D ფენის ტიპის შენობების განვითარება შემდგომში აღარ ხდება, მას ცვლის სწორკუთხა ნაგებობები.

C და B ფენები სამ-სამ ჰორიზონტს შეიცავენ. მათში გათხრილია 13-ზე მეტი ნაგებობა. მშენებლობის ტექნიკა იგივეა, რაც D ფენაში. ამ ფენებში დამოწმებული შენობები დიდ სიახლოვეს იჩენს ქვაცხელას ნაგებობებთან, რაც განსაკუთრებით ნათლად ხიზანაანთ გორის B ფენაზე ითქმის. ზოგი თავისებურება შეინიშნება C ფენაში, განსაკუთრებით მის ადრეულ ჰორიზონტებში, სადაც შენობის კუთხეები და კედლებიც კი რამდენადმე მომრგვალებულია. არ ჩანს აქ კერის უკან გამართული ორმოც. ხიზანაანთ გორის სამაროვანი ნასახლარიდან რამდენადმე მოშორებით გამოვლინდა. სულ გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის 8 ორმოსამარხი თითო-თითო მიცვალებულით. სამარხთა უმრავლესობა დაზიანებულია ზედა ფენების მიერ, ძვლებიც ცუდადაა შენახული. ჩანს, რომ დასაკრძალავად იყენებდნენ სპეციალურად გაპრილ ორმოებს, რიმელთა ფსკერზედაც ასვენებდნენ ძლიერ მოკრუნჩხულ მიცვალებულებს, მარჯვენა გვერდზე. უმეტესობას თავი სამხრეთით აქვს მიქცეული. ზოგ სამარხს თავზე დიდი ზომის რიყის ქვა ედო. ყველა სამარხი ინვენტარიანია, შეიცავს კერამიკისა და ლითონის ნივთებს.

ერთი სამარხი (№ 44) მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მიცვალებული ძლიერ მოკრუნჩხულადაა დაკრძალული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთით. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს:

1. შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ბადია, ცალყურა, ბიკონუსური. იდო მიცვალებულის სახის წინ.
2. შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, ძირვიწრო ცალყურა ბადია.
3. ცალყურა, წაბლისფერი სასმისი, მუცელზე წიბოთი. იდო პირველ ბადიაში.
4. სპილენძის მძივები, 8 ცალი. 1 ვერცხლისაა.
5. სპილენძის ქინძისთავი. წარმოადგენს ბოგრძო ღეროს, რომლის ერთი ბოლო გაწვრილებულია და წამახული. საკინძის თავი ორმხრივ მიმართული, ერთ სიბრტყეში დახვეული სპირალებით თავდება. იდო მიცვალებულის ზურგთან.
6. სამაჯური სპილენძის, წარმოადგენს ორმაგ ბრტყელ ხვიას, რომლის ბოლოები ვიწროვდება და გათხელებულია. ეკეთა მიცვალებულს მარცხენა ხელზე.
7. საკიდი ბრტყელი, ტრაპეზის მოყვნილობის. აქვს ჩამოსაკიდი ხვრელი. საკიდზე ამოღარულია ერთიმეორეში ჩასმული ორი კუთხე, შემდეგ კი ღრმა წერტილია გამოსახული. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში.
8. მძივები პასტის, მომწვანო და მოთეთრო ფერისა.
   მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში,

ბიბლიოგრაფია

1. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
2. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.

ქვაცხელა (ტაბ. XCIV—CI)

ქვაცხელას ნასახლარი მდებარეობს ქარელის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა, მაღალ ტერასაზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სეზღვრავს პატარა ხრამები, ხოლო სამხრეთიდან მდინარის ციცაბო ფერდობი. აქ 1954—1961 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგად სამი კულტურული ფენა აღმოჩნდა. ზედა—ადრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნება, ქვედა ორი—B და C (საშუალოდ 1,70 მ საერთო სიმძლავრის) ფენები შეიცავენ სამ-სამ ჰორიზონტს და ასახავენ ადრებრინჯაოს ხანის განვითარებულ და გვიან საფეხურებს. ექვსივე ჰორიზონტი თანმიმდევრულად არის წარმოშობილი ერთიმეორის შემდეგ. ყოველი ახალი ნამოსახლარის შექმნა ხდებოდა არა შენობათა თანდათანობით შეკეთების ან განახლების შედეგად, რისი კვალიც ცალკეულ შენობებში არსებობს, არამედ დროებითი შეჩერების შემდეგ, ცხოვრების განახლებითა და ახალი საშენებლო ფენის გაჩენით.

ქვაცხელას ჰორიზონტები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, აქ ზოგჯერ კერა კერასა და კედელი კედელს აზის. სტერილური ფენები მათ შორის არ არის. ქვედა, C ფენაში ყველაზე უკეთ შემონახულია ნახანძრალი C,

ჰორიზონტი, სადაც ნანგრევების სქელი ფენის ქვეშ ხელუხლებლადაა დაკონსერვებული შენობის ნაწილები. მასალის უმეტესობაც სწორედ ამ ჰორიზონტიდან მომდინარეობს. აქ გამოვლენილი და გათხრილი იქნა შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი „სტანდარტული" ტიპის 25 შენობა. აქედან 22 კარკასულ-თიხალესილია, 3 ნაგებია ალიზის აგურით.

B ფენაში გაითხარა 15 შენობა, რომლებიც თითქმის ზუსტად იმეორებენ ფენის შენობათა ტიპს. როგორც ჩანს არ იცვლება ნასახლარის გეგმარება; ქვაცხელას ნამოსახლარის არსებობის მთელ მანძილზე.

სახლები განლაგებულია მეტ-ნაკლებად სწორ მწკრივებად ერთმანეთთან ახლოს და დაჯგუფებულია პატარა მოედნებისა და გასასვლელების გარშემო. ტერიტორიის დახრილობის გამო ნასახლარს მიღებული აქვს რამდენიმე ტერასული სახე. სახლები ოთხკუთხაა, წაგრძელებული, მომრგვალებული კუთხეებით. ნაგებობა, როგორც წესი, შედგება ორი ნაწილისაგან — თითქმის კვადრატული ოთახისა და მისგან კედლით გამოყოფილი, ფასადისაკენ გაგრძელებული შესასვლელი დერეფნით. ოთახი საცხოვრებელია, დერეფანს კი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ოთახში შესასვლელიც კედლის ცენტრშია მოქცეული. ხშირად ოთახის უკანა კედელთან გამართულია მცირე შემაღლება. ოთახის ცენტრში სტაციონარული მრგვალი, შვერილებიანი კერაა; მის უკან რიყის ქვებით მოგებულ ორმოში იდგა ოთხკუთხა ბოძი, რომელსაც სახურავი ეკავა. სახლებს აგებდნენ წინასწარ მოსწორებულ ჰორიზონტალურ მოედანზე, განსაკუთრებული ფუნდამენტის გარეშე. კედლები იგებოდა ან ალიზის აგურით (43×17×11 სმ) ერთ რიგად, ან ეაწნული თიხალესილი კარკასით; იატაკი თიხით იყო მოლესილი, ამასთან არაერთხელ, და კარგად მოპრიალებული. ქვემოდან იგი გამაგრებული იყო რიყის ქვის ერთფეროვანი საფუძვლით. კედლებისა და იატაკის გარკვეული ნაწილები და შემაღლების კიდეები წითლად იყო მოხატული ოქრით. სახურავში გაკეთებული უნდა ყოფილიყო საკვამური, საიდანაც სინათლეც უნდა შემოსულიყო. არაა გამორიცხული, რომ სახლებს ჰქონდათ ვიწრო ფანჯრებიც.

ქვაცხელაზე, გარდა ნასახლარისა, აღმოჩენილია ორი სამაროვანიც: ეთი — ქვაცხელას სამაროვანი, საკუთრივ ნასახლარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იქნა მიკვლეული, მეორე — ტვლეპია წყაროსი, ნასახლარიდან ორასსამდე მეტრის მანძილზე აღმოჩნდა.

ქვაცხელას ორიარუსიან სამაროვანზე გათხრილია 15 სამარხი. ქვედა ორი (№ 1 და № 5) გრუნტული სამარხებია, ზედა ცამეტიდან № 3 და № 8 უორმოო ქვაყრილიანი, დანარჩენი კი ქვაყრილიანი ორმოსამარხებია. მათი უკეთ წარჩენისათვის აღვწერთ როგორც ქვედა, ისე ზედა იარუსიდან თითო სამარხს.

№ 5 სამარხი წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე ორიენტირებულ ორმოს ზომით: 1,25×0,80 მ. ორმო ჩაჭრილი იყო ძირითადად გრუნტში და ავსებული შავი ფერის თიხნარი მიწით. სამარხის

სილრმე უდრიდა 43 სმ. მასში თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე ესვენა ერთი მიცვალებული, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა ორი ჭურჭელი, ძვლის კვირისტავი, სპილენძის ვოლუტებიანი საკინძი და სარდიონის, ქალცედონისა და თეთრი პასტის მძივები.

ზედა იარუსის № 2 სამარხს ეფარა რიყის ქვის გროვა, რომელსაც თითქმის კვადრატული მოყვანილობა (1,9×2,30 მ) ჰქონდა. ქვაყრილის ქვეშ, უშუალოდ გრუნტში ჩაჭრილი იყო ოთხკუთხა ორმო (1,9×2,3×0,9 მ), აგრეთვე ამოვსებული რიყის ქვით. ორმოს კედლებზე წესიერ რიგებად მოწყობილი იყო საგანგებოდ შერჩეული ბრტყელი რიყის ქვები. ორმოში აღმოჩნდა ორი ჩონჩხი, გვერდზე დაკრძალულნი, პირისპირ, ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში. თავის ქალებსა და კედლებს შორის იდგა თიხის სამი ჭურჭელი.

მარჯვენა გვერდზე მდებარე ჩონჩხის თავის ქალაზე თავდაღმა ჩამოცმული იყო თხელფურცლოვანი სპილენძის გახსნილი დიადემა. ამავე ჩონჩხს მარცხენა მკლავზე ჰქონდა სპილენძის ორხვია ზურგწიბოიანი სამაჯურები, ყელისა და გულ-მკერდის არეში მიმობნეული იყო სპილენძისა და ქვის მძივები. ხერხემალთან აღმოჩნდა ვერცხლის მავთულის ოთხი ხვია.

ქვაცხელას სამაროვნის დანარჩენ სამარხებში აღმოჩნდა მცირეოდენი თიხის ჭურჭელი და ლითონისა და ქვის იარაღ-სამკაული.

ქვაცხელას მახლობლად, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორასიოდე მეტრის მანძილზე გამოკვლეულია ტვლეპიას წყაროს ქვაყრილიანი ორმოსამარხები, რომელთა ცუდი დაცულობის გამო ძნელდება დაკრძალვის წესისა და სამარხთა დამხრობის ზუსტი განსაზღვრა. ჩანს, რომ ისინიც ინჰუმაციურია. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკით, ლითონითა და ქვის იარაღ-სამკაულით.

ტვლეპიას წყაროს ერთი —№ 3 სამარხი წარმოადგენს ოთხკუთხა მოყვანილობის, მიწის ზედაპირიდან 28 სმ სილრმეზე ამოჭრილ ქვაყრილიან ორმოს, ზომით 2×2,35 მ, ორიენტირებულს № S ხაზზე. ის თითქმის მიწის ზედაპირზე ამოდიოდა. ყრილი გაკეთებული იყო რიყის ქვისაგან. ჩონჩხის ნაშთები შეინიშნებოდა ქვებს შორის, სხვადასხვა დონეზე. არც მისი მიმართულებისა და არც მიცვალებულთა რაოდენობის გარკვევა მათ მიხედვით არ შეიძლებოდა. მხოლოდ ერთ კუთხესთან იყო ბავშვის თავის ქალის ფრაგმენტები, სარძევე კბილებითურთ.

ორმოს ძირზე აღმოჩნდა ლითონის ოთხწახნაგა ყუნწიანი, ხიშტისებრი შუბისპირი. ორმოს სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სპილენძის ორსპირალიანი პატარა ხვია და გახსნილი რგოლი, ლითონის კასრისებრი 18 მძივი. ერთი ასეთივე მძივი იდო SO ნაწილში. აქვე აღმოჩნდა თეთრი მასის მძივმილაკი.

ქვაცხელას სამაროვნის პირველი და მეორე იარუსი, რომლებიც მოქცეულია C_1 ჰორიზონტის ქვეშ, უკავშირდება შესაბამისად C_2 და C_3 ჰორიზონ-

ტებს, ხოლო ტკლეპიას წყაროს სამაროვანი უნდა იყოს C_1 ჰორიზონტის ნამოსახლარის, ან უშუალოდ მისი მომდევნო ხანისა.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ა. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი I, თბ., 1962.

არადეთის გორის სამარხები

ქარელის რაიონში, არადეთის ჩრდილო გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1—1,5 მ სიღრმეზე გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის ოთხკუთხა ქვამიწაყრილიანი 13 ორმოსამარხი; მათი კედლები ამოშენებულია საშუალო ზომის რიყის ქვებით. ცვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები. მიცვალებულები მარჯვენა გვერდზე არიან დაკრძალულნი, მოხრილი კიდურებით, თავებით სამხრეთისაკენ.

სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს შავი და ვარდისფერზედაპირიანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს, პასტის, ანთიმონის, ქვის მძივები, ვერცხლის, ბრინჯაოსა და ანთიმონის ხვიები, ანთიმონისავე ვოლუტებიანი საკიდი, ბრინჯაოს შახათი, კაჟის ისრისპირი და სხვ.

მოპოვებული მასალა პარალელებს პოულობს ქვაცხელა-ხიზანაანთ გორის C და B ფენების მასალებში და ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ი. გაგოშიძე, ე. ქორიძე, ა. გოგიჩაიშვილი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979—81 წლების საველე მუშაობის ანგარიში, სსმაე, VIII, თბ., 1986.

დიდი ახალსოფელი

დიდი ახალსოფელი მდებარეობს ქარელის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადგურ ქარელიდან დასავლეთით 12 კმ-ზე.

1946 წელს აქ სარწყავი არხის გაჭრისას აღმოჩნდა კულტურული ნაშთების შემცველი ცალკეული „ბუდეები“, რომელნიც ერთმანეთისაგან დაშორებული ყოფილან 5—12 მეტრით მიწის ზედაპირიდან 0,4—1,5 მ სიღრმეზე. არხის ორივე კედელში დაზიანებულ „ბუდეებს“ ჭრილში გუმბათისებრი ან ოვალური მოყვანილობა აქვთ. მათი სიგრძე 1—1,5, ხოლო სიიაღლე 0,5—0,7 მ უდრის.

თითოეული „ბუდე“ დამწვარი თიხის, ნახშირისა და ნაცრის გარდა შეი-

ცავდა შავი ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს ნახევარსფერული ფორმის ყურით, ობსიდიანის დაუმუშავებელ ნატეხებს, ცხოველთა ძვლებსა და კბილებს.

თითოეული „ბუდე", დამწვარი თიხის, ნახშირისა და ნაცრის გარდა, შეიცავდა შავი ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს ნახევარსფერული ფორმის ყურით, ობსიდიანის დაუმუშავებელ ნატეხებს, ცხოველთა ძვლებსა და კბილებს.

„ბუდეების" რაოდენობა 12-ია. ერთ მათგანში აღმოჩნდა მოზრდილი დერგი. მას განიერი ყელი, კარგად გამოსახული მხარი და ცილინდრული მოყვანილობის კორპუსი აქვს, მხარზე ორი ნახევარსფერული ყურით. მას პარალელი ეძებნება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ მასალებში.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, სსმმ XV—B, თბ., 1948.

გუდაბერტყა

ნასოფლარი მდებარეობს კვერნაქების მთის ფერდობზე, გორი-ნატახტარის გზატკეცილთან, სოფ. სვენეთსა და ახალშენს შუა, ქ. გორიდან 9 კმ-ის დაშორებით.

აქ 1956 წლიდან დროგამოშვებით წარმოებს მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები. ჩატარებული სამუშაოებით გამოვლენილი ექვსი ფენიდან ქვედა ორი ადრებრინჯაოს ხანისაა. აქვე აღმოჩნდა თიხალესილი წნული ორი ნაგებობა; ერთს კუთხეები მომრგვალებული აქვს, მის დასავლეთ ნაწილში პოლიქრომული კედლის მხატვრობა დადასტურდა.

კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალებიდან აღსანიშნავია თიხის კერები, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა, თიხის მცირე ზომის ადამიანის ქანდაკება, თიხის ბეჭედი ირმის გამოსახულებით და სხვ.

მასალა ინახება გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. შ. ამირანაშვილი, ს. ნადიმაშვილი, შიდა ქართლის უძველესი ნასოფლარის „გუდაბერტყა — ციხია-გორას" ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1956 და 1960 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1961.
2. ს. ნადიმაშვილი, გუდაბერტყა-ციხიაგორა, ჟურნ. „ლიახვი", გორი, 1963.

ქულბაქების ნასახლარი (ტაბ. CII 1—8)

ეს ნასახლარი ცხინვალის მახლობლად სოფ. ოსპრისთან მდებარე ბორცვზეა განლაგებული. იგი 3 მ სიმაღლისაა, სიგრძე—58 მ, სიგანე—45 მ აქვს. არქეოლოგიური გათხრებით, რომელიც აქ 1950—51 და 1954 წლებში მიმდინარეობდა, ადრებრინჯაოს ხანის ფენა ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა.

ქვაყრილის აყრის შემდეგ აღმოჩნდა ამ ხანის ჭურჭლით მოფენილი მოედანი. მოედანზე იყო მრგვალი, შვერილებიანი კერა, გარშემო შემოწყობილი ჭურჭლებით. იქვე, მახლობლად, აღმოჩნდა პატარა თიხატკეპნილი მოედანი, ზედ ადამიანის დამწვარი ძვლებით.

ამ ხანის ნაშთები ქულბაქების მახლობლად დადასტურდა: ოსპრისის ხევის მარჯვენა ნაპირზე—„კულო-ხომზე" და ამავე ხევის მარცხენა ნაპირზე—ზღუდერზე. „კულო-ხომზე" მცირე ფართობი იქნა გათხრილი, რომელზედაც ადრებრინჯაოს ხანის ხუსტი ფენა გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა აღმოჩნდა, ძირითადად თიხის ჭურჭელი, მრგვალი კერის ფრაგმენტები და რქისებრი სადგარი.

ზღუდერზე ორ ადგილას წარმოებდა გათხრები: ერთი თიხის კარიერთან, ზღუდრის გვერდაზე და მეორე ზღუდრის ბორცვზე, ოსპრისის ხევის პირას. ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი მცირეოდენი მასალიდან აღსანიშნავია კერის ნალისებრი სადგრისა და კერამიკის ფრაგმენტები.

ზღუდრის ბორცვზე გაცილებით მეტი და საინტერესო მასალაა. აქ აღმოჩნდა მოზრდილი ქვებით ნაგები ოგრძელი კედლის ნაშთი, ქვებს შიგნით კი—ნაცრისფერი ფენა მტკვარარაქსული კერამიკით. ამას გარდა, ნაპოვნია თიხის კერები, ქვის იარაღები და სხვ.

ამ ძეგლებზე აღმოჩენილი თხელი კულტურული ფენები, მოედნები, მრგვალი კერებით იმაზე უნდა მიუთითებდნენ, რომ საცხოვრებელი მიწის ზემოთ იყო ნაგები ხისაგან.

ყველა ჩამოთვლილი ძეგლი ერთმანეთთან ახლო მდებარეობს. ამათგან ქულბაქების ბორცვი ყველაზე შემაღლებულ ადგილასაა, შედარებით უფრო ძლიერ კულტურულ ფენას შეიცავს, რის გამოც საფიქრებელია, რომ ის ძირითადად სამოსახლო ადგილს წარმოადგენდა.

მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, ВМГ, XIV-В, Тб., 1947.
2. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в бассейне рек Линахви, Проне, Квирилы и среднего Риони в 1951 г., ВГМГ, 30 В, Тб., 1974.
3. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.

4. В. П. Любин, Археологическая разведка в окрестностях г. Сталинира, КСИИМК, № 60. М., 1955.
5. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.

ახალი ჟინვალი (ქვ. არანისი) (ტაბ. c III)

ახალი ჟინვალის (ქვ. არანისი) ნასახლარი მდებარეობს დუშეთის რაიონში, მეცხოველეობის ფერმისა და მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. არაგვის მარჯვენა ტერასაზე. აქ 1975—83 წწ. გაითხარა 100-მდე ორმო. აქედან ერთი სავსე იყო ნაცრით, რამდენიმე უინვენტარო იყო. ერთ-ერთ ორმოში ადრებრინჯაოს ხანის კერამიკასთან ერთად მოკრუნჩხულად დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხიც აღმოჩნდა. დანარჩენ ორმოებში მრავლად იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

აღსანიშნავია ორმო № 7 (სიღრმე—0,40 მ, დიამეტრი—2 მ), რომლის ზედაპირი გადახურული იყო სარლასტის ანაბეჭდიანი ალიზის ნატეხებით. როგორც ჩანს, ეს ორმო იყო ნაშთი მრგვალი სათავსოსი, რომლის იატაკის დონეზე 19 მთელი ჭურჭელი, დიდი ზომის ჭურჭლების 50 ფრაგმენტი, თიხის ზესადგარი და თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მომცრო ზომის ჭურჭლებში შემორჩენილი იყო მარცვლეულის ნაშთები.

ახალი ჟინვალის ნასახლარზე მოპოვებულია მრავალრიცხოვანი სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმი. ყურადღებას იქცევს წითელ ფონზე შავი საღებავით მოხატული ჭურჭელი, გვხვდება მარტივი გეომეტრიული სახეები, სვასტიკისებრი გამოსახულება და სხვ., რითაც ძირითადად ჭურჭლის ზედა ნაწილია ორნამენტირებული. აქვეა თიხის ღრუქუსლიანი ვაზები, დიდი ზომის ჭურჭლები რელიეფით გამოყვანილი ზოომორფული გამოსახულებებით.

გარდა კერამიკული ნაწარმისა, ორმოებში აღმოჩენილია ლითონის ნივთებიც: ხიშტისებრი იარაღი, სატეხი, სამაჯურები, აგრეთვე ქვისა და ძვლის იარაღები.

მასალის ნაწილი ინახება ჟინვალის ექსპედიციის არქეოლოგიურ ბაზაზე, ნაწილი ექსპონირებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Жинвальская экспедиция, АО, 1975 г., М., 1976.
2. М. Г. Глонти, Памятники Арагвского ущелья раннебронзовой эпохи, Душетская научная конференция, аннотации, Тб., 1984.

მჭადიჯვრის გორა

იგი მდებარეობს დუშეთის რაიონში, მდ. ნარეკვავის ხეობაში. აქ 1974 წლიდან მოკიდებული წარმოებს გათხრები, რის შედეგად გაირკვა, რომ გორა შეიცავდა ფეოდალურ, გვიანი ბრინჯაოსა და ადრებრინჯაოს ხანის ფენებს სტრატიგრაფიული განლაგებით.

ადრებრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩნდა კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა შენობის ფუნდამენტის ნაშთი (3,6×3,3 მ). გაითხარა მასალით საესე რამდენიმე მრგვალი ორმოც. ორ ორმოს ჭრილში მსხლისებრი ფორმა აქვს და 1,50—1,75 მ სიღრმისაა.

ნასახლარზე მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია მრგვალი, შვერილებიანი და ბრტყელი კერები, თიხის ცხვრის მცირე ქანდაკება, ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი, ირმის რქის წერაქვის ფორმის იარაღი, კაჟის შუბისა თუ ისრისპირები და სხვ.

აქ აღმოჩენილი კერამიკა ემსგავსება ქვაცხელა-ხიზანაანთ გორის მასალას და მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპს.

მასალა ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია

1. Л. Цитланадзе, М. Менабде, Исследования в ущелье р. Нареквави, АО, 1975 г., М., 1976.
2. Л. Цитланадзе, Исследования Мчадиджварского жилого холма, АО 1976 г., 1977.
3. Л. Цитланадзе, Т. Кигурадзе, М. Менабде, Н. Мирцхулава, Раскопки населенного холма в с. Мчадиджвари, ПАИ 1976 г., 1979.

მეტეხის ნასახლარი (ტაბ. CII$_{9-10}$)

მეტეხის ნასახლარი 1963 წელს აღმოჩნდა მეტეხის რკინიგზის სადგურთან. საძიებო თხრილით გამოვლინდა ნასახლარის ნაშთი, რომელიც წარმოადგენდა მრგვალი ან ოვალური ფორმის ნაგებობის თიხატკეპნილ იატაკს, ცეცხლის კვალით. ეს ნაგებობა, შიდა ქართლის ნასახლართა მსგავსად, სარლასტით უნდა ყოფილიყო ნაგები.

იატაკის ცენტრში ჩადგმული იყო თიხის მრგვალი, უშვერილო კერა, რომლის ძირზე, შუაში, ნახვრეტი იყო დატანილი.

აღმოჩენილი კერამიკიდან აღსანიშნავია ვარდისფერი სამყურა ჭურჭლები, ორყურა ქოთანი და სხვ.

მეტეხის ნასახლარი შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებთან, ქვაცხელა-ხიზანაანთ გორა B ფენასთან პოულობს საერთოს.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. გ. ფხაკაძე, ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი მეტეხთან, „მაცნე", № 6, 1967.

ტყვიავის ყორღანები

1938—40 წწ. გორის რაიონში, სოფ. ტყვიავთან გაითხარა სამი ყორღანი— კონსტრუქციულად ერთმანეთის მსგავსი, სამივე ორმოიანი (დიამეტრი —15—20 მ, სიმაღლე—0,60—1 მ.). პირველში 42 სამარხი აღმოჩნდა სხვადასხვა დონეზე, დაკრძალვის სხვადასხვა წესით (გულაღმა, მოკრუნჩხული, ფეხებმოხრილი, გვერდზე მწოლარე და სხვ.). სამარხების უმრავლესობა უინვენტარო იყო. მხოლოდ სამ სამარხში იდო შავპრიალა, წითელშიდაპირიანი ჭურჭელი. სხვა ინვენტარს წარმოადგენდა კაჟის ისრისპირი, საჭრისი, დანისპირი და ბრინჯაოს ბრტყელი ბეჭედი.

მეორე ყორღანში ერთი მიცვალებული იყო დამარხული. აქ აღმოჩნდა ქვის ლახტისთავი, ბრინჯაოს სადგისი, დანისპირი, და თიხის ჭურჭელი.

მესამე ყორღანში ორი მიცვალებული ესვენა. ერთ-ეოთ თავის ქალას ქვეშ სასაფეთქლე რგოლი ედო. რიყის ქვებში აღმოჩნდა შავი ბადია.

მასალა ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943.

ძალინას სამაროვანი (ტაბ. CII 12—14)

ძალინას სამაროვანი მდებარეობს ზნაურის რაიონში, სოფ. ძალინასთან, გზის პირას. მისი შესწავლა წარმოებდა 1951 და 1953 წლებში.

კონსტრუქციულად სამარხები ორგვარია და დაჯგუფებულია სამაროვნის ორ უბანზე: აღმოსავლეთის უბნის სამარხები განსხვავდება დასავლეთის უბნის სამარხებისაგან როგორც დაკრძალვის წესით, ისე სამარხეული ინვენტარით. სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში მიცვალებულს პირდაპირ მიწის ზედაპირზე დებდნენ და ზემოდან ქვაყრილს უკეთებდნენ. დასავლეთ ნაწილში კი მას ჯერ საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ და შემდგომ აყრიდნენ ქვას. მიცვალებულნი გვერდზე არიან დაკრძალულნი, მოკრუნჩხულად, ჩატანებული

აქვთ მცირეოდენი სამარხეული ინვენტარი. დასავლეთის უბნის სამარხები რაჟ-დენადმე უფრო ადრეულია, ვიდრე აღმოსავლეთისა.

ორივე უბანზე დაახლოებით ერთნაირი ხასიათის სამარხეული ინვენტარია აღმოჩენილი: თიხის ჭურჭელი და ლითონის ნივთები. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთის უბანზე გაცილებით მეტია.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в бассейне рек Лиахви, Проне, Квирилы и среднего Риони в 1951 г., ВГМГ, 30-В, Тб., 1974.
2. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

ახალციხის ამირანის გორა (ტაბ. CVI—CXIII)

ახალციხის ამირანის გორა ბტკვრის მარცხენა შენაკადის—ფოცხოვის ნაპირას, ქ. ახალციხესთან, ზღვის დონიდან 900—1061 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

1958—65 წლებში წარმოებული სისტემატური გათხრების შედეგად აქ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დაახლოებით 3 ჰა ფართობის ბუნებრივი საზღვრებით განპირობებულ სამ უბანზე გამოვლინდა: 1. სამსხვერპლო—გორის თხემზე, II. ნასახლარი და სამაროვანი—გორის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე და III. სამაროვანი და ნასახლარის მცირეოდენი ნაშთები—გორის დასავლეთ ძირას, ხევით გამოყოფილ შემაღლებაზე.

II და III უბნების ცალკეულ კომპლექსებს შორის დადგინდა სტრატიგრაფია: II უბნის შენობებისა და სამარხების ქვეშ მოქცეულია ერთი შენობის ნაშთი, ზოგი სამეურნეო ორმო და სამარხთა ნაწილი, ხოლო III უბანზე ორმოსამარხების ქვეშ შენობათა ნაშთები იქნა გამოვლენილი. ამ სტრატიგრაფიამ იმთავითვე განაპირობა ამირანის გორაზე ადრებრინჯაოს ხანის სამი ქრონოლოგიური პერიოდის გამოყოფა.

ამირანის გორაზე შესასწავლი ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი, ძირითადად II უბანზე. აქ, 10° დახრილობის ფერდზე, დაახლ. 25 მ სიგრძის, 7—10 მ. სიგანისა და 1—1,35 მ სიმაღლის 10 ხელოვნური ტერასა გამოვლინდა. თითოეული მათგანი ერთიმეორის გვერდით ვანლაგებული სახლების მწკრივს შეიცავს, ასე რომ, მთლიანად ნასახლარზე 180-ზე მეტი შენობის არსებობა ივარაუდება. რომელთა ცენტრში 120 მ² ფართის ქვით შემოზღუდული საქონლის სადგომი თუ სხვა დანიშნულების მოედანი იყო მოწყობილი. 2,5 მ სიმაღლისა და 20—54 მ² ფართის მქონე, რიყისა და კლდის ქვით თიხის ხსნარზე ან მშრალი წყობით ნაგები შენობები თითო ოთხკუთხა ოთახს შეიცავს. ზოგჯერ სწორკუთხა მინაშენით. შენობები საგანგებოდ

ჩაკრილ გრუნტს ემყარება და ფასადით სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული. ფასადისაკენ ოდნავ დაქანებული, თიხალესილი იატაკის ცენტრში თიხის კერაა გამართული. ზოგ შენობაში არის ღუმელი. ზოგში უკანა კედელთან ტახტისებრი შემაღლებაა, არის ნიშაც. თიხალესილი ბანური გადახურვა 3—4-მეტრიან ხის ძელებს უნდა დაყრდნობოდა. ივარაუდება, რომ შენობების ზედა ნაწილები ალიზითა და ხით იგებოდა.

ამავე უბნის ცენტრალურ ნაწილში თავმოყრილია თითქმის მთლიანად უინვენტარო, მცირე ზომის ქვის ფილებით ნაგები ჩვილთა სამარხები, რომლებიც შენობების იატაკქვეშ, კედლის გადაღმა ან კედლებს შორისაა გამართული. ზოგ სამარხში ბავშვის მხოლოდ თავის ქალა იდო ძალზე მცირერიცხოვანი ინვენტარით. მეორე უბანზე მოზრდილთა სამარხები ორი ტიპისაა: ქვაყუთი და ქვის ნალისებრი ფორმის აკლდამა. ქვაყუთები (1,5×0,8 მ) ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული. მათში ძირითადად თითო მიცვალებული იკრძალებოდა, მოკრუნჩხულად, გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. ზოგჯერ სამარხში მიცვალებულის მხოლოდ თავის ქალა იყო. ზოგჯერ მიცვალებულს თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ქვა ან ცხოველის გულმკერდის ნაწილი. აკლდამა ორია აღმოჩენილი. ორივე საკმაოდ დიდ ორმოშია ნაგები (2,1×1 მ, 2,5×1,64 მ). ორმოს ძირიდან ამოყვანილია 1,3—1,4 მ სიმაღლის რიყის ქვის სამი კედელი. მეოთხე კედელი ფიქალი ქვითაა შედგენილი. ეს სამარხებიც ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გეგმაში ორივე ნალისებრი ფორმისაა და გადახურულია ბრტყელი ქვებით. ერთი (№ 36) ინდივიდუალურია; მიცვალებული მოკრუნჩხულადაა დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთით. თავქვეშ ამოდებული ჰქონდა მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ძვლები. სამარხულ ინვენტარს შეადგენდა მონასცრისფრო თიხის სფერულტანიანი ჭურჭელი, რომელსაც ყურქვეშ კორპუსზე შემოუყვება გამოწვის შემდეგ ამოკაწვრით გაკეთებული 10 სხვადასხვა ნიშანი, ძვლის კვირისტავი და სპილენძის ყუნწიანი პატარა სატევრისპირი (სიგრძე—12,51 სმ). მეორე ამგვარივე სამარხი (№ 16) კოლექტიურია. მასში აღმოჩნდა:

1. თიხის თხელკედლა მოვარდისფრო დაბალყელიანი ქოთანი, პირსა და მხარზე ყურით;
2. თიხის თხელკედლა შავპრიალა ცალყურა ტოლჩა;
3. ვერცხლის ერთნახევრიანი ხვია;
4. სპილენძის ორი კასრისებრი მძივი;
5. მინისებრი პასტის დიდი მრგვალი მძივი,
6. თეთრი ქვის ბიკონუსური 26 მინიატურული მძივი.

მე-3 უბანზე გამოვლენილი შენობის ნაშთები მე-2 უბნის ნასახლარის თანადროულია. მასზე ცოტა მოგვიანებით გამართულია ქვაყრილიანი ორმოსამარხები. ეს სამარხები ძირითადად სწორკუთხა ან კიდეებმომრგვალებულ

ორმოებშია (1,0×1,40 მ) გამართული. კედლების და მიცვალებულის ზემოთ დარჩენილი სიმაღლე შევსებულია რიყის ქვით. ამ სამარხების ნაწილი კოლექტიურია, ნაწილი,—ინდივიდუალური. მიცვალებულის ძვლების ცუდი დაცულობის გამო ძნელდება პოზის დადგენა. ინვენტარს წარმოადგენს მცირეოდენი თიხის ჭურჭელი და ლითონის ნივთები. ერთ სამარხში ერთდროულად შვიდი მიცვალებული იყო დაკრძალული. ამათგან გარკვეულია 5 მიცვალებულის სქესი—სამი მამაკაცი, ორი ქალი. სამარხში თიხის ოთხი ჭურჭელი და სპილენძის ერთი პატარა ხვია აღმოჩნდა. თიხის ჭურჭელი შავპრიალაა, აქვს მკვეთრად გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, გამობერილი მსხლისებრი ტანი და ვიწრო ძირი. ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე ან პირსა და მხარზე. ყოველ ჭურჭელს ყელის ბოლოსა და კორპუსზე შემოუყვება ნაკაწრით გამოყვანილი დაშტრიხული სამკუთხედები, ტეხილხაზოვანი ლენტები შევსებული წერტილოვანი ორნამენტით.

აქვე აღმოჩნდა ერთი უინვენტარო სამარხი, ზურგზე დასვენებული მიცვალებულის ნეშტით.

ამირანის გორის ნასახლარის თანადროული უნდა იყოს თხემზე აღმოჩენილი სამსხვერპლოც. აქაც ტერასულად ნაგები ქვის სწორკუთხა რამდენიმე შენობა გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში ნაგებობის ცენტრში საცხოვრებელი სახლისათვის ჩვეული კერები იქნა აღმოჩენილი, აქ გათხრილი ნაგებობები საკულტო-სარიტუალო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს სქელი ნაცროვანი ფენა, ცხოველთა დამწვარი ძვლები და საგანგებოდ წემკული ჭურჭელი.

მასალა ინახება საქართველოს ხელოვნების, საქართველოს სახელმწიფო და ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში.

ბიბლიოგრაფია

1. ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბ., 1963.
2. Т. Н. Ч у б и н и ш в и л и, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971.
3. ა. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრონჯაოს ხანაში, თბ., 1983.

ახალქალაქის ამირანის გორა (ტაბ. CXIV—2, 3, 6 CXIX)

იგი ქ. ახალქალაქთან მდებარე ვულკანური წარმოშობის 300 მ სიმაღლის მთაა. მას სფეროსებრი—სიმეტრიულად მომრგვალებული ფორმა აქვს. საკუთრივ მწვერვალი წარმოადგენს დიდ ფართობზე მოსწორებულ მოედანს. მთის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდებზე საკონტროლო გათხრებით გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი და სამაროვნები. ნაგებობები ქვისაა, სწორკუთხა, ტერასულად განლაგებული. აქვეა აღმოჩენილი ქვის სამარხებიც მცირეოდენი სამარხეული ინვენტარით. მასალა ინახე-

ბა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო და ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

ბიბლიოგრაფია

1. ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბ., 1963.
2. Т. Н. Ч у б н и н и ш в и л и, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971.

აბასთუმნის „ყანობილის" ნასახლარი

კურორტ აბასთუმანში, მდ. ოცხის მარჯვენა ნაპირზე, ყანობილის მთის ჩრდილო ფერდზე არსებულ ტერასაზე შემთხვევით აღმოჩენილ უძველეს ნასოფლარზე 1973, 1977 და 1980 წწ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები აწარმოვა. გაირკვა, რომ ნასოფლარი ტერასულადაა გაშენებული და უკავია დაახლოებით 1 ჰა ფართობი. სწორკუთხა, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი შენობები ქვის მშრალი წყობითაა ნაგები, ხოლო აქვე აღმოჩენილი დამწვარი ძვლების მიხედვით ივარაუდება ბანური გადახურვის არსებობა. ეს ნაგებობები კონსტრუქციულად ამირანის გორის ნაგებობებს წაგავს. საცხოვრებლის იატაკი თიხატკეპნილია და მოწითალოდაა შელესილი. მის ცენტრში თიხალესილი კერაა. კერასა და იატაკზე აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, ძვლოვანი და ქვის მასალა. მიმობნეული მასალის, დამწვარი ძვლებისა და ბათქაშის ნაშთებით ივარაუდება, რომ ნასახლარი თავდასხმის ან ხანძრის შედეგადაა განადგურებული. აქ აღმოჩენილი ორი ჯგუფის კერამიკიდან ერთი წარმოდგენილია შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, უორნამენტო, დერგის, ქოთნის, კათხისა და სხვა ჭურჭლის ფრაგმენტებით, რომლის ანალოგებს მრავლად ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე.

მეორე ჯგუფის კერამიკა უმთავრესად ქილისებურია, ბრტყელძირა. არის მომრგვალებულძირიანიც, წითლად შეღებილი ზედაპირით. ზოგს ძირზე ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდი. ორნამენტი იშვიათია, გვხვდება პირქვეშ კოპი ან ნაკწრით გაპოყვანილი რომბი.

ეს კერამიკა და ქვის ნაწარმის უმეტესობა ახლო პარალელებს პოულობს დასავლეთ საქართველოს (საგვარჯილე, სამელე-კლდე, სამერცხლე-კლდე და სხვ.) ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების მასალებში.

მასალა ინახება ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია

1. К. С. К а л а н д а д з е, Древейшее поселение в Абастумани, ПАИ в 1972 г., Тб., 1973.

2. Г. Г. Пхакадзе, А. З. Орджоникидзе, Работы в Абастумани, АО, 1977 г., Тб., 1978.
3. Г. Г. Пхакадзе, К. С. Каландадзе, А. З. Орджоникидзе, Результаты работ Абастуманской экспедиции, ПАИ в 1980 г., Тб., 1982.

ფარეხას გორა (ტაბ. CXV)

1978 წელს ადიგენის რაიონში, ფარეხას გორაზე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა საკულტო დანიშნულების რამდენიმე ორმო, რომელთა საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს 10—15 სმ სისქის ნაცროვანი ფენის არსებობა ორმოს ფსკერზე და მისი გაბრიმწვარი კედლები. ორმოებში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა, რომელშიც აღსანიშნავია: ქოთნები, ჯამები, სარქველები, ნალისებრი ფორმის იტიფალური ზესადგარი და სხვ.

იტიფალური ზესადგარისა და სვეტიანი სარქველის საფუძველზე ავტორები აღნიშნავენ საქართველოს ქვეყნებთან (სომხეთი, ანატოლია, ჩრდ. მესოპოტამია) კულტურულ-ეკონომიკური კავშირის არსებობას და ფარეხას გორის მასალას ძვ. წ. IV—III ათასწ. მიჯნითა და ძვ. წ. III ათასწლეულის საწყისი ხანებით ათარიღებენ.

მასალა ინახება ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. О. Гамбашидзе, К. Квижинадзе, Работы Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1978 г., Тб., 1981, с. 57—64.

სოფელი ზველი (ტაბ. CXIV—1,4, CXVI; CXVII—2)

სოფელი ზველი მტკვრის მარცხენა მაღალ ნაპირას არსებულ დიდ ვაკეზე მდებარეობს. აქ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები არაერთ პუნქტზეა მიკვლეული. ადრევე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დაზიანებულ ორმოსამარხებში აღმოჩნდა მურა-მოყვითალო ფერის არქაული იერის კერამიკა. თსუ ექსპედიციის მიერ ცალკე იქნა მიკვლეული ერთი სამარხი, რომელიც ქვებით იყო შემოწყობილი. სამარხეულ ინვენტარს სამი მსხლისებრი საკიდი, ერთი ღუზისებრი საკიდი, ბიკონუსური მძივი, თეთრი ქვის ცილინდრული მძივი და სხვ. შეადგენდა. თიხის ჭურჭელი სამარხის მახლობლად იქნა აღმოჩენილი. ესაა დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები შავპრიალა, ვარდისფერი სარჩულით, გვხვდება მოვარდისფროდ გაპრიალებულიც. აღმოჩნდა ნალისებრი სადგარის ნატეხები. აქ ნაპოვნი კერამიკა ძალიან ახლოს დგას შიდა ქართლურთან, განსაკუთრებით კი საჩხერულ კერამიკასთან. დიდი მსგავსებაა აგრეთვე ლითონის ნივთებშიაც. მსხლისებრი საკიდები სავსებით ისეთივეა, როგორც ქვაცხელას

სამარხებიდან და საჩხერის, კერძოდ პასიეთის, ყორღანიდანაა ცნობილი. ლუზისებრი საკიდიც თითქმის არ განსხვავდება პასიეთის ყორღანის ამგვარივე სამკაულისაგან.

სოფლის ჩრდილო ნაწილში, ადგილ „რაბათზე" არსებულ ნასახლარ ბორცვზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1974 წელს მცირე მასშტაბის გათხრები აწარმოვა. გამოვლინდა სამ მეტრზე მეტი სიმძლავრის ადრებრინჯაოს ხანის ფენა. იგი უხვად შეიცავდა ნაცარს, კერამიკის ფრაგმენტებს, ცხოველის ძვლებსა და ობსიდიანის ანატკეცებს. თხრილის ძირში, ალიზის შენობაში, რომლის ტიპის გარკვევა გათხრების მასშტაბების გამო ვერ მოხერხდა, თიხის ჭურჭლებთან და დიდი ზომის მრგვალ სანაყთან ერთად აღმოჩნდა თიხის კერისა თუ სადგარის ფრაგმენტი ზოომორფული გამოსახულებით. იგი დიდი ზომისაა, აქვს კუს თავის ფორმის ორი ზეაწეული შვერილი, შავი ფერის ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალებით.

კერამიკა ხელით ნაძერწია და შავად, მოწითალო-მოვარდისფროდ და ლეგა-მოყავისფროდაა გაპრიალებული. აქვს მოვარდისფრო ან ღია ფერის სარჩული, ხშირად ერთ ფენადაა გამომწვარი. გვხვდება დერგის, ქილის, კათხის და სხვა ფორმის ჭურჭელი, ზოგჯერ ძლიერ ცეცხლში ყოფნის კვალით. მასში განირჩევა ორი ტიპის ნაწარმი: ერთი — ტიპიური მტკვარ-რაქსული კერამიკა, მეორე ბედენურ კერამიკას უახლოვდება. აქვე 1977 წელს ადგილ „სამარხ ყანებზე", სადაც მიწის სამუშაოების წარმოებისას დაზიანებულ ორმოსამარხებსა და ნასახლარზე ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა იქნა აღმოჩენილი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაავლო რამდენიმე საძიებო თხრილი. 0,5—0,8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა კერის ნაშთები, სხვადასხვა ტიპის ზესადგრებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მოპოვებული კერამიკული ნაწარმიდან ყურადღებას იმსახურებს შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, რომელზეც ამოღარული და ნაკაწრი ორნამენტით გამოყვანილია დაშტრიხული სამკუთხედები და ჰორიზონტალური ლენტები, ტეხილხაზოვანი და წიწვისებრი ორნამენტი.

ვხდებით ნალისებრი ზესადგარის ფრაგმენტებს, ცილინდრულ-ბლოკისებრ სადგარს, შვერილებიანი კერის ქიმსა და მრგვალ, შუაგულამოღარულ კერის ნაწილს.

აქვე შემთხვევით აღმოჩენილი თიხის ნაწარმებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მოზრდილი სამყურა ჭურჭელი მაღალი ყელით, სფერული ან კვერცხისებრი კორპუსითა და ბრტყელი ძირით. ზოგი ორნამენტირებულია მხარზე შემოყოლებული ამოკაწრული სამკუთხედებით. ერთ ჭურჭელს კორპუსის ზედა ნაწილზე ამოკაწრვით გამოყვანილი აქვს წვერით შეტყუპებული სამკუთხედები. სამკუთხედების შიგნით ამოკაწრულია ჯვარი, ხოლო ფუძეებზე მოცემულია წყვილი რკალი—სტილიზებული რქებისა და კიდურების გამოსახულება.

მასალა ინახება საქართველოს ხელოვნების, ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და ჩითახევის არქეოლოგიურ ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

1. Т. Н. Чубинишвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953—55 гг., СА. № 4, 1957.
2. Т. Чубинишвили, Л. Небиеридзе, Г. Пхакадзе, Г. Григолия, А. Орджоникидзе, К. Эсакия, Д. Гогелия, Л. Прищипенко, Итоги полевой экспедиции, ПАИ в 1974 г., Тб., 1976.
3. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1978.
4. О. Гамбашидзе, К. Квижинадзе, А. Орджоникидзе, Отчет работы Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1977 г., Тб., 1980.
5. ა. ორჯონიკიძე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1963.

§ 4. ადრეული ყორღანული ძეგლები

თრიალეთის ადრეული ყორღანები (ტაბ. CXXIII—CXXVIII)

თრიალეთის ადრეული ყორღანები, რომლებიც ბ. კუფტინმა ადრებრინჯაოს ხანით განსაზღვრა, შესწავლილ იქნა სხვა დროის ყორღანებთან ერთად 1936—1940 და 1947 წლებში წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

ყ ო რ ღ ა ნ ი IV („კარანტინი") გაითხარა 1937 წელს, სოფელ გუნია-კალას ჩრდილო-აღმოსავლეთით. წრიული მიწაყრილის დიამეტრი 45,5 მეტრი, სიმაღლე კი 5,5 მეტრი იყო. ყორღანის ყრილს ძირთან შემოსდევდა ქვის წყობა (ჯავშანი). დასაკრძალავი წრიული ორმო ძველთაგანვე გაძარცული აღმოჩნდა. იგი ძირისაკენ შევიწროებული მოყვანილობისა და ფსკერთან 5,4 მეტრი დიამეტრისა იყო.

სამარხეული ინვენტარი და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილი იყო როგორც ორმოს ფსკერზე, ისე მის ზემოთ, ყორღანის ყრილში. ამ უკანასკნელში აღმოჩნდა ძირითადი სამარხიდან ამოგდებული არქაული ფორმის ვერცხლის ხვია.

ყ ო რ ღ ა ნ ი X გაითხარა 1938 წელს სოფ. შეფიაკთან. აქ გამოჩნდა გადაშლილი წრიული ყრილი, რომელიც ქვისა და შავი მიწის ნარევს წარმოადგენდა. დასაკრძალავი ორმოს სიღრმე გრუნტიდან იყო 6 მ. ყორღანში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ყ ო რ ღ ა ნ ი XI გაითხარა 1938 წელს სოფ. შეფიაკთან. მისი მიწაყრილი ქვას სრულებით არ შეიცავდა. ყორღანის დასაკრძალავი ორმოს შევსებაში 2,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ადამიანის ძვლების ნატეხები და სპილენძის მცირე ნაჭრები. ორმოს ფსკერზე ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გამოვლენილ იქნა 2 ღარისებური ჩაღრმავება; დასავლეთში კი — 0,75 მ სიღრმის ორმო-

სეპური ჩალრმავება ხის ძელის ვერტიკალურად მიმართული ნაშთით. რო-
გორც ყორღანის ყრილში, ისე ორმოს ფსკერზე აღმოჩენილ იქნა თხელკედ-
ლიანი მცირე და სქელკედლიანი დიდი ზომის ორნამენტირებული შავპრიალა
თიხის ჭურჭლების ნატეხები.

ყ ო რ ღ ა ნ ი XII. ყრილის ქვეშ, რომელიც შედგებოდა მიწისა და დიდი
ზომის ლოდებისაგან, გაიწმინდა დასაკრძალავი ორმო და ძირითადი სამარხი-
დან შემორჩენილი კერამიკა მცირე რაოდენობით.

ყ ო რ ღ ა ნ ი XIII, რომელიც სოფ. ბეშთაშენთან გითხარა, ორმოიანი გა-
მოდგა. მის შევსებაში ქვაც ერია. ყორღანის ყრილში, სამარხი ორმოს პირის
დონეზე, მისი ჩრდილო კედლის თავზე ჩნდებოდა შავპრიალა კერამიკა.

ყ ო რ ღ ა ნ XIX-ის ყრილის სიმაღლე 1 მეტრი იყო, დასაკრძალავი კამე-
რის სიგრძე—5 მ, სიგანე—4 მ, სიღრმე კი 3 მ. ყორღანის ყრილსა და ორმოს
შევსებაში ჩაშვებული აღმოჩნდა გვიანდელი სამარხები, დასაკრძალავი კამე-
რის ფსკერზე კი ძირითადი სამარხის ინვენტარი.

ყ ო რ ღ ა ნ XXII-ის წრიული მცირე სიმაღლის ყრილის დიამეტრი უდ-
რიდა 25 მ და ქვისა და მიწისაგან შედგებოდა. სამარხი ორმოს (3×1,6×1,3 მ)
ზედაპირთან აღმოჩნდა ორი შავპრიალა და ერთი სხვა თიხის ჭურჭლის ნატე-
ხები, რომელთა ქვეშაც გაიწმინდა ოქროს საკინძი.

წაგრძელებული, ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული დასაკრძალავი ორ-
მოს ფსკერზე აღმოჩნდა ზურგზე დაკრძალული, ფეხებშეკეცილი მიცვალებუ-
ლის ჩონჩხი (თითქოს თავდაპირველად მუხლებზე მდგომარედ დაყენებული).
სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. თავის ქალას-
თან აღმოჩნდა ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები; თავთან და ჩონჩხის ზეგა
ნაწილთან — ვერცხლის 9-ფურცლოვანი გარსაკრავი; ყელისა და კისრის არე-
ში — თეთრი პასტის ძალზე წვრილი მძივები.

ყ ო რ ღ ა ნ ი XXIV. მისი ყრილის სიმაღლე 2 მეტრს აღწევდა და მიწისა
და ქვებისაგან შედგებოდა. დასაკრძალავი ორმო (ზომები 6×4×2 მეტრი)
ხის კვალის მიხედვით ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული. ორმოს
ფსკერზე გაიწმინდა 10 წლამდე ბავშვის ჩონჩხის დამტვრეული და არეული
ნაშთი. აღმოჩნდა ურმის თვლის კვალი, მიცვალებულის ფეხებთან ოდნავ შე-
მაღლებულ მოედანზე იდგა თიხის ჭურჭელი, ორმოს ფსკერზე კი სხვა შავპრი-
ალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სპილენძის ისრისპირი. ორმოს ფსკე-
რის უდიდესი ნაწილი ცარიელი იყო.

ყ ო რ ღ ა ნ ი XXV. ყრილის ქვეშ გაიწმინდა დასაკრძალავი ორმო, რომ-
ლის ზომები პირთან 4,5×5 მ, ხოლო ფსკერთან 3,18×2,37 მეტრს შეადგენ-
და, სიღრმე— 2 მ. ორმოს ფსკერზე შუა ნაწილთან შეიმჩნეოდა ურმისაგან
დარჩენილი ხის კვალი. ორმოს ფსკერის აღმოსავლეთ ნაწილში ეწყო შავპრი-
ალა თიხის ჭურჭლები, ხოლო დასავლეთი ნაწილი ინვენტარისაგან თავისუფ-
ლი აღმოჩნდა.

ყ ო რ ღ ა ნ ი XXVII. მისი წრიული ყრილის დიამეტრი 30—35, ხოლო სიმაღლე 3 მეტრზე მეტი იყო. ზედა ნაწილში ყრილი მიწისა და 1 მ³ ზომის ლოდებისაგან შედგებოდა, ჩნდებოდა შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ყორღანი უორმოო გამოდგა, დაახლოებით გრუნტის დონეზე გაიწმინდა თხელკედლიანი შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ყ ო რ ღ ა ნ ი XL („მეოთრის"). მისი 23 მ დიამეტრის ქვაყრილის ზედაპირი უხვად იყო მოფენილი ობსიდიანის ნატეხებით. ყორღანი უორმოო გამოდგა, მისი დასაკრძალავი მოედანი (8×8 მ.) ძველი ველის ზედაპირზე იყო მოწყობილი. ადამიანის ნაშთი არ აღმოჩენილა. ინვენტარი სამარხის ცენტრის სხვადასხვა ნაწილში ჩნდებოდა.

ყ ო რ ღ ა ნ ი XLVI („მწვანე ყორღანი"). მას ყრილის წვერზე ჰქონდა მცირე ჩაღრმავება. ყრილი შედგებოდა დიდი ზომის რიყის ქვებისაგან, რომელსაც მიწა ჰქონდა შერეული. დასაკრძალავი ორმო ლოდებით აღმოჩნდა შევსებული. იგი წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობის იყო, მაგრამ კუთხეები მოგრგვალებული ჰქონდა. მისი სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დაახლოებით 7 მეტრს უდრიდა, ხოლო სიღრმე 5 მეტრს აღწევდა. ძირითადი სამარხის შავპრიალა თიხის ჭურჭლის ცალკეული ნატეხები ორმოს ზედაპირთანაც ჩნდებოდა, მის შევსებაშიც და ფსკერზეც. ორმოს ფსკერის დასავლეთი ნაწილი ამ წემთხვევაშიც ცარიელი გამოდგა. თუმცა აქ გაიწმინდა ერთმანეთისაგან 1,75 მ დაშორებული და 0, 35 მ სიღრმის ორი პარალელური ღარი.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

Л. Ж о р ж н к а ш в и л и, Э. Г о г а д з е. Памятники эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974; Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

ბედენის ყორღანები (ტაბ. CXXIX—CXXXI)

განლაგებულია თეთრი წყაროს რაიონში, ხრამ-ალგეთის წყალგამყოფი ბედენის მთის სამხრეთ კალთაზე, ძირიდან თხემამდე, ზღვის დონიდან 1200—1850 მ სიმაღლეზე. ეს მთა გუდარეხ-ფარცხისის მიდამოებიდან იწყება და დასავლეთით წალკის ზეგანს უერთდება. 1956 წლიდან 1971 წლის ჩათვლით გორასამარხების შესწავლის მიზნით აქ არქეოლოგიურ გათხრებს ატარებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია გ. ცობეჯიშვილის ხელმძღვანელობით.

გორასამარხები ბედენის მთის ფერდობებზე განლაგებულია სხვადასხვა სიდიდის ჯგუფებად. დღეისათვის მასში შედის განსხვავებული ზომის 63 გო-

რასამარხი. გათხრილია—11. აქედან 10 (№№ 1, 2, 4—11) შეისწავლა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, ხოლო 1 (№ 3) უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ.

გათხრილი 11 გორასამარხიდან ადრეულადაა მიჩნეული № 2 (ნადარბაზევი), № 3 (ზაალისეული), № 5 (გადაჭრილი გორა), № 8, № 9 და № 10 გორასამარხი, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულით და III—II ათასწლეულის მიჯნით არიან დათარიღებული. დანარჩენი 5 სამარხიდან ორი (№ 4 და № 11) შუა ბრინჯაოს ხანით განისაზღვრა, ხოლო სამი მათგანის (1, 6, 7) ასაკის დადგენა დამთარიღებელი ნივთების უქონლობის გამო ზუსტად ვერ მოხერხდა.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 2 (ნადარბაზევი). ითხრებოდა 1957—1959 წლებში (სიმაღლე 4 მ, დიამეტრი 70 მეტრამდე). დაუზვინავთ მცირედ დაქანებულ ფერდზე. ყრილი წაგრძელებული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იგი კამერის თავზე შედგებოდა კულტურული ნაშთების შემცველი 0,80—6,20 მ სისქისა და 12—13 მ დიამეტრის ქვის „ჯავშნისაგან", რომლის შუაგულიც ჩაწოლილი იყო სამარხ კამერაში (8,60×5,40×2,20 მ). ამ ცენტრალური ქვაყრილის (ქვის ჯავშნის) ზემოთ დაზვინული იყო თითქმის 3 მ სისქისა და 10—12 მ დიამეტრის მქონე კულტურული ნაშთების შემცველი შავი ჰუმუსური თიხის ყრილი. გორასამარხების ყრილის გარეთა ნაწილი შედგებოდა თითქმის უმინარევო წითელი ოქროსფერი თიხისაგან.

ნადარბაზევის ამ ძეგლში ჩაშვებული იყო 3 ქრისტიანული სამარხი, რომელთა ასაკის დაზუსტება არ ხერხდება.

გორასამარხის ძირითადი სამარხი (კამერა) წარმოდგენილი იყო სწორკუთხედისებრი, ფუძეებმომრგვალებული ორმოთი, რომლის ოღროჩოღრო ანდეზიტ-ბაზალტის იატაკი ზოგან გასწორებულია ქვის წვრილი ნატეხებითა და მიწით. ამ გზით შექმნილია ჭურჭლის დასადგმელი მცირე მოედნები. ფერფლის ან წაბლისფერი თიხით მოლესილ, მოსწორებულ ბაქნებზე, სამარხეულ ნივთებს ქვეშ, აღმოჩენილია ჭილობის მცირე ნაფლეთები ან მისი ანაბეჭდები. საფიქრებელია, რომ სამარხის იატაკი მთლიანად ჭილობით ყოფილიყო დაფარული.

ერთ ბაქანზე, სამარხის ჩრდილო კედლის შუა ნაწილიდან 1 მეტრის დაშორებით, გაიწმინდა მიცვალებულის თითქმის მთლად დაშლილი ჩონჩხი, რომელსაც თან არ ახლდა კისრის მალებისა და თავის ქალის ძვლები. მიცვალებული დაუსვენებიათ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, ფეხებით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ძვლებს ემჩნეოდა წითელი საღებავის კვალი.

კერამიკული მასალა გაბნეული იყო სამარხის დასავლეთ ნაწილში სამ ჯგუფად, რომელიც შავპრიალა ზედაპირისა და ვარდისფერი სარჩულის მქონე დერგების და მცირე ზომის თხელი, ფერფლისფერი კეცის მქონე, ფაქიზად ნაკეთები, გაპრიალებული ჭურჭლის ნატეხების სახით იყო წარმოდგენილი.

აქვე იყო ძვლის ისრისწვერის ნატეხი და ბრინჯაოს (?) სამჯერადი ხვია-რგოლის ნაშთები.

კამერის ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ ნახევრიდან მომსკდარი მიწის ქვეშ აღმოჩნდა ცალკეულ ბუდეებად განლაგებული ერთგვაროვანი არაკერამიკული საგნების ჯგუფები: ობსიდიანისა და მოთეთრო კაჟის ისრისწვერები, მრგვალი შურდულის ქვები, რქის, ძვლისა და თეთრი პასტისებური მასალისაგან ნაკეთები მინიატურული ნივთები, ერთმანეთზე მიჟანგული სპილენძის საგნების მცირე ჯგუფი; აქვე იყო ქვის, ხისა და ძვლის 7 საგანი, ძვლის 3 ისრისწვერი, ჰემატიტის ბირთვი, სპილენძის ყუამილიანი ცული, ეჩო თუ ბრტყელი ცული, სატეხი, სადგისი თუ ისრისწვერი, სატევრისპირი და ვერცხლის სატევრისპირი. სულ აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის 11 იარაღ-საჭურველი და სამკაული, ვერცხლის 1 სატევარი, ობსიდიანის და კაჟის ისრისპირები და ნამზადები. ძვლის ისრისპირები და ცილინდრები (3), შურდულის ქვები, ჰემატიტის ბირთვი, რიყის ქვის სამეურნეო იარაღები, სხვადასხვა მასალის 36 უცნობი დანიშნულების ნივთი და სხვა წვრილმანი.

გორასამარხი № 5. ყრილის დიამეტრია 80 მ, სიმაღლე—5,50. 80 კვმ ფართობის და 3 მ სიღრმის ორმოშია ჩადგმული მრგვალი ხეებით ნაშენი ხის ნაგებობა-აკლდამა. მისი შიდა სიგრძეა 600 მ, სიგანე — 4.50 მ, სიმაღლე— 3 მ. ორმოს მსგავსად დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აკლდამების კედლები ვერტიკალურად დაყენებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ძელებით იყო ნაგები.

დაკრძალული აღმოჩნდა სულ 3 მიცვალებული. ერთი — ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან ახლოს მარჯვენა გვერდზე მოკეცილ პოზაში; მეორე — აღმოსავლეთ დედაბოძთან ახლოს მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. მესამის მხოლოდ ჩონჩხის რამდენიმე ძვლის ნატეხი აღმოჩნდა აკლდამის შუა ნაწილში გაფანტული, იქ, სადაც ხის მძიმე ეტლის (საზიდრის) ნაწილები მდებარეობდა. ამ მიცვალებულის მოკეცილი გვამი მოთავსებული უნდა ყოფილიყო რელიეფური ორნამენტით შემკობილი ხის ფიცრებისაგან შეკრულ კუბოში, რომელიც ეტყობა ეტლზე იდგა.

ინვენტარის ძირითადი ნაშთიც აკლდამის შუა ნაწილში აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბედენის ეს გორასამარხიც გაუძარცვავთ, მასში მაინც მრავალი ძალზე საინტერესო ნივთი აღმოჩნდა. ესაა თიხისა და ხის ჭურჭელი, სხვადასხვა ტიპის ქსოვილი და თოკი, ობსიდიანის ისრისწვერები, სარდიონის მძივი და ძვლის ღილი, სპილენძის საჭრისი და სატეხი. სპილენძის ქინძისთავისმაგვარი ნივთი, ვერცხლის ძაბრისმაგვარი ნივთი და სპილენძის ბრტყელი ცული, ვერცხლის მილები და სხვ.

გორასამარხი № 10. ქვამიწაყრილის ფუძის დიამეტრი — 25 მ, სიმაღლე—2 მ. ორმოს ზომებია: 5×4×2.5 მ-ზე. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ორმოს ფსკერი მოლესილი იყო 0,60 მ სისქის ცისფერი

აყალოთი და ზედ ეტყობა ეფინა ჭილობი და შავი ქეჩა. სამარხის ხის გადახურვა მუხის ექვს მსხვილ ბოძს ეყრდნობოდა.

სამარხის ცენტრალური ნაწილი გაუძარცვავთ, ნაპირებისათვის კი ხელი არ უხლიათ.

სამარხის შუა ნაწილში იდგა სპილენძის ფირფიტებით შემკული ხის დიდი ოთხთვლიანი ეტლი, რომელზედაც დაკრძალული უნდა ყოფილიყო წარჩინებული პიროვნება (ძვლები გაფანტული იყო). აქვე აღმოჩნდა ორნამენტირებული ხის და თიხის ჭურჭლის ნატეხები: სპილენძისაგან ჩამოსხმული ბრტყელი ეჩო და ნატვიფრორნამენტიანი უმბონების აბჯრის ნაშთი. ურმის ჩრდილოაღმოსავლეთ თვალთან იატაკზე გაიწმინდა ხელფეხმორთხმით დაკრძალული ახალგაზრდა კაცის ჩონჩხი. სამარხი ორმოს გრძივი კედლების გასწვრივ აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ხის ორი კოლოფი. ამათგან ერთი ოთხ სათავსოდ გატიხრული, აგრეთვე წვრილი წნელით მოწნული კალათები თუ გოდრები, ხორბლის დიდი გროვა, სხვადასხვა მცენარეთა თესლი, კურკოვანი ხილის ნაშთი და სხვა, ნაზი ქსოვილისა და პასტის მძივების დიდი რაოდენობა.

მასალა ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1981

ხადიკის ყორღანი

თრიალეთში, სოფ. ხადიკთან 1947 წელს აღმოჩნდა ყორღანული სამარხი, რომელშიც დაკრძალული იყო ერთი მამაკაცი, ხელფეხმოკეცილ, მარჯვენა გვერდზე. მომცრო ზომის სამარხ კამერაში აღმოჩნდა 3 თიხის ჭურჭელი და შეინიშნებოდა ოქრის კვალი.

ორი მათგანი ღია ვარდისფერია, ხოლო მესამე შეღებილია წითელი საღებავით და მტკვარ-არაქსის კულტურისათვის უცხოდ იგამოიყურება.

მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

ს. გძელიშვილი, ხადიკის ყორღანი. საქ. სსრ მეც. აკადემიის „მოამბე", ტ. XI, № 10, 1950, გვ. 695.

ქვემო ქართლის ყორღანები (ტაბ. CXXXII)

1965—68 წწ. საქართველოს სახ. მუზეუმისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შარნეულის ველზე

ცხრა ყორღანი შეისწავლა. ეს ყორღანები სოფ. იმირრს, ქვემო სარალსა, შულავერსა და შაუმიანს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მდებარეობენ.

გათხრილი 9 ყორღანიდან ადრეულებად 6 მიიჩნევა. ამიტომ ქვევით ჩვენც მხოლოდ ამ (№№ 4—9) ყორღანების მოკლე აღწერა მოგვაქვს.

№ 4 ყ ო რ ღ ა ნ ი აღმოჩნდა მარნეულ-შაღმიანის გზის პირას, მარნეულიდან 2 კმ-ზე. მისი ყრილის დიამეტრი 30,0 მ, სიმაღლე—2,10 მ. იყო. დასაკრძალავი ორმო ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა. იგი გეგმაში ოვალურია, აღმოსავლეთიდან დასავლეთით 3,40 მ სიგრძის, ჩრდილოეთიდან სამხრეთით კი—2,50 მ, სიღრმე—1,80 მ. მის შევსებაში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები და ხის ნაშთები.

ორმოს ძირზე იყო ადამიანის ძლიერ დაშლილი ძვლები. შესაძლოა, მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა, ფეხებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით. სამარხის იატაკის ცენტრის ჩრდილოეთით აღმოჩნდა ბატკნის ჩონჩხი, ხოლო მის ქვეშ — ბრინჯაოს პატარა სატევრის პირი. სამარხის დასავლეთ ნაწილში იდო ოთხი თიხის ჭურჭელი; ჩრდილო-დასავლეთ მხარეს—მოზრდილი თიხის ჭურჭელი; გარდა ამისა, სამარხში კიდევ აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი, ერთი ბრინჯაოს და ერთი ობსიდიანის ისრისპირი.

№ 5 ყ ო რ ღ ა ნ ი. მისი ყრილის დიამეტრი 25,0 მ, სიმაღლე 1,0 მ ეტრიდა. სამარხი ორმო ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მიწითა და ქვით ამოვსებული. ის ოთხკუთხა მოყვანილობისა იყო. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი, სიგრძივ 4,0; სიგანით—3.0; სიღრმით—3,0 მ. მიცვალებულის ძვლები ძლიერ იყო დაფანტული და პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა 6 თიხის ჭურჭელი და ტიპიური ბედენური თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 6. მისი დიამეტრი 20,0 მ, სიმაღლე 2 მ იყო. ოვალური მოყვანილობის ორმო დაახლოებით ყორღანის ცენტრში მდებარეობდა და აღმოსავლეთიდან დასავლეთით იყო მიმართული (6,0×3,2×1,8 მ). ორმოს ძირზე აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლები, ორყურა ფერგი და ბრინჯაოს ერთი პატარა სატევრისპირი.

ამავე ორმოს ცენტრალურ ნაწილში უფრო ვიწრო მეორე ორმო იყო ჩაჭრილი. ისიც ოვალური მოყვანილობის (3,20×1,50×0,80 მ) და ისიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული. მიცვალებულის ძვლები აქაც ძლიერ იყო დაშლილი. ამ ორმოს ფსკერზე აღმოჩნდა 3 თიხის ჭურჭელი, ერთი ობსიდიანის ფუძეამოღარული ისრისპირი და ერთიც ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირი.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 7-ის ქვაყრილის დიამეტრი 20,0 მ, სიმაღლე—1,2 მეტრი იყო. ამ ყორღანის სამარხი პირდაპირ მიწის პირზე იყო ქვაყრილის ცენტრის ქვეშ მოწყობილი, ყრილის ზედაპირიდან 1,0 მეტრის სიღრმეზე. გაიწმინდა. მიცვალებულის ცუდად დაცული ჩონჩხი მარცხენა გვერდზე მწოლარე, ხელფეხმოკეცილ პოზაში, აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმართული. სამარხის ზემე-

ბი იყო 1,50×0,80 მ. სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში იდო ორი თიხის ჭურ-ჭელი, მუხლებთან კი ერთი. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ქვის ლაბტის თავი და ბრინჯაოს ისრისპირი აღმოჩნდა, მუცლის არეში კი ობსიდიანის ერთი მოზრდილი ნატეხი.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 8. მისი ქვამიწის ყრილის ზომებია: დიამეტრი — 26,0 მ, სიმაღლე—1,70 მ. ყორღანის ცენტრში აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო, რომლის ზომებია—5,50×5,0 მ. იგი გაძარცული აღმოჩნდა. ყორღანის ორმოში აღმოჩენილი ფრაგმენტებიდან მთლიანად მხოლოდ ერთი თიხის ჭურჭელი აღდგა.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 9. მისი ზომებია: დიამეტრი 34,0 მ, სიმაღლე—2,0 მ. ყრილი მთლიანად მიწისა იყო და ზემოდან ეფარა ფლეთილი კლდის მსხვილი ქვები.

უწესო ოთხკუთხა მოყვანილობის (5,5×5,5 მ) ორმო ყრილის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა. ორმოს პირის დონეზე შეიმჩნევა ხის გადახურვის კვალი. ყრილში სხვადასხვა დონეზე ჩნდება შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ორმოს შევსებაში აღმოჩნდა ირმის დატოტვილი რქა, სხვადასხვა დონეზე კი თიხის ჭურჭლის ნატეხები და ხის კვალი. ფსკერზე იყო 6 თიხის ჭერჭელი, თითო ბრინჯაოს ყუამილიანი და ბრტყელი ცული, ბრინჯაოსავე სატეხი, სატევრისპირი, სადგისი და ობსიდიანის სწორფუძიანი ისრისპირი.

ძირითადი ორმოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩაჭრილი იყო უფრო პატარა უწესო მოყვანილობის ორმო, რომელიც თიხნარითა და დიდი ნამსხვრევი კლდის ქვებით იყო შევსებული. მის ზედა ნაწილში თითქმის მთელ ფართობზე ქვებს შორის ჩნდებოდა ადამიანის (მცირეწლოვანის) თავის ქალის ნატეხები. ორმოს ფსკერი ცარიელი აღმოჩნდა.

მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975.

წნორის ყორღანები (ტაბ. CXXXIII—CXXXV)

წნორის ყორღანები გაითხარა 1973—1975 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (კაე) მიერ (ხელმძღვანელი კ. ფიცხელაური). ყორღანები მდებარეობდნენ ალაზნის ველზე, წნორი-ლაგოდეხის გზის მარჯვენა მხარეს, მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე.

№ 1 ყ ო რ ღ ა ნ ი ს სიმაღლე იყო 11,0 მ. ყრილის ოვალის სიგრძე საჭრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე—168 მ, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე—136 მ. ყრილი მიწისა იყო, მას ძირთან შემოსდევდა 30 მეტრი სიგანის ქვის სარტყელი (ჯავშანი). ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ყრილის ზედაპირიდან 9 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა რიყის ქვით მშრალად ნაგები 2 მეტრამდე სიმაღლის

წრიული (7,5 მ დიამეტრის) შენობა, რომელიც ცენტრისაკენ იყო ჩაქცეული. ამ შენობაში რაიმე მასალა არ აღმოჩენილა. მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 11—12 მეტრის მოშორებით აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო, რომლის ზომები დაახლოებით 8×7 მეტრია. ამ ორმოში ვერტიკალურად დაყენებული ძელებით ნაგები იყო 2 მეტრი სიმაღლის დასაკრძალავი შენობა, რომლის იატაკი ასევე ხის ძელებით იყო დაგებული.

სამარხში დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი, რამდენიმე ოქროს ნივთი, ძვლისა და ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს დანა და სატევრისპირი აღმოჩნდა.

სამარხში გაიწმინდა აგრეთვე ოთხთვალა ურმის განცალკევებული თვლები. ნაგებობის დასავლეთ კედლის შუა ნაწილთან ურმის თვლის ნახევარი იდგა ვერტიკალურად. სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან იყო თავით ჩრდილო-დასავლეთით მიმართული, მარჯვენა გვერდზე მოკუნტულად დაკრძალული მიცვალებულის დაშლილი ჩონჩხი, რომლის ყელის არეში აღმოჩნდა ხუთი ოქროს და ექვსი სარდიონის მძივი.

ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდო ადამიანის ქვედა ყბა. ასევე ადამიანის ქვედა ყბა აღმოჩნდა დასაკრძალავი სარეცელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, რომელიც შესაძლოა სახურავზე შესრულებული დაკრძალულისა თუ მსხვერპლად შეწირული ჩონჩხის ნაწილი იყო.

ცენტრალური საყრდენი ბოძის ორმოსთან აღმოჩნდა ჩონჩხის ნაშთი (მეჯის ძვლები), ცოტა მოშორებით, ჩრდილოეთით — ასეთივე ნაშთი ქვედა კიდურების ფრაგმენტებთან ერთად, რომლებიც მარჯვენა გვერდზე მოკუნტულ და თავით ჩრდილო-დასავლეთით ორიენტირებული მიცვალებულისა უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, I (დიდი) ყორღანის დასაკრძალავ ორმოში, უფრო ზუსტად, მის დასაკრძალავ სარეცელზე აღმოჩნდა (თუ არ ჩავთვლით გადახურვიდან ჩამოვარდნილ ქვედა ყბას) ოთხი ადამიანის ძვლები.

თუ ძირითადი მიცვალებულის ჩონჩხი საერთოდ იყო ორმოში, ის ოქროსა და სარდიონის მძივებით უნდა ყოფილიყო შემკული. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი, ყოველგვარი ეჭვს გარეშე, მსხვერპლად შეწირულებად უნდა ჩაითვალონ.

ამ ყორღანის C^{14} მიღებული თარიღებია ТУ—208 2155±50 წ. ძვ. წ, და ლოსანჯელესის—2170± $\frac{50}{90}$ წ. ძვ. წ.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 2. მიწის ყრილის დიამეტრი—80, ხოლო სიმაღლე—2,5 მეტრი იყო. ფუძესთან შემოსდევდა 10 მ სიფართის რიყის ქვის ჯაჭვანი.

დასაკრძალავი კამერა მდებარეობდა თითქმის ყრილის ცენტრის ქვეშ და წარმოადგენდა ოთხკუთხა ორმოს ზომით 10×10×2,5 მ. კამერა ხის ძელებით იყო გადახურული და ზემოდან მოცისფრო-მომწვანო თიხით მოლესილი, რო-

შელზეც ისევე, როგორც კამერის იატაკზე, ჭილოფი იყო დაფენილი. ძელურ გადახურვა კამერაში თითქმის სიმეტრიულად განლაგებულ 9 სვეტს (ბოძს) ემყარებოდა.

სამარხის კედლები მკაცრად ქვეყნის მხარეთა მიხედვით იყო ორიენტირებული. მხოლოდ კამერის სამხრეთი კედლის დასავლეთ ბოლოში, თითქმის კუთხეში, აღმოჩნდა კიდეებმოჭრგვალებული საფეხური, რომელიც კამერაში შესასვლელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს შესასვლელი ცალკე სახურავით იყო აღჭურვილი.

კედლების გაყოლებით 0,5 მეტრ სიგანეზე და ასეთივე სიმაღლეზე შეიმჩნეოდა ცეცხლის მოქმედების კვალი.

კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩრდილო კედლის ახლოს იატაკზე გაიწმინდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი. კედელთან უფრო ახლოს უინვენტაროდ, მარჯვენა გვერდზე მოკუნტულ პოზაში დაკრძალული იყო ოცდაათ წლამდე ასაკის ქალი, თავით დასავლეთისაკენ.

ამ ჩონჩხიდან რამდენიმე მეტრზე კამერის ცენტრთან უფრო ახლოს, ზუსტად ზემოთ აღწერილ პოზაში გაიწმინდა მეორე, ოღონდ ამჯერად ორმოცოდე წლის მამაკაცის ჩონჩხი, რომლის თავის ქალის არეშიც აღმოჩნდა ბიკონუსური ფორმის 63 ოქროს მძივი, მაჯებზე თითო ვერცხლის სამაჯური, ხოლო ზურგს უკან გაბრტყელებული სფეროს ფორმის აქატის მძივი და ორვოლუტიანი ვერცხლის საკინძი.

დასაკრძალავი კამერის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული იყო ორთვალა ურემი (ეტლი), რომელიც მხოლოდ ანაბეჭდების სახით შემორჩა. წინა ორი თვალი სანახევროდ იყო მიწაში ჩასმული, ურმის ღერძის თავთან იდო ბრინჯაოს დისკოსებურთავიანი მანჭვალი, რომელიც ძლიერ იყო დაჟანგული. ურმის უკანა თვლები მოხსნილი და მოცილებული იყო ძარისაგან.

ურმის ჯვარედინდო ძარაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა დამტვრეული თიხის ჭურჭელი, რომლის უმეტესობაც აღდგენილ იქნა. ურმის სამხრეთით, დასავლეთ კედლამდე დაწყობილი იყო დიდი ზომის 7 თიხის ჭურჭელი (დერგი). სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან მდგარ ჭურჭელთან გაიწმინდა ცხვრისა და თხის კოჭების გროვა და ერთი მსხვილფეხა საქონლის კოჭი. კოჭების ერთ ნაწილს გახეხილი ჰქონდა ზედაპირი. ჯამში მათმა რაოდენობამ 460 შეადგინა. აქვე კოჭებზე მეტი რაოდენობით იყო წვრილი რიყის კენჭების გროვა, ერთი დიდი და ორი მომცრო ქვით.

ურმის ძარაზე თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ორნაწილიანი ოქროს საკინძი, ოქროს ნაპირებაკეცილი ფირფიტა, ოქროს მილაკი ზედ მირჩილული გრძელი მავთულით, ტყავზე დამაგრებული მრგვალი ბრინჯაოს ნაშთები და სხვ.

ურმის ხელნასთან შეერთების ადგილას მეჩიდროდ ეწყო სამი ძვლისა და ერთი ობსიდიანის ისრისპირი. აქვე ნახევარწრედ იყო განლაგებული რქის ნივთები და ოქროსგან ჩამოსხმული ლომის სტილიზებული მცირე სკულპტურა.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო და სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

ბიბლიოგრაფია

1. Ш. Ш. Дедабришвили. Курганы Алазанской долины, Тб., 1979.

ხრამების ყორღანი № 1 გაითხარა კაე-ს მიერ სოფელ ნუკრიანთან. მისი მიწაყრილის სიმაღლე იყო 1 მ, დიამეტრი კი 20 მ. სამარხი ორმოიანი გამოდგა. ძირითად სამარხში ჩაშენებული აღმოჩნდა მისივე თანადროული სამარხი რამდენიმე თიხის ჭურჭლითა და ბრინჯაოს ნივთებით.

ძირითად სამარხში, ოთხთვალა ეტლზე დამოწმებულ იქნა ჭილობში გახვეული კრემირებული მიცვალებულის ფერფლი და რამდენიმე თიხის ჭურჭელი. ინვენტარის დანარჩენი ნაწილი, როგორც ჩანს, მძარცველებს წაუღიათ. სამარხი ბედენური ყორღანების თანადროულია.

დიდისერების ყორღანი № 2 გაითხარა სოფ. ნუკრიანთან. მისი ქვაყრილის დიამეტრია 20 მ, ხოლო სიმაღლე 0,5 მ. ეს უორმოო ყორღანი კოლექტიური სამარხი გამოდგა და საკმაოდ ღარიბულ მტკვარარაქსულ ინვენტარს შეიცავდა.

მასალა დაცულია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სიღნაღის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

Пицхелаури К. Н., Дедабришвили Ш. Ш., Чикондзе Ц. Н., Кобаидзе Л. В., Миндиашвили Г. М., Варазашвили В. Г., Майсурадзе В. Г. Краткий отчет Кахетской археологической экспедиции в 1975 г. ПАИ в 1975 г. Тб., 1979.

ფურცელწყლის № 4 ყორღანი გაითხარა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წელს. მისი ქვამიწის ყრილის დიამეტრი 30 მ. სიმაღლე—0,50 მ, სამარხი ორმოს სიგრძე—1,4 მ, სიგანე—1,15 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, თავით—აღმოსავლეთით, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი. მენჯის ძვალზე ედო ობსიდიანის ისრისპირი; გარდა ისრისპირისა, სამარხში აღმოჩნდა ორი თიხის ჭურჭელი. ინვენტარის მიხედვით, ფურცელწყლის № 4 ყორღანამარხის თარიღი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით ან II ათასწლეულის დასაწყისით არის განსაზღვრული.

მასალა დაცულია კაე-ს ბაზაზე სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

კაპანაძე მ., ივრისპირეთის ბრინჯაოს ხანის სამაროვნები, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (კაე) შრომები, VI.

კაჭრეთის ქვაყრილიან-ორმოიანი ყორღანი გაითხარა ბეტონის ქარხნის ტერიტორიაზე (1978 წ.). სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ხანჯალი ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით ათარიღებს ამ ძეგლს.

მასალა ინახება კაე-ს ბაზაზე ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

К. Пицхелаури, Новые находки Кахетской археологической экспедиции, ПАИ в 1978 г. Тб., 1981.

ანაგის ყორღანი გაითხარა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1979 წ. ყორღანის მიწაყრილის ქვეშ აღმოჩნდა სრულიად გაძარცული დასაკრძალავი კამერა, მის ქვეშ კი ჩაშვებული 4 მ. დიამეტრის წრიული სამარხი ორმო, რომლის ფსკერიც ძელებით იყო დაგებული. ჩაშვებულ სამარხში მოკუნტულად იყო დაკრძალული ორი მიცვალებულის ჩონჩხი. ერთი მათგანი—ოქროს სამკაულებით, მეორე—უინვენტაროდ. ადამიანთა ჩონჩხებს შორის გაიწმინდა უზარმაზარი ძაღლის ჩონჩხი. სამარხის ცენტრალურ ნაწილში მოხერხდა დასაკრძალავი ოთხთვალის კვალის დადგენა. ინვენტარის მიხედვით სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოთია დათარიღებული.

მასალა ინახება კაე-ს ბაზაზე ქ. სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

К. Н. Пицхелаури, Н. Ф. Маманашвили, М. Т. Капанадзе, В. В. Варазашвили, В. Г. Майсурадзе, М. А. Абдушелишвили. Археологические исследования КАЭ. ПАИ в 1979 г. Тб., 1982.

ბაკურციხის ყორღანის (გაითხარა კაე-ს მიერ) მიწაყრილის დიამეტრი 60 მეტრია, ხოლო სიმაღლე 3 მეტრი. ყრილის ქვეშ გაიწმინდა მიწისზედა დიდი მორებით ნაგები ოთხკუთხა შენობა, ზომით 9,0×8,50 მ, რომელიც დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი იატაკი მორებით იყო დაგებული და ზედ ჭილობი ეფინა. სამარხის ცენტრი გაძარცული იყო. სადაც ურემი უნდა მდგარიყო, აღმოჩნდა რამდენიმე შავპრიალა თიხის ჭურჭელი, ადამიანის გაფანტული ძვლები, ორი ცილინდრული და ოთხკუთხა ბრტყელი პასტის და ოქროს მძივები. სამარხის ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი გაიწმინდა ორი მიცვალებულის ხელუხლებელი ჩონჩხი; ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა გვერდზე მოკუნტულები. ისინი თავებით თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს. ერთი თავით მიქცეული იყო ჩრდილოეთით, მეორე—სამხრეთით. იატაკზე გარკვეული წესრიგის გარეშე ეწყო დიდი რაოდენობით შავპრიალა მცირე ზომის თიხის ჭურჭელი. სამარხის ცენტრიდან სამ-

ხრეთით იატაკზე გაიწმინდა წრეში ნახატი გეომეტრიული ორნამენტი. სამხრეთი კედლის გასწვრივ ელაგა დიდი ზომის რელიეფური და ნაკვეთი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლები. აღმოსავლეთ კედელთან—ობსიდიანის ისრისპირები, მშვილდის ოქროს გარსაკრავი ყუნწიანი შუბისპირები ვერცხლის სალტეთი, ბრინჯაოს ხანჯალი, სალესი ქვა და სხვ. სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება (ტაბ. CXXXVI, 2—9).

მასალა ინახება კაე-ს სიღნაღის ბაზაში.

ბიბლიოგრაფია

К. Н. Пицхелаури, Исследования Кахетской археологической экспедиции, ПАИ в 1980 г. Тб., 1982.

ზ ე ი ა ნ ი ს № 1 ყორღანის (გაითხარა კაე-ს მიერ) დიამეტრი 40 მეტრი იყო, სიმაღლე—3 მეტრამდე. ყრილის ზედა ნაწილი მხოლოდ მიწისაგან შედგებოდა. მიწაყრილის ქვეშ გაიწმინდა 2 მ სიმაღლისა და 30 მ დიამეტრის მშრალად ნაგები ქვის კედლის წრე, რომლის შიგნით ჰორიზონტალურად ორ რიგად დაწყობილი მორებით გაკეთებული 20 მ დიამეტრის წრე აღმოჩნდა. ქვისა და მორების წრეებს შორის მოქცეულ არეში დადასტურდა ხუთი დიდი კოცონის კვალი. ხის წრის შუაგულში აღმოჩნდა დასაკრძალავი კამერა (4×4×4 მეტრი ზომისა), რომელიც მსხვილი მორებით იყო გადახურული და ზევიდან რიყის ქვა ეყარა.

ორმოს ფსკერზე საგანგებოდ ამოღებულ ორმოებში ბორბლებით ჩაყენებული ოთხთვალა ურემი უნდა მდგარიყო. სწორედ აქ აღმოჩნდა შავპრიალა თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს პარამიდულთავიანი ისრისპირი.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გაიწმინდა ერთმანეთის პირისპირ დაკრძალული ორი მიცვალებულის მოკუნტული ჩონჩხები, რომელთა ხელები და სახე თითქმის ერთმანეთს ეხებოდა.

ეს კომპლექსი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით არის განსაზღვრული (TB—329—2352±316 ძვ. წ.).

მასალა ინახება კაე-ს ბაზაზე, სიღნაღში.

ბიბლიოგრაფია

Пицхелаури К. Н., Маманашвили Н. Ф., Капанадзе М. Т., Варазашвили В. В., Майсурадзе В. Г., Квавадзе Д. Л., Кахетская археологическая экспедиция, ПАИ в 1987 г., Тб., 1985.

სამგორის ყორღანები (ტაბ. CXXXVII)

სამგორის ველზე, დაახლოებით ერთ ხაზზე, სამი დიდი ყორღანია ამოზიდული, გარკვეული მანძილით ერთიმეორისაგან დაცილებული. როგორც ჩანს,

ველმაც თავისი სახელი აქედან მიიღო. 1950—1951 წწ. სამგორის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ შეისწავლა ერთი ყორღანი „კოხრა გორა“.

სამგორის „კოხრა გორას“ 51 მ დიამეტრის ყრილი ზედა ნაწილში მიწისა იყო, შიგნით კი ქვის. ქვაყრილის ქვეშ, ცენტრში, სწორკუთხა მოყვანილობის ხის ძელური შენობა იდგა. ნაგებობის ორმაგი კედლების შორისი სივრცე ამოვსებული იყო ღორღითა და მიწით. სწორკუთხა შენობას გარს უვლიდა წრისებურად განლაგებული ბსხვილი ხის მორები. მის ერთ-ერთ უკეთ გადარჩენილ კუთხეს შემორჩენილი ჰქონდა მუხის მორების ხუთი რიგი, რომლებსაც ბოლოებზე ჰდეები ჰქონდათ და ერთმანეთზე გადაბმული იყო ნახევარი ხით. შენობის მოტკეპნილ იატაკზე თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ბრტყელპირიანი სატევარი, ქვის ბრტყელი ცული და ცხვრის კოქები აღმოჩნდა. იატაკის აყრის შემდეგ შენობის ერთ ნაწილში ორმო გამოჩნდა, რომელშიც ჩადგმული იყო თიხის ჩაღარულყელიანი ჭურჭელი, ფერფლის ნაშთით. ეს ყორღანი თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანების თანადროულია.

მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

მარტყოფის ყორღანები (ტაბ. CXXXVIII—CXLVII)

1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები ჩაატარა სოფელ მარტყოფის მიდამოებში, სადაც ყორღანების ცნობილი დაჯგუფების „სამგორის“ გარდა კიდევ რამდენიმე ყორღანული სამარხი აღმოაჩინა.

1978—1982 წლებში გაითხარა ოთხი ყორღანი. ამათგან № 1 და № 2—ადგილ ულევარში, № 3—შინდათხევში და № 4—მარტყოფში—დიდი ყორღანი, რომელიც ცნობილია გრაკლიანი გორას სახელით.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 1 ქვამიწაყრილს წარმოადგენდა, მისი ზომები იყო ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე 70, ხოლო აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე—60 მეტრი. შემორჩენილი სიმაღლე 5 მეტრს უდრიდა. ყორღანის ზედაპირზე მიწის ორი სხვადასხვა შედგენილობის ფენის ქვეშ უკვე სუფთა ქვაყრილი მოდიოდა. ყრილის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა თხელი ფილებისაგან მშრალი წყობით ამოყვანილი—ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული კამერა. მისი ზომები იყო 3,20×2,70 მეტრი.

სამხრეთ-დასავლეთი კედლის შუა ნაწილში ძირთან, გარეთა მხრიდან, შერჩობილი იყო ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირი. სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის წინ, საიდანაც შესასვლელი უნდა ყოფილიყო, მოწყობილი იყო ფი-

ლებით ნაგები მოედანი. ამ მოედანზე დიდი რაოდენობით ნიჟარებისაგან გაკეთებული მრგვალი, ბრტყელი, ფიგურული გახვრეტილი მძივები იყო.

ნაგებობის იატაკი ქვის ფილებით იყო მოფენილი. ჩრდილო-დასავლეთ კედელთან იატაკში ჩაჭრილი იყო მცირე ორმო, მცირე ზომის ქვებით იყო შევსებული და ცეცხლის კვალი ეტყობოდა.

გარდა თიხის ჭურჭლის ნატეხებისა, ნაგებობის შიგნით აღმოჩნდა ნიჟარისაგან დამზადებული, მოგრძო და მრგვალი დაკბილული ფირფიტა და მძივები, ბრინჯაოს ისრისპირი, გახვრეტილი ეშვი და ქვის გახვრეტილი ცული. ნაგებობაში მიცვალებულის ძვლები არ დადასტურებულა.

ყორღანი ძვ. წ. XXIV—XXIII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 2. მისი დიამეტრი 40—46 მეტრი იყო. ზევიდან წითელი ფერის თიხა იყო დაყრილ-გადაღებული, ქვეშ კი რიყის ქვის ყრილი. ყრილის ცენტრალურ ნაწილში 1.20 მ სიღრმეზე გამოვლინდა ოთხკუთხა მოედანი, რომლის ზომები სამხრეთიდან ჩრდილოეთით 6,40, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით 6,80 მ იყო. თიხატკეპნილი მოედნის კიდეების გასწვრივ, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში, ხის ძელების ნაშთები შეიმჩნეოდა და რამდენიმე თიხის ჭურჭელი იყო განლაგებული.

ხის ძელების ნაშთების მიხედვით, დასაკრძალავი ნაგებობის ზომები 6,30×
×5,50 მ უნდა ყოფილიყო. გარდა აღნიშნული ჭურჭლებისა სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის სატევრისპირი, სპილენძისა თუ ბრინჯაოს მძივი, ბრინჯაოს 3 ისრისპირი.

მიცვალებულის მოკუნტულ პოზაში დაკრძალული ჩონჩხი აღმოჩნდა სამხრეთ კედელთან. ჩონჩხთან იდო ხარის თავის ქალა; მიცვალებულის ძვლების ქვეშ იყო ბრინჯაოს სატევარი. ვერცხლის სატევრის ტიპისა, ოღონდ უფრო მცირე ზომის. მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები. მიცვალებული და მთელი იატაკი წითელი ოქრის კვალს ატარებდა.

ყორღანი № 2, № 1-ის მსგავსად, ძვ. წ. XXIV—XXIII სს. უნდა მიეკუთვნოს.

მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბ., 1980.

მ ა რ ტ ყ ო ფ ი ს № 3 ყორღანიც ბედენური დროისა უნდა იყოს. ის სხვებისაგან განცალკევებით იდგა და გარეგნულადაც ერთგვარად განსხვავდებოდა მარტყოფთან შესწავლილი სხვა ყორღანებისაგან. მისი სიმაღლეა 1,75 მ, დია-

მეტრი კი 30,0 მ. ყრილი ზემოდან ქვისა იყო, შიგნით კი თიხისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელშიაც შვეულად დაყენებული ძელებისაგან შეკრული ნაგებობა იყო ჩადგმული და ხის მორებითვე გადახურული. მის ძელურ იატაკზე ორი მიცვალებული ესვენა; ერთი მათგანი ცენტრალურ ნაწილში იწვა, მარცხენა გვერდზე ფეხებმოკეცილი. ჩონჩხი, ჩანს, საკმაოდ ახოვან, მსხვილძვალა მამაკაცს ეკუთვნოდა. მის ფეხთით მეორე მიცვალებული ესვენა, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი ფეხებით. იგი ქალი ტნდა ყოფილიყო. სამარხში, ჩანს, ხის ოთხთვალა ეტლი იყო ჩადგმული, რასაც მოწმობს ორმოს კიდეებზე შერჩენილი ღრმულები და ხის ნაშთი.

ლითონის იარაღიდან სამარხში აღმოჩნდა ყუამილიანი ცული, მოზრდილი ღარიანი სატეხი, სადგისი და ისრისპირი; ბრინჯაოს ბრტყელი, ფართო ფოთლისებრი მოყვანილობის ყუნწიანი ნივთი, ეგებ „შტანდარტი". სამკაულებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს რამდენიმე სასაფეთქლე ხვია, კასრისებრი მძივები, ოქროს ხვია, სარდიონის მძივები და მძივსაკიდები, ერთი გიშრის ფართო რგოლი. სამარხში რამდენიმე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

მ ა რ ტ ყ ო ფ ი ს ჯ გ უ ფ ი ს № 4 (ყველაზე დიდი) ყორღანის დიამეტრი 100 მეტრს აღემატებოდა, სიმაღლე კი 12,0 მ აღწევდა. ყორღანის ცენტრში, ქვაყრილის ქვეშ, რომლის დიამეტრი 40,0 მ-მდე იყო; სიმაღლე კი 3,0 მ-ს აღემატებოდა, კარგად გადარჩენილი შენობა იდგა. იგი წარმოადგენდა მუხის მორებისაგან ნაგებ, ერთმანეთში ჩადგმულ ორ ნაგებობას, რომელთა შორის არსებული სივრცე მოზრდილი ქვებით იყო ამოვსებული. გარეთას ზომები უდრიდა 11,0×10,0 მ, შიდასი — 8,0×6,0, სიმაღლე კი 2,0 მ. კამერის იატაკი ქვის ფილებით იყო მოგებული, გადახურვა კი ალბათ ხისა იქნებოდა.

კამერის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე მიცვალებული ესვენა. ოთხივე კედლის გასწვრივ თიხის ჭურჭლები ელაგა.

მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

დოესის ყორღანი

დოესის ყორღანი გაითხარა 1974 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ზ. შატბერაშვილის ხელმძღვანელობით. იგი მდებარეობდა რკინიგზის სადგურ გრაკალთან. მისი მიწის ყრილის დიამეტრი 20 მ, სიმაღლე კი 1,5 მ უდრიდა. ყრილის ცენტრალური ნაწილის ქვეშ ამოღებულ ოთხკუთხა ორმოში (1,60×1,10 მ), რომელიც დამხრობილი იყო სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე, აღმოჩნდა ქვის მშრალი წყობით ნაგები და დიდი ზომის ქვის ფილებით გადახურული აკლდამა.

სამარხში აღმოჩნდა თავით სამხრეთისაკენ მიმართული, მარცხენა გვერდზე მოკუნტულ პოზაში დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი. მის წინ იდგა

ერთი შავპრიალა, ორყურა ბადია. უშუალოდ სამარხის სახურავზე გამოვლენილ იქნა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ობსიდიანის ანატკეცები.

თავისი ასაკით ეს ყორღანი ბედენის ყორღანების ხნისა უნდა იყოს.

მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

З. Г. Шатберашвили, Раскопки курганов Доеси и Охера, ПАИ в 1974 г. Тб., 1976.

ხელთუბნის ყორღანები (ტაბ. CXLVIII—CL)

გორის რაიონის სოფ. ხელთუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას 1981 წელს გამოვლენილ იქნა 11 ყოროღანი, რომელთაგან ყველაზე ძლიერ დაზიანებული № 2, № 4, № 10 შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გორის რაიონის ექსპედიციამ.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 2 მდებარეობდა სოფ. ხელთუბანთან ადგილ „გორაკების მიწებზე". მისი ყრილი მთლიანად იყო გადასწორებული, დიამეტრი, ძირთან შემოვლებული ქვის სარტყლის გაფანტული ქვების მიხედვით, 25—26 მ უნდა ყოფილიყო. ქვის სარტყლის სიგანეა 1,5—1,8 მ. ცენტრში, დასაკრძალავი ორმოს (3,55×2,50×2,25 მ) თავზე გაწმენდილი რიყის ქვის ყრილის ზომები კი 8×6 მეტრი იყო.

ერთმანეთში ძლიერ არეული შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ადამიანისა და საქონლის ძვლები ძირითადად კონცენტრირებული იყო სამარხი ორმოს იატაკის ცენტრსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ცენტრალურ ნაწილში აგრეთვე აღმოჩნდა სარდიონისა და თეთრი პასტის წვრილი მძივები, ნიჟარა და ბრინჯაოს ისრისპირი ოთხწახნაგა პირამიდული თავით. სამარხი ორმოს კედელზე გაიწმინდა ურმის თვლის ანაბეჭდი. ეტყობა, ამავე ურმისთვის იყო ორმოს ფსკერზე ამოღებული ორი პარალელური პატარა თხრილი ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის გრძივი კედლების გასწვრივ.

სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 4 № 2-ის მეზობლად მდებარეობდა, „გორაკების მიწებზე", მისი ყრილიც მიწასთან იყო გასწორებული; ქვის სარტყლის მიხედვით დიამეტრი 17 მეტრი უნდა ყოფილიყო. ქვის სარტყლის შუაგულში აღმოჩნდა დასაკრძალავი კამერა (ორმო), რომლის ზომები ზედაპირთან 3×2,5 მ იყო, ძირთან კი 2,5×2,0 მ, სიღრმე 1,2 მ უდრიდა. ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს 1 მეტრის სიღრმეზე საფეხური (თარო) გასდევდა. იატაკზე გრძივი კედლების გასწვრივ გავლებული იყო მცირე სიღრმის ორი პარალელური ღარი ოთხთვალა ურმისათვის. იატაკზე გაწმენდილ ამ ორ ღარს შორის აღმოჩნდა ერთმანეთში არეული ინვენტარისა და მიცვალებულის ნაშთები.

სამარხი გაძარცული უნდა იყოს. აღდგენილი ერთი თიხის ჭურჭლისა და სხვა ფრაგმენტების მიხედვით ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 10 მდებარეობდა ადგილ თანდიწყაროსთან. მისი ქვაყრილის ოვალის ზომა იყო 15×12 მ, სიმაღლე—0,50 მ. დასაკრძალავი კამერის არასწორი ოთხკუთხა მოყვანილობის (3,3×2,7 მ) ორმო დაახლოებით ქვაყრილის ცენტრში მდებარეობდა. კამერის შევსებაში გაიწმინდა არეული ნაშთები, ჩაშვებული სამარხის ადამიანის ყბასთან და ზედა კიდურების ძვლებთან ერთად.

ძირითადი სამარხი გაძარცული აღმოჩნდა. გათხრილი ხვრელის ქვეშ, აღმოსავლეთ კედელთან და მის მთელ სიმაღლეზე, კონცენტრირებული იყო სამარხეული ინვენტარის ნაშთის ძირითადი ნაწილი და მიცვალებულის ძვლები. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ხელშუბის ბრტყელი პირიც.

ყორღანის ძირითადი სამარხი თრიალეთის ადრებრინჯაოს ყორღანების თანადროულადაა მიჩნეული, ხოლო ჩაშვებული სამარხი რამდენადმე გვიანდ— ბედენური ეტაპის დროინდლად.

მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, თბილისში.

ბიბლიოგრაფია

Г. М. М и н д н а ш в и л и. Археологическая экспедиция в село Хелтубани. ПАИ в 1981 г. Тб., 1984: მისივე — Археологическая экспедиция Горийского района, ПАИ в 1982 г Тб., 1985; მისივე — Экспедиция Горийского района, ПАИ в 1983 г. Тб., 1986.

ბერიკლდეების ყორღანები (ტაბ. CXXXVI—1)

ქარელის რაიონის ბებნისის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, მდინარე ფრონის შესართავის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა მაღალ ნაპირზე, ადგილ ბერიკლდეებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1979—81 წლებში შეისწავლა სამი ყორღანი. ამათგან ორი (№ 1 და № 2) ადრეულ ყორღანთა რიცხვს მიეკუთვნება, რის გამოც ქვევით მოკლედ აღვწერთ ამ ძეგლებს.

ყ ო რ ღ ა ნ ი № 1. ამ ყორღანის ოვალური ყრილი (15×10×0,60 მ), გრძივი ღერძით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო მიმართული და შეიცავდა ქვასა და მიწას. მის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა (4,0×2,90×1,60 მ.) კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა ორმო, მთლიანად ამოვსებული რიყის ქვით, რომელსაც დაელეწა როგორც ორმოს ფსკერზე დალაგებული მთელი ინვენტარი, ისე ადამიანის ჩონჩხი. ორმოს ძირზე, მისი ჩრდილო და სამხრე-

თი კედლების გაყოლებით გაიწმინდა 0,20 მ სიგანისა და 0,50 მ სიღრმის თხრილები ოთხთვალა ეტლის (ურმის) თვლების ჩასადგმელად.

როგორც მიცვალებულის ჩონჩხი, ისე მთელი ინვენტარი ეწყო ურმის თვლის ღარებს შორის ფართობზე. სამარხში აღმოჩნდა სპილენძის სატევრის-პირი, როგორც დიდი, ისე მცირე ზომის შავპრიალა თიხის ჭურჭელი, სარდიონის მძივები და ობსიდიანის მასიური ნატეხები.

კერამიკული მასალა ამ ყორღანს ბედენური ყორღანების თანადროულად წარმოგვიდგენს (ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო).

ყ ო რ ღ ა ნ ი № 2 მდებარეობდა № 1-ის სამხრეთით, თითქმის ფლატის პირას. მისი ოვალური ყრილის ზომები 30×17×1,60 მეტრია. სამარხი ორმო აქაც კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის მოყვანილობისაა (4×3,50×3,30 მ); ორმოს აღმოსავლეთ კედელთან, შუაში, დატოვებული იყო გეგმაში ოვალური, მაღალი საფეხური. ორმო შევსებული იყო თავის დროზე მის გადახურვაზე აღმართული ქვაყრილის საყორე ქვებით.

სამარხი გაძარცული გამოდგა. ფსკერზე აღმოჩნდა რელიეფურორნამენტიანი დიდი ზომის თიხის შავპრიალა ჭურჭელი, წყვილი ხარის ჩონჩხების ნაშთები, მოზრდილისა და ბავშვის ძვლების ფრაგმენტები.

ეს ყორღანი № 1-ის თანადროული უნდა იყოს.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ე. ქ ო რ ი ძ ე, ა. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979—81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბ., 1986.

ჯარი მეორე

ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა

დასავლეთ საქართველოში

თავი I

ენეოლითური კულტურა დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ ამიერკავკასია ენეოლითის ხანაში უკვე ფართოდ ათვისებული ჩანს. ენეოლითური ხანის ძეგლები გვხვდება დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე და მოიცავს გაცილებით მეტ ფართობს, ვიდრე ნეოლითურ ძეგლებს ეკავათ. ენეოლითური ხანის ნასახლარები უპირატესად განლაგებულია პლატოებზე, ზღვისპირა ტერასებზე, მდინარეთა ხეობებში, კოლხეთის დაბლობის გარემომცველ ბორცვოვან ზოლში და მაღალმთიან ადგილებშიაც. გამონაკლისს მხოლოდ თვით კოლხეთის დაბლობი — რიონის შესართავი და ქვედადინების აუზი შეადგენს, რომლის გეოკლიმატური პირობები იმ დროს გამორიცხავდა ადამიანის დასახლების შესაძლებლობას.

ენეოლითური ხანის ძეგლები განსაკუთრებული ინტენსივობით თავმოყრილია ორ რეგიონში: რიონ-ყვირილის აუზში (იმერეთი) და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში.

რიონ-ყვირილის აუზში ნასახლარების ორი ტიპია წარმოდგენილი: მღვიმეები და ღია სადგომები.

მშრალი, კარსტული მღვიმეები ადამიანს ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანიდან აქვს ათვისებული. აქვე სახლობს იგი ენეოლითსა და ადრებრინჯაოს ხანაში. ამ პერიოდის ცხოვრების კვალი მღვიმეებში შემორჩენილია კულტურული ფენების სახით, რომელთა სიმძლავრე 1 მ—3,5 მ აღწევს. ზოგ გამოქვაბულში— სამელე-კლდე [13], საგვარჯილე [3], დარკვეთი [8] — ამ ფენაში ჰორიზონტების [3] გამოყოფაც ხერხდება, რომელთაგან ქვედა ორი ჰორიზონტი ენეოლითის ეპოქას მიეკუთვნება, ზედა — ადრებრინჯაოს ხანას. ზოგ მღვიმეში მხო-

ლოდ ენეოლითის კულტურული ფენაა წარმოდგენილი (თეთრი მღვიმე [16], ძუძუანა [1]), ზოგში კი მხოლოდ ადრებრინჯაო (მოწამეთა [7], სამერცხლე-კლდე [10], ცუცხვათის მღვიმეები [2]).

განსაკუთრებით ინტენსიური ცხოვრების კვალი მღვიმეების წინა ნაწილში ჩანს; შემორჩენილია თიხით მოტკეპნილი იატაკების რამდენიმე დონე, შიგ ჩალესილი თიხის (საგვარჯილე) ან ქვით გარშემოწყობილი კერებით. ზოგ მათგანს შესასვლელის წინ დამატებითი მინაშენები აქვს გაკეთებული (დარ-კვეთი, საგვარჯილე), როგორც ჩანს, საცხოვრებელი ფართობის გაზრდის მიზნით.

ენეოლითური ხანის კულტურული ნაშთები აღმოჩნდა ამავე ტერიტორიაზე განლაგებულ ღია ნასახლარებზე; თეთრამიწაზე (ქუთაისთან), [4], ჩიხორში (თერჯოლის რაიონი), [9] და ახალსოფელში (ტყიბულთან) [19]. ღია ნასახლარები მდებარეობენ უპირატესად ბუნებრივ შემაღლებებსა და კონცხებურ ადგილებში.

ღია ნასახლარები, ცხადია, გაცილებით ნაკლებად არის დაცული გარეგანი ზემოქმედებისაგან, ამიტომ საკმაოდ დაზიანებულია; არც ერთ მათგანზე ნაგებობის რაიმე კვალიც კი არ ყოფილა აღმოჩენილი და ზოგ შემთხვევაში კულტურული ფენებიც ადრეული იყო. მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ გარდა ენეოლითისა, აქ ადრებრინჯაოს ფენებიც უნდა ყოფილიყო. არის შემთხვევები აქვე კიდევ სხვადასხვა პერიოდის მასალების აღმოჩენისაც.

მღვიმეებსა და ღია ნასახლარებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერამიკით, ქვის, ძვლისა და რქის იარაღებით, ერთეული ლითონის ნივთებით.

როგორც თავისი მნიშვნელობით, ისევე რაოდენობრივად ამ მასალებში წამყვანი ადგილი ქვასა და კერამიკას უჭირავს.

ქვის ინდუსტრიაში ჯერ კიდევ ძლიერია ნეოლითური ტრადიციები. ფართოდ გამოიყენება რიყის ქვის, ბაზალტისა და სერპანტინის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები: ტრაპეციის ამ სამკუთხა განივკვეთის ცალპირალესილი ცულები, სატეხები, სათლელები მიწის სათხრელი წვერწამახული იარაღები, სალესები, შურდულის ქვები და სხვ.

კაჟი ნეოლითთან შედარებით დეგრადირებულია, ნუკლეუსები უმეტესად ამორფულია, თუმცა ჯერ კიდევ გვხვდება კონუსური და პრიზმული ცალებიც. საფხეკები ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული, ცოტაა საჭრის-სახვრეტები. და. კომბინირებული იარაღები. გეომეტრიული მიკროლითები და მიკროლითური ტექნიკა შემორჩენილია ერთეული ეგზემპლარებით: სამელე-კლდესა და დარ-კვეთში — ტრაპეციები, თეთრ მღვიმეში — სეგმენტი, საგვარჯილესა და სამელე-კლდეში — ბრავეტის ტიპის ზურგდაბლაგვებული ლამელები. ენეოლითის გვიან ეტაპზე ჩნდება წნევითი რეტუშით ორმხრივდამუშავებული შუბისა და ისრისპირები როგორც ყუნწიანი, ასევე უყუნწო ფოთლისებური, სწორფუძე-

ანი ან ფუძეამოლარული (თეთრამიწა, ახალი სოფელი, ჩიხორი, ძუძუანა), არის ნამგლის ჩასართებიც (დარკვეთი, ახალი სოფელი, ჩიხორი), ჩნდება სადა და ორნამენტირებული კვირისტავები, ლითონის ნივთები და მის წარმოებასთან დაკავშირებული საგნები (ცულები, ყალიბები).

ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ოთხწახნაგა სადგისი სამელე-კლდიდან, ოთხწახნაგა სადგისები ჩიხორიდან და დაფნისფოთლისებური ისრისპირი თეთრი მღვიმედან.

ნეოლითურ ტრადიციებს აგრძელებს აგრეთვე კერამიკა. იგი ხელით ნაძერწია, არათანაბრად გამომწვარი ტლანქი — კვარცის, ქარსის, ხილის, ხვინჭისა და ზოგჯერ ბზის მინარევით. უპირატესად მოვარდისფრო-მორუხოა ან მურა-მოყავისფრო, არის მონაცრისფრო და მურა ფრაგმენტებიც. ბევრ მათგანს ეტყობა წითელი და ღიაყავისფერი საღებავის კვალი. პირები სწორია, ოდნავშეჩქელებული; ძირები ძირითადად ბრტყელია და ქუსლიანი, თუმცა არის კონუსური ძირებიც (სამელე-კლდე). თეთრი მღვიმის მთელი კერამიკა მრგვალძირიანია; ყურები, როგორც ჩანს, არ ახასიათებთ, ერთი ყურია ნაპოვნი ძუძუანაში, ერთიც — საგვარჯილეში, თეთრ მღვიმეში ყურის სამი შემთხვევა დასტურდება. ჭურჭლის ზედაპირი ხშირად მოსწორებულია დაკბილული იარაღით, რომელიც პარალელურ ხაზებს ტოვებს, ორნამენტი იშვიათია. ფორმა პროფილების მიხედვით გამოიყოფა: ქილისებური, ქოთნისებური, ტაფისებური და ჯამფიალისებური ჭურჭლები.

ჭურჭლის ყველაზე დიდ ჯგუფს ქილები და ქოთნები შეადგენენ. ისინი ქვედა ჰორიზონტებში ჩნდებიან და ბოლომდე განაგრძობენ არსებობას; ახასიათებთ სწორი ან ოდნავგადმოშლილი პირი, მოგრძო ტანი და ბრტყელი ან ქუსლიანი ძირი.

ქოთნების უმეტესობას კარგად გამოყვანილი ყელი აქვს, რომელიც თანაბრად გადადის მომრგვალო ტანზე, ძირები ბრტყელია და ფართო. სულ ქვედა, მესამე ჰორიზონტში ეს ჭურჭელი უხეშია სქელკედლიანი, ზოგჯერ შიდა მხარე და ზედაპირი თიხის თხელი ფენით აქვთ დამატებით შემოლესილი. ყურები და შვერილები არ ახასიათებთ. მომდევნო მეორე ჰორიზონტში ქოთნისა და ქილების იგივე ფორმები უფრო იხვეწება და ზოგ შემთხვევაში ნაპრიალებიც კი ხდება.

ტაფისებური ჭურჭლები ბევრია, ტლანქად ნაძერწია, ხვინჭანარევი; ძირები ფართო და ბრტყელი აქვთ; ფართოა პირიც, რომლის დიამეტრი ჩვეულებრივ ძირზე ოდნავ მეტია. კედლები სწორია და ძირთან შეერთებისას ირიბ კუთხეს ქმნიან. ტაფისებრ ჭურჭლებს, როგორც წესი, პირქვეშ ნასვრეტები შემოუყვება და ხშირად პირი დაჭდეული აქვთ. ნაჭდევები სხვადასხვა ხასიათისაა; არის თითის ანაბეჭდები, სწორი ირიბი ნაჭდევები და ბიბილოსებური პირებიც. დარკვეთსა და ძუძუანაში ტაფისებურ ჭურჭლებზე მეჩეჩისებური კოპებიც გვხვდება, რომლებიც კედლის შიდა მხრიდანაა გამოყვანილი.

ჯამ-ფიალები ორი ტიპისაა: პირმოყრილი და პირსწორი; ძირები ბრტყელი

აქვთ, ქუსლიანი ან ოდნავმომრგვალებული, ზოგი მათგანი ტაფისებურად პირდაჭდეულია.

ძუძუანაში ამათ გარდა აღმოჩნდა ე. წ. „კოლბისებური“ ფორმის ჭურჭელი. იგი წითელპრიალაა და თხელკედლიანი, აქვს გრძელი მილისებური ყელი, ოდნავ გადაშლილი პირი, მრგვალი ტანი .მილისებური ყელის წითელპრიალა და თხელკედლიანი ფრაგმენტები ნაპოვნია საგვარჯილეს მეორე ჰორიზონტშიც.

თიხის ნივთებიდან აღსანიშნავია კონუსური და ბიკონუსური კვირისტავები, ორნამენტირებული წერტილებითა და ხაზებით (სამელე), ხსივისებური ნაკაწრებით (თეთრი მღვიმე), კონცენტრული წრეებით (ძუძუანა). არის ანტროომორფული და ცხოველთა ქანდაკებებიც (თეთრი მღვიმე, ძუძუანა).

რიონ-ყვირილის აუზის ენეოლითური ეპოქის ძეგლები ყველა ერთდროული არ არის, ზოგ მათგანში უფრო ადრეული ჰორიზონტებია წარმოდგენილი, მაგ. სამელე-კლდის III და საგვარჯილეს III. ეს მასალები აშკარა ნეოლითური ტრადიციების გადმონაშთებით ხასიათდებიან. ამათთან შედარებით სამელე-კლდესა და საგვარჯილეს II ჰორიზონტები, ძუძუანას, თეთრი მღვიმეს, დარკვეთის III—II, ახალი სოფლის, თეთრამიწის მასალები გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა კერამიკაში: ჩნდება თხელკეციანი, მოპრიალებული, მილისებურყელიანი ჭურჭლები, ტრადიციულ ქილებს, ქოთნებსა და ჯამებს ზედაპირი უგლუვდებაო და ხუსტად უპრიალდებათ; ჩნდება მეშეშისებური ორნამენტი და თიხის კვირისტავზე შემკულობა. ქვის ინვენტარში თავს იჩენს ორმხრივდამუშავებული ისრის, ნუბისა და ნამგლისპირები; გვხვდება თითო-ოროლა ქვის სამაჯურიც. ჩნდება ლითონის ნივთები და სხვ. ამ ნიშნების მიხედვით ზემოჩამოთვლილი ძეგლები სამელე-კლდესა და საგვარჯილეს III ჰორიზონტთან შედარებით უფრო გვიანდელებია, ერთგვარად გარდამავალი ადგილი უჭირავთ სამელე, საგვარჯილეს III ჰორ. და იმ ძეგლებს შორის, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან (სამელე-კლდე I ჰორიზ., საგვარჯილე, I ჰორიზ., დარკვეთის, I ჰორიზ., სამერცხლე-კლდე, მოწამეთა, ცუცხვათი და სხვ.).

რიონ-ყვირილას აუზის, ენეოლითური ძეგლების ასაკის დასადგენად სადღეისოდ ორი რადიოკარბონული თარიღი გვაქვს ძუძუანის მღვიმედან: TB 315 3565±130 ძვ. წ. და TB 316 2520±185 ძვ. წ. ერთი და იმავე ფენის ამ ორი თარიღიდან უფრო მართებული ჩანს TB 315 3565±130 ძვ. წ. [12].

ჩ რ დ ი ლ ო-დ ა ს ა ვ ლ ე თ კ ო ლ ხ ე თ შ ი — დასავლეთ საქართველოს შეორე რეგიონში, ენეოლითური ეპოქის ძეგლები გვხვდება უპირატესად ზღვისპირა ტერასებზე და ცენტრალური კოლხეთის გარემომცველ ბორცვოვან ზოლში. საკუთრივ კოლხეთის დაბლობზე — რიონის ქვედადინების აუზში, იმ პერიოდის ძეგლები ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობის ათვისება მომდევნო, ადრებრინჯაოს ხანაში იწყება.

ენეოლითური ძეგლები ამ რეგიონში აღმოჩენილ იქნა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ზოლში: მაჭარის ნამოსახლარი—IV ფენა [15] და გუანდრის—B ფენა [24]. ენეოლითური მასალები აიკრიფა მდინარე ფსოუს შესართავთან, ადლერის ახლოს და სოხუმის მთის ჩრდილოეთით, სოხუმისა და ბირკის საზღვარზე მდებარე გუადიხუს ნასახლარზე [15].

ბორცვოვან ზოლში ენეოლითის ხანის ძეგლები მიკვლეულ იქნა ოქუმის ხეობაში — მღვიმეში [11] და ატარის ღია ნასახლარზე, [20]. ასევე ბორცვოვან ზოლშია გამოვლენილი ჩაქვის ნასახლარი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში მდებარეობს. აქ აღმოჩენილი კერამიკა და ქვის ინვენტარი გარკვეულად უკავშირდება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მასალებს [5].

არც ერთ ჩამოთვლილ ძეგლზე მყარი საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთები დადასტურებული არ ყოფილა. ვარაუდობენ, რომ მაჭარაში, გუანდრასა და ჩაქვში მიწურებსა და ნახევარმიწურებს იყენებდნენ საცხოვრებლად.

აღნიშნულ ენეოლითურ ძეგლებზე არქეოლოგიური მასალები: ქვა, კერამიკა ძვლისა და რქის ნივთები თავმოყრილი იყო სავარაუდო საცხოვრებელთა იატაკებზე ან ქვითშემოწყობილი ნაცროვანი ორმოების ვარშემო

ენეოლითური ხანის ქვის ნაწარმი ამ რეგიონშიაც აშკარა ნეოლითური ტრადიციების შემონახვით ხასიათდება. წამყვანი იარაღები რიყის ქვისგანაა დამზადებული ატკეცვით და მოკოდვით. რიყის ქვისაა ცულები, სატეხები, სათლელები, „პიკის“ ტიპის უნივერსალური იარაღები, რომლებიც სატეხებად და თოხებად გამოიყენებოდა. ფართო ხმარებაშია სიბრტყივ გახეთქილი რიყის ქვები, რომლებიც ნაპირების დამატებითი ჩამოტეხვისა და წამახვილების შედეგად გამოიყენებოდა საფხეკებად, სახოკებად, საჭრისებად. რიყის ქვებისგანაა დამზადებული ხელსაფქვავები და როდინები. ენეოლითურ ნასახლარებზე ხშირად გვხვდება რიყის ქვის თოხები ე. წ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის (გავრცელების რაიონის მიხედვით არის სახელწოდება მიკუთვნებული). მას ვიწრო ყუა და მომრგვალებული სამუშაო პირი აქვს. ამ ტიპის იარაღი ცნობილია წინა აზიიდან, ხასუნას კულტურაში, სიალკში, ჯემდეთ-ნასრსა და ხუზაში. არც ერთ სხვა ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ასეთი ფორმები არ გვხვდება, ამიტომ მათი აღმოჩენა ამ ორ რეგიონში მათ შორის მჭიდრო კავშირსა და ურთიერთობაზე უნდა მიგვითითებდეს [23]. „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხების დანიშნულებაზე ერთი აზრი დღესაც არ არის; ზოგი მათ ცულებად მიიჩნევდა, ზოგი — სათლელებად. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სეგმენტისებური იარაღი „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხიდან უნდა წარმოშობილიყო. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ ერთი ნათელია: ეს იარაღი მიწათმოქმედებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მაჭარასა და გუანდრის ნასახლარებზე ამასთან ერთად გვხვდება მეორე, ე. წ. „სოხუმის“ ტიპის თოხი. იგი დისკოსებური ფორმისაა დამატებით ჩამოსწორებული და წამახვილებული სამუშაო პირით. თოხების ეს ორივე ტიპი

კარგა ხანს განაგრძობს არსებობას და გვხვდება მომდევნო ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზეც.

კაჟის იარაღები შედარებით ნაკლებია, წარმოდგენილია უმეტესად ანატკეცებითა და ლამელებით, რეტუშის გარეშე. ყველაზე უკეთ კაჟის იარაღები წარმოდგენილია ოქუმის მღვიმეში. აქ აღმოჩნდა ანატკეცებზე ჩამოყალიბებული საფხეკები, სახოკებად გამოყენებული ნუკლეუსები, თავსწორი და თავპირიბრეტუშირებული ლამელები და გეომეტრიული მიკროლითები — ტრაპეცია (2 ც.), სეგმენტი და ზურგდაბლაგვებული ლამელა. აქვეა რიყის ქვა ღარით, რომელიც ან საპრიალებლად ან ხის ღეროს გასასწორებლად გამოიყენებოდა. კაჟის იარაღის მიხედვით, ოქუმი, სხვა ენეოლითურ ძეგლებთან შედარებით, ადრეულად გამოიყურება. ძვლისა და რქის იარაღები კოლხეთის ენეოლითური ხანის ძეგლებზე ნაკლებად გვხვდება.

კერამიკა ხელითნაძერწია. სუსტად გამომწვარი. ძირითადად მსხვილმარცვლოვანი ქვიშისა და კვარცის მინარევით (ატარა), ქარსნარევი, (ოქუმი), დაფხვნილი გრანიტითა და კალციტით (მაჭარა) ან შამოტის მინარევით (გუანდრა). ჭურჭლები მოყვითალო, მონაცრისფრო-მოწითალო ან მურა-მოშავოა. გამოიყოფა სწორპირიანი, მოგრძოტანიანი ქილები, ყელიანი ქოთნები, პირმოყრილი ჯამები, პირგადაშლილი ფიალები. ჭურჭლის ზედაპირი, როგორც წესი, მოსწორებულია რაღაც იარაღით, რომელიც ზედ პარალელურ ხაზებს ტოვებს. ძირები მასიურია, ბრტყელი ქუსლგაზიდული; ჭურჭლები ზოგჯერ ანგობირებულია და მოგლუვებული (გუანდრა), ან ოდნავ ნაპრიალები (ოქუმი). ორნამენტი ძალზე იშვიათია და უპირატესად წარმოდგენილია წერტილებით ან ფოსოებით პირქვეშ ამოკაწრული, ირიბი ან წიწვისებური ხაზებით (ოქუმი), ძირზე ფოთლის ან სელის ანაბეჭდით (მაჭარა, ატარა). გუანდრაში ბირთვისებურტანიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა. გუანდრის კერამიკა უფრო რთულ ორნამენტს ატარებს: კოპებს, შვერილებს, ჭრილ გეომეტრიულ სახეებს. ყურები, როგორც წესი, არ ახასიათებთ.

საღღეისოდ კოლხეთის ამ ენეოლითური ძეგლებისათვის მხოლოდ ერთი თარიღია ცნობილი მაჭარის ნასახლარის IV ფენიდან: 3810±90 ძვ. წ., რაც IV ათასწ. საწყის საუკუნეებზე მიგვითითებს [17].

დასავლეთ საქართველოს დასავლეთ (ჩრდილო-აღმოსავლეთ) და აღმოსავლეთ (რიონ-ყვირილას აუზი) რეგიონების მასალათა ურთიერთშედარება ძალზე საყურადღებო სურათს იძლევა.

ქვის ინდუსტრიაში ორივე რეგიონში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედების იარაღებს უჭირავს, მაგრამ მათ ფორმებსა და დამუშავების ტექნიკაში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება:

1. რიონ-ყვირილას აუზში ქვის იარაღებს უკვე ერთხელ შემუშავებული ფორმები აქვთ და გახეხილ-გაპრიალებულია.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იგივე დანიშნულების იარაღები ატკეცვითა და მოკოდვითაა დამუშავებული. უმეტესად სიგრძივ გაპობილი რიყის

ქვებია, რომელთა დამატებითი დარტყმებით წამახვილებულია ან დაბლაგვებული.

2. რიონ-ყვირილის აუზში სრულიად უცნობია „პიკის“ ტიპის იარაღები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იგი წამყვანია და ბევრ სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს.

3. რიონ-ყვირილას აუზში არა გვაქვს „სოხუმისა“ და „სოჭი-ადლერის“ ტიპის თიხები (ერთადერთი აღმოჩნდა თეთრამიწაზე), რომლებიც ასე დამახასიათებელია დასავლეთის რეგიონისათვის.

4. დასავლეთ საქართველოს ორივე რეგიონში კაჟის დამუშავების ტექნიკა მნიშვნელოვნად დეგრადირებულია, მაგრამ იმერეთში უფროა შემორჩენილი ლამელარული ტექნიკის ნიმუშები. ენეოლითის ბოლოსათვის ჩნდება შესანიშნავად ორმხრივდამუშავებული ისრისა და შუბისპირები და ნაშგლისჩასართებიც, რაც არა გვაქვს კოლხეთის ზღვისპირა ზოლში.

5. იმერეთში ფართოდ იხმარება ძვლისა და რქის იარაღები: ყუაგახვრეტილი და გაუხვრეტელი რქის თოხები, წვერწამახული მიწის საჩიჩქნები, ჩასართების ჩარჩოები, ძვლის სადგისები, მახათები და საპრიალებლები.

ზღვისპირა ზოლში რქის იარაღები თითქმის არ გვხვდება, ხოლო ძვლის მხოლოდ სადგისები და მახათებია ცნობილი.

6 აღმოსავლეთ რეგიონში (იმერეთი) ბევრია თიხის კვირისტავები, სადა და ორნამენტირებულიც; ზღვისპირა ზოლში მათი რაოდენობა მინიმალურია და რიყის ქვისგანაა დამზადებული. ნაცვლად ამისა, იქ ბევრია რიყის ქვის ბადის საწაფები, ორ მოპირდაპირე მხარეს ამოღარული თოკის ჩასასმელად, და სხვ.

მეტი საერთო ამ ორ რეგიონს შორის კერამიკაში ვლინდება. ძირითადად ერთნაირია ჭურჭლების ფორმა და დანიშნულება, დამზადების ტექნიკა, ზედაპირის მოსწორება დაკბილული იარაღით, არათანაბარი გამოწვა, მინარევები. თითქმის იდენტურია ბრტყელი და ქუსლგაზრდილი ძირების პროფილები, ზედჭილოფის ან ფოთლის ანაბეჭდით, ყურებისა თუ შვერილების არარსებობა და სხვ.

განსხვავება შეინიშნება უფრო ჭურჭლების დეკორატიულ გაფორმებაში. მაგ., ბიბილოსებური პირი ან პირის დაჭდევა, პირქვეშ გამჭოლი ნახვრეტები, მეგეგები, რაც დამახასიათებელია რიონ-ყვირილას აუზისათვის, არა გვაქვს აფხაზეთ-სამეგრელოს ენეოლითურ ძეგლებზე. იქ გვხვდება წერტილები და ფოსოები პირქვეშ, წიწვოვანი ან გეომეტრიული სახეები ტანზე.

განხილული ძეგლები და არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებენ, რომ ენეოლითის ხანაში მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ყოფილა საკმაოდ ერთგვაროვანი კულტურა, რომელსაც რეგიონების მიხედვით განსაზღვრული ლოკალური თავისებურებაც გააჩნდა. საღღეისოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი ასეთი ლოკალური რეგიონის

შემოხაზვა შეიძლება: რიონ-ყვირილის აუზი და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი. ასეთი ლოკალური განსხვავება თავს იჩენს ამ ორ რეგიონს შორის ადრებრინჯაოს ხანაშიც.

ამავე ენეოლითურ კულტურაში შედის სოფი-ადლერის ძეგლებში გამოვლენილი ძეგლები: ახშთირი მოლდოვკა, იმერეთის ყურე.

დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა ბევრ საერთოს ავლენს აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურასთან, კერძოდ, ე. წ. „სიონის" ტიპის ძეგლებთან (სიონი, წოფი, არახლო, ჟინვალი, ბოდორნო, ხერთვისი, დამწვარი გორა, წითელი გორები, ბეთალლდეები და სხვ.), აზერბაიჯანის (რუს-თეფესი, ალიკემეკ-თეფესი, მენტეეი), სომხეთისა (ტეხუტა, ნორაბაცი) და დაღესტანის (გინჩი, ჩინნა) ძეგლებთან.

„სიონის" ტიპის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში ენეოლითის გვიან ეტაპზე ჩნდებიან; ისინი განსხვავდებიან შულავერი-შომუ-თეფეს კულტურის ენეოლითური მასალებისაგან და შეიცავენ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ზოგ ელემენტს. ამიტომაც სიონის ტიპის ძეგლებს მიკუთვნებული აქვთ საშუალო ადგილი ამ ორ კულტურას შორის.

აზერბაიჯანსა და სომხეთშიც ანალოგიური ძეგლები ენეოლითის გვიან ეტაპზე ჩნდებიან და ძვ. წ. IV ათასწ. პირველი ნახევრითა და შუახანებით არიან განსაზღვრული [21].

როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ენეოლითის ეპოქაში (VI—IV ათასწ. შუახანები ძვ. წ.) შულავერი-შომუ-თეფეს კულტურის შემდეგ გამოჩნდა გვიანენეოლითური ხანის ძეგლები „სიონის ტიპისა", რომელთაც ყველაზე მეტი საერთო დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ კულტურასთან ჰქონდა.

თვით დასავლეთ საქართველოში ენეოლითური კულტურა ადგილობრივი ნეოლითური კულტურის წიაღშია წარმოშობილი და მისი ტრადიციების გაგრძელებლად გვევლინება. იგი არსებითად უცვლელი სახით აღწევს ადრებრინჯაოს ხანამდე. რიგი ნიშნების მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს ენეოლითური კულტურა გავრცელდა დასავლეთიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც მან, როგორც ჩანს, გარკვეული როლი ითამაშა სიონის ტიპის გვიანენეოლითური კულტურის ჩამოყალიბებაში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დასავლეთ საქართველოში ენეოლითური ძეგლების ასაკის განსაზღვრისათვის მხოლოდ ორი C^{14} თარიღი გვაქვს 3810±±90 ძვ. წ. (მაჭარა IV) და 3565±130 ძვ. წ. (ძუძუანა). მაგრამ თუ გავითვალისწინებით იმ გარემოებას, რომ მაჭარა და ძუძუანა ენეოლითური კულტურის ყველაზე ადრეული ძეგლები არ არიან და რომ მათ წინ უსწრებს სამელეკლდისა და საგვარჯილეს III ჰორიზონტები, მაშინ ზემომოყვანილი თარიღები ფაქტიურად ასახავენ დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურის განვითარების გვიანდელ ეტაპს — გვიანენეოლითს. ამ ეტაპს მიეკუთვნება, გარდა ზემოთ მოყვანილი ორი ძეგლისა, თეთრი მღვიმე, საგვარჯილე II, ს-

შელე კლდე II, დარკვეთი III—II, თეთრამიწის, ჩიხორისა და ახალსოფელის კოლექციების ნაწილი.

როგორც ადრე ითქვა, დასავლეთ საქართველოში კულტურული განვითარების ერთიანი უწყვეტი ხაზი დასტურდება, ენეოლითური კულტურა პირდაპირი მემკვიდრეა ადგილობრივი ნეოლითისა, რომელიც თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება ადგილობრივ მეზოლითს და ა. შ. ასეთივე სურათია მოდევნო ეპოქებში. ამიტომაც არის, რომ ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გადასვლა იმდენად თანდათანობითი და შეუმჩნეველია, რომ ზოგჯერ ძალზე ჭირს მათი გადაწყვეტით გამიჯვნა ერთმანეთისაგან.

დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურის განხილვის დროს ხაზგასმული იყო მისი ახლო მსგავსება და მჭიდრო ურთიერთობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებულ გვიანენეოლითურ ადრესამიწათმოქმედო კულტურასთან. ამასთან ერთად დასავლეთ საქართველოს ენეოლითური ხანის მასალებში არის რიგი ელემენტებისა, რომელნიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ გარკვეული კავშირები იქნეს დანახული წინა აზიასთანაც. „სოჭი-ადლერის“ ტიპის ცულების განხილვისას ითქვა, რომ მკვლევართა უმრავლესობა მას წინააზიურ წარმოშობას გულისხმობს.

გვიანენეოლითში ჩნდება ერთეული ქვის გახეხილ-გაპრიალებული სამაჯურები, რომელთა რაოდენობა ადრებრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვნად მატულობს და მრავალგვარი ვარიაციებით არის წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოს ნეოლითისა და ენეოლითის ადრეულ ეტაპზე სამაჯურები ცნობილი არ არის. არ არის ცნობილი ისინი არც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებიდან. ქვის სამაჯურები დამახასიათებელია წინა აზიის ნეოლითური ძეგლებისათვის (ჯარმო, ამუქი, მერსინი, სიალკი) [18]. ევროპული ნეოლით-ენეოლითური კულტურისათვის (სესკლო საბერძნეთში) [22].

გვიანენეოლითისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი ფორმების ჭურჭლებთან ერთად კერამიკაში ჩნდება ახალი ჯგუფები—თხელკეციანი წითელპრიალა, მრგვალმუცლიანი ნაკეთობები, რომლებიც აშკარად გამოირჩევიან ამ ადგილობრივი ნაწარმისაგან და წინააზიის ძვ. წ. IV ათასწ. ძეგლებში პოულობენ ანალოგებს (თეფე-გავრა, ტელალატი, ამუქი), ეს კერამიკა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში — ყუბანისპირეთშიც ვრცელდება (მაიკოპის კულტურა) [18].

წინა აზიაში (თეფე-გავრა, ტელ-ბრაკი) ეძებნება პარალელები იმ მრავალრიცხოვან და ნაირგვარი ფორმის ორმხრივდამუშავებულ ისრისპირებს, რომლებიც ენეოლითის გვიან ეტაპზე ჩნდებიან დასავლეთ საქართველოში, მაშინ, როცა ნეოლითში ისრისპირები ნაკლებადაა ცნობილი და სხვ.

ყველაფერი ეს მოწმობს დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ურთიერთობას წინააზიურ სამყაროსთან, რომელიც გამოიხატებოდა სამხრეთული გავლენების გავრცელებით ჩრდილოეთისაკენ და რიგი ახალი ელემენტების გა-

მოჩენით ადგილობრივ კულტურაში ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებსა და მეორე ნახევარში.

ნეოლითურმა რევოლუციამ თავისი შემდგომი განვითარება ენეოლითში ჰპოვა. მკაფიოდ ჩამოყალიბდა მწარმოებლური მეურნეობის ორი დარგი: მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომლის ამსახველი მასალები დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც მღვიმეებში, ისევე ღია ნასახლარებზე. მაგრამ მათი ხვედრითი წონა ნასახლარის ტიპის მიხედვით მაინც განსხვავებული იყო; ღია ნასახლარებზე უფრო მიწათმოქმედება ჩანს წამყვანი, მღვიმეებში კი — მესაქონლეობა.

მიწათმოქმედების იარაღებს განეკუთვნება რიყის ქვის თოხები, მიკროლითური ტიპის წვერწამახული მიწის დასამუშავებელი იარაღები (თეთრამიწა), ნამგლისჩასართები (თეთრამიწა, ჩიხორი, ახალსოფელი), ხელსაფქვავები, რომლებიც მარტო თეთრამიწაზე 30 ცალია აღმოჩენილი. მღვიმეებში ხელსაფქვავები და ნამგლისპირები თითქმის არ გვხვდება, არ არის არც მიწის დასამუშავებელი ქვის იარაღები. ერთგვარად მიწის დასამუშავებელ იარაღებად შეიძლება მიჩნეული იყო მღვიმეებში აღმოჩენილი ძვლისა და რქის ყუაგახვრეტილი თოხები.

მღვიმეებში წარმოდგენილი ოსტეოლოგიური მასალებით უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული და საკმაოდ განვითარებული მესაქონლეობა დასტურდება. დარკვეთში, თეთრ მღვიმეში, სამელე-კლდესა და ძუძუანაში წარმოდგენილია ძროხის, თხისა და ცხვრის, ღორის, ძაღლისა და ცხენის ნაშთები. ამასთან, როგორც ირკვევა, უმთავრესი სამეურნეო მნიშვნელობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ეკუთვნოდა—49,8%, ცხოველთა ძვლების საერთო რაოდენობის 26%-ზე მეტი[26]. მაგრამ ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებდა მეურნეობაში მონადირეობაც. ამის მაჩვენებელია გარეულ ცხოველთა ძვლოვანი მასალა და დიდი რაოდენობით ისრისპირები, მათი ზომები და დიფერენცირება.

ენეოლითური ეპოქის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს მეტალურგია. მღვიმეებსა და ღია ნასახლარებზე აღმოჩენილია სპილენძის იარაღები და მის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები. ლითონის ნაწარმიდან აღსანიშნავია ისრისპირი თეთრი მღვიმედან (0,7% დარიშხანი), ოთხწახნაგა სადგისი სამელე-კლდიდან და ოთხწახნაგა სადგისები ჩიხორიდან, რომელთა სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა 0,8% და 1,6% დარიშხანი, რაც ბუნებრივ მინარევად არის მიჩნეული [9].

ლითონის ნივთების ადგილობრივ წარმოებას მოწმობენ თიხისაგან დამზადებული ლითონის სალღობი ტიგელები (სამელე-კლდე, ძუძუანა) და ყალიბი (სამელე-კლდე).

ზღვისპირა ნასახლარზე (მაჭარა, გუანდრა, ფსოუ) დიდი რაოდენობით აღმოჩენილი რიყის ქვის მრგვალი და გვერდებამოღარული ბადის საწაფები მეტყველებენ იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც ასრულებდა მეთევზეობა ენეოლითელ ადამიანთა მეურნეობაში.

თიხის სადა და ორნამენტირებული კვირისტავები და საქსოვი ჩხირები (თეთრი მღვიმე) რთვისა და ქსოვის გარკვეულ ჩვევაზე მიგვითითებენ.

თიხის ჭურჭლის ფორმათა ნაირგვარობა და დახვეწა, ზედაპირის ანგობით დაფარვა და მოგლუვება, საღებავის გამოყენება, ჭურჭლის ახალ სახეობათა გამოჩენა მეთუნეობის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელია.

ამგვარად, ენეოლითის ეპოქაში, უფრო კი ენეოლითის გვიან ეტაპზე, მოცემულია არქეოლოგიური კულტურის ყველა ის ელემენტი, რომელიც თავის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას ადრებრინჯაოს ხანაში ვვაძლევს.

ლიტერატურა

1. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, I—V, თბ., 1969—1977.
2. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. საქართველოს სახ. მუზეუმის ანგარიშები, თბ., 1974.
3. ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე". საქართველოს აკად. „მოამბე" IV, თბ., 1959; ნ., ბერძენიშვილი, გ. ფხაკაძე, გამოქვაბული საგვარჯილე (ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენა), თბ., 1976
4. ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბ., 1951.
5. გ. მირცხულავა, გ. გრიგოლია, არქეოლოგიური დაზვერვები სამეგრელოში 1974 წ. „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქ-ში" თბ., 1976.
6. მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1981.
7. მოწამეთას მღვიმის მასალები ინახება ქუთაისის მუზეუმში, აღწერილი და შესწავლილია გ. ფხაკაძის მიერ.
8. დ. ნებიერიძე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.
9. დ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
10. მ. ნიორაძე, სამერცხლე-კლდის მღვიმე. ეურ. „მაცნე", თბ., 1971.
11. გ. ფხაკაძე, ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის ტ. V, თბ., 1979.
12. გ. ქავთარაძე — საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია. თბ., 1984.
13. გ. ჯავახიშვილი — დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1972.
14. М. В. Андреева. К вопросу о южных связях майкопской культуры. СА № 1. М., 1977 г.
15. В. В. Бжания Мачарское поселение эпохи энеолита и ранней бронзы Абхазии СА, № 1. М., 1966 г.
16. А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе. Итоги работ Цхалтубской арх. экспедиции за 1976 г., 1979, 1980 г. ПАИ, Тбилиси, 1979—1982 гг.
17. Р. М. Мунчаев. Энеолит Кавказа. Энеолит ССР. М., 1982 г.
18. Р. М. Мунчаев Кавказ на заре бронзового века. М., 1976 г.

19. Г. Г. Пхакадзе. Отчет Сачхерской археологической экспедиции за 1983 г. ПАИ, Тб., 1986 г.
Г. Г. Пхакадзе. К изучению памятников Рион-Квирильского бассейна (IV — серед. III тысяч до н. э.). СА, № 2, М., 1988.
20. Г. Г. Пхакадзе. Археологические раскопки в Атара. А. О. М., 1977 г.
21. Р. М. Торосян. Раннеземледельческое поселение Техута. Ереван. 1986 г.
22. А. Т. Титов. Неолит Греции. М., 1972 г.
23. А. А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965 г.
24. И. И. Цвинария. Поселение Гуандра. Тбилиси, 1978 г.

თავი II

დასავლეთ საქართველო ადრებრინჯაოს ხანაში

ადრებრინჯაოს ხანა მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს და საერთოდ კავკასიის უძველესი ისტორიისათვის. იგი წარმოებითი მეურნეობის შემდგომი აღმავლობით ხასიათდება. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მაღალგანვითარებულ მეტალურგიასთან ერთად ქმნის ახალი ეკონომიკის მყარ საფუძველს. აღინიშნება მნიშვნელოვანი სოციალური ძვრებიც.

ძირითადად მთავრდება ტომთა კონსოლიდაციის პროცესი და ყალიბდება ძლიერი, ფართომასშტაბიანი კულტურები.

ადრებრინჯაოს ხანაში კავკასიაში იხაზება სამი მნიშვნელოვანი კულტურა: აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — მტკვარ-არაქსის კულტურა; ჩრდილო-დასავლეთით — მაიკოპის კულტურა და მათ შორის მოქცეული დასავლეთ ამიერკავკასიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა.

მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურებისაგან განსხვავებით დასავლეთ ამიერკავკასიაში მატერიალური კულტურის განვითარების ერთიანი უწყვეტი ხაზი დასტურდება. გვიანენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გადასვლა იმდენად თანდათან და მშვიდობიანად ხდება, რომ ზოგჯერ ძალიან ძნელდება მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ადრებრინჯაოს ხანაში ძირითადად დამთავრდა დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიის ათვისება. მჭიდროდ დასახლებული ჩანს ბარი, ბორცვოვანი ზოლი, ზღვის სანაპირო და მაღალმთიანი რაიონები. ადრებრინჯაოს ხანაში ხდება კოლხეთის დაბლობის ათვისებაც.

როგორც უკვე აღინიშნა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის ხანაში შემოიხაზა ორი რამდენადმე ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონი, რომელიც მივიჩნიეთ კავკასიაში გავრცელებული ადრესამიწათმოქმედო კულტურული ერთობის ორ ლოკალურ რაიონად.

იგივე სურათია ადრებრინჯაოს ხანაშიც: ერთ რეგიონს კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს, მეორეს — რიონ-ყვირილას აუზი.

ამ უკანასკნელში ადრებრინჯაოს ხანის ფენები უმეტესად პირდაპირ ენეოლითურ ფენებზე დევს. უშუალოდ ყოველგვარი სტერილური შრის გარეშე. ე. ი. ერთსა და იმავე ძეგლზე გვაქვს ადამიანის უწყვეტი დასახლების კვალი ენეოლითსა და ადრებრინჯაოს ხანაში. ეს გარემოება კარგადაა გამოხატული მღვიმეებში (სამელე-კლდე [13], საგვარჯილე [6], დარკვეთი [8]).

ზოგიერთ მლვიმეში მხოლოდ ადრებრინჯაოს ეპოქის კულტურული ნაშთებია ფიქსირებული (სამერცხლე-კლდე [9], მოწამეთა, ცუცხვათი [4]).

ამავე ტერიტორიაზე განლაგებული ღია ნასახლარების ერთ ნაწილზე (თეთრამიწა, ჩიხორი) დასტურდება როგორც ენეოლითური, ასევე ადრებრინჯაოს, თუმცა დაზიანებული, ფენები.

არგვეთისა [11] და დაბლაგომის [22] ნასახლარები და საჩხერის ყორლანული სამაროვანი [14] ადრებრინჯაოს ხანითაა განსაზღვრული.

ადრებრინჯაოს ხანაში ისევ ფართოდ იხმარება რიყის ქვის. ბაზალტის სერპანტინის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები: ცულები, ცალპირლესილი ტრაპეციის განივკვეთიანი სათლელები და სატეხები, ორპირალესილი სოლისებური იარაღები, სანაყები, ხელსაფქვავები. კაჟისაგან მზადდება საფხეკები, საჭრისები, ნუკლეუსები, დანისებური ლამელები, ბევრია ამორფული ანამტვრეკანატკეცები მუშაობის კვალით. იშვიათად გვხვდება ობსიდიანის ნაწარმიც.

ქვის ინდუსტრიაში, ერთი მხრივ, დეგრადაციას განიცდის წინარე ეპოქებიდან მომდინარე ქვის დამუშავების ტრადიციები: იარაღების 80% ამორფულ ანატკეცებზე მზადდება, ნუკლეუსებიც ამორფულია, იშვიათია საჭრისები, თითქმის აღარ არის კომბინირებული იარაღები; მეორე მხრივ, მრავლდება და იხვეწება კაჟის ორივე მხრივ დამუშავებული იარაღების რიცხვი და ფორმები: ნამგლისჩასართები, შუბისა და ისრისპირები. წარმოდგენილია მათი ნაირგვარი ფორმები: ფოთლისებური უყუნწო, ფოთლისებური ყუნწიანი, სამკუთხა სწორფუძიანი, სამკუთხა ყუნწიანი, სწორფრთიანი და ფრთებდაშვებული, ფუძეამოღარული სიმეტრიული და ასიმეტრიული. ისრისა და შუბისპირების სიმრავლით განსაკუთრებით საგვარჯილეს ზედა ჰორიზონტი გამოირჩევა, ყველა ზემოჩამოთვლილ ფორმებთან ერთად აქ გვხვდება სამკუთხა მოყვანილობის ქუსლამოღარული ისრისპირები, რომელთაც ორივე მოპირდაპირე გვერდიც ამოღებული აქვთ; არის ყუნწიანი ისრისპირი ცალ მხარეს ფხისებური წანაზარდით. ასეთივე ფორმებია დარკვეთის ეხის ზედა ჰორიზონტშიც.

ადრებრინჯაოს ხანაში მრავლდება და იხვეწება ქვის სამაჯურებიც, დამზადებული ფიქალის, სერპანტინის ან მერგელისაგან, შესანიშნავად გახეხილ-გაპრიალებული და წარმოდგენილი მრავალგვარი ფორმითა და ზომით. გამოიყოფა ფართო, სქელი, ვიწრო და თხელი სამაჯურები — განივკვეთში სამკუთხა, ოთხკუთხა, მრგვალი, ოვალური, მრგვალ-ბრტყელი და წახნაგოვანი. სამაჯურები ადრებრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ძეგლზე გვხვდება (თეთრამიწა, სამერცხლე-კლდე, მოწამეთა, ცუცხვათი, დარკვეთი). სამაჯურების განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით საგვარჯილე გამოირჩევა. აქ აღმოჩნდა თიხის ბრტყელი და ფართო სამაჯური, რომლის ზედაპირი რელიეფური ზოლებითაა შემკული და რომლის პარალელები სადღეისოდ მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ უბანისპირეთშია ცნობილი, ვესიოლისა და იასნოვა პოლიანას ნასახლარებზე [32].

ძვლისა და რქის იარაღები თითქმის არ განსხვავდებიან ენეოლითურ ჰორიზონტებში წარმოდგენილი ცალებისაგან. გვხვდება ნემსები, მახათები, საპრიალებლები, ძვლისაგან ნამზადი რქის თოხები, წვერწამახული იარაღები, ლარიანი ჩარჩოები ჩასართებისათვის და სხვ.

ამ პერიოდში უკვე კარგადაა წარმოდგენილი ლითონი და ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები: თიხის ტიგელები, ციცხვები, ნამზადის ფორმები და ყალიბები (სამელე-კლდე, სამერცხლე-კლდე), ოთხწახნაგა სადგისები (სამელე, საგვარჯილე), ანკესები და მრავალგანიკვეთიანი ღერაკები (საგვარჯილე).

ადრებრინჯაოს ხანის გამოქვაბულების კერამიკაში ორი ჯგუფი გამოირჩევა. პირველი ჯგუფი, რომელიც უმრავლესობას შეადგენს, ჯერ კიდევ ქვედა ენეოლითური ფენიდანაა ცნობილი: უხეში, მსხვილმინარევებიანი ქილის, ქოთნის, ჯამისა და ტაფის ფორმის ჭურჭლები. მათი შიდა და ზედაპირი ზოგჯერ თიხის თხელი ფენითაა შემოლესილი. ბევრ მათგანს წითელი საღებავის კვალი ემჩნევა, ზედაპირზე პარალელური ხაზები აქვს. ისინი ქვედა ჰორიზონტის ამავე ტიპის ჭურჭლებისაგან მხოლოდ უფრო მოგლუვებული და მოპრიალებული ზედაპირით გამოირჩევიან. ისევ გვხვდება ჭურჭლის პირის დაკეჭნადაჭდევა, ზოგჯერ პირქვეშ ნასვრეტები. მრავლდება მეჭეჭისებური ან „მარგალიტისებური" შემკულობა, რომელიც ჭურჭლის კედლის შიგნიდან არის გამოყვანილი. შედარებით კლებულობს ტაფისებური ჭურჭლის რაოდენობა და ჩნდება დიდი ზომის დერგის ტიპის, პირგადმოშლილი მოგრძოტანიანი კერამიკა. მილისებურყელიანი ჭურჭლები ზედაპირმოპრიალებულია (საგვარჯილე, სამერცხლე). ჩნდება თავისებური ნაჭდევებითა (ბრინჯაოს მღვიმე) და სავარცხლის კბილისებური სახეებით (მოწამეთა) შემკული ჭურჭლები.

კერამიკის მეორე ჯგუფი ძალზე მცირერიცხოვანია და უპირატესად ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ესაა თხელკეციანი სუფთა თიხისაგან დამზადებული წითლად შეღებილი და გაპრიალებული ნაწარმი, რომელშიაც გამოირჩევა ქოთნისებური ჭურჭლები მრგვალი ძირითა და ოდნავ ძაბრისებურად გადაშლილი პირით (სამერცხლე-კლდე), მაღალი კვერცხისებურტანიანი ჭურჭელი ძაბრისებური პირით (სამელე-კლდე), მრგვალძირა პირმოყრილი ჯამები, მრგვალძირიანი ჭურჭლები და სხვ. ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ყუბანისპირეთის მასალებთან, კერძოდ, ადრემაიკოპის კულტურის ძეგლებთან: მეშოკო, სკალა, ხაჯოხი, იასნაია პოლიანა, ვესიოლი და სხვ.

ამავე ჰორიზონტში წარმოდგენილია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა — შავპრიალა ან ვარდისფერი პრიალა მხარწიბიანი ჯამების ფრაგმენტები, ყურიანი ქოთნები, დისკოსებური ხუფები და ნახევარსფერული ფორმის ყურები. დარკვეთის ეხის ზედა, ადრებრინჯაოს ჰორიზონტში მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაშვებული სამარხი იქნა აღმოჩენილი.

არც ერთ ფამოქვაბულში სადღეისოდ არა ფვაქვს კულტურული ფენა, რომელიც მაიკოპის კულტურას ან მტკვარ-არაქსს მიეკუთვნებოდეს.

მსგავსება მაიკოპის კულტურასთან შეინიშნება არა მხოლოდ ზოგიერთი ზემოაღწერილი ჭურჭლების დამზადებასა და ფორმაში, არამედ სხვა მასალებშიაც: ქვის ინდუსტრიაში, რქისა და ძვლის იარაღებში, კვირისტავების ორნამენტაციაში, ქვის სამაჯურების დამუშავებასა და ფორმებში, მცირე ფიგურების გაფორმებაში, დასახლების ერთნაირ ტიპში და სხვ.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ნიშნები, ცხადია, შემთხვევითობაზე არ უნდა ლაპარაკობდეს და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს მასალებსა და მაიკოპის კულტურის საკმაოდ მჭიდრო კავშირზე უნდა მიგვითითებდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ადლერის რაიონში მდებარე ვორონცოვის მღვიმეები, რომელთა კერამიკა უკლებლივ მაიკოპური ჭურჭლებითაა წარმოდგენილი, რაც ამ რეგიონში მაიკოპის უშუალო გავლენაზე მეტყველებს. მკვლევარების მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამელე-კლდისა და ხიზანაანთგორის ქვედა ფენის მასალებს გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინათ მაიკოპის კულტურის ფორმირებაზე [16]. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების გავრცელებამ რიონ-ყვირილის აუზში დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომების გადაადგილება გამოიწვია ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით [15]. ბოლო დროს ფამოთქმული იყო მოსაზრება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო ერთიანი კულტურა, რომლის ლოკალურ ვარიანტს მაიკოპისა და დასავლეთ საქართველოს კულტურები წარმოადგენდნენ [8]. მაგრამ სადღეისოდ ასეთი მტკიცებისათვის საფუძველი არ არსებობს. პირიქით, როგორც ზემოთ აღინიშნა, თვით დასავლეთ საქართველოში ამ დროს ორი კულტურით განსხვავებული რეგიონი შეინიშნება. კოლხეთის დაბლობსა და ბორცვიან ზოლში მაიკოპის კულტურის ელემენტები არ ჩანს. დასავლეთ საქართველოს ფამოქვაბულების მასალებიც ადგილობრივი კერამიკითაა წარმოდგენილი და მხოლოდ ერთეული ეგზემპლარებია მაიკოპის იერის ნაწარმი. იმერეთის ფამოქვაბულების ლითონის ნივთები დარიშხანიანი სპილენძისაგან არის დამზადებული, მაშინ, როდესაც ადრე-მაიკოპის კულტურის ლითონის ნივთები ნიკელიანი სპილენძისაა. მაიკოპის კულტურას ყორღანული დამარხვის წესი ახასიათებს. რიონ-ყვირილის აუზში კი ამ დროს ორმოსამარხებია (საგვარჯილე, სამერცხლე-კლდე) და სხვ. [10].

თვით მაიკოპის კულტურის საწყისებისა და მისი კერამიკული ფორმების წარმომავლობის ძიებამ მკვლევრები (ს. მუნჩაევი, მ. ანდრეევა) [17] ძვ. წ. IV ათასწ. დათარიღებულ წინააზიურ ძეგლებთან მიიყვანა.

ამ სამხრეთული ფავლენების ჩრდილოეთისაკენ გავრცელების ერთ-ერთი გზა, როგორც ჩანს, დასავლეთ ამიერკავკასიაზე გადიოდა. ამის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს აბასთუმნის ნასახლარზე (ადიგენის რაიონი) მღვიმური ტიპის კერამიკის გვერდით მაიკოპის თხელკეციანი, წითელპრიალა ბირთვისებურტანიანი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი. რიონ-ყვირილას აუზის მღვიმეებში ამ

ტიპის კერამიკის გამოჩენა უკვე გვიანენეოლითის ხანიდან ხდება. ყოველ შემთხვევაში, ამ პრობლემის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე უფრო მართებული იქნება რიონ-ყვირილის აუზის ძეგლებსა და ადრემაიკოპის კულტურას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი ვიგულისხმოთ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაიკოპის ელემენტები მხოლოდ მღვიმეებში გვხვდება და მტკვარ-არაქსის კულტურისთვის კუთვნილი გორანამოსახლარებზე (დაბლაგომი, არგვეთი) მაიკოპთან ურთიერთობის არავითარი კვალი აღარ ჩანს.

მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან თანდათან ვრცელდება და მყარად იკიდებს ფეხს. დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში იქმნება ტიპიური, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი დასახლებები (მრგვალი და ოთხკუთხა ნაგებობები ქვის საძირკველზე თიხატკეპნილი იატაკებით და მრგვალი, შვერილიანი კერებით). დროის გარკვეულ მონაკვეთში ამ გორანასახლარების პარალელურად მღვიმეები ისევ გამოყენებულია საცხოვრებლად. მაგრამ მალე აქ ცხოვრება წყდება.

რიონ-ყვირილის აუზი ადრებრინჯაოს ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში ექცევა. ამ რიგის ძეგლებს შორის ყველაზე ადრეული დაბლაგომის ნასახლარი უნდა იყოს. იგი ნაცეხვარის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს. ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენის სისქე 1,50 მ-ია და თიხატკეპნილი იატაკების რამოდენიმე დონით არის წარმოდგენილი. ბ. კუფტინმა ნასახლარზე თავიდანვე სამი ჰორიზონტი გამოყო [22]. ქვედა ორს მტკვარ-არაქსს აკუთვნებდა, ზედას კი—კოლხეთის დაბლობის ადრეულ ნასახლართა კულტურას. მონაპოვრის უმრავლესობას კერამიკა წარმოადგენს. იგი ხელით ნაძერწია, თიხის ცომს ურევია ქვიშა, ქარსი, კვარცი და დაფხვნილი კერამიკა. ჭურჭლები შავპრიალაა ვარდისფერ სარჩულზე, წაბლისფერი პრიალა და არათანაბრად გამომწვარი ლაქებით. ფორმის მიხედვით გამოიყოფა პითოსები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები. ისინი ხასიათდებიან ცილინდრული ყელით, ოდნავ გადაშლილი პირით, მხართან გამოყოფილი წიბოიანი მუცლით და ბრტყელი ძირით. ნახევარსფერული ყურები ყელისა და მხრის საზღვარზეა მოთავსებული. ეს კერამიკა ახლოს დგას მტკვარარაქსულ ჭურჭელთან ორნამენტის ხასიათითაც: რელიფური სწორი ხაზები ან რელიეფური რკალები, ირიბი რელიეფური ხაზები ფოსოებთან კომბინაციაში. ჯამისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები ძუძუსებრი კოპებითაა შემკული. აქვეა დისკოსებრი ხუფები შუაში ნახევარსფერული ყურით. კერამიკის აღნიშნული ჯგუფი ახლო პარალელებს პოულობს კიკეთის, კოდის, სამშვილდის, ოზნის და სხვ. მასალებთან.

საინტერესოა, რომ დაბლაგომის ზედა ფენებში სხვაგვარი კერამიკა ჩნდება. ესაა ქილის და დერგის ფორმის ჭურჭლები მურამონაცრისფრო და რუხი ქობიანი მომრგვალო ან დაწახნაგებული პირით, ლენტისებრი ყურებით. შემკულობას წარმოადგენს რელიეფური ზოლი, რომელიც ზემოდან დაკეპნილია ან თითის დადებითაა დაჭდეული. ზოგ ჭურჭელს ზედაპირზე პარალელური

ხაზები ეტყობა. ბევრია ქიმისებური შვერილები, რომელთაგან ზოგიერთი ნაჭდევებითაა შემკული. ეს კერამიკა ფორმით, გამოწვით, ფერით, ორნამენტით უკავშირდება კოლხეთის დაბლობის უძველესი ნასახლარების მასალებს.

ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა არგვეთში გათხრილმა ნამოსახლარმა [12], აქ ადრებრინჯაოს ხანის ორი სამშენებლო ჰორიზონტი დადასტურდა საერთო სიმძლავრით 1,70 მ, ნაგებობათა ქვის საძირკვლებითა და თიხატკეპნილი იატაკებით

ქვედა დონის კერამიკული მასალა თითქმის მთლიანად მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება. ჭურჭლები შავპრიალა ან არათანაბრად გამომწვარი ლაქებიანი. გამოირჩევა ჯამები, ქოთნები და დიდი ზომის ჭურჭლები. ყელი ცილინდრულია, ძირები ბრტყელი, მომრგვალო ან კუთხოვანი გადასვლით კედელზე. მრგვალ-ბრტყელი განივკვეთიანი ყურები ყელსა და მხარზე მაგრდება. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ გვხვდება ფრაგმენტები, რომლებიც მტკვარარაქსულ ფორმებს იმეორებენ, მაგრამ დამზადებითა და თიხის ცომის შედგენილობით განსხვავებული ხასიათისაა. ეს მტკვარ-არაქსის ადგილობრივ მიმბაძველობად უნდა ჩაითვალოს.

ზედა სამშენებლო ჰორიზონტის, რომელიც ასევე ნაგებობათა ნაშთებითა და თიხატკეპნილი იატაკებითაა წარმოდგენილი, კერამიკულ მასალაში წამყვანი ადგილი ისევ მტკვარ-არაქსის ნაწარმს უკავია. შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიან და წაბლისფერ პრიალა ჭურჭლებში გამოირჩევა ჯამების, კოჭების, ქოთნებისა და პითოსების ფორმები. ყურები ნახევარსფერულია ან მგვალბრტყელგანივკვეთიანი, რომლებიც პირსა და მხარზეა მიძერწილი. არის დიკოსებური ხუფების ფრაგმენტები, კერის რქისებური სადგარების ფრაგმენტები და მრგვალი კერა ქიმისებური შვერილებით. ჭურჭელზე ორნამენტი შედარებით იშვიათია და ჭრილი გეომეტრიული სახეებით არის წარმოდგენილი. ეს კერამიკა ძალიან ახლოს დგას ქვაცხელა C ფენის კერამიკულ ნაწარმთან. პარალელური მასალის საფუძველზე, არგვეთისა და დაბლაგომის ნასახლარები III ათასწლეულის I ნახევრით შეიძლება დათარიღდეს [28].

არგვეთის ნასახლარის ზედა სამშენებლო ჰორიზონტში, მტკვარარაქსული ნაწარმის გვერდით გვხვდება სრულიად განსხვავებული ხეში, მსხვილმარცვლოვანი მურა-მოვარდისფრო ან მურა-ყავისფერი კერამიკა კვარცის, ქარსის, ხვინჭისა და კირის მინარევით. ეს ჭურჭლები ქილისა და ქოთნის ფორმისაა, ბრტყელ, ქუსლგაზიდულ ძირებზე. მხრის გარშემო ერთი ან ორი რელიეფური სარტყელი შემოუყვება, ზოგ შემთხვევაში სარტყელზე თითის ანაბეჭდებია ან ირიბი, მოკლე ხაზებითაა დაჭდეული. ბევრია მოგრძო, ოვალური შვერილებით შემკული ფრაგმენტები. ამ ჭურჭელთა უმრავლესობას ზედაპირზე პარალელური ზოლები ემჩნევა.

თუ არგვეთის ნასახლარის ქვედა სამშენებლო დონეზე ასეთი ტიპის კერამიკა ერთეულია, ზედა ჰორიზონტში იგი მატულობს და რაოდენობრივად მტკვარ-არაქსის ნაწარმს უტოლდება; ეს კერამიკა თითქმის იდენტურია დაბლა-

გომის ზედა ჰორიზონტის ამავე ტიპის მასალებისა, რომლებიც თავის უახლოეს პარალელებს პოულობს კოლხეთის ადრებრინჯოს ხანის ძეგლებზე: ოჩამჩირის, გუმისთის, ფიჩორის (8 ფენა) და ნაწილობრივ დიხაგუძუბას ნასახლარებზე.

დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლარების ქვედა და ზედა ჰორიზონტების მასალების განხილვა საინტერესო შედეგს იძლევა. ირკვევა, რომ ძვ. წ. მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში იმერეთის ტერიტორია მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ ამიერკავკასიის ადრებრინჯაოს კულტურის შეხვედრის ადგილი იყო. როგორც ჩანს, აქ ჯერ მტკვარ-არაქსის კულტურა დომინირებდა, ადრებრინჯაოს ხანის გვიან ეტაპზე კი ეს მხარე კოლხეთის უძველეს ნასახლართა კულტურის გავლენის სფეროში ექცევა [11].

ქვის იარაღები დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლარებზე ცოტაა. დაბლაგომიდან შეიძლება დავასახელოთ კაჟის მოზრდილი შუბისპირი ფოთლისებური ფორმის ორმხრივდამუშავებული ფართო ფაცეტებით. რომელსაც ყუნწი მოტეხილი აქვს, აქვეა ისრისა და შუბისპირი უფრო მომცრო ზომისა, დაზიანებული, ნავისებრი ხელსაფქვავის ქვედა ქვის ფრაგმენტი და სიგრძივ გაპობილი რიყის ქვის ნატეხი.

არგვეთის ნასახლარზე დიდი რაოდენობით იყო გამოვლენილი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული ხელსაფქვავები, ნაწილი კედლის წყობაშიც იყო ჩატანებული. მთელ ტერიტორიაზე გვიხვდებოდა კაჟის უფორმო ანამტვრევები და რამდენიმე ცალი ობსიდიანი, მათ შორის ერთი საფხეკი. კაჟის იარაღებიდან აღსანიშნავია დაკბილული ნამგლისჩასართები და საშუალო ზომის ყუნწიანი სამკუთხა ფორმის ფრთებდაშვებული ისრისწვერი. აღმოჩნდა მწვანე რქეულასაგან დამზადებული პატარა ზომის ცალპირლესილი ორი სატეხი და რიყის ქვის სალესები. რქის ნივთებიდან აღსანიშნავია ირმის რქის ძირი, ცალი წაკრილი და მეორე წაწვეტებული ბოლოთი, რომელიც, შესაძლოა, მიწის დასამუშავებლად იხმარებოდა. მღვიმეებში წარმოდგენილ ქვის ინდუსტრიასთან შედარებით გორასასახლარების მასალები ქვით ძალიან ღარიბია. რითაც გამოწვეული ასეთი ცვლილება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია; ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება თვით მტკვარ-არაქსის კულტურის ხასიათში მდგომარეობდეს; რომელშიაც, როგორც ცნობილია, ქვის ინდუსტრიას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. იქნებ ამით იქნას ნაწილობრივ ახსნილი მტკვარ-არაქსის კუთვნილ ზემოგანხილულ გორანასახლარებზე ქვის იარაღის ნაკლებობა.

არგვეთის ნასახლარის ადრებრინჯაოს კულტურული ფენის ორივე ჰორიზონტში აღმოჩნდა მრგვალი და ოთხკუთხა საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები. კედლები ნაგები იყო საშუალო ზომის ქვების ორმაგი წყობით, ან დიდი ზომის ქვების ცალპირა წყობით. თიხატკეპნილ, წითლად გამომწვარ იატაკზე ემჩნეოდა ორმოები შიგ ჩანახშირებული ძელებით. დიდი რაოდენობით ბათქაში გვაფიქრებინებს, რომ ქვის საძირკველზე სარ-ლასტზე შემოლესილი კედ-

ლები მდგარა. ნაცრიანი ორმოები და თიხის გამომწვარი მრგვალი კერები ზოგჯერ შვერილებით თვითეული სათავსოს აუცილებელი ატრიბუტი იყო. სათავსოებს შორის თავისუფალი ფართობები იყო — ალბათ ეზოები. სათავსოს იატაკი ჩვეულებრივ 10—16 სმ სისქისაა და ორი შრისაგან შედგება, ქვედა შრე ნახშიროვანია და მარცვლეულის ნამთებს შეიცავს, ზედა კი — სუფთა თიხაა. ნასახლარის მნიშვნელოვნად დაზიანების გამო საცხოვრებლის ტიპის და გეგმარების დადგენა შეუძლებელია. კულტურული ფენის სისქე (1,70 მ), მასალების მრავალფეროვნება და სიუხვე ამტკიცებს, რომ აქ ინტენსიური ცხოვრება უნდა ყოფილიყო.

ადრებრინჯაოს ხანის სამარხები რიონ-ყვირილას აუზში ორი ტიპით არის წარმოდგენილი: ორმოსამარხები და ყორღანული სამარხები. ორმოსამარხები სულ ორია ნაპოვნი: ერთი — სამერცხლე-კლდეში, მეორე — საგვარჯილეში. სამერცხლე-კლდის ორმოსამარხებში ბავშვი იყო დაკრძალული, სამარხი ნაწილობრივ იყო დაზიანებული, ჩონჩხი ესვენა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში თავით დასავლეთისაკენ. ახლდა ორი წითლად შეღებილი პრიალა ქოთანი, კაჟის ყუნწიანი ისრისპირი, შურდულის ქვა და სხვ.

საგვარჯილეს ორმოსამარხი გამოქვაბულის ვარეთ მდებარეობდა, მიცვალებული დასვენებული იყო ფარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი, სახესთან მიტანილი ხელებით. ინვენტარს შეადგენდა თიხის პირმოყრილი მრგვალძირიანი ჯამი, თიხის ბიკონუსური კვირისტავი და მოწაბლისფრო სანელსაცხებლის ფორმის პატარა ჭურჭელი. აქვე ყოფილა ქვის გახვრეტილი ცულიც.

ყორღანული სამარხები ცნობილია საჩხერის რაიონიდან: ცარცის გორა, ნაჩერქეზევი და პასიეთი (ს. ქორეთში). სამარხებს მოზრდილი ქვის ყრილი ჰქონდათ, რომლის ქვედა ნაწილი მსხვილი, ხოლო ზედა — შედარებით წვრილი ქვებისაგან იყო შექმნილი. სამარხები, ჩვეულებრივ, ძალზე დაზიანებული იყო. მიცვალებულები ესვენა სპეციალურად ამოჭრილ ორმოში. ასეთი ორმო ნაჩერქეზევზე ერთი იყო, ცარცის გორაზე კი — ორი. ორმოში ესვენა თითო მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ფეხებმოკეცილი. თვით ქვაყრილში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა კვლავ სამარხები, ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს. ასეთივე სურათი იყო პასიეთის ყორღანებშიც. აქ ყორღანის ცენტრალური ნაწილი, სადაც ძირითადი სამარხები უნდა ყოფილიყო, ადრევე იყო დაზიანებული. ყორღანის ძირში, ზედ მიწის პირზე დაშლილი რამდენიმე სამარხი აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული ჩონჩხებით. ძირითადი სამარხებისა და ქვაყრილში მყოფი სამარხების ინვენტარი ძირითადად ერთნაირია [14].

საჩხერის ყორღანები, როგორც დავინახეთ, ერთნაირი აგებულებისაა. თითოეული მათგანი, როგორც ჩანს, საგვარეულო სამაროვანია, სადაც ერთი გვარის წევრები იკრძალებოდნენ. პირველ მიცვალებულებს კრძალავდნენ სპეციალურად ამოთხრილ ორმოში, რომელსაც უკეთებდნენ ქვაყრილს. შემდეგ-

ში გვარის სხვა დანარჩენ წევრებს მარხავდნენ იქვე ახლოს და უკეთებდნენ დამატებით ქვაყრილს, შესაბამისად ქვის ყრილი თანდათან იზრდებოდა. ზოგ შემთხვევაში, შემდეგ მიცვალებულებს უკვე ქვაყრილში ათავსებდნენ, რამაკ საბოლოოდ შექმნა ყორღანის შთაბეჭდილება.

თავის დროზე ბ. კუფტინი საჩხერისა და თრიალეთის ადრეული ყორღანების ერთ ჯგუფს ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებდა [23]. ერთდროულ ძეგლებად თვლიდა მათ ა. იესენიც [21]. მაგრამ ბოლო დროს მკვლევართა მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ საჩხერის სამაროვნები თავისი მასალებით უფრო ადრეულია, ვიდრე თრიალეთისა [3].

ალ. ჯავახიშვილის აზრით საჩხერის ყორღანების ზედა ქრონოლოგიური საზღვრები არ უნდა სცილდებოდეს ძვ. წ. 24 ს. ქვაცხელასა და ხიზანაანთ გორის B ფენის მასალების საფუძველზე. საჩხერის ყორღანების ადრეული სამარხები კი უნდა შეესაბამებოდეს მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ სტადიას და მაშასადამე ქვაცხელა-ხიზანაანთ-გორის C ფენას, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება [20].

ამგვარ დათარიღებას მხარს უჭერს საჩხერის ყორღანულ სამაროვნებში აღმოჩენილი ფოთლისებრი შუბისპირი და ხიშტისებური იარაღი. ოთხწახნაგა ხიშტისებური იარაღის თარიღი განსაზღვრული იყო ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ წინააზიური პარალელების საფუძველზე 24—23 სს. ძვ. წ. ამავე პერიოდით ათარიღებდა იგი ფოთლისებურ შუბისპირსაც [29]. მაგრამ, როგორც იოკვევა, ანალოგიური იარაღი მესოპოტამიაში ცნობილი იყო უკვე წინადინასტიურ პერიოდში ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში და უფრო ადრეც. ამიერკავკასიაში, ამ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული ლითონის ოთხწახნაგა ისრისპირები. გამორიცხული არ არის, რომ ამ ოთხწახნაგა ისრისპირების შემდგომი განვითარების შედეგია ცარცის გორის ხიშტისებური იარაღი. საჩხერული ტიპის ოთხწახნაგა ხიშტი, მხოლოდ მოკაუჭებული ღეროთი, ქვაცხელას სამაროვნის ერთ-ერთ სამარხშია ნაპოვნი. არქაული სწორყუნწიანი ხიშტი ცნობილია აზერბაიჯანის ქიულ-თეფეს II მტკვარ-არაქსული ფენიდანაც.

ფოთლისებური შუბისპირი ცარცის გორიდან იმეორებს ადრეულ შუმერულ ფორმებს: რვაკუთხა ჭრილს პირთან და ოთხკუთხა ყუნწს (ურის სამარხები). ცარცის გორის შუბისპირისა და ყუაგახვრეტილი ცულის დეტალური ანალიზით და მათი შედარებით წინა აზიის მასალებთან ე. გოგაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ზემოჩამოთვლილი იარაღები ძვ. წ. III ათასწლეულის შუა და პირველ ნახევარს უფრო განეკუთვნებიან ვიდრე მის ბოლო საუკუნეებს [3].

ამ უკანასკნელ დროს არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად არსლანტეპეში (ანატოლია) IV ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა 12 ცალი ანალოგიური ფორმის შუბისპირი ფოთლისებური პირით, ქედითა და სხვადასხვა განივკვეთის მქონე სწორი ყუნწებით [25].

საჩხერული სატევრების ძირითადი ტიპი — ვიწრო მაღალყუნწიანი, მხრებ-

დაქანებული სატევრები თრიალეთურზე ადრეულადაა მიჩნეული, რადგან ეს უკანასკნელები ტიპოლოგიურად უფრო ახლოს დგანან ადრებრინჯაოს ხანის იარაღთან [26]. ანალოგიური სატევრები, დარიშხანიანი სპილენძისაგან დამზადებული, აღმოჩენილია ამირანის-გორის ადრეულ სამარხებში (№ 7, 24) მტკვარ-არაქსის კერამიკასთან ერთად. მსგავსი სატევრისპირი აღმოჩენილია ხიზანაანთ გორის C დონეზე.

საჩხერის ყორღანული სამაროვნების კერამიკა მთლიანად მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება. დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა ბადიები, ქოთნები, დერგები, ქილისებური ჭურჭლები და სხვ. მათი უმეტესობა შაკპრიალაა, ვარდისფერ სარჩულზე. ბადიებს ახასიათებდა ფართო, ძალზე გადაშლილი პირი, წიბოიანი მხარე და მკვეთრად ვიწროვდებიან ბრტყელ ან ოდნავექუსლიანი ძირისაკენ. ერთი ყური პირსა და მხარზე აქვთ მიძერწილი.

ქოთნებს მაღალი ცილინდრული ყელი აქვთ, გადაშლილი პირი, გადასვლა მხრიდან ტანზე გარდატეხის ხაზის გარეშე ხდება. ტანი მომრგვალო აქვთ ან მოგრძო კვერცხისებური, შემკულია ჭრილი გეომეტრიული სახეებით ყელის გარშემო და რელიეფური სპირალებით მთელ ტანზე. ნახევარსფერული ყურები ყელსა და მხარზე აქვთ დაძერწილი.

კოჭობები ამავე ტიპის მხოლოდ უფრო მომცრო ზომებისაა და ცალყურა. დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა გრძელყურიანი სურები, ორყურა ქილისებური ჭურჭლები და დერგები, რომელთაც ყურები პირსა და მხარზე აქვთ მიმაგრებული.

რამდენიმე ცალია პატარა ზომის სწორკედლიანი, ძირბრტყელი ჭურჭელი. ერთ-ერთს ორ მოპირდაპირე მხარეს შვერილი ამკობს და მთელი ტანი წიწვისებური ჭრილი ორნამენტით აქვს დაფარული.

ეს კერამიკა ძალიან ახლოს დგას არგვეთისა და დაბლაგომის ანალოგიურ ჭურჭლებთან და ძირითადად მათ სინქრონულად უნდა ჩაითვალოს. ახლო მსგავსებას ამჟღავნებს იგი ოზნის, ბეშთაშენის, ქვაცხელის, ხიზანაანთ გორისა და ძაღინას მასალებთან და მათ საფუძველზე ძვ. წ. III ათასწ. პირველი ნახევრით განისაზღვრება.

მღვიმეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი საჩხერის სამაროვანზე თითქმის არ გვხვდება.

ლითონის იარაღები მღვიმეთა ადრებრინჯაოს ხანის ფენებში ერთეული ეგზემპლარებით იყო წარმოდგენილი. ესენია: ოთხწახნაგა ისრისპირები (საშელე-კლდე, საგვარჯილე), ანკესები და მრგვალგანივკვეთიანი ღერაკები საგვარჯილედან. ქიმიური ანალიზების შედეგად გაირკვა, რომ საგვარჯილეს ლითონის ნივთებში 2—4% დარიშხანი შედის. დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლარებზე ლითონი საერთოდ არ აღმოჩენილა. ამ მხრივ საჩხერის ყორღანული სამაროვნები მათგან ლითონის მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სწორედ აქედანაა ცნობილი ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები, სატევრები, სატეხები, ხიშტისებური იარაღი, ფოთლისებური შუბის-

პირი, რომლებიც თავის პარალელებს შიდა ქართლში პოულობენ და გარდა. ამისა, გარკვეულად უკავშირდებიან წინა და მცირეაზიურ სამყაროს. საჩხერის ლითონის იარაღი დამზადებულია ჩამოსხმით, გამოჭედვით და მოდელის დაკარგვის წესითაც, რაც უკვე თავისთავად მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებს. ისინი დამზადებული არიან დარიშხანიანი სპილენძისაგან, დარიშხანის შემცველობა ზოგჯერ 8%-მდე აღწევს. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ათნიმონიც (3%).

ბევრია ლითონის სამკაული: ქინძისთავები T-სებური, თავხვია, მარყუჟისებური თავიანი, „ცხვრის რქისებურად" დახვეულთავიანი; ერთნახევარი ხვიები, სპირალური სამაჯურები. საკიდებიდან აღსანიშნავია: დისკოსებური, თოხისებური, კოვზის ფორმის, ღუზისებური, მსხლისებური და ჯვრის ფორმის საკიდები. არის ბრინჯაოს მძივებიც.

მთელი ეს სამკაული თავის პარალელებს შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებზე პოულობს (ძაღინა, ქვაცხელა). დიდ მსგავსებას ავლენს იგი აფხაზეთის დოლმენების, ჩრდილო კავკასიის და წინა აზიის მასალებთანაც.

საჩხერის სამაროვნებზე, ისე როგორც დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლარებზე, ქვის, ძვლისა და რქის ნაწარმი ნაკლებად გვხვდება. საჩხერის სამაროვნებიდან ცნობილია კაჟის სამკუთხა ყუნწიანი ისრისპირები (7 ც.), ფუძეამოღარული ისრისპირები (2 ც.) და შუბისპირი (1 ც.). საჩხერეშივე ნანახია ღორის გახვრეტილი ეშვი — საკიდი (2 ც.) და ხარდიონის მრგვალი მძივები. პასიეთის ყორღანის ქვაყრილში აღმოჩნდა ბრტყელი, სწორკუთხა თეთრი ქვის მძივსაკიდი, ორივე ზედაპირზე კონცენტრირებული წრეებით და სამი ნახვრეტით. ღორის ეშვი — საკიდი ცნობილია შიდა ქართლში „კულუხოიდან", ხოლო მძივსაკიდს პარალელები ეძებნება ქვესათლის № 6 სამარხში და გალის რაიონის ფიჩორის ნასახლარის 8 ფენაში.

იმერეთის ადრებრინჯაოს ძეგლებიდან რადიოკარბონული თარიღი, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია, მაგრამ, ქვაცხელის ნასახლარის C ფენის თარიღიდან გამომდინარე, ძვ. წ. 2870±90 წ. ეს პერიოდი ძვ. წ. მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარსა და შუა ხანებში უნდა იქნას მოთავსებული.

დასავლეთ საქართველოს დასავლეთ რეგიონში კოლხეთის ზღვისპირეთსა და მის მიმდებარე ბორცვიან ზოლში ადრებრინჯაოს ხანას შემდეგი ძეგლები განეკუთვნება: ნასახლარები—მაჭარა III ფენა, გუანდრა Б ფენა, ოჩამჩირე, გუმისთა, ვორონცოვის გამოქვაბულები აფხაზეთში, საელიაო, დიხა-გუძუბა. ქვედა I ფენა, ფიჩორი მე-7—8 მ-ფენა სამეგრელოში, ისპანი—აჭარაში .სამარეული ძეგლებია დოლმენები და გუმისთის ყორღანული სამარხი აფხაზეთში და კოლოტაურის სამარხი აჭარაში.

ადრებრინჯაოს ხანის საწყის საფეხურზე საცხოვრებლად აქაც გამოიყენება კარსტული გამოქვაბულები: ვორონცოვის, ახრა-კამპშისა და პალის ფარდულები [19]. ამ მღვიმეებშიც თიხატკეპნილი იატაკების ნაშთებია შემორჩე-

ნილი, რომლებშიც ზოგჯერ კერებია ჩალესილი. აფხაზეთის ზღვისპირა ტერ.-სების ნასახლარები მაჭარა და გუანდრა მიწურებით და ნახევარმიწურებითაა წარმოდგენილი. ისინი მრგვალგეგმიანი ან ოთხკუთხა ძირბრტყელი ორმოებია, რომელთაც გარშემო სარების ჩასამაგრებელი ორმოები შემოუყვება. ვარაუდობენ, რომ ხის კარკასები ლერწმის ტიპის სპეციალური მცენარით იყო შემოწნული, ისინი კონად იკვრებოდნენ ბოლოში და იფარებოდნენ რაიმე მცენარით ან ლერწმით. მთელი ეს კონსტრუქცია შემდეგ შიდა და გარე მხრიდან თიხით იყო შემოლესილი. სათავსოების ასაგებად მოედნები წინასწარ იყო მომზადებულ-მოტკეპნილი [33].

სულ სხვა სურათია კოლხეთის დაბლობის გორა-ნასახლარებზე. ესენი დაბალი ხელოვნური გორაკებია, რომელთაც გარშემო სადრენაჟო თხრილები უვლის. ასეთი ბორცვები ერთმანეთისაგან საკმაოდ ახლოსაა განლაგებული და ერთმანეთს თხრილებით უკავშირდებიან.

ბორცვის ბირთვს წარმოადგენენ ხის წრიული სარტყლები, რომლებიც თიხითაა შელესილ-შემაგრებული. მასზე მოზვინული და მოტკეპნილია სტერილური თიხის სქელი მასა, რომლის ზემოდანაც უკვე კულტურული ნაშთები გვხვდება. დიხა-გუძუბას მესამე ფენაში გამოვლენილი იყო რვაკუთხა „ქოხი", რომლის ფუნდამენტს კუთხეებში მტკიცედ შეკრული 1,5 მ სიგრძის მორები წარმოადგენდა, ზედ კი სარ-ლატნზე თიხით მოლესილი ნაგებობა იდგა. მომდევნო (II) ფენაში კი ამავე ტიპის ოთხკუთხა ნაგებობა მდგარა [29]. უფრო მოგვიანო ძეგლის, ნაოხვამუს მაგალითზე ბ. კუფტინი თვლიდა, რომ ნაგებობები წნულკარკასიანი უნდა ყოფილიყო, რომლის კედლები და კონუსისებური გადახურვა თიხით იყო შელესილი. საელიაოს ბორცვი, რომელზედაც გვიანი და ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა აღმოჩნდა, ორჯერ იყო შემოსალტული ხის მორების სარტყელით და ორჯერვე მოზვინული. ამგვარად, ნასახლარისათვის შემზადებული თიხის მოედნის სიმაღლე ერთ ფენაში 1 მ აღწევდა, მეორეში — 1,80 მ [2].

ისპანის ნასახლარზე ძელური ტიპის ნაგებობა აღმოჩნდა, ერთ შემთხვევაში ხიმინჯებიც იქნა დაფიქსირებული, რომლებზედაც ხით მოგებული ბაქნები მდგარა სათავსოებისათვის [5]. მსგავსი ნაგებობა, მხოლოდ უფრო უკეთ შემორჩენილი, აღმოჩნდა ფიჩორის ნასახლარის მე-8 ფენაში. ერთმანეთის პარალელურად ჩასმულ ხიმინჯებს შორის დიდი მორები იქედებოდა. ხიმინჯები 60 სმ სიგრძის სპეციალურად გათლილი ხის გადანაჭრებია, რომლის სოლისებური ბოლო მიწაში იდგმებოდა, ზედა ნაწილი კი სწორად ჰქონდა წაჭრილი, რომელზედაც სქელი ფიცრის ბაქანი იყო შოგებული. ბაქანს ზემოდან თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდა მოლესილი. რამდენიმე ადგილას კუთხედ შეკრული ძელები დაფიქსირდა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სათავსოები ოთხკუთხედის ფორმის უნდა ყოფილიყო. დიდი რაოდენობით აღმოჩენილი წნელისანაბეჭდიანი ბათქაშები მოწმობს, რომ ნაგებობის კედლები თიხით იყო შემოლესილი. აღნიშნული ნაგებობის საცხოვრებელ ან ეგებ უფრო საკულტო დანიშნუ-

ლებაზე მეტყველებს შიგ აღმოჩენილი კერა, მარცვლეულის ნაშთები, ხის სახნისი, სპეციალურად დამუშავებული და რქებწაკრილი ირმის რქის ძირი, ცულისა და თოხის ყალიბები, ძალზე საინტერესო კომბინირებული ყალიბი ოთხი სხვადასხვა იარაღის ჩამოსასხმელად და სხვ. [1].

სამარხეულ ძეგლებს წარმოადგენენ კოლოტაურის სამარხი, დოლმენები და გუმისთის ყორღანი. პირველი მათგანი მდებარეობს სოფ. კოლოტაურში, აკარისწყლის ხეობაში. იგი საგზაო სამუშაოების დროს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი. წარმოადგენდა ქვის ფილებით ნაგებ ოთხკუთხა კამერას, რომლის მიხედვითაც იგი ადრებრინჯაოს ხანას იქნა მიკუთვნებული [7].

დოლმენები სადღეისოდ მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზეა ცნობილი, როგორც ზღვისპირა, ისე შიდა მთიან ზოლში (აჭანდარა, ეშერი, აზანთა, ოთხარა, ყულანურხვა, შრომა, ლოე და სხვ.). ზომების მიხედვით დოლმენები 3 ჯგუფად იყოფა: პატარა, საშუალო და მოზრდილი. ადრებრინჯაოს ხანის მასალები, ჩვეულებრივ, გვხვდება პატარა და საშუალო ზომის დოლმენებში. ამათგან პატარა დოლმენები ყველაზე არქაული მასალების შემცველია. ფორმა-კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის მიხედვით ისინი არ განირჩევიან ერთმანეთისაგან [14].

დოლმენი აგებულია ოთხი ვერტიკალურად დადგმული მასიური ბრტყელი ქვისაგან და მეხუთე ქვითაა გადახურული. ზოგს იატაკადაც ქვის ფილა აქვს. წინა კედელში, რომელიც თითქმის ყოველთვის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიქცეული, ხვრელია დატანებული, რომელიც ქვის საცობით იხურებოდა. გვერდით კედლებზე და იატაკზე გასამაგრებლად ნარიბანდებია ამოკვეთილი. გვერდითი კედლები ზოგჯერ საბჯენებით ან დიდი ლოდებითაა შემოწყობილ-გამაგრებული, ზოგიერთი მათგანი კი მიწითაა დაფარული. საინტერესოა სოფ. ოთხარაში გათხრილი დოლმენი, რომელსაც გარშემო ორრიგად კრომლეხი შემოუყვება; თვით დოლმენი სრულიად დაფარული იყო მიწაყრილით.

დოლმენი კოლექტიურ საგვარეულო სამარხს წარმოადგენს, მასში დაკრძალვის ზუსტი წესის დადგენა არ ხერხდება. მიცვალებულთა ძვლები და ნივთები უწესრიგოდაა მიმოფანტული ან კუთხეებში მიყრილი. შესაძლოა, თავდაპირველად მიცვალებულს ასაფლავებდნენ დოლმენის კუთხეში მჯდომარე პოზაში, ხოლო ახალი მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით პირვანდელი სამარხის განლაგება ირღვეოდა. ბ. კუფტინის აზრით, დოლმენები გამოიყენებოდა მეორადი დაკრძალვისათვის და ძვლები წინა კედელში დატანებული ხვრელით შეჰქონდათ [22].

ადრეული დოლმენების ინვენტარი კერამიკისაგან და ლითონის იარაღებისაგან შედგება; ჭურჭლები უმეტესად პატარა ზომისაა და ფიქრობენ, რომ სპეციალურად სამარხში ჩასატანებლად ამზადებდნენ, საშუალო ზომის დოლმენებში აღმოჩენილი კერამიკა იმეორებს პატარა დოლმენების მასალებს, მაგ-

რამ ძათში ლითონის ნივთები შედარებით მეტია. ადერბრინჯაოს ხანის პატარა ზომის დოლმენების მასალები ბევრ საერთოს პოულობს საჩხერის ყორღანული სამარხების, ოჩამჩირის ნასახლარის დიხა-გუძუბას I ფენის და სხვ. ინვენტართან და მათი აგება III ათასწლეულის შუახანებშია ნაგულისხმევი. ქრონოლოგიურად მათი მომდევნოა საშუალო ზომის დოლმენები.

ამიერკავკასიის დოლმენების წარმომავლობა-გავრცელებაზე ბევრი მოსაზრება არსებობს, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანს; მით უმეტეს, რომ მკვლევართა მიერ ეს საკითხი დეტალურად და ყოველმხრივაა გაშუქებული. მთავარი მაინც ის არის, რომ როგორც არ უნდა გადაწყდეს აფხაზეთის დოლმენების საკითხი, ერთი ცხადია, იგი ადგილობრივ ბრინჯაოს კულტურას ასახავს [15].

ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა გამოვლენილი იყო გუმისთის ნასახლარზე და ყორღანში. ქვაყრილიანი ყორღანი ქვის წრეშემოვლებული ოთხი სამარხისაგან შედგებოდა. ინვენტარი წარმოდგენილი იყო ქოთნებით, რიყის ქვის ცულითა და საკიდით [30].

ადრებრინჯაოს კულტურა კოლხეთში წინამორბედი ენეოლითური კულტურის საფუძველზე ჩანს აღმოცენებული. ეს განსაკუთრებით კარგად შეინიშნება ქვის ინდუსტრიაში. იგი განაგრძობს ძველ ტრადიციებს. იარაღების უმრავლესობა ისევ სიგრძით გაპობილი რიყის ქვებისაგან მზადდება, რომელთა ნაპირები დამატებითი ატკეცვით არის დამუშავებული: წამახვილებული ან დაბლაგვებული. ასეთებია ცალპირალესილი და სოლისებური ცულები, სატეხები, საჭრეთლები. ცულების დიდ ნაწილს ყუა გახვრეტილი აქვს. ბევრია საბეგველი, როდინი, კვირისტავი, ბადის საწაფი მოპირდაპირე გვერდებზე თოკის ჩასაბმელად გაკეთებული ღარებით, გრანიტის ხელსაფქვავი; მეურნეობაში ისევ დიდ როლს ასრულებს „სოხუმისა“ და „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, „პიკის“ ტიპის იარაღები, თუმცა ამ უკანასკნელთა რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს. ვორონცოვის გამოქვაბულებში ქვის ნახეხ-ნაპრიალები სამაჯურების ფრაგმენტებიც იყო აღმოჩენილი.

კაჟისაგან მზადდება ცალგვერდ და ორგვერდდაკბილული ნამგლის ჩასართები. ისრისა და შუბისპირები ორმხრივად დამუშავებულია და დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. ყუნწიან ისრისა და შუბისპირებში გამოირჩევა ფოთლისებური, სამკუთხა, ფრთებდაშვებული ეგზემპლარები. ფუძეამოღარული ისრისპირები ფოთლისებური, ნუშისებური და ასიმეტრიული ფორმისაა. ამ უკანასკნელებს ზოგჯერ „მერცხლისკუდის“ მსგავსს უწოდებენ. არის რომბისებური ფორმის ცალებიც. მაჭარაზე, გუანდრასა და ვორონცოვის გამოქვაბულებში ნაპოვნია რეტუშირებული ლამელები და ანატკეცებზე ჩამოყალიბებული საფხეკები და სახოკები.

რქისა და ძვლის იარაღები შედარებით ნაკლებია. ძვლისაგან ამზადებენ ნემსებს, მახათებს, საპრიალებლებს. ოჩამჩირის ნასახლარზე ტახის ეშვისაგან

გაკეთებული სახვრეტი და ირმის რქის რაღაც გაპრიალებული, წვერწამახული იარაღი აღმოჩნდა ძირთან ორი პარალელური ნაჭდევით.

ზემოჩამოთვლილი ქვის, კაჟისა და ძვლის ნივთები ფართოდ არის გავრცელებული ამ პერიოდის ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებში. ასიმეტრიული ისრისპირები ცნობილია მაიკოპის კულტურაში და ისინი მოგვიანო ფორმებადაა მიჩნეული. მაიკოპის კულტურასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ადლერის რაიონში მიკვლეული ვორონცოვის ბღვიმეებია [30], აქ წარმოდგენილ კერამიკულ კომპლექსში ადრემაიკოპისათვის დამახასიათებელი ფორმები სჭარბობს—ძაბრისებურყელიანი და ბირთვისებურტანიანი ჭურჭლები. ზედა სართულის „კოლოკოლნი" და „ზალოენი" მღვიმეებში ხშირია მეჭეჭისებური ანუ მარგალიტისებური ორნამენტი; ეს ფაქტი, ერთი მხრივ, ამ ძეგლის შედარებით ადრეულობაზე მეტყველებს და ამავე დროს მაიკოპის კულტურის უშუალო გავლენაზედაც მიგვითითებს ამ რეგიონში. კოლხეთის დაბლობისა და ბორცვიანი ზოლის არც ერთ სხვა ძეგლზე მაიკოპური იერის ჭურჭელი არ ჩანს.

ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა თავისი დამზადების ტექნიკითა და ფორმებით უკავშირდება წინამორბედ ენეოლითურ კულტურას. იგი ხელითნაძერწია, უხეშინარევიანი, მონაცრისფროა, მურა-მოვარდისფრო, მოშავო-მოყავისფრო. წამყვანი ფორმებია ქოთნები, ქილები, დერგები, ჯამები. ძირები, ბრტყელი ან ოდნავ ქუსლგაზრდილი, დამახასიათებელია მარყუჟისებური ყურები, რომლებიც შვერილის საშუალებით მაგრდებიან ჭურჭლის კედლებში. არის შედარებით ფართო ყურებიც, რომელთაც შუაზე ღარი გაუყვება. ერთეული შემთხვევებია ჰორიზონტალურად დაძერწილი ყურებისა.

ქოთნისებური ჭურჭლები ხასიათდებიან ოდნავ გადაშლილი პირით, მოკლე ყელით, რომელიც თანდათან გადადის კორპუსზე. ყურები მხარსა და ყელზეა მიძერწილი ან პირსა და მხარზე. ძირი ბრტყელი აქვთ. ასეთივე ფორმისაა დერგები, მაგრამ მათ ძლიერ შესქელებული, ირიბად წაკრილი ან მრგვალი გვირგვინები აქვთ და ყელი თითქმის არ გამოიყოფა ჭურჭლის ტანიდან.

ქილები უფრო მოგრძო პროპორციებით გამოირჩევიან და უპირატესად ცალყურიანებია, მკვეთრად გამოყოფილი ქუსლიანი ძირით. ჯამები მრგვალკედლიანებია და პირმოყრილი.

ჭურჭლის უმეტესობა ორნამენტირებულია, მაგრამ ორნამენტი ყველა ტიპის ჭურჭელზე ერთნაირია და რომელიმე ჯგუფისათვის დამახასიათებელი შემკულობის გამოყოფა არ ხერხდება. ხშირია რელიეფური კოპები, მოგრძო ოვალური შვერილები, ჯიბისებური დანაძერწები — ისინი, ჩვეულებრივ, ჭურჭლის პირქვეშ არიან მოთავსებული და ზოგ შემთხვევაში მოკლე, ირიბი ხაზებით ან თითით დაჭდეული. ასევე დაჭდეულია მხრის გარშემო დაძერწილი რელიეფური სარტყელიც. ზოგ ჭურჭელს მთელ ტანზე კიბისებური, ფრჩხილისებური ან თეკუზიფხური ორნამენტი აქვს დატანილი. იშვიათად გვხვდება სა-

ვარცხლის კბილის ანაბეჭდი და კოპის გარშემო ამოღარული შეერონები. დიხა-გუძუბას, ოჩამჩირის და ფიჩორის ნასახლარების ჭურჭლის ძირზე ქსოვილის კვალიც ჩანს. აღწერილი კერამიკა, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, გენეტიკურად უკავშირდება ამავე ტერიტორიაზე მდებარე ენეოლითურ ძეგლებს. გარკვეული პარალელები ეძებნება მათ, ამავე დროს, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ევროპაში. ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა გაუსვა ხაზი ამ მსგავსებას დიხა-გუძუბას მასალების მაგალითზე. ამ ბოლო დროს ანალოგიური კერამიკა გამოვლენილ იქნა ანატოლიაში, ქებანის წყალსაცავის მშენებლობის ტერიტორიაზე, ძვ. წ. IV ათასწლეულის ფენებში. რელიეფური სარტყელი, კოპები, სავარცხლის კბილისებური ანაბეჭდები, მაღალფეხიანი ხილის „ვაზები" ცნობილია ბალკანეთ-დუნაის რეგიონებიდან, ცენტრალური ევროპის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებიდან (კარანოვო ეზერო, ბადენი); მჭიდრო ურთიერთობა ჩანს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთანაც (ყემი-ობის კულტურა, ყირიმი) [20].

კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე არის კერამიკის მეორე ჯგუფი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ადგილობრივი მასობრივი ნაწარმისაგან. ესაა სუფთა თიხისაგან დამზადებული, კარგად გამომწვარი, შავპრიალაზედაპირიანი ჭურჭელი, ზოგჯერ მოყავისფრო საღრეჭულზე. აქვთ შედარებით მაღალი და კარგად გამოყვანილი ყელი, გამოყოფილი მხრები, პირიდან დაწყებული ლამაზად პროფილირებული თხელი ყურები და ვიწრო ძირი. ორნამენტი კოპებია ან ჭრილი გეომეტრიული ხაზების კომბინაცია ყელსა და მხარზე; იგი ძირითადად ჰორიზონტალური ხაზებისა და ზედმიბჯენილი სამკუთხედების ან კუთხედ შეკრული ირიბი ხაზებისაგან შედგება, რომელიც ზოგჯერ ყურზედაც გადადის. იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება მაღალფეხიანი „ხილის ვაზების" ფრაგმენტები (მაჭარა, ფიჩორი).

ეს შავპრიალა, ჭრილორნამენტიანი კერამიკა დამუშავების ტექნიკით, ზედაპირის გაპრიალებით და ფორმებით ძალიან მოგვაგონებს თრიალეთის ადრეული ყორღანების მასალის ერთ ნაწილს და უფრო მეტად კი ბედენური კულტურის ჭურჭლებს; ისინი დაახლოებით ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშიც ექცევა. ფიჩორის მე-8 ფენიდან აღებულმა სინჯებმა C^{14} აჩვენეს TB 460 2295±60 ძვ. წ.

თუ კოლხეთის ენეოლითიურ ძეგლებზე ლითონი თითქმის არ გვხვდება, ადრებრინჯაოს ხანაში მეტალურგიის უეცარი აღმავლობა შეინიშნება. განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ლითონის ნივთები საშუალო ზომის დოლმენებში. ამათგან ყურადღებას იქცევს ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცულები საჩხერული ტიპისა. ერთის სატარე კონცენტრული ამოღარული სახით არის შემკული. აღსანიშნავია კავები ერთკაპა და სამკაპა, არის როგორც მასრაგახსნილი, ასევე მასრაშეკრული ცალებიც. ორ მათგანს შესანიშნავი წნული ორნამენტი ამკობს. ისინი, როგორც ჩანს, ცვილის მოდელის დაკარგვის წესით არიან დამზადებული. საქართველოში ამ ტიპის იარაღები ცნობილი არ არის ამ პერიოდში; ყველაზე ახლო პარალელები მათ ეძებნებათ ჩრდილოეთ

კავკასიის ძეგლებზე: აბაძეხსკაია და ნოვოსვობოდნაიას დოლმენების მასალებში [41]. დოლმენებში აღმოჩენილი ბრტყელი, ფოთლისებური ფორმის სატევრისპირები გამოჭედვის წესით უნდა იყოს დამზადებული, ზოგ მათგანს პირზე ფართო ღარი გაუყვება. ადრეულ ფენებს მიეკუთვნება ოთხწახნაგა სადგისიც, რომელიც თავისი ფორმით უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენში ცნობილი ოთხწახნავა სადგისები. სამკაულებიდან აღსანიშნავია ერთნახევარი ხვიები და სხვ.

დოლმენების ლითონის ნივთებში დარიშხანის საკმაოდ დიდი რაოდენობა აღინიშნება (3—5%) და განსხვავდება საჩხერისა და თრიალეთის მასალებისაგან. შესაძლოა კოლხეთში იყო შედარებით უმნიშვნელო მასშტაბის სპილენძის საბადო, რომელსაც იმ დროს ამუშავებდნენ [31]. დოლმენების ლითონის ნივთების მეტალოგრაფიულმა შესწავლამ გაარკვია, რომ ისინი დამზადების ტექნიკის საკმაოდ მაღალ საფეხურს მიეკუთვნებიან [43]. ლითონის იარაღები და მათ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები აღმოჩენილია თითქმის ყველა ადრებრინჯაოს ხანის ძეგლზე. ვორონცოვის გამოქვაბულებში ნანახია ორმხრივალესილი პირმომრგვალებული დანისპირი, დიხა-გუძუბას ქვედა ფენაში — თიხის ყალიბი ნამზადისათვის. ყოფილა ორმაგზოომორფულთავიანი ქინძისთავიც, რომელიც დაკარგულია. ისპანში ნანახი იყო ყუამილიანი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და ხის მოდელი ამავე ტიპის ცულისა.

ფიჩორის ნასახლარის მე-7-8 ფენამ ძალზე საინტერესო მასალები მოგვცა ცენტრალური კოლხეთის მეტალურგიისათვის. აღმოჩენილ იქნა ათობით ყუამილიანი ცულის ყალიბი, რომელშიც ჩამოსხმული ცულის ერთადერთი ანალოგია განთიადის შემთხვევით ნაპოვნი ცულია. აქვეა სამკუთხამოყვანილობის ყუაგახვრეტილი თოხის ჩამოსასხმელი ყალიბები და თვით სპილენძის თოხიც. ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული დანარჩენი ნივთები წარმოდგენილია საქშენი მილის ნაწილებით, ტიგელებითა და ციცხვებით, ზოგს ლითონის ნაშთი აქვს შერჩენილი და სხვ. [44]. ყველა ეს ნივთი მაღალგანვითარებულ მეტალურგიაზე მიგვითითებს.

კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის რამდენიმე ნახშირბადის თარიღი გვაქვს. ფიჩორის სულ ქვედა მე-8 ფენიდან TB 460 ძვ. წ. 2296±60, ისპანის ნასახლარის ყველაზე ძირა ფენიდან TB 82 2955±50 ძვ. წ. TB 233 2500±50 ძვ. წ. და TB 2332 2060±50 ძვ. წ. (ზედა ჰორიზონტიდან).

ადრებრინჯაოს ხანა მწარმოებლური მეურნეობის შემდგომი განვითარებითა და აღმავლობით ხასიათდება. დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედების დამადასტურებელი მასალები ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან გვხვდება. ბუნებრივია, რომ მის საფუძველზე აღმოცენებული ადრელითონების კულტუ-

რა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შემდგომ აღმავლობას ასახავს; ეკონომიური პირობების გაუმჯობესება იწვევდა მოსახლეობის ზრდას და ეს კი თავის მხრივ აპირობებდა ახალი ფართობების ათვისების საჭიროებას. ამიტომაა, რომ ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ნასახლარები დასავლეთ ამიერკავკასიაში თითქმის ყველა გეოგრაფიულ გარემოში გვხვდება: მთასა და მთისწინა ზოლში, მდინარეთა ხეობებსა და კონცხებზე, ზოვის სანაპირო ზოლში. ნასახლარები განლაგებულია როგორც ბუნებრივი გორების თხემსა და ფერდობებზე, ასევე ხელოვნურად მოზვინულ გორაკებზე, კარსტულ მღვიმეებში და ზღვისპირა ტერასებზე. მღვიმეებში ხანგრძლივი ცხოვრების კვალს თიხატკეპნილი იატაკების რამდენიმე დონე მოწმობს. ზოგ შემთხვევაში, ამ პერიოდის ფენა გარეთა ფართობზეც გამოდის, სადაც დამატებით გაკეთებული მოწნული, თიხით შელესილი მინაშენებიც გვხვდება (საგვარჯილე, დარკვეთი). ბუნებრივ გორებზე და ფერდობებზე ქვის საძირკველზე ნაშთები, სარ-ლასტზე თიხით შელესილი მრგვალი და ოთხკუთხა ნაგებობები უშენებიათ, წითლად გამომწვარი თიხატკეპნილი იატაკებითა და შიგ ჩალესილი კერებით (არგვეთი). ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ხიმინჯებზე აღმართული ხის ბაქნები დასტურდება, ზედ თიხით მოზვინული მოედნებით, რომლებზედაც წნულკარკასიანი თიხით შელესილი სათავსოები იდგა.

ზღვისპირა ტერასებზე საცხოვრებლები მიწურებითა და ნახევარმიწურებითაა წარმოდგენილი. საცხოვრებელთა იატაკებზე და კერების გარშემო თავმოყრილია, ჩვეულებრივ, მასალების უმეტესობა: ჭურჭლების ფრაგმენტები, ქვისა და კაჟის იარაღები, რქისა და ძვლის ნაკეთობანი, ქვისა და ლითონის ადგილობრივი წარმოების დამადასტურებელი ნივთები, ცხოველთა ძვლები და მარცვლეულის ნაშთები.

თითქმის ყველა ნასახლარზე გვხვდება მიწის დასამუშავებელი იარაღები, რომელთა სიმრავლე და დიფერენცირება უკვე კარგად ჩამოყალიბებულ და საკმაოდ წინ წასულ მიწათმოქმედებაზე მეტყველებს.

მიწის დამუშავება ხდებოდა ქვის, რქისა და ხის იარაღით. „პიკის" ტიპის და რქის წერაქვისნაირი იარაღით, ჰორიზონტალური ან ვერტიკალური დასაგები ტარით ნიადაგის გაწერა-გაკვალვა ხდებოდა, ამავე მიზნით იხმარებოდა, ალბათ, ირმის რქის ძირისაგან ნაკეთები წვერწამახული მიწის სახვნელები, ფიჩორის ნასახლარის მე-8 ფენაში აღმოჩენილი ხის სახნისი უეჭველს ხდის ადრებრინჯაოს ხანაში უკვე გუთნური მიწათმოქმედების არსებობას, რომელშიაც გამწევი ძალა იხმარებოდა. სახნისი დამზადებულია ხის განსაკუთრებული შაგარი ჯიშისაგან და მთლიანი მუხლიანი ხისგანაა გამოთლილი (სიმაღლე 60 სმ). სახნისს ზემოდან უღლისნაირი სწორი ხის ნაჭერი ემაგრება, რომელიც თავის მხრიდან ორ ადგილასაა გამოხვრეტილი, როგორც ჩანს, კიდევ რაღაცაზე დასამაგრებლად. სამუშაო ნაწილი წამახვილებულია და ხმარებისაგან გაპრიალებული. ფიჩორის ნასახლარზე აღმოჩენილი ხის სახვნელის მნიშვნე-

ლობა იმაში მდგომარეობს, რომ მოგვცა პირდაპირი საბუთი გუთნური მიწათ-მოქმედებისა[1], რაც დღემდე ადრელითონის ეპოქისათვის არ გვქონდა.

მოსავალს კაჟის ცულგვერდ და ორგვერდდაკბილული ნამგლებით იღებდნენ. კაჟის ნამგლისპირები ჩვენთან ადრეული ეპოქიდან ჩნდება და გვიანობამდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

დასავლეთ საქართველოში ტყიანი ლანდშაფტის პირობებში, როგორც ფიქრობენ, მიწათმოქმედება საახოვე უნდა ყოფილიყო. ტყისა და ბუჩქნარის გაკაფვასა და გაწმენდასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქვის სხვადასხვა ფორმის ცულები, რქის თოხები, „სოხუმისა" და „სოჭი-ადლერის" ტიპის ქვის თოხები და სხვ. მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული ქვის ხელსაფქვავებიც, რომლებიც ათეულობითაა ნაპოვნი ყველა ნასახლარზე. დასავლეთ ამიერკავკასიაში მიწათმოქმედება ურწყავი უნდა ყოფილიყო, რადგან ნიადაგის სინოტივე და კლიმატი თავიდანვე გამორიცხავდა მორწყვის აუცილებლობას. სადრენაჟო თხრილები, რომელიც ცენტრალური კოლხეთის დაბლობზეა დაფიქსირებული, პირიქით, ნიადაგის ზედმეტი წყლისაგან განთავისუფლების მიზანს ემსახურებოდა.

დასავლეთ საქართველოს ნესტიანი ნიადაგები მარცვლეულის ნაშთების კარგი შენახვის შესაძლებლობას არ იძლევა. მაგრამ რიგ ნასახლარებზე მაინც იყო შემორჩენილი მცენარეული ნარჩენები. არგვეთის ნასახლარის ქვედა ჰორიზონტის კერიდან ამოღებულმა მიწამ ასეთი სურათი მოგვცა: კულტურული მარცვლეულებიდან წარმოდგენილია — რბილი ხორბალი, ორმარცვალა ხორბალი და კილიანი ქერი, სარეველებიდან — შვრია და ღვარძლი. დიხა-გუჟუბას მეორე ფენიდან ცნობილია ჩვეულებრივი პროსოს, მჭადის, ფეტვის, მაგარას და ორი ჯიშის ხორბლის მარცვლები, რომელთაგან ერთი რბილი ჯიშის ხორბალს გვნეკუთვნება, მეორე კი მახას. ამავე ფენიდანაა წაბლის, რკოსა და ჭადრის თხილის ნაშთები.

ფიჩორის ნასახლარის მე-8 ფენის თიხის მოლესილ იატაკზე აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობით მარცვლეულის ნაშთები ირმის რქის სახვნელთან და ცულის ყალიბებთან ერთად. მარცვლეულში ძირითადად გამოიყოფა რბილი ხორბალი და კილიანი ქერი. აქვე იყო წაბლის, რკოს, ველური თხილის და სხვა შემგროვებლური პროდუქციის ნარჩენებიც.

ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებასთან ერთად გარკვეულ განვითარებას აღწევს მესაქონლეობაც. შინაური ცხოველის ძვლები აღმოჩენილ იქნა სამელე-კლდის, დარკვეთის, საგვარჯილეს, დიხა-გუძუბას, ფიჩორის, დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლარებზე. საგვარჯილეში აღმოჩენილია 25 სახის ცხოველთა ნაშთები, ამათგან მთელი მასალის 56% გარეული ფაუნის ნაშთებია, 34% კი შინაურისა, აქვეა ფრინველთა ძვლებიც. შინაური ცხოველებიდან ყველაზე მეტია ხარის ძვლები (27%), შემდეგ კი ღორის (7%). გარეული ცხოველებიდან აღსანიშნავია: ღორი, ირემი, ჯიხვი, შველი. სამელე-კლდის ზედა ჰორიზონტში შინაური ცხოველებიდან ღორის ძვლები ჭარბობს.

შემდეგ მოდის მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ბოლოს კი წვრილფეხა რქოსანი. დარკვეთის ეხის ზედა ჰორიზონტშიც ანალოგიური სურათია. მღვიმეებში ჯერ კიდევ დიდი ადგილი ეთმობა მეურნეობაში მონადირეობას.

შინაურ ცხოველთა ძვლები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოჩამჩირის ნასახლარზე, მათ შორის სამი ფალანგა ტანმორჩილი ძროხისა; ხარის, ღორისა და წვრილფეხა რქოსანთა ძვლები უფრო ნაკლები რაოდენობითაა [45]. დაბლაგომის ქვედა ფენიდან ცნობილია პატარა ზომის ძროხის, წვრილფეხა რქოსნებისა და ღორის ძვლები. დიხა-გუძუბადან ხარის, ღორის და წვრილფეხა რქოსანთა ძვლებია [46].

ხარისა და ძროხის ძვლები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა არგვეთის ნასახლარზე.

როგორც ირკვევა, ადრებრინჯაოს ხანაში, დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობა უკვე კარგად განვითარებული და საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა; უპირატესობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ენიჭებოდა. შემდეგი ადგილი ღორის მოშენება-მოვლას ეჭირა, ხოლო წვრილფეხა რქოსანი საქონელი შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი.

მეურნეობაში ჯერ კიდევ გარკვეულ როლს ასრულებდა მონადირეობაც. ამას ამტკიცებს გარეულ ცხოველთა და ფრინველთა მრავალსახეობა, რომელთა ნაშთებიც უპირატესად მღვიმეებში გვხვდება. ამასვე მიუთითებს, ნაწილობრივ, ისრისა და შუბისპირების მრავალფეროვნება და დიფერენცირებაც.

ქვის სათლელები, კაჟის საფხეკ-სახოკები, ძვლის ნემსები და სადგისები ტყავის დასამუშავებლად იხმარებოდა.

ზღვის სანაპირო ზოლში და მდინარეთა ხეობებში ენეოლითშიც და მომდევნო ადრებრინჯაოს ხანაშიც გარკვეული ადგილი ეკავა მეთევზეობას. რიყის ქვის გვერდებამოღარული და ბრგვალი ბადის საწაფები, ძვლის და ლითონის ანკესები სწორედ მეთევზეობის უტყუარი საბუთებია.

ქსოვაზე უნდა მიგვანიშნებდეს თიხის კონუსური და ბიკონუსური კვირისტავების დიდი რაოდენობა და ჭურჭლის ძირებზე დარჩენილი ქსოვილის ანაბეჭდები მიტკალისებური, ჭილოფისა და სელის ქსოვისა.

მაღალ საფეხურზეა ასული მეთუნეობა. ამ პერიოდის ძეგლებზე ყველაზე ჭარბად კერამიკული მასალაა წარმოდგენილი. იგი ჯერ კიდევ ხელით ნაძერწია, მაგრამ კარგად გამომწვარი, ლამაზი ფორმებითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. არის როგორც ზედაპირმოპრიალებული, დახვეწილი სუფრის ჭურჭელი, ასევე ყოველდღიური და სამზარეულო ნაწარმი. ორივე ტიპის ნაკეთობები უხვადაა შემკული ხვადასხვა ორნამენტული საშუალებებით.

მაგრამ ადრებრინჯაოს ხანის კულტურის მკვეთრი დაწინაურების ძირითადი მიზეზი მაინც მეტალურგიის განვითარება უნდა ყოფილიყო. თითოეროლა ლითონის ნივთებით წარმოდგენილ ენეოლითურ ხანასთან შედარებით, ადრებრინჯაოში მეტალურგიის უეცარი აღმავლობა ხდება.

ლითონის იარაღ-საძკაულის ძოზღვავება აღინიშნება როგორც იმერეთის, ასევე ცენტრალური კოლხეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს ვითარება გარეგანი გავლენების შთაბეჭდილებას შექმნიდა, თვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც რომ არ იყოს წარმოდგენილი წარმოება-დამზადებასთან დაკავშირებული მასალები: ტიგელები, ციცხვები, ნამზადებისა და იარაღების ათობით ყალიბები, საქშენი მილები, წიდები და სხვ. ყუამილიანი, ყუადაქანებული ცულები, სატევრები, ხიშტისებური იარაღი, ოთხწახნაგა სადგისები, სხვადასხვაგვარი ქინძისთავები, საკიდები, კავები, და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ტიპის იარაღს გვაგონებენ და გარკვეულად უკავშირდებიან წინა და მცირეაზიურ სამყაროს სამხრეთით და კავკასიის ჩრდილოეთით.

ლითონის ნივთების დამზადება ჩამოსხმით, გამოჭედვითა და მოდელის დაკარგვის წესით — მეტალურგიული წარმოების განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებს. ამასვე მეტყველებს სპილენძის ნივთებში 2—7% დარიშხანის და ზოგჯერ ანთიმონის შინაერთებიც.

მდინარე ყვირილას ზემო წელი თავიდანვე ცნობილი იყო როგორც მეტალურგიის განვითარების მძლავრი და თვითმყოფადი კერა. როგორც ჩანს, მცირე მასშტაბის სპილენძის საბადო აფხაზეთში იყო, რამაც გარკვეულ პერიოდში ადგილობრივი მეტალურგიის განვითარებაში საკმაო როლი ითამაშა.

საჩხერის ყორღანული სამაროვნის, დოლმენებისა და გუმისთის სამარხებმა, აგებულებამ და დამარხვის წესმა გვიჩვენა, რონ ისინი გვაროვნული საზოგადოების კუთვნილებაა. დასავლეთ საქართველოს ამ პერიოდის ძეგლებში მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია და ცალკეულ პიროვნებათა სოციალური დაწინაურების ფაქტები ჯერჯერობით უცნობია; თუმცა იგივე დოლმენები და ყორღანული სამაროვნები ცალკეული გვარების გარკვეულ დაწინაურებაზე მაინც მიგვითითებს.

ლიტერატურა

1. მ. ბარამიძე, თ. ჩიგოშვილი, ლ. ჯიბლაძე, გ. ფხაკაძე და სხვ., აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1986 წ. გათხრების ანგარიში.
2. გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე და სხვ., დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1956 წ. შედეგები. „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", ტ. V, თბ., 1969.
3. ე. გოგაძე, თრიალეთური კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.
4. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის ანგარიშები, თბ., 1974.
5. ი. ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წ. შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., 1974.

6. ნ. კ ი ლ ა ძ ე (ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. აკადემიის მოამბე IV, 1959; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, გამოქვაბული საგვარჯილე (ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენა), თბ., 1976.
7. ა. კ ა ხ ი ძ ე, კოლოტაურის სამარხი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“ № 269.
8. ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ადრეული საფეხურები, თბ., 1986.
9. მ. ნ ი ო რ ა ძ ე, სამერცხლე-კლდის მღვიმე. ჟურნალი „მაცნე“, თბ., 1971.
10. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანისა და მიიოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., 1985.
11. გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანისა და მტკვარ-არაქსის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978.
12. არგვეთის ნასახლარს მიაკვლია და გათხრები 1963—64 წწ. დაიწყო რ. აბრამიშვილმა, 1981—85 წწ. სამუშაოები განაგრძო ცენტრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით.
13. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბ., 1972.
14. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
15. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
16. ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ურბნისისა და ყვირილას 1964 წ. არქ. ექსპედიციის შედეგები. მუზეუმის შრომები XXV, თბ., 1986.
17. М. В. Андреева, К вопросу о новых связях Майкопской культуры, Советская археология № 1, М., 1977 г.
18. М. В. Барамидзе. Т. Е., Чигошвили, Л. Г. Джибладзе, Г. Г. Пхакадзе и др., арх. работы в Абхазии, ПАИ, 1986 г.
19. В. В. Бжания, Памятники Очамчирской культуры в горах Абхазии.
20. А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура Южного Кавказа V—III тысяч до н. э., Тб., 1973 г.
21. А. А. Иессен, Кавказ и древний Восток в IV—III тысяч до н. э., КСИА, 93, М., 1963 г.
22. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды II, Тб., 1950 г.
23. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1845 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949 г.
24. Г. Л. Кавтарадзе, К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тб., 1983 г.
25. М. В. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века. М., 1975 г.
26. Н. Я. Мерперт, Циркумпонтийская зона в раннем бронзовом веке: вопросы культурных контактов. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тб., 1987 г.
27. Г. Г. Пхакадзе, Археологические работы в Сачхере (1981—83). Археологические открытия, М., 1983 г.
28. Г. Г. Пхакадзе, Отчет Сачхерской археологической экспедиции, ПАИ, 1984 г. Тб., 1987 г.

29. Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Тр. Абх. НИИЯИ, вып. 15, Сухуми, 1939.
30. Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху энеолита и бронзы — стоянка Воронцовской пещеры, Труды Абх. ИЯЛИ, т. 29. Сухуми, 1958 г.
31. Ф. Тавадзе, Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии. Тб., 1958 г.
32. А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965 г.
33. И. И. Цвинария, Поселение Гуандра. Тб., 1978 г.

თავი III

ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში

სამელე-კლდე (ტაბ. CLI)

მდებარეობს ჭიათურის რაიონში მდ. ჯრუჭულას მარჯვენა ნაპირზე, მისი დონიდან 70 მ სიმაღლეზე. აღმოსავლეთით აქვს ნათელი და მშრალი შესასვლელი, სიგრძე დაახლ. 30 მ, სიგანე 25 მ, სიმაღლე 11 მ. კარსტული წარმოშობისაა.

სისტემატური შესწავლა მიმდინარეობდა 1964—67 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი დ. თუშაბრამიშვილი).

გათხრების შედეგად დაფიქსირდა სამი ჰორიზონტი, საერთო სიმძლავრით 3,5 მ. სამივე ერთ კულტურულ ფენას ეკუთვნის. თავიდან უნდა აღინიშნოს, რომ სამელე-კლდეში ფენების დიდი ნაწილი დარღვეულია, მხოლოდ მცირე ფართობზეა შერჩენილი უძრავ მდგომარეობაში.

I ჰორიზონტი (ზედა) იწყება ნულოვანი ხაზიდან და გრძელდება 2,25 მ. იგი ღორღნარევი ჰუმუსოვანია. ეს ფენა დევს ბზენარევი თიხის მკვრივ, გადაღლესილ იატაკზე, რომლის სისქეა 7—8 სმ. ქვის ინვენტარი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, წარმოდგენილია კაჟის პრიზმული და კოსმუსური ნუკლეუსებით, დანისებური ლამელებით, ანატკეც-ანამტვრევებით, ორმხრივდამუშავებული ფოთლისებური ისრისა და შუბისპირებით, კიდურა საფხეკებით; ქვის ორმხრივ და ცალმხრივლესილი სატეხებითა და სათლელებით, ხელსაფქვავების ფრაგმენტებით. ძვლის ინარაღები წარმოდგენილია ლულოვან ძვალზე ნამზადი სადგისებითა და მახათებით.

კერამიკა ორი ტიპისაა: უხეში, მსხვილმარცვლოვანი—ქილისა და ქოთნის ფორმის და უფრო თხელკეციანი, ნაპრიალები ფორმების მეტი ნაირგვარობით. აქვეა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები და მაიკოპის ტიპის ნაწარმი.

ბევრია თიხის ორნამენტირებული კვირისტავები, აქვე აღმოჩნდა თიხის ტიგელიც.

II ჰორიზონტი იწყება 2,33-დან და გრძელდება 3,1 მ-მდე და 10 სმ სისქის

თიხატკეპნილ იატაკზე დევს. ეს ჰორიზონტი ნაკროვანია და გადამწვარი. ქვისა და კაჟის იარაღები იგივეა, რაც ზედა ჰორიზონტში: ანატკეცები, ლამელები, ორმხრივდამუშავებული შუბისა და ისრისპირები, ერთი ობსიდიანის ტრაპეციაა და რამდენიმე ზურგდაბლაგვებული ლამელა. ძვლის მახათები, სადგისები, საპრიალებელი, რქის მიწის საჩიჩქნები. აქ მეტია კაჟის, ძვლისა და რქის მასალა.

ამ ფენაში ნაკლებია თიხის კვირისტავები. კერამიკა ანალოგიურია ზედა ჰორიზონტისა, მხოლოდ მეტია ნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტები. 2,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ტიგელი, ხოლო 2,50 მ-ზე — სპილენძის ოთხწახნაგა ისრისპირი (სიგრძე — 3 მ, სისქე — 0,2 სმ).

III ჰორიზონტი სტრუქტურულად არ განსხვავდება მეორისაგან, შეიცავს დიდი რაოდენობით ნაცარს და უფრო ნაკლებ მასალას. იწყება 2,90 მ-ზე. კაჟის მასალიდან აღსანიშნავია ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები, სამკუთხა ფორმის საფხეკ-სახვრეტი, ზურგდაბლაგვებული ლამელები და ანატკეცები. ზედა ჰორიზონტებთან შედარებით კაჟი ნაკლებია. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია ორი სათლელ-სატეხი. რქისაგან უმზადებიათ მიწის საჩიჩქნი იარაღები. კერამიკა ხასიათდება დაბალქუსლიანი, ბრტყელძირიანი ქილისებური ჭურჭლებით, ქოთნისებური მაღალყელიანი ოდნავ პირგადაშლილი ფრაგმენტებით. იშვიათია პირდაჭდეული ფრაგმენტები. კვირისტავი რამდენიმეა, ისიც უორნამენტო.

გ. ჯავახიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სამელეკლდის მასალები, იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ წარმოდგენილია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ეტაპები: ნეოლითი, ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისი. მკვლევარი მათ ათარიღებს VI—IV ათასწლეულით.

მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

გ. ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, 1971.

საგვარჯილე (ტაბ. CLII—CLIV)

საგვარჯილე მდებარეობს თერჯოლის რაიონში, სოფ. ძევრში, მდინარე ძევრულას ხეობაში. ითხრებოდა 1952 წელს ტყიბულჰესის მშენებლობისათვის გზის გაფართოების გამო. თხრიდა ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

საგვარჯილე წარმოადგენს კარსტულ გამოქვაბულს, რომელიც მთა აფაცხებულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე მდებარეობს. გამოქვაბულში ხანგრძლივი ცხოვრების კვალი ჩანს. აქ 12 კულტურული ფენაა. ქვედა 5 ფენა

ძველი ქვის ხანას ეკუთვნის, ზედა ფენებში — სხვადასხვა პერიოდის მასალებია არეული.

საკუთრივ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენის სისქეა 3,1 მ. იგი ვრცელდება გამოქვაბულის გარეთ ფერდობზეც, სადაც აღმოჩნდა ლითონის ნივთები: ოთხწახნაგა სადგისი, ანკესები და ღერაკები. აქვე იქნა გათხრილი ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალებული დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. ინვეტარი შეიცავდა თიხის მრგვალძირიან და მრგვალკედლიან ჯამს, მოწაბლისფრო პაწია სანელსაცხებლის ფორმის ჭურჭელს, თიხის ბიკონუსურ კვირისტავს და ქვის ცულს.

გამოქვაბულში ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენა სამი ჰორიზონტითაა წარმოდგენილი.

ზედა (I) ჰორიზონტის ნაწილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხებითაა ალაგ-ალაგ დაზიანებული. ხელუხლებლად გადარჩენილია ჰორიზონტის ქვედა ნაწილი, რომელიც თიხატკეპნილ იატაკზე დევს. იატაკის შემორჩენილი სიგრძე 3 მეტრია, სიღრმე — 1,65 მ. ზედ გამართულია „საკურთხეველი" კერა (დ. 1 მ), რომელიც 80 სმ-ზეა ამოწეული იატაკის დონიდან. იატაკზე და კერის გარშემო აღმოჩნდა ირმის რქის სახვნელი, რქის გახვრეტილი თოხი, ძვლის სახვრეტები და სადგისები. ბევრია რიყის ქვისა და ქვის სხვადასხვა ჯიშებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სატეხები, სათლელები; კაჟის ორმხრივდამუშავებული ისრისა და შუბისპირები: სამკუთხაყუნწიანი, ფოთლისებურყუნწიანი, ფუძეამოღარული, გვერდებამოღარული და ფხიანი. კაჟის საფხეკები და საჭრისები ერთეული ეგზემპლარებია. ბევრია მერგელისაგან და სერპანტინისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული სამაჯურები — ოვალური, ოთკუთხა, სამკუთხა და მრავალგანივკვეთიანი. არის ზედაპირზე რელიეფურზოლებიანი სამაჯურიც. კერამიკაში, გარდა ტრადიციული ქილის, დერგის, ქოთნის ფორმის ნაწარმოებისა, თავს იჩენს მტკვარარაქსისა და მაიკოპური იერის ჭურჭლები.

II ჰორიზონტი 1,65 მ და 2,5 მ შორის თავსდება. იგი შეიცავს წითლადგამოშწვარ თიხატკეპნილ იატაკს, რომლის შემორჩენილი სიგრძე 5 მ-ია. იატაკი შედგენილია კერამიკული ნატეხებით, რომლებიც ზემოდან მოლესილია თიხით. ქვის იარაღები იგივეა, რაც ზედა ჰორიზონტში. სამაჯურები, ისრისა და შუბისპირები ერთეული ეგზემპლარებია. არის ხელსაფქვავები, შურდულის ქვები, ყუაგახვრეტილი რქის თოხები. კერამიკაში გამოირჩევა ტაფისებური, ქილისებური და ქოთნისებური ჭურჭლები, რომლის ნაწილი ზედაპირმოგლუვებულია. არის მილისებური ყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

ქვედა III ჰორიზონტი (2,5 მ—3,1 მ) ფაჯერებულია ნახშირითა და ნაცრით, დაფიქსირებულია რამდენიმე ორმო-კერა. მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალაში წამყვანი ადგილი ქვისა და კაჟის იარაღსა და წარმოების ნამთებს უჭირავთ. ქვის ინდუსტრიაში აშკარა ნეოლითური ტრადიციები იგრძნობა: კაჟისა და ზოგჯერ ობსიდიანისაგან კეთდება საფხეკები, საჭრისები, ოვა-

ლურსამუშაოპირიანი მიკროსაფხეკები, თავირიბრეტუშირებული ლამელები, გრავეტის ტიპის ზურგდაბლაგვებული ლამელები. ქვის ნახეხ-ნაპრიალები ცულები და სატეხისებური იარაღები. ბევრია ძვლის სადგისები, ირმის რქის თოხებიც. კერამიკა ერთგვაროვანია და მსხვილკეციანი, უხეში მინარევებით; პირმოყრილი ჯამები, ტაფისებური და ქილისებური ჭურჭლები; ძირები ბრტყელია, ქუსლიანი, ზოგჯერ ზედ ფოთლის ან წნულის ანაბეჭდით.

მასალები ინახება არმაზის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

1 ნ. ბერძენიშვილი, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე". სქ. მეცნ. აკად. „მოამბე", 29. თბ., 1959.

2 ნ. ბერძენიშვილი, გ. ფხაკაძე, გამოქვაბული „საგვარჯილე" (ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენა), თბ., 1976.

დარკვეთი (ტაბ. CLV)

დარკვეთის ეხი მდებარეობს ჭიათურის რაიონში, მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე, კანიონისებური ხეობის კირქვის მასივში; იგი დაზიანდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის დროს. საღლეისოდ ეხის შემორჩენილი სიგრძეა 15 მ, სიგანე—5 მ. აღმოჩენილია ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. გათხრებს აწარმოებდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რაზმი 1968—72 წწ. (ხელმძღვანელი ლ. ნებიერიძე).

გათხრების შედეგად დაფიქსირებული იყო 5 ფენა: ზემოდან პირველი—გვიანენეოლითი-ადრებრინჯაო, II—III—გვიანენეოლითი. ეს ფენა თიბატკეპნილი იატაკით თავდებოდა. ამათ ქვეშ აღმოჩნდა კიდევ IV ფენა — ადრენეოლითი და სულ ქვემოთ — გვიანი ნეოლითი.

ზედა (I) ფენა — ნაცარ-ღორღნარევი (სისქე 9—14 სმ) — შერჩენილია ცენტრალურ ნაწილში, დაზიანებულია და მცირე მასალას შეიცავს. კაჟი ძალზე ცოტაა, ანამტვრევ-ანატკეცებია და წარმოების ნაშთი. სულ სამი იარაღია: საფხეკი, ტირიფის ფოთლის ფორმის შუბისპირი და ორმხრივდამუშავებული შუბისპირის ფრაგმენტი; რიყის ქვის იარაღები არ არის; ოვალური ქვებია დარტყმის კვალით. არის ოთხკუთხა განივკვეთიანი ფიქალის სამაჯური.

კერამიკა ფრაგმენტულია, მოვარდისფრო-მოყვითალო, ზედ „თევზიფხური" ორნამენტით, ხელით ნაძერწია, ამ ფენაში ჩაშვებულია მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხები.

II და III ფენები ძირითადად ერთგვაროვანია, მხოლოდ მეორე ნაკლებ მასალას შეიცავს მესამესთან შედარებით. ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია ცულები და სათლელ-სატეხები (3 ც.), ფიქალის გახეხილ-გაპრიალებული სამაჯურები სამკუთხა და ოთხკუთხა განივკვეთისა; ბევრია კაჟის ორმხრივდამუშა-

ვებული შუბისპირი: ყუნწიანი, ქუსლამოღარული და გვერდამოღარული. არის ოდნავ დაკბილული ნამგლის ჩასართები, კაჟის ტრაპეციები (4 ც.).

კერამიკა ფრაგმენტულია — ტაფის, დერგის, ქილის და ქოთნის ფორმის ჭურჭლებია, ზოგჯერ პირდაჭდეული (3 ც.), გამჭოლი ნახვრეტით, ბეჭეჭებიანი (3), კოპებიანი (3). არის თხელკეციანი წითელპრიალა ფრაგმენტები მაიკოპის იერისა.

მასალა ინახება არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია

ს. ლ. ნებიერიძე — დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978.

ძუძუანა (ტაბ. CLVI)

ძუძუანას მღვიმე მიკვლეულია 1966 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის განყოფილების ექსპედიციის მიერ. მდებარეობს ჭიათურის რაიონში, სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, ნიკრისის ღელის მარჯვენა ნაპირზე, 10—12 მ სიმაღლეზე. იგი კარსტული წარმოშობისაა, ძალზე მშრალია, პირით აღმოსავლეთისკენ. 1968 წელს იწყება სისტემატური გათხრები. მღვიმეში ორი კულტურული ფენა დადასტურდა: ზედა ენეოლითადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ქვედა — ზედა პალეოლითს. რადგან მათ შორის სტერილური შრე არ არსებობს, არის შემთხვევები ზედაფენის მასალების ქვევით მოხვედრისა და პირიქით. მასალა ინტენსიურად წარმოდგენილია მღვიმის წინა ფართობზე; სიღრმეში ფენები გადარეცხილია ალბათ აქ გამდინარე ნაკადულის გამო. მღვიმის იატაკი შესასვლელისაკენაა დახრილი. კერამიკული მასალა ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, მონაცრისფროა ან მონაცრისფრო-ეარდისფერი. არის როგორც მსხვილმარცვლოვანი უხეში ჭურჭლები — ტაფისებური ფორმისა, ასევე შედარებით გლუვზედაპირიანი, ზოგჯერ ანგობიანი ქოთნისა და ქილის ფორმის ნატეხებიც. არის რამდენიმე ფრაგმენტი ტლანქი ტანდასვრეტილი ჭურჭლებისა. წითელპრიალა ნაკეთობებიდან აღსანიშნავია გრძელყელიანი კოლბისებრი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი. თიხის საგნებიდან აღსანიშნავია კვირისტავები და ცხვრის ფიგურის ფრაგმენტი უკანა ფეხებით და კუდის ძირით.

ქვის ინდუსტრია წარმოდგენილია რიყის ქვისა და კაჟის იარაღით; 3680 კაჟიდან 236 იარაღია. რიყის ქვის ნაწარმი—153, აქედან 36 იარაღია. აქვეა კაჟის ნუკლეუსები (სოლისებური, პრიზმული, ამორფული).

ლამელებია ორფერდა და სამფერდა; მიკროლამელები — ზურგდაბლაგვებული და გრავეტის ტიპის.

საფხეკები დამზადებულია უმეტესად ანატკეცებზე, ლამელაზე ნაკეთები ცოტაა.

საჭრისები ანატკეცებისაა, სასაჭრისე ჩამონატეხი არის სწორი, ირიბი და ხიწვიანიც; სახოკებიც ანატკეცზეა დამზადებული. კომბინირებული იარაღი სულ 6 ცალია.

ისრისპირები (12 ც.) სამი ტიპისაა: ყუნწიანი, სწორფუძიანი და ქუსლამოღარული.

რიყის ქვის ცულები; სათლელისებური იარაღები ცალპირალესილი, წახნაგოვანი ზურგით (ტრაპეციის განივკვეთით); სატეხისებური—ცალ მხარეს ბრტყელი, მეორე წახნაგოვანი, ცალპირალესილი, ყუაზე დარტყმის კვალით; შურდულები. ხელსაფქვავის ქვების ფრაგმენტები — ბრტყელი, თაკებაწეული; ფიქალი ქვის სამაჯურები წახნაგოვანი განივკვეთით.

მასალა ინახება ს .ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1 დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, 1966—68, 1970—71, 1972—73, 1974—75. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, III, IV, V, VI, თბ., 1971—78.

თეთრი მღვიმე (ტაბ. CLVII)

თეთრი მღვიმე მდებარეობს სოფ. ხომულაში, წყალტუბოს რაიონში, კურორტის ცენტრიდან 2 კმ, ზღვის დონიდან 100 მ სიმაღლეზე. გათხრებს აწარმოებს არქეოლოგიული კვლევის ცენტრის ექსპედიცია 1974 წლიდან (ხელმძღვ. ა. კალანდაძე, შემდეგ — კ. კალანდაძე). სადღეისოდ დახურული სველი გამოქვაბულია, ადრე საცხოვრებლად ვარგისი ყოფილა. მღვიმის ფართობია 200 კვმ. გათხრებით დადგინდა ორი კულტურული ფენა: ზედა — ენეოლითური, ქვედა — ზედა პალეოლითური. ენეოლითური ფენა ზედა პალეოლითისაგან გამოყოფილია 1,5 მ სისქის კალციტის სტერილური ფენით. ზემოდანაც 5—15 სმ სისქის კალციტის ქერქითაა დაფარული, რაც უზრუნველყოფს მასალების კარგ მდგომარეობას. მღვიმე სამი დარბაზისაგან შედგება, რომლებსაც გამთხრელებმა უწოდეს: საცხოვრებელი (1), სარიტუალო (2) და სამომსახურეო (3). გათხრები უმეტესად პირველ და მეორე დარბაზებში წარმოებს, ფიქსირებულია წითლად გამომწვარი იატაკების ფრაგმენტები, მრგვალი თიხის კერები (დ. 30 სმ). ბევრია ბათქაშები ძელებისა და წნელების ანაბეჭდით; ცულები, სატეხ-სათლელები, სახეხები; ხელსაფქვავები ქვისა; კაჟის საფხეკები, საჭრისები, დანისებური ლამელები, ნუკლეუსები და ანამტვრევ-ანატკეცები. აღმოჩენილია ერთი სეგმენტი, ორმხრივდამუშავებული ისრისა და შუბისპირები. ორი ისრისპირი მიკროლითურია. რქის იარაღი 10 ცალია; ძელი-

საა მახათები, სადგისები და ერთი სატევრისპირა 25 სმ სიგრძისა. ამავე ფენაში ნანახია ლითონის ისრისპირი მოგრძო, ტირიფის ფოთლის ფორმისა.

კერამიკა ორი ტიპითაა წარმოდგენილი: 1. სქელკეციანი უხეშმინარევებიანი, მოგლუვებული ზედაპირით და 2. კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული, ნაპრიალები ზედაპირით. უხვადაა წარმოდგენილი ფაუნისტური მასალები როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველებისა.

მასალები ინახება ექსპედიციის ბაზაზე წყალტუბოში.

ბიბლიოგრაფია

1. К. Каландадзе и др., Итоги работы Цхалтубской экспедиции, ПАИ. Тб., 1974—81.

თეთრამიწა (ტაბ. CLVIII)

თეთრამიწა აღმოაჩინა 1924 წ. ეხარეთმცოდნე ა. ჭაბუკიანმა რიონის მარჯვენა მაღალ ნაპირზე, ქ. ქუთაისის მიდამოებში. 1927—32 წწ. მანვე შეაგროვა აქ მრავალრიცხოვანი კოლექცია, რომელიც შეისწავლა და გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა. მასალის ჭიხედვით ძეგლი მრავალფენიანია და შეიცავს სხვადასხვა პერიოდის მასალებს მუსტიედან ანტიკური ხანის ჩათვლით. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის მასალები წარმოდგენილია კაჟისა და ქვის იარაღებით, ნამზადებით, წარმოების ნარჩენებით. კაჟისაგან უმზადებიათ მძიუერ ანატკეცებსა და ლამისებურ ანატკეცებზე ჩამოყალიბებული საფხეკები ოვალური და ირიბი სამუშაო პირით. ნაკლებია ხაკრისები, სახვრეტები და კომბინირებული იარაღები. გეომეტრიული ფორმები სრულიად უცნობია; ქვისაგან დამზადებულია მაკროლითური იარაღები წერაქვისა და თოხისნაირი, რომელიც მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული. აქვეა ნანახი ე. წ. „სოკი-ადლერის" ტიპის თოხი, რომლის გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი საღლეიზოდ თეთრამიწაა.

ბევრია ხელსაფქვავი (30 ც.). კოლექციაში არის ცალგვერდდაკბილული ნამგლის ჩასართები და დიდი რაოდენობით ისრისპირები (34 ც.); გახეხილ-გაპრიალებული იარაღებიდან აღსანიშნავია სოლისებური ცულები, სათლელები და სატეხები.

საყურადღებო ფაქტია თეთრამიწაზე ქვის სამაჯურების აღმოჩენა.

ნ. ბერძენიშვილი ამ კომპლექსს ნეოლითს აკუთვნებდა და სამაჯურების მისდამი კუთვნილებას ეჭვის ქვეშ აყენებდა. ამ ბოლო ხანებში თეთრამიწაზე დამატებითი გათხრები იყო ჩატარებული, რის შედეგადაც გაირკვა, რომ სხვა-

დასხვა ეპოქის კულტურულ ნაშთებთან ერთად ამ ნასახლარზე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ფენაც უნდა ყოფილიყო.

მასალები ინახება ქუთაისის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ნ. კ ი ლ ა ძ ე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 29, თბ., 1951.

ახალსოფელი

ახალსოფლის ნასახლარი მდებარეობს ქ. ტყიბულთან. იგი დაზიანდა წყალსაცავის მშენებლობის დროს 1984 წ. ამ აღმოჩენის შესახებ ქ. ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა შეატყობინა არქეოლოგიური კვლევის ცენტრს და მივლინებულ იქნა ექსპედიცია გ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით. წყალსაცავის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე შეგროვილ იქნა დიდძალი მასალა. ზოგ ადგილებში in situ შემორჩენილი იყო მოტკეპნილი იატაკები ზედ კერის ნაშთებით, რომლის გარშემო აღმოჩნდა კერამიკული ფრაგმენტები, მომწვანო რქეულასაგან დამზადებული სატეხ-სათლელები. მარჯვენა ნაპირზე შეგროვდა მდიდარი კოლექცია ისრისა და შუბისპირებისა. ისინი სხვადასხვა ზომისაა, ორმხრივდამუშავებული, სწორფუძიანი, ფოთლისებური, რომბისებური, საჰკუთხა ყუნწიანი და სხვ. ბევრია ორმხრივდამუშავებული ნამგლისჩასართები, რომბულგანივკვეთიანი, ოთხკუთხედი, ასევე სამკუთხა ფორმისა. აკრეფილი იყო კერამიკული ფრაგმენტებიც, ძალზე უსახო, მონაცრისფრო-ვარდისფერი ან მურა-მოშავო ფერისა. არც ერთ შემთხვევაში არ ხერხდება ჭურჭლის ფორმისა და პროფილის დადგენა.

მასალები ინახება ქ. ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წ. მუშაობის შედეგები ПАИ, Тб., 1984.

2. ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები თბ., 1986.

ჩიხორი

ჩიხორი მდებარეობს თერჯოლის რაიონში, მდ. ყვირილას მარცხენა შენაკადის მდ. ძუსას მარჯვენა ნაპირზე კონცხისებურ გორაზე. ნასახლარი დაზიანებულია. აქ თავის დროზე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ფენები უნდა ყოფილიყო.

კარგად არის წარმოდგენილი კაჟის იარაღები: ორმხრივდამუშავებული ნაკ-გულისპირები, ზოგი სუსტად დაკბილული; მრავალრიცხოვანი შუბისა და ისრის პირები ფოთლისებურყუნწიანი, სამკუთხა ფორმის ყუნწიანი, სწორფუძიანი, ფუძეამოღარული და სხვ. ანატკეცებზე ნაკეთებია საფხეკები. კერამიკული მასალა ორი ტიპისაა: ერთი — უხეშზედაპირიანი, კირის, ქარსისა და კვარცის მინარევიანი; მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი ჭურჭლები — უყურო და ბრტყელძირიანი. ისინი მღვიმეების მასალებს უკავშირდებიან. მეორე ტიპი, როგორც ჩანს, უკვე ადრებრინჯაოს კომპლექსს ახასიათებს, რადგან ჩამოგავს მტკვარ-არაქსის ტიპის ჭურჭლებს. ჩიხორის ნასახლარზე აღმოჩნდა ლითონის ოთხწახნაგა სადგისი და წელშეზნექილი საკიდი.

ბიბლიოგრაფია

1. Л. Н. Небиеридзе, Работа Терджольской археологической экспедиции, ПАИ, 1981, Тб., 1984.

2 ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986.

გუანდრა (ტაბ. CLIX)

გუანდრის ნასახლარი მდებარეობს ახალ ათონთან, ზღვისპირა ტერასაზე, ზღვის სანაპიროსა და აჯიკაპსარას ბორცვოვან მასივს შორის. ითხრება 1971 წლიდან აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ი. წვინარია).

ნასახლარის საერთო გათხრილი ფართობი 170 მ². დადასტურებულია სამი კულტურული ფენის არსებობა: ზედა—A ფენა სრულიად არეულია ყოველწლიური მიწის სამუშაოებით. Б ფენა განეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანას, В კი — ენეოლითს.

В ფენა ნასახლარის უძველესი ფენაა და დევს პირდაპირ ქვიშნარ გრუნტზე; მომდევნო ფენისაგან გამოყოფილია ვიწრო სტერილური შრით. ნასახლარი წარმოდგენილია მრგვალი ფორმის ძირისკენ შევიწროებული ნახევრადმიწურებით (დიამ. 3,2-დან 5,6-მდე), რომლებსაც მოტკეპნილი იატაკები აქვთ. არქეოლოგიურ მასალას შეადგენს რიყის ქვის იარაღები, კაჟის ანატკეცები და კერამიკა.

რიყის ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია საწაფები, სოლისებური სატეხები, ცალპირლესილი სათლელები, „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, „პიკის“ ტიპის იარაღები. კაჟის მასალა მხოლოდ ანატკეცებითაა წარმოდგენილი. კერამიკა ხელით ნაძერწია—ქვიშის, კალციტის, კვარცისა და შამოტის მინარევით. გამოირჩევა ქილები, ქოთნები, ღრმა ჯამები. შემკულია ჭრილი, ღარული, წერ-

ტილოვანი სახეებით ან მოკლე ნაჭდევებით. გუანდრას B ფენას ენეოლითის დასასრულს აკუთვნებენ.

შემდგომი Б ფენა (78 სმ სისქე) შეიცავს მრგვალი და ოთხკუთხა ფორმის სათავსოებს მოტკეპნილი იატაკებითა და სამეურნეო ორმოებით. არქეოლოგიური მასალები აღმოჩენილი იყო იატაკებზე და კერების ირგვლივ.

რიყის ქვის იარაღები იგივეა, რაც ქვედა ფენისა, მხოლოდ ჩნდება „სოხუმის“ ტიპის თოხიც.

კაჟის იარაღები ქვედა ფენასთან შედარებით უკეთაა წარმოდგენილი, გამოირჩევა საფხეკები, საკრისები და რამდენიმე ტრაპეცია.

კერამიკა აგრძელებს ქვედა ფენის ტრადიციებს — ამ ფენაში დამატებით ჩანს მაღალფეხიანი ხილის ვაზის ფორმები. ყურები არის მარყუჟისებური, წიბოიანი მრგვალი, ბრტყელი განივკვეთით. ორნამენტი მრავალგვარია: რელიეფური, ჭრილი და ნაჭდევი. ხშირია კოპისებური ან უნაგირისებური შვერილები.

გუანდრის ნასახლარი მთლიანად ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებშია მოთავსებული.

მასალა ინახება სოხუმის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში.

ბიბლიოგრაფია

1. И. И. Цвинария, Поселение Гуандра, Тб., 1978.

ფსოუ, გუად-იხუ

ფსოუს ნასახლარი მდებარეობს მდ. ფსოუს შესართავთან, ადლერის ახლოს. ამ ძეგლზე გათხრითი სამუშაოები არ ჩატარებულა, მაგრამ ანაკრეფი მასალის მიხედვით აქ, როგორც ჩანს, ენეოლითური ხანის კულტურული ფენები უნდა ყოფილიყო. რიყის ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, „პიკის“ ტიპის იარაღები, ბადის საწაფები და ხელსაფქვავების ფრაგმენტები.

კერამიკა სუსტად გამომწვარია, ფოროვანი, მუქი ფერისა; ეკუთვნის უყურო, ბრტყელძირა სწორკედლიან ჭურჭლებს, რომელთა ზედაპირი რაღაც დაკბილული იარაღით ან ტოტებითაა მოსწორებული.

გუად-იხუს ნასახლარი მდებარეობს ქ. სოხუმის ჩრდილოეთით, სოხუმისა და ბირკის საზღვარზე. მიკვლეული იყო 1952—53 წწ. მ. ტრაპშის მიერ, დადგინდა ენეოლითური ნასახლარი ფენის არსებობა, რომელიც სრულიად

განადგურებული იყო გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ჩაშვებული სამარხებით.

ბიბლიოგრაფია

I. Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы. Стоянка Воронцовской пещеры. Тр. Абх. Ин-та языка, литературы, истории, 29, Сухуми, 1958.

ოქუმი (ტაბ. CLX)

ოქუმის ფარდული მდებარეობს აფხაზეთის ასსრ გალის რაიონში, მდ. ოქუმის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ღუმურიშიდან 12 კმ-ზე.

ითხრებოდა 1968—70 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ოქუმი კლდოვან ფარდულთა რიცხვს მიეკუთვნება, იგი კარსტული წარმოშობისაა. გამოქვაბულის ფართობია 8×5 კვმ. შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვს. დადგინდა 8 კულტურული ჰორიზონტი ერთთა სიმძლავრით 1,5 მ. ქვედან ჰორიზონტი პალეოლითურ ნიშნებს შეიცავს. ზემოთა — VI და II ფენები შეცემენტებული ბრეკჩიებია, ხოლო მათ შორის მოთავსებულია ჰუმუსოვანი შავი და ნაცრისფერი ნიადაგი, რომელიც ენეოლითური ხანის კულტურულ ნაშთებს შეიცავს. ფენის სიმძლავრეა 15—20 სმ. მიუხედავად იმისა, რომ ფენა თხელია და მასალაც შესაბამისად მცირერიცხოვანი, მისი სტრატიგრაფიული მდებარეობა ორ ბრეკჩიის ფენას შორის ამ მცირე მასალას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მონაპოვარი წარმოდგენილია კერამიკით, ქვისა და კაჟის იარაღ-ანატკეცებით. ძვლისა და რქის იარაღის აღმოჩენის ფაქტი არ ყოფილა.

კერამიკა ხელით ნაძერწია, სუსტად გამოწვარი, შლადი, ოპილი, მურა-მოვარდისფრო ან ლეგა-მონაცრისფრო. გვაქვს ერთფრად გამომწვარი, ასევე ორ და სამფენიანი ფრაგმენტებიც.

გამოირჩევა პირმოყრილი ჯამები, ყელიანი ქოთნები და ქილების ფორმები. ჭურჭელთა უმეტესობა ანგობირებულია და სუსტად ნაპრიალები. შემკულობა იშვიათია და წარმოდგენილია წერტილ-ფოსოებით პირის ქვეშ, ან ამოკაწრული გეომეტრიული ხაზებით მხარზე.

ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია სატეხის ნამზადი და რიყის ქვის საპრიალებელი შუაში ღარით.

კაჟის იარაღებიდან საყურადღებოა მიკროლითები: ორი ტრაპეცია, სეგმენტი, ზურგდაბლაგვებული ლამელა. გარდა ამისა, კომპლექსშია თავსწორი და თავირიბრეტუშირებული ლამელებიც (5 ც.); საფხეკები უპირატესად ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული (12 ც) და რეტუში მრგვალ ნაწილს შემოუყვება.

არის ნუკლეუსზე დამზადებული სახოკიც. ბევრია წარმოების ნაშთები ქერცლისებური ანატკეცების სახით, რაც გვიჩვენებს, რომ იარაღის კეთება ადგილზე ხდებოდა.

პარალელური მასალების საფუძველზე ოქუმის ფარდულის ზემოაღწერილი მასალები ენეოლითის ხანით არის განსაზღვრული.

მასალები ინახება გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Н. З. Бердзенишвили, Г. П. Хубутия. Пещерная палеолитическая стоянка Окуми, I, Сухуми, 1974.
2 გ. ფხაკაძე, ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის". ტ. V, თბ., 1979.

ატარა (ტაბ. CLXI)

ატარის ნასახლარი მდებარეობს აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, ოჩამჩირის რაიონში, სოფ. ატარაში, მთისწინა პირველ ბორცვოვან ზოლში. ითხრება 1976—78 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (რაზმის ხელმძღვ. გ. ფხაკაძე).

ძეგლი წარმოადგენს ნასახლარს, რომელიც ბუნებრივი ბორცვის თხემზეა განლაგებული; ერთფენიანია და კულტურული ნაშთები პირდაპირ კორდოვანი შრის ქვეშ, მონაცრისფრო ჰუმუსოვან თიხნარში გვხვდება. კულტურული ფენის სისქეა 30—45 სმ. გათხრილ იქნა დაახლოებით 100 კვმ ფართობი (თხრილების საერთო ფართობი), მაგრამ სათავსოს კვალის დაჭერა არ მოხერხდა, თუმცა დაფიქსირდა მიწატკეპნილი მოედნები, აქა-იქ ნაცარ-ნახშიროვანი შავი ლაქებით — კერის ნაშთით. მთელ ფართობზე გაბნეული მასალა უმეტესად კერამიკითა და ქვით იყო წარმოდგენილი.

კერამიკა ძალზე ფრაგმენტულია, გამოირჩევა ქილები და ქოთნები ბრტყელქუსლიან ძირზე. ზედაპირზე პარალელური ზოლები ემჩნევა, რაღაც იარაღით მოსწორების კვალი. არის წერტილებით და ფოსოებით შემკული ფრამენტები. ქვის მასალა ძალზე მცირერიცხოვანია. რამდენიმე საფხეკია სიბრტყით გახეთქილი რიყის ქვისა, კაჟის რამდენიმე ლამელა ურეტუშო, გამოყენების კვალით, ხელსაფქვავის ნატეხი და რიყის ქვის სალესი.

მასალა ინახება არმაზის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია

1. М. Б. Барамидзе, Г. Г. Пхакадзе, Археологические разведки в Абхазии. Арх. открытие 1976 г., М., 1977.
2. Г. Г. Пхакадзе, А. З. Орджоникидзе, Археологические раскопки в Атара. Арх. открытия 1977 г. М., 1977.

ჩაქვის ნასახლარი მდებარეობს აჭარის ტერიტორიაზე ზღვიდან 0,5 კმ-ზე, ბორცოვან ზოლში გზის მარცხენა მხარეს, ჩაის პლანტაციისაკენ მიმავალ გზაზე. გზის 3-მეტრიან ჭრილში ერთ-ერთ ბორცზე გამოიხაზა მიწური, რომლის იატაკშიაც ორმო იყო ამოჭრილი—სიღრმით 1,5 მ და დიამეტრით 1,5 მ. თვით მიწური და ორმოც სავსე იყო კულტურული ნაშთებით, რომელთა უმრავლესობას კერამიკა წარმოადგენდა.

კერამიკა სუსტად გამომწვარია, მსხვილმარცვლოვანი უხეში მინარევებით. ჭურჭელში სჭარბობს ქილისებური, ოდნავ გადმოშლილპირიანი ცალები, ბრტყელ ძირზე; შემკულია ძუძუსებრი კოპებით, კონცენტრული წრეებითა და წიწვოვანი ორნამენტებით.

არის დიდი ზომის ფრაგმენტები შავი, ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლებისა; თიხის ნივთებიდან აღსანიშნავი რქისებური სადგარები, კვირისტავები; არის რიყის ქვის იარაღები.

ბიბლიოგრაფია

1. Г. К. Григолия, Г. И. Мирцхулава, Результаты работ разведовательной экспедиции каменного века в Менгрелии. ПАИ. 1974, Тб., 1976.

სამერცხლე-კლდე (ტაბ. CLXII)

სამერცხლე-კლდის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1962 წ. ითხრებოდა 1964 და ნაწილობრივ, 1966 წწ. მუზეუმის არქ. ექსპედიციის მიერ (ხელმძ. დ. თუშაბრამიშვილი). იგი მდებარეობს სოფ. დარკვეთისა და ქვემო ზოდის გამყოფი ქედის ზოლზე, მდ. ჭრუჭულას მარჯვენა ნაპირზე. მისგან 12—13 მ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან 600 მეტრზე). კარსტულ წარმოშობისაა, დახრილია გამოსასვლელისაკენ. დადასტურებულია 7 ფენა: ადრებრინჯაოსი II, III, IV ფენები, რომელთა სიმძლავრე უდრის 1,35 მ. ქვედა ფენები კი ზედაპალეოლითისა და ქვედა პალეოლითის მასალების შემცველია.

გამოქვაბულის შესასვლელის მარცხენა მხარეს აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ბავშვის ორმოსამარხი. ნაწილობრივ დაზიანებული. ჩონჩხი მოკრუნჩხულ მდგომარეობაში ესვენა თავით დასავლეთისაკენ. ახლდა ნახევარსფერული მოყვანილობის წითელპრიალა ორი ქოთანი, ყავისფერი კაჟის ყუნწიანი ისრისპირი, შურდულის ქვა და დიდი ზომის ჭურჭელი.

კერამიკა ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. გამოირჩევა ტაფის, ქოთნისა და ქილისებური ჭურჭლების ნატეხები. ამ ადგილობრივ უხეშ ხქელკეციან ნაკეთობებთან ერთად, რომლებიც პირზე დაჭდევითა და პირქვეშ ნასვრეტებით და მეჭეჭებით ხასიათდება, არის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ფრაგმენტებიც და მაიკოპის იერის კერამიკაც.

თიხის ნაწარმს მიეკუთვნება კვირისტავიც, რომელიც ერთადერთი უორ-ნაპენტო ეგზემპლარითაა წარმოდგენილი.

ნაპოვნი იყო თიხის ყალიბიც ნამზადისათვის და ტიგელი, თუმცა თვით ლითონის ნივთი არ აღმოჩენილა.

სამერცხლე-კლდეში შესანიშნავადაა წარმოდგენილი ქვის ინდუსტრია (ცალი 224 ც.), აქედან 32 იარაღია, ნუკლეუსი 9 ცალი: ორი პრიზმული, დანარჩენი — ამორფული.

ლამელები ცოტაა. არის როგორც ორფერდა, ისე სამფერდა: ორგვერდიმოღარული, ზურგდაბლაგვებული და ცალ მხარეს დაკბილული. საფხეკები უმეტესად ნაკეთებია ანატკეცებზე, სახოკი და საჭრისი თითო ეგზემპლარია.

ბურისპირი 8 ცალია — დამზადებული ანატკეცებზე. ყველა მათგანი ორმხრივდამუშავებულია, ტიპებია სწორფუძიანი, ქუსლამოღარული და ყუნწიანი.

რიყის ქვის იარაღი 20 ცალია. აქედან აღსანიშნავია ნახეხ-ნაპრიალები ცულები, სათლელისებური და სატეხისებური იარაღები, ცალპირლესილი. აქვეა სალესი და ოვალური ფორმის ამულეტი ქვისა, გახვრეტილი, ხელსაფქვავის ფრაგმენტები და ძვლის სადგისები.

მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1 დ. თ უ შ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის შედეგები, თბ., 1962.

2 ვ. ნ ი ო რ ა ძ ე, სამერცხლე კლდის მღვიმე, „მაცნე" № 4, თბ., 1971.

მოწამეთა (ტაბ. CLXIII)

მოწამეთას მღვიმე მდებარეობს ქუთაისიდან საკაჟისაკენ მიმავალ გზაზე, მოწამეთას მოპირდაპირე მთის წვერზე. გამოქვაბული კარსტული წარმოშობისაა; დაბალი, 0,5 მ სიმაღლის შესასვლელი ამოქოლილი იყო ქვის ყორით. მღვიმის ძირითადი კულტურული ფენა ადრებრინჯაოს ხანისაა. ამ ნასახლარში შემდგომ ჩაშვებული იყო გვიანბრინჯაოს ხანის ჭამარხები, რომლებმაც სრულიად დააზიანეს ნასახლარის ფენა. ამ სამარხების ჩაშვების შემდეგ, როგორც ჩანს, მათვე ამოყორეს შესასვლელიც.

ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია: კაჟის ყუნწიანი, ფრთებდაშვებული ისრისპირი; კაჟის საფხეკები ორმხრივდამუშავებული მცოცავი რეტუშით; რიყის ქვისაა სატეხები, ხელსაფქვავები, სალესი და შურდულის ქვები.

კერამიკა ორი ტიპითაა წარმოდგენილი: მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი შავპრიალა და წაბლისფერი პრიალა ჭურჭლებით, რომელთაც ნახევარსფერული ყურები ჰქონდათ, და დასავლეთ საქართველოს უძველე-

სი ნასახლარებისათვის დამახასიათებელი ქილისა და ქოთნის ფორმის ჭურჭლებით, რომლებიც შემკული იყო დაჭდეული რელიეფური ზოლით, დაკენჭილი შვერილებით, მარცვლისებური ნაჭდევებით და სავარცხლის კბილის ანაბეჭდით. ამ კერამიკასთან ერთად არის თხელი, სუფთა თიხის წითლად შეღებილი და კარგად გაპრიალებული ნატეხები მაიკოპური იერისა, რომელსაც თან ახლავს მრგვალი ფორმის ძირები.

მასალები ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

ცუცხვათი (ტაბ. CLXIV)

ს. ცუცხვათის მიდამოებში პროფ. ლ. მარუაშვილმა მიაკვლია მრავალსართულიანი მღვიმეების სისტემას. ექსპედიცია მუშაობდა 1970—71 წწ.

სოფელი ცუცხვათი მდებარეობს შაბათა-ღელის აუზში, ქუთაისიდან დაახლოებით 10—12 კმ აღმოსავლეთით.

„ბრინჯაოს მღვიმე“ ცუცხვათის მღვიმოვანი კომპლექსის მე-5 იარუსია. იგი მშრალია, პირით აღმოსავლეთისაკენ. მეოთხე იარუსზე მდებარეობს მეორე „ბიზონის მღვიმე“, რომლის კერამიკა ქილისა და ფიალისებურია, ბრტყელ ძირზე. ჯამ-ფილები ტლანქად ნაკეთებია, აღსანიშნავია პირის დაჭდევის შემთხვევები და ძირზე ჭილოფის წრიული ანაბეჭდი.

ძირები არის როგორც სწორი, ასევე მომრგვალო. ყურები ბრტყელია და ჰორიზონტალურად დაძერწილი ჭურჭელზე. ხშირია ჭურჭლის შემკობა ჩაღარულ-ამობურცული სახეებით, ჭდეული მარცვლისებური და ჭდეული ფრჩხილისებური ანაბეჭდებით.

თიხისაა კვირისტავებიც, ზედ ამოკაწრული სხივისებური ხაზებით, აქვეა ნაპრიალები თიხის კონუსი.

კაჟი 89 ცალია, აქედან, 11 იარაღი: ნუკლეუსები, ლამელები, საფხეკები და სახოკი.

რიყის ქვისაა ცალპირლესილი ცულები, სატეხები. ნაცრისფერი ქვისაგანაა დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული სამაჯურები — მრგვალ და ოვალურგანივკვეთიანი. ძვლის იარაღებიდან აღმოჩნდა სადგისი, მახათი და სახვრეტი.

„ბიზონის“ მღვიმემ მცირე მასალა მოგვცა სავსებით ანალოგიური „ბრინჯაოს“ მღვიმისა.

მასალები ინახება საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1 დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, ყვირილის და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1970—71 წწ. მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 5—12.

2. Д. Тушабрамишвили, Итоги работ Цуцхватской и Цопской археологической экспедиции за 1976—77 гг.; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები, VI, გვ. 5—12

დაბლაგომი (ტაბ. CLXV, CLXVI)

დაბლაგომის ნასახლარი მდებარეობს სამტრედიის რაიონში, სოფელ დაბლაგომში, „ნაციხვარის" ფერდის ძირას, კონცხზე, 200 მ სიმაღლეზე რიონის დაბლობიდან. პირველი აღმოჩენები მოხდა ჯერ კიდევ 1923 წელს. 1936 წ. გათხრები ჩაატარეს ბ. კუფტინმა და ნ. ხოშტარიამ. აქ დადასტურებულია ანტიკური, გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის ფენებიც.

ნაციხვარის აღმოსავლეთ ფერდობზე ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ფენა აღმოჩნდა, რომლის სისქე 1,5 მ აღწევდა. ნასახლარზე ნაგებობის არავითარი ნაშთი არ აღმოჩენილა; მხოლოდ ერთგან იყო შემორჩენილი თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტი. ნასახლარზე დიდი რაოდენობით ნანახი ბათქაშები, ზედ სარებისა და წნელის ანაბეჭდით, შესაძლოა აქ მოწნულ და თიხით შელესილი ნაგებობების არსებობაზე მიგვითითებდეს. არქეოლოგიური მასალები ქვითა და კერამიკით იყო წარმოდგენილი.

ქვის ნაწარმი დაბლაგომში უმნიშვნელოა. ერთი ფოთლისებური კაჟის ისრისპირია და ერთიც დანისებური ლამელა. მონაპოვრის აბსოლუტური უმრავლესობა კერამიკაა, რომლის ტიპოლოგიური მონაცვლეობის საფუძველზე შეძლო ბ. კუფტინმა დაბლაგომის ნასახლარზე 3 ჰორიზონტის გამოყოფა.

ქვედა ჰორიზონტებში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკაა წარმოდგენილი. ზედა ჰორიზონტში კი, მტკვარ-არაქსის ნაწარმთან ერთად, გვხვდება კოლხეთის დაბლობის უძველესი ნასახლარისათვის (ოჩამჩირე) დამახასიათებელი ჭურჭლები. პარალელური მასალების საფუძველზე დაბლაგომის ნასახლარი ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით არის განსაზღვრული.

მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.
2. გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978.

არგვეთი (ტაბ. CLXVII—CLXX)

არგვეთის ნასახლარი მდებარეობს საჩხერის რაიონის სოფ. არგვეთში, მდ. ლაშურას მარცხენა ნაპირზე, ბორცვ „გორაკის" სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერ-

დობზე. ნასახლარი მიკვლეული იქნა საქართველოს სახ. მუზეუმის ექსპედიციის მიერ რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. მანვე დაიწყო გათხრები 1963—64 წწ.

1981 წლიდან ნასახლარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. ფხაკაძე). სადღეისოდ გათხრილია ნასახლარის დაახლოებით 160 კვმ. როგორც ჩანს, ნასახლარის ძირითადი ნაწილი ზედ მდინარესთან მდებარეობდა, რომლის გამუდმებულმა მოქმედებამ ჩამოშალა და ჩამორეცხა კულტურული ფენები, დაგვიტოვა მხოლოდ ნასახლარის ვიწრო ზოლი, რომელიც ფაქტიურად მის პერიფერიულ ნაწილს წარმოადგენს. არგვეთის დასახლებაზე დადასტურდა სხვადასხვა ეპოქის მასალები: ელინისტური და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, რომელთაც ზოგან ნასახლარის ძირითადი — ადრებრინჯაოს ფენა დაუზიანებიათ. ადრებრინჯაოს კულტურული ფენის სისქეა 1,50—1,70 მ. ეს ფენა ორი სამშენებლო ჰორიზონტითაა წარმოდგენილი და შეიცავს ქვის წყობების ნაშთებს როგორც მრგვალს, ისე ოთხკუთხა მოყვანილობისას. მთლიანი სათავსოს აღმოჩენა არ მოხერხდა. ნაგებობათა საძირკვლები ამოყვანილია დიდი ქვების ერთმაგი წყობით ან შედარებით მომცრო ქვები ორმაგი წყობით. იატაკები წითელია, თიხატკეპნილი ნაცრისა და ნახშირის უხვი მინარევით. იატაკი ჩვეულებრივ ორი ფენისაგან შედგება — ქვედა ნახშიროვანი სქელი ფენაა, რომელიც ზემოდან სუფთა თიხითაა მოლესილი. იატაკის სისქე 10—12 სმ. იატაკზე დაფიქსირებული იქნა პატარა ორმოები, რომლებიც ქვებით იყო გარშემორტყმული; როგორც ჩანს, ნაგებობის დამჭერი ძელებისათვის. ჩვეულებრივ ეს ორმოები ამოვსებული იყო ხის ნახშირით. ორ შემთხვევაში დადასტურებულ იქნა წაქცეული დანახშირებული ძელებიც.

ქვედა ჰორიზონტი პირდაპირ უძველეს გრუნტზე დევს (სიღრმე 2,15 მ) და წარმოდგენილია ქვის წყობის ნაშთებით, თიხატკეპნილი იატაკითა და ნაცროვანი ორმოებით და კერებით. ერთ ნაგებობაში (№ 2) ნანახი იყო ალიზის ცალშვერილიანი კერა 80 სმ. დიამეტრისა: ხოლო (№ 1) სათავსოში სამშვერილიანი კერა — მტკვარარაქსული ტიპისა; კერის გარშემო ეწყო ირმის რქის სახვნელი, კაჟის ყუნწიანი ისრისპირი, მომწვანო სატეხი და მტკვარარაქსული კერამიკა, ცხოველთა ძვლები. სათავსოებს შორის ფართობებზე მასალა არ გვხვდება. როგორც ჩანს, ესენი ეზოებია ან თავისუფალი მოედნები.

ზედა სამშენებლო ჰორიზონტი მდებარეობს 60 სმ. სიღრმეზე და გრძელდება 1,40 მ. ასევე წარმოადგენს ქვის საძირკველზე აგებულ შენობათა ნამთებს, უფრო ოთხკუთხა მოხაზულობისა, წითელი თიხატკეპნილი იატაკებით; მთელი ჰორიზონტი გაჯერებულია ნაცრითა და ნახშირით. თიხატკეპნილი იატაკი კედლებზეც გადადის. კედლის წყობებში ხშირადაა გამოყენებული ხელსაფქვავის ქვები. კედლის სწორხაზოვან საძირკველის ნაშთთან გაიწმინდა ოთხკუთხა მოედანი ქვით მოკირწყლული, რომელზედაც ჩამსხვრეული იყო მტკვარ-

არაქსული, ვარდისფერსართულიანი პითოსის, გვერდწიბოიანი ჯამისა და წაბლისფერი პრიალა ქოთნის ნამტვრევები, მხარზე ამოღარული გეომეტრიული სახეებით.

ზედა დონეზე, გარდა მტკვარარაქსული კერამიკისა, გვხვდება კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარებისათვის (ოჩამჩირე) დამახასიათებელი თიხის ნაწარმი: მურა-მოშავო. და მონაცრისფრო დერგები, ქილები და ქოთნები შემკული ქიმისებური შვერილებით და მოგრძო ლენტისებური ყურებით.

პარალელური მასალის საფუძველზე არგვეთის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები III ათწ. პირველ ნახევარს განეკუთვნება C^{14}, რომელიც მიღებულ იქნა ზედა ჰორიზონტისთვის TB 416 2340±60.

ბიბლიოგრაფია

1 გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I, თბ., 1978.

2. Г. Г. Пхакадзе, Археологические работы в Сачхере, 1981—83. А. О. М., 1983.

3. Г. Г. Пхакадзе. Результаты работы Сачхерской арх. экспедиции, ПАИ 1983 г., Тб., 1986.

4. Г. Г. Пхакадзе. К изучению памятников Рион-Квирильского бассейна (IV — серед. III тысяч. до н. э.). СА, № 2, М., 1988.

საჩხერე (ტაბ. CLXXI—CLXXIII)

საჩხერის ყორღანული სამაროვანი მდებარეობს საჩხერის რაიონში, მღ. ყვირილას ზემო წელზე. 1909 წ. საჩხერეში შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძის ცული. ამ ადგილას 1910 წ. მცირე გათხრები ჩაატარა გ. თაყაიშვილმა, გათხარა ქვაყრილიანი ყორღანი. ამის შემდეგ აქ გათხრებს აწარმოებენ ბ. კუფტინი, შემდეგ ო. ჯაფარიძე.

დღეისათვის საჩხერის რაიონიდან ცნობილია სამი პუნქტი:—ნაჩერქეზევი და ცარცის გორა თვით საჩხერეში და პასიეთი სოფელ ქორეთში.

ადგილი ნაჩერქეზევი საჩხერის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. 1939 წ. ბ. კუფტინმა გათხარა 10 სამარხი, 1951 წ., სამარშრუტო ექსპედიციის დროს, კიდევ—16. 1955 წ. ამავე ტერიტორიაზე აწარმოებდა სამუშაოებს ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიცია ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ნაჩერქეზევი წარმოადგენს დაბალ, ფართო ხელოვნურ ბორცვს, მთელ ფართობზე ქვაყრილით. ყრილის ქვედა ნაწილი მოზრდილი ქვებისაგან შედგება, ზედა კი წვრილი ქვისაგან. ქვაყრილში მრავლად ჩნდებოდა კერამიკის ფრაგმენტები, ადამიანის ძვლები და სხვადასხვა ნივთები. სამარხები, ჩვეულებრივ, ძლიერ დაზიანებულია. მიცვალებულები დასაფლავებული ყოფილან თვით

ქვაყრილში სხვადასხვა დონეზე, ზოგჯერ ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს. თან ახლდათ კერამიკული დერგები, ლითონის ქინძისთავები, სასაფეთქლე რგოლები, ქვის სამაჯური, სარდიონის საკიდი. მთავარი სამარხი მოთავსებული იყო ბორცვის ძირზე ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოში. აქ ესვენა ერთი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ხელფეხმოკეცვით. სამარხში აღმოჩნდა 9 თიხის ჭურჭელი, სატევრის პირი, ბრინჯაოს მრგვალი საკიდი და ვერცხლის რგოლი.

ცარცის გორა საჩხერის აღმოსავლეთით მდებარეობს. გათხრებს აწარმოებდა ბ. კუფტინი 1945—46 წწ. სამწუხაროდ, მასალა მთლიანად გამოქვეყნებული არ არის და კომპლექსების მკვეთრი გამიჯვნა ძნელდება. 1955 წ. უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქაც ჩაატარა მცირე გათხრები.

ცარცის გორა ბუნებრივი ბორცვია, რომლის თავზეც აღმართულია ქვაყრილიანი ყორღანული სამარხი. ისე, როგორც ნაჩერქეზევზე, ძირითადი სამარხები (აქ ორი იყო) ყრილის ძირში მდებარეობდა სპეციალურად ამოჭრილ ორმოში. ძვლების ცუდი დაცულობის მიუხედავად დგინდება, რომ მიცვალებულები უპირატესად მარჯვენა გვერდზე იწვნენ თავით ჩრდილოეთით ან სამხრეთით. ქვის ყრილში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა სამარხები. ცარცის გორაზე მოპოვებული მასალებიდან აღსანიშნავია სპილენძის ცულები — უყამილიანი და უყადაქანებული, სპილენძის T-სებური ქინძისთავი, სპილენძის სატევრისპირები (ერთი ჩამოსხმული ტართან ერთად), სპილენძის ხიშტი ოთხწახნაგა, ქინძისთავი მარყუჟისებური თავით; კერამიკა უპირატესად შავია, ვარდისფერსარჩულიანი, ორნამენტი — რელიეფური ან ამოღარული.

სოფელ ქორეთში ბ. კუფტინმა დაიწყო გათხრები 1945—46 წწ. 1955 წ. უნივესტიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ო. ჯაფარიძე) პასიეთში შეისწავლა ყორღანები. ყველა მათგანი ქვაყრილიანი იყო და მასში სამარხები სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია სპილენძის ცულები, სატევრისპირები, ქინძისთავები, მარყუჟისებურთავიანი, T-სებური, ვოლუტებიანი, გრძელი სპილენძის საკიდები ჯვრის, ღუზის, მრგვალი ფორმების.

კერამიკა შავპრიალა, ვარდისფერ სარჩულზე ან მოწითალო და მურა-მოყვითალო. შემკულია ამოღარული ტეხილხაზოვანი ორნამენტით და რელიეფური სპირალებით.

ქვის იარაღები სუსტადაა წარმოდგენილი: ერთი ქვის გახვრეტილი ცულითა და ორი ქუსლამოღარული ისრისა თუ შუბისპირით. არის რბილი ჯიშის ქვის სამაჯურები და სარდიონის მძივებიც.

საჩხერეში აღმოჩენილი ლითონის ნივთების რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობს დანარჩენ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილ ლითონს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სპილენძის უყამილიანი, უყადაქანებული ცულები (ასეთი ცულები კავკასიის ტერიტორიაზე საკმაოდ ადრინდელი დროიდან გვხვდება), ბრტყელი ცული, უყუნწიანი სატევრები, რომლებიც ჭედვითაა დამზადებული, არის უყუნწო ნახვრეტიანი სატევრებიც. განსაკუთრებით აღსა-

ნიშნავია ლითონისტარიანი სატევრები, რომლებიც მოდელის დაკარგვის წესით არიან ჩამოსხმულნი.

იარაღებიდან აღსანიშნავია ოთხწახნაგა ხიშტი, კავკასიისათვის უნიკალური, რომლის პარალელი მხოლოდ წინა აზიაში მოიპოვება, და ფოთლისებურ-პირიანი ღეროვანი შუბისპირი კარგად გამოსახული შუაქედით, ასევე დაკავშირებული წინა აზიასთან. აქვეა სპილენძის საკრისი და სატეხი.

მრავალგვარობით გამოირჩევა ლითონის სამკაულებიც. ბევრია T-სებური ქინძისთავები, მარყუჟისებურთავიანი, ვოლუტიანი, „ცხვრის რქისებური“, თაკვია და სხვ. ბევრია სხვადასხვა ფორმის საკიდი: მრგვალი, ღუზისებური, ბაკონუსურთავიანი ჯვრისებური და სხვა. აქვეა სასაფეთქლე რგოლები, სპირალური სამაჯურები და სხვ.

საჩხერის ლითონის ნივთები დამზადებულია მაღალდარიშხანიანი (8%) სპილენძისაგან, რომლის რაოდენობაც მერყეობს ნივთის დანიშნულების შესაბამისად. ზოგს ანთიმანიც ურევია (3%), განსაკუთრებით საჩხერულ ნივთებს. ქორეთის ნივთებში მხოლოდ ანთიმონის კვალი შეინიშნება.

საჩხერის ძეგლები ქრონოლოგიურად დროის დიდ მონაკვეთს მოიცავენ. საწყისი ეტაპი სადღაც 2400—2200 წწ. ძვ. წ. განსაზღვრული, მომდევნო — 2200—1900 ძვ. წ., ხოლო ბოლო ეტაპი — 1900—1800 ძვ. წ.

მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в Юго Осетию и Имеретию, 1945, Тб., 1949.

2 ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

ვორონცოვის მღვიმეები (ტაბ. CLXXIV)

ვორონცოვის გამოქვაბული მდებარეობს მდ. კუდეფსტას სათავეში, ადლერის რაიონში, ზღვიდან 22 კმ მანძილზე. გამოქვაბულში ორი სართულია: ქვედა — უფრო ძველი, ზედა — ახალი. ითხრებოდა 1953—54 წწ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ ლ. სოლოვიოვის ხელმძღვანელობით.

ფარდულში „ოჩაჟნი“ ქვედა მწკრივში მდებარეობს. მასალის უმრავლესობა კაჟია: ლამელები, წვეტანები, სახვრეტები, ლამელა-საფხეკები, შუბისა და ისრისპირები: სამკუთხა ყუნწიანი, სწორფუძიანი, რომბისებური; რიყის ქვის ნაწარმი მოკოდვითაა ნაკეთები. მათგან აღსანიშნავია: მიწის დასამუშავებელი წვერწამახული იარაღები, ე. წ. „პიკის“ ტიპის სოლისებური, ასიმეტრიული ცულები, სატეხები, საკრელები, კვირისტავები, სამაჯურები.

კერამიკა ხელით ნაძერწია, მურა-ნაცრისფერი ან მურა-მოშავო, მრგვალძირიანი; აღდგენილ იქნა ორი ჭურჭელი: დიდი ზომის ყელგამოუყოფელი დერგი და საშუალო ზომის ქოთანი ბირთვისებური ტანით და ძაბრისებური ყელით, პირის ქვეშ მრგვალი და სამკუთხა ფოსოებით. „ოჩაჟნის“ ზედა ფენაში ოქროს სპირალისებური საკიდიცაა ნაპოვნი.

ზედა სართულში ორი ფარდული მდებარეობს — „კოდოკოლნი“ და „ზალოჟნი“. ორივე მათგანი გვიანია „ოჩაჟნი“ მღვიმეზე. აქ კაჟის იარაღი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი და უპირატესად საფხეკებია. არის ერთი ასიმეტრიული ყუნწიანი ისრისპირიც სამერცხლე-კლდის ფორმისა. რიყის ქვისაა სატეხი და ცული. ძვლისაა ნემსები, სახვრეტები და საპრიალებლები.

ჭურჭელი მრგვალძირიანია, მაგრამ გვხვდება ბრტყელძირიანიც, ჩნდება ყელიანი ქოთნები ყურებით ყელსა და მხარზე. ორნამენტი რელიეფური სარტყელია მხრის გარშემო ან ე. წ. „მარგალიტოვანი“ ამობურცული კოპები. აქვეა შესანიშნავი წითელი და შავპრიალა კერამიკა, ე. წ. „იმპორტი“ და სპილენძის დანისა თუ სამართებლის პირი — ორმხრივლესილი, ძირმომრგვალებული. დათარიღებულია 2300—2100 წ. ძვ. წ.

ბიბლიოგრაფია

1. Л. Н. Соловьев, Новый памятник культур. связей Кавказского Причерноморья в эпохи энеолита и бронзы — стоянки Воронцовской пещеры. Труды Абхазского института, XXIX, Сухуми, 1958.

ოჩამჩირე (ტაბ. CLXXV—CLXXVI).

ოჩამჩირის ნასახლარი მდებარეობს ქ. ოჩამჩირის ჩრდილოეთით 5 კმ მანძილზე, მდ. ჯიჯიმურას ზღვასთან შერთვის ადგილას. მიკვლეულ იქნა 1935—36 წწ. არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ჯერ მ. ივაშჩენკომ და შემდეგ ლ. სოლოვიოვმ. ნასახლარი მდებარეობდა სამი ბორცვიდან ერთ-ერთ, დასავლეთის ბორცვზე (სიმაღლე—6 მ, დ.—70 მ). ჭრილმა აჩვენა ორი კულტურული ფენა. ქვედა მოცისფრო თიხნარში იყო ჩაჭრილი და ზოგან ზღვის დონეზე დაბლა ჩადიოდა. გათხრებით გამოვლენილ იქნა ნასახლარის ნაშთები თიხატკეპნილი იატაკების სახით და დიდძალი ბათქაში ძელის ანაბეჭდებით, რაც აქ მოწნული და თიხით შელესილი ფაცხის ტიპის ნაგებობის არსებობაზე მიუთითებდა.

ქვედა კულტურული ფენის სიღრმე 2 მ. მას თავზე ედო 1—1,40 მ სისქის მოწითალო ორშტენინის ჰორიზონტი—სავსებით სტერილური, ხოლო ზემოთ იყო ანტიკური და ფეოდალური ხანის კულტურული ფენები.

ქვის ინდუსტრია კარგადაა წარმოდგენილი. იარაღები დამზადებულია ატაკეცვის საშუალებით რიყის ქვისა და ბაზალტისაგან. ესენია სათლელები, სატე-

ხები, საჭრეთლები, სახვრეტები, კვირისტავები, ბადის საწაფები, სანაყები. ცულები ფორმათა მრავალგვარობით ხასიათდება: არის სოლისებური, მოგრძო, ოვალური და სხვ. ხელსაფქვავები გრანიტისაა, კაჟის ნაწარმის უმეტესობა დამზდებულია ანატკეცებზე, არის საფხეკები, საჭრისები, ნუკლეუსები, ორგვერდდაკბილული ნამგლის ჩასართები, ისრისა და შუბისპირები, სამკუთხა ყუნწიანი, ყუნწიანი, ფრთებდაშვებული, ასიმეტრიული ფუძეამოღარული და სხვ.

ძვლისაა სადგისები, სახვრეტები; რქისაა ყუაგახვრეტილი თოხი და რაღაც მოგრძო-ოვალური წვერწამახული იარაღი.

კერამიკა ორი ტიპისაა. ძირითადი მასა უხეში სქელკეციანი ჭურჭლებია— მურა-მოვარდისფრო ან მოყავისფრო, დერგის, ჯამის, ქილის, ქოთნის ან ტოლჩის ფორმის, მარყუჟისებური, მოგრძო ან ბრტყელი, შუაში ღარიანი ყურებით. ქოთნებსა და ქილებზე ყურის ნაცვლად ხშირია ჯიბისებური, ქიმისებური, მოგრძო ოვალური და ძუძუსებური კოპები, რომელთა უმეტესობა თითის დადებითაა დაჭდეული. ძირზე ზოგჯერ ქსოვილისა და ჭილოფის ანაბეჭდი ეტყობათ. შემკულია დაკეჭნილი რელიეფური სარტყელით. მეორე ტიპის კერამიკა შავპრიალაა, გეომეტრიული ჭრილი ორნამენტით.

მასალა ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды II. Тб., 1950.
2. Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии — Тр. Абхазского института яз. и истор., вып. XV, Сухуми, 1939.

გუმისთა

გუმისთას ნასახლარი ქ. სოხუმის დასავლეთით, 3 კმ-ზე მდებარეობს. ძეგლი მიაკვლია და მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ლ. სოლოვიოვის ხელმძღვანელობით.

ქვის იარაღების უმრავლესობა გაკეთებულია სიბრტყით გაპობილი რიყის ქვებისაგან, რომლებიც მოკოდვით და ატკეცვითაა დამუშავებული. ასეთია ცულები, სატეხ-სათლელები და სხვ. ბევრია ე. წ. „სოხუმის“ ტიპის თოხები, ბადის საწაფები, შურდულები.

კერამიკა უხეშია, მურა-მოვარდისფრო, წარმოდგენილია ქილებით, ქოთნებით, ჯამებით, მარყუჟისებური ყურით ან სხვადასხვაგვარი შვერილებით.

ნასახლარზევე გაიწმინდა ქვაყრილიანი ყორღანი, რომელიც ოთხი ინდივიდუალური სამარხისაგან შედგებოდა. თითოეული მათგანი ქვის წრით იყო შემოსაზღვრული. ინვენტარს შეადგენდა პატარა ქოთნები, პატარა ზომის რი-

ყის ქვის ცული და ოვალური ფორმის რიყის ქვის გახვრეტილი საკიდი. ეს ნასახლარი მიჩნეულია ოჩამჩირის სანქრონულად. ან ოდნავ მასზე ახალგაზრდად.

70-იან წლებში გუმისთას მახლობლად, აჭანდარაში, მიკვლეული და გათხრილ იქნა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი ფენა (ხელმძღვანელი ვ. ბუანიძ). ნაგებობის არავითარი კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა. მონაპოვარი მასალა ქვითა და კერამიკით არის წარმოდგენილი.

მასალა ინახება სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей..., Тр. Абх. Института ЯЛИ, 29, Сухуми, 1959.

ხაელიაო (ტაბ. CLXXVII)

საელიაოს გორა-ნასახლარი „კურზია" მდებარეობს მარტვილის რაიონში, სოფ. საელიაოში, მდ. აბაშის მარჯვენა ტერასაზე. ბორცვი ხელოვნურია. მისი სიმაღლეა 6 მ, სიგანე — 60 მ.

მიკვლეულ იქნა 1966 წ. აკად. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური სადაზვერვო ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. გ, გრიგოლია), ხოლო არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა 1972—73 წწ. ამავე ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი რაზმი (ხელმძღვ. გ. ფხაკაძე).

ბორცვზე დადასტურდა სამი კულტურული ფენის არსებობა, რომლებიც ერთმანეთისაგან სტერილური თიხნარის ფენით იყვნენ გამოყოფილნი.

I და II კულტურული ფენა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება, ხოლო III კულტურული ფენა ადრებრინჯაოს ნაშთებს შეიცავს, პირდაპირ გრუნტზე მდებარეობს და 1,80 მ სტერილური შრითაა ზედა კულტურული ფენისაგან გამოყოფილი. მასალის უმეტესობას კერამიკა შეადგენს. ივი ხელით ნაძერწია, მორუხო-მოშავო, მურა ან ნაცრისფერი.

მასალაში გამოირჩევა ქილის ფორმის ჭურჭლები — სწორპირიანი, ცილინდრული ტანითა და ბრტყელი ძირით; ჯამის ტიპის პირმოყრილი ჭურჭლები ყურით ან კოპებით. ქოთნები ცილინდრულყელიანია, ოდნავ პირგადმოშლილი. ორნამენტი საკმაოდ ხშირია: ამოკაწრული გეომეტრიული, დაჭდევით მიღებული წიწვისებური სახეები და დაჭდეული ფოსოები, სავარცხლისებრ-ლისებური შტამპი, კოპები.

რიყის ქვისა და კაჟის იარაღებიდან აღსანიშნავია ხელსაფქვავის ქვები, ნახეხ-ნაპრიალები სატეხი, ყუაგახვრეტილი ცული, კაჟის ნამგლის ჩასართები,

სწორფუძიანი და ფუძეამოღარული ისრისა და შუბისპირები, საფხეკები, ლაშელები.

ბიბლიოგრაფია

[1] გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს 1966—68 წწ. დაზვერვები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, თბ., 1973.

[2] გ. ფხაკაძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გეგეჭკორის რაზმის 1972—73 წ. მუშაობის ანგარიში.

დიხა-გუძუბა (ტაბ. CLXXVIII$_1$)

დიხა-გუძუბა მდებარეობს ანაკლიასთან, მდ. ენგურის შესართავში. ბორცვი ხელოვნურია (სიმაღლე—2 მ) და გარემოსაგან ორი კონცენტრული თხრილითაა გამოყოფილი.

ითხრებოდა 1935—36 წწ. (ხელმძღვანელი ა. ჭანტურია). ბორცვის ცენტრალურ ნაწილში გაჭრილმა თხრილმა 4 კულტურული ფენა გამოავლინა.

ქვედა ფენა პირდაპირ მდინარეულ ალუვიუმზე დევს და 70 სმ სიმძლავრისაა. აქ ნაგებობის რაიმე კვალი არ აღმოჩენილა, მაგრამ იგი საკმაოდ იყო დაზიანებული ზედა ფენიდან ჩამოღწეული ხიმინჯებით. არქეოლოგიური მასალა საკმაოდ მწირია. კერამიკა ხელით ნაძერწია, ქარსით გამჭვლეტილი. გამომწვარია ნაცრისფრად და კარგად მოგლუვებული ზედაპირი აქვს. ამ ფენას მიეკუთვნება ბიკონუსური ფორმის ქოთნისა და კოჭის ტიპის თხელკეციანი ჭურჭლები, ოდნავ გამოწეული გვირგვინით, ლენტისებური ყურებით, ბტყელ, ერთ შემთხვევაში, ქუსლამოღარულ ძირზე. შესაძლოა ამავე ფენისა ყოფილიყო ნაცრისფრად გამომწვარი ქოთნის ფრაგმენტი ძაბრისებური ყელით, მრგვალი მუცლითა და სიტულისებური ყურებით. ქვის ინვენტარიდან აღსანიშნავია კაჟის სამკუთხა ფორმის ყუნწიანი ისრისპირი და სეგმენტის ფორმით დაკბილული ნამგლის ჩასართი.

აქვე უპოვნიათ ყალიბი ნამზადისათვის, თიხის ორნამენტირებული ბურთულა და წყვილზოომორფულთავიანი ლითონის ქინძისთავი, რომელთა საფუძველზე ბ. კუფტინი ამ ფენას მოგვიანოდ მიიჩნევდა. სამივე ნივთი დაკარგულია.

ზედა, II ფენა, რომელიც სრულიად განსხვავებული კერამიკული ტიპებითაა წარმოდგენილი—კანელურებიანი და შევრონებიანი ბადიებით, ქსოვილის (ტომრისებრი, მიტკალისებრი და ჭილოფისებრი) ანაბეჭდიანი ძირებით და ჰორიზონტალურად დაძერწილი ყურებით, ბ. კუფტინს ადრებრინჯაოდ მიაჩნდა.

ამ ფენებიდან მიმდინარეობს სანოვაგის დანახშირებული გროვები, რო-

შელშიც გამოირჩევა შემგროვებლობის პროდუქტების: წაბლის, თხილის, რკოს ნაყოფები და პროსოს მარცვლები და კულტურული მარცვლეული: მჭადის ფეტვი (Setaria Italica sap), მაგარა (mosharia Alf), პურის მარცვალი რბილი და უჯრედოვანი, რომელსაც ვ. მენაბდე მიაკუთვნებს „მახას“ ჯიშს (Triticum macha tek et men).

მასალები ინახება ზუგდიდის მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.

მაჭარა (ტაბ. CLXXVIII$_2$)

მაჭარის ნასახლარი მდებარეობს გულრიფშის რაიონში, ზღვისპირა დაბალ ტერასებზე. კულტურული ფენა ვრცელდება 400 მ ნაპირის გასწვრივ. ძეგლი აღმოჩენილ იქნა 1936 წ. ე. შანცერისა და ვ. გრომოვის მიერ. 1964 წ. ძეგლის შესწავლას იწყებს აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (რაზმის უფროსი ვ. ბჟანია). 1973 წლიდან ძეგლს თხრის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ვ. ბჟანია).

ნასახლარზე სტრატიგრაფიულად დადგენილ იქნა 4 კულტურული ფენის არსებობა, რომლის ძირა მე-4 ფენა ენეოლითს განეკუთვნება და ზემოთ მდებარე მე-3 ფენისაგან 0,15—0,2 მ სისქის სტერილური შრითაა გამოყოფილი. კულტურული ფენა მუქი ან ღია ნაცრისფერი ქვიშნარია. მონაპოვარი გვხვდება გროვების სახით, უმეტესად ნაცროვან ლაქებად, რომელთა ირგვლივ რიყის ქვებია შემოწყობილი. ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ნაცროვანი ორმო — ნახევრადმიწური. სხვა ნაგებობის ნაშთი დადასტურებული არ ყოფილა. IV ფენის ქვის ინდუსტრია წარმოდგენილია რამდენიმე კაჟის და უამრავი რიყის ქვის ანატკეცებით. რიყის ქვისგანაა დამზადებული საკრელები, სატეხები, საფხეკები, სამტვრეელები, ხელსაფქვავები. თოხისებური იარაღები გაკეთებულია სიბრტყით ნაპობ რიყის ქვებზე, რომლებსაც სამუშაო მხარე დამატებითი დარტყმებით აქვს წამახვილებული.

კერამიკა ფრაგმენტულია, მურა-მოწითალოდ ან მურა-ყავისფრად გამომწვარი. ურევია მსხვილმარცვლოვანი ქვიშა, დანაყილი გრანიტი, კალციტი; ნაძერწია ხელით. ზედაპირზე ემჩნევა სავარცხლით ან ტოტებით მოსწორების კვალი. ჭურჭლები ფიალისებურია, პირმოყრილი, არის პირგადაშლილი ფრაგმენტებიც, რომლებიც ქოთნის ან ქილის ფორმის ჭურჭელს ეკუთვნის. ორნამენტი არა აქვთ, ხოლო ძირზე ხშირია ფოთლის ან ქსოვილის ანაბეჭდი. კერამიკა თავისი ფორმითა და ტექნიკით, ძირზე სელის ანაბეჭდით ემსგავსება

ოჩამჩირის კერამიკას, თუმცა უფრო უხეშია და მასიურობით გამოირჩევა. ვ. ბჟანია მაჭარის ქვედა ფენას ოჩამჩირის ნასახლარის წინარე პერიოდით ათარიღებს.

მაჭარის ნასახლარის მე-3 ფენაშიც არ აღმოჩენილა ნაგებობის რაიმე ნაშთი. მასალის უმრავლესობა რიყის ქვის იარაღებია, რომლებიც ატკეცვითა და მოკოდვითაა დამუშავებული. იარაღების წამყვანი ტიპებია: ცულები, სატეხ-სათლელები, „პიკის" ტიპის იარაღები, „სოჭი-ადლერისა" და „სოხუმის" ტიპის თოხები. კაჟი უსახო და ამორფულია.

კერამიკა ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი; გამოირჩევა ქოთნების, ჯამების და ქილების ფორმები, არის სამყურა ჭურჭლისა და მაღალფეხიანი სახილე ვაზის აღმოჩენის ფაქტები. ნაწილი ჭურჭლებისა ზედაპირგაპრიალებულია და მდიდრულადაა შემკული სავარცხლისებური ჭდეულებით, ზიგზაგებით, თავისებური, წიწვისებური და გეომეტრიული სახეებით.

პარალელური მასალების საფუძველზე მე-3 ფენა მიჩნეულია ოჩამჩირეზე უფრო გვიანდელად და ძვ. წ. II ათასწლეულის საწყისი საუკუნეებითაა განსაზღვრული.

მასალების ნაწილი სოხუმის მუზეუმში ინახება.

ბიბლიოგრაფია

1. В. В. Бжания, Поселение Мачара эпохи энеолита и ранней бронзы Абхазии, СА, I, М., 1966.
2. В. В. Бжания, Раскопки неолитического Кистрика и многослоенного поселения Мачара, АО М., 1977.

დოლმენები (ტაბ. CLXXIX)

დოლმენები ძირითადად გავრცელებულია თანამედროვე აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე როგორც ზღვისპირა, ისე მთის ზოლში (სოფ. აზანთა, აჭანდარა, ოთხარა, ყულანურხვა, შრომა, დოუ). 1934—37 წწ. გათხრილი და შესწავლილია ბ. კუფტინის, ლ. სოლოვიოვის, ა. ლუკინის მიერ. 1955—56 წწ. ეშერის დოლმენებს თხრიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ეშერაში და საერთოდ მთელ აფხაზეთში დღემდე ცნობილი ყველა დოლმენი დაახლოებით ერთი ტიპისაა. ისინი წარმოადგენენ მეგალითურ სამარხ ნაგებობებს, რომელთაც გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვთ. აგებულია ოთხი ვერტიკულად დადგმული მასიური ბრტყელი ქვისაგან და მეხუთე ქვითაა გადახურული. ზოგ დოლმენს იატაკადაც ქვის ფილა აქვს. წინა კედელში დატანილი ხვრელი, რომელიც ყოველთვის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიქცეული, ქვის საცობით იხურებოდა. გვერდით კედლებზე და იატაკზე გასა-

მაგრებლად ნარიბანდებია ამოკვეთილი. გვერდით კედლები ზოგჯერ საბჯენებით ან დიდი ლოდებითაა შემოწყობილ-გამაგრებული, ზოგიერთი მათგანი კი მიწითაა დაფარული. საინტერესოა სოფ. ოთხარაში გათხრილი დოლმენი, რომელსაც გარშემო ორ რიგად კრომლეხი შემოუყვებოდა, თვით კი სრულიად დაფარული იყო ყორღანული მიწაყრილით.

დოლმენი კოლექტიურ საგვარეულო სამარხს წარმოადგენს. მასში დაკრძალვის ზუსტი წესის დადგენა არ ხერხდება. მიცვალებულთა ძვლები და ნივთები უწესრიგოდაა მიმოფანტული ან კუთხეებში მიყრილი. შესაძლოა, თავდაპირველად მიცვალებულს ასაფლავებდნენ დოლმენის კუთხეში მჯდომარე პოზაში, ხოლო ახალი მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებით პირვანდელი სამარხის განლაგება ირღვეოდა. ბ. კუფტინის აზრით, დოლმენები გამოიყენებოდა მეორადი დაკრძალვისათვის და ძვლები წინა კედელში დატანებული ხვრელით შეჰქონდათ.

ზომის მიხედვით დოლმენები 3 ჯგუფად იყოფა: პატარა, საშუალო და მოზრდილი. პატარა დოლმენები (ზომები: 2,25×2 მ, სიმაღლე — 1,20 მ) ტლანქად ნაკეთებია და ყველაზე არქაულ მასალას შეიცავს. ასეთებია 1955—56 წწ. გათხრილი ეშერის I და II დოლმენები. ფორმა-კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესით ისინი არ გამოირჩევიან სხვა სამარხებისაგან. მათი ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლით არის წარმოდგენილი. კერამიკა ხელით ტლანქად ნაძერწია, მოწითალო ან მოშავო ფერის. გამოირჩევა ქოთნები, ქილები, სწორკედლა და მრგვალკედლიან ჯამები, სასმისები. ორნამენტი იშვიათია და წიწვისებური ამოკაწრული სახეებითაა წარმოდგენილი. ჭურჭლები უპირატესად პატარა ზომისაა და ფიქრობენ, რომ სპეციალურად სამარხში ჩასატანებლად იყო დამზადებული. გარდა კერამიკისა, ადრეულ დოლმენებში გვხვდება სპილენძის ბრტყელი, ყუნწიანი ისრისპირი, ოვალური სასაფეთქლე ხვია, სპილენძის დაშლილი სატევრისპირი, ლითონის ფირფიტის ფრაგმენტები, თიხის კვარისტავი და კაჟის ქუსლამოღარული ისრისპირები.

საშუალო დოლმენები უკეთაა ნაგები, სხვა მხრივ კი — ფორმა-კონსტრუქციითა და დამარხვის წესით — პატარა დოლმენებისაგან არ განსხვავდებიან. კერამიკა თავისი ფერით, ფორმებით და ორნამენტით პატარა დოლმენების მასალას იმეორებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მათში ლითონის ნივთები უკვე დიდი რაოდენობით და ნაირგვარობითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპილენძის ყუადაქანებული ცულები, მასრაგახსნილი და მასრაშეკრული კავები, ერთი მათგანი შესანიშნავი წნული ორნამენტით შემკული. ერთი კაჟი სამკაპაა. კავკასიაში გავრცელებული კავებიდან აფხაზეთის დოლმენების ცალები ყველაზე ადრეულია. აქვეა აღმოჩენილი ბრტყელი ფოთლისებური მაღალყელიანი სატევრისპირები, საკინძები და სხვ. ლითონის ინვენტარი დამზადებულია ჩამოსხმით, დარიშხანიანი სპილენძისაგან (5%).

მასალა ინახება სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1 ო. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
2 მისივე, დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, თბ., 1955.

ისპანი (ტაბ. CLXXX$_1$)

ისპანის ნასახლარი მდებარეობს აჭარაში, კურორტ ქობულეთთან, ისპანის ტორფნარ მასივში. მიკვლეულ იქნა 1964 წ. გათხრებს 1972—74 წწ. აწარმოებდა ბათუმის საკვლევი ინსტიტუტის ექსპედიცია (ხელმძღვანელი ა. ინაიშვილი).

ნასახლარზე შემდეგი სტრატიგრაფიული ჭრილი დადგინდა: ამონაყარი, ტორფნარი ფენა 1 მ სისქისა, თიხნარი ფენა 30 სმ და სილნარი ფენა 1,45 მ სიმძლავრისა. კულტურულ ნაშთებს მხოლოდ ეს ორი უკანასკნელი შეიცავდა.

გათხრების დროს დაფიქსირდა ნაგებობათა ნაშთებიც. სილნარის დონის ნაგებობა ძელური ყოფილა, თიხნარისა კი ხიმინჯებიანი. ორივე მათგანი ხით მოგებულ ბაქნებზე მდგარა.

სილნარ ფენაში მოპოვებული მასალის უმრავლესობა კერამიკაა; იგი უხეშია, ხელით ნაძერწი, ქვიშა-ქარსნარევი. ფორმების მიხედვით გამოირჩევა: ქოთნები, ქილები, ჯამები, დერგები, სწორკედლიანი ჭურჭლები; ძირები ბრტყელია, მრგვალი ან შეზნექილი. ყურები მოგრძო ლენტისებური. შემკულია ღარებით, რომელიც სველ თიხაზეა გაკეთებული, და უსისტემოდაა განლაგებული ჭურჭლის ნებისმიერ ნაწილზე.

ზედა თიხნარ ფენაში ხშირდება მოყავისფრო და მურა-მოშავო ნაკეთობები: მეტად პირგადმოწლილი დერგები და ქილები, რომელთაც არა მარტო ღარები ამკობთ, არამედ რელიეფური სარტყლებიც, რომლებიც ხშირად დაჭდეული ან დაკეჭნილია. არის სოლისებური ნაჭრევებიც და ფოსოები. ამ ტიპთან ერთად თავს იჩენს შავპრიალა, მუქსარჩულიანი კერამიკა, რომელიც განსხვავებული ფორმებითაც ხასიათდება: დაწახნაგებული გვირგვინით, ცილინდრული ყელით, წიბურიანი მხრით და სხვ. ამ რიგის ჭურჭლებზე ჭრილი გეომეტრიული ორნამენტით გვხვდება.

ისპანის ნასახლარზე კარგადაა წარმოდგენილი ქვის ინდუსტრიაც: ცულები, ხელსაფქვავები, როდინები, საბეგველები, ფილთაქვები, შურდულის ქვები, ბადის საწაფები და სხვ. კაეიდან აღსანიშნავია ისრისპირები, ნამგლის ჩასართები და წარმოების ნაშთები კაეის ანამტვრევ-ანატკეცების სახით.

ნასახლარზე დადასტურებული იყო კერის ნაშთებიც, რომლის ნაცარშიაც გამოირჩა წაბლის, რკოს, წიწიბოსა და თხილის ნარჩენებიც.

ისპანიდან ცნობილია ყუამილიანი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და ხის მოდელი ამავე ტიპის ცულისა, მეტალურგიული ქურის საქშენი (ეს უკანასკნელი ამონაყარში იყო), თიხისაგან ნაკეთები ადამიანის სკულპტურული გამოსახულება და სხვ.

ეს ძეგლი თავიდანვე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით იყო განსაზღვრული, რაც შემდეგში C^{14} იქნა შემაგრებული TB 8 2455±50 ძვ. წ., TB 233 2500±50 ძვ. წ. და სხვ.

მასალები ინახება ბათუმის საკვლევი ინსტიტუტის ფონდებში.

ბიბლიოგრაფია

1 ა. ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წ. მუშაობის შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები VI. თბ., 1977.

2 თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, დ. მუსხელიშვილი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბ., 1982.

კოლოტაური (ტაბ. CLXXX$_{2, 3}$).

სოფ. კოლოტაური აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს (ქედის რაიონში). აქ საგზაო სამუშაოების დროს დაზიანდა ქვის ფილებით ნაგები სამარხი, რომლის ინვენტარიდან მხოლოდ ორი ჭურჭელი შემორჩა.

ქილა — ღიავარდისფრად გამომწვარი, კარგად ნაპრიალები; ხასიათდება გადმოშლილი გვირგვინით, ძალზე მაღალი, თითქმის ცილისებური ყელით, რომელიც თანდათან ფართოვდება და გადადის ბირთვისებურ მუცელზე; ძირი ბრტყელი აქვს; კორპუსს გარშემო შემოუყვება კოპები.

კოჭობი — ანალოგიურად პირგადმოშლილი, მოგრძო ყელი ქვევითკენ ფართოვდება და გადადის ოდნავგადმობერილ კორპუსზე. აქვს ვიწრო, ბრტყელი ძირი; გამომწვარი მურა-მოყავისფრო, ნაპრიალებია. ერთი ყური მოთავსებული აქვს ყელსა და კორპუსზე.

ჭურჭლები ინახება ბათუმის სახ. მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1 ა. კახიძე, „საბჭოთა აჭარა" № 265.

ფიჩორი (ტაბ. CLXXXI)

ფიჩორის გორანასახლარი მდებარეობს ვალის რაიონში, სოფ. ფიჩორის ტერიტორიაზე, ზღვის დაბალ ტერასაზე, მისგან დახლოებით 400 მ-ზე. აღნ-

შნულ ტერიტორიაზე ბორცვების მთელი სისტემა შეინიშნება. ძეგლი მიკვლეული იყო 1980 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი მ. ბარამიძე). 1981 წ. დაიწყო სისტემატიური არქეოლოგიური სამუშაოები, რომელთა შედეგადაც ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე (დ. 60 მ, სიმაღლე 4,5 მ) გამოვლენილ იქნა აღრებრინჯაოს ორი კულტურული ფენა: მე-7 და მე-8.

ეს ფენები ერთმანეთისაგან ზოგან 40—50 სმ სისქის თიხის თითქმის სტერილური ფენით არიან გამოყოფილი, ზოგან მათი გამიჯვნა ჭირს.

მე-8 ფენაში წრიული და ოთხკუთხედი მოყვანილობის ნაკაო-ნაშიროვანი ლაქები გაიწმინდა, გამოვლინდა ძელებისა და ბოძების ნაშთები, ძელის ბუდეები და ბათქაშები. იატაკი კენჭების ფენაზე იყო მოლესილი.

ქვედა ფენაში შემორჩენილი იყო ხიმინჯებიანი, ხისბაქნიანი სათავსოების ნაშთები, ბოძები ბუდეებში თიხით იყო ჩალესილი. იატაკის დონეზე გაიწმინდა რიყის ქვებისაგან შეკრული წრე, რომელზედაც ეწყო ირმის რქის ძირი, ოთხმხრივი ყალიბი სხვადასხვა ნივთებისათვის, დიდი რაოდენობით დანახშიბული მარცვლეული, ცულისა და თოხის ყალიბები, ხის სახნისი, მთელ ფართობზე გაფანტული იყო ხის ნაშთები, კერამიკა, ქვის იარაღები. სათავსო საკულტოდ იყო მიჩნეული.

ორივე ფენის მასალები სავსებით ერთგვაროვანია. კერამიკა ორი ტიპითაა წარმოდგენილი: ადგილობრივი მურა-მოვარდისფრო და მურა-მოშავო ჭურჭლები ქილის, დერგის, ჯამის ფორმისა, შემკულია შვერილებით, კოპებით, ჯიბისებური დანაძერწებით. ზოგჯერ კორპუსზე რელიეფური სარტყელი შემოუყვება დაჭდეული თითით ან მოკლე ღარებით. ყურები მოგრძო ლენტისებურია, ძირებზე ქსოვილის ანაბეჭდები გვხვდება.

მეორე ტიპის კერამიკა თხელკეციანია, შავი ან მუქი ყავისფერი, პრიალა; უფრო ქოთნისა და კოჭების ფორმების, ცილინდრული ყელით, გადაშლილი პირით და კარგად პროფილირებული ყურებით, ჭრილი გეომეტრიული ორნამენტით.

მე-8 ფენის ქვედა დონიდან აღებულმა სინჯებმა C^{14} აჩვენეს TB 460 2295±60 ძვ. წ., მე-7 ფენამ TB 459 1965±60 ძვ. წ.

მასალა ინახება ახალი ათონის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია

1. **М. Барамидзе, Т. Чигошвили, Л. Джибладзе, Г. Пхакадзе и др.,** Археологические исследования в с. Пичори, ПАИ, Тб., 1981—85.

ტაბულების აღწერილობა

I ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები და მათი გეგმა.
II შულავერის გორა. გათხრილი ფართობის გენგეგმა და ჭრილები.
III შულავერის გორა. 1970 წელს გათხრილი ფართობის გეგმა.
IV შულავერის გორა. გათხრილი ფართობის საერთო ხედი დასავლეთიდან.
V შულავერის გორა. №№ 1, 10, 7, 8, 20, 21 შენობის ხედი ჩრდილოეთიდან.
VI 1. შულავერის გორის კერამიკა სხვადასხვა ჰორიზონტიდან.
2. შულავერის გორა. IX—IV ჰორიზონტი, შულავერის კულტურის I საფეხური.
VII შულავერის გორა. ძვლისა და რქის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტიდან.
VIII შულავერის გორა. ძვლის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტიდან.
IX იმირის გორა. 1. გენგეგმა და ჭრილი.
2. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
X იმირის გორა, აღმოსავლეთი სექტორის გენგეგმა და ჭრილები.
XI იმირის გორა. №№ 8, 9, 10 შენობის გეგმა და ჭრილები.
XII იმირის გორა. №№ 8, 10 შენობის ხედი ჩრდილოეთიდან.
XIII იმირის გორა. 1. I—IV ჰორიზონტის კერამიკა.
2. V ჰორიზონტის კერამიკა.
XIV იმირის გორის კერამიკა. 1. V ჰორიზონტი, 2. არასტრატიფიცირებული დონეები.
XV იმირის გორის კერამიკა სხვადასხვა ჰორიზონტიდან.
XVI იმირის გორა. ძვლისა და რქის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტებიდან.
XVII იმირის გორა. ქვის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტებიდან.
XVIII იმირის გორა. ქვის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტებიდან.
XIX შულავერის კულტურის II საფეხურის ინვენტარი:
1, 4, 7, 9, 17, 31—45, შულავერის გორის III—1 ჰორიზონტი.
2, 10, 45—47, გადაჭრილი გორა.
3, 5, 6, 11, 16, 18—30, იმირის გორის VII—VI ჰორიზონტი.
XX გადაჭრილი გორის კერამიკა.
XXI ხრამის დიდი გორა. III ჰორიზონტის გეგმა.
XXII ხრამის დიდი გორა.
XXIII ხრამის დიდი გორა. HC კვადრატის ხედი ჩრდ.-აღმ.-დან და აღმ-დან.
XXIV ხრამის დიდი გორა. კერამიკა სხვადასხვა ჰორიზონტებიდან.
XXV ხრამის დიდი გორა. კერამიკა სხვადასხვა ჰორიზონტებიდან.
XXVI ხრამის დიდი გორა. რქისა და ძვლის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტებიდან.
XXVII ხრამის დიდი გორა: 1. ძვლისა და რქის იარაღი.
2. თიხის ანტროპორმორფული ფიგურები
XXVIII არუხლო: 1. ცენტრალური ფართობის გენგეგმა
2. №№ 22, 40 ფართობის გეგმა და ჭრილი.
XXIX არუხლო I. ცენტრალური ფართობის ხედი დასავლეთიდან.
XXX არუხლო I. II-I ჰორიზონტის შენობები.

XXXI არუხლო I: 1. I—II ჰორიზონტის შენობების ხედი დასავლეთიდან.
2. №№ 23 და 24 ნაგებობა.
XXXII არუხლო I. 1. 2. შე-2 ფართობის ნაგებობები.
XXXIII არუხლო 1. 1. ჰორიზონტის კერამიკა.
XXXIV არუხლო I, II ჰორიზონტის კერამიკა.
XXXV არუხლო I. 1. III ჰორიზონტის კერამიკა.
2. № 14 მიწურის ინვენტარი.
XXXVI არუხლო I: 1. II ჰორიზონტის ძვლის, რქისა და ქვის იარაღები.
2. 7 სამარხის ინვენტარი.
2—V—VI ჰორიზონტის ძვლისა და რქის იარაღები.
XXXVII არუხლო I. III ჰორიზონტის რქისა და ძვლის იარაღები.
XXXVIII არუხლო I. I—III ჰორიზონტის ინვენტარი.
XXXIX არუხლო I:1. მოხატული კერამიკა.
2. ქვის ჭურჭელი, III ჰორიზონტი.
XL არუხლო I. თიხის ჭურჭელი, III ჰორიზონტი.
XL არუხლო I. თიხის ჭურჭელი, 1—I ჰორიზონტიდან.
2—IV ჰორიზონტიდან, 3—№ 7 სამარხიდან.
XLI არუხლო I. 1—3. რელიეფური ნაძერწობები თიხის ჭურჭელზე.
4—5. ქვის ქანდაკებები. 6. თიხის ზომორფული ფიგურები.
LII 1. წოფი. ობსიდიანის იარაღები. 2. ჯავახი, ფარდულის ინვენტარი.
XLIII წოფი. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილი.
XLIV სიონი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენის კერამიკა.
XLV სიონი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენის ობსიდიანის იარაღები.
XLVI არუხლო VI, გეგმა და ჭრილები.
XLVII არუხლო VI. ენეოლითური ხანის ფენის კერამიკა.
XLVIII არუხლო VI. ენეოლითური ხანის ფენის კერამიკა.
XLIX არუხლო VI. ენეოლითური ხანის ფენის კერამიკა და ქვის იარაღი.
L არუხლო VI. ენეოლითური ხანის ფენის ობსიდიანის იარაღები.
LI წითელი სოფელი. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილი, ხედი ჩრდილოეთიდან.
LII 1. წოფი. ობსიდიანის იარაღები. 2. ჯავახი, ფარდულის ინვენტარი.
LIII ობსიდიანის იარაღები; წოფი (1—21), არუხლო I (22—25).
LIV ობსიდიანის იარაღები. არუხლო III (1—14) და შულავერის გორა (15—25).
LV ობსიდიანის იარაღები: არუხლო 1,1—8. არუხლო III—9—18, არუხლო III (19).
LVI არუხლო I. ობსიდიანის იარაღები, III ჰორიზონტი.
LII არუხლო I. ობსიდიანის იარაღები., III ჰორიზონტი.
LVIII არუხლო I. III ჰორიზონტი 1—10, IV ჰორიზონტი 1:—16:
LIX არუხლო I. ობსიდიანის იარაღები V—VI ჰორიზონტი.
LXI არუხლო I. ობსიდიანის იარაღები V—VI ჰორიზონტი.
LXII არუხლო I, ქვის იარაღები სხვადასხვა ჰორიზონტიდან.
LXIII—1. სამშვილდის ნასახლარის გეგმა.
2—3. თეთრიწყაროს ქვის გეგმა.
LXIV—1 კოდის ნასახლარის მიწურის გეგმა.
2. ხიზანაანთ გორა
3. ქვაცხელის ერთ-ერთი შენობა.
LXV—სამშვილდის ნასახლარი.
LXVI—არხების ჭრილი ბადანის ნასახლარზე.

LXVII—აკლდამები—1. ამირანის გორა, 2. კიკეთი, 3—4—5. ღრმახევისათვის, 6—7—8. სამშვილდე, 9. კოდა, 10—11. ელარი.

LXVIII—ურმის მოდელი ბადაანის ნასახლარიდან. გრაფიკული რესტავრაცია.

LXIX — თიხის ქანდაკებები ბადაანის ნასახლარიდან.

LXX — ლითონის ინვენტარი ბადაანის ნასახლარიდან.

LXXI—ძვლის ინვენტარი ბადაანის ნასახლარიდან.

LXXII—ისრისწვერები—I. სამშვილდედან, 2. კოდადან, 3. ახილარიდან, 4. თეთრიწყაროდან, 5, გორშევარდენიდან, 6. ხიზანაანთ გორადან, 7. ქვაცხელას ნასახლარიდან, 8. ქვაცხელას სამაროვნიდან. 9. მეადიჯვრიდან.

LXXIII—შუბისპირები—1. ქვემო არანისიდან, 2. ტვლეპიას ქოხის სამაროვნიდან, 3. ცარცისგორიდან, 4. ოსპრისიდან, 5. ახალციხის მუზეუმიდან, 6. მოსკოვის ისტორიული მუზეუმიდან, 7. ცარცისგორიდან, 8. ზაპესიდან, 9—10. სახელმწიფო მუზეუმის კოლექციიდან, 11. ბაგინეთიდან, 12. მესტიის მუზეუმის კოლექციიდან.

LXXIV, I—ცულები და სატეხები, 1. ქვემო სარალიდან, 2—3. საჩხერიდან, 4. ცარცის გორიდან, 5. საჩხერიდან, 6. ბადაანიდან, 7. ახალი ციხეალიდან, 8. ზეკარიდან, 9. თეთრიწყაროდან, 10. საჩხერიდან, 11. ქვემო სარალიდან, 12. ნადარბაზევიდან.

II—სატევრები: 1. ქორეთიდან, 2—4. ნაჩერქეზევიდან, 5. ცარცის გორადან, 6. ამირანის გორადან, 7. თეთრიწყაროს № 2 ყორღანიდან, 8. ცხინვალიდან, 9. ქვაყრილის № 3 სამარხიდან, 10. ნულიდან.

LXXV—ბრინჯაოს ცულები—I: 1. თეთრიწყაროს № 2 ყორღანიდან, 2. დიღებიდან, 2. შულავრიდან, 4. საჩხერიდან, 5. ახალციხის მუზეუმიდან, 6. წინწყაროდან, 7. ზაპესიდან, 8. ქოლბაქებიდან, 9. მეჯვრისხევიდან, 10. იალბუზიდან, 11. ბრადორიდან, 12. მესტიიდან, 13. მეჯვრისხევიდან, 14. მარნეულიდან, 15. ზადანიდან, 16. ნაჩერქეზევიდან, 17. თეთრი წყაროდან, 18. კარალეთიდან, 19. სახ. მუზეუმის კოლექციიდან, 20. შულავრიდან, 21. საჩხერიდან, 22. გუფთიდან, 23—24. ქორეთიდან, 25. ბადაანიდან, 26. ქარელიდან, 27. ცარცის გორიდან. II—1-5. ეშერიდან, 6. ქიულთეფედან, 7. გელენჯიკიდან, 8 სტავროპოლის მუზეუმიდან, 9. 10. აბაძეხსკაიადან, 11. დიენოდან, 12. არარატის ველიდან, 13. ლენინაკანის მუზეუმიდან. 14. ქარაბიდან.

LXXVI—კერამიკა I: 1. სამშვილდის ნასახლარის I ფენიდან, 2. გომარეთიდან, 3. კოდადან. II—სამშვილდის სამაროვნიდან.

LXXVII—კერამიკა—1. თრელიგორებიდან, 2. ღრმახევისთავიდან.

LXXVIII—კერამიკა—1. კიკეთიდან, 2. დიღუბიდან.

LXXIX—კერამიკა ბადაანის ნასახლარიდან.

LXXX—კერამიკა სამშვილდის სამაროვნიდან.

LXXXI—კერამიკა სამშვილდის სამაროვნიდან.

LXXXII—კერამიკა ბადაანის ნასახლარიდან.

LXXXIII—კერამიკა ბადაანის ნასახლარიდან.

LXXXIV—კერამიკა ბადაანის ნასახლარიდან.

LXXXV—კერამიკა ილტოდან. სამარხი № 1, 2, 5.

LXXXVI—კერამიკა ილტოს ნასახლარიდან—III და IV ფენა.

LXXXVII—კერამიკა ალავერდიდან და გრემიდან.

LXXXVIII—კერამიკა სიონიდან.

LXXXIX—ხიზანაანთ გორა. E ფენა.

XC—ხიზანაანთ გორა. D ფენა.

XCI—ხიზანაანთ გორა. C ფენა.

XCII—ხიზანაანთ გორა. C ფენა.

XCIII—ხიზანაანთ გორა. B ფენა.

XCIV—ქვაცხელა. ტოპოგრაფიული გეგმა და სქემატური რეკონსტრუქცია.
XCV—ქვაცხელა. C ფენის შენობათა ნაშთები.
XCVI—ქვაცხელა. C ფენის შენობის ნაშთი და კერა.
XCVII—ქვაცხელა. C და B ფენის შენობათა ნაშთები.
XCVIII—ქვაცხელა. C ფენა.
XCIX—ქვაცხელა. C ფენა.
C—ქვაცხელა. B ფენა.
CI—ქვაცხელა. B ფენა.
CII—1—8. ქულბაქები, 9—10. მეტები, 11. ქვასათალი, 12—14. ძაღინა. 15. ნული.
CIII—ქვ. არანისი (ახალი ციხვალი).
CIV—არქეოლოგიური მასალა ბორჯომის ხეობიდან.
CV—ლითონის იარაღები შიდა ქართლის სხვადასხვა ძეგლიდან.
CVI—ახალციხის ამირანის გორა. ნასახლარის გენგეგმა (II უბანი).
CVII—კერამიკა, ახალციხის ამირანის გორა.
CVIII—კერამიკა. ახალციხის ამირანის გორა.
CIX—კერამიკა. ახალციხის ამირანის გორა.
CX—კერამიკა. ახალციხის ამირანის გორა.
CXI—კერამიკა. ახალციხის ამირანის გორა.
CXII—კერამიკა. ახალციხის ამირანის გორა.
CXIII—ლითონის ნივთები სამცხე-ჯავახეთის ძეგლებიდან.
CXIV—კერამიკა. სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა ძეგლიდან.
CXV—კერამიკა. ს. ფარეხა.
CXVI—კერამიკა. ს. ზველის „რაბათი".
CXVII—კერამიკა: 1. ს. ბალანთა, 2. ს. ზველი.
CXVIII—ს. ჯიგრაშენი, ნასახლარი—დიგაშენი I.
CXIX—კერამიკა, ახალქალაქის ამირანის გორა.
CXX—ქვის იარაღები და კერამიკა ჯავახეთის პლატოს სხვადასხვა ძეგლებიდან.
CXXI—კერამიკა: 1. სოფ. ზველი, 2. ახალციხის ამირანის გორა, 3. სოფ. ბალანთა, 4. სოფ. ზველი, „რაბათი".
CXXII—ქვის იარაღი — სამკაული სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა ძეგლიდან.
CXXIII—1-6. თრიალეთის IV ყორღანი, 7—13. თრიალეთის XI ყორღანი.
CXXIV—1. თრიალეთის XI ყორღანი, 2—5. თრიალეთის XII ყორღანი, 6—9. თრიალეთის XII და XIV ყორღანები.
CXXV 1—5. თრიალეთის XIX ყორღანი, 6—8. თრიალეთის XXII ყორღანი.
CXXVI—1—4. თრიალეთის XXIV ყორღანი, 5; 7, 8. თრიალეთის XXV ყორღანი, 6,9—11. თრიალეთის XXVII ყორღანი.
CXXVII—თრიალეთის XI ყორღანი.
CXXVIII—თრიალეთის XLVI ყორღანი.
CXXIX—თეთრიწყაროს № 2 ყორღანი.
CXXX—თეთრიწყაროს № 2 ყორღანი.
CXXXI—ბედენის № 5 ყორღანი.
CXXXII—ქვემო ქართლის ყორღანები.
CXXXIII—წნორის ჯგუფის I ყორღანი.
CXXXIII—წნორის ჯგუფის I ყორღანი.
CXXXV—წნორის ჯგუფის II ყორღანი.
CXXXVI—1. ბერიკლდეების ყორღანი № 1, 2—9. ბაკურციხის ყორღანი.

CXXXVII—სამგორის ყორღანი (ყოხრას ბორა).
CXXXVIII—მარტყოფის № 1 (1—9) და № 2 (10—14) ყორღანის მასალა.
CXXXIX—მარტყოფის № 2 ყორღანის მასალა.
CXLI—მარტყოფის № 2 ყორღანის მასალა.
CXL—მარტყოფის № 2 ყორღანის მასალა.
CXLI—მარტყოფის № 3 ყორღანი.
CXLII—მარტყოფის № 3 ყორღანში ჩაშვებული სამარხის მასალა.
CXLIII—მარტყოფის № 4 ყორღანი.
CXLIV—CXLVII—მასალა მარტყოფის № 4 ყორღანიდან.
CXLV—CL—ხელთუბნის № 2, № 4 და № 10 ყორღანები.
CLI—სამელე კლდის მასალები ჰორიზონტების მიხედვით (გ. ჯავახიშვილის მიხედვით).
CLII—საგვარჯილეს მასალები ჰორიზონტების მიხედვით.
CLIII—საგვარჯილე: 1. მეორე ჰორიზონტის კერამიკა, 2. მესამე (ქვედა) ჰორიზონტის ჭურჭლების ფრაგმენტები.
CLIV—საგვარჯილე: 1—2. მტკვარარაქსული ჭურჭლების ფრაგმენტები I (ზედა) ჰორიზონტიდან. 3. რქის, ძვლის, კაჟისა და ქვის იარაღები და სამაჯურები საგვარჯილედან.
LCV—დარკვეთის ეხის მასალები ჰორიზონტების მიხედვით (ლ. ნებიერიძის მიხედვით).
CLVI—კერამიკა, ცხოველის ფიგურა, ქვის ცული და სამაჯურების ფრაგმენტები ძეძუანას მღვიმედან.
CLVII—თეთრი მღვიმე: 1-4, 7-8. კაჟის იარაღები, 5. ძვლის ნემსი, 6. ლითონის ისრის პირი, 9. ქვის სატეხები, 10. თიხის კვირისტავები, 11. კერამიკა.
CLX—კაჟისა და ქვის იარაღები და სამაჯურები თეთრამიწიდან.
CLIX—თიხის ჭურჭლები გუანდრას ნასახლარიდან (ი. წვინარიას მიხედვით)
CLX—ოქუმის მღვიმე, 3 ჭრილი და მასალები: კერამიკა, კაჟი.
CLXI—ატარას ნასახლარი, ჭრილი და თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები.
CLXII—თიხის ჭურჭლები სამერცხლე კლდის მღვიმედან.
CLXIII—კერამიკული ფრაგმენტები მოწამეთის მღვიმედან.
CLXIV—კერამიკული მასალა და ძვლის მახათი ბრინჯაოს ხანის მღვიმედან.
CLXV—თიხის ჭურჭლები დაბლაგომის ნასახლარის ქვედა ჰორიზონტიდან (ბ. კუფტინის მიხედვით).
CLXVI—თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები დაბლაგომის ნასახლარის ზედა ჰორიზონტიდან (ბ. კუფტინის მიხედვით).
CLXVII—არგვეთის ნასახლარი: ჭრილი და გეგმა.
CLXVIII—არგვეთის ნასახლარი: კერამიკა და კერის შვერილი ქვედა სამშენებლო ჰორიზონტიდან.
CLXIX—არგვეთის ნასახლარი: კერამიკა ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან.
CLXX—დაბლაგომის და არგვეთის მასალების განლაგება ჰორიზონტების მიხედვით და მათი შედარება ოჩამჩირის კერამიკასთან.
ტაბ. CLXXI. 1. ცარცის ბორა, სამარხი № 1, ინვენტარი (1946 წ.), 2. ნაჩერქეზევი, სამარხი № 10, ინვენტარი (ო. ჯაფარიძის მიხედვით).
CLXXI—1. ნაჩერქეზევი სამარხი, № 2 (1955), ინვენტარი. 2. ქორეთი, სამარხი № 1 (1955) (ო. ჯაფარიძის მიხედვით).
CLXXIII—ლითონის იარაღ-სამკაული ცარცისგორის ყორღანული სამარხებიდან.
CLXXIV—ვორონცოვის მღვიმის მასალები და მაიკოპის ოვრის კერამიკა იმერეთის მღვიმეებიდან.
CLXXV—კერამიკული ფრაგმენტები ოჩამჩირის ნასახლარიდან.
CLXXVI—ოჩამჩირის ნასახლარის მასალები: 1. კერამიკა, 2. კაჟის, ძვლის, რქისა და ქვის ნივთები.

CLXXVII—თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და კაეის იარაღები საელიაოს „კურზიადან".
CLXXVIII—1, თიხის ჭურჭლები დიხაგუძუბა I, ქვედა ფენიდან (ბ. კუფტინის მიხედვით), 2. მაკარის ნასახლარის ზედა (III) ფენის კერამიკის ნიმუშები (ვ. ბეანიას მიხედვით).
CLXXIX—1. ლითონის ნივთები, კაეის ისრისპირი და თიხის ჭურჭლები ეშერის დოლმენებიდან (ო. ჯაფარიძის მიხედვით), 2. დამარხვა დოლმენში.
CLXXX—1. შავპრიალაზედაპირიანი ჭურჭლები ისპანიდან; 2, 3. კოლოტაურის სამარხის ინვენტარი.
CLXXXI—ფიჩორის ნასახლარის მე-8 ფენა: 1. ნასახლარის ფრაგმენტი, 2. ხის სახნისი, 3. თიხის ჭურჭელი, 4. ყალიბები.

შემოკლებათა განმარტება

1. კაე — კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია.
2. სსმაე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები
3. სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
4. АИА — Археологические исследования в Азербайджане.
5. АО — Археологические открытия.
6. ВГМГ — Вестник государственного музея Грузии.
7. ВМГ — Вестник музея Грузии.
8. КАЭ — Кахетская археологическая экспедиция.
9. КСИА — Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии АН СССР.
10. КСИИМК — Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры АН СССР.
11. МИ — Материалы и исследования по археологии СССР.
12. ПАИ — Полевые археологические исследования.
13. СА — Советская археология.
14. ТКАЭ — Труды Кахетской археологической экспедиции.
15. ТРАбх. НИИЯИ — Труды Абхазского научно-исследовательского института языка и истории.


1
2
3
0 40
4
0 50
5
6
0 20


c
1
2
A
B
A.A
B.B


N 29
N 51
N 19
N 26
N 3
N 30
N 24
N 11
N 23
N 16
N 23
BC.85
N 2
N 37
N
N 22
N 28
0 40 100 200

IV




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
0 5

1


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
27
28
29
30
32
33
34
35
36
37
38
40
41
42
43
44
45
46
47
0 5

2

VII



VIII




CSCO - DUNKERQUE




N
M 0 1 2 3 4 м
DC DD
EC ED
DE
EE





1



2

1 2 5

1 2 5








1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24


1


2


3


4


5


6


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0 5
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
30
31
32
33
34
35
36
37
39
40
41
42
43
44
45
46
47


34
33
47
60
46
38
37
17
28
45
19
18
48
27
58
42
41
16
40
57
8
15
35
36
31
22
3
21
5
9
6
30
ЦВ
ЦС
III 3.0-3.4·3.6




0 1 5

1
2
3
4
5
6
7
8
9
0
5


1
2
3
4
5
6
7
0
3
0
6
0
3
0
9


0 2
10


1
2
3
4
5
1
5


1
2
3
4
5
6
7
8
0 1 2 3 4
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
0 5

XXVIII


ᲐᲠᲣᲮᲚᲝ-1
ᲔᲣᲜ. ᲒᲔᲒᲔᲯ
1985
0 2 4


ᲐᲠᲣᲮᲚᲝ-1
ᲔᲣᲜ. ᲒᲔᲒᲔᲯ
1985
ᲭᲠᲝᲜᲘ 1-1
0 2 4






1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
0 1 2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0 1 2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
0 1 2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
0 2 4
0 1 2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
0 1 2

1


1
2
3
4
5
0 1 2
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0 1 2

2



1



2


0 1 2 3 4


2
3
4
7
6
8
0 5
9
0 10
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
0 5
32
33
34





1

2



3

1



2



3



4

5



6


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
0 1 2 3 4

ნოფი

1976 წ


ჭრილი 1-1
1 0 1 2 3 4 5 3
1965 წ.
1969 წ.
1973 წ.
1976 წ.
ჭრილი 2-2
10 5 0 10 20 30 40


0
1
5


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
0 1 5


N
1:50
1
2
3
4


0 2
0 2
0 4




0 4
0 2
0 2






ნიოელი სოფელი
უბანი N 1
N16
N15
N14
N13
N12
N11
N10
N9
N8
N7
N6
N5
N4
N3
N2
N1
ჭრილი 1-1
0 1



1



2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
0
3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
0
3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
0
3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
0
3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
0
4

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0
3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
0
4


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
13
14
0


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14


0 1 4 8 12



1



3



2

1

2



3



1

2

3

4

5

6

7

8

9



10

11











1 : 1


1
2
3
4
5
6
7
8
9


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12

LXXIV LXXV





I



II



1



2



1



2



3:1





24





LXXXV LXXXVI









XCI XCII





XCIII XCIV















XCVIII XCIX






1
2
3
4
5
6
7
8
0 4
9
10
11
0 20
12
13
14
15
0 4





CIII

CIV CV






CVII
CVIII
0 3
0 5





CIX CX


CXI
CXII
0 2
0 3
0 3

CXIII CXIV





CXV CXVI







CXVII CXVIII

CXIX CXX





1

2

3

4


0 1
0 3
0 1


N
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13



1



2

3

4



5

6

7

8

9


A
B
N
1

2

3

4


5




x
6

7

8



1



2

3

4



5



6

7



8

9

10



11













0 4 8






















1
1
N
-1,35
-0,75
±0
±0
1-1
0 3
1
2
5
6
7
3
4
N6
N7
1
2
3
4
5
0 2
N
1
1
-0,3
-1
±0
1-1



M. 1:500

0 1000 2000 3000



0 50 100 150 200 250
















1
2
3
4
5
6
7
8
9




1
2
3
4
5
6
7
8
9
0 4
0 3
0 1 2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0 5 10
0 3
0 3
0 4
0 1
0 2

0 3
0 3
0 1 2
0 2
0 2
0 1 2


0 1
0 2
0 1


ფარცყოფი. გრაველიანთგორა.
ცოცოგებგე
ყორღანი N4
ნაგებობა
გებგე.
ადგოსაგლეთის
ფასადი
ჭრილი A-A
ჭრილი B-B
0
5
10м




0 1 3


0 4 12
0 1 3


0 2 4 6
0 1 2 3











0 1 2 3 4





CL




I
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
II
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
III
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
0 1 2


I
1
2
3
0 1 2 3
4
5
6
8
7
0 1 2 3
0 1 3
0 1 2
9
10
II
41
14
16
12
15
17
18
19
13
0 1 2 3 4
0 1 2 3
III
29
23
24
0 1 2
21
27
22
0 1 2 3
25
0 1 2
26
0 1 2 3


0 1 2 3 4 5


0 1 2 3 4 5

CLIV






I
1
2
3
4
5
6
7
II
8
9
10
11
12
13
14
III
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25

CL.VI



CLVIII





1



2

ოქუმის ზეთოქვაბული





ᲐᲪᲐᲠᲐ



1. ᲐᲠᲐᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲔᲜᲐ
2. ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲕᲐᲠᲝ ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ
3. ᲛᲝᲜᲘᲗᲐᲚᲝ-ᲛᲝᲧᲕᲘᲗᲐᲚᲝ ᲤᲔᲜᲐ
4. ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲗᲘᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ (ᲒᲠᲣᲜᲢᲘ)










0 1 2 3




0 1 2 3 4










0 1 2 3


0 1 2 3

CLXVI








0 1 2 3


0 1 2 3
0 1 2 3


ღაბლა ფოფი
ანგეთი
ოგეგრიკე
I
II
1
2
3
4
5
6
7
8
3
10
11
12
13
14
15
16
18
19
20
21
22
0 1 2 3





1



2



1



2




0 1 2 3






1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11


7
8
9
10
11
12
13
14



1



2



1



2



1



2



3

1

2

3



შინაარსი

შესავალი (ო. ჯაფარიძე) 5

ტომი პირველი. აღმოსავლეთ საქართველო ენეოლითსა და ადრებრინჯაოს ხანაში 17

თ ა ვ ი I. ენეოლითი (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე) 17

§ 1. ენეოლითური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში 17

§ 2. ენეოლითური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში 35

თ ა ვ ი II. ადრებრინჯაოს ხანა (გ. მირცხულავა, ა. ორჯონიკიძე, გ. მინდიაშვილი, ო. ჯაფარიძე) 70

§ 1. ადრებრინჯოს ხანის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში 70

§ 2. ადრეული ყორღანების კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში 124

§ 3. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში 151

§ 4. ადრეული ყორღანული ძეგლები 197

ტომი მეორე. ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში (გ. ფხაკაძე) 216

თ ა ვ ი I. ენეოლითური კულტურა დასავლეთ საქართველოში 216

თ ა ვ ი II. დასავლეთ საქართველო ადრებრინჯაოს ხანაში 228

თ ა ვ ი III. ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში 251

შემოკლებათა განმარტება 281

ტაბულების აღწერილობა 292

АРХЕОЛОГИЯ ГРУЗИИ

ТОМ II

(Грузия в эпоху энеолита и ранней бронзы)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1992

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4165

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი, ლ. ჯეგენავა
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ლ. ლომთათიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი დ. ჩხეიმიანი
გამომშვები ე. მაისურაძე